# შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

United Nations
Educational, Scientific and
Cultural Organization

გაერთიანებული
ერების განათლების,
მეცნიერებისა და
კულტურის ორგანიზაცია

საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

იბეჭდება **საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს** მხარდაჭერით

# აკაკი
# წერეთელი

## თხზულებათა სრული კრებული
## ოც ტომად

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

თბილისი 2015



# აკაკი
# წერეთელი

## ტომი VI

## მხატვრული პროზა
## 1863-1912

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

თბილისი 2015

**აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის სარედაქციო კოლეგია**

**ირმა რატიანი** მთავარი რედაქტორი
ზაზა აბზიანიძე
მაკა ელბაქიძე
ნანა ფრუიძე
როსტომ ჩხეიძე
ზურაბ ჭუმბურიძე
თამაზ ჯოლოგუა
**ჯულიეტა გაბოძე** პასუხისმგებელი მდივანი

ტომის რედაქტორი: **თამაზ ჯოლოგუა**

ტომი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო **ნანა ფრუიძემ**

ტომი გამოსაცემად მომზადდა **რუსთაველის ფონდის** ხელშეწყობით

ISBN 978-9941-0-2789-5 (ყველა ტომის)
ISBN 978-9941-16-438-5 (მეექვსე ტომის)

უაკ(UDC) 821.353.1-3
წ-395

© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი



# მოთხრობები

# ეშმაკები

## ნამდვილი მოთხრობა

თუმცა ტფილი ბუნების შვილი ვარ, მაგრამ მაინც არ გახლავარ სიცხის მოყვარული და ამის გამო, ერთ ზაფხულში, როდესაც მხურვალე მზის სხივებისგან გამოჯავრებული თითქმის მთელი პეტერბურღი გადაებარგა საზაფხულოდ ახლო-მახლო სოფლებში, მეც ჩავჯექი ეკიპაჟში და გავექანე პარგოლოვოსაკენ. სოფელი პარგოლოვო თვრამეტის ვერსტით ჰშორავს სატახტო ქალაქს, არის მაღლობი ადგილი, ძალიან გრილი და მით ზაფხულში ამო შემთვისებელი. მზე ახალი ჩასული იყო, რომ შევედით სოფელში, გრილი ნიავი წყნარის დაბერვით ჰფანტავდა ყვავილთ სუნელებას და კეთილშეზავებული ჰაერი ახალისებდა ზამთრით დაჩაგრულ ბუნებას.

მეზაფხულეები დედაბუდიანათ გარეთ გამოფენილიყვნენ სასეიროდ; მე გზის პირად ეკიპაჟი მივაყენებინე, და თვითონ კი გადავხტი და ფეხ-ფეხ ავყევი ქუჩას; მართლმორწმუნე რომ ვყოფილიყავ, მაშინ ის ადგილი, სადაც იმოდენი მშვენიერი ქალები ერთად შეგროვებულ იყვნენ, მაჰმადისაგან დაპირებული სამოთხე მეგონებოდა და იქვე მოვიფთხნიდი ფეხს, მაგრამ რადგანაც ქრისტიანი გახლავარ და მასთანაც ცოტა მორცხვი ყმაწვილი, თვალი ავარიდე ქალებს და სახლებს დავუწყე თვალიერობა. ჯერ კიდევ არ გადამედგა ოცი ბიჯი, რომ ღრიალით მომესმა: – „თქვენო კეთილშობილებავ! ბატონო! აჰ ბატონო!“ მოვიხედე და ვნახე, რომ ორი მთვრალი რუსის მუჟიკი ერთმანეთს ჩაფრენოდენ; მე რომ შემომხედეს, ხელი აუშვეს ერთმანერთს; პირველმა ჯერ თაყვანი მსცა და მერე დაიჩოქა ჩემს წინ, მეორე კი სალდათურად ქუდმოხდილი გამომეჭიმა.

– თქვენო კეთილშობილებავ! – მომაძახა ხელახლა დაჩოქებულმა.

– რა გინდა, ჩემო ძმაო? – ვუთხარი მე ცოტა გაკვირვებით.

– როგორ თუ რა მინდა!? განა ვერა მხედავთ ბატონო? მომიტევეთ! დანაშაული ვარ! მთვრალი ვარ, გახეთქილი ვარ.

– ღმერთმა შეგარგოს! ჩემი რა საქმეა? ასეთიც გიქნია, რომ…

– არა, თქვენო კეთილშობილებავ! თქვენო ხარისხოვნებავ! ბატონო! ნუ გამიწყრებით! ჩვენი მამასახლისიც ითვრება ხოლმე და მაშინ ასე ანზობს, რომ სიმთვრალე სირცხვილი არ არის, ღვთის გაჩენილიაო…

– მაშ, თუ მოძღვარიც მაგას გეუბნება, რაღასი გეშინია?

– არაფრის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! ჩემი სიმთვრალე მაინც სულ სხვა არის! ჩვენს სოფელში ჩემისთანა პირველი ხარისხის ლოთი არ იპოება! ვასილ ივანიჩს ხომ იცნობთ? იმას ვინ არ იცნობს! ჩვენი მამასახლისია, ისიც კი თვრება ხოლმე, მაგრამ მე ვერ შამწვდება ლოთობაში! მე მთელმა სოფელმა დამამოწმა პირველ ხარისხის ლოთად.

– მომილოცავს! კარგ ხელობაში ბრძანებულხარ!

– თქვენო ბრწყინვალებავ! ნუ დამცინით! სიხარულით ვთვრები, უმიზეზოთ ხომ არა? უმიზეზოთ შაბათობით ჩვენი მამასახლისიც თვრება და მე კი სიხარულით! სიხარულით!

– რის სიხარულით?

– ჯერ არ შეგიტყვიათ? ახალი განთავისუფლებული ვართ! თავისუფლება რომ გამოგვიმცხადეს, უქაზი რომ წაგვიკითხეს, მასუკან სულ ასე მთვრალი ვარ.

– მერე და რამოდენი ხანია მასუკან? როდის იყო ეგ ანზავი?

– მუხინს რომ ძროხა დაეღრჩო, მაშინ.

– მაგის რა მოგახსენო და, თქვენ რომ თავისუფალი ხართ, მას შემდეგ ოთხი წელიწადია! ადრე არა სვამდი?

– როგორ არა, ჩემს ნახსოვრობაში სულ ვსვამდი, ადრევაც ძალიან ვლოთობდი, მაგრამ მაშინ საბატონო ვიყავით და ჯავრით ვლოთობდით!.. მწუხარებით!

– მაშ თითო მიზეზი აღარ გამოგლევია! ახლა რაღას აპირებ? არ მოიშლი, აღარ გაათავებ მაგ საძაგლობას?

– როგორ არ მოვიშლი? აღთქმაც მაქვს დადებული!

– როდის?

– როცა მოვკვდები, მაშინ! ვანიუშას კი არც ახლა დავალევინებ, ვანიუშა ჩემი შვილია, რომ გაბედოს დათრობა, მოვჰკლავ; ამიტომ რომ მამა ვარ და მამას შეუძლია მისი შვილის მოკვლა: კანონია და სამართალი, თქვენო ხარისხოვნებავ!

რასაკვირველია, რომ ამგვარ მუსაიფით ჩვენი პირველი ხარისხის ლოთი კიდე დიდხანს გააჭიანურებდა, მაგრამ მუხლის თავებმა ველარ იმაგრეს და გაკოტრიალდა ტალახში; მაშინ მეორე მუჟიკმა ხელი სტაცა წამოსაყენებლად და ის კი ააყენა, მაგიერად თვითონ წამოიპლაკა საცოდავი. სასწორივით ერთი რომ წამოდგებოდა, მეორე დაეშვებოდა ხოლმე და მშველელი არ გაუჩნდათ საწყლებს. მე კი ორნივე მივატოვე და მივმართე ერთი სახლისაკენ, სადაც დერეფანში გრძელ ფიცარზედ ისხდენ სოფლელები და იმღერდენ; მივედი,





მივესალმე, გამარჯობა ვუთხარი და ვჰკითხე: „სახლი თუ სადმე იცით გასაქირავებელი-თქო? მომღერლებმა ამათვალიერ – ჩამათვალიერეს, და რომ ვერ შენიშნეს ჩემს ტანისამოსს ვერაფერი ნიშანი დიდკაცობისა, ყურადღებაც აღარ მომაქციეს; ერთმა კი დაცინებით მითხრა: სხვაგან იკითხე და შეიტყობო! ამ დროს ჩემმა კუჩერმა მოარიხინა კალასკა და დიდის სიმდაბლით მომახსენა: „თქვენო ბრწყინვალებავ, თუ მოცდას აპირებთ, ერთს საათს მაინც, ნება მიბოძეთ ცხენები შევასვენო და ქერი ვაჭამო“. ამ სიტყვებმა ფინთიხივით გაირბინეს მომღერლების ყურებში, ისინი მარდათ წამოცვივდნენ ზეზე, მოიშვლიპეს ქუდები და კრძალვით გამომეჭიმენ. მე ღიმილი მომერია და ვკითხე. „სახლი ხომ არსად იცით გასაქირავებელი-თქო“.

– ამ ჩვენ სოფელში აღარსად გახლავთ. დიდი ხანია, რაც დაქირავდენ! – მიპასუხა ერთმა ბერიკაცმა.

– მე ერთი-ორი ოთახიც მეყოფა, თუ კი სადმე იშოვება!

– აღარც ოთახები გახლავან ცალიერები, თქვენო ბრწყინვალებავ!

– რაღა გაეწყობა! ეის სახლი ვისი არის, მოშორებით რომ დგას ტყეში?

– ჩემი გახლავსთ! – მიპასუხა თავის ფხანვით ერთმა მუჟიკმა.

– ვინა დგას და რას გაძლევენ ქირას?

– არავინ, ეშმაკები დგანან!

– როგორ თუ ეშმაკები? რათ უწყრები იქ მდგმურებს?

– არა, მართლა ეშმაკები დგანანო, – მიპასუხეს სხვებმაც. მე გაშტერებით შევხედე სახლის პატრონს.

– დიახ, ბატონო, – დაიწყო სახლის პატრონმა, – ეშმაკები დგანან! მასუკან, რაც ნემეცი ჩამოაღრჩვეს, აღარ გამოლეულან, იქ დგანან!

– ვინ ნემეცი ჩამოახრჩვეს?

– ერთ ზაფხულში ვიღაც ნემეცმა დაიქირავა ის სახლი, მორთო, მოაწყო მდიდრულათ და ბარე სამი თვე იდგა, ბოლოს ერთ დღეს ჩამომღრჩვალი ნახეს; ანდერძი დაეტოებია და რადგანაც იმას ნათესავი არავინა ჰყოლია, ყოლიფერი ჩემს ცოლს დაუტევა. ფულები რაც იყო, ან ვერცხლოულობა ვიღაც კაცმა აწერა: ჯერ ანგარიშს შევიტყობთ, რადგანაც ფორმა მოითხოვსო და მერე ისევე დაგიბრუნებთო; მაგრამ აგერ ეს მეხუთე წელიწადი გარბის და ჯერ თვალით არსადა ჩანს... ბარგი-ბარხანა კი ჩვენ დაგვიტოვეს, მაგრამ რათ გვინდა, ვინ მოჰკიდებს ხელს, ეშმაკებისა არის, ქრისტიანი, მონათლული როგორ შეეხება? სულ ხელუხლებლათ იმ სახლშივე ჰყრია და ეშმაკები არახუნებენ ღამ-ღამ...

– რას ანბობ, ბიჭო? მასხრობ თუ მართლა ანბობ?

– მართლა, თქვენო ბრწყინვალებავ, იმ დღეს აქეთ, ვინც იქირავა, სულ ყველა გამოყარეს ეშმაკებმა. ველარავინ გასძლო! აშინებენ! და ახლაც ბატონო ყოველღამ ისეთი ანბავი აქვსთ და ხარხარი, რომ ახლოს ამ სოფლელს ველარავის გაუვლია შიშით! მღვდელიც ბევრჯერ მივიყვანეთ, პარაკლისი გადავახდევინეთ, აიაზმა ვასხურებინეთ, მაგრამ მაინც არა ეშველა რა, ვერ გამოვლიეთ ის ეშმაკები!

– არ შეიძლება, რომ მაქირავოთ ის სახლი!

– მერე და ეშმაკებს რას უზამთ? არ გეშინიათ?

– ეშმაკების ჯავრი ნუ გაქვთ! ისინი მე არ მერჩიან!.. მაქირავებთ თუ არა?

– თქვენი ნება იყოს! – მითხრა გაკვირვებულმა მუჟიკმა.

– მაშ წამიყვანე და მიჩვენე სახლი!..

ხალხს ისე გაუკვირდა ჩემი გამბედაობა, რომ სულ ყველა ერთიანათ მე გამომყვენ; მივედი, ვნახე, დავათვალიერე სახლი, მართლად მომეწონა: სოფელზედ გაშორებით შუაგულ ტყეში იდგა ერთი მშვენიერი სახლი ხუთოთახიანი, მშვენიერი მოწყობილი და მორთული!

– რას დამჯერდები ქირას? – ვჰკითხე სახლის პატრონს.

– რაც თქვენი ნება იქნება! ხუთი თუმანი მიბოძეთ – მითხრა თავის ქექით.

– მაშ კარგი, ჰა, ეს ერთი თუმანი შენ და სხვას ერთი თვის შემდეგ მიიღებ.

– არ შეიძლება, რომ სულ ახლავე მიბოძოთ! ვინ იცის, რომ რამე აგიტეხონ ეშმაკებმა, ჩამოგაღრჩონ თქვენც იმ ნემეცივით, მერე ვინლა გადამიხდის დანაშთენ ფულებს! რაც დაგრჩებათ, იმასაც სხვები წაიღებენ, თქვენო ბრწყინვალებავ?

– მაშ კარგი, როგორც ბარგს გადმოვიტან, იმ დღესვე მოგცემ დანაშთენ ოთხს თუმანსაც და ახლა კი მშვიდობით-თქო. – ვუთხარი და გახარებული დავბრუნდი პეტერბურღში,

მეორე დღეს დილით, ადრე, რაც გამაჩნდა, ბარგი თუ ბარხანა გავისტუმრე სოფელში და მე შუადღემდის აღარ დავდგომივარ გზას, შუადღისას კი მეც გამოვემგზავრე პარგოლოვოსაკენ; გზაზედ ცუდი ნიშანი არა მინახავს რა: არც კურდღელს გადაუჭრია გზა და არც ხუცესი შემომყრია, მხოლოდ ერთი ვიღაც ლამაზი შავწვერებიანი კაცი კი შემომხვდა პეტერბურღისაკენ მიმავალი და ისეთის ბოროტულის დაცინებით დამიწყო ყურება, რომ მე, უნდა გამოგიტყდეთ, არაფრათ მიამა.





ერთის ვერსით რომ მივუახლოვდი პარგოლოვოს, გადავხტი ეკიპაჟიდამ, ის საურმე გზით გავისტუმრე ცარიელი და მე კი დავადექი საქვეითო გზას, რომელსაც ორპირად მარჯვნივ და მარცხნივ ხეები აქვს ჩაყოლებული. ის ხეები იმნაირად დაზდილან, რომ ერთი პირის ხეების შტოები მეორე პირის ხეების შტოებში გაყრილ-გამოყრილან და იმგვარად შეუკრავთ თალი, რომ შუადღის სხივები იმ გზაზე ველარ ეცემიან, ადგია მუდამი ჩერო და მის გამო, რა მაგისთანა სიცხე იყოს, მაინც გრილა; ხშირად შუადღეობით გუვერნანტკებს იქ გამოჰყავთ ხოლმე საბურთაოდ პატარ-პატარა ყმაწვილები, მაგრამ იმ დღეს კი ბევრი ვერავინ შევნიშნე, გარდა ერთის ქალისა და მასთანა პატარა ყმაწვილის სამის თუ ოთხის წლისა. იმ ქალმანც შორიდგან შემომატანა თვალი, მაგრამ რომ შემატყო მეც მივჩერებოდი, ყმაწვილს მოჰკიდა ხელი, დაუწყო რაღაც ჩურჩული, დიდხან ეჩურჩულა და ბოლოს აიღო ხელში გაშლილი წიგნი და დაიწყო მისი კითხვა. „ამ სიშორეს ეს ყმაწვილი ქალი რას ჩამოუყვანია-თქო, მაგრამ უთუოთ ვიღაცას უნდა მოელოდეს-თქო“, ვიფიქრე და მივიხედე უკან. – უკანიდან მომავალი ვერავინ დავინახე და წინდამ კი რაღაც დამეტაკა ფეხებზედ; უცებ მოვიხედე და ვნახე, რომ ჩემ წინ ბურთი კოტრიალობდა; პატარა ყმაწვილი ბაჯბაჯით გამორბოდა და მეძახოდა, „ძია, დაიწილე! დაიწილე ცემი ბუთიო!“ ბურთი ხელში ავიღე და ყმაწვილი რომ მომიახლოვდა მის სათხოვნელად, ვუთხარი: „რათ მესროლე-თქო?“ „ალა, მე ალ გესლოლე ძია! დედამ გესლოლა!“

– მერე რათ მესროლა, კინაღამ ფეხები დამამტვრია!

– მე ლავიცი, დედამ გესლოლა! მამეცი ბუთი!..

– ჩემგან ამ ბურთის მოცემა აღარ შეიძლება! ტყვილა ნუ მთხოვ!

– მამეცი, თვალა დედას დაგასმენ?

– რა მენაღვლება! მერე რას მიზამს დედაშენი?

– ლასა და გაგიწყლება.

– როგორ გამიწყრება?

– კუთხეში დაგაყენებს.

– დავდგები, რა მიჭირს.

– ცაის ალალ გასმევს! კაფეტს ალალ – გაჭმევს! ალალ გაკოცებს!

– უიმე! ეგ კი საშინელი იქნება! წაილე, წაილე! მაგრამ მოდი რა ვქნათ მე და შენ, ამას ხომ ხედავ?.. ამოვიღე ფორთოხალი ჯიბიდან და დავანახვე, – ეს ფოთოხალი. ძალიან ტკბილია! თუ გინდა, გავცვალოთ: ეს ფორთოხალი შენ წაილე და ეგ ბურთი მე მომეცი!

ცოტა დაფიქრების შემდეგ დამეთანხმა, გამომართვა ფორთოხალი; გადაატრიალ-გადმოატრიალა, უსუნა და მერე ისევე შემეშალა; „აღარ მინდა, ისევ ცემი ბუთი მამეცი". იმან დამიბრუნა ფორთოხალი, მაგრამ თვალები კი გამოაყოლა; ვატყობდი, რომ ორივე უნდოდა და იტანჯებოდა. ბოლოს მეც სიცილი ამიტყდა და ვაჩუქე ფორთოხალი. „დედა, დედა! ძიამ ფოთოხალი მომცა და შეწამევო! ალმაწენს"? დედამისმა სიცილით თავი დაუქნია ნიშნად თანხმობისა. ამასობაში მეც მივუახლოვდი და თავდახრილს მინდოდა ისე გამევლო, რომ ჩვეულებრივათ არ შემეხედა დედაკაცისათვის, მაგრამ კეკლუცმა ტკბილხმოვნად მომაძახა: „უკაცრავათ, ჩემო ბატონო, გთხოვთ მოგვიტევოთ უმეცარი საქმე!" მე გავსწითლდი, თავი დავუკარი და რაღაც წავილუღლუღე.

– ყმაწვილია და ცელქობს, ჯერ ამან ზრდილობის არა იცისრა, ყველას ეთამაშება! იმედი მაქვს ტკენით კი ვერას გატკენდათ, მაგრამ ხომ გაგსვარათ? განაგრძო დედამ.

– ლოდის მელე დედა, მე კი ალ ვიყავი, შენ ალ გამომალთვი ბუთი ასე მალე დაგავიწყდა დედა?

ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, გააწითლეს დედა, მაგრამ მან არ შეიფერა და განაგრძო: „უკაცრავათ! ამხელა ყმაწვილებს ძალიან უნდებათ სირბილი და ეს კი არა მშორდება ხოლმე, თუ ბურთი არ გავუგორე: წელანაც მე წიგნის კითხვით ვიყავი გართული და ისე გავაგორე ალალბედზედა... გთხოვთ, მომიტეოთ!"

– რას მიბრძანებთ, ბატონო! ჩემთვის სასიამოვნოც გახლდათ! რას ბრძანებთ, თვითონ მე გახლავართ უკაცრავათ, – ვეუბნებოდი სრულიად შერცხვენილი და გაწითლებული. არ ვიცოდი, რა უნდა მექნა: გაჩერებისა და იქ მოცდის მრცხვენოდა და წასვლა კი მეზარებოდა. რადგანაც მისმა მშვენიერ სახის კეთილსანდომიანობამ, მისმა კეკლუცურმა მიხრა-მოხრამ, მოხდენილმა სიცილმა და ტკბილმა ხმამ, ძველი დარდების აშლით ძველი საყვარელი მომაგონა და ანდამატივით მიმიზიდა. იმ ქალმაც შემატყო აღშფოთება და უფრო დამიხშირა მუსაიფი: სხვა რომ ყოფილიყო თქვენ ადგილზედ, გაუჯავრდებოდა ამ ჩემს შვილს და თქვენ კი ისეთი გულკეთილი ბრძანებულხართ, რომ პირაქეთაც დაასაჩუქრეთ. მაგრამ უკაცრავათ, ჩვენ ვზივართ და თქვენ კი ზეზედ დგეხართ, დაბრძანდით. დაამატა ეშმაკურის სიცილით და გაიწია სკამზედ და ხელით მანიშნა, რომ დავმჯდარიყავი მის გვერდით. „დაბრძანდით, თუ არ გეჩქარებათ: დაღალულიც იქნებით, ქვეითად მოხვიდოდით". მე მადლი მოვახსენე





და, რასაკვირველია, გიჟი არ ვიყავი, რომ უარი მეთქვა, „ნუ მომეშალოს ამისთანა მეხი-თქო, გავივლე გულში და ჩამოვჯექი...

– თუ პეტერბურღიდან მოდიხართ, ძალიან დაიღლებოდით! განაგრძო.

– დიახ, პეტერბურღიდან გახლავარ, მაგრამ ეკიპაჟით მოვედი აქამდის; ეს არის, ის ქვენა გზით გავისტუმრე ცალიერი და მე კი ქვეითი წამოვედი ამ გზით; ცოტა არ არის, რომ სიცხეს მოვერიდე. აქ გრილა ძალიან.

– ძალიან კარგი გინებებიათ! ამისთანა სიცხეში მგზავრობა ძნელია! წინ ხომ არავის შეყრილხართ?

– როგორ არა! მგონია თქვენი ქმარი გახლდათ, გზაზედ შემხვდა...

– რასა ბრძანებთ, მე, ორი თვეც არის, ქმარი საზღვარსგარეთ წამსვლია. რათ გეგონათ ის ჩემი ქმარი?

– უკაცრავათ, მაგრამ უთუოთ ნათესავი ვინმე იქნებოდა, რადგანაც საშინლად მოჰგავდა, პირთაგან წავარდნილი თქვენი ქალი იყო!..

– შეიძლება! – სიჩქარით მითხრა ცოტა გაწითლებულმა.

– თუ დიდი ხანია აქა ბრძანდებით, უთუოთ დაინახავდით; ამ გზას ის ვერ ასცილდებოდა; დიდი ხანი არ არის, რაც შემხვდა.

– ჰო, ვიღაც შავწვერებიანი კაცი? დიახ, დიახ, გაიარა, მაგრამ არ დავკვირებივარ, ეგებ მართლა მოჰგავდეს! რა ვუყოთ კაცი კაცს ემგვანება!..

– დიახ, ემგვანება! – ვუთხარი შერცხვენილმა უხეირო კითხვისაგან.

– ახლა სად მიხვიდოდით? პარგოლოვოში? – განაგრძო ქალმა.

– დიახ, პარგოლოვოში.

– ნაცნობთან?

– არა, მე მანდ ნაცნობი არავინა მყავს! საზაფხულოთ გადმოვდივარ.

– ჰო, მაშ თქვენ ხართ, ეშმაკების სახლი რომ იქირავეთ?

– დიახ, მე გახლავართ!

– მერე არ გეშინიათ იმ უცნაური ანბებისა? – გაკვირვებით მითხრა.

– რა საშიშია? უნდა მოგახსენოთ, რომ არც კი მჯერა.

– მე თქვენ გარწმუნებთ რომ სწორეთ მართალია, ხუმრობა არ გეგონოსთ.

– ეგ შეუძლებელი საქმეა! გლეხებს არ დაეჯერებათ, ამაოთ მორწმუნები არიან და მოეჩვენებოდათ.

– კი, მაგრამ მდგმურებმაც რომ ნახეს და ეს ოთხი წელიწადია ველარავინ დგება იმ სახლში?

– ეგეც არაფერი, მე თქვენ გარწმუნებთ! ცოტა მიზეზი რამ არ იქნეს, არ შეიძლება და სხვა კი შიშისაგან წარმოუდგებოდათ. მაგრამ კი იმედი მაქვს, ყოველივე გამოვაშკარაო.

– ღმერთმა ქნას, რომ მანგრე ყოფილიყოს. უფრთხილდით კი მაინც.

– რომ მართლა ეშმაკებიც იყვნენ, რას მიზმენ?

– ჭკუისაგან შეგშლიან!

– მოშიში არ გახლავარ!

– რომ ჩამოგაღრჩონ. – დაამატა სიცილით.

– არც ის მენაღვლება კიდევ! ეს ოთხი წელიწადია, რაც სიკვდილს აღარ ვერიდები. – ამ სიტყვაზედ გაკვირვებით შემომხედა და ამათ-ვალიერ-ჩამათვალიერა.

– აწ კი წავიდეთ, დრო არის. მითხრა და წამოდგა ზეზე. თქვენც წამოხვალთ თუ აქ დარჩებით?

– თუ ნებას მომცემთ, მეც გიახლებით, ორივეს ერთი გზა გვაქვს. – გზაზედ ბევრი რამ ვიმუსაიფეთ და, სხვათა შორის, ესეც მითხრა: „თუ ვინმემ გკითხოს ჩემი, ასე უთხარი, დიდი ხანია ვიცნობ-თქო, მაგრამ კი არა დაიტრაბახო რა! ყმაწვილებმა ხშირად იციან დაჩე-მება!“

– მე არ ვეკუთვნი მათ რიცხვს და რომ ვეკუთვნოდე ვისთან უნდა დავიტრაბახო? მე ვერავის ვერ ვიცნობ მანდ მცხოვრებელთაგანს.

– ეგ არაფერია, მალე გაგეცნობიან! ჩვენი ქალები მარჯვე არიან მაგგვარებში!

– იმედი მაქვს, იმათ რომ კიდეც მოინდომონ, ჩემი სურვილი არ იქნება და არ გავეცნობი, რადგანაც საზოგადოთ არ გახლავარ მათი მოყვარული.

– ჩემსავით რომ პირიქით გაგეცნონ? – მითხრა სიცილით.

– მათ არ გავეცნობი!

– მაშ მე რად გამეცანით?

– სულ სხვა მიზეზი გახლავს. ამ ოთხი წლის განმავლობაში პირველი ქალი თქვენა ბრძანდებით, რომელთანაც მაქვს ბედნიერება ჩემ სასიამოვნო მუსაიფისა.

– გმადლობთ, რამ შეგაძულათ ქალები?

– უბედურმა სიყვარულმა!

აქ მე მოგონებამ სახე შემიშალა. ქალმა შემატყო და გასწყვიტა საუბარი. ის იყო, ჩვენც შევედით სოფელში; თავი დავუკარი, გამო-





ვეთხოვე და გავსწიე ჩემი ახალი სადგურისაკენ, ნაშუადღევის ხუთი საათი იყო.

ახალ სადგურზედ რომ მივედი, ყოველიფერი მილაგებულ-მოლაგებული და დაწმენდილი დამიხვდა ჩემი მსახურის წყალობით, მაგრამ თვითონ კი ჩემი მსახური ყურებჩამოყრილი დაბძანდებოდა, ეტყობოდა, რომ ჭორებს მის ყურებამდისაც მიეწია.

– რას მოგიწყენია, ივანე? – ვკითხე ჩემს მსახურს.

– როგორ თუ რას მომიწყენია? ვგონებ, თქვენ ჯერ არ შეგი-ტყვიათ ამ სახლის ამბავი? აქ დგომა ჩვენ ხელს არ მოგვცემს! – მიპასუხა ცხვირჩამოშვებულმა.

– რატომ? სახლი ამისთანა უნდა. ეს სახლი არის და მებელი..

– არა, ბატონო, მაგაზედ არ მოგახსენებთ!.. აქ ეშმაკები თურმე ცხოვრობენ!

– იჰ, რაღაც სხვა მეგონა!.. ჯერ ხომ არა გინახავს რა?

– ჯერ არც კი დაღამებულა! ამაღამ კი უთუოთ ვნახავთ.

– მერე შენ რისი გეშინიან!? შენ ხომ სამზარეულოში იქნები და იქ ეშმაკებს რა უნდა? აქ მე მარტო დავსწვები!

– კი, მაგრამ, თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენ რომ რამე აგიტეხონ?

– ჩემი ჯავრი ნუ გექნება!..

– მაინც საშიშია და მაინც! რომ იქაც შემომიხტენ, რაღა ვქნა!

– წადი! ნუ სულელობ! არავინ შემოგიხტება!..

– ეჰ, რაღა გაეწყობა! თქვენი ნება გახლდესთ, მაგრამ ცოტა ფული მაინც მიბოძეთ, თქვენო ბრწყინვალებავ!

– ფულები რათ გინდა? ეშმაკებს ხომ დაქრთამვას არ უპირებ?..

– არა, ბატონო, ცოტაოდენი ოტკა მინდა გადავსო, ეგების გამა-გულადოს. – ივანე გაგულადებული წავიდა სამზარეულოში, მე მარ-ტოთ დავრჩი; დავათვალიერე კარგათ ოთახები, დავსინჯე, საიდ-უმლო კარები არსად იყოს, ან კედლებში ან ზედა ჭერში და ან ქვედა-შიდა-თქო, მაგრამ ვერაფერი შევნიშნე, თუმცა ხუთი, ექვსი საათიც მეტი ვჩხრიკე; ბოლოს დავკეტე შიგნიდან კარები და დაღალული ჩავგორდი ქვეშსაგებში.

იმ ღამეს, რაც კი ჩემ სიყმაწვილეში კუდიანობის ანბები გამეგ-ონა, ცხადათ ამიხდა: ეშმაკები ჩემ წინ სულ მალაყს გადადიოდენ! რა ეშმაკური საქმეები არ ჩაიდინეს, ვინ იცის! დიდხანს ამ გვარად მაწვალეს და ბოლოს შეკაზმეს კატები, დააწყებიეს ჭენება, ხან სტოლებზედ ახტუნებდნენ, ხან სკამებზე და ხან შკაფის თავებზედ; მომეტებულის რახირუხისაგან ყურთა სმენა აღარ იყო; ამ დროს

გამომელვიძა. თურმე ეს ანბები სულ სიზმარში მინახავს. კარგათ გათენებულიყო. ჩემი მსახური მოდგომოდა კარებს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ისე აჯაჯგუნებდა და თანაც შემომყვიროდა: „თქვენო ბრწყინვალებავ! ჩამოგახჩვეს ეშმაკებმა თუ ისევ ცოცხალი ბრძანდებითო?“ მის ყვირილზედ მე სიცილი ველარ მოვიჭირვე, მინდოდა ის სულელი შემეშინებია და ერთი ძროხასავით შევბღავლე; ის დაფეთებული გადავარდა სადღაც და მე კი კარები გავაღე, ჩავიცვი, დავიხურე და გამოვედი მეორე ოთახში ჩვეულებრივათ საწერათ. ერთი საათის შემდეგ რაღაც ხრიალი მომესმა ჩემ კარებზედ, გამოვიხედე და ვნახე, რომ რაც იმ სოფელში ქალი და კაცი იყო, დიდიან-პატარაიანა, სულ ჩემი სახლის წინ მოეყარათ თავი; ზედ კარებზე შამომდგარიყო დიაკვანი, თუმც სახლში შემოსვლას კი ვერ ბედავდა, და გალობდა: „ჩვენთანა არს ღმერთი“ და სხვანი.“ როგორც დამინახეს, ერთბაშათ მომაყვირეს: „ეშმაკები რა იქნენო?“ თურმე ჩემი მსახური რუსი გაქცეულიყო სოფელში და ყველა დაერწმუნებია, რომ ჩემი ბატონი წუხელის ეშმაკებს ხარათ გადუქცევიათ და დაბღავისო.

რასაკვირველია, სიცილის ატეხით, ვარწმუნებდი ყველას, რომ სიცრუეა, არც ეშმაკი მინახავს და არც კუდიანები-თქო.

მაგრამ ვიღას დავაჯერებდი? ზოგი რას ამბობდა ჩემზედ და ზოგი რას!.. ერთმა სთქვა ჩემი: „თითონ ეშმაკი და კუდიანიაო“, მეორემა: „ახლაც ხარია, მაგრამ, ბევრი რომ ვართ, ერცხვინება და ისევ კაცის სახედ გვეჩვენებაო. სხვებმაც კიდევ უარესები სთქვეს; მე მათთვის აღარ მიმიგდია ყური; ივანეს დაუძახე, შემოვიხმე შინ და გადავაკეტინე კარები...

საღამოს რომ აგრილდა, გამოვედი გარეთ სასეიროთ და გავერიე მეც ხალხში; სულ ყოველმა კაცმა მე დამიწყო ყურება, ზოგი შიშითა და პირჯვრის წერით გარბოდენ ჩემგან და სხვები კი ჩემზედ იცინოდნენ; შევატყვე, ბევრს სურდა ჩემი გაცნობა და გამომუსაიფება, მაგრამ მე არავის არ მივაქციე ყურადღება, გარდა ლიდია ივანოვნისა (ეს სახელი ერქვა ჩემს ნაცნობ ქალს). იმას ყოველიფერი, რაც გადამხდა, შეტყობილი ჰქონდა და სიცილით მითხრა: „არაფერია, დღეს კი თქვენ შეაშინეთ მრთელი სოფელი, მაგრამ, ეგების, აწ თქვენზედაც მოვიდეს რიგი და ამაღამ თქვენც შეგაშინონ“.

– ეშმაკებმა ხომ არა, რომელნიც ჩემ სახლშიდ ბუდობენ? – ვჰკითხე მე სიცილით.

– ჰო, და რა გგონიათ? წუხელი რომ არ შეგაშინესთ, მიტომ? – მიპასუხა ლიდიამაც სიცილით. – ეგ არაფერია, დაღალული რომ იყავით, მიტომ აღარ შეგაწუხეს, უთუოთ.





– ღმერთმა რისხოს იმ წყეულებს, მაგრამ მე კი მადლობის მეტი არა მმართებს რა იმათთან: განათლებული ყოფილან და ზრდილობიანი, არა გვანებიან იმ ეშმაკებს, რომელნიც საშუალ საუკუნეებში ისე უზდელათ და ურცხვათ აშინებდენ ხალხს, მაგრამ ეტყობა, რომ მეცხრამეტე საუკუნეს დიდი გავლენა ჰქონია ეშმაკებზედაც.

– ღმერთმა ჰქნას, რომ ხვალაც მანგრე გეხუმროსთ, მაგრამ მე კი გირჩევთ, რომ სახლს მოშორდეთ!

– თუკი თქვენი სურვილია, რომ მე არა მხედავდეთ ხოლმე, მაშინ ვეცთები, რომ აღარსად შეგხვდეთ და ის იქნება, თორემ სახლს რათ უნდა დავანებო თავი?

– მაგიტომ არ მომიხსენებია! მე მხოლოდ თქვენში მივიღე მონაწილეობა და მიტომ გითხარით. განა არ შეიძლება, რომ ამ სოფელშივე დარჩეთ და სადგომი კი გამოიცვალოთ? – მითხრა განითლებულმა მოწყენილი სახით და ესეც კი დაამატა: „ბევრს რასმეს გეტყოდით, მაგრამ ამ ხალხში არ მოხერხდება, შიგ პირში შემოგვჩერებიან და აწ დღეის შემდეგ იმ ალეიაში ვივლი ხოლმე სასეირნოთ, სადაც პირველათ მე და თქვენ ერთმანეთი გავიცანით; ამ დროს იქ აღარავინ დასეირნობს და თავისუფლათ მუსაიფი ადვილათ მოხერხდებაო. – ამით გათავდა იმ დღეს მე და მისი საუბარი; გამოვესალმეთ ერთმანერთს და დავბრუნდით ჩვენ-ჩვენი სახლებისაკენ.

მეორეს ღამეს, ჩვეულებისამებრ, ავანთე ლამპარი, დავსწექ და დავიძინე... შუაღამისას ფეხის ხმა მომესმა მეორე ოთახიდგან და გამომელვიძა; ავდექ, გავიტანე სანთელი მეორე ოთახში, მივიხედმოვიხედე, მაგრამ ვერავინ ვნახე, კარები კი ისევ ისე დაკეტილი იყო, როგორც მე დავკეტე. გამოვტრიალდი საწოლი ოთახისაკენ თუ არა, მაშინვე ვიღაცამ ზურგს უკან იქვე დამაყარა სიცილი მოვიხედე აღარავინ დამხვდა და, ცოტა არ იყო, დამაფიქრა, ისევ გამოვბრუნდი, კიდევ ისევ ის სიცილი მომესმა და ტაშის კვრა; დიდხანს მესმოდა ეს სიცილი და ტაშის კვრა, მაგრამ რადგანაც იქ ვერავინ ვნახე, ვიფიქრე, „უთუოდ სხვაგან სადმე იცინიან და ეს ჩემი ოთახი იმგვარათ არის აშენებული, რომ ბანს აძლევს-თქო, და შევბრუნდი საწოლში; აღარ მივაქციე ყურადღება სიცილს და ტაშს. რადგანაც ძილიც გატეხილი მქონდა, წიგნის კითხვა დავიწყე; ნახევარი საათი მეტი მესმოდა რახარუხი. ბოლოს ჩემს ოთახში დაიკრა ჭიანური და მის ხმაზედ ააყოლეს რახარუხი. მე გულმა აღარ მომითმინა და უცებ გავარდი ისევ მეორე ოთახში, მაგრამ რა ვნახე!.. არც ჭიანური და არც მისი დამკვრელი არა სჩანდნენ და ხმა კი მშვენიერი ისმოდა

ჰაერში და იმ ხმაზედ სკამები ხან ერთი, ხან მეორე, ხან ორ-ორი და ხან სულ ერთად, გამოდიოდენ და რიხინობდენ თავის თავათ, ასე უკაცოდ... ამ სკამების ტანცაობამ ისე შემაქციეს და გამაკვირვეს, რომ გათენებამდის იმ ოთახიდგან აღარ გავსულვარ, სეირს უყურებდი. გათენების ხანს ვიღაცამ ჩემ გვერდიდგან დაუძახა სკამებს: „ყმაწვილებო, გეყოფათ ტანცაობა, დღეს ეს იკმარეთ და ხვალ სულ ყველა ოთახები თქვენი იქნება!.. თუ, ვინიცობაა და ეს სულელი, ვიღაც შემოეთრია აქ, ხვალ საღამომდის თავის ნებით არ წავიდა და არ დაგვიცალა სახლი, მაშინ შუაღამისას კიდეც ჩამოვაღჩოთ იმ ნემეცივითო!“ ამ სიტყვაზედ სკამები დამშვიდდნენ და მე კი დღეს სულისაგან დაიმედებულმა შეუპოვრად მივაძახე ხმას: „შენც ღმერთმა შეგარცხვინოს და შენი შეშინებულიც! მობრძანდი და ხელი მომკიდე, თუ გულს გერჩის და შენს სეირს გაყურებინებ! მაშინ ვნახავთ, ვინ ვის ჩამოაღჩობს-თქო! და თქვენი კი რაღა მეცოდინება, სკამებო! თუ კიდევ ხვალღამაც დაიწყეთ რახარუხი, სულყველას ცეცხლზედ დაგადებთ გაუკითხავათ-თქო“, დავამატე გულმოსულმა. ამისთანა მუქარა ბევრი შემომეხარჯა, და კარგათ მიხვდება მკითხველი, რომ ცოტა მეც შემშინებია...

მეორეს საღამოს მივაშურე პირდაპირ ალეიას. იქ დამიხვდა ლიდია ივანოვნა, რომელიც, როგორც შევატყვე, მოუთმენელად მიმელოდა; ღიმილით მომესალმა და მითხრა: „მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობით ხარ, მე შიშმა კინაღამ მომკლა: დღევანდელი დღე სულ ჩამომხრჩვალი მგონიხარო!..“

მეც მადლი მოვახსენე და სიცილით ვუთხარი: „დღეს კიდევ გადავრჩი-თქო!“

– გეტყობათ, რომ ვერა ხართ კარგათ! როგორღაც სახე შეგშლიათ! – მითხრა მან თანაგრძნობრივის მონაწილეობით.

– არა, მე დღეისთანა კარგათ ჯერ სულაც არაოდეს ვყოფილვარ! – ვუპასუხე მე.

– მაშ, უთუოთ, არა გძინებიათ!

– როგორ არა! დილის შვიდი საათიდგან დაწყებული თითქმის აქამდის მეძინა.

– დღე... და ღამე რაღას შვრებოდით?

– ღამე? – ვლხინობდი, ბალში გახლდი მიწვეული!

– ვისას? – გაკვირვებით მკითხა ლიდია ივანოვნამ. მე აქ ყოველიფერი მოუყევი წინა ღამის შემთხვევა, მაგრამ ჩამოღჩობის დამუქრების კი არა მითქვამს რა.





– კარგი, თუ ყოველ ღამეს მაგ შექცევებში იქენით, მაგრამ, რომ მეტი რამ დაგმართონ, რაღას იზამთ? ახლა ხომ დარწმუნებული ხართ, რომ არ ყოფილა ტყუილი, რასაც ანბობდენ? შეიძლება, რომ მართლა გაწყინონ რამე!

– მაინც მპირდებიან ამაღამ დაღრჩობას თუ დღესვე არ გადავედი და ვნახოთ!

– მიკვირს, ჭეშმარიტად, რომ თქვენ მანგრე სახუმროდ ეკიდებით მაგ საქმეს! გადადით სადმე.

– არ გარდმოვსულიყავ, კარგი იყო, და აწ აღარ შემიძლია ამ სოფელს მოვშორდე; და რა გზა მაქვს, რომ იქვე არ დავრჩე, როდესაც სხვაგან ოთახი ვერსად მიშოვნია?

– ჭეშმარიტად, გასაკვირვალი კაცი ყოფილხართ! რომ მართლა მოვიდენ ამელამ და ხელიც მოგავლონ, მაშინ რაღას იზამთ?

– დარწმუნებული გახლავარ, რომ იქ რაღაც სხვა ანბავია და არა ეშმაკები და, თუ ვინმე თვალით დამენახვება, მაშინ მე ვიცი, რასაც ვიზამ: ექვსლულიან რევოლვერს მივახლი ზედაზედ გულზედ.

– მერე სადა გაქვსთ ის რევოლვერი, – შეშინებით მითხრა, – რომ ველარ მოასწროთ ჩამადნიდგან ან სტოლიდგან გამოღება? – მკითხა გამოცდით.

– ჩამადანში კი არ მიძევს, თავქვეშ მაქვს მზათ ამოდებული.

– ჰო, ეგ სხვა არის! მაშ ღმერთმა ხელი მოგიმართოს, უშიშარო! აქ ლიდია ივანოვნამ მუსაიფი სხვა საგნებზედ გადაიტანა: ბევრი ვიმუსაიფეთ, ცისებურის თუ მთისებურის, და მერე გამოვბრუნდით სოფლისაკენ. ლიდია ივანოვნა ბევრს ეცადა, რომ ჩემი გარემოება შეეტყო, მაგრამ ვერა დამაცდენია რა და მით ცოტა გაბუტული გამეყარა.

იმ ღამეს ბალიშის ქვეშ რევოლვერი მოვიმზადე და მე კი უდარდელად დავიძინე... პირველ საათზე ვიღაცამ ფეხებზედ მომავლო ხელი და გამომაღვიძა. რომ წამოვარდი ზეზედ, წინ ერთი ვიღაც ეშმაკის მზგავსი დამიხვდა. მისი მორთულობა სწორეთ, ეშმაკის ნახატზედ რომ მენახა, იმას ჰგავდა; მრისხანედ მანიშნა თითით, რომ გავსულიყავი კარში. მე რევოლვერი მივაშვირე, ის არც განძრეულა. „ვინ ხარ, ამოიღე ხმა, თორემ გესვრი-თქო“, შევჰყვირე; იმან ყურიც არ გააპანტურა. სამის შეყვირების შემდეგ ვესროლე, მაგრამ იმან ხარხარით ცივი ტყვია ჩემ წინ დასცა და თანაც მეორე ხელით თოკი მიჩვენა. ექვსჯერ ვესროლე და იმან ექვსივე ტყვია წინ დამიგორა გაცივებული და ბოლოს წამოიწია ჩემსკენ თოკიანა. მე შიშით ხმა

ჩამვარდა, რადგანაც მხოლოდ დამბაჩის იმედი მქონდა. მოჩვენებამ კარები გააღო და მანიშნა კიდე, რომ წავსულიყავ. მე შიშით მაინც აღარ ვიცოდი, რა მექნა... ბოლოს მოვიდა მოჩვენება და მომავლო ხელი მკლავში ისე ძალუმნათ, რომ ძვლებმა წაწკაწუწკი დამიწყეს, სადღაც უნდოდა წავეთრიე, მაგრამ მე მომაგონდა ძველებური ფანდი, ჭიდაობაში რომ იციან, ის. ვთქვი „თუ სადმე სამართალია, ვცდი. ეგება ახლა გამომადგეს-თქო! ვჰკარი ჩემს მოჩვენებას მარდად მოგვერდი, დავაკვრევინე ძალუმნათ თავი პოლზედ და რუმბივით გავაკოტრიალე საწყალი; მე კი საღი თავი მისი ხელიდგან დავიძრე და რწყილივით გამოვხტი კარში, უკან აღარ მომიხედია... იმ ღამეს ალეიაში ვიყავი, შინ აღარ შემოვბრუნებულვარ. რომ გათენდა კარგათ, მაშინ კი დავბრუნდი; სახლის კარები ისევ ისე დამიხვდა და ჩემ საწოლს ოთახში სისხლის გუბე იდგა და ზედ ივანე ტირილით დაჰყურებდა.

– ეს სისხლი რათ დაგიქცევია! – ვკითხე ივანეს მრისხანედ.

– მე რათ დავაქცევდი! რა ვიცი, ვის დაუქცევია? მე თქვენი მეგონა, ბატონო, – მიპასუხა შეშინებულმა. – სახლის დასაგველად რომ შემოვედი, ასე დამხვდა ეს სისხლი! – უთუოთ ეშმაკებს დაუქცევია, ბატონო!..

– კარგია, ნუღა სულელობ! მე წამვარდა სისხლი წუხელის ცხვირიდგან, შე სულელო! გასწმინდე და წადი შენთვის! – ეს მიტომ ვუთხარი, დამემშვიდებია მინდოდა, თორემ ის მისი სისულელით სოფელში გაამხელდა ამ ხმას და ვინ იცის, რამდენს კუდს გამოაბავდენ ჩემს საქმეს.

იქ დაქცეულმა სისხლმა მეტათ გამახარა, რადგანაც ვიცოდი, რომ ის სისხლი უთუოთ ეშმაკის იყო და მოჩვენებას გავადინე დაცემის დროს, მაგრამ მე კი მაინც იმ დღეს აღარც ფერი მომსვლია და აღარც ძილი მომკიდებია; უნდა გამოგიტყდეთ, რომ მადაც დამეკარგა.

საღამოს ლიდია ივანოვნა ჩვეულებრივად ალეიაში დამიხვდა და სიამოვნებით მომაძახა: „საღამო მშვიდობისა, უშიშარო რაინდო! ჭეშმარიტად საკვირველი კაცი ყოფილხარ!“

– რაზედ მიბძანებთ მაგას? – ვუპასუხე მე მდაბალის თავის დაკვრით.

– როგორ, თუ რაზედ? მთელი სოფელი კი შესძარით და... წუხელის რევოლვერი გისროლიათ მოჩვენებისათვის – და კიდეც დაგიჭრიათ. დღეს თქვენს ოთახში სისხლი გუბეთ მდგარა!..





მე ყოველივე დაწვრილებით უანბე ლიდია ივანოვნას, რაც გადამხდა, და მანაც გაკვირვებით მითხრა:

– სწორედ ღმერთს დაუფარავხარ?! კარგი, რომ იმას არაფერი იარაღი ჰქონია და თქვენც ალალბედზედ გადარჩენილხართ! ეშმაკი არის, თუ კაცი, ხომ კი, თქვენა ნახეთ, არის რაღაცა და აწ ეჭვი აღარ არის, რომ გულდაჯავრიანებული დაგიშავებთ რასმე, და ერიდეთ, დამიჯერეთ! რას ჩასციებიხართ მაინც და მაინც იმ ოხერ ქოხს?

– ამ სოფელს ხომ მაინც ვერ მოვშორდები და მაშ მინდვრათ ვიცხოვრო?

– რატომ არ შეგიძლიათ მოშორდეთ ამ სოფელს და სხვა სოფელში გადახვიდეთ?

– მისთვის, რომ თქვენი მოშორება აღარ შემიძლია, თქვენ ხართ მიზეზი ჩემი აქ დარჩენის.

– როგორ თუ მე? მე თქვენთვის რა მიზეზი მომიცია, რომ თქვენ მაგას მეუბნებით? მე ისე გიყურებთ თქვენ, როგორც ჩემ ძმას და ისე მონაწილეობას ვიღებ, როგორც დედა შვილში, და თქვენგან კი მაგისთანაები მესმის!..

– დარწმუნდით, რომ ისე გიყურებთ, როგორც ჩემს დედას და დას, მაგრამ რა ვქნა? თქვენ, გეტყობათ, არ გამოგიცდიათ სიყვარული?

– ყურს გიგდებთ და არ მესმის კი, რა სიყვარულზე მელაპარაკებით?

– ეს სიყვარული ოთხი წელიწადია, ჩემს გულში იყო დამალული, მაგრამ, რადგანაც თქვენ იმას, ესე იგი ვინც მე მიყვარდა, ჰგავხართ ყოლიფერში: თვალათ, ტანათ, მიხრა-მოხრით, სიცილით და შემოხედვითაც, თქვენ ძალაუნებურათ დამიმონეთ, ამიშალეთ ძველი დარდები და მეც მზათა ვარ შემოგჩივლოთ ჩემი უბედური სიყვარული როგორც დედას და მეგობარს, თუ თქვენი ნებაც დამერთვება.

ქალები საზოგადოთ ცნობის მოყვარულნი არიან, განსაკუთრებით სიყვარულის ანბებს გულმოდგინეთ დაუგდებენ ხოლმე ყურს და ამ მიზეზით ლიდია ივანოვნაც კმაყოფილი დამირჩა და დიდი სიხარულით დამიგდო ყური, მაგრამ მე ძალად შეუმოკლე ჩემი სიყვარულის ანბავი და მხოლოდ ეს ვუთხარი, რომ ამ ოთხი წლის წინეთ ერთი ქალი შემიყვარდა, რომელიც ქმრის ხელში უბედური იყო, რადგანაც მისდაუნებურად გაათხოვეს-თქო.

– იმასაც ხომ უყვარდიო? – უცბათ მკითხა ლიდიამ.

– თუ იმასაც არ ვყვარებოდი, მაშინ ასე უბედურიც აღარ ვიქნებოდი. ორივეს გაგიჟებით გვიყვარდა ერთმანეთი და ვსტკბებოდით ნეტარებით, სანამ მისმა ქმარმა არ გაგვიგო.

– მერე რა ქნა მისმა ქმარმა?

– მეტს რაღას იზამდა? ის საზღვარს გარეთ გაიყვანა და მე კი დავრჩი რუსეთში და მის შემდეგ მისი აღარა ვიცი რა. მოკვდა თუ ცოცხალია.

– მერე ოთხი წელიწადია და მისთანას ვერავის შეხვდით, რომ მისი სიყვარული დაევიწყებინა თქვენთვის?!

– რას მიბრძანებთ? მე მის სიყვარულს საფლავში ჩავიტან! მისმა მოშორებამ საზოგადოთ ქალები შემაძულა; ეს ოთხი წელიწადია, ქალისთვის სწორათ ხმა არ გამიცია; მხოლოდ თქვენა ხართ პირველი, – და ესეც მისთვის, რომ მეტათ მოგევხართ იმ ჩემს საყვარელს.

რა გვარი იყო და რა ერქვა იმ ქალს?

– მაგის გამხელა არ შემიძლია!.. საკვირველია, – განვაგძე მე, – იმას მხოლოდ ერთი და ჰყოლია და ისიც თურმე იმასავით უბედურია სიყვარულში.

– როგორ თუ უბედური და რას გაუბედურებია? – მკითხა ლიდია ივანოვნამ რაღაცა სიჩქარით.

– მის დას ჰყვარებია გაგიჟებით ვიღაც ღარიბი სტუდენტი, მაგრამ მამას სწყენია და ვიღაც ბებერი ღენერლისათვის მიუცია მისი ქალი და ამ გვარად საუკუნოდ გაუბედურებია.

ამ მუსაიფში რომ ვიყავით, სიჩქარით ჩამოუვიდა ლიდია ივანოვნას მსახური და მოახსენა პეტერბურღიდან თქვენი და გიახლათო.

ლიდია ივანოვნა სიჩქარით გამომეთხოვა და სიხარულით გასწია შინისაკენ.

იმ ღამეს ისევ იმ ოთახში დავსწექ, მაგრამ თავდარიგს კი შევუდექი: ამოღებული ხანჯალი არ მომიშორებია, თავქვეშ მედვა ერთად რევოლვერთან, გარეთ ათი ყარაული დავაყენე: „ხმაურობა რომ გაიგონოთ, შემოცვინდით შინა-თქო“ და მე ღამისთევა დავაპირე; ორჯერ, თუ სამჯერ გამოვედი და დავათვალიერე ყარაულები, თუ ბეჯითობენ-თქო, და ვნახე, რომ ისინი შორი-ახლოს მიმალული იყვნენ ერთად ტყეში, მზად იყვნენ ცულებით შეიარაღებულები და ელოდენ მხოლოდ ჩემგან ხმის მიცემას. – მეორეთ რომ შემოვბრუნდი ჩემ საწოლ ოთახში ვიღაც შავიანი ქალი დამიხვდა პირბადე მოდებული; მე მისი ვინაობა ვჰკითხე და მან პასუხი აღარ გამცა; გავექანე მისკენ ხანჯალამოღებული და მინდოდა წამომეგო ხანჯალზედ უცნა-





ური მოჩვენება, მაგრამ იმან შემომკივლა: გაჩერდიო! ამ ხმას ისეთი ძალა ჰქონდა, რომ ხანჯალი ხელიდან გამვარდა და მე თრთოლა ამივარდა, რადგანაც იმ ხმამ ჩემი საყვარლის ხმა მომაგონა.

– დღეს მოვიდა შენი აღსასრული! – მითხრა მრისხანეთ – თუ არ მითხარ, ვინც გიყვარს!

– ვინც მიყვარს, იმის სახელს შენ ვერ მათქმევინებ, მაგრამ, რადგანაც მისი ხმით მელაპარაკები, თუნდ ეშმაკიც იყო, აღარ გერჩი; ეგ კარგი საშვალობა მოგიგონებია!.. მეჩვენე მაინც ვინა ხარ!..

– არა, მოჩვენება ნუ გგონივარ! ადამიანი ვარ, ხორცშესხმული, მაგრამ დღეს კი მოვსულვარ შენთან შურის საძიებლათ: ან უნდა შემომფიცო სიყვარულზედ, რადგანაც, ეს ოთხი წელიწადია, შენი სიყვარულითა ვგიჟდები, ანდა უნდა ჩამოგკიდო.

– მე ვერ ვუღალატებ ჩემ საყვარელს! – წავიბუტბუტე არევით.

– რატომ ვერა! ვფიცავ ღმერთსა, რომ იმას ჩემზედ უფრო არ უყვარდე და არც ჩემზედ ულამაზესი იყოს შენი საყვარელი. მე იმას ეს ოცდახუთი წელიწადია, რაც ძალიან დაახლოებით ვიცნობ. შემომფიცე სიყვარულზედ, მერე პირსაც გიჩვენებ.

– არ შემიძლია! რაც გერჩიოს, ის მიყავ! გინდ მომკალი! მისთვის სიკვდილი ჩემთვის სიცოცხლეზედ უტკბესი იქნება!

– მაშ კარგი! მე ავიხსნი პირბადეს, გიჩვენებ ჩემ სახესაც, მაგრამ ვფიცავ კი ყოვლის შემძლებელს, რომ შენ ამაღამ ჩამოუკიდებელს არ დაგაყენებ.

ეს სიტყვები რომ გაათავა, აიხადა პირბადე და შემომცინა გაწითლებულმა. ჩემ წინ იდგა ჩემი სიცოცხლე, ჩემი საყვარელი, მე გონებადაფანტული, გიჟივით გავექანე და გავედი მის წინ მუხლისთავებზედ ამ სიტყვებით: გინდ მოჩვენებაც იყო, კურთხეულ იყავნ მშვენიერო, ერთს მაკოცნიე შენს მუხლზედ და მერე კი აასრულე შენი ფიცი და ჩამომკიდე, სადაც გერჩიოს!

– დიახაც უნდა ჩამოგკიდო, მაგრამ, იცი სადა? აი, აქ!.. – მითხრა და მომიშვირა კისერი. – შენისთანა ავაზაკებს ამისთანა საძირკველზედ ჩამოჰკიდებენ ხოლმეო! მე თითქმის ჭკუაშეშლილი სიხარულისაგან ველარ ვიმძრეოდი, მაგრამ ჩემმა საყვარელმა ძალა უნებურად ჩამომიკიდა კისერზედ! ოჰ ღმერთო რა საშინლათ დამსაჯა! ნუ მოუშალოს ღმერთმა ამისთანა სასჯელი ყოველს საყვარელს!

იმ ღამეს, სიყვარულის ეშხით მთვრალს, რაღა გამეგებოდა მეორეს დღეს კი შევიტყვე ეშმაკების ანბავი:

ლიდია ივანოვნა თურმე და ჰყოფილიყო ჩემი საყვარლის, რომელსაც ქმარი მოჰკვდომოდა, დაბრუნებულიყო უცხო ქვეყნებიდგან და დასთან რომ მოსულიყო, მოულოდნელად გაეგო ლიდიასაგან ჩემი ანბავი; მიმხვდარიყო ვინც ვიყავი, და ის იყო კიდევაც, რომ მოჩვენებასავით გამომეცხადა! ის შავწვერებიანი კაცი, მე რომ პირველათ პეტერბურღიდან მომავალს შემხვდა, ლიდია ივანოვნას საყვარელი ყოფილიყო; ამ ათის წლის წინათ, ლიდია რომ გაეთხოვებიათ, ის სტუდენტი ყოფილიყო მაშინ, დაენებებია ყველაფრისათვის თავი, ჯავრით გადავარდნილიყო უცხო ქვეყანაში და იქ თვალთმაქცობა ესწავლა და ახლა ეს ოთხი წელიწადია, რაც დაბრუნებულიყო ისევ პეტერბურღში. ზაფხულობით ისიც იქ გადადიოდა, სადაც ლიდია ივანოვნა სცხოვრობდა ხოლმე.

სახალხოთ ერთმანეთს ეს საყვარლები ხმას არა სცემდენ, ვითომც არც კი იცნობდენ, და ჩუმათ კი მთელ ღამეს ერთად ატარებდენ იმ სახლში, სადაც ერთხელ ვიღაც ნემეცი ენახათ ჩამომღრჩვალი; – იცოდა ამ ყმაწვილმა სოფლელების ამაოთ მორწმუნეობა და აშინებდა ყოველს კაცს თავისის თვალთმაქცობით, რომ საკუთრად დარჩენოდათ ის სახლი იმას და მის საყვარელს ლიდია ივანოვნას, და თავის უფლად დროება გაეტარებიათ!.. მეც თურმე ამ განზრახვით მაშინებდენ, მაგრამ, როგორც შევიტყვე, ძვირათ დაჯდომოდა იმ ყმაწვილს ჩემი შეშინება: თურმე, იმ უკანასკნელს ღამეს რომ დავეცი, თავი გასტეხოდა, დიდხანს გულშემოყრილიც ყოფილიყო და, მე რომ თვითონ არ შემშინებოდა, ეგების კიდევაც შემომკვდომოდა საწყალი. რა ეს ანბები შევიტყვე, მე მაშინვე გადავედი იმ სახლიდგან, ქირაში შევუდექი იმ ქიმიკს და მასთან გადავედი, რადგანაც ისიც უცოლო იყო და მარტო იდგა; ხალხი კი დავარწმუნე, რომ ეშმაკებმა გამომაგდეს-თქო... ხალხი დარწმუნდა უფრო მეტად ადრინდელზედ, და თან ამასაც ანბობდა, რომ ეშმაკები მიემატენ და ადრინდელზედ უფრო მეტი ხმაურობა გვესმის გავლელ-გამომვლელებსო.

[1863-1865]
აკ. წერეთელი





## საუბარი ორთა შუა

ქუთაისისაკენ მიმავალს შემომაღამდა გზაზედ. გადმოვხტი წყლისპირად და დავებარგე ხის ქვეშ. რბილი და გრილი მდელო სასიამოვნოთ მეფინა ქვეშ და მაღლიდამაც ლაჟვარდოვანი, მოწმენდილი და მოკაშკაშე, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა თავზედ დამნათოდა... იმ დროს ყოველივე არემარე, თვითქოს შემსჭვალული უცნაურის საიდუმლოებისაგან იყო მიწყნარებული და ჩაფიქრებული. – ხომ გინახავსთ მშვენიერი მზეთუნახავი ქალი, როდესაც ფენჯრიდამ ნახევრათ გამოჰყოფს თავს? გახსოვსთ, გაგონდებათ ის გრძნობა, რომელიც ძალაუნებურათ შეგიპყრობსთ ხოლმე მაშინ? რაგინდ შორის გზით მიეჩქარებოდეთ, მაინც შეჩერდებით იმ მაცთურის ფენჯრის პირდაპირ და, თუ სულ გულქვავი არა ხართ, უცდით, როდის იქნეს მშვენიერი მთლად გამოჩნდეს და დამენახოსო!.. სწორეთ ამ კეკლუცის მზგავსად გამოიხედა და გამოიჩინა სახე მაღალ მთის წვერიდამ ღამის მნათობმა, კეკლუცმა მთვარემ. – მრწამს და აღვიარებ, რომ მთვარესა აქვს უნებურად გრძნობის აღმძვრელი ძალა! მისმა ამოელვარებამ გამოაფხიზლა ბუნება. წყნარად და საამოდ დაჰბერა გრილმა ნიავმა, თან სუნნელების გარემოფენით ფოთლებმა დაიწყეს რხევით შრიალი, თვითქო საიდუმლო ჩურჩული გამართესო; აბიბინდა მდელო, ათამაშდენ ვარსკვლავები და იქვე ახლოს ასკილზედ ჩაიჭიკჭიკა ბულბულმა. – ჩვენს სიცოცხლეში, თუმცა კი იშვიათად, მაგრამ მაინც შეგვხვდება ხოლმე მისთანა წამი, როდესაც საკუთრად გული მეფობს, გული ბრძანებლობს და ხელდარეული გონება ყოვლის უარის უთქმელად ექვემდებარება მას. რა მდგომარეობაში ვართ მაშინ? გულზედ სისხლი გვემთხევა, სუნთქმა გვიმძიმდება, უანგარიშო და უწონელი ფიქრები ფიქრებზედ გვემატებიან. ვნატრობთ რაღაცას, მაგრამ არ ვიცით კი რასა? – სიცილი და ტირილი, სიცოცხლე და სიკვდილი იმ ჟამად ყველა ერთ გვარად გვენატრება და ნიშნად ამ არეულის გრძნობისა წამწამებზედ მკრთოლვით მარგალიტებრ ცრემლები გვეკიდებიან! – ოჰ! რა ტკბილია მაშინ ის ცრემლები! ის სასუფევლის წვეთები!.. ისე ტკბილია, როგორც საუკუნო განსვენება, როგორც მამულისთვის თავის შეწირვა!.. ამგვარი გრძნობით ვიყავი შემსჭვალული მეც იმ ღამეს. შევჩერებოდი მაღლა ცას და ჩემი სამშობლოს წარსული, აწმყოთი და მომავლით, ერთად არევით, თვალთ წინ მეხატებოდა!.. ერთად იმ ვარსკვლავებთან მე ვსჭვრეტდი სულებს იმ ჩვენის წინა-

პარებისას, რომელთაც თავის სამშობლოს, სარწმუნოებისა და ენის დაცვისათვის თავი ამსხვერპლეს ნათლად და ბრწყინვალებით, იმ ვარსკვლავებივით... დიდხანს ვიყავი ამ ფიქრებში გახვეული და ვინ იცის, კიდევ რამოდენს ხანს დავრჩებოდი ამგვარად, თუ რომ მძიმე ამოხვნეშას არ გამოვეფხიზლე და არ მომეხედა: ჩემს გვერდით, იქვე ახლოს მხარ-თეძოს წამოწოლილიყო ჩემი თანამოგზაური, შეჩერებოდა ისიც ცას და თვალგაშტერებული ჰფიქრობდა რაღაცას.

– რას ჰფიქრობ, კიკო! რა გაქვს საფიქრალი? – ვკითხე ჩემს თანამოგზაურს.

– ხორცშესხმულს სულიერს ადამიანს ფიქრი დაელევა? – ნაღვლიანად მომიგო სიჩქარით.

– მაინც რას ჰფიქრობდი, ჩემო კიკო?

– რაი შენი ჭირიმე, ჩვენი ფიქრი რა გასაგონია! – გლეხიკაცს ფიქრებიც გლეხისა აქვს!.. აბა თქვენ რომ ახლა ფიქრები გქონდათ, იმას ხომ ვერ მისწვდება!.. იმასთან წასატოლებელი კი არ იქნება!

– რა იცი, ჩემო კიკო, რაზედ ვფიქრობდი?

– გლეხი კი გახლავართ, უსწავლელი და უგნური, მაგრამ ვენაცვალე მის მადლს, იმდენი ჰაზრი კიდევ გვაქვს ღვთისაგან მოცემული, რომ შევატყობთ ცოტ-ცოტას ჩვენც!.

– აბა რა შემატყვე? რასა და რაზედ ვფიქრობდი?

– იმას, რასაც საზოგადოთ ჰფიქრობენ დიდკაცები: დიდკაცობაზედ, სიმდიდრეზედ, ოქრო-ვერცხლზედ, ჩინებზედ და ტემლაკზედ. ამის მეტი სხვა რაღა დაგრჩენიათ საფიქრებელი, რომ თავი უბრალოთ შეიწუხოთ?!

ამ სიტყვებმა დაშხამული ისარივით გამიარეს გულში, და მეც რაღაც ძალადატანებით ვუთხარი:

– ისეც მიგიგნია და გამოგიცვნია შენ ეშმაკის საფლავი, როგორც ახლა ჩემი აზრები გამოიცანი! – აბა ახლა ის მითხარი, შენი ფიქრები რაღა იყო?

– ჩემი ფიქრები? – განაგრძო ამოოხვრით. – ჩემი ფიქრები, წელანაც მოგახსენეთ, თქვენ არაფრათ გეპრიანებათ, მაგრამ, რაღამც აღარ მოგიშლიათ, მაინც გეტყვით, მოგახსენებთ: წუხელი, რომ თქვენი გამოგზავნილი კაცი მომივიდა სახლში, თქვენი სიტყვა მომიტანა: „ჩემო კიკო, თუ გიყვარდე, ერთი ცხენი მე გადმომგვარე საჯდომათ და მეორით შენ მიახლე ქუთაისამდის“. რასაკვირველია, შენი ჭირიმე, მე მაშინვე დავფათურდი, დედაკაცს საგზალი მოვამზადებიე, ჩავალაგე ხვირჯინში, ტიკჭორში ცოტაოდენი ღვინო ჩავისხი





და თავი მოუგრიხე, ხვირჯინს თავი მოუკარი და მივდევი თაროში. გათენდა თუ არა, წამოვდექი, ხელ-პირი დავიბანე, ვახსენე ღმერთი და დავეპირე წამოსასვლელათ. „დედაკაცო, ოჯახი გებარებოდესთქო“, ჩემ ქალს ვუთხარი. ის მიბრუნდა თაროსაკე და დაიწყო ფოთარი, ზურგი შემომაქცია; საქმე კი არა ჰქონია რა, ისე რაღა, აქაოდა ქმარმა მოწყენა არ შემატყოსო. შერცხვა... თქვენ ეგება არ გეჯეროსთ, დიდი კაცები ბრძანდებით და მე და ჩემმა ღმერთმა, რომ ჩვენი შესაფერი გრძნობა და ნამუსი ჩვენ, საწყალ ხალხსაცა გვაქვს... რას მოგახსენებდით?.. ჰო!.. ამ დროს პატარა ბიჭმა გამოიღვიძა – ღვთის წყალობა სამი წლის ღლაპი მყავს – გამოიღვიძა, ბატონო, და მითხრა: მამა!.. მამუკელა... ჩემო მამულიაო, ენა მომიჩლიქა, რას მომიტანო!.. ახლა, ბატონო, ამას ი დედაკაცი ასწავლიდა წინა ღამეს, თორემ თავის თავათ ბოვში ვერ მოახერხებდა, შენი ჭირიმე... კი, შვილო, გენაცვალოს მამაშენი. შენ გაეზარდე დედაშენს-თქო, უთხარი და გამოვსწიე. ახლა, ჩემო ხელმწიფე, ღვთის და თქვენს წყალობას შვიდ მანეთს ავიღებ ქირას, ერთს თავზე მოსახვევ ბაღდადს დედაკაცს ვუყიდი, ერთს რუსულ ქუდს პატარა ბიჭს, მეც ქალამანს ჩავიცვამ და დანარჩენს ფულს ოჯახში შევიტან სამჯერ მოყვრათ და კარგი ღვთის წყალობა იქნება. აი, რასა ვფიქრობდი, ჩემო ბატონო.
– ნუ გამიწყრებით კი რომ თავი შეგაწყინეთ გლეხური, თქვენი უკადრისის მუსაიფით!

– რას ამბობ, ჩემო ძმაო! – ყოლიფერი კარგათ სთქვი, მარამ ეს რუსული ქუდი რა არის? რატომ ბოხოხს არ უყიდი შენ შვილს?

– რუსული ქუდი უფრო გაუხარდება, შენი ჭირიმე...

– რათა?

– რატომ, ბატონო, თქვენც კარგათ მოგეხსენებათ, ბოვში უჭკუოა, ბრიყვი და ი წითელი რომა აქვს შემოვლებული გარშემო რუსულ ქუდს, იმითი მოტყუვდება და იამება!.. აბა, სხვა რა უნდა იყოს?..

– გეტყობა, რომ ძალიან ტკბილ ფიქრებში ყოფილხარ შენ ამაღამ?

– ღმერთმა ტკბილათ დაგაბეროსთ, ტკბილი ფიქრები ჩემთვის ისინი იყვენ და ტკბილათაც მე ჩამეძინებოდა, მაგრამ ვინ მოგვცა მისი ნება!..

– ვინ გიშლის, ჩემო კიკო?

– ვინ მიშლის? ხელის შემშლელი ბევრია! – სთქვა ამოოხვრით და დაჩუმდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევე დაიწყო: – დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი! ყოლიფერი სამართლიანათ გაგიმწესებია ქვეყანაზედ, რომ თვითონ კაცი კაცს არ უშლიდეს ხელს და ძმა ძმის მტერი არ იყოს!

– როგორ? რაზედ ამბობ მაგას?

– რაზედ, შენი ჭირიმე, და, მე კიდევ იმ წელანდელ მუსაიფთანა ვარ: ამ ტკბილ ტაროსში იმ ტკბილის ფიქრებით როგორ ტკბილათ ჩამეძინებოდა, რომ ქურდის არ მეშინოდეს! – ახლა კი იმისი შიში მაქვს და ვერ დამიძინია: ვაი თუ ქურდი გაჩნდეს, ცხენები მომპაროს და ცოლშვილიანა დამღუპოს-თქო! – უნდა გავაგნო ასე ამ ფიქრით, ხვალ წამოვდგე ადრე და უძილარი, დაღალული გაუდგე გზას. რაღა თქმა უნდა, რომ ჩემს გუნებაზედ აღარ ვიქნები! ახლა, აბა, გამოტეხილს მოგახსენებ, რომ ვინმემ მაწყენიოს რამე, დიდათ არ გამოვიდებ თავს, თუ სულ არ გამიჭირვა საქმე და წიხლები არ ჩამახვია, ასე ვეტყვი: მომშორდი, ჩემო ძმაო, რა ბეესაბათ გადამკიდებიხარ, რა გინდა ჩემთან-თქო! – ამას ვეტყვი, ამიტომ, რომ კარგს გუნებაზედა ვარ და ხვალ კი ამ ცუდ გუნებაზედ რომ ვიქნები: ერთი რომ ვინმემ მითხრას: ჩამოდექი, ყაზახო!.. ქორივით ვებდღვნები გულზედ და ერთს ბეესაბს გადავეკიდები!.. რათა და რისთვინ! მერე იტყვიან, რომ კიკო ცუდი კაციაო!.. არა, კიკო კი არ არის ცუდი კაცი, და ავი ის არის, ვინც მე ჩემს გუნებაზედ არ მაყენებს!.. მაგრამ მაინც მადლობა ჩემს იესო ქრისტეს, უიმისოთაც არ იქნება. – ეს დაამატა და წავიდა ცხენების დასახედავათ!..

ჩვენო მსაჯულებო! ზეცას რომ ეპოტინებით და იქიდამ ჰკრეფავთ თქვენს აზრებს და ისე ადგენთ კანონებს! – უმჯობესი არ არის, რომ დაბლა ჩამობძანდეთ, მიუგდოთ ყური ამ ხალხს. შეისწავლოთ მათი სატკივარი და სამკურნალოცვე მათგან ფუტკარივით ამოჰკრიბოთ!.. ვამბობდი გუნებაში! ბოლოს გადავბრუნდი მეორე გვერდზედ და დავხუჭე თვალები და მივეცი თავი ოცნებას... მაგრამ ტკბილი და სასიამო ოცნება აღარ მნებდებოდა მე: სადაც მინდოდა ვარდი წარმომედგინა, იქ მაშინ ეკლები მეხატებოდენ...

– ძალიან სიკვდილის ღამე არ არის! წამოიძახა დაბრუნებულმა კიკომ;

– როგორ თუ სიკვდილის ღამე?

– ძალიან კვდება ხალხი, ძალიან! ვინ იცის, რამდენს უტირდება დედა?

– რათი იცი?

– რათი, ბატონო, და აგერ ვარსკვლავები წყდებიან, ბარემ ოცამდი დავთვალე, რომ ჩამოვარდენ! რას იცინით, ბატონო? ეს ტყუილი არ არის, ბეჯითი, სწორეთ, რომ კაცი როგორც დაიბადება თუ არა, მისი ვარსკვლავი მაშინვე ცაზედ გამოიჭედება, და როცა გადიცვლება, მის





ვარსკვლავიც მაშინვე მოსწყდება!.. ეს სწორეთ ასეა, თორემ თქვენ უკეთ უნდა მოგეხსენებოდესთ!.. ხომ არ გეძინებათ ჯერ ბატონო?

– არა, ჩემო კიკო! ამაღამ ვგონებ სულაც არ დამეძინოს, ისეთს გუნებაზედა ვარ!

– ნურაფერს უკაცრავათ, შენი ჭირიმე, და ჩემი უგნური საუბარით, მგონია თავიც შეგაწყინეთ, თქვენ რუსულ მუსაიფსა ხართ დაჩვეული და მე კი ქართულით ვიგდებ თავს... რომ ვიცოდე რუსული, ჩემთვისაც კარგი იქნებოდა, მაშინ რუსულათ მოგახსენებდი... მაგრამ სად არის?

– რას მეტყოდი მაშინ? ისევ მაგას, რაც ახლა მითხარი, თუ სხვას რასმეს?

– არა, შენი ჭირიმე, ამას მოგახსენებდით ისევ, მაგრამ რუსულათ უფრო შნოიანათ გამოვიდოდა, ჩესტით და თქვენც გესიამოვნებოდათ.

– რათა გგონია, რომ უფრო ტკბილათა და ჩესტით გამოვიდოდა?

– როგორ არ მეგონოს, შე დალოცვილო, ბრალიანი და უბრალო, ვისაც უჭირს და არ უჭირს, სულ ყველა რუსულათ ცდილობს ლაპარაკს, ცოლი ქმარს აღარ ეუბნება ქართულათ მაკოცეო, სულ რუსული და სულ რუსული და თუ კარგი არ იყოს, რავაა მერე ეს?

– კიკო?

– ბატონო, შენი ჭირიმე.

– რუსული სიტყვები არაფერი იცი?

– კი ვიცი ორიოდე. რუსების გზის სამუშევერში ვისწავლე.

– აბა, რა სიტყვებია?..

– საბაქ! დურაქ! მერზავცო! სვინია! და...

– არა, არა, ეეგები არ მინდა, ძალათ არ გკითხავ!.. – გავაწყვეტინე მე. – პოჟოლუსტა არ იცი, რა არის?

– როგორ არა, ბატონო, ისიც გზაში ვისწავლე.

– რა არის?

– მალეო!

– არა, „მალე“ კი არ არის. ქართულათ შენი ჭირიმეთ, გენაცვალეთ გადმოითარგმნება.

– იმე, მერე და, ჩვენი რუსი, გზის თავმდგმური, როცა დაგვსაქმებდა რამეს, წაგვარტყამდა და მაშინ გვეტყოდა ხოლმე პოჟოლუსტას და თუ მართლა პოჟოლუსტა შენი ჭირიმეა! ვის გაუგონია შენი ჭირიმეთი წყრომა? მაგრამ დალახვროს ღმერთმა, ყველას თავის ადათი აქვს!..

– ახლა ის მინდოდა შენთვის მეკითხა: შინ რომ მიხვალ, ცოლს მოეფერები?

– ალბათ ანგრე იქნება! გლეხკაცურ წესზედ კიდეც მოვეფერები და კიდევაც ვაკოცებ, პატივი თქვენგან მომითხოვია.

– კარგი და რანაირათ დაუწყებ ალერსს: რუსულათ ეტყვი პოჟოლუსტას, თუ ჩვენებურ შენი ჭირიმეს?

– რასაკვირველია, რომ ჩვენებურათ ვეტყვი! თუ ხუმრობის გუნებაზედ ვიქენი, ეგება ისე ღლაბუცობით კი ვუთხრა პოჟოლუსტათქო, თვარემ ისე გრილის გულით რათ ვეტყვი!

– და რატომ, აკი შენა სთქვი, რომ რუსული უფრო ტკბილია ქართულზედო!

– მე ხომ ჩემ თავად არ მომიხსენებია, მაგრამ მე კი მაინც იმ სიტყვებთანა ვარ, „პოჟოლუსტას“ სწორეთ არ ვეტყვი: „გენაცვალე“ უფრო მოდის ნიშანში და არ ვიცი კი რათა!

– რათა? მისთვის, რომ „პოჟოლუსტა“ სხვისი სიტყვაა, დაჭერილი გყავს, დამწყვდეული თავში, ისე როგორც ჩიტი გალიაში, გამოთქმის დროს ჯერ უნდა გაიხსენო, მერე გამოილო თავიდამ და ისე სთქვა. „შენი ჭირიმე“ კი შენი თანშობილია, ის ისე გაუჭირვლად გულიდამ ამოდის!

– ეგ კი სწორეთ ბეჯითია, თავი ნუ მომიკვდა!.. რაც მართალია,– მართალია და მართალია!..

– ჰო და მაშ შენ აქედამ ის იფიქრე: მე რათ უნდა მესიამოვნებოდეს სხვა ენაზედ საუბარი ქართულ ენაზედ საუბარს?

– კეთილია! დალოცა ღმერთმა რადგანც მაგრეა, მაშ მე თავი არ შემიწყენია!..

– არა, ჩემო კიკო! ილაპარაკე რაც მოგაგონდეს, მე ყურს გიგდებ! – ეს მიტომ ვუთხარი, რომ შევატყვე ჩემთან მოგზაურს მუსაიფის სურვილი და აღარ მოუკალი ხურუში.

– გზაში მუსაიფი სწორეთ ერთ რამეთა ღირს, ძალიან აქცევს კაცს!.. ერთი ჭკვიანი და ერთი ბრიყვი მიდიოდენ ერთად გზაზედ. წინ ორი აღმართი ედვათ ასასვლელი. არჩიეს მგზავრებმა და ასე გადასწყვიტეს: ერთ აღმართში ერთმა ავიტანოთ ზურგით მეორეო და მეორე აღმართში კი მეორემო! ასე დაასკვნეს და წავიდენ. მიადგენ პირველ აღმართს, აიკიდა ზურგზედ ბრიყვმა ჭკვიანი და აიტანა: გაიარეს ცოტა გზა, დაუახლოვდნენ მეორე აღმართს, გამართა ჭკვიანმა მუსაიფი, წაიტყუა ბრიყვი და ისე გადაარონია ის აღმართი, რომ ბრიყვმა ვერც კი შენიშნა. ბოლოს მოაგონდა და უთხრა ის



საუბარი ორთა შუა

აღმართი სად არისო? ჭკვიანმა უპასუხა დიდი ხანია გადავიარეთ, მაგრამ მუსაიფში ვიყავით და ვერც კი შენიშნეო! ახლა, ბატონო, ეს გზაში მუსაიფობაზეა ნათქვამი. ხომ კარგია მუსაიფი გზაში?!

– კი, მაგრამ, ახლა ვინ არის მე და შენში ბრიყვი და ჭკვიანი?

– ეჰ, შე დალოცვილო მაგაზედ ხომ არ მომიხსენებია!. აჩუ! აჩუ! აჩუ! ნეტავი რასა ფრთქვენს ის ცხენი? წავიდე ერთიც დავხედო! წავიდა დაათვალიერა, მერე მოვიდა წამოწვა და მცირე ხნის შემდეგ ისევე დაიწყო:

– არ წაიღო ყურთა სმენა ამ ბულბულმა!! ჭიკჭიკობს და ჭიკჭიკობს გაუსხლეტლად! უნდა მოგახსენოთ, რომ იმ ერთს მუხლზედ შაშვიც კარგია, მაგრამ ამ პატარა ჩიტისთანა კი არ შეიძლება. ერთობ არი! დაილოცა ღვთის სამართალი! მოგახსენებენ, რომ ვითომც ერთხელ ბულბული ჯერ ვენახის სარზედ მჯდარიყოს, დასძინებოდეს და ფშალა იმოდენა გაზრდილიყოს, რომ შემოხვევოდეს გარს და დაებას! მასუკან თურმე მის ანგელოზს დაუწყევლია, რომ ღამე ველარ იძინოს და ასე უნდა იჭიკჭიკოს! ასეა არაკათ ნათქვამი, მაგრამ წიგნებში კი სულ სხვებრ სწერიაო, მოგახსენებენ, და ეს თქვენ უკეთ გეცოდინებათ, თუ მართალია!

– რაო, რა სწერიაო? როგორ გაგიგონია?

– როგორ, ბატონო, და ბულბულს ერთხელვე ვარდის სიყვარული აქვს გულში ჩავარდნილი და იმას ეკურკუზება, მისთვის ჭიკჭიკობსო!

– შენ როგორა გგონია? მართალია თუ არა?..

– რა მოგახსენო და ეს კი ჩემის თვალით მინახავს, რომ დილას ადრე მიფრინდა ბულბული ვარდთან და ასე გაშლილი რომ ნახა (აქ ხელით მანიშნა), ჩაუყო შუა გულში ნისკარტი და ორჯერ, სამჯერ ჩააჭუკჭუკა... ახლა, ბატონო, თუ მას მისებურათ ნისკარტით არ ჰკოცნიდა და სხვებრ, შენი ჭირიმე, „გენაცვალეს“ არ ჩაჩურჩულებდა, მა რა იყო სხვა?..

– ის კოცნა კი არ იყო, ვარდის გულზედ დილის ნამი იქნებოდა დაცემული და იმას ამოსწოვდა; აგრეთვე ვარდს ჭიები აჯდებიან ხოლმე და იმას სჭამს ბულბული და მიტომ ეტანება ვარდნარს...

ეს ახსნა როგორღაც არ იამა ჩემს თანამოგზაურს; შევატყვე რომ პოეტურ ამაოთმორწმუნებიდამ გამოყვანამ სახე დაუღრუბლა და მეც უთხარი შემდეგი:

– არა, ეგ სწორეთ ტყუილია, რაც სიყვარულზედ გაგიგონია და ან ფშალაზედ.

– აბა, ბატონო, რა მიზეზია, რომ ღამე ჭიკჭიკობს მარტო ბულბული და სხვა ჩიტი კი არა, და რათ უყვარს ბულბულს ვარდი? თუ სხვა მიზეზი არა იყოს რა?

– მიზეზი კი არის, მაგრამ შენ არ გექნება გაგონილი! – შევატყვე, რომ ჩემი კიკო მოემზადა სიამოვნებით ყურის დასაგდებათ: – გაგიგონია, რომ ძველ დროში საქართველოს ბევრი მტრები ჰყავდა, გარს ეხვევოდენ და არ აძლევდენ მოსვენებას ჩვენს ძველებს?

– ეგ კი გამიგონია! ურჯულო თათრებზედ და ყიზილბაშებზედ მოგახსენებენ მაგას, თუ მართალია.

– მართალია! სწორეთ მართალია! მათგან საქართველოს ერთი დღეც არა ჰქონია მოსვენება. იმათ უნდოდათ, რომ ჩვენი ქვეყანა აეოხრებინათ, ხალხი გაერყვნათ, ჩვენი ხასიათი, ჩვეულება, დედა ენა და რჯული შეეცვალათ როგორმე; ამის გამო გაუსხლეტელი ბრძოლა ჰქონდათ ჩვენ ძველებს იმათთან, არ ემონებოდენ და თავს აკლავდნენ უშიშრათ... მე როგორც ვჰფიქრობ, დღესაც რომ მისთანა დღე ადგეს ჩვენს ქვეყანას, შენც გამოიღებდი ხელს თუ არა? გამოიმეტებდი თავს მტერთან შესაკლავათ?

– მაშინ კი შერცხვეს ჩემი ვაჟკაცობა, რომ თავი დავზოგო! ერთს დღეს დაბადებული ვარ ერთს დღეს მოვჰკვდები... სირცხვილს კი არა ვსჭამ...

– აბა, ჩემო ძამია, სწორეთ მაგრე ჰფიქრობდენ ჩვენი ძველები, ეომებოდენ, თავს აკლავდენ... ხალხი უმოწყალოთა სწყდებოდა...

– აი, ვენაცვალე იმათ ბიჭობას!.. ძალიან ვარსკვლავების ცვენა კი იქნებოდა, ბატონო, მაშინ...

– მაგისი რა მოგახსენო და ხალხი კი ძალიან სწყდებოდა. ასე, რომ დამმარხავიც აღარავინ იყო და მათი ძვლები ტყე და ველს ეფინებოდა! ბევრი დედისერთა გაწირულა და მისი ძვლები ტყეში დაყრილა. ახლა, ჩემო კიკო, სადაც ის დედისერთები მოუკლავთ და მათი ძვლები დაყრილია, იქ ვარდი ამოდის, და იმ ვარდზედ შემომჯდარი ბულბული ღამღამობით მათ სულებს უგალობებს! ახლა ხომ მიხვდი, რათ გალობს ბულბული.

– ღმერთმა ბევრს კარგს მიგახვედროს, ჩემო ბატონო! რა ვიცით ჩვენ? ვინ მოგვცა ამდენი ჰაზრი და გონება? – ამ ანბავმა ისე ასიამოვნა ჩემი თანამოგზაური, რომ სახე გაუშალა და გაუნათლა სიამოვნებით – ჰე. რა ძნელია უცოდნელობა!.. ძალიან ღვთისაგან კურთხეული ჩიტი არა ყოფილა ის დალოცვილი ბულბული! ასე ძნელია უგონურობა! უცოდნელობა! ჩვენ რომ დავიხოცებით, ვინ





იცის, ჩვენს საფლავზედ ნარეკალა ამოვა და მის ძირში ბაყაყები დაიბუდებენ... ვაი ჩვენი ბრალი!.. მაგრამ ჩვენი რა ბრალია! ჩვენც, როგორც ჩვენი ძველები უწინდელ დროში, დიდკაცობას შევჩერებივართ და ავსაცა და კარგსაც მათგან ვსწავლობთ! ბულბული! ბულბული! აჰ! მე კიდევ იმ მკვდრებთანა ვარ; ჭეშმარიტათ ჩვენ ღვინოც არ შეგვერგება, თუ ისინი არ მოვიხსენიეთ ხოლმე! – ესა სთქვა ამოოხვრით და ჩაღუნა თავი. ეტყობოდა, რომ მწარე ფიქრები აშფოთებდენ. დიდი ხანი იყო ამ მდგომარეობაში და მეც არ მინდოდა შემეშლევინებია ფიქრები, სანამ თვითონვე არ დამიწყო: – ბატონო! ბევრი ჩიტი კი ოხერია, ი ძერა რომ არის, რას აკეთებს ერთი, რომ სთქვას კაცმა! კვირიაკობ-მარიამობისთვეში რომ ამან წივილი იცის, სწორედ მტრის გასაგონია!.. ამბობენ, რომ იმ ორ თვეში იმას წყალი სისხლათ ეჩვენებაო და ან ნეტავი რათა?

– რათა და მურმან ყრუ რომ მოსულა ჩვენში ხომ გაგიგონია?

– კი, ბატონო, მოწამეთას რომ წმინდანები არიან, მოგახსენებენ, მათგან ნაწამებიაო.

– ჰო, სწორეთ იმ მურმან ყრუმ ააოხრა ერთხელ ჩვენი ქვეყანა კვირიაკობ-მარიობის თვეში. ისე გასწყვიტა ხალხი, რომ სულ სისხლის ღვარი იდგა დედამიწის ზურგზედ; წყლები ისე შეიღებენ, რომ სისხლის ფერი თურმე ედვათ. ყორანი და ძერა რომ ძღებოდენ ჩვენი ძველების ხორცით, სასმელათ მაშინ წმინდა წყალს ველარ პოვობდენ, სისხლათ ეჩვენებოდათ, და მაშინ დასწყევლა ისინი წმინდა გიორგიმ და მას უკან წელიწადში ორ თვეს წყალს ველარა სმენ, სისხლათ ეჩვენებათ და წყურვილისაგან წივიან ჰაერში!..

– ჰე, ანასუნი მათ საქმეს, ისე მოუხდებათ!.. ვენაცვალე მის ძლიერებას და ძალიან კი პატრონობს ჩვენს ხალხს წმინდა გიორგი. რომ ის არა გვყავდეს, ამოვარდებოდით, მარტო ჭინკებს ველარ გადურჩებოდით!..

– როგორ თუ ჭინკებს?

– განა არ მოგეხსენებათ? ის ერთი თვე რომ არის, გიორგობისთვე; ჩვენ, ბატონო, იმას ჭინკობისთვეს ვეძახით, ჯვარი აქაურობას, და იმ თვეში ატყდებიან, ბატონო, ჭინკები, დადიან ხმელეთათ, ადამიანათ. ვინც ჭინკობისთვეშია დაბადებული, მიადგება ღამე კარზედ და ადამიანივით სახელს დაუძახებს, თუ გააბრიყვა ვინმე და გაიტყუა, თქვენი მტერი გაფუჭდეს, იმან ის გააფუჭოს!.. მავნეა!.. იმ ერთს თვეს სულ ისე არიან ატროებული! მაგრამ დაილოცოს მათი ძლიერება, დიდხან აღარ ატარებს ხოლმე იმათ თავის ნება-

ზედ წმინდა გიორგი; მთავარანგელოზობის დღეს მობოჭავს, ყველას, შებორკავს და გიორგობას ნაშუაღამევს გადაუძახებს ხოლმე ზღვაში, მეორე გიორგობის თვემდე.

– აგრე ბეჯითათ რომ ანბობ, გინახავს შენის თვალით შენ ჭინკა?

– ნახვით არ მინახავს, მარა გაგონებით კი სწორეთ გამიგონია მისი ხმა.

– მითხარი, აბა როგორ გაგიგონია?

– როგორ, ბატონო, და გორში გიახელი ბამბაზედ. საპნები მოგვქონდა მე და ჩემ ამხანაგს, თაფლი გვინდოდა გაგვეცვალა ბანბაზედ. გზაზედ ამხანაგი გამიხდა ავათ, იმან ცოტა ხელი შემიშალა, დავბრუნდით ისევე, ველარ წავედი და მეორე დღის ნაშუაღამევი იყო, მიველ ისევ შინ... ცოლი ცოტა შეშინებული დამიხვდა, მაგრამ არ მივაქციე ყურადღება, ვთქვი თუ დედაკაცია, რამე ეტკინებოდა-თქო და დავწექი ჩემთვის. ერთი პირი არ გვქონდა გამოძინებული, რომ მოდგა კიდეცა კარზედ და დაიწყო ძახილი ადამიანივით: „ნინო, ნინო (ჩემს ცოლს ნინო ჰქვიან), კარი გამიღე, გამოდიო“. მე წამოვარდი, ვაპირობდი კარში გავარდნას, მაგრამ ახალუხის ჩაცმის დროს, დამეტაკა ჩემი ცოლი, შეშინებული და მომაძახა: რას შვრები? დაგავიწყდა რომ ჭინკობის თვეა და მეც ამ თვეში ვარ დაბადებულიო და მიაყვირა თვითონ: „აი, დაგწყევლოს, ჭინკავ, დაგლახვროს სამას სამოცდახუთმა წმინდა გიორგიმ, რას მაშინებ, რომ მაშინებ! ქმარი შინა მყავს, ასეთ თოფსა გკრავს, რომ ყირამალა გადაგატრიალოსო!“ ამის თქმა და მისი გაქცევა ერთი იყო! როგორც წმინდა გიორგის ხსენება გაიგონა, იშვირა ხელი და ფეხი და გლიჯინით გადაევლო ღობეს, სულ ლაწალუწი დააწყებია!.. ისევე დედაკაცის მიხდომა, თორემ რომ გავსულიყავ, დღეს გაფუჭებული ვიქნებოდი!.. ამ სიტყვებმა ღიმილი მომგვარეს და ვიფიქრე ჩემს გუნებაში: თქვენ, გლეხებს, უფრო შეგწევიათ ჩვენზედ, აზნაურობაზედ, წმინდა გიორგი, ჩემო კიკო; თქვენ მარტო ერთი თვე გქონიათ ჭინკობის თვე და ჩვენ კი თორმეტივე-თქო.

ბევრი კიდე სხვაც რამ მემუსაიფა ჩემმა კიკომ, მაგრამ გლეხის საუბარი რა გასაგონია და ან რა საკადრისი! გლეხი თუ კარგი იყოს, გლეხიც არ იქნებაო, ნათქვამია ძველათ, – დღესაც ზოგიერთები კიდევ იმეორებენ, იმეორებენ, მაგრამ მათვე შვილებს კი ღიმილი მოსდით.

თ. აკ. წერეთელი<br>[1872]





## ახმედ–ფაშა კახა–ბერი[1]

### (ნეკროლოგი)

დიდებულის დივანის წყალობით, უმაღლეს ხარისხამდეა აყვანილი ახმედ-ფაშა კახა-ბერი. ამ ორმოცის წლის წინეთ, მცირე მიზეზის გამო, ის მოაშორეს თავის სამშობლოს და უცხო ქვეყანაში გაგზავნეს; მაგრამ შემდეგ, იქიდამ დაბრუნებულმა, ისეთი ნიჭი და ერთგულება გამოიჩინა, რომ ოსმალეთის მართებლობამ მიაქცია მას ყურადღება და გულუხვათ დააწინაურა თავის ტომში. როდესაც ახალმა სულთანმა სხვადასხვა ცვლილებები შემოიღო ამ ქვეყანაში, ახალთაობა აღტაცებით მიეგება იმ ცვლილებებს და რითაც კი შეიძლებოდა, საქმით თუ სიტყვით, ამ კანონების აღსრულებაში მოყვანას სცდილობდა, მაშინ როდესაც ძველი თაობა, გულდაწყვეტილი ამ ცვლილებაებზედ, ცხადათ რომ ვერ აცხადებდა თავის უკმაყოფილებას, გულში იკლავდა და ეძებდა შემთხვევას, რომ როგორმე თავისი ნაღველი წამოემთხია და გულის ბუხარი ვისმეზედ ამოეყარა. ჩვეულებრივის ფარისევლობით, იმან პირღიმილით მიიღო ეს კანონები, მაგრამ ახალთაობის დაუძინარის მტერობითა და შურით კი აღივსო. მაგრამ რა ექნა? როგორ უნდა მოქცეულიყო? იმას ხომ ვერ იტყოდა, თუ ამისთვის ვსდევნი ახალთაობასო, და მიზეზები გამოიგონა: 1. ვითომც ახალ თაობას სარწმუნოებაზედ ხელი აეღოს, რადგანაც იცოდა, რომ ამ ცილის წამებით მდაბალ ხალხს მოატყუებდა და ახალთაობაზედ ნდობას დაუკარგავდა; 2. ამტკიცებდა უსინდისოთ, რომ ახალთაობა მმართებლობის განკარგულებას ეწინააღმდეგებაო და სხვანი. ამგვარი ცილისწამებაები აიღო სახელმძღვანელოთ და დაუწყო დევნა მოუსვენრად ახალთაობას სიტყვით, თუ საქმით. ბევრმა შეშინებულმა ჩინებულმა ახალგაზდამ დაჰყარა პატიოსნების იარაღი და მიეკედლა ძველ თაობას; მაგრამ ამითი ახალთაობა მთლად არ დამარცხებულა: ბევრი ყმაწვილი კაცი მოთმინებით წინააღუდგა იმ დევნას და არ შესცვალა გზა თავის პატიოსნურ მსვლელობისა. თუ რა ტანჯვა გამოიარეს იმათ, იმას ნუღარ მოვიგონებთ, რადგანაც მოგონებაც კი კმარა გულის ასაძგერებლად.

---

1 კახა-ბერი ქვეყანას ჰქვიან, ძველათ საქართველოს ერთს სამთავროს შეადგენდა და მათი მთავრები იწოდებოდენ კახა-ბერად. დღეს ეს სამთავრო თათრების ხელშია, ისე, როგორც ჩვენი აჭარა და სხვა (შენიშვნა ავტორისა).

ამ გაჭირვების დროში გამოჩნდნენ რამოდენიმე პირნი ძველ-თაობიდამაც, რომელთაც დიდის პატიოსნებითა და ჭეშმარიტებითა თანაუგრძნეს დევნულ-მართლებს; იმათში ისე გამორჩენილი და შეს-ანიშნავი არავინ ყოფილა, როგორც ახმედ-ფაშა კახაბერი. თუმცა საქმით კი არაფერი გაუკეთებია, მაგრამ სიტყვით კი თანამგრძნობი იყო ახალთაობის, სხვებსავით გზაში მტერათ არ უდგა მას, და რადგანაც ყოველივე დროსა და ადგილის შეხედვით ფასდება, ამისთვის ახალგაზდობამაც უზომოთ მომეტებულათ დააფასა კახა-ბერი და ყოველს შემთხვევაში მისი თანამგრძნობელი იყო და მსა-სოებელი. ახმედ-ფაშის ამ გვარ კეთილათ მოქცევის მიზეზი თურმე მისი უფროსი ძმა ყოფილიყო, ისკანდერ-ბეგი, კაცი პატიოსანი და დიდათ შესანიშნავი თავის ტომში. როდესაც ის ისკანდერ-ბეგი მოკვდა, ახმედ-ფაშის აზრებიც გამოიცვალა და საოცარის ცილისწ-ამებით გამოინადირა ახალ თაობაზედ... ახალი თაობა ყოველთვის იმას ამტკიცებდა, რომ მმართებლობა არ დაუჯერებს ჩვენზედ ჩვენი მტერების ცილის წამებას. ჩვენი გარემოება ახმედ-ფაშამ კარგათ იცის და ის იტყვის სიმართლესო; რასაც ის იტყვის, ჩვენ იმაზედ დას-ტური მიგვიცია წინდაწინვეო. წარმოიდგინეთ მათი მდგომარეობა, როდესაც მისმა ვექილმა, ახმედ-ფაშამ, ახალგაზდობას სასიკვდილო კვერი დაჰკრა თავში და მით მის მტრებს ფრთები გამოასხა. რა უნდა ექნა ახალ თაობას? მოეთმინა? არა! აქ მოთმინება აღარ ივარ-გებდა! რუსთველმა სთქვა:

„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა,
ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“.

და აქ სწორეთ თქმა სჯობდა უთქმელობას.

ახლა კი გაიგეს – რა კაციც ყოფილა ახმედ-ფაშა. ყველას მოაგონდა იმის წარსული ცხოვრება: იმას, თუმცა კი შეეძლო, მაგრამ თავის სიცოცხლეში თავის ქვეყნისათვის არავითარი კეთილი არ უქნია; ყოველთვის იმას ამბობდა, რომ მსურს, მაგრამ მეშინია, მაღალ ხარისხზედ ვდგევარ და ვერა ვბედაო, – თითქოს უშლიდა ვინმე! ცარიელი სიტყვით კი თავს არ იზოგავდა და კარგს მოძ-ღვრებას გვაძლევდა. თუმცა, ვამბობ, ახმედ-ფაშას საქმით თავი არ გამოუჩენია, მაგრამ სიტყვა-ტკბილი და სიტყვა-მართალი იყო და ახალგაზდობა დიდის სიყვარულით მიმართავდა და თითქმის ქვეყნიერ ღმერთადაც ხდიდა იმას. და მართლაც, მისი სიტყვები





ღრმათ იბეჭდებოდენ გულის ფიცარზედ. რომელს კახა-ბერელს არ ასძგერებია სიამოვნებით გული, როდესაც მის თხზულებებს კითხუ-ლობდა? მაგრამ როდესაც წაიკითხეს მისი ბეზღებითი ეფისტოლე ახალგაზდობისადმი, ყველას გული აუღელდა და თვალცრემლიანმა გამოიტირეს თავის სასო – კახაბერი.

ამბობენ, ერთმა ახალგაზდათაგანმა დაუწერა კახა-ბერს საკად-რისი პასუხიო, რომელშიაც ძველთაობას გამოუცხადაო, რომ ნუ გიხარიანთ, ეგ ის კახა-ბერი აღარ არის, ჩვენ რომ ვაფასებდითო! ის მოკვდა და აი ეგ ვინც არის, აქედამ სცანითო.

ერთს საღამოს არტაანში რამდენიმე ახალგაზდამ შეიყარა თავი და ამ საქმის თაობაზე ჰქონდათ მოლაპარაკება. სხვათა შორის, ის პასუხის მიმცემი ახალგაზდაც იქ იყო. ერთმანეთში მოლაპარაკებისა და განსამართლების შემდეგ, ამ კრებამ გამოაცხადა, რომ ის სრუ-ლიად თანახმაა იმ პასუხისა, რომელიც კახა-ბერს მიეცაო. შემდეგ თავს-მჯდომარემ სთქვა: „ვინც წინააღმდეგია ამ განჩინებისა და მოპასუხეს მართლად არ იცნობს, გამოაცხადოსო!“ მაშინ წამოდგა ერთი ახალგაზდათაგანი და სთქვა: „მე სრულიად თანახმა ვარ თქვენი, მაგრამ რადგანაც მე სამსახურში ვარ და მაღალი ადგ-ილი მიჭირავს, მეშინია ცხადათ თანაგრძნობისაო და ნურაფერს უკაცრავათო“. მეორემ სთქვა: „მე გამდიდრება და კეთილი ცხოვრება მიყვარს და ახმედ-ფაშას საწყენში რომ გავერიო, ხელს შემიშლიან, რადგანაც ბევრი მისთანა სულ-მდაბალი კაცია, რომ იმ დიდი კაცის მოსაგერებლათ, მეც დევნას დამიწყებსო, და ჩუმათ გულში კი თანა-გიგრძნობთო“. მაშინ ესენი ორივე საზოგადოებამ გააგდო თავის კრებიდამ და თვით შეუდგა ერთხმათ ამ ლექსის სიმღერას:

**ფარშავანგი**

უცხოს წალკოტს და მშვენიერს,
ალყვავებულს მრავალ-ფერად,
სადაც იადონი უმღერს
საამოდ და გულ-საძგერად.

ერთი ფარ-შავ-ანგი გვყავდა,
მოსაწონი, დახატული,
კვერცხის დება არ იცოდა,
ჰქონდა მხოლოდ კარგი გული!

საარაკო ფრინველს ჰგავდა,
მას ვუმღერდით, მას ვაქებდით,
მაზედ ცუდს ვინ გაბედავდა,
ბატის ფრთებზედ ავაგებდით!..

დრომ ვერ დასდო მას თვის კვალი,
დარჩა, ლამაზი და ტკბილი,
ახალ-გაზდათ წმინდა თვალი
მისკენ იყო მიპყრობილი!..

ერთს დღეს მოგვესმა ყიყლიყო,
აღარ გვესმა ტკბილი ჰანგი...
მიველთ, ვნახეთ, აღარ იყო
ბაღში ჩვენი ფარ-შავ-ანგი!..

ნაცვლათ მისსა დათვი დაგვხვდა;
მას თან ჰყავდა ორი ბელი!...
მაშინ მივხვდით: საქმე წახდა!
შემოვირტყით თავში ხელი!..

მას აქეთ, შეწუხებული,
ფარ-შავ-ანგს ვეძებთ მწუხარე,
მას ვიგლოვთ გულ-დაწყვეტილი
და ცრემლები გვდის მდუღარე!

გვასწავლეთ, საით გაფრინდა
ის ჩიტი ღვთით-მადლიანი,
და მოგვაშორეთ, არ გვინდა
ეს დათვი ორ-ბელიანი!..

აჭარა.
აკ.
[1872]





## პატრიოტის აღსარება

ვინ სთქვა, რომ მე პატრიოტი არა ვარ? მიუქარავს!.. ეტყობა, ან სადილობამდის მოთრეულა ჩემთან და ან ნასადილევს მოხეტებულა... უდროვოთ უვლია!.. აბა, თქვენი ჭირიმე, სადილობამდი, როცა მუცელი ცალიერია, ვის სცალიან საპატრიოტოთ და ან ნასადილევს, კუჭდამძიმებულზედ, რაღა დროს პატრიოტობაა?!.

არა... იმ დროს მობრძანდეს, როდესაც მე, მამაპაპურად ფეხმორთხმულს, წინ მიფენია ქართული სუფრა მისის სასადილო სამკაულებით: ცხელ-ცხელი პურები, ცივი ღვინო, აქა-იქ ახირებულად, მიყრილ-მოყრილი მწვანილი, ახალი თევზი, მოთალი, ზედ ტარხუნით თავწახურული, საიდამაც ის შეჩვენებული ძროხის მოსაკითხი ისე გამოიყურება, თითქოს პირს სიცილით ეუბნებოდეს: „გამიღე კარები, კბილები მიჩვენეო“ და იმავ დროს მოშუღლული ტალხუნაც ზევიდამ დასჩურჩულებდეს: „სად მიდიხარ? ვერ გაგიშვებ! იქაც ქვეშ უნდა მოგიქციო და თავზედ დაგაწვეო!.. სადაც ჩახვალ, მეც მაშინვე იქა ვარო“ და სხვ. აი დრო, როდესაც ჩემს გულში ილვიძებს პატრიოტული გრძნობა და ჩემი ნაციონალური მადა კუჭში იდგამს სამეფო ტახტსა! მაშინ მეც თავი მომწონს ქართველობით!..

განა შემიძლია შუშხუნა მწვადის ყურება ისე, რომ პირი პატრიოტულის ნერწყვით არ მესვლებოდეს? როდის გადამიკრავს კახური ღვინო ისე, რომ ჩვენის წინაპრების შესანდობარი არ ყოფილიყოს? ჯერ კიდევ შუა სმაშიდაც არა ვარ ხოლმე, რომ ჩემი ქვეყნის მტერები თვალწინ მელანდებიან და მაშინ მეც თავი ველარ შემიმაგრებია, გაბრაზებული ზევით ჭერს ქუდსაც ვჰკრავ ხოლმე და ძირს სუფრაზე წითელღვინოს ვანთხევ.

დიახ!.. ამგვარად ხშირად აღვძრულვარ, აღვშფოთებულვარ და მაშ ვისლა შეუძლიან სთქვას, რომ მე პატრიოტი არ ვიყო? არა თუ დღეს, როდესაც დიდი ბობოლა შევქნილვარ, ადრე, ჭიაობაშიდაც, გულით ვმამულისშვილობდი, თუმცა ამის გამოცხადებას კი სიტყვით ვერ ვბედავდი და საქმით ვერ ვახერხებდი.

და ან კი რა გამოვიდოდა გამოცხადებით: პატარაობაში რა გასაავალი ექნებოდა ჩემს სიტყვებს? და დღეს, დიდკაცობის დროს კი, აღარ შემფერის ამჩატება!.. ახლა რომ პატრიოტულ ალიან-ჩალიანებს გამოუდგე, არ იტყვიან: ე რა წვრილმანებს გამოსდგომიაო?

დიახ! იტყვიან და შემარცხვენენ!.. არა, არა!.. უდროვოთ არა ვარგა რა!.. მოუცდი ისევ იმ დროს, როდესაც ეს ორივე, დიახ საფუძვლიანი

და თავის გასამართლებელი, მიზეზები თავის თავად მოისპობიან და მაშინ გამოვაჩენ ჩემს მამულისშვილობას!

მესაყვედურებიან: თუ შენ პატრიოტი იყო, შენის ქვეყნის მზეთუნახავს არ დააგდებდი და სხვისას არ დაუწყებდი ტრფიალსო!.. „მაგრამ სცდებიან!.. რა იციან, თუ ჩემ გულში რა არის? აქ ანგარიშია, და ანგარიშს ჭკვიანი როდის გაქცევია? ჩემის ქვეყნის მზეთუნახავი ღარიბია! თვითონ რა აქვს, რომ მე მარჩინოს? რა ჰმოსია, რომ მე ჩამაცვას? რა შეუძლია, რომ გამაძლიეროს და თვითონ რა სახელგათქმულია, რომ მე გამომაჩინოს? და უცხო ქვეყნის მზეთუნახავი კი ამაების ყოლიფრის შემძლებელია! აი რისთვის ვეტრფი მას! და აი რათ მიყვარს!..

აბა ამ ბედშიდ ჩააგდეთ ჩემი ქვეყნის მზეთუნახავიც და მაშინ ნახავთ, თუ ვისმეს დაგაცადოთ მისი ტრფობა!! მაშ უსაფუძვლო ყოფილა საყვედური! დიახ, პატრიოტი ვარ, ვყოფილვარ და ვიქნები!.. ოღონდ თქვენ კი წინააღმდეგ მიზეზები მომაშორეთ!.. არ შეგიძლიანთ? მაშ რაღას მესაყვედურებით? რაღას მთხოვთ, კოლო-ბუზებო?

რა გამოდის ამ თქვენის ბზუილით, კოლო ბუზებო? და რას არიგებთ თქვენის იქა-აქ თრევით, ჭიანჭველებო?

ეჰ, ვაი იმ დროს, როდესაც თქვენ გაჩენილხართ!.. თქვენ თქვენის უხეიროს საქციელით ჩვენ, ბობოლაებს, მხოლოდ პატრიოტულ მადას გვიფუჭებთ!..

ერთი, მომიტანეთ ჩანგი, რომ ავაჟღერო, და სევდა გავიქარვოთ.

**ბობოლაების ბაიათი**

კოლო-ბუზო! ჭიანჭველო!
ქუდ-მოხდილო, ფეხშიშველო!
შენს თავს რომ ვერას არგიხარ,
როგორ გინდა სხვებს უშველო?

ეგ ბზუილი, შესაზარი
არავისთვის აღარ არი!
ერთი სიო სულ გაგფანტავსთ,
ზღვაში ჩაგყრისთ ზენა ქარი.

აბა სად გაქვს, გვითხარ, ღონე,
რომ დაჰფრინავ თავ-მომწონე!
გულით გირჩევ: შენცა ჩემებრ,
სდუმენ, ძალას დაემონე!





დაგარიგებ შესაბრალსა,
მით ვასრულებ ჩემსა ვალსა,
დამიჯერე, არ გატყუებ
მიმავალი მომავალსა!

თვარა, ჩემო ჭიანჭველო,
ქუდ-მოხდილო, ფეხშიშველო,
შენს თავს რომ ვერ არგიხარ,
ვით გინდა, რომ სხვებს უშველო?!

მაგრამ... ჩუ, ეს რა მესმის: კოლო-ბუზებიც პასუხს მაძლევენ! – ხა! ხა! ხა! ხა! აბა, დავუგდოთ ყური! მოვისმინოთ მათი ბზუილიც – კარგს კილოზედაც იბზუვებენ!.. ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა!

**კოლო-ბუზების პასუხი**

მიმავალო, მშვიდობით!
აწ დრო არის, მოგვშორდე,
ძველ დროს გამოეთხოვო,
ახალ დროს გაუსწორდე!

თუ რომ გული წმინდა გაქვს,
თუ რომ არ გრძნობ რაღაც შიშს
მომავალთან, ვინა გთხოვს
ან რჩევას, ან ანგარიშს!

შენ რომ გზა გაგივლია,
ის ჩვენ აღარ გვარგია;
და ის ჩვენთვის ცუდია,
რაც რომ თქვენთვის კარგია!

კოლო ვართ, თქვენ – ბობოლა!..
მაშ ჩვენ ვინ გაგვატოლა?
ჩვენ ბზუილი შეგვშვენის,
თქვენ – გვერდზე წამოწოლა.

თქვენ სხვა ხართ და ჩვენ სულ სხვა,
არა გვაქვს რა საერთო,
მის მეტი, რომ ჩვენს კვნესას
თქვენგან ცილიც დაერთო!

თქვენი გზა თუ კარგია,
ღმერთმა თქვენ მოგახმაროს,
და ჩვენ კი იმავ გზისგან
საწყლები დაგვიფაროს!

ჩვენ, ქუდ-მოხდილ-ფეხშიშვლებს,
არ გვიდრკება გულები,
სანამ თვალ წინ გვიდგიან
პირველ მოციქულები!..

თქვენ კი ფრთხილად იყავით!
მიჰბაძეთ ფარისევლებს,
დაგვქოლეთ და დასცინეთ
გაუსხლეტელს ჩვენს ცრემლებს!..

ზღაპრად თქმულა, რომ დიდ ლომს
კოლო არ შეუშინდა
და კიდეც დაამარცხა,
ცხვირში რომ შეუფრინდა!

და ბობოლას ომი კი
არვის გაუგონია!..
ის სხვას უქსოვს სამოსელს
და მით თავ-მომწონია!

ჩვენ ბუზები გახლავართ,
თქვენ ბობოლა ბრძანდებით!
მაგრამ რათ იგვიანებთ?
რატომ არ წაბრძანდებით?

მიმავალნო, მშვიდობით!
გზა გვიტიეთ მომავალს!
რად სწუხდებით რჩევისთვის?
ჩვენ ვპოებთ ჩვენს გზა და კვალს!..

აკაკი
[1875]





## ძველი ჩინოვნიკის ალსარება

ღვთისა და თქვენის წყალობით, ბუნებითი ნიჭი დამყვა: ოცი წლის კიდევ არა ვყოფილვარ, რომ სამკლასიანი შკოლა გავათავე; ამას უხვად დავამატე კეთილშეძენილი ცოდნაც: სმარაღდოვის ისტორია, და კუზნეცოვის ღეოღრაფია და ვოსტოკოვის ღრამმატიკა ზედმიწევნით ვიცოდი. თავიდან ბოლომდე წყალივით ჩავივლიდი... მუხლიდამ მუხლამდე სულამოუთქმელად ჩავიკითხავდი ხოლმე.

ერთი სიტყვით, ჯეროვანად მომზადებული განვმწესდი სასამართლოში.

იქ იმედი მქონდა ოდესმე თავის გამოჩენის, რადგანაც ვიცოდი, რომ ღვთის სასიამოვნო და უფროსის მოსაწონი სიმდაბლე იმ დროს შეუნიშნავად არ რჩებოდა; და მართლაც, ყველას მორჩილი, თვალებში შემჩერე, გაგზავნ-გამოგზავნაში დაუზარებელი, ხანდახან ბრძანების დროს, გვარიანი მოხერხებული მასხარაც, მე ძალიან მალე ავმაღლდი და გადავდგი პირველი ბიჯი კეთილწარმატებისკენ: დამამტკიცეს უფროს მწერლის  თანაშემწეთ.

ხუთის წლის შემდეგ დამიპირეს ჩინზედ წარდგენა და კიდეც იმედი მქონდა, რომ ერთს უხეირო შემთხვევას არ მოეკვეცა ფრთები ჩემი მომავალ ბედნიერებისათვის:

ერთს დღეს დეჟურნათ ვიყავი სასამართლოში. იქ ჩემს მეტი ალარავინ იყო; მომეწყინა და მივეცი თავი ფიქრს: „როდის იქნება, ვამბობდი, რომ მეც კაცი გავხდე? აქ, ამ სასამართლოში, ყველასა ჰყავს თავისი ხელქვევითი!.. ყველას შეუძლიან, რომ მისი უფროსისაგან გალანძღულმა და დატუქსვილმა, თვითონაც თავის უმცროსზედ ამოიყაროს გულის ჯავრი და იფიქროს: „თუ წეღან ჩემს უფროსთან ჭია ვიყავი, ახლა ხომ ამ ჩემ ხელქვევითთან ბობოლა ვარო“! და მით გაიქარვოს თავისი არარაობის ფიქრი... მე? მე კი აქ ყველაზედ უმცროსი ვარ და ჯავრი ვერავიზედ ამომიყრია!“ და მართლად, ვის ვნახავდი იმ სასამართლოში ჩემზედ უმცროსს, ჩემს საკბილოს, ვირთხების (ვირთაგვა) გარდა?

ამ ფიქრებში რომ ვიყავი, თითქოს გულთმისნები ყოფილიყვნენ, მართლა გამოძვრენ ვირთხები, ზედ ფეხებთან გამიცინცილ-გამომიცინცილეს; მომივიდა ბრაზი, ვსთქვი თუ: „ესენიც არათ მაგდებენ-თქო“, ავიღე საწერელი, ვსტყორცნე, დავაცილე და ზედ მივასხი კედელზედ მელანი. ვაი, მისთანა თქვენს მტერს, მე მაშინ დღე გამითენდა! თქვენის ბედნიერებით, ნეტავი, ჩემი საკუთარი სისხლი მიმენთხია იმ კედელზედ და მელნით კი არ გამეთხაპა!..

მივარდი გარეტებული, დავუწყე კედელს ცხვირსახოცით, ე. ი. ჩოხის კალთით, ხეხა, ერთხელ-ორჯერ ენაც ავუსვ-ჩამოუსვი, მაგრამ მაინც ვერას გავხდი.

შენიშნეს მეორე დღეს, გამოიძიეს, მომაგნეს და დამისვეს ფასად: მომიშალეს წარდგინება!..

მაგრამ, ეჰ, რა გაეწყობა? ხან ასე იქნება და ხან ისე! ღმერთი სამართლიანია. მოულოდნელმა შემთხვევამ დამჩაგრა, მაგრამ მოულოდნელმავე საქმემ გამაბედნიერა:

ერთ დღეს ხაზინაში წავიდა ჩემი სტოლნაჩალნიკი; სტოლის კლიტე კი მე დამიტოვა. ერთიც ვნახოთ, რაღაც მოჰფიქრებია ჩვენს ბობოლა-უფროსს და მოადგა ჩვენს სტოლს: – „მანდ საიდუმლო ქაღალდი რომ არის, ის მომართვიო!“ მე, რასაკვირველია, მარდად გამოვწიე სტოლს და, მისთანა თქვენ მტერს, მე გული გადამიტრიალდა: ფრრრრრრიო! ჰქნეს მწყერებმა და გამოფრინდნენ გუნდათ სტოლიდამ! თურმე სტოლნაჩალნიკს იმ დილას ქრთამათ მოსვლოდა მწყერები და ხელათ იქ ჩაემწყვდია... დაიწყეს ფრთხიალი იმ შეჩვენებულებმა კანცელარიაში, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ... დაეტაკენ ფანჯრებს, კინაღამ დაგვიმტვრიეს, წამოცივდნენ ჩინოვნიკები, გამოუდგნენ მწყრებს; ზოგი სტოლზედ შეხტა, ზოგი სკამზედ შეპოტინდა, სხვები ფანჯრებთან მიცვივდნენ და, როგორც იქნა, დაიჭირეს მწყრები.

საკვირველი სანახავი, სასეირო ამბავი იყო! ყველას გვეცინებოდა, მაგრამ ვინ გაბედავდა სიცილს უფროსთან. ღმერთთან სწორი სჯობს, იმ ბატონსაც კი გულით ეცინებოდა, მაგრამ ჩვენი რცხვენოდა, ითმინა, ითმინა და ბოლოს, მეტათ რომ ველარ შესძლო, მოგვარიდა თავი, მიიბრუნა პირი კედლისაკენ და დაიწყო შიგნით სიცილი; თუმცა ხმა არ გვესმოდა, მაგრამ ვატყობდით კი, რადგანაც გვამს ახირებულად ანძრევდა. მაშინ კი ჩვენც გავბედეთ და ავხარხალდით.

ამასობაში ის უბედური სტოლნაჩალნიკიც დაბრუნდა. მივიდა იმასთან გამხიარულებული ბობოლა და უთხრა: „მე მეგონა, რომ მარტო თავში გყავდა მწყრები და შენ სტოლშიაც კი გყოლია?“ და ხუმრობით შუბლზე ერთი წკიპარტიც მიარტყა. იმ თვალდამდგარმა სტოლნაჩალნიკმა არ კი იუკადრისა უფროსის ხუმრობა!.. და მოახსენა:

„ნი სმეიტე წკიპურტოვათ!..“

– რაო? – დაიღრიალა გაკვირვებულმა ბობოლამ, – ია ნე სმეიუო?! – უჭიტლაყა ამ თქვენს სტოლნაჩალნიკს და ქუჩაზედ ამოაყოფინა თავი, მომიბრუნდა იქვე და ბრძანა: „მაგის ადგილი შენ აასრულე, სანამ არ დაგამტკიცო!..“





მე ამ მოულოდნელმა ბედნიერებამ თვალები დამიბნელა, ყურებმა წივილი დამიწყეს, სიზმარი მეგონა: ცხვირზე ვიბწკინე – მეტკინა და მაშინ კი მოველი გონზედ და ერთი კიდეც მოვასწარი ბობოლას ხელზედ კოცნა... ის იყო მაშინ ჩემს თვალში რაღაც უმაღლესი ქმნილება!. აქედამ დაიწყო ჩემი ბედნიერება. ყაჭის ჭიასავით გამოვიცვალე ძველი კანი და მოვემზადე... „აბრუნდ-ჩაბრუნდიც“ მალე ვისწავლე.

ერთს მაგალითს გეტყვით ამ „აბრუნდისას“: ერთხელ ორი მომჩივარი მომადგა: მტყუანმა ცხვარი მომართვა და მართალმა კი ხმაც არ გამცა. ვუთხარი საქმეს „აბრუნდი“ და დავაჭახრაკე. შეუტყვია მართალს, რომ ვიღუპებიო, და მოაბღავლა ჩემთან ჭრელი ძროხა. ეჰ, რაღა უნდა მექნა? დავანებე თავი „აბრუნდის“ და შევუდექი ისევ „დაბრუნდის“. არ კი გაეგო მტყუანს: მოვიდა და მკითხა:

– ჩემი ცხვარი რასა იქსო?

– შენ ცხვარს რქა ამოჰკრა და გვერდი შეახალა იმ ძროხამ, რომელიც შენმა მომჩივარმა მოგვართვა.

– უჰ, მაგას ნუ ინებებთ, ღმერთი გადღეგრძელებს, ოღონდ იმ ცხვარს უექიმეთ და საექიმო ჩემგან მიიღეთო! – ამოიღო ორი წითელი და მიჩიჩგა ხელში.

ამისთანა ბევრი ბედი მომდგომია კარზედ და მეც წიხლი არ მიკრავს.

ერთხელ ბობოლამ ძალიანი საქმე მომანდო და მეც, რომ უნდოდა, ისე წავიყვანე. მეორე დღეს შემხვდა ბობოლა და სიცილით მითხრა:

– მოია პოჩტენიაო! ჯიბეში ხომ არ ჩაგიტენიაო?! (იმ სულგანათლებულს ლექსებით ლაპარაკი უყვარდა... რუსთაველი სულ ზეპირათ იცოდა).

ჯიბე ვუჩვენე და მოვახსენე!

– ვაშე ბლაღაროდია-თქო! ცარიელი როდია-თქო!..

გამიცინა და სადილათ დამპატიჟა. ძალიან მოეწონა პასუხი!.. ამ შემთხვევამ ფასი მომიმატა ჩემ ამხანაგების თვალში და ჩემი ჭკვიანობაც დაამტკიცა.

– ამგვარად გაწრთნილმა წამოვიწყე ხელი, შევიძინე მამულები, ავაშენე სახლი, გავასესხე ფულები და ხალხის თვალში გაბობოლავებულს ცამდი ამელო თავი.

ეს, რაც აქ საკუთრად ჩემზედ მოგახსენეთ, შეეხება იმ ჩემ ამხანაგებსაც, რომელნიც ჩემ დროს მსახურობდნენ. ვიყავით ყველანი ბედნიერი და დიდებული დიდხანს, რომ ბოლოს არ წაგვმწარებოდა.

ამ თხუთმეტი-ოცი წლის წინეთ გაჩნდნენ ჩვენში წვეროსნები, უცხო ქვეყნიდამ დაბრუნებულები. ჩვენ დიდხანს ვუცდიდით მათ-

გან ვიზიტს, მაგრამ ბოლოს, რომ ხმაც არ გაგვცეს, ჩვენ გულმა აღარ მოგვითმინა, გვინდოდა შეგვეტყო, თუ რა ჩიტები იყვნენ, და პირიქით წავედით მათ სანახავად. იმათ, რასაკვირველია, ზრდილობიანათ მიგვიღეს; მაგრამ გვკითხეს კი: „რა საქმე გაქვსთო!“ ახა– ვაგლახ მე! დახეთ? რა საქმე გაქვსთო? ვიუცხოვეთ, გავჯავრდით, იმათ საცინლად აგვიგდეს. ჩვენ გავცხარდით, იმათ გვიკიჟინეს! ჰაი იქით, ჰაი აქეთ. ბუზათაც აღარ ჩაგვაგდეს, ხალხის თვალში დედამიწასთან გაგვასწორეს.

ჰე... ახლა კი უნდა მოვიფიქროთ რამე-თქო“, გადავსწყვიტეთ ყველამ ერთად და შევუდექით საქმეს:

ხალხს შევაგონეთ, რომ ეს ახალი კაცები ულმერთოები არიან: არც ნათესაობა იციან, არც ღმერთი სწამთ, არც ხატი, არც ჯვარი და სხვ!..

რადგანაც ისინი ამ ჩვენს ქცევას ყურადღებასაც არ აქცევდნენ, ჯერ ქვე დაგვიჯერა ხალხმა, მაგრამ ბოლოს კი, როდესაც ახალი სამართალი შემოიღეს ჩვენში, სხვებ შეგვექნა საქმე:

ვინ გამოდგა ქურდი? ერთი ჩვენგანი!.. ვინ აიღო ქრთამი? ჩვენგანმა! ვინ გასტეხა ფიცი? ჩვენგანმა! ვინ უარჰყო ნათესაობა? ჩვენგანმა! ერთი სიტყვით, ყოვლივფერში ჩვენ და ჩვენ!..

ამის შემდეგ ხალხმა, სულ აღარად ჩაგვაგდო და ვინც ადრე მუხლებისყრით გვევედრებოდა, ახლა დოინჯებით გვივლის გვერდს.

წაგვიხდა ხრიკები...

წაგვასხნეს ლაგამი და მ... შვი... დოოოოო... ბითო!

აი, ასე გათავდა ჩვენი ალიან-ჩალიანი!

რა ვართ ახლა, დღეს? აღარც იქით და აღარც აქეთ! მშვიდოოოოო.. ბით, ჩვენო ნეტარო წარსულო დროვ!.. დღეს ჩვენთვის ყოველი დღე ბნელია, მაგრამ პარასკევი კი უბნელესია: ძველათ ამ დღეს ბაზრობა იცოდენ, შემოჰქონდა ხალხს ბევრი რამ გასაყიდათ და იმაში ჩვენი კერძიც ერია ხოლმე, და ისე გვენატრებოდა ძველ ჩინოვნიკებს პარასკევი, როგორც მღვდელს შაბათი. ახლა ვინღა გვცემს ხმას? საყიდელსაც ველარ ვშოულობთ: სრული ფასის მიცემა გვეჯავრება და იაფათ კი არ გვაძლევენ... გვიშრება პირი და, ვინც ჭირისუფალი ხართ, უმჯობესია, საკურთხის ნაცვლად თითო-ოროლა კალთა ხილი მაინც გამოგვიგზავნოთ ხოლმე – თქვენის მიცვალებულის სულის სახსენებლათ და ჩვენის გულის დასამშვიდებლად!..

აკაკი
[1875]





# კრიჭ და ხრიშ

## დალაქის თავგადასავალი

ბევრი კაცის თავი ჩამვარდნია ხელში და ბურთივით იქით-აქეთ მიტრიალებია!.. ცოტა რამ ყოველთვის კიდეც დამიკლია მათთვის, მაგრამ ჩემზედ გული არავის დასწყვეტია!.. ვინ დასთვლის, რამდენისათვის მიტაცნია წვერში ხელი და რამდენის ულვაშებს შევხებივარ, მაგრამ არვინ გამრისხებია; ბევრს თავის ნებით ყელი გამოუშვერია ჩემთვის, მაშინ როდესაც ხელში მახვილი მჭერია... ბევრი სიცოცხლითვე შემისუდრავს, მაგრამ არავის გაკკვირვებია!.. გნებავსთ შეიტყოთ ვინა ვბრძანდები? – დალაქი! – ერთი და იგივეობა კაცს თავს აბეზრებს და ჩემი ხელობაც მოსაწყენი იქნებოდა, თუ რომ შიგადაშიგ ხშირად სასაცინო შემთხვევაებით სამხიარულოდ არ იკაზმებოდეს. – კვახი კვახსა ჰგავს, ნესვი ნესვის მსგავსია და საზამთრო საზამთროსაგან ძნელად გაირჩევა, მაგრამ ადამიანის თავი -კი სულ სხვადასხვაა. მართალია, ერთის შეხედვით ყველა მოტყუვდება, მაგრამ ვინც კი დაუკვირდება – გაარჩევს; და ჩემი ხელობაც ხომ ისეთია: გინდა თუ არა, უნდა უცქირო! აი, გავაღე სადალაქო. მოდიან მუშტრები. ფეხბედნიერი იყოს თქვენი მობრძანება! შემოდის დიდი-ვინმე. – შესანიშნავია ეს ჩემი ხელობა: სად იწყება და სად თავდება?!. გლეხი ჰკრეჭს ცხვარს, გლეხს – ეს ბატონი და ამას კი – მე, მაგრამ შედეგი კი სულ სხვადასხვა არის: გაკრეჭილი ცხვარი სიცივითა თრთის, გლეხი იწვის და იდაგვის, ამას კი – არცა სცივა და არცა სცხელა! რისი ბრალია? ჭკუის!.. დახეთ, დაბრძანდა მძიმეთ სარკის წინ და ბრძნულად შეჰყურებს თავის სახეს; მეც ჩემის იარაღით მივდგომივარ უკანიდამ, ვუგდებ თმაში ჩემს მაკრატელს და ვაძახებ: „კრიჭ-კრიჭ! ხრიშ-ხრიშ!“ ჩუ! მეორესაც ჰკრეჭენ? ეს ვინღა შემომპარვია სადალაქოში და ჩავარდნია ხელში ჩემს შეგირდს? ვიხედები აქეთ-იქით. დალახვროს ღმერთმა! მეჩვენება!..

ვაგრძობ ისევ ჩემ საქმეს: „კრიჭ-კრიჭ!.. ხრიშ-ხრიშ!“ ზემოდამ. „კრიჭ-კრიჭ! – ხრიშ-ხრიშო!“ – ქვემოდამ. ჰმ... ბანს აძლევს? ცარიელი ყოფილა!.. მაგრამ ვინ დაიჯერებს!.. ან კი როგორ დაიჯერონ?! ჭური ხომ არ არის, რომ ბადიმები (სარქველი) ახადონ და შიგ ჩაიხედონ... აბა, ეს ბობოლა ისეთი არ არის, რომ ვისმეს ასაწონათ და გასაჩხრეკათ ხელში ჩაუგდოს ის თავი, რომელიც მაღლა უჭირავს და მისგამო ყველას დიდათ აფასებინებს! მაგრამ მე კი ვერ მომატყუებს:

ჩემთვის სულ ერთია, გინდ სავსე იყოს და გინდ ცარიელი: ამაზედ მეტად არც ვაფასებ და არც ვიღებ.

ეს კიდევ მეორე მუშტარი. ნეტავი ამას რაღა უნდა? ამის მოტვლეპილ თავზედ პატივს თუ დააყრის კაცი და დათესავს რამეს, თვარა მოსაჭრელ-მოსამკელი არა სჩანს რა!.. ქვეყანაზედ ყვლეფის მეტი არა არის რა. პირველი შრომა და მუშაობა სხვისი ყვლეფაა. აი, ეს ადამიანი რომ ქვეყანას ჰყვლეფს და ამის თავი კი ერთს მცირე მიზეზს გაუყვლეფია. კისრისა და თავის შესაყართან ძლივსღა შერჩენია მცირეოდენი ღინღლი, მაგრამ პატრონი კი ხუჭუჭზედაც მეტად აფასებს და გულდაგულ ეჭიდება მაკრატელს. – „ჩვეულება რჯულზედაც უმტკიცესიაო“ ნათქვამია... ეს ქვეყნის მატყუარა ახლა თავის თავსაც იტყუებს, თვარა რად მაკრაჭუნებიებს მაკრატელს ტყვილუბრალოდ ამ მოტვლეპილ თავზედ? კიდეც რომ მიზეზობს! „აქეთ შემოკვერცხე“, „იქით დაახუჭუჭე!“ „გაასწორე“, „დაამოკლე“ და სხვ. არაფერზედ კაცსა სტანჯავს, რომ რამე იყოს, ვინღა გაუძლებდა? „პარიკი ხომ არ არის ჯერ საჭიროო?“ მეკითხება. თუ ვუთხარი მართალი, ვაი თუ იწყინოს და მუშტარი დამეკარგოს და თუ არა... ეგება გამასაღებიოს, ერთი ოხერი პარიკი მაქვს დარჩენილი, კაცი ხელს არა ჰკიდებს. „ჯერ კი არა და... ჰო! ამ თავითვე რომ მიეჩვევოდეთ, კი არას გაწყენდათ!“ – ვეუბნები, მაგრამ ვერ მომივიდა კარგი ანგარიში: გულმოსული გარბის ჩემგან და ჩვეულებრივის ორაბაზიანის მაგიერ სამშაურიანს მიტოვებს. წადი, ჯანდაბამდი იყოს შენი გზა და კვალი! შენს ადგილზედ აგერ სხვა შემოდის „ულვაშფხეკია“. აი პატიოსანი კაცი: არ უნდა, რომ ცოდვაში შეიყვანოს ხალხი და ათქმევინოს: „შეგირცხვა ეგ ულვაშებიო!“ იპარსავს!.. კარგ საქმეს უშვება, დიდ ჭირს აშორებს ამას ეს ჩემი სამართებელი და უნდა კარგათაც აფასებდეს, მაგრამ ამაზედ მეტს ვერც ამის ულვაშები მძენენ.. ეჰ, რამდენი სხვადასხვა რიგი ხალხი შემოდის ჩემთან, ვინ მოსთვლის? ყველაზე რომ რამ გითხრათ, თავს მოგაწყენთ!.. მე კი გულს ვაყოლებ ხოლმე... ღმერთმა უშველოსთ... ვარ ამ ყოფაში დილიდამ საღამომდე და წლიდამ წლამდე!.. გაუმარჯოს თმას!.. სანამ ის არ გამოილევა, მეც არა მჭირია რა!..

მაგრამ, ღმერთთან სწორი სჯობს, წლეულ კი ვერ დამიდგა კარგი ალო: ჩემი მუშტრები სხვას დაემუშტრნენ!.. სხვა გამონახეს სისხლის გამღებარი. სხვაგვარად მოაპარსვიეს იმათ თავი. ახალმა დალაქებმა ჩემზედ მეტი გულმოდგინება გამოიჩინეს: თმებს თავებიც თან გააყოლეს!.. დამეკარგნენ ზოგიერთი მუშტრები საუკუნოდ და მათი



კრიჭ და ხრიშ

ჭირისუფლები კი თვით წლით; დავრჩი უსაქმურად ხელშეშლილი. ჩემმა მაკრატელმა კრიჭი გაიწყვიტა და სამართებელმა პირი შეიკრა. – „უსაქმურ კაცს ეშმაკი უსადგისებსო“ ნათქვამია. შემომიჯდა ეს წყეული მეც, შემიჩუჩხურა, შავ ნისლივით მიკმია მაცდური ფიქრები და ამიყოლია. „რაც გულადი იყო, გაწყდა ჩვენში და რაც ზურგადია, ყველა გადარჩენილა! გადარჩენილა როგორ? – ვამბობ ჩემთვის გუნებაში, – [ . . . . . . . . . . . . . . . . ][1] გაკეთდნენ... გაბედნიერდნენ... ეგენი მანგრე უნდა იყონ და მე კი ასე? რითა მჯობიან და რაში? ზურგადათ განა მე ვერ ვივარგებ თუ? არა, ხომ მაინც უსაქმურათა ვარ და მოდი, ერთი მოვთხარო თვალი მტერს. ღმერთმა ნუ ქნას, თუ მეც ტემლაკი არ ჩამოვიპოწიაკო! მაგრამ აქაურს არც კი ვიკადრებ!.. იქით გავსწევ... იქ, პირდაპირ დუნიასაკენ... [ . . . . . . . . . . . . ] დიახ, სწორეთ იქ დავეწაფები ჩემის მომავალ ბედნიერების წყაროს!“ ამის გაფიქრება და სისრულეში მოყვანა ერთი ვქენი: ვჰკარი თეძოს თავი შვილდივით გახრილ ჩემს დახლს და ყირაზედ გადავიყვანე. შევაკერვინე სხვადასხვა ხელი ტანისამოსი; მრავალფერად შევიმოსე; მაუდი სირმად გადავლობ-გადმოვლობე; შიგადაშიგ გრეხილებიც ჩავატანე. ოქრო და ვერცხლით შევსალტე სამამაცო იარაღი. წინ ხანჯალი, გვერდზედ ხმალი, უკან დამბაჩა და ხელში მათრახი!.. ჩავიხედე სარკეში – ჰაჯი მურად!.. გამეცინა. „თუ ესეც მექნა – დავიდევი მხრებზე ხელი – მაშინ? მაშინ ზუთხს პირს გაუღებ, მეკენჭია შევიქნები-თქო!“ უცბათ შემოვედი სადალაქოში: შეგირდები შეკრთენ და ფეხზედ წამომიდგენ. მიუცხოვეს. თავი ვაცანი – გაუკვირდათ. „ჯერ სადა ხართ? ზოგსაც შემდეგ ნახავთ-თქო ვუთხარი; დავარიგე, სადალაქო მათ ჩავაბარე და მე კი გამოვეშურე პეტერბურღისაკენ. იქ ერთი ჩემი მწყალობელი ბატონი მეგულებოდა და იმას მივმართე. იმედმა ფრთები გამომასხა და სიშორე აღარაფრათ ჩამიგდია.

ღამე იყო პეტერბურღში რომ შევედი; სასტუმროში ჩამოხტომა და ქვეშსაგებში ჩაგორება ერთი ვქენი. მინდოდა, რომ გზისაგან გალახულობა მალე ძილში მომეხადა... გამოვშუშებულიყავ. აქ საზოგადოთ ჩვეულებათა მქონდა, რა გვერდზედაც დავწვებოდი, დილას იმავე გვერდით წამოვდგებოდი ხოლმე და იქ კი ამერია ძილის კანონები: ჯერ არ გათენებულიყო, ისე გამომეღვიძა. მეუცხოვა; გადავბრუნდი

1 კვადრატული ფრჩხილებითა და წერტილებით აღნიშნულია ცენზურის მიერ ამოღებული ადგილები. (რედ.)

მეორე გვერდზედ და ამოვუშვი ხვრინი. არ ვიცი რამდენს ხანს მეძინა. გამოვახილე თვალი – ისევ ბნელა!.. დალახვროს ღმერთმა... ავიპლაკე გულაღმა ძალაუნებურად; ბევრი ვხუჭე თვალები, მაგრამ არა მეშველა რა. გამიტყდა ძილი. მეტი გზა აღარ იყო, მივეცი თავი ფიქრებს: „სად ვიყავ და რა ვიყავი? ვინა ვარ და სადა ვარ? სად ვიქნები და რა ვიქნები?“ – ვეკითხებოდი თავს. ამ უკანასკნელმა კითხვამ მაინც სულ გადამიყოლია! უეცრად კარებზედ მოდგნენ და დამირაკუნეს. „ვინა ხარ ამ შუაღამისას, რომ მომდგომიხარ და მაწუხებ-თქო?“ – მე გახლავარ, მსახური! ხომ არაფერი გნებავსთ, რომ დამასაქმოთო, მიპასუხა სასტუმროში მოსამსახურემ.

მე გული მომივიდა და შევნიშნე: „ცუდი ჩვეულება გქონიათ აქა-თქო!.. ვის გაუგონია გაუჭირვლათ გათენებამდი მძინარის შეწუხება-თქო? იცოდე, რომ ამიერიდამ სანამ მზე არ ამოვიდეს, ჩემთან არ შემოხვიდე-თქო!“ მსახურმა ღიმილით მითხრა: „ჩარჩენილხართ მთელი ზამთარი მაისამდე ქვეშსაგებში და ეგ არისო!..“ გამოდგა, რომ იმ დასაქცევ ქვეყანაში ზამთარ დღე არ ცოდნია და ზაფხულ ღამე. და მე კი დილის ლოდინში დღენახევარი მძინებია. რა ვიცოდი?! წამოვხტი ზეზე, უცბათ ხელ-პირი დავიბანე, მოვირთ-მოვიკაზმე და გამოვიხედე გარეთ. ერიჰა!.. რა საჭირო ყოფილა პეტერბურღში დღე?! თურმე მზეც სირცხვილით ველარა ჰყოფს თავს! უთვალავი ფარნებისაგან ისე განათებულია ქალაქი, რომ ქუჩაზედ ნემსი დაინახება. – გავიარ-გამოვიარე, იქით მივიხედე, აქეთ მოვიხედე... ვაი ამ ჩემს თავს, რა შემთხვევა დამიკარგავს!.. ჩხუბი აქ ყოფილა, კიდეც გათავებულა და მე კი გამომპარვია. კიდეც მიტომ ჩამესმა ძილში ზარბაზნის ხმა! ვხედავ, ამდენი მკვდრები და დაჭრილები ჰყრიან; ზოგი მიაქვსთ, ზოგი ისევ აგდია, ზოგი ახლად ეცემა. –

მივედი პოლიციის მსახურთან და ვჰკითხე: „ეს რა ამბავია-თქო?“ იმან ჩესტი გამიკეთა, გამომეჭიმა და შეშინებულის ხმით მითხრა: „ჩვენი ბრალი არ გახლავსთ, ვერ აუთავდით ამდენსაო! ორჯერ-სამჯერ ავკრიფეთ და ახლა კიდევ ახალ-ახლები ეცემიანო“. ამას თავი დავანებე, ვერა გავიგე რა მისგან, და იქვე მისი უფროსი იდგა, იმასთან მივედი და იმასა ვკითხე. იმან სიცილით მითხრა: „თქვენო ბრწყინვალებავ! (ეტყობა, რომ იმანაცა და მისმა ხელქვეითმაც ვიღაც ნაცნობ თავადიშვილათ მიმიღეს, თორემ ბრწყინვალებას რათ მეტყოდნენ?) სჩანს, რომ პირველად ბრძანდებით ამ სატახტო ქალაქშიო! ესენი მთვრალები არიანო!.. ამისთანა სანახავს ყოველთვის ნახავთ აქ, მაგრამ დღეს მომეტებულია, რადგანც საუფლო დღეა





და დიდი დღესასწაულიაო!“ ჰმ... შევიტყვე! ბარაქალა, რომ მტკიცეთ შეუნახავთ ქრისტიანობა: თაყვანობენ და მეტანიაობენ!.. ბევრი რამ უცხო სანახავი ვნახე და კიდევ ვნახავდი, რომ დამცლოდა, მაგრამ კუჭმა გულს უპწკინა, გულმა მადა გამოაღვიძა და მადამ კი შინისაკენ გამაქანა. გზაზედ იზვოზჩიკები დამიხვდნენ და მომაძახეს: „თქვენო ბრწყინვალებავ! თქვენო ბრწყინვალებაო!“ სადაც გავიარე მალაზიების წინ, ყველგან მიმიწვიეს: რა გნებავსთ? მობძანდით, თქვენო ბრწყინვალებაო!.. დალახვროს ღმერთმა! ილაჯი გამიწყვიტეს: წინ ბრწყინვალება, უკან ბრწყინვალება, მარჯვნივ და მარცხნივ! – მივედი სასტუმროში, მსახურები მომეგებენ და მითხრეს: „რას ინებებთ, თქვენო ბრწყინვალებაო?“ – აქ რაღაც სხვა ამბავი უნდა იყოს; აღარ ხუმრობენ-თქო, ვიფიქრე, ვიფიქრე და ჩავხვდი გონებაში: ჩემი მწყალობელი ბატონი ადრე როცა ჩვენში ბძანდებოდა, აზნაურობას დამპირდა და ახლა, აქ რომ მობძანებულა, გახსენებია; აზნაურიშვილობა აღარ უკმარებია და თავადობა გამოუტანია ჩემთვის-თქო!“ გამეხარდა და ნასადილევს პირდაპირ მივაშურე მის სადგომს.

ღმერთმა ისე თქვენ გაგახაროსთ, იმას ჩემი ნახვა იამა! ისე მიმილო, თუ გინდა, მკვდარი ვინმე ადგომოდეს. მე რომ ჩემი თავგადასავალი და გულისპასუხები მოვახსენე, ბევრი იცინა, და მიბრძანა: „აბა შენ იცი, თუ არ შეგვარცხვენ, თავს გამოიჩენ და გამოგვაჩენო! შენ ეცადე, გვასახელო და სხვა ყოლიფერი ჩემს კისერზედ იყოსო!“ ტკბილის სიტყვებითა და დიდის იმედით გამომისტუმრა. მეც სიხარულით ფეხზედ ველარ ვდგებოდი. მოვინდომე, რომ მეც თავი გამომეჩინა და წავსულიყავ იქ, სადაც . . . . . . . . . . . . . . . . dადიან,

მაგრამ, რომ არ ვიცოდი, სად ჯანდაბას?!. მიუბრუნდი იზვოზჩიკს და ვუთხარი: „შეგიძლია იქ წამიყვანო, სადაც... დადიან-თქო?!“ „დიდის სიამოვნებით, თქვენო ბრწყინვალებაო,“ – მითხრა, ჩამისვა მარხილში და გამაქანა. რამდენიმე წამის შემდეგ ერთს მიყრუებულ ქუჩაში შემიყვანა და დიდებულად გაჩაღებულ სახლის წინ ამომაყოფია თავი. „იქა მიბრძანდით და მეც აქ მოგიცდით, თქვენო ბრწყინვალებაო!“ ავყევ ხავერდით მოფენილ კიბეს და შევედი ერთს დიდ ზალაში, სადაც არც შესვლას გკითხავდა კაცი და არც გამოსვლას, მუზიკა უკრავდა და გახურვებული ტანცაობა იყო. შევადგი თუ არა ფეხი, ყველამ მე მომაქცია ყურადღება და ყოველის მხრით მომცვივდნენ ქალები. ჯერ კი მეუცხოვა და გავიმაგრე თავი, მაგრამ ბოლოს, აქ რომ ეშმაკმა მაცდუნა, იმანვე შემიჩუხჩუხა და ამიყოლია, შევტოპე ქეიფში და დილის ექვს საათზედ გამოველი თავდამძიმებული

და ჯიბედამჩატებული იქედამ, სადაც წინა ღამეს თავმჩატეთ და ჯიბე მძიმეთ შევბძანდი.

სადგომზედ რომ დავბრუნდი და ჩავწექი ქვეშსაგებში, მელიას ზღაპარი მომაგონდა: „ვითომ სანათლოს რომ წაცუნცულდა, ყველის ქვევრს თავი მოხადა, და რომ ჰკითხეს: „ნათლულს რა დაარქვიო?“ – „თავხადიაო!“ ჩემს ახალ ნათლულს, ჩემს ჯიბესაც „თავხადია“ დაერქვა. მეწყინა და ალთქმა დავდევ, მეტათ აღარ გავბრიყვდე-თქო, ამ ფიქრით ჩამეძინა. – როცა აქ დასაძინებლად ვწვებოდი ხოლმე, იქ სწორეთ იმ დროს გამომეღვიძა, მაგრამ აღარ გამკვირვებია, რადგანაც შეტყობილი მქონდა, რომ იქაური წაღმა აქაური უკუღმაა.

რომ გამოვფხიზლდი და გუნებაზედ მოველი, დამავიწყდა ალთქმა, ამტკივდა საქეიფოთ მუცელი და გავეშურე ახლა სხვაგან; გუშინდელს დღევანდელი სჯობდა, უფრო პატიოსნური იყო, „სობრანიააო“ მითხრეს. იქ დიდი პატივი მცეს, კარგათ მიმიღეს, გამეცვნენ და ერთმა ჯინჯილებიანმა ვახშმათაც დამპატიჟა და დიდი წვეულებაც გადიხადა, მაგრამ ბოლოს კი სადღაც გაქრა და ფულებიც მე გადამახდევინეს. არც ეს მიამა. დავბრუნდი შინ, მოვისვი ჯიბეზედ ხელი და მომაგონდა მელია: ჩემს ნათლულს „შუათანა“ დარქმევია!.. ჰე, კმარა ამდენი თავის გდება. აწ შაბაში-თქო!.. გადავწყვიტე გუნებაში და დავიძინე.

მესამე საღამოს გავაბაჯიჯგინე ფეხები, მივაფურთხე ეშმაკს და აღარ ვაპირებდი აღარსად წასვლას, რომ უსახელო ბარათი მომივიდა; მასკარადში მეპატიჟებოდნენ. ჯერ უარზედ დავდექი, მაგრამ ბოლოს ვიფიქრე: ფულს არ დავხარჯავ და რა მიშავს-თქო? – მასთანც ეგებ ის ჯინჯილებიანი კაცი ვნახო, მე რომ წუხელი დამპატიჟა და სადღაც გაქრა და ფულების გადახდა დაავიწყდა-თქო.

წაველი; შეველი თუ არა, ჩამომეკოწიწენ მასკები; ერთს რომ მოვიშორებდი, მეორე მოდიოდა, ასე რომ მკლავი არ გამაცივებიეს. მოვიდა ერთი მასკა და რაღაც დამიჟღურტულა ფრანციცულათ; მეც რომ თავი არ შემერცხვინა, ვუპასუხე: „ვუი, მუსიო, მადამ-თქო!“ ამის თქმა და ჩემი შურდულივით ბუფეთისკენ გაქანება ერთი იყო. ხმელი ხილი მიირთვა, ტკბილი სასმელები იგემა, მე შემომეპატიჟა და ბოლოს მითხრა: „მერსიო“ და გაქრა. – ეს რას ჰგავს-თქო? – ვფიქრობ – თვითონ დამპატიჟა და ფული კი მე უნდა გადავიხადო-თქო? რაღა გზა იყო. დავბრუნდი: მეორემ მსტაცა ხელი; იმანაც დამიფრანციცულა. მივხვდი, აქაც ბუფეთის ანგარიში იქნება-თქო და მივაძახე „ნონ, მუსიო, მადამა-თქო“, მაგრამ იმანაც ბუფეთი-





საკენ წამათრია: ბევრი ვეცადე და ვერ მოვიშორე. ოჰ, რა ცუდი ენა ყოფილა ეს ოხერი ფრანციცული: „ნონსაც“ ბუფეთისაკენ მიჰყავხარ და „ვუისაც“ და ორივე კი „ვაის“ დაგმართებს. – ჩემმა მასკამ დალია – დამალევია, ხმელი ხილი ინება – მეც მომაწოდა. „მერსი-თქო“ დავასწარი. ვიფიქრე ახლა ეს გადიხდის-თქო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, თავი დამიკრა და გაქუსლა. – ფუ!.. დალახვროს ღმერთმა!.. მართლა რომ საძაგელი ენაა: დაგასწრებს „მერსის“, შენ უნდა გადაიხადო და თუ შენ დაასწარი, მაინც შენ...... იმე!.. ამ დროს მოვიდა კიდევ ერთი მასკა და რუსულათ მითხრა: რა გინდა ბუფეთთან რომ გაჩერებულხარო? შენ თუ ყველას ასვი და აჭამე, სულსაც აღარ შეგარჩენენო; აქ ბევრი ცუდი და ოხერი მაწანწალა ხალხიაო. მომკიდა ხელი და წამიყვანა. გამოდგა, რომ ვიღაც დიდი კაცის ქალია!.. ჩემ მწყალობელ ბატონთან რომ ვიყავი, მაშინ მოუკრავს იქ ჩემთვის თვალი, ერთბაშად მოვწონებივართ, გიჟდება ჩემთვის და მეპატიჟება თავის სახლისაკენ. – ჯერ კი ეშმაკს არ ვაჯობნიე, მაგრამ, როცა სახე მიჩვენა, მაშინ კი ჭკუას დავჰკარი ფეხი და გავყევი. სწორეთ, სასუფეველში შემიყვანა იმ ანგელოსმა. –არ ვიცი, ეშხის ბრალი იყო, თუ სხვადასხვა სასმელების, მაგრამ ისე კი დავითვერი, რომ აღარა გამეგებოდა რა.

მეორე დღეს, რომ გამომეღვიძა, ჩემს ქვეშსაგებში ვეგდე თავგატეხილი და გამიკვირდა. ვკითხე და ასე მითხრეს, რომ კიბეზედ დამტვრეულიყავითო. ქამარი, ხმალი, ხანჯალი, ქილები – აღარც ერთი შინ აღარ მომყოლია. მოვუპოტინე ხელი ჩემს ახალუხს, – ჩავყავი ჯიბეში ხელი – მისთანა შენს მტერს: ჩემს ნათლულს „ძროფხოტნია“ დარქმევია!.. მომედვა ცეცხლი: გავგიჟდებოდი, რომ მწყალობელი ბატონის იმედი არა მქონოდა. – მოვჯობინდი თუ არა, მივაშურე ჩემს მწყალობელს; ვფიქრობდი: ბევრსაც ვაცინებ და ფულებსაც გამოვართმევ-თქო. წამიხდა ანგარიშები: რომ მიველი, „შინ არ ბძანდებაო“ მითხრეს. მეორე დღეს – არ სცალიანო, მესამეს – სხვაგან ბრძანდებაო და სხვ... ასე მატარეს ორი კვირა. ამასობაში სასტუმროს ანგარიშის გასაწმენდად მომადგნენ, ვერ მივეცი – იუცხოვეს; მსახურებს რომ საჩუქრები დაუგვიანდათ, პატივი ამხადეს და ბრწყინვალებას აღარ მეძახდნენ. – არ დავიჯერებ, რომ ჯიბიდან უხილავი ძაფები არ იყოს გაყვანილი კაცის გვამში. ჩემმა წელმა იგრძნო უფულობა. თავი დაბლა დამეღუნა, მუხლებმაც მისუსტეს. მაღაზიებში აღარავინ მიწვევდა და პოლიციის მსახურები ცალყბათ მიგებდნენ პასუხს! კაცი თავადიშვილათ ვეღარა მცნობდა!.. ეს რა

ამბავია? – ვფიქრობ გუნებაში. – ან მოცემა რა იყო და ან ასე მალე ჩამორთმევა? – სხვები, უფროსიდამ დაწყებული უმცროსებამდე, ყოველდღე თვრებიან – არაფერი! და მე კი ერთის დათრობისათვის ამაღეს პატივი?! ეჰ, მე არც წყალობა მინდა და არც რისხვა-თქო. ცოტაოდენ ფულებს გამოვართმევ ჩემს „მწყალობელ ბატონს“ და გაუდგები გზას შინისკენ-თქო...

მაგრამ „უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო,“ ნათქვამია; მწყალობელი ბატონი დიდის ხნით სხვაგან წაბრძანებულიყო, როგორც მითხრეს. დავრჩი ასე უპატრონოთ და უსაზრდოთ უცხო უცხოს ქვეყანაში და ხომ მოგეხსენებათ, თუ რა არის უფულო კაცისათვის სატახტო ქალაქი? ჭინჭარში რომ იგორროთ, ისე არ დაიშუშხებით, როგორც იქ უფულობით!.. მოვინდომე წყალში გადავარდნა. გავიმეტე... სწორეთ გავიმეტე ჩემი თავი. მწუხარებამ ისე დამიბნელა თვალები, რომ ველარავის ველარა ვხედავდი. უეცრად ქართული მომესმა: „ოჰ, გამარჯობა შენი!.. როდის მოსულხარ? როგორა ხარ? სად ხარ?“ და სხვ... ამოვივლე თვალებში ხელი, შევხედე – ვიცანი. ერთი ჩვენებური კაცი იყო. მისმა დანახვამ გამომაცოცხლა. წამიყვანა სახლში, გამომკითხა გარემოება: რა საქმისთვის მოსულხარ? რას აპირებ? როგორ ივაჭრეო? და სხვანი. ველარ დავფარე! ყოველიფერი გამოტეხილი ვუთხარი. თან სწუხდა და თანაც სიცილს ვერ იჭერდა; ბოლოს მითხრა: მაგდენი სიბრიყვე ჭკუის სასწავლებლათ უნდა გეყოს და შენ აწ კი გაუდექი გზას სამშობლოსკენაო!.. გზა დამილოცა და რაღა ბევრი ხვეწნა დამჭირდებოდა... გამომისტუმრა. უკან მიუხედავათ გამოვეშურე გულმოკლული!

ჩემს სადალაქოში რომ ხელახლად თავი ამოვყავი, სულ სხვაგვარად დამიწყო გულმა ძგერა. დავხედე ჩემს მაკრატელს – პირი გაელო, თითქოს უნდოდა, რომ ეთქვა ჩემთვის: „რა მოიგე მითი, რომ მე სხვა იარაღზედ მომინდომე გამოცვლაო?..“ სამართებელი პირშეკრული დამიხვდა გაბუტულსავით! პირველი გავჩალხე, მეორე გავლესე, ვახსენე ღმერთი და შეუდექი ისევ ჩემს საქმესა. დილიდამ საღამომდე ჩემს სადალაქოში ძველებურად ისმის გაუსხლეტლად: „კრიჭ-კრიჭ! და ხრიშ-ხრიშო!“ მუშტრები მეკითხებიან: სად იყავიო? – „მოყვარეში-თქო!“ – ვეუბნები. – როგორ გაატარე დროო? „და ისემც კარგი დაგემართოს-თქო!“ მეტი რაღა მეთქმის?.. ვისაც გნებავსთ, რომ უფრო დაწვრილებით გაიგონოთ ჩემგან ეს ამბავი, ნუ დაივიწყებთ ჩემს სადალაქოს: თან თმას გაგკრეჭთ და თან მუსაიფითაც შეგაქცევთ.

[1879]





## სიყვარული, ანუ დარო და მარო

ადამიანმა რომ ღვთის „ხატება და მსგავსება“ დაჰკარგა, ყოველგვარი ციური ნიჭიც თან გადააყოლა, გარდა ერთისა და ისიც მხოლოდ დაკარგულ ნეტარების მოსაგონებლად შერჩენია. ეს ნიჭი არის სიყვარული. ბევრი რამ თქმულა, მრავალს ამბობენ და, ვინ იცის, კიდევ რამდენს იტყვიან ამ გრძნობაზე, მაგრამ ნათქვამი ვერ შეუთანხმებიათ: „სიყვარული საფუძველია ცხოვრების და ბუდე კაცთა არსებობისაო!“ ამტკიცებენ მეცნიერნი. „აღმა ფრენააო!“, „მაღლით გამსჭვალვაო!“ „თავის დავიწყებააო!“ და სხვანი ჩანგის ჟღერით გაიძახიან მგოსნები. „დიდი ცოდვააო!“ ბუტბუტებენ ფარისევლები. „უკვდავების წყაროზე დაწაფებააო!“ დაუჯინია ჭაბუკობას. „სიგიჟეაო!“ ჩიფჩიფებენ მოხუცნი. მე კი ჩემდა თავად რჯულად მიმაჩნდა და სარწმუნოებად აღვიარებდი!.. ტრფიალება ლოცვა მეგონა და გულის თქმა დიდი საიდუმლო. დღეს კი ვიცი, რომ მხოლოდ შესაყარი სნეულებაა, ხურვებასავით სახადი; მისი მკურნალი დრო არის და წამალი: „ხვევნა, კოცნა, ტლაშა-ტლუში!“ – აი რამ დამარწმუნა...

ერთსა და იმავე დროს ორს ჩავუვარდი გულში: შევუყვარდი შავგვრემანს და შემიყვარა ქერამ. ერთი მეორის თანასწორი!.. ერთმანერთის ტოლი... ძნელი საარჩევანო?!. ჩავარდი საკირეში...... ჩავდექ ორცეცხლშუა და მომედო ალი!..

„თვალტანადობა სილამაზეა, სილამაზე კი მშვენიერების მხოლოდ ნახევარი, სანამ ზედაც არ დაერთვის მოხდენილი სახის გამომეტყველება, ანუ იერი, და მოსაწონი „ტანთა-რხევა!“ ამ ზედნადებით კი ციური ნიჭია. ჩემ მზეთუნახავებს, ერთსაცა და მეორესაც, ეს მადლი მაღლით მოჰფენოდათ.

განხორციელებული თვით სიცოცხლე იყო შავგვრემანი!.. მისის ხელის შეხებით ხმელიც განედლდებაო, ეგონებოდა კაცს!.. ვაი მას, ვისაც მისი ბნელი თვალები ჯოჯოხეთურ ნაბერწკალს მიბუქ-მიაყრიდენ... სმენა, მხედველობა, გრძნობა, გონება, წარსული და მომავალი, ყველა მის წინ მისის აწმყოთი იხიბლებოდა... სხვისი არსებობა, მის არსებობაში ჩანთქმული, სანეტარო თავის არარაობას ჰგრძნობდა... ჰგრძნობდა და მით ამართლებდა მგოსნის სიტყვებს: „სიყვარული თავის დავიწყებააო!“

სულ სხვა ძლიერება ემოსა ქერას: „უკვდავების წყაროს ასხურებს მის გარეშემოსაო!“

მის ჟუჟუნა თვალებში შორეული, ხორციელად მიუწდომელი, ციური სადგური იხატებოდა, სადაც ანგელოსთა გუნდი, ხმაშეწყობილად, შეთანხმებით ყოვლის შემოქმედს „ქებათა-ქებას“ უგალობებსო!“ მის მჭვრეტელს წარსულს აწვდენდა, მომავალს უახლოებდა, ნაღველს უტკბობდა, სიტკბოებას უორკეცებდა და ამას ყოველივეს მომჯადოებელ აწმყოს ნათლის სვეტად გარს ავლებდა!.. მის სიახლოვეს კაცი ისევ პოულობდა დაკარგულ „ღვთის ხატებას“!.. ჰპოულობდა და მით ედასტურებოდა მგოსანს: „სიყვარული აღმაფრენააო!“

დიდხანს ვიტანჯებოდი... არ ვიცოდი, რომელი ამერჩია? – რომლისთვის დამესაკუთრებია გული?!. ბოლოს ვეთაყვანე ქერას და მოვიახლოვე სამოთხე... „მაგრამ სოფელი განა დიდხანს ვისმეს ახარებს?!“ ოჰ, საბრალო მიწისშვილო, რატომ შენც მაშინ არ ჰქრები, როდესაც შენი ბედნიერება თავდება?..

ორის თვით გავემგზავრე ბაქოსკენ. ეს „ცეცხლისა და ნავთის“ ქალაქი სწორედ რომ ჯოჯოხეთის ზედაპირია! – ჰაერი ნავთის სუნითა ჰყარს და მიდამო გამურულა. აქ თვით სიყვარულიც კი იკუპრება. გულმა ველარ აიტანა და ორის კვირის შემდეგ დავბრუნდი. ღამის დიდი ხანი იყო გადასული, მაგრამ „აშიყთა ჟამნი უკულმა რბიანო!“, პირდაპირ სატრფოსაკენ გავეშურე. მკრთალი ნათელი „მკვდრის მზესავით“ გამოიშუქოდა მისის სადგურიდან... ვიფიქრე: ჯერ არა სძინავს-თქო!.. რომ მივახლოვდი, გარეთ კარები ღია დამიხვდა, „დარჩენიათ-თქო!“ ვსთქვი და ფეხაკრეფით მივადექი ოთახს. საალერსო კრუტუნი შემომესმა... შევჩერდი. „ოჰ, ჩემო კარგო, რა ბედნიერი ვარ! რატომ მთელი ქვეყანაც ახლა ჩვენსავით არა სტკბება? შენ მაგრძნობინე ამ ქვეყნად ზეციური სიტკბოება!.. შენა ხარ და იქნები ამ ჩემს გულში ისე ერთადერთი, როგორც ცაზე მზე!“ ეჰ, ამას ჩემი მზეთუნახავი ამბობს! გამევლო გულში. უთუოდ მუთაქაზე ცალ-გვერდით მიყრდნობილი, თავხელიდაყვდაბჯენილი ჩემზედ ოცნებობს. შორსა ვჰგონივარ! ეს სიტყვები ჩვეულებრივია; მხოლოდ ერთი ლექსი კი შეუცვლია: „მთვარე“ „მზეზე“ გადაუტანია!.. ეტყობა მოშორებას სიყვარული გაუფიცხებია-თქო! – გრძნობა მომერია! გულმა ამიტაცა და ბურთივით შემაგდო ოთახში. შევჰკრთი!.. გავშეშდი!!. გავქვავდი!!! სატრფო მხარ-თეძოზე წამოწოლილა; მის წინ დაჩოქილია ერთი ვინმე ახალგაზდა; ერთი ხელი ხელში უჭირავს, მეორე გადუხვევია და თავი გულზე მიუდევს. ამ ქვეყნისა აღარ არიან!.. გრძნობის სიახლოვეს მათი გონება შორს





გადაუფრენია: არა ესმისთ-რა!.. ვეღარასა ჰხედვენ!!. სისხლი თავპირში მიმენთხია! გულის ძგერა ამივარდა! თვალებმა დაიელვეს და მუხლებმა კანკალი დაიწყო; სკამს მოვავლე ხელი, რომ არ წავქცეულიყავ, – გარახუნდა და მაშინ ისინიც გამოფხიზლდნენ. დაფრთხენ!.. კაცი შეშინებული წამოვარდა ზეზე, ქალი შემკრთალი წამოჯდა... ფერმა ოდნად გადაჰკრა, მაგრამ მალე მოიბრუნა გული და ალერსიანის ღიმილით მითხრა: „ოჰ, რა უდროვო დროს შემოგვესწარო! მე მინდოდა, რომ შენ არა გცოდნებოდა-რა, მაგრამ სჩანს განგებას არა ჰსურს, რომ ჩვენ შორის რამე საიდუმლო იყოსო!“ ეს მითხრა თუ არა, მიბრუნდა ყმაწვილისაკენ, ხელი მიმიშვირა და მითხრა: გთხოვ, იცნობდე ახალგაზდა დოქტორს, გულის ექიმსა!“ შევხედე ბ-ნ დოქტორს, ნაცრის ფერი ედვა, გული თვითონ გახეთქაზე ჰქონდა; ხელი ჩამოვართვი... უკანკალებდა. ვიფიქრე: ახალგაზდაა, ჯერ ვერ გავარჯიშებულა-თქო „აბა, ბატონო დოქტორო! – დაიწყო ისევ ქალმა. – აწ აქ დასამალავი და მოსარიდებელი აღარა არის-რა!.. გაათავეთ თქვენი გამოკვლევა. გასინჯეთ ბარემ დაბოლოებით და რაც შენიშნოთ, დაუფარავათ მითხარით... მოშიშარი ნუ გგონივართ! უმჯობესია, რომ კაცმა თავისი განსაცდელი წინდაწინვე იცოდესო!“ მიეყრდნო ისევ მუთაქაზე და მიადებია გულზე თავი. ექიმმაც დაკვირვებით მიაყურა... მაგრამ ის კი ორივეს დავიწყდა, რომ გული მარცხნივ არის და არა მარჯვნით, საითკენაც ის შინჯავდა.

ერთს და იმავე დროს სიცილიც მომინდა და კიდეც მეტირებოდა... გავუმაგრდი ორივეს, შევიკავე თავი: დავიდევი პირბადე და თავი ორივეს მოტყუებულათ ვუჩვენე. „სრულიად საშიში არა არისრაო! სთქვა დაბეჯითებით დოქტორმა – თავს მოუფრთხილდით! საწყენს ერიდეთ! არ გაცივდეთ!.. დაღალვით ნუ დაიღალებით! საზოგადოდ მოსვენებით ბრძანდებოდეთ და მალე გადაგივლისთ ეგ გულის ფრიალიო!“ „მადლობა ღმერთსა-თქო!“ წამოვიძახე მხიარულად, ვითომ გულდამშვიდებით და გადავედი ჩვეულებრივ საუბარზე. ასე ადვილად, ხელად დიპლომის მიღება, როგორც შევატყე, სასიამოვნოდ ურჩებოდა ახალგაზდა სტუმარს; ჩემი მზეთუნახავიც მისმავე ხერხმა გაამხიარულა და მე ჩემს თავს ძალას ვატანდი... ვიღიმოდი.

გაგძელდა საუბარი... დარომ უცბად ცალის თვალით მანიშნა: „რატომ არ მიდის ეგ ოხერი და ჩვენ თავისუფლებას არ გვაძლევსო!.. იმავე დროს შევნიშნე, რომ მეორე თვალი მეორე სტუმრისკენ იმგვარათვე შეათამაშა... ავდექი. ექიმიც წამოდგა და ორივე ერთად

გამოვეთხოვეთ. დაბლა რომ ჩამოვედით, მასპინძელმა გადმომძახა: „ქუდი! ქუდი დაგრჩათო!.. და მხოლოდ მაშინ ვიგრძენ, რომ მე მივდიოდი უქუდოთ, შევბრუნდი!.. სატრფო მომეგება ქუდით ხელში და ალერსით მითხრა: განგებ დასტოვე?!

– არა!.. მეთქი.

– რომ გააცილო, დაბრუნდი, საქმე მაქვს! — წამჩურჩულა.

– გვიან იქნება-თქო.

– მაშ ხვალ გელი!.. ნახვამდისო!..

– მშვიდობით-თქო! — მივაძახე მხიარულად, მაგრამ ჭკვიანი დარო მიმიხვდა გულის პასუხს, კილო ველარ გამოვაპარე!.. ფერმა გადაჰკრა და გაშეშდა უძრავად. ოჰ, რა საოცნებო სანახავი იყო იმ დროს!! გამოვეჩქარე. კიბის თავთან რომ მივედი, ისევ მივბრუნდი და ერთი კიდევ შევხედე: ის ისევ ისე უძრავად გაქვავებული იდგა!.. გულმოკლული რეტდასხმულივით დავექანე კიბეზე!..

ყოველი ტანჯვა ტანჯვაა, მაგრამ სინანულის ტანჯვა კი სულ სხვა ტანჯვაა! ნუთუ შავგვრემანსაც ისე დასწყდა გული, როგორც მე ქერაზე?.. ხომ საუკუნოდ დამტანჯავს და სამარადისოდ დამაწყლულებს! ახლა კი მესმის, თუ რათ მოჰშორდა ამ ქალაქს: საბრალომ ველარ აიტანა გულის ტკივილი და გადაიკარგა! გადავიდა ბათუმში! და იქ კარდაკეტილში ათენ-აღამებს, როგორც ქვრივი და მონაზონი! – ოჰ, რა დამნაშავე ვარ!.. მე უგნურმა ვინ ვისში გავცვალე? ნამდვილი უარვჰყავ და მოჩვენებულმა გამიტაცა! მაგრამ, მადლი ყოვლის შემძლებელს, ახლა კი ამეხილა თვალი!.. მივმართავ გაორკეცებულის სიყვარულით შავგვრემანს, როგორც შემცოდე, და ისიც სიამოვნებით შემინდობს!.. შეყვარებულის გულს საზღვარი არა აქვს, ზომა არ იცის, ცაზედაც უვრცესია! ის მოისმენს ჩემს აღსარებას, მალამოს დასდებს ჩემს ჭრილობას და მომიშუშებს გულის წყლულს!.. ერთხელ სიკვდილს გადარჩენილი ერთიორათ გრძნობს სიცოცხლის სიტკბოებას!.. ვსთქვი და გადავსწყვიტე... მეორე დღესვე ბათუმში ამოვჰყავი თავი. – შორს ზღვის პირად, განმარტოებულად დამდგარა, ჩემი ბრალობით გამონოზნებული, მზეთუნახავი. მივდივარ თუ მივჰფრენ? აღარა გამეგება-რა... ჩუ! ბაიათი მოისმის. ის არის!.. საკვირველია, რომ ბუნებამალხაზი ადამიანი ჭირშიაც მხიარულობს!.. შევეპარები, რომ ჰანგი არ გავაწყვეტიო. რა მშვენიერათ მოურთავს ოთახი! სწორეთ სამოთხის ბაღია! თვითონაც გადამჯდარა სარკმელზე, თავზე წითელი ფესი დაუხურავს, გადაჰყურებს დამშვიდებულ ზღვას და გადაჰჭიკჭიკებს. რა





ჰშვენის ეს უცხო მორთულობა!.. სწორეთ სამოთხის მზეთუნახავია, მაჰმადის დასახელებული!.. დამინახა და შემომკივლა! შემომცინა და ტანში ჟრუანტელმა დამიარა... დაძმურად გადავეხვიეთ ერთმანეთს. „რამ მოგიყვანა და რამ მოგაგონა ჩემი თავიო? – „წარსულმა უბედურობამ და მომავალმა ბედნიერებამ-თქო!“ ძლივს წარმოვსთქვი სულშეგუბებულმა. ტახტზე დაჯდა ჩემი იმედი და გვერდით მომისვა, უზომოთ აღელვებული. მე გულახსნილად ვეუბნებოდი ჩემ თავგადასავალს – ის თანაგრძნობით მისმენდა და მით მამხნევებდა. რომ გავათავე, გაიღიმა და მომხიბლავის ხმით მითხრა:

– ერთჯერ გაგონილა შობა! – ერთხელ თქმულა სიკვდილი!.. ერთხელ იბადა სიყვარულიც! პირველად შენ დანერგე ის ჩემ გულში და განა მიტომ, რომ გაგეხარებია?! აბა!.. შენით მომეწამლა გრძნობა, შენ დამიშხამე გული უარის ყოფით!.. მაგრამ სხვა ღონე შენ ხელთ არ იყო. ვინ იცის, რამდენი დაწყლულებულა ჩემგანაც ჩემდა უნებურადვე. უკუღმართია ეს სოფელი!.. გატეხა ადვილია, გამთელება – კი ძნელი!.. დაწყლულებას ერთი წამიც ეყოფა, მოშუშებას კი დრო ეჭირვება, – უდროვოთ გატეხილია ჩემი გულიც. საშინელია, როდესაც კაცის გულში ორი სხვადასხვაგვარი გრძნობა, ერთსა და იმავე დროს ერთი მეორეს ებრძვიან, ეცილებიან!

– მეც ამ ორჭოფობამ დამისუსტა გული... წეღან, შენ რომ შემომესწარ, მე როგორც ახალგაზდა, სიცოცხლის მონატრული და სამხიარულოდ დაასაკებული, ვმღეროდი! – როგორც ცოცხალმკვდარი, უიმედო სიყვარულის მსხვერპლი, იმავე დროს ცრემლებს ვაფრქვევდი!.. ოჰ, ბევრჯელ მომსვლია ფიქრად, რომ გადავშვებულიყავ ამ სარკმლიდან და აშფოთებულ ზღვის ძლიერ ტალღებში ჩამენთქა საუკუნოდ, ერთად შენ სიყვარულთან ჩემი თავიც!.. მადლობა ყოვლის შემბრალებელს, რომ შენ თავსვე მიგზავნის მკურნალად! ამიერიდგან შენ შემოგევლოს ჩემი თავიო, — ჩამკვნესა და მომინდომა მოხვევა!.. ვიღაც მოდგა გარედან კარებზე... მარო კურდღელივით გახტა განზე და გასწორდა. – კარები შემოაღო და მედიდურად შემობრძანდა ვიღაც მშვენიერი თვალ-ტანადი უცხო სტუმარი! ქალი შეკრთა, შეშინდა... და ხმის კანკალით მიაძახა:

– ეს ჩემი ბიძაშვილია!

სტუმარმა სალამი მომცა და ცივად მითხრა:

– აღა-ეფენდი გახლავარო!

– ჩემო ნათლიმამავ! დღეს აკი ტრაპიზონში უნდა წასულიყავო? ძალდატანებულის ღიმილით ჰკითხა მარომ.

– მივდიოდი და აღარ წავედიო! – მიუგო თითქოს მუქარით.

ჩამოვარდა სიჩუმე. დადგა „სულელთა ჟამი“. ჩვენ ჩვენ გუნებაზე აღარ ვიყავით: მე რაღაცა იჭვმა შიგ გულში გამჰკრა, გამისისინა!.. მარო თითქმის კანკალებდა და ალა-ეფენდი კი სიბრაზით თვალებს აბრიალებდა. – ბოლოს რაღაც დაანიშნა მასპინძელმა სტუმარს... იმანაც ორჯერ-სამჯერ თავი გააქნია, გაიღიმა, ულვაშები გადაიგრიხა და ხმა გაიწმინდა... ჩაახველა. ეტყობოდა, რომ გული მოუბრუნდა!.. ჩემი შავგვრემანაც ჩვეულებრივად გახალისდა, ახითხითდა, ატიკტიკდა, გაგვაცინა და მეც ამიყოლია.

გაიმართა ჯეროვანი მუსაიფი. ცოტას ხნის შემდეგ მე წასვლა დავაპირე. მასპინძელმა კარზე გამაცილა და გზაზე წამჩურჩულა: ამ შეჩვენებულმა ისე შემაშინა, რომ ჯერ კიდევ გული ვერ მომიბრუნებიაო... ამაღამ გელიო! მე გარეთ ეს მითხრა, მაგრამ შინ რომ შებრუნდა, იმ მეორე სტუმარს რაღა უთხრა, ის კი აღარ ვიცი. დიდხანს აღარც იმას დაუცდია: ჯერ კიდევ შუა გზა არა მქონდა გავლილი, რომ ალა-ეფენდი მომეწია და დამიწყო მუსაიფი:

– მე თქვენ კარგად გიცნობთო!

– მე არსად შემხვედრიხართ-თქო? – გავიკვირე.

– არც მე მინახვიხართ დღემდი, მაგრამ სურათი მინახავს და გიცანით.

– სურათი?

– დიახ, ხანუმსა აქვს.

– ხანუმს! ვინ ხანუმია?

– ჰო, მარო-ხანუმ!

– ჰმ...

– ის მართლა თქვენი ბიძაშვილია?

– უფრო მახლობელიც.

– და?

– დაზედაც უძვირფასესი.

– შვილი ხომ არა?

– შვილზედ უმეტესი.

– მაშ დედა ხომ არ იქნება?

– იმაზედაც მეტი: სატრფო!

– სატრფოო! – უცბათ წამოიძახა და სახე აენთო. თვალებიც გაუსისხლიანდა. დიდხანს ხმა ველარ ამოიღო.

– დიდი ხანია? – ძლივს მკითხა.

– გუშინდელს აქეთ.





– მანამდი?

– სხვას ვეტრფოდი.

– გუშინ... გუშინ... დაგი... ახლოვა?..

– მაშინ ხომ სატრფო აღარ იქნებოდა!.. საყვარელი გახლდებოდა!

– მაშ არ უყვარხარ.

– ვითომ რატომაო?

– მიტომ, რომ ჩემი საყვარელია! მიტომ, რომ მე ის ექვსი წელიწადია მიყვარს და ვერავის დავუთმობ! ჩემი გულის თქმაა! ჩემი სულის დგმაა! დიაღ!.. ის ჩემს მეტს ვერავის შეიყვარებს!.. მე ვერავისზე გამცვლის. შენ იმას თავს აბეზრებ... სძულხარ!.. აი ახლაც მეფიცებოდა – შემომჩიოდა! რა გინდა მისგან? ჩამოეთხოვე, თვარა ან შენ და ან მე, გესმის! ან შენ და ან მე!.. სისხლს ნუ დამანთხევინებ! სისხლს!.. – ღრიალებდა ბრაზმოსული, გახელებული აშიყი!..

ვაის გაყრილი უის შევეყარე. ბედმა სევდის ზღვაში შემაცურა!..

აღარ ვიცოდი რა მექნა? აქვე დავკვდომოდი დედამიწას, თუ ზღვაში გადავარდნილვიყავ!..

– მას შემდეგ დიდმა ხანმა გაიარა. დრომ, ამ ყოვლის მკურნალმა, ჩემს წყლულსაც მოსცხო მალამო; თუმცა გამკურნა, მაგრამ ჭრილობის ხაზი კი მაინც საუკუნოდ დამაჩნდა დაღად გულზე. დავდივარ ობლად, მიუნდობელი... შავგვრემანი რომ შემხვდება, ვიცინი; ქერას რომ შევეყრები, მეცინება! ახლა კი ვიცი, რაც ყოფილა სიყვარული! – „აღმა ფრენაო!“ ამბობს მგოსანი? არა სტყუის! უკუღმა რბენა-თქო! მოახსენეთ ჩემ მაგიერ. „თავის დავიწყებაო!“ ამტკიცებენ სხვები?

თავის მოტყუება-თქო! გადაეცით ჩემად.

მაგრამ ან კი რათ ვუგდებ მე სხვებს ყურს? „სხვისი აყოლაო, წყალში ჩაყოლაო!“ ნათქვამია. მეც თვითონ მგოსანს მეძახიან...

ჩანგიც საკუთარი მაქვს და სიმღერასაც ჩემსას ვიტყვი! ვისაც არ იამება, ნუ გაიგონებს!..

სიყვარულო, ნიჭო სრულო!
წამ-ტკბილო და ხანგრძლივ მწარე;
ჯერ აკვანო ნეტარების,
მერე კუბოვ და სამარე!

დღეს ჩემი ხარ, ხვალ სხვისი ხარ,
უგზო-უკვლოთ მოარული!
სად არს შენი დასაბამი?
ან სადა გაქვს დასასრული?

ზოგი გყვედრის, ზოგი გვედრის,
ყველას კი ჰსურს, რომ გემონოს!..
ვინ არის, რომ შენსა სიტკბოს
სიცოცხლე არ შეუწონოს?

დიდის ხნობით... მაღალ გრძნობით
თუმც არავის არ ახარებ
და წამიერ სიტკბოებას
საუკუნოდ წაამწარებ,

მაგრამ მაინც ყველა გეძებს!..
ცოცხალმა ვით დაგიწუნოს?
ვინ არის, რომ იმ ერთს წამში
არ გასწირავს საუკუნოს?!

[1886]





## მტირალი დედა

### (ნამდვილი ამბავი)

I

წყლის პირად გადმომდგარია ორსართულიანი სახლი წინ ხეხილიანის ეზოთი, სადაც დილით ადრე ხალხი შეყრილა.

– ბესო! – ვეკითხები მხლებელს. – რა ამბავია?

– მისთანა თქვენს მტერს, რაც იქ იყოს!

– მომკვდარა ვინმე?

– სიკვდილმა თქვენი ჭირი წაიღოს!.. უარესიც ემართებათ: „პრისტავი“ ჩასდგომია!

– ვინა სახლობს?

– შავბედიანი!.. ღმერთმა კარგი მოგცესთ, კარგი მოსახლე ეგ იყო! ტოლ-ამხანაგებში გამოჩენილს, ვაგლახად ხელს ვერავინ წამოჰკრავდა, მაგრამ დღეს კი ასე მოუვიდა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „უბედურ კაცს ქვა ალმართში მოეწევაო“. ვიქნებოდი თავისთვის მოსვენებით!.. რა მიარბევინებდა ჯარში? არა!.. ჩაეწერა მილიციაში და თავი გადაატანა.

– მოჰკლეს?

– ჰმ!.. სიკვდილი სიკვდილს ჰქვიან; მკვდარიც ველარ იპოვნეს გამოსატანად!..

– უბედური!..

– მის ბარობაზე აღარა დარჩენილა-რა, გარდა ახალგაზა, თვეში მდგომის ცოლისა. უპატრონო ქვრივ-ოხერს ვინ არ მიეძალება? თავისიანი და სხვისი, შინაური და გარეშე, ყველა ერთად მგლებივით შემოეხვიენ. ახლანდელი დრო და სამართალი თქვენც კარგად მოგეხსენებათ. გააჩინეს აქა-იქ ყალბი საბუთები: ეს ვითომ ჩაბარებული უწყებაო, ეს დაუსწრებელი განჩინებაო, ესეც ძალაში შესული გადაწყვეტილებაო და სხვანი. ამგვარად ორასი თუმანი დაატყდა თავზე უპატრონო ქვრივს.

– მეტი აღარც შეძლება ექნებოდა?

– რა ბრძანებაა... სამი და ოთხი მაგდენი მარტო ის სახლი ღირს. ახლა მიწა, ახლა წყალი, ახლა საქონელი... სად წავა?!.

– მაშ რა უჭირს? კიდევ დარჩება.

– ცუდი დროა!.. მთელი იმერეთი რომ ას თუმნად ჩააგდოთ ტორგში, მსყიდველი არ გამოჩნდება... მოვალე წაიღებს...

– მივიდეთ, ერთი ვნახოთ, რა ამბავია!

რომ მივედით, ვაჭრობა თითქმის თავდებოდა. „პეტ რუბ ადინ შაურ! ჰყვიროდა დამფასებელი. „პეტ და ადინ აბაზუ“ – წამოიძახა ვიღაცამ.

– „პეტ რუბ და ადინ აბაზუ!“ გაიმეორა დამფასებელმა. – რაზ!

პეტ რუბ ადინ აბაზუ! დვა! ხტო ბოლში?

პეტ რუბ, ადინ აბაზუ!.. ნიკამუ ბოლში? – ტრი! კონჩალ ბაზააარ!.. დაჰკრა კვერი და მსუქანი ძროხა ჩააბარეს იქვე მდგომ მოვალეს. ის იყო ერთი ეხლანდელ გმირთაგანი, რომელნიც თავისთავად ვერც კაცს მოჰკვლენ, ვერც ავაზაკობას გაბედვენ, ვერც ქურდობას მოახერხებენ, მაგრამ კანონის ძალით კი ყოველგვარ უკანონობას ჩადიან და ყოველი სიცუდე მათის ხელიდან გამოდის. საქონელი საქონელზე, ნივთი ნივთზე, ერთი მეორეზე გადიოდა სულ ამ „კრედიტორის“ ხელში. ასის თუმნის საღირალი რამ თვითო გროშად იყო დაფასებული. „ამგვარი დაფასება განა შესაძლებელია-მეთქი?“ ვკითხე პრისტავს და იმანაც ცივად მიპასუხა: „ეგ ჩემი საქმე არ არისო. კრედიტორს ნება აქვს ისე დააფასოს, როგორც უნდა!.. თუ მეტად ეღირება, სხვები მოუმატებენ ტორგშიო“.

– დალოცვილო! იცით, რომ ფულის სიძვირეა და ვერავინ შეგეცილებათ... წამოიძახა ვიღაც მოხუცმა და მომიბრუნდა: არ დაიჯერებთ, რომ ეს აუარებელი ყოფა-ცხოვრება სულ ას თუმანში დაირჩინა ამ მოვალემ?!.. ახლა რაღა უნდა ქნას იმ უბედურმა? ხომ უმოწყალოდ და უნუგეშოდ რჩება ქვეყანაზეო? სთქვა გულმტკივნეულად და მიმითითა სახლის პატრონისაკენ. ახალგაზდა, თვალ-ტანადი, ნაზი და ცოტათი ფერმიხდილი ქალი მოშორებით იდგა თავისთვის. ისეთ-ნაირად მიეკრა გულზე პუნტულა ბავშვი, თითქოს ეშინიან, რომ ისიც ტორგით არ გაუყიდონო!.. პატარა მემკვიდრე თავისთვის სწოვდა ძუძუს, მეორე ძუძუშიაც ხელი ჩაევლო და სიამოვნების ნიშნად ფეხის ცერს ანძრევდა. ხანდახან უეცრად უკბენდა ხოლმე დედას, დაანებებდა თავს წოვას, აიღებდა მაღლა თავს, შეხედავდა დედას თვალებში, თითქოს უნდოდა შეეტყო, ხომ არ მიჯავრდებაო, მაგრამ დედას სხვა სევდა აწვებოდა: დამფასებელის კვერი ისე ძლიერად ფიცარს არა ხვდებოდა, როგორც მის გულს. მის მშვენიერ სახეზე ცრემლები მარგალიტებივით მიგორავდნენ...

– მე სხვებსავით შეუბრალებელი არა ვარ! ყველამ იცითო... ბრძანა კრედიტორმა. აი ასის თუმნის „ლისტი“ კიდევ დარჩა მაგაზე, მაგრამ აღარ შევაწუხებ!.. თუ როდისმე ღმერთი მისცემს რამეს, მაშინ ვნახავთ და მანამდე კი რა გაეწყობა?! – მადლობა ღმერთს! ცოტა დამკარგვია?.





თუ ჩემ ნებაზე იქნება, ეგები სულაც არა გაუჭირდეს-რაო. – სთქვა და მუშტრის თვალით გადაჰხედა ქვრივს. ქალმა მიატანა თვალი, გაფითრდა და მიუგო:

– მე შენ არ გწყევლი და არც გესაყვედურები! წყევლას რომ გასავალი ჰქონდეს, რომ სიმართლე ან მაღლა და ან დაბლა კიდევ სადმე იყოს, შენ მაგრე ველარ იფარფაშებდი! მაგრამ ქვეყანა უკულმა ტრიალებს და ჩვენ, საწყლებს, რაღა გვეთქმის?!. შენ კარგად იცი, რომ იმ უბედურს ჩემს ქმარს არავისი არა მართებია-რა! მოტყუებითა და მორევით დამჩაგრე... წამართვი ყოველისფერი და საჯაროთაც დამცინი?.. წაიღე ყოველისფერი, წაიღე, ნება გაქვს. მაგრამ მანამდი არ გაიხაროს შენმა გვერდებმა, სანამდის შენ ირინეს ნამუსი ვერ იყიდო და პრისტავის შემწეობით ტორგში ვერ დაირჩინო!.. ხომ მორჩი! წადი! წადი! – მე შენი არა მინდა-რა. მაგრამ რას ვამბობ... შენ აქ დარჩები, მე, მე უნდა წავიდე აქედან, ამიერიდამ მე უნდა გამოვეთხოვო ყველაფერს!.. დიახ, მეტი რაღა გზა მაქვს, წავალ, –ვივლი უსახლკარო, ულუკმაპურო, სამოწყალოდ... მაგრამ იქ კი არა, სადაც შენისთანა ვეშაპებს ბინა აქვსთ, შორს, სხვაგან სადმე, დღიურად ვიშრომებ, ვიმათხოვრებ და ისე გამოვზრდი ამ ობოლს. ცრემლით შევაგონებ, ოხვრით ვასწავლი, რომ ამან ხელები იხმაროს მხოლოდ შენისთანა კაცების დევნაში და მით ათასი ჩემისთანა გადაარჩინოს საუკუნო ტანჯვას. შენ, შენ... აქ კიდევ ბევრი რამ უნდოდა ეთქვა გულდამწვარს, მაგრამ გული ყელში გაეჩარა და ატირდა. პრისტავი მიუბრუნდა მევალეს, „პაიდომ“ უთხრა და წაიყვანა ძმურად ხელგადახვეული. ხალხიც ნელ-ნელა დაიშალა.

***

ერთხელ პატარა ბავშმა სარეცხი შემომიტანა და დიდის ბოდიშით მითხრა:

– დედა ავად გახლდათ და იმიტომ დავაგვიანეთო!

– ვისი შვილი ხარ-მეთქი? – ვკითხე.

– ირინესიო! – მომიგო, ისეთის სითამამით, თითქოს ირინე უეჭველად ყველას უნდა სცოდნოდა, თუ ვინ იყო? ღიმილი რომ მომერია, ბავშმა შემნიშნა და სიტყვის გამოსასწორებლად სთქვა: მე მეგონა, თუ იცნობდითო. დედაჩემს ყველა იცნობს, რადგანაც ერთი უკეთესი მრეცხელთაგანიაო!.. კერვაც კარგი იცის და თუ საკერავი რამ გექნებათ, ჩვენ გვიბოძეთო! – მომეწონა მისი მოსწრებული სიტყვა-პასუხი, მიხრა-მოხრა, სახის გამომეტყველება და სიმალხაზე. დავსვი სკამზე და დავიწყეთ მუსაიფი:

– მამა არა გყავს? – ვჰკითხე.
– ჯარში მოუკლავსთ! – მიპასუხა.
– ჯარში?
– დიახ, მილიციაში.
– რა გვარი ხარ?
– შავბედიანი!.. გვარს რომ შეჰფერის, მართლა მისთანა ბედისაცა ვართ! – დაამატა ამოხვნეშით.
– როგორ?
– ადრე მდიდარი ვყოფილვართ, მაგრამ ახლა კი დღიურ შრომით ვირჩენთ თავს... დედა თვარა, მე... მე რა შემიძლია, – ჯერ პატარა ვარ.
– ძალიან გიყვარს დედაშენი?
– დალოცვილო! იმის მეტი ვინა მყავს ქვეყანაზე?
– ძმები არა გყავს?
– არა, ბატონო! დედისერთა ვარ! ძუძუთა დავრჩენივარ მამას.
– მაშ, გარეშე აღარავინა გყავს, არც ჭირისუფალი, არც მცნობი, არც ნათესავი, არც მოყვარე?
– დედის მეტი არავინა. ჩვენ ორნი ვართ მარტო.
– შეძლება სულ არაფრისა გაქვთ?
– რაღა გვექნება?! დღე მრეცხაობს დედა და ღამღამობით ჰკერავს... ღვთით, როგორც არის, დღიურად გამოვდივართ!
– შენც ეხმარები?
– მე რა მოხმარება შემიძლიან? მაგდენი დროც არა მაქვს...
– შენც საქმობ რასმე?
– სასწავლებელში გახლავარ!..
– დიდი ხანია!
– მესამეში გახლავარ და მალე მეოთხეში გადავალ.
– ოჰ, მაშ მარჯვეთ ყოფილხარ და ბევრი აღარა დაგრჩენია-რა?
– კიდევ ოთხი წელიწადი და მერე... შეისვენებს საწყალი დედაჩემიც!.. ან სახემწიფოთ გამგზავნიან სადმე, ან გაკვეთილებს ვიშოვნი და დღიურ ტანჯვას გადავარჩენ.
– განა შრომა ტანჯვა არის?
– იძულებითი შრომა, აბა რა არის, თუ არ ტანჯვა?!
– ღმერთმა ხელი მოგიმართოს!.. რა ხელობა გინდა ისწავლო?
– ექიმობა! დედა კი ატვოკატობას მირჩევს, მაგრამ მე მაინც ექიმობა მიძევს გულში.
– რა აზრით!
– ერთი, რომ ულუკმაპუროდ არ დარჩება კაცი და მეორე ის, რომ დედა რომ ავად გამიხდეს, მე თვითონვე მოუვლი; თუ არა, აი, ახლა





რომ ავად იყო, ექიმის მისაცემი ფული არა გვქონდა და კიდევ კარგი, რომ ღმერთმა შეგვიბრალა.
– ამაებსეუბნები ხოლმე დედას?! და რას გეტყვის ხოლმე?
– არაფერს! ცრემლები მოერევა ხოლმე... ის სულ სტირის, როცა გვერდში მომისვამს ხოლმე. რომ მეალერსება, თავზე რომ ხელს მისვამს, რომ მკოცნის, მაშინაც კი ოხრავს!.. იცინის, მაინც ცრემლებსა ჰღვრის და არა და – მაინც, თითქოს დასველება აკლდეს მრეცხველსაო... – სთქვა და ცრემლები მოერია.
დიდსავით მოლაპარაკე ბავშვმა სწორედ გამაკვირვა და ვუთხარი, რომ ხანდახან შემოსულიყო ხოლმე ჩემთან...
ჩვენში საზოგადოდ ნიჭი, გონება და ყოველგვარი ბუნებითი სიმდიდრე იშვიათი არ არის, მაგრამ პატარა შავბედიანი კი მაინც რჩეულთაგანი იყო. შევიტყე, რომ სასწავლებელში ის პირველ მოსწავლეთ ითვლებოდა და ყველას საყვარელიც იყო. სწორე მოგახსენოთ, მეც მისი დიდი იმედი მქონდა და მისგან სამერმისოდ ბევრს გამოველოდი!.. მაგრამ ხშირად რაც არ ჰგონია კაცს, ის მოხდება ხოლმე.

* * *

ერთხელ, საღამო იყო, რომ ირინე შემოვარდა ჩემთან გაფითრებული, კაცის ნიშან-წყალი აღარა ჰქონდა. „მიშველეთ!“ – მომაყვირა შემოსვლის უმალვე. – „მიშველეთ მე დასაქოლავს, ვიღუპებიო!“ მეც შიშით გული გადამიტრიალდა და სიჩქარით ვკითხე: რა ამბავია? შენ პატარა დიტოს ხომ არა უჭირს-რა-თქო?
– ოი, ნეტავი მუცელშივე გამწყალებოდა... ნეტავ მომკდომოდა და ეს დღე კი არ დამდგომოდა!..
– არ იტყვი მაინც, რა მოუვიდა?
– გამომიგდეს... სასწავლებლიდან გამომიგდეს, შენი ჭირიმე...
– რას ამბობ?.. ეგ შეუძლებელია?!
– გამოაგდეს და გაათავეს!.. განჩინებაც ისეთი შეუდგენიათ იმ ჩემის ცოდვით სავსეებს, რომ აღარც სხვაგან სადმე მიიღებენ. რაღა ვქნა? ახლა რაღა მეშველება? ასე რომ მცოდნოდა, ან მზარეულად სადმე გავაბარებდი, ან ხაბაზად, ან რამე ხელობაზე დავაყენებდი და იქნებოდა თავისთვის. მაგრამ მე, უბედურმა, სულ სხვა გზაზე დავაყენე. მეგონა, ღმერთი ხელს მოუმართავს და კაცად გამომგვრის-თქო და ახლა რა მომივიდა ეს, თქვენი ჭირიმეთ?!. რა მემართება!.. შუა გზიდან წყალში გადამივარდა... გაღმა გასვლის ნებას არ აძლევენ და გამოღმაც ველარ ბრუნდება!.. მეღუპება!.. მეხრჩობა!.. უი! უი!

შვილო! უი! შენს გამწარებულ დედასო! – გაჰკიოდა სასოწარკვეთილებამდი მიწევნილი დედა. მე რაც შემეძლო, ვანუგეშე. შევიტყობ, რა ამბავია, დახმარებითაც დაგეხმარები, თუ კი რამ მოხერხდება და ხვალ მოვალ, ყოველისფერს შეგატყობინებ-მეთქი. გავისტუმრე მტირალი ქალი და მე მართლაც გავსწიე ამბავის შესატყობლად. პატარა შავბედიანი მართლა გამოეგდოთ სასწავლებლიდან, რადგანაც იმას ერთ აღმზრდელთაგანისათვის დიდი შეურაცხყოფა მიეყენებია. არავინ არ იცოდა-კი, თუ რისთვის და რად? ყველას უკვირდა! და თვითონ ყმაწვილი კი არ ამბობდა, მხოლოდ გაწითლდებოდა ხოლმე, რომ ჰკითხავდნენ და ცრემლებსა ჰყრიდა. ცდა არ დამიკლია, მაგრამ ველარა გავაწყე-რა!.. რჩევამ თავისი გადაწყვეტილება ველარ დაშალა და ძნელიც იყო, მართალი რომ ვსთქვათ...

* * *

მეორე დღეს პირობისამებრ წავედი ირინესას. პატარა ქოხში რომ შევედი, შმორის სუნი მეცა და თითქმის სული შემეგუბა. კუთხეში სველი სარეცხი ეყარა უპატრონოდ. ირინეს ხელების კანკალი ავარდნოდა და ველარას აკეთებდა: იჯდა სკამლოგინზე ჭირისუფალივით და ოხრავდა. – შორიახლოს უჯდა დიტო და მისჩერებოდა დედას!.. შევაღე თუ არა კარები, მაშინვე წამოდგნენ ზეზე და შემომხედეს: თითქოს უნდოდათ წაეკითხათ ჩემ სახეზე, თუ როგორი მახარობელი ვიყავი? მაგრამ კარგი რომ ვერა შემატყეს რა, გაშეშდნენ – ეშინოდათ ხმის ამოღებისა... რაც ვიცოდი, გადავეცი და თანაც ნუგეში ვაძლიე, მაგრამ ვერც ერთისაგან პასუხი ველარ მივიღე. დედა დაეშვა სკამლოგინზე მომაკვდავად და შვილს თვალები აემღვრა, ტუჩები ააცმაცურა და მიიბრუნა პირი კედლისაკენ!.. სასიკვდილოდ გამზადებული ისე შესაბრალი არ არის, როგორც ისინი იყვნენ იმ დროს!.. თავრეტდასხმული გამოვარდი გარეთ...

თუ კაცი ზომიერია და ბევრს არ ეჭიდება, სიღარიბე ადვილი ასატანია, პირადად არა უშავს-რა, მაგრამ ამგვარ შემთხვევაში კი გულზედა ჰკბენს... „მდიდარი რომ ვიყო, ამ ტანჯვას სიხარულად შევცვლიდი-თქო!“ გამევლო გუნებაში, მაგრამ მეორე გულმა მითხრა: „სტყუიო!“ და მართლაც რომ ვსცდებოდი. შემწეობა განა მარტო ფულით შეიძლება? გრძნობა, გონება, სინიდისი, სურვილი, ესენი ყველა განა იგივე სიმდიდრე არ არის და ამაებით დახმარება არ შეიძლება?.. მაგრამ „სხვათა ჭირი ღობეს ჩხირიო!“ ნათქვამია... ჯერ კიდევ არ დამავიწყდება ის დღე, როცა ამ შავბედიანის ოჯახში პრისტავი იდგა და ყოფა-ცხოვრებას უწერდა, მაშინ მე იქ შემთხვევით გავიარე... ვნახე. არ მიამა, მაგრამ სხვისი სატკივარი მალე დამავიწყდა... იმაზე აღარ მიფიქრია, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა. აი ახლა ხომ მაინც ვიცი, თუ რა ბოლო მოჰყვა მაშინდელს ამბავს. ვიცი, ვინც არის ამათი უბედურების მიზეზი, მაგრამ რომ სადმე შემხვდეს, უნდა თავი დაუკრა... ხელი ჩამოვართვა და პატივი ვსცე... განა იმიტომ, რომ მე ის დიდად მესიამოვნებოდეს... არა... მხოლოდ მისთვის, რომ ის საზოგადოებაში მიღებულია... და მისი აგდება-გაბახება საზოგადოების შეურაცხყოფად ჩამეთვლება... აი, რა ვუთხრა ამ სოფლის ბრუნვას!.. და თვალიც დაუდგეს მის სამართალს! ეჰ, ვინ გაარჩიოს სწორი და მრუდე... მტყუანი და მართალი. მართლად თქმულა: „სულ ბნელა, როცა ელავსო!..“

ამაებზე რომ ვფიქრობდი, ერთი კუდაბზიკა ქალი შემხვდა და მომაძახა: „ბილეთი, ბილეთი წაიღე საქველმოქმედო მიზნიანიო!“ პასუხი არ გამიცია, მაგრამ ისეთნაირად კი შევხედე, რომ ცივად მომშორდა!..

ჰმ... ქველმოქმედებაო!.. ვიცი, რასაც ნიშნავს ჩვენში ეგ ქველმოქმედება!.. პრანჭია ქალების სცენაზე თავის გამოჩენა... ადვილი საშუალება, რომ გაზეთით მადლობა გადაუხადონ... და ფული... ფული კი, ვინ იცის, სად წავიდეს?! ნამდვილი საჭიროება კი ყოველთვის უყურადღებოდ უნდა დარჩეს ხოლმე... მაგრამ ვისი ბრალია? განა ჩვენ გულით რასმე ვაკეთებთ?... ცარიელ ენადა ვართ გადაქცეული!.. ვსცდილობთ, რომ თავი ყველას რიგიანად ვაჩვენოთ და შიგნივ, ჩვენში, გინდა „ეშმაკებმაც დაიბუდონ“, არ გვენაღვლება! დიახ!.. „სულ ბნელა, როცა ელავს...“ აბა რა ვიცით ჩვენ, როგორ იქცევიან ჩვენი შვილები და ან მათ როგორ ეპყრობიან?.. რას დავსდევთ... და რომ კიდეც მოვინდომოთ ყურის გდება, განა დრო კი გვაქვს? არა გვცალიან: ქეიფებში ვართ; მრა... ვალ... ჟამიერ! მრავალ... ჟაააამიერ! მრავალ... ჟამიერ...

* * *

„ჩემო პირველო მაისო,
გულს ვარდმა სხივი დაისო.
სიცოცხლეს შენგან მოველი,
უკვდავება ხარ ცხოველიო...“

უთქვამს ერთს პოეტს და მით გამოუხატავს მაისის მშვენიერება და მისი ძლიერი ზედმოქმედება ყოველგვარ ცხოველზე. ვინ არ იცის, რომ გაზაფხული არის ბუნების ქორწინება და მაისი კი მის თავზე დადგმული გვირგვინი?.. მაშინ ბედნიერს სიხარული უორკ-

ეცდება და უბედურს ტანჯვის ტვირთი უმსუბუქდება. იმ დროს ზაფრამორეულებიც კი გულს აყოლებენ არემარის სიტურფეს... იმართება აქა-იქ საზოგადოთაც ლხინი... და პირველის მაისის მოლხენა თითქმის კანონად არის დადებული ზოგან.

ქ-...ის საზოგადოება ერთს პირველ მაისს გავიდა ველად, რომ სამაისო ლხინი დიდებულად გადაეხადა. – მეც მათ რიცხვში ვერიე. შუადღე მოწეული იყო, რომ მივმართე დანიშნულ ადგილს. გამოვედი თუ არა ქუჩაზე, ბორკილების ჩხრიალი მომესმა; ვნახე, რომ „ვოგზალისაკენ“ მიერეკებოდნენ ტუსაღებს. მათ რიცხვში ერთი მშვენიერი, თვალ-ტანადი, ახალგაზდა პატიმარიც ერია მძიმედ დაბორკილი და უკან მოხუცი დედაკაცი მისდევდა წუწუნით... „დიტო მიჰყავთ! დიტოს ჰგზავნიან! აი დიტო!“ შეიქნა ხალხში ჩოჩქოლი. მივუახლოვდი. ახალგაზდა ტყვემ თავი მომარიდა, ჩაბალახი მიიფარა, მაგრამ მოხუცი დედაკაცი ვიცანი, ვიცანი და კინაღამ გული შემიწუხდა!.. ის იყო შავბედიანის ქვრივი და თავის ნებით თან მისდევდა დაკარგულს შვილს. თავბრუ დამეხვა. უძრავად გავშეშდი ერთს ადგილას, სანამ ორის დარბაისელის მუსაიფმა არ გამომაფხიზლა. სხვათა შორის ამ სიტყვებს მოვკარი ყური: „რა ძნელია, როდესაც სიცუდე რომელსამე ხალხს შთამომავლობიდამა აქვს გამჯდარი ძვალსა და რბილში?!. მართალი ნათქვამია, მგელი, რაც უნდა აშინაურო, მაინც ტყისკენ გაიწევსო!“ სთქვა ერთმა დინჯად... „მართალია, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს ყოველივე ხანჯლის ბრალია... დრო არის, რომ აჰხადონ იარაღიო, მიუგო მეორემ...“ „წავიდნენ, მაგათი გზაც იქითკენ არისო!..“ სთქვეს და სიამოვნების ნიშნად ხელიც გაიქნიეს.

იქ შეყოლით მე ცოტა დამაგვიანდა და რომ მოველი ამხანაგებთან, ისინი შუა სუფრაზე ისხდნენ... დამინახეს და მომაყვირეს: აააა! ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! გაუმარჯოს, ვინც მოვიდაო! მეც დავჯექი სუფრაზე, მაგრამ ფიქრები კი შავბედიანებისაკენ მიმაფრენდნენ. ლუკმა პირში აღარ ჩამდიოდა. ყველამა მკითხა მოწყენის მიზეზი, მაგრამ ჩემგან რომ პასუხი ველარ მიიღეს, ერთმა თანამედროვე ქართველ-ქალთაგანმა სთქვა: „მე ვიცი მიზეზიო: თქვენმა მზემ, „ვლიუბლონი“ გამხდარაო!..“ ამფერ, ქალო!.. მაგრამ ან კი რა ძნელი გამოსაცნობი იყო? აბა სხვა რაღა უნდა გვაფიქრებდეს ახლანდელ დროში, თუ არ სიყვარული?.. გაუმარჯოს შეყვარებულს!.. ვისაც ვინ უყვარს, მისი სადღეგრძელო იყოს.. ალავერდი!.. მრააავაააალ ჟაააამიერ! მრავალ... ჟააა... მიერ! მათი სიცოოოცხლეეეე!.. მადლობელლი ვართ! მად...ლობელლი... ბელი... ბელი... ბელლი... ვააართ!

[1886]





# ის

## I

პატრუქს თუ ზეთი არ გამოელია, თოფს წამალი და პოეტს სიყვარული, ხანი ვერც ერთს ვერას დააკლებს!.. მაგრამ ზეთს ყველა დაასხამს, თოფში ვინ არ ჩაჰყრის წამალს და ვინ არ გატენის? სიყვარული კი გულისა და სულის სიწმინდეს მოითხოვს, რაც იშვიათია!

ის დაიბადა პოეტად. ბედის მწერლებმა ცაში ანგარიში ჰქმნეს. პირველმა სიყვარულში ბედი უქადა, მეორემ – უბედურება და მესამე კი ორივეს თანახმა იყო. შეჰკრეს განაჩენი, დაბეჭდეს და დასდვეს ცხოვრების ტრაპეზზე, რომ სიკვდილამდი ვერავის გაეხსნა. იზრდებოდა ყმაწვილი, დღითიდღე სიკეთე ემატებოდა, ერთი თვის ერთი წლისას ჰგავდა, პირველი მისი სიყვარული იყო დედის შეხაფიფება და დედასაც ისე უყვარდა, რომ ძუძუს ვერ აშვებიებდა. სამი წლის იყო, რომ კიდევ სწოვდა. ერთხელ დედამ სხვების რჩევით გალესა ნაღველი ძიმწარეში, და იცხო ძუძუს თავებზე. ყმაწვილმა, რომ ძუძუ პირში ჩაიდვა, ემწარა და მიანება თავი, მაგრამ საგონებელში კი ჩავარდა: ე რა ჭირი შეჰყრია დედასო? მიეპარა მძინარს, მოჰბანა თბილი წყლით ძუძუები და ნახა, რომ სიმწარე აღარ ჰქონდა. მოუჭირა ძუძუს თავს კბილი და დაეკითხა დედას: მითხარი, რამ გაგიმწარა ძუძუებიო? დედა გამოუტყდა: ძუძუს გაშვებინება მინდოდაო! – „მაშ მომატყუეო?“ – უთხრა შვილმა ნაღვლიანი ღიმილით და დაანება თავი წოვას. იმ დღიდან მის მომცინარ სახეს შავი ღრუბელი გადაეფარა. ხმას აღარ იღებდა, მაგრამ სხვების საუბარს კი ყურს უგდებდა და ატყობდა-რა, რომ ორი წილი სიცრუე იყო. – „ნუთუ უტყუილო ცხოვრება არ შეიძლებაო?“ – ჰფიქრობდა და გაუსვა კითხვას ხელი, მაგრამ იქიდანაც ვერრას გახდა. ისე დავაშკაცდა, აემწვანა ულვაშები, დაუსქელდა ძარღვები, დაუხუჭუჭდა თმა და უელვეს თვალებმა!.. სიყვარული ეწვერებოდა, მაგრამ ის კი გაურბოდა. თუ დედაც კია იძულებული, რომ ძუძუმწოვარი შვილი მოატყუოს, სხვა ქალს როგორღა რამე დაეჯერება და მით უფრო სიყვარულიო?.. სიყვარული მიუწვდომელი უნდა იყოს, და მხოლოდ მაშინ იქნება მართალიო. გამოსახა იდეალი თვალტანადად საკვირველი და სულიერად კიდევ უკეთესი და ის შეიყვარა. როდესაც ხორციელი სიყვარული მოაწვებოდა და გული აევსებოდა, ის მას ქაღალდზე ანთხევდა, როგორც პოეტი და მით იქარვებდა ცეცხლს!.. გადიოდა ხანი: დღე დღეს მის-

დევდა, თვე თვეს მიჰყვებოდა და წელიწადს წელიწადი სცვლიდა, შემოეპარა ჭაღარა და ქვეყნიური სიყვარული კი მაინც არსად იყო!..

ერთხელ მეზობლისას მიმავალმა მგოსანმა თვალი მოჰკრა ღობის ძირას მიმჯდარ ორ ახალგაზდა ქალს. ერთი მათგანი, უფროსი, თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლისა იქმნებოდა, მაგრამ სრულიად დამწიფებული, საოცნებო რამ იყო: თვალტანადს, თითქოს ვარდისთვის მოუპარავს ფეროვნებაო!.. იის სინაზით შემკულა და ბულბულივით ჭიკჭიკებსო!.. შავი, ხუჭუჭი თმა ტევრად მხრებზე ეყრებოდა, გაღიაღებული გულ-მკერდი შუქსა ჰფენდა, აყაყაჩოებული ტუჩები ნუშივით ოდნავ გაპობოდა, საიდანაც ცელქად გამოსჭვერდენ მარგალიტი კბილები. მისი დიდროვანი შავი თვალები სამოთხის სავანედ გამოიყურებოდენ, გაიღიმებდა – ცა გაიხსნაო!.. მოიწყენდა – დედამიწა შეიკრაო!.. წამოდგა და წავიდა სახლისკენ. მისი სიარული არა ჰგავდა საზოგადო სიარულს და არც ფრენას; შუათანა იყო, თითქოს ჰაეროვან ქმნილებას ქვეყნის სიკეთე წამოეკიდებინოს და ცისკენ მიჰქონდესო... ერთხელ დამნახავი თვალს ველარ მოაშორებდა და პოეტმაც რაღაც იგრძნო!.. პირველად აუძგერდა სხვანაირად გული!!.. ღმერთო ჩემო, ამას რასა ვხედავ! ეს ხომ ჩემი იდეალია გარეგნობით. ის ხალი, მარჯვენა ლოყაზე რომ ასვია, თითქო ფარგლით შემოუხაზავს ხელოვნებას, განა ქვეყნიურის კუთვნილებაა? არა, ეს ან გრძნეულია ჩემი იდეალის სახით და ან თვით იდეალი დაბლა ქვეყნად ჩამოსულა, – სთქვა და მოინდომა დაახლოება. გადიოდა ხანი, ქალი თანდათან მაისის ვარდივით იშლებოდა, მგოსანს ჭაღარა უმრავლდებოდა. როგორც მთვარე, მზისგან მიღებულ სხივებს აყრიდეს დედამიწას, ასე მგოსანიც, სათაყვანოსგან აფრთოვანებული და გამსჭვალული უგალობდა ჭაბუკურის ძალით ქვეყანას. ამომავალმა შუა გზაში შეაჩერა ჩამავალი; თვითქმის გააქვავა ერთ ადგილას და აგრძნობია რუსთველის სიტყვები: „შორით ჭვრეტა!.. შორით ბნედა!..

## II

პატარა ყმაწვილი რომ პირველად ფეხს აიდგამს, დედის სიხარულს საზღვარი აღარა აქვს. ის მაშინ დაიმედებულია, რომ მისი ნაშობი საპყარი არ არის! მართალია, იმ საიმედო, პირველ ფეხის ადგმაზე, მისი პატარა კაცუნა სუსტია, ბარბაცობს უსწორმასწოროდ, ხან იქით ეხლება და ხან აქეთ, მაგრამ ეს საზოგადო





კანონია, მხოლოდ სიფრთხილით უნდა ყურისგდება და მერე კი, რომ წამოიზდება, ფეხებს მოიმაგრებს და სწორ სიარულს დაიწყებს. მართლაც, ცხოვრებაში რაც კი ფეხასადგმელია, ყოლიფერი ამგვარად ჰხდება და მესამოცე წლების ახალგაზდობამ რომ ფეხი აიდგა, იმასაც ასე დაემართა: ძველების გზა მიატოვა, ახალი გზით წავიდა, მაგრამ ბარბაცი კი დაიწყო უსწორმასწოროდ. ძველების გზა მიტომ დააგდეს, რომ დარწმუნებული იყვენ: ეს გზა ვერ მიგვიყვანს იმ „უკვდავების წყარომდე“, რომელიც ჩვენ უნდა მოვუპოვოთ ქვეყანასო. წავიდენ სხვა გზით. ბევრი იარეს, ცოტა იარეს და მიადგენ ორკაპალა გზას. იმ მოგზაურებში ერია მგოსანიც. იმ ორკაპალა გზასთან შეჩერდენ მოგზაურები. ერთი იმ გზათაგანი, მარჯვნივ მიმავალი გზა, რომელზედაც ეწერა „საკუჭო და საბედნიეროო“, ია-ვარდით იყო მოფენილი. მეორე, მარცხნივ მიმავალი, ზედ რომ ეწერა „საგულო და საუბედუროო“ – შამბნარითა და ეკლნარით იყო ნაღებული, ასე რომ, ერთი ბიჯის გადადგმაც კი სახიფათო იყო. აქ მოგზაურებმა დაიწყეს არჩევანი: რომელი გზით წავიდეთ, რომ „უკვდავების წყაროს“ მივადგეთო? წამოდგა წინ მოგზაურების წინამძღვარი და სთქვა: ბატონებო! „უკვდავების წყაროა“ ბედნიერების ბუდე და სად იქნება, თუ არა საბედნიერო გზის სათავეში? წავიდეთ ამ მარჯვენა გზით და არ შევცდებით! მგოსანმა უპასუხა: ნუ აჩქარდებით, ბატონებო! ჯერ მე მომისმინეთ; როგორც ზღაპრები მოგვითხრობენ, გულადი გმირები „უკვდავების წყაროს“ საძებრად რომ მიდიოდენ, დიდ განსაცდელს განიცდიდენ და ვაი-უბედურებაში ვარდებოდენ ხოლმე. ყოველი დიადი საქმე დიდ მსხვერპლს მოითხოვს. გაუჭირვლად ადვილად გასავლელი გზა სად მიგიყვანთ და რა სასარგებლოზე? მხოლოდ ხანდახან სისხლშერეული შრომის ოფლია ყოვლის შემძლებლობის გვირგვინი... და სწორედ ეს გზა, ეს მარცხენა გზა, საძნელო და საჭირბოროტო, უნდა იყოს პირდაპირ მიმყვანი „უკვდავების წყარომდი“, წავიდეთ ამ გზით და თავი ვუმსხვერპლოთ შრომას! უმეტესობას არ მოეწონა მგოსნის სიტყვა, ოცნებად ჩაუთვალეს, უჩვენეს ზურგი და დაადგენ საბედნიერო გზას. მგოსანი კი სამი-ოთხი ახალგაზდით დარჩა აქვე „საუბედურო გზის“ პირად და დრო რომ არ დაჰკარგოდათ, შეუდგა მიწის ჩუჩქნას. მემარჯვენეებმა დიდი გზა გაიარეს ხელშეუშლელად. მერე მოიხედეს უკანვე და დაინახეს შორს ჩამორჩენილი მგოსანი მისი ორიოდე ამხანაგით. სიცილ-ხარხარით დასცეს კიჟინა: აი, შენ ჩამორჩენილო ჩხირკედელავ! უგნურო, ოცნების მიმდევარო, უსარგებლოვ და უკუღმართოო! რატომ ჩვენთან არა ხარო. დასძახეს უკანასკნელად და

გაუდგენ თავის გზას. იმ დღიდან ბევრმა წყალმა ჩაიარა და ვინც კი მოდიოდა ახალ-ახალი გუნდი, სულ იმ გატკეპნილ გზაზე ადგამდა ფეხს. მით უფრო, რომ მემარჯვენეები ისე შორს წასულიყვნენ, რომ აღარც კი სჩანდნენ და მემარცხენეები იქვე ჩუჩქნიდენ მიწას. ორი-სამი ბიჭი თუ გადაედგათ სიძნელის გამო: ხან ეკალი ესობოდათ მუშაობის დროს, ხან გველი ეხვეოდათ გარსა, ხან ხვლიკი გადაუცინცილებდათ ხოლმე წინ და მაშინ იძულებული ხდებოდენ, რომ შეეჩერებინათ ხოლმე დროებით მუშაობა. გადიოდენ თვეები, თან მიჰყვებოდენ წლები და „უკვდავების წყაროზე“ არა ისმოდა რა. სწორედ ამ დროს დაბრუნდა საზღვარგარეთიდან ახალგაზდა ბეგლარ აჩაბეთელი, მომზადებული, გრძნობა-გონებით გავითარებული, ჟანღონით სავსე და სასამსახუროდ თავდადებული, გამოუდგა გულწრფელად ისიც „უკვდავების წყაროს“, რადგანაც ვერ ასცილდებოდა, მიადგა ისიც ორკაპალა გზას, ნახა მგოსანი და დაეკითხა მას: ახალთაობის გუნდი სად არისო?

– რომელი?

– როგორ თუ რომელი?

– ჩვენც ახალთაობას ვეკუთვნით!

– თქვენ?!. ორი-სამი კაცი?!!

– დიახ! და თუ იმ დიდ გუნდზე ამბობ, ასისა და ათასისაგან რომ არის შემდგარი, ისინი ამ მარჯვენა გზით წავიდენო.

გამოეთხოვა ბეგლარ და გაუდგა სიჩქარით საკუთრ გზას... მაგრამ იმ დროს ის კუჭზე არ ჰფიქრობდა, აჰყოლოდა გულს და მიეჩქარებოდა სხვებთან, რომ სხვებთან ერთად შესდგომოდა მუშაობას. წავიდა... წავიდა სიჩქარით და ორი-სამი წელიწადი აღარა ისმოდა რა ბეგლარზე მის მეტი, რომ იმ ახალგაზადა მოგზაურებში თავი ეჩინა და სახელი გათქმოდა.

ერთ სუსხიან ზამთარში იჯდა მგოსანი კარჩაკეტილ ოთახში ბუხრის წინ და თვალს ადევნებდა ალის პარპალს. უცბად კარების რაკუნი მოესმა. ვინ ხარო? დაეკითხა. – მე ვარ, ბეგლარიო! მოესმა გარედან ხმა. შემოვიდა სტუმარი, მიეგება მასპინძელი და მცირე მოკითხვის შემდეგ, მიუსხდენ ორივე ბუხარს. გახურვებული ბუხარი, ცოტა არ იყოს, იკბინებოდა, სკამები უკან დაწიეს და გააბეს საუბარი.

– საიდან გაჩენილხარ? – დაეკითხა მგოსანი.

– გზიდან დავბრუნდი. ჩამოვშორდი მოგზაურებს. ველარცა იმათ მიგუეს და ველარც მე შევეგუე მათ. ამიერიდან ჩვენში საერთო აღარა არის რა!..

– ნუთუ მართლა? – შეეკითხა ღიმილით მგოსანი. – რა მიზეზია?





– ის, რომ მე იმ გზაზე საზოგადოს ვერასა ვხედავ!.. საპირადოა და მართლა საკუჭო! მე იქ გულწრფელად და თავდადებულად ვმუშაობ, ვინ იცის რამდენი შრომა ამიტანია და სხვები კი სარგებლობდენ საზოგადო სახელით.

– მეთაურს კი მაინც მიჰყავს იმავე გზით?

– გაღმერთებული მეთაური თავალებულია! მარჯვნივ გადადგამს ფეხს, თუ მარცხნივ, სულ ერთია!.. მაინც მოუწონებენ და ვაშას მიაძახებენ მიმყოლები!

– ასე ბრმად?

– არა!.. მართალია, ბევრი ბრმაა და გულწრფელად დაჯერებული, მაგრამ უმეტესობა კი კუჭის მიმდევარია... იციან, რომ თუ იმ გზით წაჰყვენ მეთაურს, კალთაში ხელჩაკიდებული, კეთილდღეობა არ გამოელევათ: ხან ია-ვარდს ჰკონავენ და ხან საფუნდრუკოებში ლაზღანდარობენ და ბრბოს თვალში საზოგადო მოღვაწეებად ითვლებიან!.. გული გამისივა ამ საქვეყნო თვალთმაქცობამ, თუმცა მეც კეთილდღეობაში ვიყავი მათთან ერთად და პირდაპირ საფუნდრუკოში შემიყვანეს, მაგრამ ახლა, რომ გავიფიქრებ, ჩემი თავი მეზიზღება და მზად ვარ შიმშილით სული ამომხდეს, ოღონდ კი სწორი გზით ვიარო! რისი შრომა? რისი ღვაწლი? რისი „უკვდავების წყარო?“ იმათ მხოლოდ თავისი ლელო გაჰყავთ და ვითომ საზოგადოა, თვალს უხვევენ ხალხს!..

– ჰმ! დარწმუნდი იმათ მატყუარობაზე და ახლა გამოშორდი?

– გამოვშორდი.

– კი, მაგრამ ხომ იცი, რომ არ გაპატივებენ და გადაგეკიდებიან მტრად?

– ვიცი.

– იცი? მაშ როგორ უნდა აიტანო?

– ისე, როგორც შენ...

– მე? ნუ დაგავიწყდება, რომ ის, რისაც ატანა მე შემიძლია, შენთვის მოუხერხებელია! მე ჭაღარაშერთული ვარ, სისხლგაგრილებული, და შენ კი ახალგაზდა... სავსე ახალგაზდურის მოთხოვნილებით! ყოველ ხანს თავის მოთხოვნილება აქვს და შენთვის ძნელია მისი ატანა, რასაც მე ავიტან. გამოცდილებით გეტყვი, რომ იმათი გადაკიდება დიდი ჭირია!..

– ასეა თუ ისე, იმათკენ მობრუნება აღარ შემიძლია, რაც უნდა დამემართოს, მე მაინც სხვა გზით უნდა წავიდე, იმ გზით, რომლითაც თქვენი პატარა გუნდი მიდის!.. თქვენთან მინდა მეც ერთად

ვიმუშავო და თუ თქვენ არ გინდებვართ ამხანაგად, მე მაინც თქვენი გზით წავალ მარტოდმარტო.

– კეთილი და პატიოსანი, ბეგლარ! მაგრამ „სიფრთხილეს თავი არა სტკივაო“ ნათქვამია, ჯერ კარგად მოიფიქრე, აწონ-გაზომე, შეისვენე და მერეც მოესწრები.

– რაღას უნდა მოვერიდო? მეც იმ იარაღით მომადგებიან, როგორც შენ?

– როგორც მე?!

– დიახ!.. იმ მთელ გუნდში ვერავინ ვნახე, რომ შენზე გულნაკლულად არ იყოს და ცუდს არ ამბობდეს. რას არ ამბობენ და პირველ ხანებში მეც მეჯერა და გერიდებოდი.

– გულწრფელად?!. გულწრფელი მტრობა სჯობია ნაანგარიშებ პირად მოყვრობას!.. განა ეთქმის იმას საზოგადო მოღვაწეობა, ვისაც საზოგადო საქმისთვის მხოლოდ მიტომ ჩაუვლია ხელი, რომ კერძო საპირადო რამ გამოიტანოს? მაგრამ ჩვენში ბრბო ამას არ უყურებს!.. მისთვის სულ ერთია!!. მოჩვენებული თუ ნამდვილი!

– შენი მგოსნობაც გულწრფელია?

– შეიძლება ბევრჯერ შევმცდარიყო, მაგრამ უგულწრფელობას ვერავინ შემწამებს. საქვეყნოდა და საშვილიშვილოდ ვდებ ქვეყნის წინ ჩემ გულში ნადებს, რომ განაგონებს არ აჰყვეს.

– ისე, როგორც შენი წუნისმდებლები... ყველა ამბობს, გაგვიგონიაო და მნახველი კი ერთიც არ შემხვდა და სოლომონ ბრძენის არაკი გამახსენდა.

– რა არაკი?

– სოლომონ ბრძენთან მივიდენ და ჰკითხეს: რამდენი მანძილია ტყუილსა და მართალს შუაო? ვერც იმან ახსნა და სხვა ბრძენებმა. მაშინ მივიდა ვიღაც უბრალო გლახა და მოახსენა: მე ავხსნი – ერთი ხელის დადებაო და დაიდო ხელი ყურსა და თვალს შუა – რასაც გაიგონებ, ტყუილია, ნუ გჯერა და რასაც შენი თვალით ნახავ, ის კი მართალიო! მე ის მაკვირვებს, რომ ქალები უფრო გულნატკენები არიან შენზე, როცა, როგორც შენი ნაწერებიდან ჩანს, შენ მათ შესახებ ყოველთვის კარგი აზრისა ყოფილხარ?

– ეგ არაფერია! ქალები უფრო თანამედროების მიმყოლი არიან და იმას ამსახურებენ გულისთქმას. ვიცი, რომ ჩემზე ისინი კარგს არას იტყვიან, მაგრამ მე კი მაინც იმათზე იმედს არ ვჰკარგავ... თუმცა დღეს, საზოგადოდ, უვარგისები არიან, როგორც ვაჟებზე უფრო ბუნებათანაზიარი, მაგრამ ჯერ კიდევ შერჩენილი აქვთ ის





სულიერი მასალა, რომელიც მათ მომავალს უქადის და მეც მათი დიდი იმედიცა მაქვს. ერთ მათგანს დღესაც ვიცნობ, რომელიც ჩემი სრული იდეალია მომავლის!.. როცა მისთანები ბევრი იქნებიან, მაშინ დადგება მკვდრეთით აღდგომა.

ბეგლარმა რაღაც გაოცებით შეხედა მგოსანს და ჰკითხა: შენ, როგორც გეტყობა, შეყვარებულიცა ხარ?!

– რა საკვირველია?! მიყვარს, როგორც დედა, და და შვილი.

– მხოლოდ?

– მხოლოდ. ხორციელი რომ რამე გულში გამვლებოდა, აღარც ასე სავსებით მეყვარებოდა! მიყვარს! და იმასაც ვუყვარვარ, როგორც მოძღვარი, მაგრამ ეს მოძღვრული სიყვარული კი არა კმარა მარტო იმ ახალგაზდასათვის. მისი ახალგაზრდა სისხლი მოითხოვს სულ სხვაგვარ სიყვარულსაც და პასუხის მიმცემს კი მე ვერავისა ვჰხედავ!.. იძულებული იქნება, გაჰყვეს ვინმე მოჩვენებულ იდეალს და გადარჯულდება... მოძღვარსაც დაივიწყებს და მოწაფესაც! ყოვლის შემძლეა ბუნების ულმობელი კანონი!.. – ესა სთქვა და კურცხალი გადმოუგორდა ღაწვებზე მგოსანს. დიდხანს ხმაამოუღებლად ისხდენ და ბოლოს შეეკითხა ფიქრებისგან გამორკვეული ბეგლარი: – ეგ შენი იდეალი, ანგრე რომ გაუმსჭვალავხარ, რასაკვირველია, პოლშელი იქნება, მამით მაინც?

– არა. განა უცხო ტომის გამიტაცებდა?! ქართველი არის. ჩვენში დაბადებული და ჩვენში გაზდილი. როგორც ეტყობა, კერასაც დიდი გავლენა ჰქონია მაზე!..

## III

ამ საუბრის შემდეგ ბევრმა ხანმა გაიარა, რომ ბეგლარზე აღარა გაგონილა რა. დიდი ხანია, ის სოფელში წავიდა დასასვენებლად. წლის ბოლოზე ჩამოვიდა ტფილისს და წავიდა მგოსნის სანახავად. აღფრთოვანებული ბეგლარი გადაეხვია მგოსანს და სიტყვა აღარ დააცალა, მიაძახა: – მართალი ხარ! გავიცანი, შენ რომ გიყვარს ის ქალი! ვნახე თუ არა, მივხვდი, ვინც იყო!!.

– ცისკარისა?!

– დიახ, სწორეთ ის!

– მერე?

– მერე, რა მერე? შემიყვარდა ისე, რომ უმისოთ სიცოცხლე აღარ შემიძლია.

– ჰმ! გაიმსჭვალე.
– მინდა, რომ შევირთო და იმასთან ერთად ხელიხელჩაკიდებულმა ვიარო საკადრისი გზით.
– აჰ! ვერ მოგსვლია კარგი სურვილი.
– რატომ?
– მიტომ, რომ ეგ შენი მოფიქრება წმინდა ეგოისტობაა! თუ სხვებსავით შენც უკუღმართობა დაიწყე, ის ქალიც გაუბედურდა და თუ შენი არ მოიშალე, ხომ იცი, რამდენი უბედურება მოგელის ცხოვრებაში და შენ რომ აიტანო, ის ვერ აიტანს!
– არა! მე ეგ ყოლიფერი წინდაწინვე ვუთხარი, მაგრამ იმან ასე მიპასუხა: მე ყველას შენ მირჩევნიხარ, ვინც უნდა იყოსო!.. მიტომ, რომ ეგ შენი გზა მომწონს და მეც მაგ გზით ვივლი შენთან ერთადო! ასატანი რაც უნდა იყოს, ავიტანო, მხოლოდ...
– მხოლოდ რაო?
– მგოსანს უნდა დავეკითხო და თუ ისიც მირჩევს, მე მზადა ვარო! ახლა შენს ხელშია ჩემი ბედიცა და უბედობაც.
– მგოსანი, სიხარულით ცრემლებმოდენილი, გადაეხვია ბეგლარს და უთხრა: თუ არ ვსცდები, ეგ თქვენი ქორწინების დღე იქნება უკეთეს დღეთაგანი მთელ ჩემ სიცოცხლეშიო!

[1891-მდე]





## სიკვდილი

### ორი მოთხრობა

I

მაშ ეს ყოფილა სიკვდილი... მეტი არაფერი!

თვალები დახუჭული მაქვს, მაგრამ ვხედავ; გული აღარ მიძგერს – და ვგრძნობ კი. გონებაც ისევ თავისავე რიგზეა. მხოლოდ სხეული დამდუნებია: ადგომა მინდა – ხელ-ფეხს ველარ ვანძრევ, ხმის ამოღება მსურს – ენა არ მემორჩილება. ჰეეე, მოდი და ირიკავე ახლა!..

მადლობა ღმერთს!.. რა გაეწყობა!.. ვნახოთ მაინც, კიდევ რაღა იქნება! – „სიკვდილი წერააო“, ამბობს ხალხი. „უმიზეზოთ მე არავის ვერჩიო“ – უთქვამს სიკვდილს – და მართალიც არის. – ჩემი სიკვდილის მიზეზი რაღა იყო? ანთება?.. ეს ანთება რამღა გამოიწვია? აბა, დავუგდოთ ყური, საზოგადოება რას ამბობს! „დაუდევარი კაცი იყო, თავის პატივი არ იცოდა, თბილათ ვერ იცვამდა, ცივ ოთახში იდგა, საზაფხულო ტანისამოსით დადიოდაო“ და სხვანი. ფიე!.. ვერ უყურებთ?!. ბრალს მევე მდებენ. ახირებული თუ გინდათ, ეს არის, თქვენმა მზემ! „ვის არ უნდა თავი მეფეთ და ცოლი დედოფლათო?!“ განა მე კი მძულდა ჩემი თავი, მაგრამ საშუალება?.. „არა, ეგ ტყუილია, მაგას რა ბევრი რამ უნდოდაო?!!“ – სარწმუნოთ გაიძახიან – „ჩვენთვის ეთქვა, ჩვენ მოვუხერხებდით მაგ საშვალებასაო!“ სტყუიან, თქვენმა მზემ! ჩემებრ საწყლებს მე თვითონ არას გამოვართმევდი, და მდიდრებისთვის რომ მიმემართა – გამკიცხავდნენ, სირცხვილში ჩამაგდებდნენ, და სირცხვილს ისევ სიკვდილი სჯობია!.. და რა აქვთ ნეტავ საბოდიშო? ან ადრე ვინ რას თხოვდა მაგათ და ან ახლა ვინ რას ესაყვედურება, რომ პირაქით მკვდარს მამტყუნებენ? ასეა ადამიანის ბუნება!.. თავისი თუ არა ეხარჯება რა, თავის გამოჩენას არაფერი ურჩევნია, კუდაბზიკობა ცხოვრების ერთი ჭახრაკთაგანია. ეჰ, რაც იყო, იყო!.. ახლა გვიანღაა ყოლიფერი. მადლობა ღმერთს, რომ ჭირისუფლები არ დამესწრენ, თვარა შეიქნებოდა ერთი ვაი-უშველებელი, ტირილ-ყვირილი, მოთქმა, თავცემა... ყველაფერი, რასაც კი უგულო ჩვეულება მოითხოვს, და ის თქვენს მტერს, რაც მე დღე დამადგებოდა! სულით დავიტანჯებოდი. ახლა კი... მაგრამ, რომ არც ახლა ვარ მოსვენებით!.. ეს აუარებელი ხალხი რომ შეკრებილა, რაო? ჩემს სიცოცხლეში არ უკითხივართ, ავათმყოფი არ უნახივართ,

და ახლა კი თავს იტეხენ. სიკვდილს შემდეგ სინანული?.. სინანული კი არა და ის კიდევ! რა ბძანებაა!.. ყველას თავ-თავისი საკუთარი გულის საფხანი რამე აქვს და მკვდარს მიზეზათ მიღებს... მამადლის.

ზოგი მხოლოდ მიტომ მოდის, დარწმუნდეს: მართლა მოვკვდი თუ არა? ზოგი ამბობს გუნებაში: ცოცხალი რომ მინახავს, – მოდი, ახლა მკვდარსაც დავხედავ, როგორიაო!“ ზოგი რას ფიქრობს და ზოგი რას! ზოგიც მარტო ფეხის ხმას აყოლია!.. საზოგადოთ კი ყველა იმ აზრისაა, რომ უკანასკნელი ვალი უნდა მოვიხადოთო.

დიდება შენ, ღმერთო! პირველი ვალი როდის ახსოვდათ, რომ ამ უკანასკნელს აღარ ივიწყებენ? მაგრამ ჩანს, რომ ეს მეორე უფრო ადვილი და გასართობი ყოფილა... ალბათ ამის მიზეზია, რომ ხალხმა თავი მოიყარა და სახლში ტევა აღარ არის... საკვირველია, რომ ხმამაღლა ლაპარაკს ველარავინ ბედავს მკვდართან... თითქოს ეშინოდესთ ჩემი!.. უკუღმა სამართალი თუ გინდათ, აბა, ეს არის!.. სიცოცხლეში არავინ მერიდებოდა, მიყვიროდენ, უსამართლობით და ცილისწამებით მაყრუებდენ, და ახლა კი მართლის თქმასაც ველარ ახერხებენ ხმამაღლა... მხოლოდ ჩურჩულობენ! დიახ, ჩურჩულობენ, მაგრამ სული ფხიზელი ყოფილა, ვერაფერს გამომაპარებენ... ყველაფერი მესმის.

– ჰეეე! ეს არის ჩვენი სიცოცხლე! მოვიდა – იცხოვრა, მოკვდა – წავიდა და გაქრაო! – სთქვა ერთმა ჭკუის კოლოფმა დიდი შეფერებით, თითქო საკვირველი რამ ეთქვას ახლათ.

– დიიიაახ! ეგ არის მსოფლიო კანონიო! – უპასუხა თავის ქნევით და თვალების გაჭყეტით მეორემ – და გაჩუმდენ. – სამწუხაროა ახლანდელი ქართველების მდგომარეობა! აი, ახლა, ეს: ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ უკუღმართათ გაატარა თავისი დღე და სოფელი! ვერც თავის თავს არგო რამე და ვერც ქვეყანას!.. შეეძლო –დაწინაურებულიყო და კაცი გამხდარიყო! ახლა კი თითქოს არც ყოფილიყოს ქვეყანაზეო! – ბრძანა ერთმა ბზბოლამ.

– მართალსა ბძანებთ, მაგრამ ეგ საზოგადო, საყოველთაო სენია დღესო, – მიუგო მეორემ და გავიდენ მეორე ოთახში. „ღმერთმა აცხონოს, მაგრამ ცუდი ენის პატრონი კი იყო: თვითონ არას გერჩოდა, მაგრამ, თუ გამოიწვევდი, ერთს მისთანას გეტყოდა, რომ გულიდან აღარ ამოგცილდებოდა!.. მაგის შიშით ხმა ველარ ამოგველო!.. ნამეტანი იყო, ნამეტანი!.. თავხედი, ბრიყვი, უზდელი, შეუპოვარი!.. ეჰ, მადლობა ღმერთს, მოვრჩით... გადავრჩითო!..“ – წაილაპარაკა ერთმა.





– რას დაფიქრებულხარო? – ეკითხება ერთი ვინმე ახალგაზდა გაჭაღარავებულ პუბლიცისტს.

– ამაზე ვფიქრობდიო, – აძლევს პასუხს და ათითებს ჩემკენ.

– მაგის ნიჭის პატრონს შეეძლო ბევრი ნაყოფი მოეტანა ჩვენი ქვეყნისთვის, და უნაყოფოთ კი ჩაიარა მაგისმა შრომამაო! ეგ სულ მისი ბრალია, რომ მე არას მიჯეროდა და თავის ნებაზე დადიოდაო.

– კაცო, შენ ჩემი სთქვი... არ დამიჯერა, არ იქნა, ვერ დავაწყებიე ჩემებურათ წერა!.. ორმოც წელიწადს წერდა და ქართული კი მაინც არ იცოდა... ვერ ისწავლა!.. თუ არ გადავასწორეთ მაგის ნაწერები, კაცს არ წაეკითხება!.. რაღაც უცნაური ენაა, იმერულიო!.. – ჩაერია მეორე.

– ეეჰ!.. ღირს კი გადასასწორებლათ? ისე არ მოიპოება აზრი მაგის ნაწერებში, როგორც ურიის სახლში მირონი! ცარიელი ღლაბუცობა და ლაზღანდარობააო!.. – დაუმატა მესამემ.

– ეგ ხომ ყველა მართალია, მაგრამ მაინც უნდა პატივით დავასაფლაოთ ქვეყნის დასანახავათ!.. მე სიტყვასაც კი ვამზადებო, – განაგრძო მეოთხემ.

– მეც! მეც! მეც!.. – გაიმეორეს სხვებმაც და გავიდენ.

– რა გშვენის ეგ შავი კაბაო! – წაუღაპარაკა ერთმა ფრანტმა ახალგაზდა ქალს.

– იჰ, რა დროსიაო? – მიუგო სიამოვნებით გაწითლებულმა ქალმა და ცბიერათ შეხედა.

– სიყვარულმა უდროობა არ იცისო! – უპასუხა ფრანტმა და გაჩუმდენ.

ამგვარი რამეები ბევრი მესმის, გულზე ვსკდები, მაგრამ სულს ხომ გული არა აქვს!!. სსსუუ!.. აგერ პატარა ბავშვიც ეკითხება დედას:

– დედიკო, ახლა ლექსებს აღალ დაწელს?

– არა, შვილო! – უპასუხებს თვალცრემლიანი დედა, – ველარ დასწერს.

– ლატომ?..

– რატომ და აქ აღარ იქნება, ფუფალასთან წავიდა.

– იქ ლას გააკეთებს?

– იქ... შეეხვეწება ფუფალას, რომ ნიკო გააბედნიერე და კარგი კაცი გამოიყვანეო!.. შენი შვამდგომელი იქნება, შვილო, და შენც ილოცე!.. შეავედრე ღმერთს!.. პირჯვარი გამოისახე!..

აი, აგერ ღვდლებიც მოდიან. პანაშვიდი უნდა იხადონ!..

გმადლობ შენ, უფალო, რომ ეს ერთი ჭირისუფალი მაინც გამჩენია აქ!.. ეტყობა, სოფლიდან არის ჩამოსული.

აი, შეიმოსენ... სანთლებს არიგებენ... ანთებენ!.. – მამაო! – მიდის ერთი ახალგაზდა ღვდელთან და ეუბნება: – მამაო, მგონი, უცხო ენაზე აპირებთ პანაშვიდის გადახდას?

– დიახ,! მაშ როგორ?

– აჰ, ნუ ინებებთ მაგას!

– კი, მაგრამ აქ ბევრი მისთანებიც არიან, რომ ქართული არ იციან.

– მე მგონია, თქვენ მკვდრისათვის იხდით პანაშვიდს და არა ცოცხლებისათვის! – აწყვეტინებს სიტყვას.

ამიგეს წესი!.. გათავდა!.. შეიქნა ჩოჩქოლი. დამიპირეს გასვენება!.. მაგრამ წამოდგა ისევ ის ახალგაზდა და ამბობს: – მოითმინეთ, ბატონებო!.. უნდა ეს ლექსი მოისმინოთ, სადაც განსვენებულის უკანასკნელი სურვილია გამოცხადებულიო! – ამოიღო და წაიკითხა:

**ანდერძი**

ოთხი ფიცარი კუბოსთვის
უბრალო, შეუმკველათა,
და ოთხი მუშაც წამლები,
რომ გამასვენონ ხელათა.

არც გვირგვინები, არც სიტყვა,
არცა რა ცერემონია,
არ მინდა!.. მოლას ანდაზა
მეც ბევრჯერ გამიგონია.

მინდა, რომ ბაღში დამმარხონ,
სადაც არ იყოს სხვა მკვდარი!..
ზაფხულმა მწვანით შემმოსოს
და თოვლს მაყრიდეს ზამთარი!..

მზე საფლავს სხივებს ტყორცნიდეს,
დაქათქათებდეს ზედ მთვარე
და ვარსკვლავები ჭიკჭიკა,
მიზნედით მოსხივ-ცისკარე.





დილ-დილით გასაღვიძებლათ
შაშვმა მისტვინოს ზევსური,
რომ მის მაღალბან-სალამურს
სიკვდილმაც დაუგდოს ყური.

სალამოს ვარდის ჩიტუნამ
ჩასკვნით ჩამკვნესოს „ნანინა“,
იქვე მახლობლათ ბუჩქებზე
მას აერჩიოს რა ბინა!..

და ამდენ ნატვრის გვირგვინათ
ერთსაც დავსახავ სხვა რამეს:
კავშირსა სიკვდილ-სიცოცხლის,
ორივე სოფლის სიამეს!..

ის მირჩევნია ძვირფას ძეგლს,
ყოველგვარ სანახაობას,
რომ იქ უქმე-დღე ვხედავდე
მოზარდულ ქართველ თაობას!..

იქ თამაშობდეს, ცელქობდეს,
ეხორცებოდეს ქართველ ერს!..
თავისებურათ დამღერდეს
ძველებურ „მრავალ-ჟამიერს!“

ყველამ ყური დაუგდო. მოისმინეს და სიცილი დაიწყეს. მხოლოდ მეთაურებმა კი სთქვეს: „ახლა გვიანღა არის, მომზადებული ვართ, ხალხი ცერემონიას ელის... უცდის – და ხომ ვერ მოვატყუებთო!“ ამას რომ ყური მოვკარი, გამეცინა გუნებაში: – „არა, მეც თუ სულელი არა ვარ, სიცოცხლეში ვინ ამისრულა სურვილი, რომ სიკვდილს შემდეგ გამიგონონ-მეთქი!..“ დამავლეს ხელი და გამიტანეს.

დიდძალ ხალხს მოეყარა თავი; ქუჩები სულ გატენილი იყო, მაგრამ მწუხარება კი ვერავის შევატყვე, – ისევ ქალებს, ბავშვებს და უბრალო დაბალ ხალხს უფრო ეტყობოდათ!.. სხვები კი მოვალეობას იხთიდენ. – უფრო მეტი სეირის ხალხი იყო!.. მე მგონია, სახრჩობელაზე რომ ვინმე წაეყვანათ, მაშინაც ისევ ეს და ამდენივე ხალხი მოგროვდებოდა.

– სულ ტაატით მიმასვენებენ. – ეს გვირგვინები რაღა ოხრობაა! გაგონილა ამდენი?! სიცოცხლეში გამირბოდენ და ახლა კი უკან მომ-

დევენ?! „წმიიინდააოო ღმეეერთოო, წმიიინდააოო ძლიიიეროო!“ გალობს მოსწავლეთა გუნდი... ეს კი არა მწყინს!.. მშობლიური რამ ხვდება გულს!.. მაგრამ მაინც, ნეტავ მალე გათავდებოდეს!.. უჰ, როგორც იქნა, ძლივს არ მიმასვენეს საფლავამდის! – მადლობა ღმერთს, ახლა კი ჩამდებენ პირღია საფლავში – და მოვრჩები, მოვისვენებ!. მაგრამ რა ბძანებაა?! აქაც ერთი ჭირი... უარესიც მემართება: მეხვევიან გარს, გაუკეთებიათ რაღაც მაღლობი ადგილი, დგებიან ზედ ვიღაც-ვიღაცები და ასაქსაქებენ ენას!.. რას არ ამობობენ, ღმერთო ჩემო!.. „ჩაესვენა მზეო“, „დაბნელდა მთვარეო“, „მოსწყდენ ვარსკვლავებიო“ და სხვანი. ასე გატლეკაც იქნება?!. მერე ვინ ამბობს ამ სიტყვებს ასე ურცხვათ? სულ ის ხალხი, რომელსაც, სანამ ცოცხალი ვიყავი, ჩემი ლანძღვისა და ცილისწამების მეტი არაფერი გაუკეთებია!.. ჰე! ახლა კი მომასწრეს და კუდაბზიკობენ! ოჰ, რა შეურაცხყოფაა ეს ამათი ფარისევლური სიტყვები და ცბიერი ალერსი!.. ამათ უნდათ, რომ მჭერმეტყველობით თავი გამოიჩინონ და გული იჯერონ. უჰ, ძლივს არ გაათავეს!.. მადლობა ღმერთს!.. მადლობა ღმერთს!.. ახლა კი თავს მანებებენ!.. ძლივს არ გადავრჩი!..

აი, დახურეს კუბოს თავი... აჭედენ... აკაკუნებენ... ჩამიშვეს სამარეში... მიწას მაყრიან... ახლა კი მშვიდობით, ჩემო სამშობლოვ!... ვნახოთ, იქ რაღა იქნება.

II

სამარეში სულიც თან ჩამყვა – და გამიკვირდა. – ოი! ოიო! – შემომძახა ვიღაცამ, – ვინ ხარ, რომ თავზე მაწვები და ძვლებს მამტვრევო?

– თვითონ შენ ვინა ხარ, რომ მაგრე ოხრავ და კვნესი-მეთქი? – დავეკითხე მეც.

– მეე? დიდი ხნის მკვდარი!.. აქაური მიწის შვილი ნუ გგონივარ!.. ჩემისთანებზეა ნათქვამი: „სადაური სად მოკვდება, სად უთხრიან სამარესაო?..“

– როგორც ვხედავ, მაგისთანა ანდაზა ერთი მეც მერგო ახლა: „ვერიდებოდი ღოლოსო, დამხვდა სოფლისა ბოლოსო!“ მე იქ, მაღლა, მეზარებოდი, და შენ კი აქ, დაბლაც დამხვდი?

– ვინ მოგიწვია? მე აქ ჩემთვის, აგერ ოთხმოცი წელიწადია, მარტოთ-მარტო ვწევარ და არავის შეუწუხებივარ.

– ჩემი ნებით არც მე ჩამოვსულვარ! რაღა გაეწყობა, უნდა





მოვითმინოთ და ავიტანოთ ერთმანეთი; მაგრამ ეს კი უნდა მითხრა: თუ მართლა ამდენი ხნის მკვდარი ხარ, აქამდი გზა ვერ გაიგენი საიქიოსკენ?

– ვიყავი, მაგრამ არ მიმიღეს... დამაბრუნეს. შენ იქ სისხლში გასვრილხარ და არაყით გაგიბანიაო... გაწმენდა გეჭირვებაო! საკანონო დამდვეს და აქვე გამომგზავნეს. ერთი საუკუნე უნდა დავრჩე, და მერე კი უნდა გავუდგე გზას. ოცი წელიწადი კიდევ მიკლია, მაგრამ ღვთის მადლით დრო მალე გარბის.

– ღმერთმა გისმინოს და გზა მშვიდობისა მოგცეს! – მაინც რას აკეთებ ამ ქვეყნათ?

– არაფერს, დღე აქა ვწევარ და ღამე კი, დღე და ღამის გაყრიდან მამლის ყივილამდე, მაღლა დავტანტალობ, როგორც მავნე და მოჩვენება, ხალხს ვაფრთხობ და ქვეყანას ვაშინებ.

– ვერაფერი ხელობა გქონია! თუ იცი, მე რამდენ ხანს უნდა დავრჩე აქ?

– ორმოც დღეს, რომ ცოდვილ დედამიწას საუკუნოთ გამოეთხოვო; მტერსა და მოყვარეს სათითოოთ უნდა დაუარო, რომ ზოგს შენდობა მისცე და ზოგს შენვე მოსთხოვო. მაშინ გაიწმინდები და აქაური ჭუჭყი საიქიოს აღარ მიგყვებაო.

ამ საუბარში ჩვენ კიდეც შემოგვაღამდა. დღე და ღამე გაიყარა და ჩემი მეზობელი ამოძვრა მაღლა. მეც თან ამოვყევი, მაგრამ ის თავისთვის წავიდა, მე ჩემთვის.

ყველაზე უმალ მე ჩვენი სტამბისკენ გავექანე. მუშები მოწყენით დამხვდნენ: ჩემზე ჩამოეგდოთ საუბარი.

– ჰე, ახლა ხომ გეშველა? სულ იმას წუწუნობდი, იმის ხელს ვერ ვარკვევ და ბევრ დროს მაკარგვინებსო! მორჩი და მოისვენეო, – უთხრა ერთმა მეორეს.

– შე კაცო, გულის წყრომის დროს რასაც კაცი იტყვის, განა ყველა მართალია? ნეტა, ის არ მომკვდარიყო და მე შრომა ერთი ათათ მომმატებოდაო! – უპასუხა მეორემ.

– მართალს ამბობ, მე და ჩემმა ღმერთმა! მეც შემხვედრია მისი სტატიის აწყობა, გამჭირვებია ამოკითხვა. – მაგიერათ ბოლოს სიამოვნებაც მინახავსო, – დაამატა მესამემ: – ახლა კი ველარც მის სტატიას ავაწყობ და ველარც სხვასაო.

– რატომაო? – ჰკითხეს.

– რატომ და სტამბიდან გამომაგდესო. ისეთი სტატია მოიტანეს განსვენებულზე, რომ მე აწყობა შემეზიზღა და უარი ვსთქვიო. ჯერ

ვითომ ქებით იყო დაწყებული, მაგრამ ბოლოს კი ისეთი ლანძღვით თავდებოდა, რომ ქებას აქარწყლებდა და გინებას აორკეცებდაო. გამომაგდეს... რა გაეწყობა?! თუ ვიშოვნე სხვაგან ადგილი, ხომ კარგი; თუ არა და შინ გავუდგები გზას, გურიისკენ: ღომი ბევრი მეშოება და ლობიოვო, – სთქვა, ამოიხვნეშა და გაჩუმდა. მე მისმა სიტყვებმა შემაწუხა. – „ღმერთმა გიშველოს-მეთქი", გავივლე გუნებაში და გამოვედი გარეთ.

პირდაპირ ერთი რედაქციისაკენ წავედი. რედაქციაში თავი მოეყარათ ყველა თანამშრომელს. ერთი მათგანი რედაკტორის თანაშემწეს ეჩხუბებოდა: – მაშ არ დაბეჭდავთ? არა? – რა მიზეზია?

– ის, რომ ურიგობაა ახლა მაგისთანა სტატიების წერა! ისევ თბილია, ჯერ კარგათ არ გაცივებულა, და შენ კი თავზე ქვა და გუნდას აყრი, – ამას არც მტერი მოგიწონებს და არც მოყვარე.

– შენ სიცოცხლეშიც არ ყოფილხარ მაინცდამაინც წინააღმდეგი, და ახლა ხომ სულ... მომეცი ჩემი სტატია, რომ თვითონ რედაკტორს წავაკითხო.

მომწყინდა მათი ყურის გდება და შევძვერი რედაკტორის ოთახში. რედაკტორი მოწყენილი მარტოთ მარტო თავის თავს ესაუბრებოდა: „რამდენი ხანი ვიცნობდი და ჩემს დღეში მისგან პირადი წყენა არ მახსოვს. საზოგადოთაც, მართალია, ერთი მიზანი გვქონდა, მაგრამ ის სულ სხვა გზით მიდიოდა და მე სხვით. ჩემი გზა იმას არც ერთხელ არ დაუქოლავს, და მაშ რათ მძულდა? რათ მეჯავრებოდა? მაგრამ ენის მიტან-მოტანა რა საძაგლობა რამ არის! მუშას რომ გადაატანიო რამე ერთი სახლიდან მეორემდის, განა იმას გზაში მტვერი არ ეყრება და არ ჩირქიანდება? ასეთივეა გადატანილი სიტყვა სულ სხვა ფერათ გადადის და სხვა ხორცად. გონებამ ეს ყველაფერი იცის, მაგრამ გული კი უსამართლო ენის ამყოლია ეჰ, ვინ დაიჯერებს, რომ მისმა სიკვდილმა მე ასე გული მატკინაო?"

ამ დროს შემოვიდა თანამშრომელი და გადასცა სტატია. რედაკტორმა ჩამოართვა, გადაიკითხა, რამდენიმე ჰწკარი, წარბები შეჭმუხნა, გადასცა უკანვე და წყრომით უთხრა: „ამის დაბეჭდვა არ შეიძლება: შენ არ გესმის, რა დროს რა უნდა! ეს სტატია რომ დაბეჭდილიყო, მე შენ რედაქციაში არ დაგაყენებდიო". კუდამოძუებული თანამშრომელი გამოვიდა გარეთ ბუტბუტით: „მოდი და გაუგე ახლა მაგათ თავი და ბოლო! ხან ასე და ხან ისეო. ჩემ ჭირს, თუ არ დაბეჭდავენ! ჩემთვის სულ ერთია: მარჯვნივ ვიქნები, თუ მარცხნივ! – მეორე სტატიაც ხომ მზადა მაქვს ამ სტატიის წინააღმდეგი. იმას მეორე რედაქციაში წავიღებ – და სიხარულით დამიბეჭდავენო", – თქვა და გასწია.

დავედევნე მეც. რედაქციაში დიდიან-პატარიანა ყველა დიდი შეწუხებული დაგვიხვდა. ჯერ კიდევ თვალზე ცრემლი არ შეშრობოდათ. რედაკტორს კრიჭა აღარ ეხსნებოდა. თამამათ შევიდა დაწუნებული სტატიის ავტორი რედაქციაში და ღიმილით გაუშვირა ხელი რედაკტორს, მაგრამ რედაკტორმა არ ჩამოართვა და უთხრა – სხვა რომ არა იყოს რა, ორი შენი ხნის მაინცა ვარ, და მაგრე მედიდურათ რომ მიტურტურებ ხელს, როგორ არ იცი, რომ უზდელობააო?!

– მე, მე... მე სტატია მოვიტანე მიცვალებულზეო! – თქვა ცოტა შერცხვენილმა სტუმარმა.

– ქებაა, თუ გინება? – დაეკითხა რედაკტორი.

– რასაკვირველია, ქება!

– მაშ, არ შეიძლება დაბეჭდვა, წაიღეთ უკანვე. თქვენისთანა კაცების ქება-დიდება იმას სიცოცხლეშიც შეურაცხყოფათ მიაჩნდა და ახლა ხომ სულ საფლავიდან ამოღება იქნებაო!

– შერცხვენილი მწერალი გამოვიდა გარეთ, რეტდასხმულივით დადგა ქუჩაზე და ამოიხვნეშა: „ჰეეე! აღარც იქით და აღარც აქეთ!.. ახია ჩემზე: რას ვერჩოდი განსვენებულს? ერთი საწყალი ვინმე ვიყავი, მრუდი და მართალი ყველა თავში მიფაჩუნებდა; იმან პირველათ შემნიშნა, თავზე ხელი დამისვა, გზაზე დამაყენა და მე კი ყეფა-ღრენით გადავუხადე! სულ ლუკმაპურის ბრალია. ღმერთმა დასწყევლოს სიღარიბე! არც ერთხელ საკუთრათ ჩემთვის მათრახი არ გადუქნევია, მაგრამ მისი შორს გატყორცნილი შოლტი, როგორც მე, ისე ჩემისთანებს ბევრს პირდაპირ ხვდებოდა, – აი, თუ გინდა ეს, რომელიც გულიდან აღარ ამომშორდა:

რას წუწუნობს ის პატარა მურია!
ხომ არ შია და ან ხომ არ სწყურია?

ვისი არის და ან სადაურია?
ქუცი! ქუცი! კუდქიცინა მურია!

რომ არ მოდის?.. თითქოს უმადურია!
რა ყოფილა, ხედავთ, ბრიყვი მურია?!

კიდეც რო ყეფს!.. რაღაც უცნურია!
თათი, თათი, სალახანა მურია!

მისი ყეფა მხოლოთ მარტო შურია...
ვის აშინებს სასაცილო მურია?!

მაგის ხერხი – ერთი ლუკმა პურია:
გადაუგდებ – გაჩუმდება მურია.

ვინც გააძღებს, მისი შინაურია,
იმას მონებს და კუდს უქნევს მურია.

ან კი რა ქნას? ბუნებით უძლურია.
ქუცი! ქუცი! საცოდავო მურია!..

ლაქუცაა კუდქიცინა მურია,
თუ არ შია და ან არცა სწყურია.

„აი, ახლა ეს არავის არ შეეხება, მაგრამ ბევრს კი მისი სარკე გონია, და მეც გულში ისრათ მესობა. ჩანს, რომ ალბათ მეც მურია ძაღლი ვარ. ვიყო... ვიყო, ოღონდ კი თავი როგორმე გავიტანო. პატრონი ძაღლს ხან გაუჯავრდება, კარში გააგდებს – და ხან ისევ დაუძახებს და მოეფერება, ძაღლს რა უჭირს, სანამ ყეფა კი შეუძლია და კუდის ქიცინი ეჰ! წავალ ისევ ჩემს ძველ რედაქციაშიო..."

შემეზიზღა, მაგრამ მაინც შენდობა მივეცი და გავექანე „პურ-ღვინოსაკენ", რადგან ვახშმობამაც მოატანა. იქ ნაცნობები ვახშმათ ისხდენ და მე მიგონებდენ. ჩემი ნათქვამი გაიმეორეს, იცინოდენ, ხარხარებდენ და დროს ატარებდენ. ერთმა მათგანმა აავსო ჭიქა ღვინით, წაუქცია თავი და სთქვა: „ღმერთმა საუკუნო განსვენება მისცეს: სამასი მანეთი კი გაყვა ჩემი საიქიოს, მაგრამ შენდობილი იყოსო!" შევხედე თვალებში ურცხვათ მოტრაბახეს. მაგრამ რაღას ვიტყოდი, ღმერთმა ხომ იცოდა, თვითონ გამომართვა ერთხელ სამი მანეთი და აღარ დაუბრუნებია. სხვებმა, ვითომ ჩემ ნათქვამად, ანეგდოტები გაიმეორეს, მაგრამ ყველა ჩემი არ იყო, და, რაც იყო, ისიც დამახინჯებული, და „ღმერთმა შეგინდოს-მეთქი" – გავივლე გუნებაში გულნატკენმა და თავის დასამშვიდებლათ წავედი პირდა-პირ გულითად მეგობართან.

შევედი ოთახში თუ არა, ის ვნახე, რაც სიცოცხლეში მეჯავრე-ბოდა: ჩემს გულითად მეგობარს სხვა ვინმე უჯდა გვერდით და ანუგეშებდა – კარგია, კმარა, არ გშვენის მოწყენა: შენ ცოცხლებზე იფიქრე და მკვდარი ღმერთს ჩააბარე! წავიდა, მორჩა, – ხომ ველარ დააბრუნებო?





– შენ კარგათ იცი, ჩემო სიცოცხლეო, რომ მე ის შენსავით არ მყვარებია: ის მიყვარდა ისე, როგორც მახლობელი ნათესავი და შენ კი... უთხრა ალერსით ქალმა და ჩაუდვა ხელი ხელში. კაცმა ხელზე კოცნა დაუწყო. მე გული დამწყდა და, სხვა რომ ველარაფერი მოვახ-ერხე, ფანჯარაზე დავაკაკუნე. შეკრთენ, წამოცვივდნენ ზეზე, კაცი მიდგა ფენჯერს და რომ ვერაფერი დაინახა, სთქვა: – ჩიტი უნდა ყოფილიყოსო; გაბრუნდა და ისევ ალერსი დაუწყო ქალს, მე კიდევ პირვანდელზე უფრო ძალუმად მივეხალე და მივეხალე ფენჯერს. მაშინ კი მართლა დაფეთებული ქალი გულში ჩაეკრა კაცს და იმანაც გასამხნევებლათ ხელები მოხვია. ვთქვი: თუ ასე ვაფრთხე ესენი, მე სანუგეშოს ვერას ვნახავ-მეთქი; მოვსხლტი გულშეწუხებული და ისევ საფლავში ამოვყავი თავი.

ამ პირველმა დღემ ბევრი ვერაფერი მასიამოვნა. მეორე ღამეს, მესამეს, მეოთხეს... ორმოცი დღის განმავლობაში სულ დავიარე, რაც ამ ქვეყნათ ნაცნობები მყავდა. ღმერთო, რა არ ვნახე? რა არ გავიგე? მტრებიც და მოყვრებიც სულ სხვა თვალით დავინახე. ავიც და კარგიც მხოლოდ ახლა გავარჩიე. იმათ ამბავს, ერთხელაც იქნება, მოგახსენებთ... მაგრამ ახლა კი ყველას შენდობა მოვსთხოვე და გამოვეთხოვე ქვეყანას. მეორმოცე დილას მომიკითხა სულთამხ-უთავმა, შემიგდო ფრთაზე და გამაქანა საიქიოსაკენ.

## III

ამიტაცა სულთამხუთავმა და გავფრინდით!.. მთვარეს ავცილდით, ვარსკვლავებს გვერდი ავუარეთ და მივაწყდით ერთ მნათობს. „აქ არის ქართველების სავანეო!" – მითხრა ჩემმა წინამძღვარმა და შემი-ყვანა წალკოტში. ქვეყნიურ ოცნებას არ შეუძლია წარმოიდგინოს მისი სიკეთე!.. თვალგადუწვდენელ ტალავერში ტახტზე ისხდნენ ორ პირათ მეფე-დედოფლები. ყველაზე პირველი ადგილი ეჭირა კაცებში დავით აღმაშენებელს, ქალებში თამარ მეფეს. მათ მახლობლად იყვნენ ვახტანგ გორგასლანი, ორი ბაგრატი, გიორგი ბრწყინვალე და სხვანი. რიგ-რიგათ იყვენ ჩამწკრივებულნი, ღირსების გვარათ; ზოგიერთები ისე შორს იყვენ, რომ ბუზის ოდნადაც არ მოჩან-დენ... ირაკლი ვერსად შევნიშნე, და, რომ ვიკითხე, ასე მითხრეს: „სარდლების გუნდში გადასვლა ინებაო!.."

როცა მიმიყვანეს, თაყვანი ვეცი მეფეთ-მეფეს. დიდებულმა ჯერ ვინაობა გამომკითხა და მერე მიბძანა: „რათ იტკინეთ უტკივარი ან ჩვენ რათ შეგვაწუხეთო?"

პასუხი რომ მოისმინა დავით აღმაშენებელმა, ფიქრში ჩავარდა; შემდეგ მიუბრუნდა თამარს:

– დედოფალო-მეფეო! შენ, მხოლოდ შენ შეგშვენის გამოკითხო დაწვრილებით ქვეყნის ამბავი ამ ახალმოსულსო.

თამარმა ღიმილით შეხედა, თითქოს შუქი მიაფინაო, და მიუგო:

– დიდებულო მეფეთ-მეფეო! მხოლოდ ერთათ ერთი მზის ელვარება ჰფანტავს ბნელს და აყენებს დღეს, მთვარე მხოლოდ ბნელში კაშკაშობს და წყნარათ ისვრის სხივებს, იმ სხივებს, რომელიც მზისაგანვე წყალობათ მიუღია. ჩემი შუქი თქვენივე ანარეკლი ელვარებაა!

– არა, ჩემო ღირსეულო შვილიშვილო! მე, როგორც მამასახლისს, საუნჯე გარედან შემიკრებია და ოჯახში შემომიტანია; შენ, როგორც ქვეყნის შესაფერ დიასახლისს, მიგიღია, შეგინახავს, მოგივლია და სწორი თავდარიგი მიგიცია. შენ უჩემოდ და მე უშენოთ, თითო სრული არ ვიქნებოდით, ნახევარ-ნახევარი დავრჩებოდით. ისეთივე პირველობა შეგფერის მეფეთა შორის, როგორც მე, და მაშ შენი ჭირნახული ქვეყნის ამბავი შენვე გამოკითხეო.

– უმჯობესია, ჩემო მწყალობელო, ჩვენმა კარისკაცებმა ყველამ თავ-თავის ხელობის შესახებ გამოკითხონ და ჩვენ მოვისმინოთო.

მოეწონა ეს რჩევა დავით აღმაშენებელს და გაგზავნა შიკრიკი სარდლების გუნდში: „უპირველესი მათგანი გამოცხადდესო“.

დაბრუნდა გაგზავნილი და მოახსენა: – სარდლებში დიდი უთანხმოება გახლავთ, ბატონო! პირველობას ერთი-მეორეს უთმობენ: მხარგრძელები გამრეკელს, გამრეკელი კახაბერს, კახაბერი ჭიაბერს, და ყველანი კი გიორგი სააკაძეს შეყურებენ; მაგრამ გიორგი სააკაძე შორს იჭერს თავის პირველობასო.

– თავმდაბლობა გმირთა ბუნებააო, – ბძანა აღმაშენებელმა და გაჩუმდა.

– რადგანაც ისინი ვერ შეთანხმებულან, კანონის მდებლებს მივანდოთ და იმათ გადასწყვიტონ ეგ საქმე, – ურჩია თამარმა.

წინ წამოდგენ ალბულა-ათაბაგი, გიორგი ბრწყინვალე და ვახტანგ მეექვსე: შევიდენ სარჩიელში, მაგრამ იმათშიც უთანხმოება მოხდა. ალბულას და გიორგი ბრწყინვალეს ვახტანგი არ დაეთანხმა.

– რა ამბავია? – ბძანა აღმაშენებელმა, – აქაც აღარ იშლიან ქართველები თავის იმქვეყნიურ ჩვეულებას?

– მეფეთ-მეფეო! – მოახსენა ვახტანგმა, – ესენი ასახელებენ გიორგი სააკაძეს. მართალია, ის გასაოცარი გმირი იყო და „მისი საქმენი საარაკონი“, მაგრამ მის ღვაწლს ჩრდილი ფარავს.





– არა! შემცთარი აზრია! – სთქვა გიორგი ბრწყინვალემ, – მართალია, დიდი მოურავი სპარსულ კაბას იცვამდა და თათრულ ჩალმას იხვევდა თავზე, მაგრამ ის ყოველთვის და ყოველგან მაინც ქართველი იყო, სამშობლოს სიყვარულით უძგერდა გული და მზათ იყო – სულიც შეეწირა; და, თუ მისმა ღვაწლმა უნაყოფოთ ჩაიარა, ამის მიზეზი უფრო სხვები იყვენ: მაშინ, როდესაც ის თავის ვაჟკაცი შვილებითა და მცირე გუნდით საარაკო საქმეებს ჩადიოდა, მოხმარების ნაცვლათ სხვები ხელს უშლიდნენ. თვით თეიმურაზ პირველი შტვირის გუდით კარი-კარზე დაწანწალობდა, და როცა ქართლ-კახეთს შავი დღე ადგა, ის იმერეთში „შამი-ფარვანიანს“ ლათაიობდა. არათუ ქართლ-კახეთს მიაყენა ჭირი მისმა კარდაკარ სიარულმა, თვით იმერეთიც გაირყვნა მისი დამოყვრებით. მისმა ასულმა დარეჯანმა აურ-დაურია მთელი დასავლეთი საქართველო და თითქმის სასოწარკვეთილებამდი მიიყვანა. ამისთანა დროს მეტი რაღა ექნა გიორგი სააკაძეს?! ქვეყანა მას ტყუილათ ადებს ბრალს.

– კი, მაგრამ სპარსელები ხომ იმან მოიწვია? თათრებს ხომ ის ეპატიჟებოდა? გარეგნობით ხომ შეცვლილი იყო? – იკითხა ვახტანგმა.

– მართალი არის, მაგრამ ეს სულ მოსატყუებელი მოჩვენება იყო. თვითონ შენ არ იყავი, რომ კათოლიკობა გინდოდა მიგეღო? გათათრებითაც გათათრდი, მაგრამ შენზე ეჭვი არავის შემოუტანია, ერთგულებათაც ჩაგითვალეს ეგ შენი გადასხვაფერება, იმიტომ რომ შენ მეფე იყავი, და ის კი უბრალო კაცის შვილი.

აქ დიდი უთანხმოება მოხთებოდა, რომ თამარი არ ჩარეულიყო და არ ებძანებია: „მეც თანახმა ვარ გიორგისო! მოიყვანეთ სააკაძეო!“

წინ წამოდგა სიმდაბლით სააკაძე, საოცარი და საოცნებო თვალტანადი მოურავი. შევხედე თუ არა, მაშინვე გამევლო გუნებაში: „აი, ეს ყოფილა რუსთველის ტარიელი-მეთქი!“ – მთელი მისი დღევანდელი ჩამომავლობა რომ ერთათ შევაწებოთ, მის ფეხის ფრჩხილათაც არ გამოჩნდებიან!

იმას უბძანეს, რომ გამოეკითხა ჩემთვის ქვეყნის ამბავი. ისეთი თვალით კი შემომხედა, თითქოს უნდოდა – შეეტყო, ეს ჭიაღუა საიდან მოთრეულაო და ცალყბათ მკითხა: „რასა იქმს დღევანდელი ქართველობა? ხომ ისევ ისე ძველებურათ არისო?“

– აღარ, ბატონო! თავი უწვრილდება, გული უპატარავდება და მუცელი უდიდდება-მეთქი, – ვუპასუხე.

– ჰმ! ვაჟკაცათ კიდევ ვარგან?

– რატომ არა? თავისიანზე გულდიდი გახლავან, გარეშეების კი შიში აქვთ.

– იარაღს როგორ ხმარობენ?

– ძალიან კარგათ! როცა ლხინში არიან, ძალიან გამბედავათ აძგერებენ ხოლმე ერთი-მეორეს, შინაურობაში თავს არ იზოგვენ. მაგრამ გარეშემ თუ შემოუძახა, მაშინ კი ხელის კანკალი მოუდით ხოლმე.

– მაშ, დღეს სახელგანთქმული გმირი აღარავინა გვყავს?

– როგორ არა! დარჩია, მიქელაიშვილი, დათუნაიშვილი, კურუა და სხვანი.

– მადლობა ღმერთს! მათი ღვაწლი? მათი გმირობა?

– დიდი და შესანიშნავი! თუ სადმე შეიგულებენ ქვრივ-ობოლს, უიარაღოს, უძლურ დედაკაცს, მაშინ ძალიან ვაჟკაცობას იჩენენ! თავს დაესხმიან ხოლმე და გაცარცვავენ.

ეს რომ ვთქვი, ვეღარ მოითმინა ვახტანგ რჯულის მდებელმა და მომაყვირა:

– კანონი და სამართალი?

– აბრუნდ-ჩაბრუნდზე ტრიალებს, მით უფრო, რომ ცრუ მოწმობა კანონათ შემოვიდა, ცრუ ფიცი აბაზათ ღირს.

– როგორ თუ ცრუ ფიციო? – მომაძახა ერთმა წვეროსანმა, – სარწმუნოება?

– დღეს აღარც ლოცვაა და აღარც მარხვა!

– ეს სულ ცუდი აღზრდის ბრალი ყოფილა! და რას შვრებიან ქალები? ნუთუ აღარ არიან ცოლები, დედები და დებიო? – იკითხა შეწუხებით თამარმა.

– გახლავან, დედოფალო, გახლავან, მაგრამ სულ სხვანაირად გაიმღერიან.

– განათლებული თაობა? – იკითხა პეტრიწიმ.

– განათლებული თაობა ჯერ ისევ ჩრდილშია: რასაც გაიგონებენ სხვაგან, სულ იმას იმეორებენ, თავისთავათ ვერაფერს ვერ ახერხებენ. არც ერთი მათგანი კატათ არ ჩაიგდება, მაგრამ ლომობას კი ჩემობენ. როცა საქმე მოითხოვს შრომას, ერთი ალთას გარბის და მეორე ბალთას. უბრალო თავმოყვარეობას და თავის პაწაწკუნა პირადობას ქვეყანას და ქვეყნის საქმეს მსხვერპლათ სწირავენ! გული კუჭი გონიათ და თავი – ფეხები!..

აქ ისე გამიტაცა ლაპარაკის წყურვილმა, რომ, ვგონებ, ერთ წელიწადსაც ველარ გავათავებდი მათ შესამკობელ იამბიკოებს, რომ ვილაც მოხუცი არ გამომხტარიყო და არ გაეწყვეტინებია სიტყვა... ის





იყო თურმე საბა-სულხან ორბელიანი. გულდაწყვეტილი მიუბრუნდა მეფეებს და მოახსენა:

– როგორ გეკადრებათ ამის ყურის გდება! არ იცით, ეს ვინ არისო? მე რომ „სიბრძნე-სიცრუეში“ ყიამყრალა მყავს აწერილი, ის გახლავთ, და სულ უსიამოვნო რამეს ლაპარაკობს, თვარა ღმერთმა ნუ ქნას, რომ საიქაო ასე გაფუჭებულიყოსო!

ეს რომ მოისმინეს, დავით აღმაშენებელმა ულვაშებში ჩაიცინა, თამარმა გაიღიმა და სთქვა: სწორეთ მართალი უნდა იყოსო! ეს აქაურობასაც აურევსო და ისევ გააგდეთ იქითკენ, საიდანაც მოსულაო... თქმა და გაგონება ერთი იყო: გამოცვივდენ აქიდან, იქიდან ბოქაულები, მტაცეს ხელი, ერთი მისთანა პანღური მჩანთეს, რომ სულ ბზიალ-ბზიალით წამოვედი მაღლიდან, გამხდა ბრეგვა მიწაზე – და კიდევაც გამომეღვიძა.

[1894]

# ყვითელი სანთელი

მოდით, მოდით, მოდით, მოდით, მობ-ძან-დით, მობ-ძან-დით... მოდით, მოდით, მობ-ძან-დით!.. გაიძახოდენ პატარა ზარები და შიგადაშიგ დიდიც ჩაერეოდა ხოლმე. საყდარში რომ ტევა აღარ იყო, გალავანში იდგენ მლოცველები; საკურთხევლიდან თავი გამოყო ღვდელმა და ხელი დაუქნია დიაკონს. „რატომ მეორე ლანგარიც არ დაგიდგავს?" – ჰკითხა ბძანების ხმით.

– ნეტავი ის ერთი გაივსებოდეს და დავჯერდეთ! – მიუგო დიაკონმა.

– მაშ ტყუილა მოვიწყვიტე წელი წირვა-ლოცვით? ხომ ხედავ, რომ მარტო ჩვენები არ არიან. მაზიარებლები უცხოებიც არიან, ცოდვა უნდათ მოინანიონ, ამისთანა დროს მაგათი ადათია ჯიბის ძალის დატანება, რაცა აქვსთ, არ დაზოგვენ... ჰა, წაიღე, დადგი ეს ვერცხლის ლანგარიც.

დიაკონმა აასრულა ბრძანება.

– სტარასტა! – მიუბრუნდა მნათეს ღვდელი, – ეს შენი საქმეა, შენ უნდა გეჭიროს თვალყური... აბა, რიღასი მოსამსახურე ხარ, თუ ეკკლესიის შესაძენზედაც არ იფიქრებ? ვერა ხედავ, ამდენი სანთლები ოხრდება, თითო ხატს რომ ორმოც-ორმოცი უნთია, ვითომ რათ უნდათ, ისე ვერ დაინახვენ, თუ? გააქვრე და ჩააწყვე კოლოფში.

– სწყინსთ და რა ვქნა! – მიუგო მნათემ.

– შენ შენი საქმე აასრულე. ეს ყვითელი სანთელი ვიღას მიუკოსებია? მოგლიჯე, გადააგდე იქით.

– როგორ თუ მოგლიჯოს და გადააგდოს? – შეეკითხა ერთი დარბაისელი მოხუცებული, – ეგ ჩემი შეწირულია.

– თქვენი? აკი მოგახსენეთ, რომ მოდა აღარ არის-თქო! – გაუღიმა ღვდელმა.

– მოდა და ღვთის სამსახური არ გამიგონია! – მიაძახა მკვახეთ მოხუცმა.

– აღკრძალულია და რა ვქნათ!

– ვინ აკრძალა? შემწირავი მე ვარ და საწირავის მიმღები – ღმერთი!

– კი, მაგრამ ჩვენც ნაბრძანები გვაქვს! მასთანაც, თქვე დალოცვილო, მაგის ჩხიკინს ის არა სჯობს, რომ მიბრძანდეთ, ერთი ორი გროშის თეთრი სანთელი იყიდოთ და ის აუნთოთ! ყვითელს სანთელს ვინღა ხმარობს ახლა?





– ეჰ! რა უნდა გითხრათ! ახალი კაცები ხართ, მამაო, და რჯულიც ახალი შემოგაქვთ! – დაიძახა ნაღვლიანათ მოხუცმა, მოტრიალდა ისარნაკრავივით და გამოვიდა ეკლესიიდან.

საქალებოში ვიღაცამ იკივლა. შეიქნა ხმაურობა.

– უჰ! დაგვანტვრიეს ამ ოხრიშვილებმა! ასე გაბრიყვება და გათამამება შეიძლება, როგორც ეს გომბიოები არიან? აღარც უფროსი იციან და აღარც ტოლ-ამხანაგები! მუჯლუგუნებით გაგვასივეს! წინ აღარ გვიშვებენ, გარდამოხსნას ველარ ვმთხვევივართ, გაგონილა?

– რა ხმაურობაა, რა ამბავია, ბაზარი ხომ არ გგონიათ? აცალეთ ერთიმეორეს! – გამოიძახა საკურთხევლიდან ღვდელმა.

პოლიციელებმა გამოაჯიგლიგეს საყდრიდან ვიღაცა.

– შე მამაოხრიშვილო, რა გრჯის, რომ აღარავის აცლი! ჯერ ჩინოვნიკები არ მიბძანებულან სამთხვევათ და შენ მიტუტურობ? ჰა?

– ეგება ისინი ხვალამდინაც არ მივიდენ, სადამდის უნდა უცადო? ყელამდე სავსე ვარ საქმით. საკერავები დამიყრია და ერთი წუთით აქ მოვსულვარ, გარდამოხსნას ვემთხვიო-თქო. მეც ქრისტიანი ვარ, ურჯულო ხომ არა ვარ?

– ჩუმათ! ნუ წაგიგდია ენა! შენმა სიცოცხლემ, შენ თუ არ ემთხვიე, მოგისაკლისებს და გული დაწყდება! წაეთერი, ბევრს ნუ ლაპარაკობ! ნუ გვაცდენ! – მიაძახეს პოლიციელებმა, ერთი-ორი კიდევ წაჰკრეს და გააცილეს გალავანს.

ამის ყოლიფრის მაყურებელი და გამგონე მეც გამოვედი ეკლესიიდან. გალავანში ერთი ჩემი ახალგაზდა მეგობართაგანი დამიხვდა და მითხრა: „რატომ არ ურჩევ მამაშენს, რომ ჯინიანობაზე ხელი აიღოს და უბრალო რამეს გულისათვის სალაპარაკოთ არ გახადოს საქმე? სიძუნწით რომ მოდიოდეს, კიდევ სხვაა, თვარამ რა არის, რომ ყოველთვის ამ ყვითელ სანთელს დაათრევს? მართალია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, მაგრამ თუ ზოგიერთებზე ხელი არ ავიღეთ ხოლმე, მაშინ პროგრესიც აღარ იქნება ქვეყანაზეო".

მკითხველი მიხვდება, რომ ის მოხუცი მამაჩემი იყო და მით უფრო ეკლათ დამესო გულზე ჩემი მეგობრის სიტყვები, რომ მეც მისი აზრის ვიყავი და მამიჩემის ქცევა მერცხვინებოდა.

შინ რომ დავბრუნდი, მამაჩემი ტახტზე დამიხვდა მხართეძოზე წამოწოლილი. ღრმა ფიქრებით გატაცებული თავისთვის ღიღინებდა, „მშვენიერმან იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა თვით უხრწნელი გვამი შენიო" და სხვა. დიდხანს აკრიალა ხმა კანდელაკურათ და ბოლოს, რომ დაიღალა, ამოიხვნეშა და სთქვა: ჰაი, ბეჩავ, ვენაცვალე ამის

დამწერს! ძირამდის კი ხვდება გულს ეს მადლიანი სიტყვები და! ახლა კი ვინღა აფასებს! სამაგიეროთ „პრაკი-პრუკიო, პრაკი-პრუკიო“ – გაიძახიან.

– სულ ერთი არ არის, მამაჩემო, რა ენაზედაც უნდა იდიდოს ღმერთი? – დავეკითხე ფილოსოფიურათ.

– მისთვის კი ერთია, შვილო, მაგრამ მადიდებლისთვის? – დამეკითხა თავის მხრით გაოცებით.

– მეხუთე საუკუნემდის სულ ბერძნული წირვა-ლოცვა არა გვქონდა?

– მერედა, რა კარგი იყო? მიტომაც ირყეოდა ქრისტიანობა, სანამდი საღმრთო წერილი არ გადათარგმნეს და ხალხს არ გააგებინეს. მაშინდელი სისხლი ტყუილა დაიღვარა? რათ შეაკლა ქრისტიანი ქართველები და ბერძნები ერთმანეთს გორგასლან მეფემ, თუკი მაინც ეს დღე მოგველოდა და უკანვე დავბრუნდებოდით?

– სხვამ რომ თქვას, კიდევ სხვა არის, ვინც არა იცის რა, მაგრამ შენთვის ხომ ადვილია გაგება, რადგანაც საღმრთო წერილი ზეპირათ იცი, მიხვდები, სად რას ამბობენ.

– ველარ მივხვდი, შვილო, ველარც მე მივხვდი. – „სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ამინ!“ – როცა ეს სიტყვები ყურსა ხვდებიან, სულსაც ესმის და გულსაც. სხვანაირათ – კი არა...

ამის გამგონეს მე სიცილი ამიტყდა.

– იცინე, იცინე, შვილო, ჯერ ყმაწვილი ხარ, მაგრამ ღმერთმა ქნას, რომ ბოლოს შენც ჩემსავით სატირლათ არ გაგხდომოდეს საქმეო, – მითხრა მწუხარებით და გადაბრუნდა მეორე გვერდზე. მეტი ხმა აღარ გაუცია ჩემთვის.

იმ დღიდან მეც ყოველთვის ვერიდებოდი ამგვარ რამეებზე საუბარს მამაჩემთან და ყვითელი სანთლის შესახებაც აღარა მიკითხავს რა. ისე გაიყოლია ის საიდუმლო განსვენებულმა საიქიოს.

მას უკან ბევრმა წყალმა ჩაიარა, მე თითქმის იმ ხნის მოვიყარე, რა ხნისაც მამაჩემი იყო და მხოლოდ ახლა, ამ მოკლე ხანში, ერთმა უბრალო, სოფლელმა მოხუცმა გამცა მამიჩემის მაგიერი პასუხი და ჩამაგდო საგონებელში.

სოფელში საყდარს აშენებდენ. ძველი უნდა გაეცივებიათ გორაზე და ახალი ვაკეზე გადმოეტანათ შიგ შუაგულ სოფელში. მრევლი ორათ გაიყო, ბერკაცობა – წინააღმდეგი იყო, მაგრამ ჩაერია მთავრობა და გამარჯვება ყმაწვილებს დარჩათ.





– რათა ხართ ბერიკაცები მაგრე ჭირვეული? – იკითხა პრისტავმა. – ეს აღმართში ღოღიალი გეხალისებათ თუ? მკვდარი ვერ აგიტანიათ და ცოცხლები ველარ ასულხართ. აქვე არ გირჩევნიათ, ზედ კარზე რომ გქონდესთ ეკლესია?

– ბარემ არ გვირჩევნია, მაგრამ ძალა აღმართს ხნავსო, ნათქვამია, – მიუგეს მოხუცებულებმა.

– რაო? რაო? თქვენა გგონიათ, რომ რაც უფრო მაღლობზე იქნება საყდარი აშენებული, ისა სჯობს? უფრო ახლო იქნება და უფრო მალე გაიგონებს ღმერთი ლოცვა-ვედრებას, განა? – იღრიჭებოდა პრისტავი.

– ყურს არსად არ აკლია, დაილოცა მისი ძლიერება!

– აბა, რაო?

– ის, რომ რაც ადამს აქეთ ყოფილა, ის ერთი წიხლის კვრით არ უნდა მოიშალოს.

– საფლავში უნდა ჩაჰყვეთ მამა-პაპის სისულელეს?

– რაც სისულელეა, კი ვხედავთ! ჯერ გორიდან ვაკეზე ჩამოიტანთ, და მერე კი სულ ქვესკნელში ჩააგდებთ მაგ ჩვენ საყდარსალოცავებს.

– ნუ იცით ეგ სულელური როშვა! ხალხს ნუ აშფოთებთ, თუ არა!.. – შემოუძახა პრისტავმა. თქვენ თუ თქვენ ნებაზე მიგიშვათ კაცმა, რას არ იტყვით!

– სათქმელი ბევრი გვაქვს, მაგრამ ვინღა გვათქმევინა! თევზისა არ იყოს, პირი წყლითა გვაქვს სავსე.

– რას აყოლიხართ, შენი ჭირიმე, ამათ თავის პური მოუჭამიათ და გამოჩურჩუტებულან! საქმე ხმის უმეტესობით გადაწყდა და გათავდა, მორჩა! – მოახსენა მოწიწებით პრისტავს ახალგაზრდა მამასახლისმა.

– მართლა რომ გამოყრუებული არიან! – დაუმატა პრისტავმა და წამოდგა ზეზე.

მრევლი დაიშალა, ხალხი წავიდ-წამოვიდა, ბერიკაცები მწუხარებით აქნევდენ თავს; ერთ მათგანს გამოველაპარაკე და წავიყვანე სახლისკენ.

„ბარში რომ ჭკუა დაიკარგება, მთაში მოძებნიანო!“ – უთქვამთ ძველათ და მართალიც არის. ჩვენი ქვეყნის მთა და ბარი მოვლილი მაქვს და როგორც შემინიშნავს, ბარში თუმცა გამოცდილება და მოხერხება მეტია, მაგრამ დამჯდარი ჭკუა კი – მთაში უკეთესია. მართალია, ცოტა ზრდილობა აკლიათ მთიულებს, მაგრამ ძველებური

ზრდილობა ახლა ხომ აღარც ბარშია. ბრიყვული თავგასულობა და უზრდელობა განათლება ჰგონიათ. გულითაც რომ უნდოდეს დღევანდელ გლეხს, მაინც ვერ ახერხებს ზრდილობიან სიტყვა-პასუხს. „მე რომ მოვბრძანდი“ და „შენ რომ მეახელიო“, „მე რომ გიბრძანე“ და „შენ რომ მომახსენეო“, „მამაჩემი არ წამიწყდებაო“, „თავი ნუ მომიკვდესო“ და სხვა, ურევენ ლაპარაკში. ეს კიდევ, ვთქვათ, ბევრი არაფერი, მაგრამ საქმე ის არის, რომ აზრიანობაც აკლიათ: მაგიერათ ისევ ბერიკაცებს, სადაც კი შერჩენილან ძველთაგან, ჯერ კიდევ არ დაუვიწყებიათ ქართული მამაპაპური ზრდილობა, მათთან საუბარი სასიამოვნოა და მიტომაც წავიყვანე ჩემთან სახლში იმ დღეს მოხუცი საჩინო.

სადილათ ჩემთან ერთ სუფრაზე ჯდომა იუცხოვა.

– არა, შენი ჭირიმე, ეგ შტოლი რა ჩემი შესაფერია? და ან მე რა მაგისი საკადრისი ვარ? მაგაზე ჭამას ვერც კი მოვახერხებ. მაინცდამაინც, გვერდში რომ არ მოგიჯდეთ, სულ ერთი არ არის, აგერ თქვენ თვალწინ რომ გეახლებით ჩემთვის ცალკე ჩემ ნებაზეო? – იქვე მახლობლათ დაუდგეს სუფრა, მოითხოვა სამფეხა სკამი, პირჯვარი გამოისახა და დაჯდა თავისთვის. ჯერ საჭმლისთვის რომ ხელი არ მიეყო, ისე გაივსო ჭიქა და დაილოცა: „დიდება ღმერთსა, მოწყალება ერსა, დამარცხება მტერსა, ღმერთმა გამარჯვება ნუ მოუშალოს ამ ოჯახსო“. გადაჰკრა სავსე ჭიქა და მერე მიჰყო ხელი საჭმელს.

ჯერ შუა ჭამამდის არ იყო მისული, რომ აჭიკჭიკდა.

– ცხონებული დიდი ბატონი რომ მიიცვალა, მერე აღარ გხლებივარ ამ სასახლეში, – სთქვა ამოხვნეშით.

– რატომ, ჩემო საჩინო? – დავეკითხე.

– ეჰ, რაღა გამოსაჩენი ვართ ძველი კაცები! ჩვენი სიტყვა აღარავის ესმის დღეს და პასუხი. ხომ ნახეთ, დღეს რა ამბავი იყო იმ ჩვენ ყრილობაზე? პრისტავმა თქვენი ჭირი წაიღოს, იმან რაც უნდა თქვას, ვინ დაუშლის, მაგრამ მამასახლისმაც რომ, იმ გუშინდელმა ღლაბმა, საცინათ აგვიგდო და ბიაბრუთ გაგვხადა? „გამოყრუებული“ ბევრი გვიძახა და „გამოტვინებული“, აღარა დაუკლია რა. ის ამბობდა და თემი სიცილს გვაყრიდა. თვალი იმათ დაუდგებათ, თუ არა ჩვენ რა, მოხუცებულებს? ჩვენი ალიან-ჩალიანობა გათავებულია. სიკვდილის მოციქული კარზე გვადგია.

– ეგ დიდი სიბრიყვე მოუვიდათ, მაგრამ საყდრის შესახებ კი მართალი იყვენ. რაც უფრო ახლოს გექნებათ საყდარი, ის არ სჯობია?

– თუ ჯობნებიყოს, იმის ჩამოტანას ჩვენი ძველებიც კი მოახერხებდენ, მაგრამ ალბათ რომ არ ჯობნებულა. სიწმინდის ხელის





შეხება არ არის კარგი. ბოსელი ხომ არ არის, რომ აქეთ-იქით გადაიტან-გადმოიტანონ ხოლმე პრისტავის ბრძანებით? ყოლიფერი რომ ასე გავიადვილეთ, მიტომაც გვიწყრება და გვირისხდება ღმერთი. მოსავალი აღარ მოდის, ზამთარი ზამთარს აღარა გავს და ზაფხული – ზაფხულს. საქონელს ჭირი უჩნდება და ვენახს ძირი უხმება. ამაზე მეტი სათვალდათვალო სასწაული კიდევ იქნება? მაგრამ მაინც არ გვინდა, რომ გავტყდეთ. აღარც წირვა-ლოცვას დავეძებთ, აღარც მარხვას ვერიდებით და აღარც ფიცის გვეშინია. და ეს სულ ახალმა დრომ მოიტანა. ამას წინეთ ჩემი უნცროსი ბიჭი გეახლათ ქალაქიდან, ბავშვისათვის რაღაც-რაღაცა საბურჭალოები ეყიდა; მივედი, ვნახე – შიგ პატარა ვერცხლის აკვანიც ერია. – „ბიჭოს! – ვეუბნები ჩემ შვილს, – ეს ხომ უშვილოს შესაწირია და სად გიშოვნია? სახტარი ხომ არ გაგიტეხია-მეთქი?“ – „არაო, ამისთანა რამეები, ბეჭდები, საყურეები, ვერცხლეულობა, თუ სხვა, კანტორის ბრძანებით გამოიტანეს მონასტრებიდან და ტორგით გაყიდეს, რომ ფული ეკლესიას მოახმარონო. მეც შემთხვევით ვიყიდეო“. – მაშინვე შევატანიე ჩვენს საყდარში, მაგრამ რად გინდა, ისევ ისე გამოიტანებენ და გაყიდიან. გააადვილეს, გააადვილეს სიწმინდის ხელის შეხება! ქვეყანა წამხედურობით ცხოვრობს. ადრე თუკი მოასწრებდი და საყდრის გალავანში გადაყრიდი, გინდ თვალმარგალიტიც ყოფილიყო, ხელს ვერავინ შეახებდა, და ახლა საყდრებსაც კი სტეხენ.

– ეგ, ვსთქვათ, მართალია, ჩემო საჩინო, მაგრამ მე კიდევ საყდრის გადმოტანის შესახებ უნდა ვსთქვა, რაც ახლოს გექნებათ საყდარი, ის ეჯობინება თქვენთვის.

– არა, შენი ჭირიმე, რატომ ბძანებთ მაგას? საყდარი, როგორც მცველი და მფარველი, ზედ უნდა დაჰყურებდეს სოფელს და სოფელსაც ყოველთვის თვალწინ უნდა ედგას, რომ ღმერთი არ ავიწყდებოდეს. ჭირში, ლხინში, მუშაობის დროს, თუ მოცლილობისას – ყოველთვის უნდა თვალით ხედავდეს, რომ ცუდი არა გაივლოს რა გუნებაში. ამიტომაც აშენებდენ ჩვენი მამა-პაპები თვალსაჩინოდ მაღლობზე. ახლა მიკრუნჩხავენ სადღაც ბარში, ვაკეზე: თუ გულდაგულ არ მიდი ზედ, ვერც კი დაინახავ და ღმერთი ვინღა მოგვაგონოს? სოფლელები ვართ, ხომ მოგეხსენებათ, ჭკუა თვალში გვაქვს.

– ეგ მოსაზრება რატომ არ გამოაცხადეთ ყრილობაზე?

– განა არა ვსთქვით, მაგრამ სიცილი დაგვაყარეს. და მღვდელმაც ასე გვითხრა, თუ მაგრე სასოებიანი ხართო, იყიდეთ თითო ხატი და დაისვენეთ სახლშიო. ჩვენზე უკეთესი ქრისტიანები ვინც არიან, იმათ, დიდსა და პატარას, ხატებით აქვსთ გატენილი სახლიო.

– მერე?

– მერე და რა მერე! განა ეს სათქმელია? ხატი წმინდაა და წმინდა ადგილზედაც უნდა ესვენოს, ვენაცვალე მის სიწმინდეს. მისი ბინა – საყდარია. სახლში, სადაც უწმინდურობა და ბინძურობაა, ეკადრება, რომ ესვენოს? ხომ მოგეხსენებათ, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო. უგუნური რომ თვალს მიაჩვევს და გაუთამამდება, აღარაფრათ ჩააგდებს, აღარც შიში ექნება და აღარც მორიდება. უწმინდურ ოჯახში ფუტკარიც არ დგება, თუ არა ხატს როგორ ეკადრება ყოფნა?

– როგორ თუ ფუტკარი არ დგება?

– განა არ მოგეხსენებათ, ოჯახში თუ რამე ნაუკულმართევი შევიდა და ან როგორმე გაუწმინდურდა, იმ ოჯახში იმ დღიდან ფუტკარი აღარ იხარებს? ან დაივსება და ან გაიპარება სადმე უდაბნოში. თქვენ გეცინებათ, შენი ჭირიმე, მაგრამ ეს სწორეთ ასე გახლავსთ და ჩემი თვალითაც ბევრჯელ მინახავს. ახლა აღარავის ჰყავს, თუ არა ადრე მისთანა დავსებული გლეხი როგორ იქნებოდა, რომ რამდენიმე ძირი ფუტკარი მაინც არ ყოლოდა.

– მაშ ახლა ძალიან გაუწმინდურებულა ხალხი, რომ ძვირათ ვინმეს ჰყავთ?

– ეგეც არის, მაგრამ უფრო მიტომ არ აშენებენ, რომ სანთელს გასავალი აღარ აქვს. ახლა ყვითელი სანთლის მაგიერათ თეთრს სანთელს ხმარობენ. იმას ყიდულობენ იქვე საყდარში და იმას ანთებენ. ადრე კი ყველას თითონ უნდა ეშოვნა და მიეტანა ყვითელი სანთელი, და თუ ფუტკარი არ ეყოლებოდა, როგორ მოახერხებდა? ჩვენ დროში უფუტკრო ოჯახი უწმინდურათ მიაჩნდათ; ყველა უფრთხილდებოდა არამს, რომ ფუტკარი არ გამიფრინდეს და ქვეყანაში თავი არ მომეჭრასო. აშენებდა, უკუღმართობას ერიდებოდა, სანთლით ღმერთს ემსახურებოდა და თაფლიც კიდე საოჯახოთ რჩებოდა. ჰყიდდენ, ხან მარილზე ცვლიდენ, ხან ვინ იცის, კიდევ რაზე.... დინდგელა კიდევ ზედმეტი იყო.

– დინდგელა?

– დიახ! შავი წებო. გაბზარულსა და გატეხილს ჭურჭლებს მიაკოსებდენ ხოლმე. ეჰ! უფუტკრობა სულსაც დააკლდა და ხორცსაც.

– თაფლისთვის, თუ არა, სანთლისთვის მართლა აღარ არის საჭირო. წვალებას ის არ სჯობს, რომ იქვე ხელათ იყიდოს კაცმა?

– ჰმ! ნუ ბძანებთ, შენი ჭირიმე! სად ღვთის ნაბძანები და ნაჩვენები და სად ჩვენი გამოგონებული! მაშ ფუტკარი რაღათ გაუჩენია





ღმერთს, ვენაცვალე მის ძლიერებას! ღვთის ბუზი ტყუილა ჰქვია? ტყუილა გამოსულა იობის გვამიდან?

– როგორ?

– განა არ მოგეხსენებათ! ჩემზე უკეთ რომ იცით ყოლიფერი, მე რაღათ მეკითხებით, შენი ჭირიმე?

– მე მაინც მინდა შევიტყო, შენ როგორღა გაგიგონია. – მოხუცმა ერთი-ორი ჭიქა კიდევ გადაჰკრა და მოჰყვა.

– დიდი ერთგული და ღვთისმოყვარე ყოფილა იობი და ღმერთსაც სამაგიეროთ ყოველგვარი ბედნიერება მიუნიჭებია, ასე რომ ტოლი არავინ ყოლია მის დროში. ერთხელ ეშმაკი მისულა და მოუხსენებია ღვთისათვის: „ქვეყანა მოვიარე და მისთანა ვერავინ ვნახე, რომ შენი უმადური არ იყოს“. – „იობიო?“ – უბრძანებია ღმერთს. – „დააკელი რამე, თუ იმანაც გული არ გაიტეხოს შენზეო“ – შეუბრუნებია სიტყვა იმ უწმინდურს. დანიძლავებულან. ან კი როგორ გაუბედა იმ წყეულმა დანიძლავება? მაგრამ, ვენაცვალე მის საიდუმლოებას, მის განგებას ვინ მიხვდება? „რაც გინდა, ის უყავიო“ – მიუცია ღმერთს ნება ეშმაკისათვის, – „და, აბა, თუ ათქმევინებ ჩემ ძვირსო“. რაღაი ნება აიღო იმ შეჩვენებულმა, ჯერ თურმე რაც ჯოგი ჰყავდა, ის გაუწყვიტა, მაგრამ ვერა წააცდენია რა ღვთის საწყენი. ის მაინც ღმერთს აქებ-ადიდებდა. მერე ყანები დაუსეტყვა და სახლკარი გადაუწვა, დედამიწასთან გაასწორა, გააღარიბა. მაგრამ მაინც ვერას გახდა, და ბოლოს ცოლ-შვილიც გაუწყვიტა. ამაზე ლექსიც არის გამოთქმული:

იობს შვიდი ვაჟი ჰყავდა,
სამი ქალი, სახე მზისა,
ყველა ერთ დღეს დაეხოცა,
მაინც არ თქვა ძვირი ღვთისაო

და სხვა. სულ ვიცოდი, მაგრამ დამავიწყდა. ჰო, იმას მოგახსენებდი, გააუბედურა ყოლიფრათ, მაგრამ ის მადლიანი იობი მაინც თავისას არ იშლიდა. „ღვთის ნაბოძები იყო და იმანვე წამართვა, ვენაცვალე მის განგებასაო“. ეშმაკიც გაუჯიბრდა და რომ ველარას გახდა, უკანასკნელი ნებაც გამოითხოვა: გაასივა, დააწყლულა და სამას სამოცდახუთი თავი სულ სხვადასხვაგვარი ჭია-მატლი გააჩინა და დაასია. ისე აყროლდა იობი, რომ სიახლოვეს ველარავინ ეკარებოდა, მაგრამ ღვთის ქება-დიდებას თუ მოუმატა, თუ არა არ მოუკ-

ლია. მაშინ კი გადმოიხედა ღმერთმა მოწყალების თვალით, დასცა მეხი ეშმაკს და ქვესკნელში ჩააძვრინა. იობი კი აკურთხა მაღლით, განკურნა, რაც ჰქონდა, ყოლიფერი დაუბრუნა და ათი იმდენიც ზედ დაუმატა. ის ეშმაკის გაჩენილი ჭია-მატლები, გვამში რომ უჯდენ იობს, ნაკურთხი შეიქნენ ღვთისაგან და ქვეყნის სასარგებლო. დანაწილდენ სხვადასხვა ქვეყნებისათვის: ოთხი მათგანი, თავიდათავი რომელიც იყო, საქართველოს ერგო: ფუტკარი, ყაჭის ჭია, ბრაზის ჭია და წურბელი. ამათშიდაც ყველაზე უპირატესი ფუტკარია, ამიტომ რომ მარტო კაცის მუშა კი არ გახლავსთ, ღვთის მოსამსახურეც არის. სულსაც არგია და ხორცსაც. ერთისთვის სანთელს აკეთებს და მეორესთვის თაფლს. და როგორც აკეთებს, ის ხომ თქვენც მოგეხსენებათ.

– მომეხსენება, მაგრამ მაინც მინდა, რომ შენგან გავიგო.

– ბატონი ბძანდებით! – სიცილით მითხრა და მოჰყვა. – ღამე უფრო ცოდვილია დღეზე; ღამღამობით იმდენი ბოროტება ხდება, რომ, თუ ანგელოზები არა, აქამდის ცხრაჯელ დააქცევდა ღმერთი ჩვენ ქვეყანას. მაგრამ, ვენაცვალე მათ შუამდგომლობას, დილდილაობით ცრემლით შესტირიან უფალს, აბრალებენ ჩვენ თავს და შენდობას ითხოვენ ჩვენ მაგიერათ. იმათი ცრემლები ციურ ცვარათ დაბლა ეშვებიან, მარგალიტებივით ეცემიან ყვავილების გულზე და თავის სიწმინდეს ყვავილების სიტკბოს უერთებენ. იმ დიდებულს სამზადისს ვაგლახათ ვერავინ მიეკარება, გარდა ფუტკრისა, და ის კი, როგორც ხატის მუშა, დაეძებს და პირდაპირ მიდის ზედ. ამოსწუწნის, დაიხვევეს ფეხებზე, მიიტანს სახლში და იქ აკეთებს სანთელ-თაფლს. დიდი სიწმინდეც მართებს, ოდნადაც რომ შეიბღალოს – მუშათ აღარ გამოდგება. თავისთავათ უწყინარია ფუტკარი, თუ საქმე არ გაუჭირვეს – არავის ერჩის. და ან კი რა უნდა იყოს მისი რჩოლა? უკბენს და ცოტათი გაასივებს, მაგრამ მაინც თავის კბენას თანვე გადაჰყვება ხოლმე, რომ მისი ნაკეთები სხვებში აღარ გაერიოს. სასწაულია მათი ცხოვრება და მუშაობა, წირვა-ლოცვა.

– ლოცვა?

– ნამდვილათ! გალობით მუშაობენ. ბზუ, ბზუუ, ბზუუო, რომ იძახიან მუშაობის დროს, ეს თურმე გალობაა და მათ ენაზე ნიშნავს „სანთელი სულს, თაფლი ხორცსო, სანთელი სულს, თაფლი ხორცსო“. აი, შენი ჭირიმე, თუ რა არის ყვითელი თაფლის სანთელი. თვითონ გამჩენისაგან არის საწირავათ დანიშნული და ჩვენც ვასრულებდით მის ნებას. ვალღობდით, გავწმენდდით, გავაკეთებდით





სანთლის კვერს და ჩავასვენებდით წმინდათ სკივრში. თაგვი ვერ მიეკარგებოდა და ჭინჭველა. როცა დაგვჭირდებოდა – ამოვიღებდით, დავგრეხდით ბამბის ძაფს, გავაკეთებდით პატრუქს, გავალღობდით სანთლის კვერს, ჩამოვთლიდით და ჩამოვქნიდით სანთელს. დავჭრიდით ციდა-ციდას, ტკაველ-ტკაველას და მიგვიხაროდა ეკლესიისკენ. ეს მზადება და კეთებაც თავისთავად ღვთის ვედრება და ლოცვა იყო. ახლა? ახლა კი ნაარმი გროშით უნდა იყიდო თეთრი სანთელი, ვინ იცის, შიგ, იქნება, ნახევარზე მეტი ძაღლის ქონიც ურევია. ურჯულოს ჩამოსხმულია და ურჯულოს გაყიდული. ის უნდა აუნთო ხატს. აჰ, არა, არა, შენი ჭირიმე. მე ღმერთმა ნუ ჩამადენიოს ეს ცოდვა, და სხვებს – რაც უნდათ, ისა ჰქნან. დიდი ხანია საყდარში სასოებით აღარ შევსულვარ, აღარ მიმირთმევია სანთელი ხატისთვის! – წაიბუტბუტა თავისთვის, ერთი მწარეთ ამოიოხრა, თითქოს ნაღველი თან ამოატანაო და ჩაქინდრა თავი. მეც დიდხანს ხმა აღარ ამომიღია. რომ ვისმეს ვენახეთ, იფიქრებდა, საწყლებს ღვინო მოკიდებიათ და გაბრუებულანო. არ ვიცი, რას ფიქრობდა ის, მაგრამ მე კი ძველი დრო მეხატებოდა თვალწინ. მომაგონდა მამაჩემი, გამახსენდა მისი ყვითელი სანთელი და მხოლოთ მაშინ მივხვდი, თუ რას ნიშნავდა მისი ჭირვეულობა. მოხუცმა თავი მაღლა აიღო, თითქო გამოერკვაო, და თავდაბლათ შემეკითხა:

– თავი ხომ არ შეგაწყინეთ, ბატონო, ჩემი უგნური საუბრით? რა ვქნა, ძველი კაცები ვართ, რაც არ ვიცით, მეტი რა მოგვეთხოვება? თქვენმა გულკეთილობამ და თქვენმა მადლიანმა პურ-ღვინომ ამაჭიკჭიკა, თვარა სხვაგან ხმასაც არ ვიღებ ხოლმე და რომ კიდეც ამოვიღო, ყურს ვინ უგდებს? „როდინდელ ამბავს ამბობო? ახლა სხვა დროა და სხვა სიტყვა-პასუხიც გეჭირვებაო“. მართალია!

– არა, ჩემო საჩინო! მართალია, ჩვენ თქვენზე მეტი გვინახავს და მეტიც ვიცით, მაგრამ ჩვენი ქვეყნის გულში კი თქვენ უკეთ ხართ ჩახედული. ჩვენ მაცდურმა გვიქცია მხარი და გზას გადავუხვიეთ, შეჩვენებული იყოს მისი არსება-მეთქი! – ვუპასუხე ნაღვლიანათ.

– ამინ და კირიალეისონო! – დაამატა მოხუცმა და წაუქცია თავი ღვინით სავსე ჭიქას.

[1896]

## საავადმყოფოში

მნახველები არ გამომლევიან. დილიდან საღამომდე გაუწყვეტლად მოდიოდენ. ვებრალებოდი ყველას, ნატრობდენ ჩემ დღეგრძელობას და ღმერთს მავედრებდენ: ზოგმა ათასი წელიწადი მინატრა, ზოგმა ხუთასი და ზოგმაც სამასი!.. ასზე ნაკლები არავის გაუმხელია!.. „მაგათი გულკეთილობა, თვარა მე ვისთან რა მიმიძღვის სამაგიერო, რომ ასე მეალერსებიან და გულუხვად მლოცავენ? – ვამბობდი გუნებაში, – ცხოვრებაში გამოსადეგ ღირსებათა მოკლებულს, იმის შეძლებაც არა მაქვს, რომ ხანდახან პური მივაწოდო ხოლმე და მით ამათი გული მოვიგო!.. საწყალი მგოსანი ვარ!.. ერთი უბრალო ჩანგის მეტი არა გამაჩნია რა!.. მაგრამ იმითაც ცხოვრებაში საპირადო ფონს ვერ გავდივარ!.. ან კი როგორ უნდა გავიდე?!. სად რასა ვხედავ სადღესასწაულოსა და სასიხარულოს ჩვენში, რომ სიმები ხმატკბილად ავაჟღერო?.. ყველგან სამგლოვიარო ნიშნებია!.. მეც ზარს ვამბობ, და ვის რად უნდა ეს ჩემი მწარე ხელობა?.. ვინ მოისმენს სიამით, დამშვიდებით ზარის ხმას და ან ვის რად შეუყვარდება მისი მთქმელი? მაგრამ შემცდარი ვყოფილვარ! ამას რას ვხედავ?!. თანშობილი გულკეთილობა რჯულზედაც უმტკიცესი ყოფილა!.. თითქმის იგივე ბუნება!... გაუყრელი და გაუშორებელი!!. ქვეყანას ჩემგან დაუმსახურებლადაც ვყვარებივარ და კურთხეულ იყოს ადამიანის გულწრფელობა!!“ ამას ვფიქრობდი დიდხანს და ამ ფიქრებშიაც ჩამეძინა...

სიზმრად ვიძილისშორისე სანახავი რამ სანეტარო და საარაკო: გაიხსნა ცა, გადმოეფინა მაღლით ნათლის სვეტი კიბედ და ზედ ჩამოჰყვა სხივოსან-მოელვარე მთავარანგელოზი. ხელში უმაღლესი, ზეციური განჩინება ეჭირა. მიიხმო ჩემი მნახველები ყველა ერთად და გადასცა მათ ყოვლისშემძლებელის ნება: „ისმინა უფალმან ვედრება თქვენი და მოგანიჭათ სავედრებელი!.. თვითეულ თქვენგანს ერგო საამქვეყნოთ იმდენი წელიწადი, რამდენიც ინატრეთ ამ მომაკვდავისათვის (მომაშვირა მე ხელი). აჰა, მიიღეთ თითოეულმა თქვენ-თქვენი საბუთი, შეგიძლიათ თქვენდა გუნებისათ მოიხმაროთ, ესე იგი, თუ მოისურვებთ სხვასაც უზიაროთ! და თქვენი სურვილიც ხომ ის იყო, რომ ამ ავადმყოფისათვის გადაგეცათ? ახლა ხომ თქვენ ხელთ არის სურვილის დაკმაყოფილება და რას იტყვით? აძლევთ, თუ თქვენთვის იტოვებთ? აბა, შენ სთქვი, ათასის მნატვრელო!“

შეკრთა ჩემი მოკეთე, აღელვდა, დიდხანს ხმა ვერ გამოიღო და





ბოლოს, როგორც იქმნა, წამოიკრინა: „ამ საბუთში არა სწერია, რომ სხვასაც გადაეცესო?!.“

– არა!.. მაგრამ ეგ შენს ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

– ვაი თუ ცოდვათ ჩამეთვალოს, რომ სხვასაც ვუზიარო?

– მაგის თავმდები მე ვარ, რომ – არა!.. აბა, რაღას ყოყმობ? რას გაჩუმებულხარ? უთმობ რასმე ამ ავადმყოფსაც, თუ არა?

– რა ვქნა, შენი ჭირიმე?.. ღვთისა და მის წმინდა მოციქულის წინაშე ტყვილი ძნელი გასაბედავია!.. „ათასი წელი, ვითარცა გუშინდელი დღეო!“ ბრძანებს წინასწარმეტყველი და, თუ მართალია, ერთი დღე რაღა გასაყოფი და გასანაწილებელია, თუ თქვენი ნებაც იქნება, ბარემ სულ დამრჩეს! – სთქვა, როგორც იქნა, გაბედვით, ჩაიდვა საბუთი ჯიბეში და ურცხვად გაიარა კარი... ჩემსკენ აღარც კი მოუხედნია.

– შენ რაღას იტყვი, ხუთასის მიმღებო?

– მე, შენი ჭირიმე, რაღა უნდა მოგახსენო?.. ღირსი არა ვარ მაგ უხვი მოწყალების!.. ხუთასი წელიწადი მათუსალას დღეა. იმან ცოტა მეტიც იცოცხლა, მაგრამ დღეს ძვალიც აღარსადა სჩანს და ასავალ-დასავალიც არავინ იცის!.. ისიც ისე გაჰქრა, როგორც ყველა! საუკუნეთა ზღვაში ხუთასი წელიც ისეთი წვეთია, როგორც ერთი წამი. მართალია, მაგ ავადმყოფისათვის ვინატრე და გამოვითხოვე ეს ხუთასი წელიწადი, მაგრამ, კარგად რომ გავსინჯოთ, ბევრს არას გამოადგება!.. მით უფრო, რომ თვითონ საზიარებელია და მე რაღა ვუზიარო?! კაცს თვითქმის ქვეყნიური ანგარიში გაუწმენდია, ზეცისთვის ემზადება, ახლა მაგის ხელის შეშლა, გამობრუნება... მერე კიდევ ხელახლად იგივე აუცილებელი... სულ-ხორცის გაყრის წამები!.. აღარა ღირს მაგისთვის წვალებად!.. ისევ მე დამრჩეს, თუ უკაცრავად არ ვიქნები!.. – ეს რომ სთქვა, შეიდვა უბეში საბუთი და გატრიალდა, წავიდა აჩქარებით, აღარ გავხსენებივარ.

– მაშ, ახლა თქვენ რაღას იტყვით, ვინც უფრო ნაკლები ინატრეთ ამ ავადმყოფისათვის? – დაეკითხა ყველას ერთად ზეციური მოციქული.

– ჩვენ? – უპასუხეს ერთხმად. – ჩვენ რაღა გვეთქმის? თუ კი ათასისა და ხუთასის პატრონებმა ვერა გაიმეტეს რა, ჩვენის მხრით ხომ მეტიჩრობა იქმნება მცირედის შელევა?.. მით უფრო, რომ მეტიჩრობა ამპარტავნების ნაყოფია და ამპარტავნობა კი ღმერთსა სძულს. ვერ ვიზამთ ღვთის საწყენ საქმეს! მის მოწყალებას ვერ დავიწუნებთ და სხვის გადასაცემად ვერ გავიმეტებთ... დარჩეს ჩვენთვის!.. – მოუ-

ჭირეს ხელი საბუთებს და მოკურცხლეს, უკანაც აღარ მოუხედნიათ, ხომ არავინ მოგვდევსო!

დავრჩით ჩვენ ორი მარტო: მე, მომაკვდავი, და უკვდავი, ზეციური მოციქული, შემომხედა წმინდამ, გაიღიმა, ნათელი მიაფინ-მოაფინა და მკითხა: რას იტყვი?

– რა უნდა მოგახსენოთ? ვერ გავამტყუნებ! ეგენი გარეშეები არიან... მეგობრები რომ იყონ, ან ჩემიანები... სისხლ-ხორცი!.. მაშინ კი...

– მეგობრები? მეგობრობა კი გჯერა?

– საზოგადოთ, არა... რადგანაც მეგობრობა გარემოების შვილია, დროებითი და ხანმოკლე!.. კერძოდ – კი! მაგრამ ისიც ისე იშვიათია, როგორც ერთხელ მხოლოდ ცით ქვეყნად მოვლენილი მანანა. მადლობა უფალს!.. ამგვარი ერთადერთი მეგობარი მეცა მყავს.

– სარწმუნო?

– დიახ! ის ჩემთვის არც სულსა და არც გულს არ დაიშურებს, თვითქო ჩემი თანამოსისხლხორცე იყოს...

– მაშ კარგი! ვნახავთ ყველას!.. შენ შეგიძლია ყველას უყურო და ისინი კი ვერ დაგინახავენ!..

ეს რომ ბრძანა, გადააქნია კვერთხი და უცბათ მის წინაშე გაჩნდა ჩემი მეგობარი. ისე შეეწუხებია ჩემს ავადმყოფობას, რომ გამხდარიყო და ფერიც მიხდოდა.

– გიხაროდენ და მოილხენდი! – უბრძანა ნათელმოსილმა, – შენს მეგობარს სასიკვდილო აღარა სჭირს რა! პირაქეთ მის წილხვედრ სიცოცხლეს უნდა მიემატოს კიდევ ასი წელიწადი – ასე ინება ყოვლისშემძლებელმა; მერე აღარ შეიძლება, მაგრამ ჯერ კი, სანამ არ ჩამიბარებია მისთვის ეს წყალობა და ჩემ ხელთ არის, შემიძლია გავანაწილო და გადავსცე რამოდენიმე იმასაც, ვისთვისაც ის მოისურვებს... დანარჩენს კი თვითონ ჩაიბარებს და მერე გადაცემის უფლებაც აღარ ექმნება!.. ეგებ შენთვისაც მოინდომოს რამე გადმოსაცემად.

– მაგას რაღა იჭვი უნდა, წმინდაო-ძლიერო?

– მაშ კარგი! დავეკითხები...

– დაკითხვა რაღა საჭიროა? ჩვენი ქონება ვის გაუყვია? მთელი ქვეყანა დაამოწმებს, რომ ჩვენი ყოველიფერი საზიაროა.

– მაშ, რამდენი გერგება აქედან?

– ნახევარი. ეს ჩვეულებრივია!.. ასი მანეთი რომ ჰქონია, მე ორმოცდაათი ისე წამილია, რომ არც კი მიკითხავს და მასაც სასიამოვნოდ დარჩენია... ნახევარზე აქაც არას იტყვის!..





– მაშ, რადგანაც თანასწორად გიყვიათ დღემდე ყოველიფერი, დღესაც ისე უნდა იქნეს: შენ გაქვს შენი საკუთარი ოცდაათი წელიწადი სასიცოცხლოდ; ისიც შუა უნდა გავჰყოთ და იმას გადავსცეთ, ესე იგი თხუთმეტი! ამ თხუთმეტს გამოვრიცხავ ორმოცდაათიდან და შენ დაგრჩება ოცდათხუთმეტი... თანახმა ხარ?

– ეგ ანგარიში, მგონია, საჭირო არ უნდა გახლდეთ! მე როცა იმისგან ასის ნახევარი მიმილია, იმ დროს მქონია საკუთარი ჩემი ათი მანეთი, მაგრამ იქიდან ნახევრის მიცემა არც მე მიფიქრებია და არც იმას მოუთხოვია... ჩვენში მაგგვარი ანგარიში არ არის ხოლმე და ახლაც ჩვეულებას ვერ ვუღალატებთ!.. ნახევარზე ისიც არას იტყვის... პირიქით, კიდეც გაიხარებს, რომ მეგობარს გამოვადექი, ვასიამეო... და თქვენც ნულარას დააკლებთ. მიბოძეთ მთლად ეს ორმოცდაათი წელიწადი.

– კარგი! – უბრძანა, – პასუხს მიიღებო!.. – გადააქნია კვერთხი და გაჰქრა მეგობარი. შემომხედა ცისა და დედამიწის შუამავალმა: – ეს არის ის მეგობარიო?!.

– სწორედ! – ვუპასუხე მეც, – ეგ არის, მაგრამ დღეს ვერ არის ჩვეულებრივ გრძნობა-გონებაზე და, რაც მოგახსენათ, მისი გულისპასუხი არ არის... ჩემ გამო ჯავრსა და მწუხარებას შეუშლია!..

– შეშლილი შენა ხარ და გრძნობა-გონებაც მოტყუებული გქონია, რომ ამდენ ხანს ვერ გიცვნია მეგობარი!.. ახლა შენი სისხლ-ხორცებიც ვნახოთ!.. აქ მოვიყვან ყველას რიგ-რიგისად და გამოვცდი!.. – გაჩნდა ჩემი საყვარელი ძმა, სიხარულით სახე გაბრწყინვებოდა... დაემხო მახარობლათ მოვლენილის წინაშე, მადლი შესწირა და სიტყვა აღარ აცალა: „შევიტყე, ყოვლად მოწყალეო, რა ბედნიერებაც მოვლენია ჩვენი ოჯახის გვირგვინს!.. ორასი წელიწადი ხუმრობა არ არის!!“

– ასე მალე?!.

– ქვეყანა სწრაფია და ყურმახვილი!.. რაც არ ქმნილა, იმასაც მოისმენს, რაც არ თქმულა – გაიგონებს, თვარა ნამდვილი როგორ გამოეპარება?!

– მართალია, მაგრამ ერთიორად კი ეყურება!.. ორასი გადამეტებულია!.. მხოლოდ ერთი საუკუნე მიენიჭა შენს ძმას!..

– კმარა ეგ ასი წელიც!.. საუკუნე სახუმრო არ არის!!. ჩვენ მაგის ღირსიც არა ვართ.

– იმ საჩუქრიდან შენც უნდა გარგოს რამ შენმა ძმამ და რას ჯერდები?

– განა თქვენ თვითონ არ მოგეხსენებათ, რომ ძმა ძმის მონახ-ევრეა ყოველიფერში?

– დიახ, მაგრამ მემკვიდრეობითში, და ეს ხომ კეთილშეძენილია და კანონიც ალარას იძლევა.

– კანონი? ჩვენ ქართველები, ყოვლად მოწყალეო, ხანდახან, როცა გარემოება მოითხოვს ხოლმე, პატრიოტებიც გახლავართ და მეც ამჟამად ვახტანგის კანონს დავადგები. იქ ძმას ძმის შენაძენშიაც გაყრამდე წილი აქვს! შემძენი მხოლოდ საჭირნახულოდ ათის თავს აიღებს მეტს და მერე კი დანარჩენს შუა გაჰყოფს. აქაც გამოირიცხოს ათი წელიწადი ასიდან და ორმოცდახუთი მებოძოს... რა გაეწყობა? მეტს ალარ ვითხოვ, ნაუსამართლევი არა მინდა რა!..

– კარგიო! – უბრძანა ქვეყნად სწორუპოვარმა და გაისტუმრა. მას შემდეგ შემოვიდა ჩემი ალერსიანი, ჩემი ენატკბილი და, ყოველთვის რომ თავს მევლება ხოლმე. მუხლებზე მოეხვია და მადლი შესწირა. იმას ოთხასი გაეგონა, მაგრამ ზეციურმა მახარობელმა გაუსწორა და უბრძანა: „მარტო ასია და იქიდანაც ცოტაოდენი, თუ თვითონ მოისურვებს, მისიანებსაც უნდა ერგოს რამე!.. შენც, როგორც დას, ხომ უნდა გერგოს და რამდენს ითხოვ?“

– მე? თვალი დაუდგეს ახლანდელ კანონს, რომ ქალებს სჩაგრავს და მეთოთხმეტედის მეტს არას აძლევს!.. მაგრამ ჩემი ძმა, იმას კი შემოვევლე გარს, კანონს არ უყურებს! ებრალება ჩემი წვრილი შვილები და, თუ კი რამ იშოვნა ხოლმე, მეც უნაწილოდ არ მაგ-დებს!.. მისით მიდგია სული!.. რომ ვიანგარიშოთ, ნახევარზე მეტი ჩემია ხოლმე, მაგრამ ახლა კი მეოთხედს დავჯერდები, მეტით არ შევაწუხებ, იმას კი დავენაცვლე!

– კარგიო! – უბრძანა და გაისტუმრა. – ახლა ხომ ნახე ძმაცა და დაც? – მკითხა, – რაღას იტყვი ან ერთზე?

– ძმა ცოტა ანგარი გახლავსთ, მაგრამ მაინც კიდევ კარგია დღე-ვანდელ პირობაზე!.. ისიც გასაკვირველია, რომ სულ არ გამგლიჯა!

– და?

– და ერთი საწყალი ვინმეა... გულკეთილი... უნდა რომ შვილები დაზარდოს, მათ ბედნიერებას მოესწროს: დააცოლშვილიანოს... შვილიშვილებიც ნახოს თავის თვალით... მათი აკვანი არწიოს!.. მათ ტიკტიკსა და ცუნცულს უყუროს... და ამას ყველას დრო უნდა! ოცდახუთი წელიწადი ცოტაც არის... არც კი კმარა...

– კარგი, ეგრე იყოს! ახლა, კიდევ უფრო მახლობლებიც ვნახოთ!





გაჩნდა ჩემი სულის კოლოფი, ჩემი სიცოცხლის კავშირი, ცოლი. მწუხარებით კრიჭა ალარ ეხსნებოდა! უკმეხად იკითხა: – მართალია, რომ ჩემ ქმარს უკვდავება მინიჭებია?

– არა! ტყუილია!.. მხოლოდ ასი წელიწადი და იქიდანაც წილი უნდა დაედვას იმას, ვინც მისი უფრო მახლობელი და საყვარელია...

– მართლა? ეგ კიდევ კარგია!.. ჩემზე უფრო მახლობელი ვინ ეყოლებოდა? გვერდი-გვერდზედა ვართ!.. და სიყვარულითაც ისე ვუყვარვარ, რომ თავს ვურჩევნივარ. უერთმანერთოდ სიცოცხლე ჩვენი ნაღველ-შხამია.

– კეთილი! მაშ შენ უნდა გერგოს და რამდენს მოითხოვ?..

– რამდენიც შესაძლებელია!.. იმას რაც კი რამ აბადია, სულ ჩემ ხელშია. რაც მინდა – ვხარჯავ, რამდენიც მინდა, ვახარჯებ!.. ეგეც აქ მიბოძეთ და მე და იმან ვიცით!..

– არა!.. ეგრე არ მაქვს ნაბრძანები!.. უთუოდ მე უნდა გავანა-წილო და კიდევაც თანასწორად გაგიყოფთ: თქვენ ორივეს სიცოცხ-ლეს შევკეცავ ერთად, ზედ ამ ნაბოძვარ ას წელიწადსაც შევსვამ და მერე ისე დავჰკრავ ლარს, რომ მეტი არც იქით გადაყვეს და არც აქეთ... ორივე ერთად უნდა დაიხოცოთ, რადგანაც ისე მოყვარული ყოფილხართ ერთმანეთის, რომ უერთიმეოროთ სიცოცხლე არ გინ-დათ!..

– ეგ ეგრეა, მაგრამ როგორ იქნება?!. ორივე ერთად რომ მოვკვ-დეთ, ჭირისუფალი ვილა გვეყოლება? ჩვენ, თუ არ ერთმანეთს, სხვებს ვერავის ვენდობით!..

– მაშ კარგი! რადგანაც მაგისი გშინებია, ცოტა მეტს მივსცემ შენ ქმარს, რომ მკვდარს გიჭირისუფლოს და გიპატრონოს.

– უი, არა, შენი ჭირიმე!.. მოგეხსენებათ, კაცებს არ უყვართ გულის დადება... ძალიანაც რომ უნდოდეთ, მაინც დაავიწყდებათ, დარჩებათ რამე!.. და ჩვენ, ქალები კი უფრო ბეჯითები და სანდო ვართ მაგგვარ საქმეში.

– აგრე იყოს! შენ დაგიტოვებ ერთ-ორ კვირეს, სანამ დამარხავდე და წესს და რიგს აუსრულებდე.

– მფარველო და მწყალობელო! ორი კვირე სახსენებელია?.. მერე ორმოცი და წლის წირვა ვინლა გადაუხადოს?

– კარგი, წელიწადი იყოს!..

– მარტო ერთი წელიწადი?.. არა კმარა!.. რაც მეტი მოხსენება ექნება, ის არ ემჯობინება მაგის სულისათვის? თუმცა ჩემთვის კი უფრო მეტი ტანჯვა იქნება, რამდენსაც მეტს ვიცოცხლებ!.. ვაი ჩემი

ბრალი, რომ უნდა ვიტანჯო და მაგის ხსოვნაში ვათენ-ვაღამო!.. მაგრამ რა ვქნათ! ქმრის სიყვარული მაღლით ნაბრძანებია!.. მარტო მაშინ კი არ უნდა გვიყვარდეს ქმარი, როცა ხორციელად გვერდში გვიდგას და ვეხვევით!.. როცა აღარა გვყავს, მაშინ უნდა ვიგონებდეთ... და ნამდვილი სიყვარულიც ის არის!..

– მართალს ამბობ!.. მართალს!.. და, მაშ, რამდენია საჭირო?.. ათი გეყოფა?

– არა!..

– ოცი არ იკმარებს?..

– არც ეგ!

– ორმოცი?

– ეგეც ცოტა იქნება!.. მით უფრო, რომ თქვენთან რაღა დავფიცო, მაგ უბედურს ცოდვაც არ მიუძღვის ცოტა საიქიოსკენ!..

– ორმოცდაათი?

– მე მეყოფოდა, რომ თვითონ ქმარიც დამეთანხმებოდეს... მაგრამ ვიცი, რომ ის სულაც არას ინდომებს!.. საბრალო სულ იმას იძახის: ამ ტანჯვას სიკვდილი მირჩევნიაო!.. ნუ გაუმტყუნებთ ნატვრას!.. დეე, იმან განისვენოს სიკვდილით და მე კი ვიტანჯო სიცოცხლით!.. ნულარას დააკლებთ!.. მიბოძეთ ეგ ასივე წელიწადი, რომ...

აქ გარისხებულმა ანგელოსმა ჩემს საჭირისუფლოდ მომზადებულს სიცოცხლის მოკავშირეს სიტყვა აღარ აცალა და გააქრო ჩემი სულის კოლოფი. აღარ მოუხედნია ჩემთვის სხივოსანს; და რომ მოეხედნა, მეც აღარა მექნებოდა რა სათქმელი!..

ცოტა ხნის უკან, შემობაჩუნდა მოხუცებული მამაჩემი და მოეხვია მუხლებზე სასწაულმოქმედს.

– შეგიტყვია, მოხუცო, რაც ამბავია?

– ქვეყანა ღაღადებს!.. კურთხეულ არს უფალი უფლებათა!..

– შენ საამქვეყნოდ ბევრი აღარა დაგრჩენია რა... და არ გინდა, რომ რამდენიმე წელიწადი გიზიაროს შვილმა მისის საჩუქრიდან?

– რას მიბრძანებ!.. დავრდომილთა ნუგეშო და ცოდვილთა სასოო!.. ნეტავი იმდენი დღე მქონდეს, რომ, პირიქით, მე დავუთმო და მივუმატო მის წუთის სოფელს!.. მაგრამ თვითონ თქვენ ბრძანეთ, რომ მე ბევრი აღარა დამრჩენია რა, და ისიც რომ გავანაწილო, აღარცა რა მე დამრჩება და არცა რა მას მიემატება... რაც ღმერთს მისთვის მიუნიჭებია, მისი უნდა იყოს საკუთრად.

ის რომ წამოდგა, დაემხო ზეციური სტუმრის წინ დედაჩემი, ააპყრო ხელები მაღლა და ნეტარების ცრემლები ღაპაღუპით ჩამოდიოდა დამჭკნარ სახეზე...





– ჰოი, ყოვლად სანატრელო და სასიქადულოვ! – შეჰყვირა ხმამაღლა, – დიდ არს მომავლინებელი შენი და საკვირველ არიან საქმენი მისნი. იყავნ ნება მისი კურთხეულ ამიერითგან და უკუნისამდე, ვინც მიანიჭა ჩემს საბრალო შვილს საუკუნის სიცოცხლე!..

– დიახ, მიანიჭა, მაგრამ პირობით!

– პირობით?.. რა პირობით?

– თუ ამქვეყნად სადმე იშოვნის თავისთავად ათს წელიწადს, მაშინ ნაბრძანები მაქვს მეც ჩემის მხრით მივუმატო ოთხმოცდაათი, შევუსრულო ასად და დავუმტკიცო.

– მერე?

– ვერ ვიშოვეთ... ერთი წამიც არავინ გაიმეტა!..

– მე რამდენიღა დამრჩენია სიცოცხლე?

– სწორედ ათი წელიწადი, არც მეტი და არც ნაკლები...

– მაშ მიიღე ჩემგან... მიუმატე და მე განმიტევე მშვიდობით! – შეევედრა სიხარულით...

მე ტანში ჟრუანტელმა დამიარა... გულმა ძგერა დამიწყო, მოვინდომე, რომ მივვარდნოდი და მოვხვევოდი... მაგრამ... ამ დროს გამომეღვიძა.

დოქტორი მადგა თავზე და მეკითხებოდა: – „ძილში შფოთავდი და ხომ არა გაწუხებს რა?.. მაგდენი ძილიც არას გარგებს... აგერ შუადღემ მოატანა!.. მნახველები, დიდი ხანია, გიცდიანო!“

– მნახველები?.. უნდა შემოვიდნენ, მეალერსონ!.. მე მადლობის გადახდით დამღალონ? მეფარისეველონ... იმტყუვნონ ღვთისა და კაცის წინაშე?!. არა!.. არა!.. ნუ შამოუშვებთ! დაითხოვეთ ყველა!.. – საზარელის ხმით შევსძახე დოქტორს და კიდევაც დავჰკარგე გრძნობა!..

მკითხველო, თუ იპოვნო ის ჩემი გრძნობა, ნუ გინდა!.. ჩემი არ იყოს, ცხოვრებაში ბევრს ვერას გამოგადგება, – შეგაცდენს და მოტყუებული დარჩები.

[1899]

# ᲝᲠᲘ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘ

## (მოხუცის მოგონება)

„გული წმინდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსაო“, – შეჰღაღადა ზეცას ახალგაზდობამ სიყმაწვილის მომგონ მოხუცის პირით. მაგრამ ვაი, რომ წელიწადში ორჯელ არ აჰყვავდება მაისის ვარდი! და წარსულიც არ გამეორდება!! პოეტების თქმისა არ იყოს, თაფლივით ტკბილი და ბროლივით წმინდა სიჭაბუკეც ერთხელ მოგვიდის, მეტად არა! და ეკლიან სიბერეს, როგორც ძილად მიმავალს, ისე ანუგეშებენ ფიქრები და ოცნება წარსულზე!..

ათის წლისა თუ ვიქნებოდი, ქ-ის გიმნაზიაში რომ მიმცეს. მემკვიდრეობით მივიღე მამისაგან ჯანმრთელობა და დედისაგან ჩჩვილი და მოყვარული გული; ორივესაგან კი ბუნებითი ნიჭი! და ამიტომაც ბევრი აღარა დამჭირვებია რა, რომ პირველობისათვის არა თუ ჩემს კლასში, მთელ გიმნაზიაშიაც გამომეკრა ხელი. უფროსები კარგის თვალით მიყურებდნენ, ამხანაგებს ვუყვარდი და მეც, ბედნიერს, ყველაფერი ვარდისფრად მეჩვენებოდა.

ახალგაზდის გულის გატაცებას ბევრი არა უნდა რა და ამიტომაც, თუ მოძღვარ-მოწაფე ვერ შეთვისებულან, ბრალი ყოველთვის პირველს უნდა დაედვას, მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ მისთანა არავინა გვყოლია! ყველა გვიყვარდა და ერთ მათგანს კი, ისტორიის მასწავლებელს, თითქმის ვაღმერთებდით. მის გაკვეთილებზე ისე ვგრძნობდით თავს, როგორც ჩვენ საკუთარ ოჯახში: ხარბად ვეწაფებოდით თვითოეულ მის სიტყვას და უკანასკნელ მოწაფეებსაც კი სიკვდილად მიაჩნდათ მის ხელში ცუდი ნიშნის მიღება. ერთხელ, როცა რუსული ისტორიიდან ჩავედით „მამაის ბრძოლამდე“, იმან ათრთოლებულის ხმით გადმოგვცა, თუ როგორ ჰკვნესოდა წმინდა რუსეთი მონღოლების უღელქვეშ და ჩვენც ყველას ცრემლები მოგვერია. მაგრამ ეს ყოფა დიდხანს არ გაგრძელებულა: როგორც ავდრის შემდეგ ღრუბელში გამოიჭიატოს მზემ, ისე გაბრწყინდა მისი სახეც, თვალები აუელვარდა და მიეცა ზეგარდმო-ჩაგონებას, როდესაც გადავიდა „მამაის ბრძოლაზე“. აი, ყველაზე წინ წამოდგა დიდი თავადი დიმიტრი დონელი, გვერდში უდგას მისი ძმა ანდრია ტვერელი, თანდათან ემატებიან დროზე სხვა მოკავშირე თავადებიც, წმინდა მეუდაბნოე სერგი აკურთხებს ქრისტეს მმოსავ ჯარს და კიდეც იწყება სასიკვდილო-სასიცოცხლო, სისხლით შეღებილი საისტორიო ომი. რუსებზე ბატონობით და ხშირის ძლევით გალაღებული მონღოლები ერთიორად მეტი არიან რუსებზე. მაგრამ უკან დახევას რუსთაგან არავინ ფიქრობს. დღეს უნდა გადასწყდეს ბედი მართლმადიდებლობის! რუსები, სარწმუნოებისა და სამშობლოსთვის თავგამოდებული, ქორივით მიეტივნენ მტრებს. მაგრამ ომში გამოცდილმა მამაიმ ორად გაჰყო თავისი ჯარი: ნახევარი მიაგება მოპირდაპირეს და ნახევარს კი ასვენებს, რომ მერე მოუტივოს დაღალულებს და დაიმორჩილოს. ცუდად არის რუსების საქმე! დაიქანცენ, დაიღალენ და კანტი-კუნტად იბრძვიან შეშინებულები; მხოლოდ მათში ერთი ვიღაც უცნობი, თეთრ ცხენზე მჯდომი, შუბით ხელში ელვასავით მიქრი-მოქრის აქეთ-იქით და თან შეაქვს სიკვდილი და ზარი! ამით სარგებლობს მახვილგონიერი თავადი ანდრია და მიუბრუნდება ნახევრად დამარცხებულ თავისიანებს: „დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენნი შენნი! ქრისტიანებო! ვერა ხედავთ, ძლევამოსილს წმინდა გიორგის, ღმერთს რომ გამოუგზავნია ჩვენთვის დასახმარებლად? აბა, ჰე, წინ! წინ! ჩვენთან არს ღმერთიო“ და შევარდენივით მიაშურებს თათრებს. მის მაგალითს მიჰყვებიან სხვებიც, მისის სიტყვით მოხიბლულები, გამოჰგლეჯენ ხელიდან გამარჯვებას უეჭველობით გადიდგულებულ მტრებს და სიხარულის ხმა გაისმის „კულიკის ველზე“.

ამ ამბავმა ისე გაგვიტაცა ყველა, რომ დაგვავიწყდა, სად ვიყავით, ინსტიქტიურად დავიძახეთ: „ურაა!“ შეშინებული მასწავლებელი წამოვარდა ზეზე და უცბად გავარდა კარში. კარგი რომ არც ინსპექტორი და არც ზედამხედველი ვინმე შემოგვსწრებია, თორემ თქვენი მტერია, ჩვენი ხრიალისათვის დღე დაგვადგებოდა! გამოდგა, რომ კლასი კიდეც გათავებულიყო, ჩვენ ვერა გავიგეთ რა და სხვები კიდეც წასულიყვნენ სახლში, ჩვენ კი კიდევ დიდხანს დავრჩით ჩვენს კლასში. ფეხს არ ვიცვლიდით. მოვინდომეთ, რომ ჩვენც გაგვემართა ერთმანეთში „მამაის ბრძოლა“, მაგრამ თავს ყველა ჩვენგანი რუსად გრძნობდა და თათრობა არავინ იკისრა.

– რა ამბავია, რომ დაიგვიანე? ფერმიხდილი ხარ! რა დაგმართნია?! – მკითხეს მშობლებმა, შინ რომ დავბრუნდი. მეც, რასაკვირველია, გამოტეხით ვუთხარი, რაც გადამხდა გიმნაზიაში და იმათაც მხოლოდ გაიღიმეს, მერე მოფერებით გადამისვა მამამ თავზე ხელი და ცოტა სიჩუმის შემდეგ სთქვა:

– დიახ, იყო დროება, მაგგვარი რამ ჩვენც გვემართებოდა და შენ კი აქამდე არა იცი რა?! – ამ სიტყვებით მიადგა საწიგნეს, ჩამოიღო ერთი პატარა წიგნაკი, ისტორიული სახელმძღვანელო,

დანიშნა გვერდი და გადმომცა: როცა გაკვეთილები მოამზადო, აქაც ჩაიხედეო.

იმ დღეს ფაციფუცით ვჭამე სადილი, მოვამზადე გაკვეთილები და შევუდექი ქართულს, – ღმერთო ჩემო! რა ამოვიკითხე და რა გავიგე?

იქაც და აქაც ერთი და იგივე მოვლინება! იქაც მოულოდნელად დაეცემიან იმათ თავზე თათრები და აქაც ჩვენ მოულოდნელად გვესხმებიან. ერთსა და იმავე დროს რუსეთიც აკვნესდება თათრების უღელქვეშ და აქაც საქრისტიანო საქართველო მიიღებს მაჰმადიანისაგან წმინდა მოწმობას! იქაც, ცხრა მთას იქით, და აქაც, ჩვენში, ერთმანეთის შეუტყობლად, ამბოხდება ხალხი და თათრების მტარვალობას იშორებს თავიდან! იქ სერგი მეუდაბნოე ამხნევებს ლოცვაკურთხევით რუსის ჯარს და აქ, ქართველებს, – არსენ კათალიკოსი. აქაც და იქაც ორგანვე შენიშნავენ თეთრ ცხენზე მჯდომარე მეომარს, წმინდა გიორგიდ მიღებულს, და დასასრულ, იქაც დიმიტრი დონელი და აქაც, – დიმიტრი თავდადებულის მიზეზით აგზნებული გიორგი!.. ნუთუ ესეები ყველა არ ამტკიცებს, რომ განგებას წინდაწინვე, იმთავითვე, მოუნდომებია ამ ორი სხვადასხვა ხალხის ქრისტიანულის კავშირით ერთმანეთზე გადაბმა?..

ამისთანა ფიქრები მომდიოდა და შარავანდით გაბრწყინებული მეხატებოდა რუსეთი. დიდხანს... დიდხანს ვიყავი გატაცებული მომხიბლავი ოცნებით, მხოლოდ დილას კი დამეძინა და ვნახე პირველი სიზმარი: მოსხივცისკარე სამოსით გაბრწყინვებულ ტახტზე იჯდა ქრისტე, იმისკენ მიისწრაფოდა ხალხიც. წინ მიუძღოდა მათ ორი გვირგვინოსანი, მეფე დიმიტრი თავდადებული და დიდი თავადი დიმიტრი დონელი. იმათ აეღოთ ჯვარი ორივ მხრით და მიჰქონდათ, რომ დაესვათ ქრისტეს ტახტის წინ და გაემაგრებინათ. იმათ მოსდევდა ჯარი, ერთის მხრით რუსის და მეორეთი ქართველები. „უფალი ჩემდა და მაცხოვარ ჩემი, ვისა მეშინოდეს მე?“ „უფალი მხსნელი ცხოვრებისა ჩემისა და ვისლა ვეკრძალოდე მე?“ გალობდნენ რუსები. – „აღსდეგინ ღმერთი და განიბნივნენ ყოველნი მტერნი მისნი პირისაგან ქვეყანისა“. – ეხმატკბილებიან ქართველები და ხმა უხილავი ბანს აძლევს მაღლიდამ. საკვირველია, რომ სხვადასხვა ენაზე გალობენ, სხვადასხვა კილოთი და ჰარმონია კი ერთია: ციური და მომხიბლავი!.. ქრისტე თანსწორად აკურთხებს ორივეს.

აი, სად ყოფილა ჭეშმარიტება! მაშ ეს არის სასუფეველი? – დავიყვირე და კიდეც გამომეღვიძა იმ ჩემ ხმაზე. იმაზე უფრო უნეტარესი დილა მერე მე აღარ გამთენებია!.. სუყოველგან რუსები მელანდებოდენ! ასე გასინჯეთ, რომ ლოცვის დროსაც კი ხატის წინ რუსები





მეჩვენებოდნენ და რაღაც გამოურკვეველ უცნაურ ძალას მივჰყავდი მათკენ.

იმ დილას ყველაზე ადრე მივედი გიმნაზიაში. კლასში არავინ დამიხვდა. მოლოდინში წამი საუკუნედ მეჩვენა. სული მიმდიოდა, სანამდი მივახარებდი ჩემს ამხანაგებს იმას, რითაც მე ვიყავ აღტაცებული, და მართლაც გადავეცი თუ არა იმათაც, რაც ეწერა ქართულ სახელმძღვანელოში, ისინიც აღტაცებაში მოვიდენ. – „ეს ყველაფერი ვუამბოთ ალექსეი პეტროვიჩს!.. კარგი რომ პირველი გაკვეთილი მისი იყო. ერთი კიდევ ვნახოთ მისი აღტაცება გუშინდელივით“, – ყვიროდნენ მოწაფეები და თანაც ხტოდნენ სიხარულით.

შემოვიდა მასწავლებელი და გადავეცით ყველაფერი. – „ეგ არ შეიძლება! ტყუილი იქნება!“ – წაიბუტბუტა მასწავლებელმა. ჩვენ ქართული სახელმძღვანელო ვუჩვენეთ. – „კი, მაგრამ მანდ ტყუილი ეწერება და ნუ დაიჯერებთო“, – მოგვიჭრა ცივად და გადავიდა გაკვეთილებზე. – „ალბათ ავად არის!“ – ვიფიქრეთ გუნებაში, და მართლაც რომ ის თავის თავს აღარა გავდა, რაღაც ემართებოდა. ისე გათავდა გაკვეთილები, რომ ჩვენსკენ აღარ შემოუხედნია; წავიდა და აღარც ჩვეულებრივად ღიმილით გამოგვეთხოვა. ცოტა ხანს უკან შემოვიდა ჩვენთან ზედამხედველი, გამოგვკითხა ყველაფერი და ჩამოგვართვა ქართული სახელმძღვანელო. მე კანცელარიაში შემიხმეს და გაოცებით მკითხა დირექტორმა:

– ეს რა არის?

– არაფერი! – მივუგე გაოცებით.

– როგორ თუ არაფერი? – ჩაერია ლაპარაკში ინსპექტორი, – მაშ ეს რა არის?

– ქართული ისტორიის სახელმძღვანელო, – მივუგე მე გულწრფელად. – აქაც ის სწერია, რაც გუშინ ალექსეი პეტროვიჩმა გვიამბო რუსული სახელმძღვანელოდამ.

– ეგ სულ სხვა არის! – დაიწყო ხელახლად დირექტორმა. – ნუ თუ არ იცი, რომ ქართული წიგნების კითხვა სკოლებში აკრძალული გაქვთ! შენ კი, არა თუ თვითონ კითხულობ, სხვებსაც კი აკითხებ და რყვნი.

– მე არ მეგონა... მასთანაც კიდევ მამამ მირჩია.

– მამამ! მამამ! სკოლაში მიტომ გიღებენ, რომ მამაც დაივიწყო და პაპაც!.. იმათი სამაგიერო აქ უნდა სძებნოთ, სკოლაში! მიხვდი? შენი ბედი, რომ ჯერ არაფერში ყოფილხარ შემჩნეული. ახლა გვიპატიებია შენთვის, მაგრამ აწ კი გაფრთხილდი! გესმის?..

სრულიად ვერა გავიგე რა, რათ მიწყრებოდნენ, მაგრამ აცახცახებული კი დავრბოდი შიშისაგან კლასში. ამხანაგები შემომეხვივნენ გარს და როცა გაიგეს, რისთვისაც დამიძახეს, ჩემი არ იყოს, ისინიც გაოცდენ: ვერ გაიგეს, თუ რათ ჯავრობდენ უფროსები? და ან ჩვენ რა დანაშაული გვქონდა?

იმ დღიდან ცალყბად დამიწყეს ყურება და აღარ ვიცოდი, თუ რა უნდა მექნა. ბევრსა ვფიქრობდი და ვერ გამომეკვლია კი, რა დანაშაული მიმიძღოდა. ვსწავლობდი თუ არ უკეთ, უარესად არა უწინდელზე; არ ვცელქობდი, სიყვარულითაც ადრინდელზე ნაკლებ არ მიყვარდა არავინ.

საღვთო სჯულის მასწავლებელმა, ჩემმა მოძღვარმა, ამ ყოფაში რომ მნახა, ალბათ შევეცოდე, რომ მიმიხმო და გამომკითხა ყველაფერი. მე, როგორც მოძღვარს, გადავუშალე გული და აღარა დამიფარავს რა. იმანაც მანუგეშა: „ჩემო შვილო! ჯერ პატარა ხარ. შენდათავად ვერაფერს მიხვდები და მიტომაც უფროსებს უნდა დაუჯერო ხოლმე. იმათ უკეთ იციან, რა გეჭირვება შენ და რა არა. შენ მაგიერ პასუხს აძლევენ ღმერთსაც და კაცსაც. ეს არის ღვთის ბრძანება. ამას სახარებაც მოგვითხრობს. აი, წაიღე ეს სახარება და მოცლის დროს, როცა გაკვეთილებს მორჩე, იკითხე ხოლმე და ღმერთიც დაგამშვიდებსო!" ასე მითხრა დარიგებით მამაშვილურად, გადამისვა თავზე ხელი, მაჩუქა სლავიანური სახარება და გამისტუმრა მშვიდობიანად.

მე ძალიან მოვეჭიდე კითხვას, მაგრამ ბევრი კი ვერ გავიგე რა სლავიანურიდან და წამდაუწუმ ვეხვეწებოდი მამას, რომ აეხსნა ჩემთვის გაუგებარი ადგილები. მოთმინებიდან გამოსულ მამას ისე გაუჭირდა საქმე ბოლოს, რომ მითხრა: – „თუ ღმერთი გწამს, თავი დამანებე! ნურც თავს იწუხებ და ნურც მე მაწვალებ. თუ კითხვა გინდა, აიღე ქართული სახარება და ის იკითხე! ღვთის მადლით ის პირველ საუკუნეებშივე გადათარგმნილია წმინდა მამებისაგან და გადმოცემული, როგორც ნიმუში საქრისტიანო სასწაულისო. ყველაფერი ძველდება ქვეყანაზე და ჩვენი სახარების ენა კი ყოველთვის ახალია და იქნებაო. ძველად და ახლაც, როგორც ჩვენ წინაპრებს, ისე ჩვენ, შვილებს, თანასწორად ესმოდათ კარგად და კიდეც გაიგებენო! აჰა, მოკიდე შენც ხელი და ნუღარ მაწუხებო".

მართლაც შევუდექი კითხვას და ადვილის ენის წყალობით ყველაფერი გავიგე და დავმშვიდდი.

– როგორ ხართ შენ და შენი სახარება, კითხულობ ხოლმე? – დამეკითხა ერთხელ რჯულის მასწავლებელი.





– როგორ არა, ვკითხულობ კი არა, გაყრითაც არ ვეყრები, სულ თან დამაქვს.

– ძალიან კარგი გიქნია! მაშ აბა, ერთი მიჩვენე აქა!

მე მაშინვე მივართვი ჩემი სახარება. იმან დააჭყიტა თვალები, გადაატრიალ-გადმოატრიალა ხელში და მკითხა: რა არის ეს?

– სახარება!

– ეს რა სახარება არის?

– ქართული!.. ქართულად არის დაწერილი.

– მერე და ამის კითხვა გითხარი მე შენ?

– ის ვიკითხე და ვერ გავიგე.

– ჰმ!.. მაშ აგრე?.. ჩვენი წმიდა სახარება, სამართმადიდებლო და საქრისტიანო, მიაგდე განზე და ამას ამჯობინე თქვენი, რაღაც ძაღლის ენაზე დაწერილი წიგნი? მართლა რომ შენი გასწორება ძნელი ყოფილა.

ამ სიტყვებით მიახეთქა წიგნი კედელს და ისეთის გულმოსულობით, რომ ფურცლებმა ფრიალი დაიწყეს აქეთ-იქით. მთელი კლასი ფეხზე წამოდგა. მე გავშეშდი და რაღაც უჩვეულო გრძნობამ გამკრა გულში. გამოვარდი კლასიდან ისარნაკრავივით და როდის, რანაირად მივედი სახლში, აღარ მახსოვს!.. მხოლოდ ის კი მაგონდება, რომ პირდაღმა ბალიშში თავჩადებული გულამომჯდარი ვტიროდი და თავზე მდგომი დამფრთხალი დედ-მამა მანუგეშებდა.

– თურმე ჩვენი ენა ძაღლების ენა ყოფილა და ჩვენი სახარებაც უწმინდურ ენაზე დაწერილი! – ძლივს ამოვილუღლუღე მტირალმა.

– რას ამბობ, შვილო? ხომ არ გადარეულხარ? – მომაყვირა დედამ და მომადვა ხელი ტუჩებზე, – გეტყობა, შენ ჭკუაზე აღარა ხარ, ღმერთსა გმობ?!

– მე კი არა... ჩვენმა მოძღვარმა გვითხრა!..

– მერედა ვინ არის ის ოხერი? ქრისტიანი არ ყოფილა? უღმერთო იქნება ვიღაც?!

– არა, არა, საღვთო სჯულის მასწავლებელია!

– მაშ, ვერ გამიგია, შვილო! ის მაგისთანას ვერას იტყოდა.

– სთქვა და გაათავა!.. განა მარტო ის ამბობს? სხვებიც ამოწმებენ: ერთს ამ სიტყვისთვის წარმატებაც მისცეს.

– ხუმრობენ, შვილო! მაგრამ მაგისთანა ხუმრობაც ღვთის საწყენია!

– დიახ, კარგი ხუმრობა იყო! ისე მიარტყა კედელს ჩვენი სახარება, რომ მთელი კლასი ფეხზე წამოცვივდა, – ტირილით ვამბობდი მე.

დედ-მამამ ერთმანეთს შეხედეს. დიდხანს ჩუმათ იყვნენ. ხმა აღარ ამოუღიათ. ბოლოს მამამ უთხრა დედას: – „ელენე! მაგ ბოვშს დღეიდან ნულა გაგზავნი სასწავლებელში. მართალია, უსწავლელობა დიდი უბედურება არის, მაგრამ წარწყმედას ყველაფერი სჯობია. სალდათად არ წაგართმევენ, ეგ ერთადერთი შვილი გვყავს და სხვა გზაზე დავაყენოთ როგორმეო“. დედ-მამა თითქმის მტირალი გავიდა მეორე ოთახში და მე კი მარტო მიმატოვეს გართული შავ ფიქრებში.

– როგორ? – ვამბობდი ჩემს გუნებაში, – ის ენა, რომლითაც მოციქულთა-სწორი, წმინდა ნინო ქადაგებდა და ავრცელებდა საქართველოში ქრისტეს მცნებას – ძაღლის ენაა? ის ენა, რომელზეც საუკუნეების განმავლობაში ასრულებდნენ ჩვენი წმინდა მამები ღვთის სამსახურს, უწმინდურია? თუ არ ეკადრებოდა ღმერთსა, მაშ რისთვის ვიტანჯებოდით ამდენ ხანს მისი გულისთვის? ჩვენი წმინდა მოწამეები, რჯულისათვის რომ იტანჯებოდენ, მაშ სულ ტყუილი იყო? და ჩვენი წარსულიც – „ამაო-ამაოთა“?

ამისთანა რამეებს, რამდენს მეტს ვეკითხებოდი თავს, უფრო და უფრო მევსებოდა გული ნაღვლით და ვიტანჯებოდი... დავიღალე, დავიქანცე, მიმეძინა და კიდეც ვნახე მეორე სიზმარი: იმ ტახტს, სადაც ადრე ქრისტე ღმერთი იჯდა, ცეცხლი მოჰკიდებოდა და ზედ ანტექრისტე ზის, ორივე მხრით უწმინდურთა რაზმი შემოჰხვევია, მათი მეთაურები იუდა და კაინი არიან. მეც ბევრი მათგანი ვიცანი. ძველი საყდარი დაქცეულია და მის ნაცვლად აუგიათ კერპთსადგური, სადაც ქურუმები თამამად ასრულებენ კერპთმსახურებას.

ბიჭოს!.. აკი ესენი გუშინ ქრისტიანები იყვნენ?! დღეს სამოსელი გადაუგდიათ და კერპთთაყვანისმცემლობას აღიარებენ! „შესწირეთ მსხვერპლი მამონსაო!“ – იძახიან. სისხლიანი დანით ხელში მიარბენინებენ სამსხვერპლოდ გაწირულ ახალგაზდებს ვიღაც გამხეცებულები! ღმერთო ჩემო! რანაირად მოგავან ესენი იმ ჩვენს მოძღვრებს და აღმზრდელებს!.. ეს სამსხვერპლო ბავშვები... ესენიც ხომ ჩემი ამხანაგები არიან? რად მიჰყავთ ძალით ჯოჯოხეთში?.. აი, სად ყოფილა ჯოჯოხეთი! ცეცხლი მეკიდება, აგერ სადაც არის გული შემიწუხდება! მაგრამ დაილოცა ღვთის სამართალი... დაიელვა, ყოველი გაანათლა; დაიქუხა და გავარდა მეხი, მოხვდა ანტიქრისტეს და ისიც თავის თანამოზიარეებით ჩავარდა ქვესკნელში.

შორით გამოჩნდება ნათლის სვეტი და თან მოჰყვება ქრისტე, ცოდვილთა და მართალთა განსასჯელათ...

[1905]





## ბეშტია და ბენია

### (ტელეფონით)

**ბეშტია:**

ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკი გამოუტყდა საურთიერთო ნდობის ბანკს: „ფულები არა მაქვსო!“ და იმანაც უპასუხა: „მეც მაკლიაო!“ მაშინ ორივემ ერთად მიმართეს სამოქალაქო საბჭოს, საბჭომ ტირილი დაიწყო: მე სულ არაფერი გამაჩნია და მისთანა თავს ვეძებ, რომ საბჭოს ფეხები გამოაბას და აამოძრავოსო. მართლაც, გადასწყვიტეს: თუკი რუსეთმა ვარიაგებს მიმართა და მეფე მოითხოვა, ჩვენც რომ ქალაქის თავი ტფილისიდან გამოვიწეროთ, რა ცოდვა იქნებაო. აირჩიეს მოციქულები და გამოგზავნეს.

**ბენია:**

ჩამოვიდენ აქ, ტფილისში, მოციქულები, მოადგენ ახლად მოვლენილ რიურიკს და სთხოვეს: ასეა ჩვენი საქმე... ქუთაისელები თავს დავეძებთ და აქ ვერ გვიპოვნიაო. მართალია, თავები აქაც არიან, მაგრამ იქაურები სულ იმასა სცდილობენ, ერთმანეთს ტვინი გაუვლაყონ და ტვინგალაყებული თავი რაღას ვარგიაო. ახლა შენთან მოვსულვართ, თაობასა გთხოვთ და ნუ გაგვაწბილებო!.. – ახალმოვლენილ თავადს ეგონა ეს ვედრება და უთხრა მოციქულებს: ცუდ მდგომარეობაში მაყენებთ: ეგ ჩემთვის ძალიან პატარა საქმეა! ხელმოსაკიდებელი არ არის, მაგრამ თქვენისთანა დარბაისელმოციქულებს უარი როგორ გაებედებათ!.. (გულში კი მოციქულის ანდაზა აგონდებოდა). სამ საათამდი დრო მომეცით, მოვიფიქროო! მაშინ მობრძანდით ჩემსა, სადილი მიირთვით და ყოლიფერს მოგახსენებთო! დააიმედა მოციქულები. თვითონ კი გაქანდა სახლისაკენ და სტუმრობია გამართა. მიიწვია: გუბერნიის მარშალი, ქალაქის თავი, სეკრეტარი, ბანკის თავმჯდომარე და სხვა ამგვარი დიდ-დიდი ვინმეები. მაგრამ სტუმართმოყვარეობითა და პატივის ცემით კი არა, არა! მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ისინი მოწმედ დაისწროს, თავი გამოიჩინოს და ათქმევინოს მათ: ბიჭოს, რა ყოფილა ეს კაცი, ჩვენ რომ თურმე კიდევ ვერ ვაფასებთ კარგათ. აი, როგორ ეხვეწებიანო და სხვანი... მართლაც სადილზე ბევრი მომზადებული სიტყვა წარმოითქვა მასპინძლის გასაბერავი და ბოლოს უარით გამოისტუმრა შინისაკენ მოციქულები.

**ბეშტია:**

ჩამობრძანდენ მოციქულები, მეტად დაღონებული. ქუთაისელებმა სიცილი დააყარეს: სად მირბოდით, რომ მირბოდითო, „მეტიჩარა“ და სხვანი. ერთმა ვითომ პოეტმა ლექსიც კი გამოსთქვა:

როცა უნდა პროკოფია,
როცა უნდა – ვლადიმირი!
ხან იანცი პოლოზ-ყაზაზ,
ხან ქართველი, ვითომ გმირი!
–
აქაც არი, იქაც არი,
მაგრამ გულით არსად არი!
იმერეთის ეშმაკია,
ანგელოზის არ სადარი!
–
ახალ დროის შესაფერი
კაცი უნდა ამისთანა:
ხელთ უჭირავს მომარჯვებით,
მოსაკლავი სხვისი დანა!..
–
დაჭირდება პროკოფია,
დაჭირდება – ვლადიმირი!
იმერეთში დიდი... დიდი,
ტფილისში კი გმირთა-გმირი.

[1907]





**ნამდვილი ამბავი I**

ამ სამი წლის წინად ბორჯომში ერთი გლახა დაიარებოდა. პირველ შეხედვისათანავე შეატყობდით, რომ ის ოდესმე კარგი შესახედავი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა კი, ღმერთმა შეინახოს: ყურჩამოთლილი, ცხვირგაჭეჭყილი, ლოყებდაჩეხილი და კისერმოგრეხილი!.. ცუდი სანახავი რამ იყო!.. თანაც მარჯვენა ხელს ველარ ხმარობდა. იდგა პარკის გამოსავალთან და გამვლელ-გამომვლელს მარცხენა ხელს უშვერდა სამოწყალოზე. ვინ ან სადაური იყო? ვერ შეატყობდა კაცი. მე კი რუსი მეგონა, რადგანაც „ხრისტა რადი, ბარინო!“ გაიძახოდა ყოველთვის. ღმერთთან სწორი სჯობს, ჩემთვის არასოდეს არ გამოუშვერია ხელი, თითქოს თვალს მარიდებდა.

ერთ საღამოს, სკამზე რომ ვიჯექ მარტოკა დაფიქრებული და შევყურებდი მაღლიდან გადმონაქან ჩენჩქერს, „საღამო მშვიდობისაო!“ – მომაძახა ვიღაცამ.

მოვიხედე და ნაცნობი გლახა იდგა ჩემ გვერდით...

– აქ რას უზიხართ ამ დროს? არ გეშინიათ მარტოობის? – დამეკითხა თამამად.

– რისი უნდა მეშინოდეს? შენი ხომ არა? – ვუპასუხე სიცილით.

– ცუდი დრო არის ახლა!.. მოძრაობაა... ადამიანი ჩალად აღარ ღირს. შეიძლება სულ ტყვილა-უბრალოდ გაფუჭდეს კაცი და მომკითხავი არავინ ეყოლება!.. ჯერ იყო და ტერორი... ახლა რეაქცია დადგა და კიდევ უარესი!.. სიფრთხილე უმართებს ჩვენში ყველას და თუ სულ მოშორდება აქაურობას და სადმე მიიმალავს თავს, ის კიდევ უკეთესი!..

– შენ რა იცი ან ტერორისა და ან რეაქციის? – დავეკითხე გაოცებული.

– ნეტავი არ მცოდნოდა!.. ამ დღეში აღარ ჩავვარდებოდი.

– როგორ?

– თქვენ ვერ მიცნობთ, თვარა მე კარგად ვიცი, ვინცა ბრძანდებით!.. გაგიხსნიდით გულს, მაგრამ გრძელი ამბავია ჩემი თავგადასავალი და ვაი თუ თავი მოგაბეზროთ?!. – ცნობისმოყვარეობამ ამიტაცა და თითქმის შევეხვეწე: – თუ არ მიეჩქარები სადმე, დაჯექ და მომიყევი! მე ძალიან მონდომებით დაგიგდებ ყურს.

– ბატონი ბრძანდებით! კეთილი!.. გულისნადებს რომ ვისმეს გავუზიარებ, როგორც მოძღვარს, ტანჯვის ტვირთი თითქოს მიმსუბუქდება. მე აღარც მოძღვარი მყავს და აღარც ვინმე, – დღეს ჩემთვის ყველა გათავებულია!..

დაჯდა, დაფიქრდა, მწარედ ამოიხვნეშა და მოჰყვა:

– მე შორაპნელი ვარ. ახლა მიყურებთ ასე, თვარა დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც მეც ადამიანებში ვერიე და ჩემ ტოლს არაფერში ჩამოუვარდებოდი. სტრაჟნიკად ვმსახურებდი და მთავრობასაც კარგად ვყავდი შემჩნეული.

დამსჯელი რაზმი რომ შემოიღეს, მე, როგორც ჩემდა საუბედუროდ, რუსულის მცოდნე, კაზაკების ერთ გუნდს მიმიჩინეს.

ეგენი უცხოები არიან აქ, არც გზა იციან, არც კვალი და შენ უნდა წაჰყვე ხოლმე, უწინამძღვროო. არ მიამა, მაგრამ რას ვიზამდი? ბატონის ბრძანებას სად წაუხვალ?! მეც ავედევნე ამ ძაღლთაპირებს. აქ კაცსა ჰკლავდენ, იქ სახლსა სწვავდენ... დედაკაცებს აუპატიურებდენ და სხვანი. რასაც უფრო მეტს მხეცურს ჩაიდენდენ, ის უფრო ექებოდათ და სამსახურშიაც ერთგულებად ეთვლებოდათ. პირველ ხანებში ცოდვით ვიწვოდი; მაგრამ საკვირველი ყოფილა ადამიანი!.. ყოველიფერ სისაძაგლეს მიეჩვევა თურმე: ბოლოს და ბოლოს მეც შევსტოპე უწმინდურობის წუმპეში და ერთიც ველარავინ მჯობდა ცარცვა-გლეჯაში! მით უფრო, რომ ნაცარცვში მეც წილი მედვა ხოლმე და სოფლელების წივილ-კივილი აღარაფრად მიმაჩნდა.

ერთხელ მაზრის უფროსთან მოვიდა ვიღაც ჩვენებური, „გამოსუქინსინებული“ კაცი და მოახსენა: – „თქვენ რომ დაეძებთ, ის გადავარდნილები ამა და ამ სოფელში იმალვენ თავსო“.

– ვინ არის ეგ „გამოსუქინსინებული“?

– რა ვიცი? განა ცოტა არიან დღეს ჩვენში მაგისთანები?

სკოლის ბრალია თუ ლაქიობის, არ ვიცი, მაგრამ ამ ბოლო დროს ერთგვარი ხალხი გამრავლდა ჩვენში, რომელსაც არც ღმერთი სწამს და არც კაცი!.. ამ გადაგვარებულებს შრომა ეზარებათ და საშოვარზე კი უჭირავსთ თვალი!.. თუ მოახერხეს, დღეს კაცს მოკვლენ ფულის გულისათვის, ხვალ საყდარს გასტეხენ, აქ ვისმეს მოატყუებენ, იქ ჩამორჩებიან და ამგვარად!.. როგორც ურიის სახლში მირონი, ისე იმათ გულში არა არის რა წმინდა!.. ოღონდ კი უშრომლად შეიძინონ რამე, – აქეთაც არიან და იქითაც. მოძრაობის დროს ბევრი იმათგანი ტერორისტად იყო გასული და იმ დროს, როცა ნამდვილი სოციალისტები ციხეებში იყვენ გამომწყვდეული, ისინი ხალხს ატყუებდენ და სცარცვავდენ. მათი სახელით ბევრ რამეს ცუდს ჩადიოდენ და ნამდვილ სოციალისტებს სახელს უტეხდენ. სანამ დრო ჰქონდათ, იქით იყვენ და რეაქცია რომ დადგა, აქეთ გადმოვიდენ. მთავრობას მიჰმართეს: ზოგი სამსახურში შევიდა და ზოგმაც ჯაშუშობას მიჰყო ხელი, რომ რამე შეეძინათ. აი, ესენი არიან „გამოსუქინსინებული“





და ჩვენ მაზრის უფროსთანაც იმათგანი ვინმე მოვიდა, სოფელი რომ ჩააბეზღა. უფროსმა თორმეტი კაზაკი გაგზავნა იმ სოფელში გადავარდნილების დასაჭერად და სოფლის შესაშინებლად. მეც, რასაკვირველია, თან გამაყოლა. მივედით დანიშნულ სოფელში, მაგრამ იქ აცახცახებული სოფელი თვალცრემლიანი დაგვიხვდა: „ღმერთი! რჯული! თვალითაც არავინ გვენახოსო!“ – ჩვენ მაინც დავათვალიერეთ სოფელი. ცოტა რასმე წავჰკარ-წამოვჰკარით ხელი, ოთხიოდე სახლიც დავსწვით და უნდა დავბრუნებულიყავით, მაგრამ ურიადნიკს ეშმაკმა შეუხიცინა გულში და უბრძანა მამასახლისს: თორმეტი ქალი აარჩიე სოფელში და მოგვგვარე ახლავეო. მამასახლისი წავიდა, მაგრამ ისევ მალე დაბრუნდა აკანკალებული: ქალები აღარ არიან, ყველა ტყეში გადავარდნილა, ბებრებიც კი თან გაჰყოლიან და რაღა ვქნაო? კაზაკებს გული მოუვიდათ, თითო-ოროლა წაუთავაზეს კისერში მამასახლისს და დავბრუნდით უკანვე სიმღერით.

ჯერ შუა გზა არ გვექნებოდა გავლილი, რომ ერთი თავდაღმართი დაგვიხვდა ჩასავლელი. იქ, იმ ძირში, წყაროს პირად ვიღაც ქალი კოკას ავსებდა წყლით, თანაც 9-10 წლის ქალი ახლდა. ბავშვმა, როგორც კი მოგვკრა თვალი, შეჰკივლა უფროსს: „დედა, რუსებიო!“ დედა წამოვარდა ზეზე და დამფრთხალ ირემივით შევარდა ტყეში. ბავშვი აქვე დარჩა და მოჰყვა ღრიალს. მოცვივდენ კაზაკები, სტაცეს ხელი ბავშვს და დაუწყეს წვალება. დედა, სასოწარკვეთილი, გამოვარდა ისევ ტყიდან და შემობღავლა გამხეცებულებს: „მაგას ნუ ერჩით, ანგელოზია, გაუშვით ხელი და მე, რაც გინდათ, მიყავით! გინდ მომკალითო!“ – ვინ რას გაუგონებდა? სიცილ-ხარხარით წაავლეს ხელი დედას, მაგრამ შვილისთვისაც არ დაუნებებიათ თავი. რაც იქ მაშინ ამბავი მოხდა, ის მეორედ ნუღა მაჩვენოს ღმერთმა!.. დედას პირზე დააჭირეს ხელი. ბავშვის წივილ-კივილი ცამდის ადიოდა. ვინ იყო გამგონე?!. დედა-შვილი დიდი ხნის გულშემოყრილი იყვენ, რომ კაზაკები თავისს პირუტყვულ გრძნობას აკმაყოფილებდენ. ბოლოს, როცა გული იჯერეს, მომიბრუნდენ მე: – „ახლა შენ მიდიო!“ – მე, რასაკვირველია, უარზე დავდექი და აღარც ცოცხალი და აღარც მკვდარი, გავჰყევი მათ სადგურისკენ. იმ ღამეს აღარ დამძინებია. ვფიქრობდი, დამენებებია თავი სამსახურისათვის, მაგრამ სადღა უნდა წავსულიყავ? თუ რამე გამაჩნდა, ან სახლი, ან კარი, ან საქონელი და სხვა, სუყველა ერთ ღამეს გადამიბუგეს ისევ ჩვენებმა და სასიკვდილოდაც არ მზოგავდენ, თუ კი სადმე ჩამიგდებდენ ხელში!..

– მაგისთანები და მაგაზედაც უარესები ბევრი რამ ჰხდებოდა იმ დროში. ეგ რა გასაკვირალია? შენ ის მითხარ: შენ რა მოგივიდა, რომ მაგრე ხარ დასახიჩრებული?

– მე? ჰმ!.. რაც ჩავიდინე სხვებთან ერთად, იმის სამაგიერო გადამახდევინა ღმერთმა: წელანაც მოგახსენე, ერთ დროს თვალ-ტანადათ ვერავინ მჯობდა ჩემს ტოლებში-მეთქი!.. ერთი თუ ვინმე იყო, მეც ვიყავი!.. შეძლებაც კარგი მქონდა და გამორჩენაც!.. ჯამაგირი სამ თუმნამდის მეძლეოდა და გამოსარჩენი... საშოვარი ათი იმდენი მქონდა. ერთი სიტყვით, თავი მომწონდა და მექებოდა, მაგრამ ჩემმა ცოდვამ ყველაფერი დამაკარგვინა. გიორგობას საყდარზე ერთი ფუთელი გლეხის ქალი გავიცანი. ფუთი სოფელია ყვირილის მახლობლად. 18-19 წლის ქალი იყო.

ჩემს ნახსოვრობაში ქალი ბევრი მინახავს, მაგრამ მისთანა კი არა მომჩვენებია რა! შავგვრემანი, შავთვალწარბა, მოხდენილი თვალტანადი, ზომაზე მსუქნად ჩამკვრივებული... რომ იტყვიან, ცით მოწყვეტილი ვარსკვლავიაო, სწორედ ის იყო! სიცილი, ტირილი, მოლხენა, მოწყენა, გაჯავრება, გამხიარულება, ყველაფერი შვენოდა. რომ გაიღიმებდა, თვალები უციმციმებდა, თითქო ცა გაიხსნა და სასუფევლის სარკმლებიდან ანგელოზები იჭვრიტებიანო. არათუ ხმამაღალი ლაპარაკი, მისი ჩურჩულიც საამური იყო!.. განა მარტო ყურსა ხვდებოდა? გულის სიღრმემდი უწევდა. და სიარული? სიარულს კი ნულა მეტყვით!.. მნახველს ასე ეგონებოდა, ცა და მიწა, ორივე ზურგზე წამოუკიდებია, მიაქვს და ჩალადაც არ აგდებს სიმძიმესო. ერთი სიტყვით, ყოველგვარად უნაკლულო იყო. ნახვისათანავე გულში ჩამივარდა. რაც ხანი გადიოდა, უფრო და უფრო მეკიდებოდა ცეცხლი! მაგრამ გული კი მაინც საგულეს მქონდა. ვამბობდი ჩემ გუნებაში: თვალ-ტანად კარგი ვარ, ბიჭად ერთი ვერავინ მჯობია, ჯამაგირი კარგი მეძლევა... ისეც ბევრსა ვშოვულობ და ვინ დამიწუნებს-მეთქი? გადავსწყვიტე შერთვა და კიდეც მივუგზავნე მოციქულად ნათლიდედა. დედ-მამას ძალიან გახარებოდათ, მაგრამ თვითონ კი ცივ უარზე დამდგარიყო: ძალთაპირას არ წავყვებიო! ოქროში რომ ჩამსვას და თვალ-მარგალიტით შემჭედოს, მაშინაც არ მინდა ქვეყნის მცარცველიო. იმას რომ წავყვე, მერე რაღა პირით უნდა შევხედო სოფელსო? ნათლიდედამ რომ ეს გადმომცა, მე აღარ ვიცოდი, რა უნდა მექნა? ან ჯავრს როგორ გადავრჩენოდი? და ან სირცხვილს? ჩავვარდი საგონებელში: აღარ მეძინა, მადა დამეკარგა და აღარავის ვეკარებოდი... მარტოობას მივეცი თავი. ჩემ ამხანაგებში ორი თუ სამი მეგულებოდა კარგი და გულმა რომ აღარ



ნამდვილი ამბავი I

მომითმინა, იმათ გავენდვე საიდუმლოდ. იმათ სიცილი დამაყარეს: მერე და ვაშკაცი მაგას გადაჰყოლიხარო? სადაც ნებაყოფლობა არ არის, იქ ძალა უნდაო. ერთ რამეს გირჩევთ და, თუ შენც გვეტყვი, დაგეხმარებით: წავიდეთ, დავეცეთ თავზე იმ გლეხსო. დაცემა და აკლება ხომ ჩვენ ხელთ არისო? ჩვენც დავეცემით იმ გლეხს თავზე, ვითომ დასაწველად და ასაკლებად, შენ კი გამოესარჩლე, გადაარჩინე და ისინი მადლიერი დაგრჩებიან და შენ სიძეობასაც ხელს ჩაჰკიდებენო!.. და თუ არადა მერე მართლა მოვიტაცოთო!.. შეყვარებული და ჭკუაზე შეშლილი ხომ ორივე ერთია?!

დამიჯდა მათი რჩევა. მეც ავჰყევი და შუადღე გადასული იყო, რომ გავუდექით გზას. დაღამებადი მივადექი კარზე ნიშანში ამოღებულ გლეხს. ეზოში რომ შევედით, შემოგვიტია ძაღლმა და ასტეხა ყეფა.

დედაბერმა კარი გააღო, გამოიხედა და რომ დაგვინახა, დაიყვირა: – „ვაიმე, რუსები მოდიანო!“ და წამოხურა ისევ კარები. აქედან ჩვენ მივაშურეთ, შევამტვრიეთ კარი, შევედით სახლში, მაგრამ ცოლ-ქმარი უკანა კარებში გავარდნილიყვენ და შინ მხოლოდ ის ჩემი მოწონებული გოგო იყო. დაკარწახებულს გობში ჩაეყო ხელები და ცომსა ჰზელდა. – „რა გნებავსო?“ – მოგვაძახა და წამოდგა ზეზე. კაზაკი მივარდა, გადაეხვია და დაუწყო კოცნა. გაფითრებულმა ქალმა ისეთი სილა გაარტყა, რომ „პრისტავს“ შეეხარბებოდა. ერთ შუბის ტარზე „გადააფურცუხა“. გალახულს მეორე მიეშველა, მაგრამ ქალი ორივეს გაუძალდა. ღმერთო ჩემო, რა კარგი სანახავი იყო იმ დროს ის დალოცვილი: სახეანთებული, ცხვირის ნესტოებგაბერილი, თვალებიდან ცეცხლსა ჰყრიდა და ორივეს იგერებდა. იმ ორს მესამეც მიემატა, წაავლო ფეხებში ხელი და დასცა. მე კარებთან ვიყავ ატუზული. ქალმა ერთი შემომხედა და შემომძახა. – ქრისტიანი არა ხარო?!. შეგირცხვეს ვაშკაცობა და წვერ-ულვაშიო! და დააპირა დამორჩილება. მაშინ კი მივხვდი, რომ ის მართლა ძალთაპირები, ჩემთვის არ სცდილობდენ. მომეკიდა ცეცხლი და მივვარდი გამხეცებულებს; ვსტაცე მათ ხელი, მივწი-მოვწიე აქეთ-იქით და გავაშვებიე. ქალიც წამოვარდა და გავარდა უკანა კარში!..

მაშინ გამწარებული კაზაკები ლანძღვა-გინებით მომიბრუნდენ, იშიშვლეს ხანჯლები და წამიშინეს თავ-პირში. მალე დავჰკარგე გონება და მერე აღარა მახსოვს რა! საავადმყოფოში გამოვერკვიე. ხუთი თვე ვიწექი, და რომ მოვჯობინდი, გადმოვვარდი აქეთკენ... ყოლიფერი მივატოვე.

– არ გიჩივლია?

– ვიზე? მე ვინ დამიჯერებდა... ქართველს? ეტყობა, პირიქით, იმათვე მიჩივლეს, რომ დამეძებენ დასაჭერად.

– რატომ არ იცოდი, რომ არ გაგიტანდენ? ისინი, სანამდი ეჭირვები, დაგიყვავებენ და, თავისას რომ გაიტანენ, მერე აღარც შენ დაგზოგვენ, ასე იციან საზოგადოდ.

– ალბათ რომ აგრე ყოფილა და მე კი არ მეგონა. ახლა ვარ ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი: ან იმათ ვერ გადავრჩები და ან ჩვენებს. აგერ სამი თვეა, რაც აქ ვიმალები. დღე მათხოვრობით ვშოვილობ ლუკმაპურს და ღამღამობით საყდრის გალავანში მძინავს.

– და სანამდი უნდა იყო მაგ ყოფაში?

– მგონია დიდხანს აღარ! თქვენთან მიტომ გიახელი აქ, რომ მეკითხა: თეთრი წმიდა გიორგი არის? თუ სადმეა, უთუოდ გაგეგონებათ?

– რად გინდა, რომ მეკითხები?

– წუხელის ძილი გამიტყდა, გავითვალისწინე, რაც ჩემს თანდასწრებით მომხდარა და შიშმა ამიტანა. გავუსვი ლოცვას ხელი, პირჯვარი დავიწერე და სამჯერ ვსთქვი: – „წმინდა გიორგი, დამიფარემეთქი“. და მართლაც, ვენაცვალე მის მადლსა და ძალს, სიზმარში გამომეცხადა.

– როგორ? რას ამბობ?

– მეზმანა, რომ კუზმენკო მოდიოდა ჩემსკენ... თეთრ ცხენზე იჯდა.

– ვინ კუზმენკო?

–კუზმენკო? სტრაჟნიკების უფროსია!.. ვიფიქრე, რომ ეჰ, დალახვროს ღმერთმა! ალბად კიდევ სადმე მიდიან ასაოხრებლად და მეც უნდა წამიყვანონ-მეთქი!..

რომ მომიახლოვდა, ვნახე, რომ კუზმენკო აღარ იყო, სახე გამოსცვლოდა და მითხრა: კუზმენკო არ გეგონო, თეთრი წმინდა გიორგი ვარო!.. მოდი ჩემთან და მე დაგიფარავო! – მე არ ვიცი და ახლა თქვენგან მინდა შევიტყო: მართლა არის სადმე თეთრი წმინდა გიორგი?

– კახეთში არის ერთი საყდარი წმინდა გიორგის სახელზე და იმას ეძახიან თეთრ წმინდა გიორგის.

– ჰმ! აბა ის ყოფილა სწორედ, ვენაცვალე მის ძლიერებას!.. და ხვალვე შევუდგები გზას!..

დაიწერა პირჯვარი და გამშორდა.

[1909]





## როგორ გადაყვა თავ. გოჯასპირ თავისს ულვაშებს

### I

ბატონი გოჯასპირი ისეთი უსახო რამ იყო, რომ მეტსახელად იუდას ეძახდენ, მაგრამ თვითონ კი გულს არ იტეხდა და თავიც მოჰქონდა ულვაშების წყალობით! მართლაც რომ შესანიშნავი ულვაშების პატრონი იყო: სისქეს სიგძეც შესწევდა და ყურებზე ჰქონდა გადაგრეხილი. თუმცა თეთრი არ ჰქონდა ჯერ გამორეული და საკმაოთაც შავი იყო, მაგრამ მაინც თვეში ერთხელ ზედ გუნდალახუსტაკს იდებდა ნიშნად პატივისცემისა. ხშირად გადაისვამდა ამ ძვირფას საუნჯეს ხელს და სიამოვნებით იტყოდა ხოლმე: ულვაშიც მაქვს და ქუდიც მხურავსო!

გოჯასპირი მშვიდი კაცი იყო, ბევრის ამტანიც, უბრალოთ გული არ მოუვიდოდა, მაგრამ ცუდათ ულვაშის შეხებას არავის შეარჩენდა... საოცარი, მოუსვენარი მოტრფიალე იყო ქალებისა. ვის ეტრფოდა, ან როგორ? ამას, რომ მოგეკლათ, არ გაამხელდა, მაგრამ მარცხენა ხელი რომ ხშირად გულზე ჰქონდა ჩამოკიდებული, ამითი ატყობდენ.

ძველად ტრფობის ნიშანი ხელის ჩამოკიდება იყო. ვაჟს რომელიმე ქალის სიყვარული ჩაუვარდებოდა გულში, ნიშნად აღგზნებული სიყვარულისა ჩამოიკიდებდა ხელს და შესჩიოდა მაჭანკალს. უამისობა არ იქნებოდა, რადგანაც იმ დროში კაცი ქალს ძვირად შეხვდებოდა, თუ არ ღამისთევაში და „სატირალში“, და მაშინაც კიდევ ორჭოფად. ისე გასინჯეთ, რომ საყდარზედაც ვერ ნახავდა: საყდრებს მოდგმული ჰქონდათ უკან „საქალებო“, სადაც ქალები თავს იმალავდენ და კაცებს კი აკრძალული ჰქონდათ იქ შესვლა. ამგვარად მხოლოდ ერთადერთი გზა რჩებოდა სასიყვარულოდ: ხელის ჩამოკიდება და მაჭანკალი. სად უნდა ვეძიოთ ამ ჩვეულების სათავე?. „ვეფხისტყაოსანში“. როდესაც ტარიელი გამარჯვებული დაბრუნდა ხატავეთიდან და პირველად ეჩვენა ნესტან-დარეჯანს, ხელში იყო დაჭრილი და ის ხელიც ჩამოკიდებული ჰქონდა. აი, თვითონ რას ამბობს:

„რიდენი რამე მეშოვნეს ქალაქსა ხატაველთასა,
იგი მეხვივნეს. მშვენოდეს“ და სხვა.

აგრეძვე: „ნაომარსა, დაკოდილსა, ხელი ყელსა ჩამოება“ და ის იყო, რომ ნესტან-დარეჯანმაც სხვათა შორის მისწერა:

„მე იგი მომეც რიდენი, რომელიც წელან გშვენოდეს,
რა მნახო, შენცა გეამოს, შენეულადა მშვენოდეს“.

აი, სად არის სათავე ხელჩამოკიდებით აშიყობის და ამას ბაძავდენ ძველი ახალგაზდებიც.

ახლა ვნახოთ ქალები რაღას შვრებოდენ. უმაჭანკლოდ არც ისინი ვარგოდენ, მაგრამ სატრფიალო საგანი კი იმათ მეტი ჰქონდათ კაცებზე. საზოგადოდ ქალების მორთვა-ჩაცმა-დახურვას ყველგან სატრფიალო სარჩული უდევს, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მისულან იმ უმწვერვალესობამდი, სანამდიც ძველი ქარველი ქალები იყვენ მიწეული. მაგალითად, ავიღოთ დეკოლტე. დღევანდელი ქალები შიშვლდებიან, ტანზე აღარას იყენებენ. ერთად თავმოყრილი რომ სადმე ნახოთ, გეგონებათ აბანოში არიანო. მათი დეკოლტე იქ თავდება, სადაც საოცნებო აღარა რჩება რა! და თუ თვალხარბი არ არის მამაკაცი, აღარ გადაჰყვება გულისთქმას! სულ სხვა იყო ქართული დეკოლტე: წარმოიდგინეთ ახალგაზრდა ქალი ყელმოღერებული, ყელსაბმელით ოდნავ დაფარული, საიდანაც აქა-იქ მაცდურად თეთრი ხელები გამოიჭვრიტებიან. დაბალი, ცოტათი მოტიტვლებული გულ-მკერდი, თითქო საგულეს დაუწევიაო. ზედ ვარდისფერი ამოჭრილი გულისპირი ჩრდილავს მოქათქათებულ მკერდს, თითქოს თვალს უპარპალებს ახალგაზდობას!.. გაჭრილი სახელოები... თითქო ხელებს ძალა უხმარიათ, გაურღვევიათ, რომ გამოვიდენ მოსახვევადო! ხელებზე, ხელსაცმელის მაგივრად ყოშებდადებული, რომ ხელები ყველამ არ დაინახოს. ფეხები საოცნებოდ ქოშებში გაყრილი და თვით ქოშების ვითომ დარცხვენილი პრაკა-პრუკი: „აქეთ შემოხედეთ, რა ამბავიაო!“ რომელი ერთი ვახსენო! ამგვარი იყო მაშინდელი მორთულ-მოკაზმულობა!... და ამისი სათავეც სადღა უნდა ვეძიოთ, თუ არ, რასაკვირველია, „ვეფხისტყაოსანშივე“. როცა თინათინმა დაიბარა ავთანდილი საქმისთვის, მაგრამ უფრო კი სატრფიალოდ, ის ვითომ მოწყენილი დაუხვდა! მოურთველ-მოუკაზმელი! მაგრამ იმ მოურთველ-მოუკაზმელობაში უმაღლესი კეკლუცობა იხატებოდა. აი, რას ამბობს „ვეფხისტყაოსანი“:

„გაცვრცვნილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი,
ებურნეს მოშლით რიდენი, ფასისა თქმად საჭირონი,
შვენოდეს შავნი წამწამნი გულისა გასაგმირონი
და მას თეთრსა ყელსა ეხვივნეს გრძლად თმანი, არუხშირონი.“
„დაღრეჯით იყო მჯდომარე ძოწეულითა რიდითა,
ავთანდილს უთხრა დაჯდომა წყნარა, ცნობითა მშვიდითა“ და სხვა.





ქალის ამგვარი მორთულობა, ვითომ ჩაუცმელობა, არათუ შეყვარებულს, გულქვასაც კი ააჟრჟოლებს და ამიტომაც ამ თინათინის მიხედვით უმაღლესად კეკლუცობდენ ახალგაზდა ქართველი ქალები! ხანში შესული ქალები რომ ფერუმარულს იცხებდენ, წარბ-წამწამებს ისურმავდენ და მსმელობას ატანდენ ძალას, განა ფატმან-ხათუნს არა ბაძავდენ? ამიტომაც, უკუღმართად გაიგო ანტონ კათალიკოზმა „ვეფხისტყაოსანი“. მოაგროვა ხელნაწერები, შეაჩვენა და დასწვა: „ხალხს საარშიყოდ იტაცებს... ეშმაკის გზით მიჰყავსო!“ სატრფიალო ნიშნები გოჯასპირმა ყველა კარგათ იცოდა: დროზე ხელის ჩამოკიდება, ქუდის საკოხტაოდ განზე მოქცევა, ეშმაკურად თვალის ქნევა, ლაპარაკის დროს ტკბილათ წაჩურჩულება და სხვანი. დღეს სიყვარული ფულით და საჩუქრებით იზომება, მაშინ იაფად ჯდებოდა. ერთხელ გოჯასპირმა მაჭანკლის ხელით მიუგზავნა გულში ჩავარდნილს ერთი კონა ტარხუნა და თან ლექსიც მიაყოლა:

„აღარ ჩადის გემრიელად
ამ ჩემ პირში ტარხუნაო,
რაკი შენმა სიყვარულმა
გულში გამიხახუნაო!“

ქალმა ნახევარი ვაშლი გამოუგზავნა და მოსწერა:

„როგორც ჩემს გულს, გაპობილსა,
შენ გიგზავნი მე ამ ვაშლსო
და უშიშრად მივენდობი
შენს ქუდსა და შენს ულვაშსო“.

გოჯასპირმა მიღებისთანავე ჩამოიხსნა ხელი და ტრფიალებით გატაცებულებმა მოსაკითხები გაახშირეს. როგორც აქედან სჩანს, იმ დროში დიდი ხარჯი არ ეჭირვებოდა ტრფიალებას და არც სასიყვარულო ლექსების ჭირდა მოგონება!.. საზოგადოდ გოჯასპირის საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ ეს სოფელი ბოლომდე მაინც არავის ახარებს და ჩვენს გოჯასპირსაც შავი დღე დაუდგა:

1871 წელს ადგილობრივმა მთავრობამ გამოსცა უცნაური ბრძანება: „ხელმწიფე მობრძანდება, ჩინოვნიკებს ინახულებს და წვერ-ულვაშით მოგებება არავინ გაბედოსო!“ ულვაშებს ქართველებში ყოველთვის დიდი ფასი ჰქონდა და ამისთანა განკარგულებამ ყველას მეხი დასცა. შეწუხდენ, მაგრამ ძალა არ ჰქონდათ! მაშინ-

დელი ქართველისათვის მთავრობის ბრძანება ღვთის ნება იყო. აივსო სადალაქოები, შეიქნა ყველგან ერთი ფხაკაფხუკი. უცნაურმა ბრძანებამ ყველაზე უფრო გააოცა გოჯასპირი და ჩააგდო საგონებელში; აღარ იცოდა, რა ექნა: მოეპარსა ულვაში! თუ სამსახურისთვის დაენებებია თავი? მით უფრო, რომ დიდი ხნის ნამსახური იყო და ჩინის მიღებამდი ერთი თველა უკლდა. დღეს, როცა სტატსკი სოვეტნიკებიც კი ისე გახშირდენ ჩვენში, როგორც კამბეჩები, ჩინს რაღა ფასი აქვს! მაგრამ მაშინ კი დიდი რამ იყო კო...ლეჟ...სკი რელის... ტრატორი... და გოჯასპირსაც მიტომ ენანებოდა მისი დაკარგვა. ამ დროს, სწორეთ იმ მწუხარების დროს, სტუმრად მოუვლინა განგებამ თავადი სიკო ციდამტკაველაძე. ტყუილა კი არ არის ნათქვამი: „ნასწავლი უჭკუო მფრინავ კაჭკაჭსა გავს, ხოლო უსწავლელი ჭკვიანი ჯაჭვით დაბმულ ლომს, შორს ვერ წავა, მაგრამ სადამდინაც კი მისწვდება და მიუშვებს საბელი, ძალას მიიტანსო". სიკო ციდამტკაველაძე ბუნებრივად დიდი ჭკვიანი იყო, მაგრამ უსწავლელი რომ იყო, შორს ველარ მიდიოდა და შინაურობაში, ოხუნჯობაზე ჰქონდა დახურდავებული მისი ჭკუა! მისი ხუმრობა მით უფრო სჭრიდა, რომ ვერას შეუტყობდა კაცი სახეზე: ხუმრობს თუ მართალს ამბობსო? გოჯასპირს ემეგობრებოდა და ისე არ შეხვდებოდა, რომ ულვაშებზე არ ჩამოეგდო ლაპარაკი და გაკვრით მაინც, ქება არ შეესხა...

ახლაც, ჩვეულებრივ მოსალმების შემდეგ დაეკითხა გოჯასპირს:

– ულვაშ-ბატონო, რადა ხარ მაგრე მოწყენილი?

– როგორ რად? განა არ იცი, რომ ჩინოვნიკებმა ულვაშები უნდა მოიპარსონ?

– მერე რაო? მოიპარსონ!

– მეც ხომ ჩინოვნიკი ვარ?

– შენც მოიპარსე!

– იმე, ჩემი ულვაში?

– თუ გენანება, ნუ მოიპარსავ!

– კი მაგრამ ვინ დაგაყენებს შენს ნებაზე? ზე გამოგიძახებენ სამსახურიდან.

– რა დიდი ადგილი შენ გიჭირავს? რაღაც უბრალო თარჯიმანი ხარ სამსჯავროში, შეიტანე ატსტავკა.

– ატსტავკა! კიდეც ეგ არის, რომ მიძნელდება: ამდენი ხანი მიმსახურნია, რაღაც ერთი თვე მიკლია ჩინამდი... კოლეჟსკი რელისტრატორობა თითქმის კუდით მიჭირავს ხელში და ახლა დავანებო თავი?





– მაშ ავათმყოფობა მოიგონე და ჩაწექ ქვეშაგებელში!...

– ვინ დაგიჯერებს? უმტრო არავინ არის! მედანოსეებით სავსეა ჩვენი ქვეყანა... სტკიცავენ დანოსებს და მეც გამომიძახებენ...

– მაშ როგორ გინდა? ისიც და ისიც? „ორი ნესვი ერთი ხელით არ დაიჭირებაო!"

– მეც ეგ არ მაწუხებს?!..

– იცი რას გირჩევ? ქეც მოიპარსე და ნურც მოიპარსავ.

– როგორ?

– მოიპარსე, მაგრამ ისე რომ ვერავინ შეგატყოს!

– არ მესმის!

– მოიყვანე პარიკმახერი, მოაპარსვინე ულვაში, მაგრამ იმ პირობით კი, რომ იმავე ულვაშების პარიკი გაგიკეთოს.

– მერე?

– მერე და მერე? ის პარიკი გაიკეთე, როცა წახვალ წარსადგომად. გზაში ვერავინ ვერაფერს შეიტყობს. ოთახში რომ შეხვალ, უცბათ მოიხსენი პარიკი და უულვაშო იქნები. მერე კიდევ, რომ გამოხვალ, ისევ გაიკეთე და დაბრუნდები.

– მერე, მერე?

– ორი-სამი კვირით ჩაწექი ქვეშაგებელში, ვითომ ავათა ხარ. ნურავის ინახულებ და მანამდი ახალი ამოგივა!

– ეს ხომ მე და შენს მეტს არავის ეცოდინება..

– მე ცოლ-შვილი გამიწყდეს, თუ გაგამხილო და პარიკმახერი კი შენ დამოძღვრე, რომ არსად წაცდეს... ამნაირი რჩევით სიკომ გული მოუბრუნა გოჯასპირს და გამოეთხოვა.

II

გოჯასპირმა მაშინვე მოაყვანია პარიკმახერი და დაეკითხა:

– შეგიძლია ულვაში მომპარსო?

– ვა! მაშ ხელობა რა არის! – მიუგო პარიკმახერმა.

– კეთილი! – ისიც შეგიძლია, რომ იმ ულვაშების პარიკი გამიკეთო?

– რატომ არა – ადვილია!

– მაშ კარგი, მომპარსე, მაგრამ ერთი ღერიც არ დაჰკარგო!.. ისეთი პარიკი უნდა გამიკეთო, რომ ჩემი ულვაშებისთანა იყოს! და აჰა, ესეც შენ! ჩაუდვა ხელში ოქრო. პარიკმახერი შეჩერდა და უკანვე დაუბრუნა ოქრო: ხურდა არ გახლავსო! მაგრამ გოჯასპირმა

ღიმილით უთხრა: არა, ეგ სულ შენია და ერთ ოქროსაც, რომ მომიტან, მაშინ მოგცემ, მაგრამ იმ პირობით კი, რომ არსად წამოგცდეს-რა.

– გავქვავდები, დავმუნჯდები, კრინტს არ დავძრამ, – მიუგო გახარებულმა პარიკმახერმა და ჩამოპარსა ულვაში. მერე მოწიწებით აკრიფა ღერა-ღერა, გამოახვია ქაღალდში და გაუდგა გზას. უულვაშო გოჯასპირმა ულვაშაკრით აიკრა საულვაშე და მაშინვე ქვეშაგებში ჩაწვა ავადმყოფად. მესამე დღეს მოუტანეს ულვაშების პარიკი. გოჯასპირმა გაიკეთა, ჩაიხედა სარკეში და რომ დაინახა ისევ თავისი ულვაში, სახე გაუნათლდა და თუმნიანი უბოძა გახარებულ პარიკმახერს... გამოხვია პარიკი ქაღალდში, დადვა კრაოტზე, თავთით ახლოს და თავი მისცა ოცნებას: დიდება შენს სახელს, ღმერთო! სანამდი მიდის განათლება?.. მართალი უთქვამთ: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო“ და სხვანი.

სანამ ის ოცნებას გაათავებდა, ღია კარებში შემოვიდა ძაღლი, მიისუნ-მოსუნა, ქონიან ქაღალდში რომ დაინახა რაღაცა გამოხვეული, დაავლო პირი და გავარდა გარეთ. გოჯასპირი თვალდაჭყეტილი წამოხტა ზეზე პერანგა, თავშიშველა, ფეხშიშველა და გამოუდგა ძაღლს. დიდხანს აღარ შემობრუნებულა შინ და რომ დაბრუნდა, მისთანა შენს მტერს, ადამიანის ნიშან-წყალი აღარ ჰქონებია!.. გაწუწული, გათხუპნული, ძლივს მიუჯდა ბუხარს... სხვა დროს ეგება არა დამართნოდა-რა, მაგრამ ახლა კი, ამ შეწუხებულ გულზე, ველარ აიტანა გაცივება, და გაუჩნდა ანთება. სამი კვირე გასტანა ავადმყოფობამ. სულ უკან-უკან მიდიოდა. ნალველი ბევრი გაულესეს, ნაწყენი არ იყოსო, გამოლოცვითაც ბევრჯელ გამოულოცეს, ეგებ თვალნაკრავი იყოსო და არგებსო, ოფლიც ბევრი ადინეს. საბნები რომ აღარ აკმარეს, თავზედ დააწვენ, სიმწრის ოფლი ადინეს, მაგრამ მაინც არა ეშველა რა!.. ისე უულვაშოთ გაჭიმა ფეხები!.. ჩვეულებისამებრ ჩადვეს კუბოში ჭირისუფლებმა და გაიმართა ჩვეულებრივი ტირილი: მოდიოდენ ნაცნობები და მოთქმით სტიროდენ. გასვენების დღეს გამოსათხოვარი ტირილი იყო ზარით დანიშნული და ისე გამწარებით მოთქვამდენ დიდი და პატარა, რომ კაცს ეგონებოდა, ცა და ქვეყანა იქცევაო. უცბათ ვიღაცამ დაიყვირა: გაწყვიტეთ ზარი, სიკო მოდისო! სიკო განთქმული იყო, როგორც პირველი მომტირალი. მისი მოთქმა ყველას უნდოდა გაეგონა და ამიტომაც მიწყნარდა ხმაურობა. შემოვიდა სიკო, თან ორი კაცი მოჰყვებოდა. მხიარული სახით, თითქოს აქ არაფერი ამბავიაო, გაჩერდა შუა ოთახში და მიუბრუნდა



როგორ გადაყვა თავ. გოჯასპირ თავისს ულვაშებს

მკვდარს: გამარჯობა შენი!.. გამარჯობა-მეთქი!... არ გესმის, თუ რავა არის შენი საქმე?..

რამდენ ფრაზას გაათავებდა, იმდენს სხვა მომტირლები ჩაქვითინებდენ ხოლმე, გულმომკვდარი.

– ხომ არ გძინავს, მანგრე რომ წამოპლაკულხარ ამ შუადღისას? კი, მარამ, რა დროს ძილია? გულშეწუხებული ხომ არ ხარ? აბა მაჯა მაჩვენე შენი!.. ცივია!.. გამოთხოვებიხარ ამ სოფელს? ვაი ჩემს მოსწრებასო და მიუჩოქა კუბოს თავში ხელის ტყაპუნით. მიმყოლები მივარდენ, წაავლეს ხელი იქით-აქეთ, ვითომ გააკავეს. სიკო იწმაწნებოდა, იგრიხებოდა, რაც შეეძლო და სცდილობდა ვითომ, რომ წვერ-ულვაში დაეგლიჯა. – ვაი ჩემს მოსწრებას, რაღათ მინდა თავი ცოცხალი! დავკარგე, მარამ ვინ? შენ გიტირო, თუ შენი საარაკო ულვაშები?

– სულაც მაგ ულვაშებს გადაჰყვა საცოდავი! მოაპარსვიეს იმ ურჯულოებმა!.. – მიატირა გოჯასპირს ცოლმა.

– როგორ თუ მოაპარსვიეს?! ის საარაკო ულვაში, გვარის დასამშვენებელი? ასე ჩალა-ბზესავით ჩამოხადეს ულვაშ-ბატონობა?..

– სადღაა გენაცვალეთ, ახლანდელ დროში სამართალი?

– მოპარსული მაინც სადღაა? რატომ თან არ ჩაატანეთ მისი შვენება კუბოში და ისე არ გაისტუმრებთ საიქიოს?

– სადღაა, გენაცვალეთ, ძაღლმა მოიტაცააააა! სულაც იმას გადაჰყვა ეგ უბედური. გამოუდგა, რომ წაერთმია. იმ შეჩვენებულმა ძაღლმა მთელი ეზო შემოარბენია და მერე გადაუხტა ღობეზეეეე!.. მაშინ გამიცივდა იმ თოვლ-ჭყაპში და ასე ოხრად დამაგდოოო! ვაი ჩემს მოსწრებაას!

– ვაი ჩემს მოსწრებასაც!.. აბა, მაგაზე ყოფილა ნათქვამი: „შენი ულვაშიო, ძაღლის ფუნაშიოო!“ ეს უკანასკნელი სიტყვები ისეთი მწუხარებით წარმოსთქვა, რომ თავი ველარავინ შეიმაგრა და ასტეხეს სიცილი. წამოცვივდენ მომტირლები, ზოგი იქით კარში გავარდა და ზოგი აქეთ. მომყოლებიც ჩამოშორდენ, სიკოს ხელი გაუშვეს და დარჩა მარტოთმარტო დაჩოქილი სიკო. აღარ იცოდა, რა უნდა ექნა. რომ ამდგარიყო თავისით, არ ივარგებდა, განთქმული მომტირალის სახელი დაეკარგებოდა და ხელის მომკიდებელი კი აღარავინა ჰყავდა: ამისთანა განსაცდელში მყოფს მოაგონდა ხერხი – მიიხედა და კუთხეში დაინახა გადაყრუებული დედაბერი, გოჯასპირის დედა, თავჩაქინდრული ქვითინებდა თავისთვის. უცბათ შეიჭმუხნა წარბები, მიიფარა შუბლზე ხელი და მიაყვირა: რავა, შენ კიდევ ცოცხალი ხარ,

შე წაწყმენდილო? ამისთანა შვილის დამკარგავს, რაღა სასიცოცხლო პირი გაქვს? რაღად გინდა სიცოცხლე? მომიტანეთ ერთი ქვა, რომ დავკრა და გავუტეხო თავი: ქვა! ქვა!.. იმე! რა გაგიჭირდათ ერთი უბრალო ქვა? არავის მოგაქვთ? მაშ ისევ მე უნდა მოვიტანო? – წამოვარდა ზეზე და გავარდა უცბათ კარში, ვითომდა ქვის მოსატანათ, მაგრამ გუნებაში კი თურმე სხვა ედვა: ჯორი ჰყავდა ღობეზე მიბმული, ახსნა, მოახტა უნაგირს და გაქუსლა შინისკენ. დედაბერი კი კარებისკენ შეშინებული იყურებოდა: შემოიტანს ქვასო, მაგრამ, რომ დააგვიანდა, დამშვიდდა. ცოლმაც აიღო თავი, მიიხედა, მოიხედა და ოთახში რომ ბევრი ვერარავინ დაინახა, ერთი დაიკივლა სიმწრით: ვაი ამისთანა სიკვდილსო და გულშემოყრილი გაგორდა ხალიჩაზე.

[1911]



# ნოველები

## ქალი რომელი თვეა?

ვინ არის ის სულდგმული, რომელიც გულგრილად გამოსთქვამს სიტყვას: მაისის ღამე?

შეჰხედეთ ამ ლაჟვარდოვანს, მოწმენდილს და მოკაშკაშე ვარსკვლავებით მოჭედილს ცას! როგორ აშვენებს ზედ ნაზად და დედოფლურად მომცურავი თხუთმეტი დღის მთვარე!..

დახეთ ქვეყანასაც, თითქოს ზეცას ეჯიბრებოდეს: მიწყნარებულა და ყურს უგდებს თავის ძლიერებას. ამო და გრილი ნიავი დედაშვილურის ალერსით უბერავს არემარეს! მისგან შერხეული ფოთლები თითქოს რაღაც საიდუმლოს ხმით ჩურჩულებენო; ბიბინობს, მდელო; ყვავილებიც, თითქოს ნიშნად სიამოვნებისა, თავს აქეთ-იქით ჰხრიან და მათგან ამონაფშვენს სუნნელებას, იტაცებს რა ისივ ნიავი, უხვად ჰფანტავს იმ არემარეში, რომ მით ჰაერი კეთილად შეაზავოს!

ჩუ!.. ეს რა ხმა არის, უცნაური და გულის გამსჭვალავი? ეს არის ბულბული – სიხარულის მოციქული, ცისა და მიწის შუამავალი, რა რიგათა სტვენს! აკვნესდა, აჭიკჭიკდა, უმატა გალობას, აუწია თანდათან ჰანგებს, მაღლა მიჰყავს ხმა, თითქო უნდოდეს, რომ ცამდი მიაწვდინოს და აცნობოს მას ქვეყნის მშვენიერება!.. აი, ისევ დაუშვა ხმა... ჩამოჰყავს დაბლა ტკბილად და წყნარად. ეხლა კი, მგონი, ცის სიტურფის ამბავი ქვეყნად უნდა ჩამოიტანოს!

ვიშ! ვიშ ამ ნეტარ... ოხ! ეს რა დროსია! აკი ვირმაც დაიყროყინა!.. დიდება შენს საკვირველებას, ყოვლის შემოქმედო, რომ სადაც ბულბული გაგიჩენია, იქ ვირისთვისაც ბინა მიგიცია! მაგრამ კიდევ დიდება შენდა, რომ ძალა კი ორივესათვის სხვადასხვა მიგინიჭებია: ვირმა დაიყროყინა ერთი, ორი და დაჩუმდა; მეტი აღარ შეუძლია, და ბულბულმა კი დაუღალავად, დაუცხრომელად განაგრძო თავისი გალობა!..

ოხ, რა ძლიერებით შეუზავებია ამ საღამოს ბუნებას თავისი აქაიქ მიფანტული სიტკბოება და საგრძნობლად შეუთანხმებია თავისი ძლიერის ჩანგის სიმები!

აი, ეს არის დრო ნეტარებისა და წამითი სიყვარულისა. ამ დროს კი გჯეროდესთ ყველას წამითი მეგობრობა, და გრწამდესთ ხანმოკლე სიყვარულიც.

სწორეთ ამისთანა დროს, ერთხელ მთვარიან ღამეში, ისხდნენ ერთად მოხუცებული, ვაჟკაცი და ახალგაზრდა ჭაბუკი.

მოხუცი გულდაწყვეტილის ღიმილით იგონებდა წარსულ დროს და თანაც საიქიოზე იმედოვნობდა, ვაჟკაცი მომავალზედ ლაპარაკობდა, და ჭაბუკი აწმყოს სჯერდებოდა და მით კმაყოფილიც იყო.

ამგვარად, იმათ საუბარი არ ემართებოდათ, სანამ არ გადავიდნენ ქალზედ და იკითხეს თუ: – ქალი რა არისო?

– ქალი? ლამაზი ქალი? ოჰ! – წამოიძახა აღტაცებით ჭაბუკმა.

– ქალი? ლამაზი ქალი? ჰმ! – სთქვა საგულისხმოდ ვაჟკაცმა.

– ქალი? ლამაზი ქალი? ხე! ხე! ხე! ხე! ხე! – ჩაიცინა მოხუცმა.

ამის მეტი აღარა სთქვეს რა, შეხედეს ერთმანეთს და გაჩუმდნენ. ბოლოს კიდევ იკითხეს, თუ – რა თვეს შეედრება ქალიო?

–ქალი? ლამაზი ქალი? – მაისია! – წამოიძახა აღტაცებაში მოსულმა ჭაბუკმა. – იმის სიახლოვეს გული ვარდივით იშლება! მისი სუნთქვა მაისის ნიავზედ უტკბესად ხვდება მხურვალე გულს; ენა ბულბულივით ჭიკჭიკობს, სახე მთვარეს მოგვაგონებს და თვალები ვარსკვლავებსა! დიახ, ლამაზი ქალი მაისსა ჰგავს! განიმეორა კიდევ და გაჩუმდა. ფიქრებმა წაიღეს.

– ქალი? ლამაზი ქალი? – აგვისტოა: კისერზედ რომ დაგაწვება, დაგაჭერს, სიცხეს დაგაყენებს და ოფლათაც გაგწურავს, – აი მაშინ კი მიხვდები, რომ აგვისტოა ქალი! – წარმოსთქვა ვაჟკაცმა.

–ქალი? ლამაზი ქალი? ხე! ხე! ხე! ხე! ქალი? – მარტია! მარტის დღეებსავით დაუდგრომელი. როგორც მარტში მზე ხან გამოიჭყეტს და ხან ღრუბელში ეხვევა, ისე ქალიც დღეში ათჯერ ხან გახალისდება და ხან მოიწყენს! მარტია, მარტი დედაკაცი! – ჩაილაპარაკა ხრინწიანის ხმით მოხუცმა და გაჩუმდა.

ამ დროს მე იქ სიახლოვეს ვიდეგ და მათს ბაასს ყურს ვუგდებდი. მათმა მსჯელობამ გამაკვირვა, ცნობისმოყვარეობა აღძრა ჩემში, ვსთქვი თუ არ შევიტყვე, ვინ არის ამ სამში მართალი, ღმერთმა ნუ ჰქნას-მეთქი. წავედი მაშინვე, მივედი მამაჩემთან და მოვახსენე:

– მამა ბატონო, თუ თქვენი ნებაც იქნება, ცოლი უნდა შევირთო!

მამამ გაშტერებით შემომხედა და მკითხა:

– რაო? რას ამბობ? ვინ უნდა შეირთო?

– ცოლი, მამაჩემო!... ლამაზი ქალი.

– ჰო, მესმის!... დაგდგომია, შვილო, თვალი!

– შენ რომ კი შეგირთავს დედაჩემი?

– მე? დედაშენი? ჰმ!.. ჰო!.. ლამაზი ცოლის შერთვა სიბრიყვეა; მართალია, ცოლის შერთვა ძვირად ასცდება კაცს სიცოცხლეში: ერთხელაც არის, ადრე თუ გვიან, უნდა შეირთოს ცოლი. ვინც უცოლო რჩება, ბოლოს ისიც ნანობს...

– მაშ რადგან მაგრეა, მინდა, რომ ახლავე შევირთო, მამაჩემო!

– შენი ნებაა, შვილო, თუ მაინცადამაინც აღარ იშლი, მაგრამ ფრთხილად კი აირჩიე.

– მე უნდა მდიდარი შევირთო!

– ღმერთმა დაგიფაროს, შვილო! მდიდარმა ცოლმა არ იქნება, რომ ერთხელ მაინც არ წამოგაყვედროს თავისი სიმდიდრე; და მაშინ ის სიტყვა ეკლის მარცვალივით დაგეცემა გულზედ და მაშინ ფეხგადგმული შტოებსაც გამოიღებს. გინდ ტირილით დაგითესია ეკალი, გინდ სიცილით, ბოლო ერთი ექნება.

– მაშ ღარიბს შევირთავ?

– არ გაბრიყვდე! უნახავი რომ პატივს ნახავს, სულ გაგიჟდება, თავს ცამდინ აიწევს.

– მაშ ჩემს ტოლს ვითხოვ?

– არ გამოგადგება! იტყვის: უკეთესის ღირსი ვიყავიო.

– მაშ როგორილა შევირთო? ვინ მოვსძებნო?

– შენ სხვა ღირსებას ნუ ეძებ: შეირთე ის, რომელმანც შეგიყვაროს.

– კი, მაგრამ, როგორ უნდა შევატყო სიყვარული?

–აი, როგორ, შვილო, მე გამოცდილი ვარ და ყური დამიგდე: ქალმა თუ ტრფიალი დაგიწყო, იცოდე, რომ გაცდენს, და მოერიდე. თუ გითხრას: მიყვარხარო, იცოდე, გატყუებს, და მოშორდი. მაგრამ, თუ იმისთანა ქალს შეხვდე, რომელიც ცხადათ თვალის რიდებას დაგიწყებს და ჩუმ-ჩუმათ კი ჭვრეტას, მიუახლოვდი იმას და დაუკვირდი: თუ სახე ვარდისფრად გაუწითლდეს, ენა დაებას, გულმკერდი აუღელდეს, გულის ძგერა გაიგონო და თვალებში ჯოჯოხეთი და სასუფეველი ორივ ერთად იხატებოდეს, გრწამდეს იმისი სიყვარული, შვილო, და ის შეიულლე.

მომეწონა ეს რჩევა... დავიწყე აქეთ-იქით საცოლოს ძებნა და ბოლოს მივაგენი ისეთს, მამამ რომ მირჩია. მისმა ნახვამ მიმიზიდა: ვნახე მისი გულ-მკერდის ღელვა, გავიგონე გულის ძგერა და დავინახე თვალებში: ერთში სასუფეველი და მეორეში ჯოჯოხეთი. რას ვამბობ? არა, არა! ორივეში სასუფეველი. ვიქორწინეთ და გავბედნიერდი!

მართლა რომ გაზაფხული დამიდგა ცხოვრებაში! მაშინ მომაგონდა ის სამი მესაუბრე და ვსთქვი: სტყუოდნენ ის ორნი, მართალს

ამბობდა ჭაბუკი! ახლა კი მეც შევიტყვე, რომ ქალი, ლამაზი ქალი მაისი ყოფილა!

სისწრაფით გაირბინა ამ ნეტარმა დრომ. დამაწვა კისერზედ სახლობა, დამადგა სიცხე, გავიწურე ოფლათ, და მაშინ კი ვსთქვი: სტყუოდა ჭაბუკი! მე და ჩემმა ღმერთმა, მართალს ამბობდა ვაჟკაცი: ქალი, ლამაზი ქალი აგვისტო ყოფილა!

გავუმაგრდი, როგორც იქნა, ამ აგვისტოს; მაგრამ ცოტა ხანმა რომ გაიარა, არკი ბუტიაობა დაიწყო იმ ჩემმა ქალბატონმა! მის მიზეზობას ბოლო აღარ მოელო: დღეში ათჯერ ხან მოიწყენდა და ხან მოილხენდა ხოლმე. ერთს გუნებაზედ ველარა ვნახე...

ჰე, მაშინ კი მოხუცის სიტყვა დამიჯდა: სწორედ რომ მარტივით გამიჭინჭყლიანდა ჩემი ცოლი!

რაღა გამეწყობოდა: ვახსენე ღმერთი, გავიმაგრე გული და დავემონე ჩემს ბედს. ვამბობდი, თუ ამაზედ უარესი უბედურება აღარ მოხერხდება-თქო, და თურმე, ნუ ბრძანებთ, აბა ამ დროს ყოფილა ნათქვამი: ღმერთო, უარესისაგან დამიფარეო! უდიდესი ჭირი მომემატა: ჩემი მარტი როგორღაც გარისხდა, მომაბუქა რისხვა და მომაყენა სუსხი, მიაფორიაქ-მოაფორიაქა ოჯახი, ზოგი იქით გააბნია, ზოგი აქეთ, შეიქნა ჩემს ოჯახში ერთი გრგვინვა, ერთი ვაი-უბედურება და მაშინ კი მივხვდი, რომ ის მოსაუბრეები სამნივე სტყუოდნენ! ქალი? ლამაზი ქალი? მცირე ხნობით მაისიც არის, აგვისტოცა და მარტიც; მაგრამ ხანგრძლივათ, სიკვდილამდე დაუბოლოებლად კი იანვარი ყოფილა, გინდ ანგარიშით შეგირთავს და გინდ სიყვარულით!

სცდებოდა მამაჩემი სიყვარულის შესახებ: სიყვარული ვიზიტია... სწორედ „ბერი ჩამოხტას“ თამაშობს: დღეს რომ ერთს სახლში შეცუნცულდება, ხვალ მეორეში მირბის. დიდხანს ერთს ადგილს ვერ მოიცდის, თუ მისთანას არ მიაგნო, რომელიც ცარიელი არ არის და არ არის დატვირთული, მაგალითად, რამე საქმის გაკეთებისა და რომლისამე მიზნამდე მიხწევის სურვილით. და ვისაც უნდა, ცოლი შეირთოს, თუ იანვარს ერიდება, მისთანა ქალი მოძებნოს, რომ მუშა იყოს და საქმე უჩინოს, თორემ უამისოთ, გინდა მზეთ-უნახავი ეთერიც იყოს, ისიც ჩემი ცოლისთანა გახდება და მაშინ მშვიდობით ამ ქვეყნის ბედნიერებავ! მშვიდობით!

აკაკი
[1875]





# სამგვარი სიყვარული

## I

## გამოუცდელი

ხმა ახალი დაწმენდილი მქონდა. ის-ის იყო ულვაშები მემწვანებოდა; სიჭაბუკის საოცნებო ძლიერება ძვალ-რბილში მქონდა გამჯდარი; მიწაზე ფეხს აღარ ვაკარებდი: ცა ქუდათ არ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნათ! გული გრძნობათ და გონება ოცნებათ გადაქცეული მეშვიდე ცაზე მიმაფრენდნენ; ქვეყანა ჩემს ნებაზე ბრუნავდა და ბედნიერ აწმყოს უეჭველის მომავლით ვიგვირგვინებდი. მხოლოთ ერთი რამ მაკლდა: რაღაც უცხო და უცნაური, რომელსაც ერთსა და იმავე დროს შევტრფოდი და თანვე ვეკრძალვოდი, ვეთავხედებოდი და ვეშიშოდი!.. თურმე სიყვარული მეწვერებოდა! რაღაც ამომეტორღიალა... ვილაც ამედევნა თან... გამოურკვევლათ თვალწინ მებლანდებოდა, ყურში საიდუმლოთ ჩამჩურჩულებდა და მით გულს საგულეზე აღარ აჩერებდა!.. ის ხან უცნაურათ ტოკავდა და ხან საოცრათ შეიფართხალებდა ხოლმე. იმ „ვილაცამ“ თუ „რაღაცამ“ ხელი დამრია: დღე მაშფოთებდა და ღამე ძილს მიფრთხობდა!.. მრწამდა-კი, რომ ეს „ვილაცა“ ერთ დროს უნდა გამომცხადებოდა და იმ თავითვე წარმოვიდგინე ის ჩემი გრძნობის გვარათ და სურვილის ფერათ. ქვეყნის დასაბამიდან დასასრულამდე, კიდით კიდე, ზესკნელ-ქვესკნელათ მიმოვაფრინე მკვირცხლი ოცნება, ამოვჰკრიფე ყოველივე სანეტარო, შევაერთე, შეუძლებელს შესაძლებელი მივუმატე, შევადგინე სახე იმ „ვილაცასი“ და გავიხადე სათაყვანოთ. იმ დღიდან, იმ „ვილაცის“ ლოდინით მთვრალს, ხელთ მეპყრა საოცნებო ჩონგური და მისი სიმების ჟღერით ვიწოდებდი იმ „საჩემოს“.

ერთხელ — გაზაფხულის პირზე — ჩეროში ვიჯექ და თვალყურს ვადევნებდი იქვე ახლოს ჩამომჩქეფარე პატარა მდინარეს. ჩვეულებრივათ ოცნებით გატაცებულს თვალწინ მეხატებოდა ჩემი „ვილაცა“: ვითომ ის იდგა წყალში და ტანს იბანდა. წელქვეით წყალი ჰფარავდა (და რომ ისეც არ ყოფილიყო, მაინც ცისარტყელით შებურვილათ მომეჩვენებოდა), წელზევით კი შიშველი იყო. ხან ჩაიყურჭუმალებდა, ხან ისევ სირინოზივით ამოჰყოფდა ხოლმე თავს და მაშინ მის სპეტაკ გულ-მკერდსა და მხარ-ბეჭებზე აქა-იქ წმინდა წვეთები პატარ-პატარა ბურთივით მოჰგორავდნენ, თითქოს მარგალიტები ეფრქვევიანო. ნაზი ღიმილით ეალერსებოდა წყლის სარკეში ჩაშუქე-

ბულ მის მშვენიერებას. ზოგჯერ მორცხვათ მომკრავდა თვალს და სახე ვარდისფრათ ელებებოდა, თითქოს რცხვენოდა ჩემი... რცხვენოდა, მაგრამ მაინც სურდა, რომ მისთვის თვალი არ მომეშორებია. ამ დროს ჯოჯოხეთის ხმით ჩამჩხავლეს ყურში!.. მოვიხედე და რა ვნახე? ჩემს გვერდით იდგა ერთი რაღაცა... მაიმუნი!.. განა მართლა მაიმუნია? არა! ის ქალი იყო. თავისთავათ დიახაც მშვენიერი, მაგრამ, შედარებით –კი იმ ჩემ „ვიღაცასთან“ „რაღაცაც“ იყო და „მაიმუნიც“!

– თუ უკაცრავათ არ გახლდეთ, მიბრძანეთ, ყმაწვილებს ხომ არ ჩამოუვლიათ ერთი მოხუცებული გამდლითა? – მკითხა იმ ქალმა.

– რა მოგახსენო, სწორეთ არ შემინიშნავს-მეთქი, – ვუპასუხე ცივათ. მეგონა, რომ ამით მოვიშორებდი იმ უსიამოვნო სტუმარს, მაგრამ იმან ღიმილით თქვა: „ნეტავ, სად დაიგვიანესო?“ და ამომიჯდა გვერდით! ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ისევ მკითხა: „ეგება ვერც კი შენიშნეთ? ისეთნაირად იყავით ჩაფიქრებული, რომ...“

– დიაღ, მარტოობაში ოცნებამ გამიტაცა! – გავაწყვეტიე სიტყვა.

– ოცნებამ?! მერედა თქვენთან რა უნდა ოცნებას? ეგ ხომ მარტო ქალების ხელობაა? მაგრამ მე ძალიან მომწონს, როდესაც კაცი ოცნებობს: მაშინ ეტყობა, რომ ის ნაზი გრძნობის პატრონია...

– შეიძლება.

– ჰმ, თქვენ, ვგონებ, ანკესი გაქვსთ გადაგდებული იმ წყალში?

– ანკესი?!

– დიაღ! მაშ, რათ მისჩერებოდით ისე თვალგამოშტერებით იმ ერთ ადგილს მდინარისაკენ? უთუოდ გინდოდათ დაგენახათ, თუ როგორ მოედებოდა საბრალო თევზი ნემსის წვერზე?

– არა, მე საზოგადოთ არ მიყვარს ნადირობა.

– ძალიან კარგი ხასიათი გქონიათ?! კაცებს იმიტომ უყვართ ნადირობა, რომ მოსისხლეები არიან.

– ქალებმაც რომ ძალიან იცით თევზაობა?

– იმიტომ, რომ ეგ უსისხლო ნადირობაა და კარგი ხელობაც არის. ჯერ თავის შესაქცევია და მერე კიდევ სასარგებლოც: პატარ-პატარა თევზებზე სწავლობენ ქალები ნადირობას და მერე თქვენხელა ლოქოსაც დაიჭერენ ხოლმე...

– როგორ თუ ჩემხელა ლოქოს?

– მაშ, ჯერ ანკესი არავის მოუდვია თქვენთვის?

ამ სიტყვებმა უცბათ გამაანჩხლეს. ეკალნაჩხვლეტივით წამოვვარდი ზეზე და დავეშვი თავდაღმართისკენ. მეტი გულმოსულობით





ფეხიც წამოვჰკარ ქვას და იმან კიდევ უფრო გამაბრაზა. იმ დღეს ჩემ გუნებაზე აღარ ვყოფილვარ. ეს ვინ ოხერი გადამეკიდა, რომ ჯერ ოცნება მომიწყლა და მერე კიდევ ისე საცინლადაც ამიგდო, რომ ლოქოს შემადარა-მეთქი? – ვამბობდი გუნებაში. მეორე დღეს, დილაადრიან, ბაღისკენ მივდიოდი და ჯერ შუა გზაც არა მქონდა გავლილი, რომ გადასახვევთან ის გუშინდელი წყეული წინ შემეფეთა, გადამიღობა გზა და მითხრა: „ნება მომეცით, რომ ბოდიში მოვითხოვო თქვენთან, ყმაწვილო! დიდ დამნაშავედა ვგრძნობ ჩემ თავს, რომ გუშინ ისე წინდაუხედავათ გატკინეთ გული! ღმერთმა ხომ იცის, რომ გულით არა მდომებია, ისე წამოვროშე მოუფიქრებლათ და კიდეც დამრჩა სანანებლათ... წუხელის მთელი ღამე ძილი აღარ მომკიდებია და დღესაც, თუ არ მენახე, ვგონებ, ლუკმა არ ჩავიდოდა ჩემ პირშიო!.. ეს სიტყვები ისეთი ათრთოლებული ხმით მითხრა და ისე საცოდავათაც შემომხედა, რომ გული უნებურათ გადამიბრუნდა და რაღაც წავილუღლუღე.

მხოლოთ ეს კი მახსოვს, რომ ვთქვი: „მაგოდენი საბოდიშო არ იყო-მეთქი!“ ქალმა შერიგების ნიშნათ ხელი გამომიშვირა, მეც ჩამოვართვი და, ცოტა არ იყოს, როგორღაც ის პაწაწა ხელი სასიამოვნოთ მერბილ-მეთბილა... ქუდმოხდით მძიმეთ თავი დავუკარი და გავშორდი. კარგა ძალი გზა მქონდა გავლილი, რომ რაღაცამ ჩემდა უნებურათ მიმახედა უკანვე!.. ის ქალი იმავ ადგილზე იდგა და მე მადევნებდა თვალს. დამინახა თუ არა, უცბათ გატრიალდა და წავიდა. „რა გულკეთილი რამ ყოფილა-მეთქი!“ – ვთქვი გუნებაში და გავსწიე ბაღისკენ. იქ ერთი მყუდრო ალაგი გამოვძებნე, დავჯექ ხის ქვეშ და ჩემებურათ ვარსკვლავებს დავუწყე კრეფა. რაღა თქმა უნდა, ჩემი „ვიღაცაც“ იქ გავაჩინე და ყველაფერი ვუამბე, რაც გადამხდა. იმან მაშინვე იმ ქალის გაცნობა მოინდომა და არც მე მწყენია. „მართლა რომ კარგი იქნება ის გულკეთილი ქალი ამ ჩემი „ვიღაცას“ მოახლეთ-მეთქი“ – ვფიქრობდი და თანაც სისრულეში მომყავდა ეს სურვილი, ასე რომ საღამომდე არა თუ მოახლეთ გავაცანი – კიდეც დავუმეგობრე ისე, რომ უერთმანეთოდ წყალსაც აღარ აქცევდნენ ჩემი „ვიღაცა“ და ის ქალი. ამ დღიდან დაწყებული თინათინის ნახვა (ეს სახელი ერქვა იმ ქალს) მენატრებოდა და კიდევაც ვხედავდით ერთმანეთს. ჩემზე ნაკლებათ აღარც თინათინს ენატრებოდა ჩემი ნახვა. მე მიყვარდა ის მისთვის, რომ ჩემი „ვიღაცას“ მეგობარი იყო და იმასაც, მეგონა, იმიტომ ვუყვარდი, რომ მე მისი მეგობარი „ვიღაცა“ მიყვარდა. ეს ისე ბეჯითად გადავიწყვიტე გუნებაში, რომ

საეჭვოთ აღარ მიმაჩნდა და „ვიღაცას“ წარმოდგენა უთინათინოდ აღარ შემეძლო!.. ორივეს ერთად ვხედავდი, თუმცა ზოგჯერ, თინათინთან საუბრის დროს, ჩემი „ვიღაცა“ აღარ იყო ხოლმე, რამდენიც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ხშირათ ვხედავდით ერთმანეთს მე და იმ ჩემი „ვიღაცას“ ერთგული მეგობარი და, რომ ქვეყანას ყბათ არ ავეღეთ, მქირდავების თვალის ასაშორებლად, გამოვძებნიდით ხოლმე სადმე მიყრუებულ ადგილს, იქ ვისხედით და ტკბილათ ვსაუბრობდით.

ერთხელ ნამეტნავათ შეგვიყოლია უცხო ბაასმა; შუაღამე გადასული იყო, როცა შინ დავბრუნდით. თვალები დავხუჭე თუ არა, მაშინვე ამიფერადდენ სხვადასხვა სიზმრები. სხვათა შორის ვნახე, რომ მე, ვითომ, ავათა ვარ სახადით, ცოტათი უკეთობაში შევდივარ, თავი იმ ჩემი „ვიღაცას“ კალთაში მიდევს, ის ალერსიანათ დამყურებს, შუბლზე ხელს მისვამს და ცივ ოფლს მწმენდს... ცოტა ხნით თვალსა ვხუჭავ, მერე ისევ ვახელ და რასა ვხედავ? ჩემი „ვიღაცა“ გამქრალა, მის ადგილზე თინათინი დამჯდარა და მის კალთაში მიდევს თავი!.. საკვირველია, ეს არა თუ არ მწყინს, კიდეც მიხარია და ვნატრობ: ნეტავი ჯერ კიდევ არ შემოვიდოდეს ჩემი „ვიღაცა“-მეთქი!.. სიამოვნებით შევყურებ თინათინს და მეჩვენება, რომ ამას თვალები იმ ჩემი „ვიღაცასი“ ჰქონია და აქამდე კი არ შემინიშნავს. მართალია, იმას ცისფერი თვალები ჰქონდა და ამას შავი, მაგრამ მაინც ერთი და იგივეა! განა მარტო თვალები? ცხვირი... პირი... საკვირველია, საკვირველი!! იმასავით რომ თეთრი ტანისამოსიც აცვია?! ადრე რატომ ვერა ვნიშნავდი? სად ვიყავი? ახლა კი ვხედავ, რომ ეს თინათინიც არის და „ვიღაცაც!“ „ვიღაცაც“ და თინათინიც!.. მინდა შევიტყო, მინდა ამასვე გამოვკითხო, თუ როგორ მოხდა ეს, მაგრამ ენა რომ აღარა მაქვს საძრავი პირში!.. ნუთუ ასე ძალიან ავადა ვარ? ვკვდები? ეგება, მკვდარიც ვიყო, მაგრამ ეს ჩემი „ვიღაცა-თინათინი“ რას უყურებს მერე? ეგება ვერ მატყობს?.. აბა ერთი ვანიშნო... მაგრამ როგორ? ხმა არა მაქვს... ველარ ვინძრევი!.. თვალებით ვანიშნებ, მაგრამ ვერ მიხვდა... ახა, ღმერთო! ჭირის ოფლი მასკდება... აი, სახლმა ტრიალი დაიწყო... ჭერიც ვარდება... აჰ! აჰ! აჰ! აჰ! ვაი!.. აქ გამომეღვიძა, უეცრათ წამოვვარდი, მივიხედ-მოვიხედე და მივხვდი, რომ სიზმარში ვიყავი. მიამა, მაგრამ ცუდ გუნებაზედ კი ავდექი მაინც. მზე მაღლა იყო წამოსული. ამ სიზმრის შემდეგ, თუმცა სული მიმდიოდა მენახა, მაგრამ ხუთი დღის განმავლობაში ველარსად შევხვდი თინათინს, თითქოს ცამ ჩაყლაპაო. ფიქრებმა წამიღეს. „ვაითუ





წავიდა სადმე? ან თუ ავათ არის-მეთქი?“ ვწუხდი და კანკალი მომდიოდა. თურმე, მართლა ულონოთ ყოფილიყო... მეექვსე დღეს შორს მოვატანე თვალი და მივაშურე. რამდენიც ვუახლოვდებოდი, იმდენი უფრო ძლიერათ მიძგერდა გული და, რომ მივუახლოვდი, ყელში დამიწყო ცემა!.. ცოტა მიებნიდა უქეიფობას; შემომხედა და გაიღიმა! გამიღიმა და იმაზე უტკბესი ღიმილი არც მანამდე მენახა და აღარც შემდეგ მინახავს... დიდხანს შევჩერებოდი უხმოთ გრძნობამორეული და მის ალერსიან სიტყვებს პასუხს ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ვაძლევდი. საკვირველია, რაც მეტს მივჩერებოდი, უფრო და უფრო მაგონებდა იმ ჩემ „ვიღაცას“ და მით, რაღა თქმა უნდა, უფრო ძლიერად იზიდავდა თავისკენ ჩემ გრძნობა-გონებას. ამ გვარათ დღესხვალიობით იმდენზე მიმიყვანა, რომ უთინათინოდ სუნთქვაც აღარ მეხერხებოდა, ნელ-ნელა ჩემი „ვიღაცა“ თანდათან მავიწყდებოდა. მაგრამ ეს რა ვთქვი? მავიწყდებოდა კი არა, თინათინად იქცეოდა და ბოლოს სულაც გამითინათინდა!.. შევტოპე სიყვარულის მორევში, შევტოპე და კიდეც დამძირა!.. ყოველდღე ვხედავდი იმ ჩემ სატრფოს, მაგრამ მაინც კიდევ ვერა ვძღებოდი მისი ჭვრეტით!.. ის შევუწონე მთელ ჩემ სიცოცხლეს და მთელ ქვეყანას, მის მეტი აღარა მაგონდებოდა რა და, თუ კიდევ რამ სხვაც მომწონდა, მისით და მის გამო. ვგრძნობდით, რომ ერთმანერთი გვიყვარდა, მაგრამ გამოთქმას ვერ ვბედავდით...

გარბოდენ დღეები, მათ თან მისდევდნენ კვირეებიც, ზაფხული იწურებოდა. ერთხელ, მთვარიან ღამეში, მარტო ვისხედით ორივე და ერთმანეთს ჩვეულებრივათ უხმოთ შევტრფოდით. თინათინმა გაიშვირა თითი ცისკენ და მითხრა: – „ხედავ იმ ორ ვარსკვლავს? აი, იქ... შორს... ცის კიდეში, სხვებზე მოშორებით რომ კაშკაშებენო?“

– როგორ არა-მეთქი! – მივუგე.

– საყვარლებსა ჰგვანან!.. შეიძლება მართალიც იყოს. ბუნებაში ყოველიფერს სიყვარული აკავშირებს ერთმანეთთან...

– შეიძლება! – წამოვიძახე მოუფიქრებლათ და უაზროთ.

– თუ აგრეა, მაშ, ერთმანეთს განზე რაღათ უდგებიან? რატომ არ მოწყდება ის მოდიდო ვარსკვლავი და არ დაეკონება იმ მომცროს? ვინ უშლით?..

– მერედა რომ იწყინოს მეორემ?

– რად უნდა იწყინოს? განა იმას კი არ სურს თუ?..

– თუ აგრეა, რატომ თვითონ არ დაეკონება?

– უთუოდ კრძალვაა მისი ბუნების თვისება, ერიდება!..

– ვითომ? ჰმ!.. – ძლივს ამოვიკვნესე. თინათინმა თავი ჩაღუნა და გაჩუმდა. დიდხანს არც ერთს ხმა არ ამოგვიღია. გული საოცრათ მიცემდა და თინათინის გულის ძგერაც მესმოდა. ის ხანდახან აიღებდა ხოლმე თავს, შემომხედავდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდაო, და ისევ დახრიდა ხოლმე ძირს უკმაყოფილოთ. ბოლოს თქვა: – „გვიან არისო“, წამოდგა და ზარმაცათ წავიდა შინ. მეც მუნჯივით გავაცილე სახლამდის და დავბრუნდი შინ, ჩემ თავზე გაჯავრებული. რა კარგი მიზეზი მქონდა, რომ ჩემი სიყვარული შემეტყობინებია მისთვის! ის ორი ვარსკვლავი!.. მაგრამ არა, არა ისე წაცდა, უბრალოთ... მაინც უხეირო ვარ, რატომ არ ვუთხარი? მერედა, რომ სწყენოდა? რათ უნდა სწყენოდა? მოდი ერთი, ვეტყვი, რაც გახდეს, გახდეს! რომ შერცხვეს, მეც ძალიან შემრცხვება, მაგრამ არ შევხედავ თვალებში... ეგება კი არ შერცხვეს? რომანებში რომ არ რცხვენიათ ხოლმე? მოდი ერთი, დავუჩოქებ და არაფერს კი არ ვეტყვი, სანამ თვითონ არ მკითხავს... თვითონ მიხვდეს!.. არა, არა! ამას ხომ სხვებიც შვრებიან სხვებთან? მე მინდა, რომ ჩვენ სულ განსხვავებული ვიყოთ! ჰმ... ხვალ სწორეთ ვეტყვი... ვეტყვი და ვეტყვი!.. მეორე დღეს საღამომდე ვემზადებოდი და ვფიქრობდი, თუ რა უნდა მეთქვა და როგორ? კარგადაც მოვემზადე ჩემს გუნებაში, მაგრამ, მივედი იმასთან თუ არა, ფიქრები ამერია, პირში ნერწყვი მიშრებოდა, ყელში რაღაც გამეხირა ბურთივით და სულ სხვაზე დავიწყე როშვა!.. დიდხანს ვიტანჯებოდი ამ გვარათ! ვიჩემებდი... ჩემს თავს სიტყვას ვაძლევდი, როცა მარტო ვიყავი, და, რომ მივდიოდი, ველარას ვბედავდი!.. თითქმის თავი შემძულდა. ზაფხული კი თანდათან ილეოდა, დრო მოდიოდა ქალაქში გადასვლისა.

ერთხელ თინათინის წერილი მომივიდა: „ულონოდ ვარ და მოდი, მნახეო“. წიგნის წაკითხვა და სატრფოსკენ გაქანება ერთი იყო. მივდიოდი ჩქარი ნაბიჯით და გული თან აღარ მიმყვებოდა: „ვაი თუ მართლა მძიმეთ ავათ იყოს-მეთქი“.

თინათინი მარტოკა იყო სახლში და მიმელოდა. როგორლაც ახირებულათ იყო ჩაცმული და ახლათ დავარცხნილი თმა მხრებზე ტევრათ ეყრებოდა. შემომცინა და ალერსიანათ მითხრა: „ვაი თუ შეგაშინეო! ცოტათი გავცივდი და გარეთ აღარ გამოვდივარ, თორემ სხვებ არა მიჭირს რაო!“ ამ სიტყვებით ნუგეშცემული ახლოს დავუჯექი და დავიწყეთ სხვადასხვა ამბები. გახურებულ საუბარში რომ ვიყავით, ერთი უეცრათ დაიძახა: „მჭვალი! მჭვალიო!“ და წამოვარდა ზეზე. მე გული გადამიტრიალდა... წამოვვარდი მეც და ქუდს მოვავლე ხელი,





მინდოდა ექიმთან გავქცეულიყავ, მაგრამ თინათინმა დამიშალა: „საჭირო არ არის, ისეც გადამივლისო, მე ასე ვიცი ხოლმე“; გაიძრო კაბის ზედა-ტანი და მიაგდო იქით: – „აბა, ახლა კარსეტიც გამიხსენით, მგონია, მიჭერსო... მრუდეთ არის ზონრები გამონასკვული და მოკლე თავს მისწიეო...“ მივვარდი და ხელების კანკალით შევუხსენი, როგორც იქნა; ისიც გაიხადა და დააგდო სტოლზე. მისმა უსახელო და ღრმად გულამოჭრილმა განიერმა პერანგმა უცბათ ძირს დაიწია. „წელზე ხელი მომდევი, არ წავიქცეო!“ – მითხრა. მოვხვიე ხელი და მომეყრდნო გულზე. მუხლები ამიკანკალდენ და ჩავჯექი. ისიც გულაღმა დაეშვა ჩემს მუხლებზე. ლოყები წამოუწითლდა, ტუჩები ოდნათ გაეპო, თვალები დახუჭა და უცნაურად სუნთქავდა... ყელმოღერებულათ თავგადაკიდებულს შავი თმა ტევრათ ძირს ეყრებოდა. მოვინდომე გასწორება: თავი ავუწიე, მაგრამ მეტი მომივიდა და უცბად მისი ტუჩები, დახრის დროს, ტუჩებზე მომხვდენ!.. ქალი სუროსავით ყელზე შემომეჭდო და მომიჭირა გამეტებით ხელები. მაშინვე თავბრუ დამეხვა და თავიც მივეც დავიწყებას!..

რომ გამოვფხიზლდი, თინათინ მხარ-თეძოზე იყო წამოწოლილი და მე კი მის მკლავზე მედვა თავი. სახემღელვარეთ მისვამდა შუბლზე ხელს და წყნარათ მკოცნიდა. „წყალი ხომ არ გინდაო?“ – მეკითხებოდა. მომიტანა სტაქნით ცივი წყალი, დამალევინა, მერე ამაყენა და მითხრა: „ახლა კი წადი კარში! სიგრილე მოგიხდებაო!“ მე, ჯერ კიდევ გამოურკვეველი, უსიტყვოთ დავემორჩილე მის ნებას.

იმ ღამეს ტკბილათ ჩამეძინა და მეორე დღეს, რომ გამომეღვიძა, სულ სხვა გუნებაზე ვიყავი. თავს ველარა ვცნობდი, თითქოს რაღაც ძლევამოსილება, ამირან-ამირანობა მომენიჭა-მეთქი და თამამათ გავწიე საყვარლისკენ. გული თუმცა ჩვეულებრივათ აღარ მიცემდა, მაგრამ რაღაც შეფერებული სიამოვნებით კი იყო დამძიმებული. თინათინი ახალი გამოღვიძებული იყო და ყავასა სვამდა. მაცდურათ შემომხედა და მორცხვათ ჩაღუნა თავი. „რა ყმაწვილია-მეთქი!“ – ვიფიქრე გუნებაში და მივიწიე მისკენ, ვითომ ყურში ჩასაჩურჩულებლათ, მაგრამ ამ დროს გარედან ფეხის ხმა მომესმა და გავსწორდი. ოთახში ერთი დიდულვაშა კაცი შემოვიდა. ამ ვაჟბატონს ხშირათ ვხედავდი ხოლმე ადრევაც თინათინთან და მომწონდა. მომწონდა მისთვის, რომ ის, როგორც ვატყობდი, მისი სასიამოვნო სტუმარი იყო, მაგრამ დღეს კი ასე უმიზეზოთ ამომეთვალწუნა. რაღაცა მკბენდა გულზე. თითქმის მიკვირდა: „ჩემდა უნებურათ აქ რა უნდა-მეთქი?..“ ამისთანა უსაფუძვლო, სულელური რამ ჯერ არა მეგრძნო

რა და გავიბუტე!.. გავიბუტე, მაგრამ თინათინის ერთი შემოხედვა საკმაო იყო, რომ ის ჩემი ღრუბელი გაეფანტა. დიდხანს ვიყავი მთვრალი მისი ეშხით. სიყვარული თანდათან მეგზნებოდა უსაზღვროთ და უზომოთ, თუმცა ახლა სულ სხვა გვარათ კი ვგრძნობდი მის ძალას. ერთხელ რამდენიმე დღით გავემგზავრე ქალაქისკენ. სასოებით, თვალამღვრეულათ გამოვეთხოვე ჩემ სატრფოს და წაველ. შემთხვევამ ისე მოიტანა, რომ იმ საღამოსვე დავბრუნდი და პირდაპირ მივაშურე თინათინს. ვფიქრობდი: „ახლა ის, ჩემი ნეტარება, მარტო იქნება... მოწყენილი... ან წიგნს კითხულობს და ან სტოლზე იდაყვდაბჯენილი ოცნებობს ჩემზე. მე მივალ, მივეპარები ნელ-ნელა... ფეხაკრეფით... შევაფრთხობ... ის წამოვარდება ზეზე, შემკრთალი, ერთს შემომკივლებს და, გაჭარხლებული, მომეხვევა კისერზე...“

ამ ოცნებით შევიპარე სახლში. ზალა ჩუმათ გავიარე, ფეხებს ძირს აღარ ვაკერებდი; მხოლოდ გულს კი გაქონდა ბაგა-ბუგი, თითქოს გულზე ბამბას მაპენტავდენ. წყნარათ შევაღე საწოლი ოთახის კარები და შევძვერი. იმისთანა თქვენმა მტერმა დაინახა, მე იქ სანახავი ვნახე: კოტრიალა-კოტრიალა!! ულვაშებიანი ვაჟბატონი წამოვარდა ზეზე, აიფხორა ინდოურივით და თითქოს რაღაც დააპირა, მაგრამ ბოლოს წიგნს მოავლო ხელი და, ვითომ ვკითხულობო, ჩაღუნა თავი. ქალბატონმაც რაღაც წაიბუტბუტა! ერთ ხანს აშფოთებული იყო, მაგრამ ბოლოს შემომხედა და შეჰყარა წარბები. მე, ზარდაცემული, გაქვავებულსავით ერთი ადგილიდან ფეხს ვეღარ ვიცვლიდი. „თქვენ რა გინდათ აქაო?! – შემომძახა – ვინ მოგცათ ნება ასე კადნიერათ აქ შემოსვლისაო? არ გეკადრებათ მზვერაობაო“ და სხვანი. მე ვეღარა გავიგე რა! სულ დავიბენი და თვალებდაჭყეტილი მივჩერებოდი, როგორც მართლა დამნაშავე. თითქმის მზათ ვიყავი, რომ იმის წინ მუხლმოყრით ბოდიში მომეხადა, მაგრამ ვერ ვახერხებდი და ის კი უფრო და უფრო მიყვიროდა გააფთრებული: „გადი აქედან! გაეთრიე! აღარ დაგინახოს ჩემმა თვალებმაო!..“ მაგრამ მე მაინც არ ვინძრეოდი, სანამ კიდევ არ მომაძახა ზიზღით: „არ გესმის, შე ლოქო, შენაო?!“ ამ სიტყვამ კი გამომაფხიზლა!.. ეს სიტყვა, სადაც ადრე ეკლათ მეჩხვლიტა გულში, ახლაც სწორეთ იმავე ადგილას განმეორებით ფინთიხივით მეცა და გამწარებული გავვარდი კარებში ბაღისკენ. აღარც გზა მიძებნია და აღარც კვალი! მეტი აღარა მახსოვს რა! მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ გამოვფხიზლდი საავადმყოფოში. ჩემმა ექიმმა საიმედოთ მითხრა: „აწ აღარა გიჭირს რაო!.. შენს ახალგაზდობას ჰმადლობდე,





თორემ ვერ აიტანდი მაგ ანთებასო! რომ მოუყვანიხართ აქ, მაშინ არ უთქვამთ, თუ რა მიზეზით მოგსვლია ეგ ანთება, მაგრამ მე კი ისეც შეგატყვეო: უთუოდ წყალში ჩავარდნილხარო“.

– როგორ თუ წყალში და რითი მიხვდით-მეთქი?

– ეგ ადვილიაო! – ამაყათ მიბრძანა, – როცა გაბოდებდა, სულ ლოქოს ახსენებდიო!

ლოქოს გაგონებაზე ხელმეორეთ შემიწუხდა გული. მას შემდეგ აგერ მეოთხედი საუკუნე გარბის და მე ლოქოს ხსენება დღესაც კიდევ მეჯავრება.

## II

### ჟინი

ულვაში საგრეხათ მქონდა. წვერი მეხუჭუჭებოდა. ვაჟკაცობის კალაპოტში ვიყავი ჩამჯდარი. ოცნებას ფრთა შეეკვეცა და გონება გამითავადდა. პირველი სიყვარულის სენმოხდილს, სურვილი ნდომათ მქონდა გადაქცეული და გრძნობა – გულის ფხანვათ. ვიცოდი, რომ სიყვარული „მოგატყუე-მომატყუე“-ს ბურჭალობა იყო და ამიტომაც კიტრათ ვაფასებდი: ახალ-ახალი მენატრებოდა და ძველი აღარ მინდოდა!.. ჩემი „არჩევანი“ ყოველთვის მოხერხებული იყო! ერთგვარობას ვერიდებოდი და ერთფერობა მობეზრებული მქონდა. ერთ ადგილას ფეხმოკიდებით ცხოვრება მეძნელებოდა.

ერთხელ სალხინოთ მიმიწვიეს და იმ დროს მივედი, რომ ლეკური კიდეც დაეწყოთ. საზოგადოთ ლეკური არ მიყვარდა, მაგრამ, როდესაც ჩურჩული დაიწყეს: „მათიკო გამოდის, მათიკოო“, სულმა წამძლია და წინ წავდექ. ის მე ახალი გაცნობილი მყავდა. ჯერ არ მენახა მისი ლეკური, თუმცა გაგონებით-კი ბევრი გამეგონა. წყნარათ გამოვიდა მშვენიერი თვალტანადი ქალი, ზრდილობიანათ დაუკრა თავი მის გამომთხოვ ახალგაზრდა კაცს და ჩამოუარა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ იმ დღემდე ლეკური მხოლოდ ფეხების პარტყუნი მეგონა და ხელების გრეხა. მაშინ კი დავდევი ფასი: ჯერ დავლურში ყოველი მისი ფეხის გადადგმა, ლერწამ-ტანის მიხვრა-მოხვრა, თავის აღებ-დაღება, გახედვ-გამოხედვა და შეჩერება თვით განხორციელებული მაცდურობა იყო!.. კვალში მისდევდა აშფოთებული ჭაბუკი და რხევით შეტრფიალებდა, გასწყვიტეს დავლური და ყელი მოიღერეს სალეკუროთ. ერთი ჩამოიქროლა ქალმა შერხევით, თითქოს ფრთები გაშალაო, და გაიტაცა კაციც!.. დაქანცული ხან აძლევდა თავს

დასაჭერათ და ხან ისევ მკვირცხლათ გამოუსხლტებოდა ხოლმე ხელიდან. შეჩერდა და მიუშვა მისი მოკამათე ნებაზე. აღელვებული ჭაბუკი დიდხანს უტრიალებდა გარს, როგორც პეპელა სანთელს, და ბოლოს ფრთებშეტრუსულივით გაიქცა... გამოუდგა ქალი, შეაჩერა იმავ ადგილზე, სადაც წინეთ თვითონ იდგა, და იწყო მის წინ რხევა; შემოურბინა ირგვლივ, თითქოს ჯადო გაუკეთაო, და მერე კი ჩამოეცალა ნელ-ნელა! ერთიც კიდეც ჩამოუარა და შეჩერდა... ჩამოუშვა მოხდენილად ხელები, დაუკრა მაყურებლებს თავი და მიიმალა...

– ძალიან მუშტრის თვალით სინჯავ! – სიცილით წამილაპარაკა ერთმა ნაცნობმა ქალმა.

– მართლა რომ შნოიანი ყოფილა!..

– ჰმ!.. ფრთხილად, ვაჟბატონო!.. მათიკოს „ვერ იცანი“ ჰქვიან. თავმომწონე ქალია: თაყვანისმცემლების გუნდს იხვევს, მაგრამ...

– მაგრამ?

– ჰხრუკავს და არ ათბობს, ამბობენ. ჰმ! საკვირველია ზოგიერთის ბედი: ჩვენ რომ ორჯერ-სამჯერ ვინმე დაგველაპარაკოს, რას არ იტყვიან ჩვენზე? და მაგას თვალითაც რომ უყურონ, არ დაიჯერებენ! – თქვა გულდაწყვეტით და მომშორდა.

ცოტა ხნის შემდეგ შევნიშნე, რომ მათიკოს ეჩურჩულებოდა და ჩემკენ იხედებოდენ. წასვლის დროს მე და ჩემი ნაცნობი ქალი ერთად მოვხვდით კიბეზე და სიცილით მითხრა: „სხვა ვარსკვლავზე ყოფილხარ დაბადებულიო; ხვალ ჩემთან გელი და საღამოს სხვაგან არსად წახვიდეო“. დანიშნულ საღამოს რაღაც სხვა გუნებით ველოდი და ბევრ რამეს ახირებულათაც ვფიქრობდი. ისეთი სიამოვნებით ძვირათ სადმე გამიტარებია დრო, როგორც მაშინ. იქ დიდი მოლხენა იყო საზოგადოთ და მასპინძლის გულგაშლილობას საზღვარი არა ჰქონდა. ყოველი ღონისძიებით ცდილობდა, რომ მე და მათიკო ერთად ვყოფილიყავით და კიდეც ახერხებდა ამას. მათიკო კარგი მოლაპარაკე იყო: ისეთ ალერსიან სიტყვებს მეუბნებოდა და მასთან მაცდურ რამეებსაც მეკითხებოდა, რომ, თუ გამოცდილი არ ვყოფილიყავი, მწვანე კიტრსაც დამავიწყებდა და გოგრასაც დამაკარგვინებდა.

მათიკო მომღერალიც იყო. ბევრს ეხვეწენ, მაგრამ არ იქნა, არ იმღერა: „არა ვარ გუნებაზეო“, და ჯერ სხვები ამღერეს. ყველაზე უკეთ ერთი ვიღაც ახალგაზდა მღეროდა. იმ დროს მე და მათიკო ერთად ვისხედით და საზოგადოთ გრძნობაზე გვქონდა ბაასი. როდესაც მომღერალმა უეცრათ წამოიძახა: „სძგერს გლახ-გული, საყვარელო“, მე შევკრთი და გულმა შემითამაშა... მათიკომ თვალი მომავლო და გრძნეულათ გაიღიმა. ჩაღუნა თავი და დაუგდო ყური სიმღერას; სახემ ღელვა დაუწყო, გულისპირი ენძრეოდა. ადგა ხმაამოუღებლად, მივიდა კუთხეში და მუთაქას გადააწვა მარცხენა გვერდით. შეწყდა თუ არა სიმღერა, მათიკომაც ხმა გაისწორა; ყველამ მისკენ მიიხედა. მარცხენა იდაყვზე თავდაბჯენილმა, მოიღერა ყელი და შემოსძახა კვნესით: „ჭმუნვის მახვილი გულსა მსობიაო“. მაინცდამაინც დიდი ხმა არა ჰქონდა, მაგრამ კილო კი მოხერხებული იყო და ისეთი გრძნობითაც ამბობდა, რომ გულს იპარავდა. თვალები გახელილი ჰქონდა, მაგრამ არავის კი არ უყურებდა ამ ქვეყნათ, თითქოს სხვაგან სადმე მიმოაფრენს სურვილსაო! თვითოეულ სიტყვას თავთავის შესაფერ ძალას აძლევდა. რომ მივიდა იმ ლექსამდე: „არ გესმის ოხვრა, ოხვრის მიზეზოო“, მე გულმა ძგერა დამიწყო და გათავების დროსაც, როცა წამოიკვნესა ნაღვლიანი სასოწარკვეთილებით: „სიცოცხლის ძაფი მან სწყვიტოს, რადგანაც გასაწყვეტიაო“ და მოხდენილად წინ წაიქნია ხელები, მე გული ყელში გამეჩარა!.. გიჟივით წამოვვარდი და მივაშურე ხელზე საკოცნელათ. სევდიანი ღიმილით ჩამიდვა ხელი-ხელში. ტუჩებმა იგრძვნეს, რომ ის ხელი ოდნავ თრთოდა. იმ დღიდან ჩემი გრძნობა-გონება საკუთრად იმან მიიზიდა და ჩვეულებრივათ იმედიანათაც გადავუგდე ანკესი.

ზოგიერთი თევზი, დაინახავს თუ არა ანკესს, შორიდან მოაშურებს, მაგრამ, რომ მიუახლოვდება, ხერხიანათ დაიწყებს ცურვას: ხან ბოლოს გაუქნ-გამოუქნევს, ხან ზურგით წაეფხანება და ხან ფრთებით, მაგრამ თავს კი ყოველთვის არიდებს. მეთევზეს სული მიუდის: ჰა, თუ აგერ წამოეგოს და ჰა აგერაო!.. ინძრევა ძაფი; მეანკესე იმედიანათ ამოჰკრავს მკედს, მაგრამ ცალიერი ანკესი რჩება ხელში: თევზს მოუგლეჯია მის მოსატყუებლათ ანკესზე აცმული ჭია და წასულა უვნებლათ, მონადირეს გული მოსდის, ჟინზე ისევ ხელახლათ აგდებს ანკესს წყალში, მაგრამ მაინც ვერას აწყობს: არ ედება გაეშმაკებული თევზი.

სწორეთ ამგვარათ ჩამითრია მათიკომაც!.. „არაფერია!“ – ვამბობდი გუნებაში, – „ეს ულვაში არა მსხმია, თუ ვერ დაგიჭირო! ათასი ხერხი ვიცი და რომელ ერთს გადაურჩები-მეთქი?!“ იმას კი აღარ ვფიქრობდი, თუ შეიძლებოდა, რომ იმას ერთით კიდევ მეტი სცოდნოდა ჩემზე. ჟინმა გამიტაცა, თავმოყვარეობა აღარ მასვენებდა და მის მაგიერ მე თვითონ ვეხვეოდი ტრფიალების ბადეში. მათიკომ რომ შემატყო, აღარა ხუმრობსო, განზე გამიდგა და მძიმეთ დაიჭირა თავი. მე გუნება გამომეცვალა: ხასიათი ისე გამიფუჭდა, რომ წამდაუწუმ ვანჩხლობდი. მცირე რამეზე მომდიოდა ხოლმე



სამგვარი სიყვარული

ჩხუბი მათიკოსთან და ჩემ თავს სიტყვას ვაძლევდი – სამარადისოთ დამენებებია თავი, მაგრამ მცირე რამე ალერსიანი მოქცევა მისი მხრით ისევ მავიწყებდა ყოველიფერს. ყმაწვილს დავემსგავსე და ბუტიაობა დავიწყე. ქვეყნის თვალში ამგვარი რამ არ დაიმალება. ჩემ ქცევასაც თვალ-ყური მიადევნეს; მნახეს დამარცხებული და არა სწყენიათ. რაღას ვიზამდი? გავიმაგრე გული და რამდენიმე წლით გაშორება მოვინდომე.

წასვლის წინა დღეს ერთს ოჯახში, სადაც მათიკოც იყო მიწვეული, ისეთნაირათ მოვილხინე, რომ მეტი აღარ მოხერხდებოდა! მიზეზათ ვამბობდი: „ჩემი დიდი ხნის სურვილი რომ სრულდება და მივდივარ, ის მიხარია-მეთქი!“ ვამბობდი, მაგრამ გული-კი სხვას მეუბნებოდა. ამ სიტყვებზე მათიკოს შევჩერებოდი, მაგრამ არა ეტყობოდა რა!.. ისეთ სახეზე იყო, რომ თითქოს თხა მიუდით საბალახოთ და იმის ამბავს ამბობენო. გამოთხოვების დროს ხელი მომიჭირა და მითხრა: „იმედია, უნახავი არ წახვალთ და ხვალ კიდევ შემოივლით ჩვენსკენო“. მეორე დილას ადრე მივედ იმასთან გამოსათხოვრათ. ის ისე დამიხვდა, ვითომ არც კი მიმელოდა და გაუკვირდა: „ასე ადრე რა უნდაო?“ მისვლის მიზეზი რომ ვუთხარი და გამოვეთხოვე, ცივათ მითხრა: „მართლა? ნეტავი თქვენ, რომ მიდიხართო!“ ერთი კარგი ლაზათიანი მთქნარებაც მისაგზლა და გამისტუმრა... მაშინ კი სწორედ შემეზიზღა და ვთქვი: „ღმერთმა შემარცხვინოს, თუ ეს ან ერთ კიტრათ ღირდეს-მეთქი! ამას როგორ გადავყევი, თუ მე ჩემს ჭკუაზე ვიყო-მეთქი?“ და გავეჩქარე... სახლს რომ გვერდით ჩავუარე, მაღლა ავიხედე ფანჯრისკენ. ფარდის პირი აეხადა მათიკოს, გამოეყო თავი და შეწუხებული სახით მიყურებდა. დამინახა და ფარდა დაუშვა...

მგზავრობას, რომ მეგონა, ისე ვერ გადავაყოლე გული და ვერც უცხო მხარემ შემიყოლია. ყოველგან და ყოველის თვალწინ ფარდა მებლანდებოდა... წამდაუწუმ ვეკითხებოდი ჩემ თავს: „ვუყვარვარ თუ არა მათიკოს-მეთქი?“ და გადაწყვეტილს ვერას ვამბობდი. მე კი მისი სიყვარული თანდათან მერეოდა. მისთანა არა იქნებოდა-რა, არც ავი და არც კარგი, რომ მისი სიყვარულის გულისათვის სიამოვნებით არ ჩამედინა, თუ კი საჭიროთ დავინახავდი. „აბა ეს ყოფილა ნამდვილი სიყვარული-მეთქი!“ – ვამბობდი. „შორით ბნედა, შორით ტანჯვა, ნიადაგ მოგონება და ხალვა!“ ვფიქრობდი ჩემთვის... გავტრიალდი ვითომც ჩემს გუნებაში და დავემორჩილე ბედს... დავემორჩილე, მაგრამ ვერ ავიტანე და სამი თვის შემდეგ ისევ დავბრუნდი. ჩემი ჩქარი და მოულოდნელი დაბრუნება ბევრს გაუკვირდა და მათიკოს–კი სიხარულიც დაეტყო. პირველ ნახვაზე (გზაში შემეყარა) შეკრთა, ცოტათი წამოწითლდა და თვალები აუბრიალდა,





მაგრამ მალე შეიმაგრა თავი და ჩვეულებრივი სახე მიიღო. მგზავრობის თაობაზე ერთი სიტყვაც არ უკითხავს, მხოლოთ ჩვეულებრივი მოკითხვის შემდეგ მითხრა: „გამხდარხართ და თვალებში სიყვითლეც შეგპარვიათო!.. ასე იცის უცხო ქვეყანაში განუწყვეტლათ ლხინში და სიამოვნებაში ჩაქანცვამაო!“ დაუმატა მწარის ამოკვნესით და გამშორდა. რამდენსამე დღეს ვიმაგრებდი თავს: არ მინდოდა მათიკო მენახა, მაგრამ უცნაურათ კი ვიტანჯებოდი: მადა დაკარგული მქონდა, სიცხეს მაძლევდა და წამდაუწუმ წყალსა ვსვამდი. ველარ ავიტანე! გავიწირე თავი და წაველ სანახავად...

ღამის მეათე საათი იყო. მათიკო მარტოკა იჯდა ბუხართან. შინაური, ხალათური კაბა ცოტათი მუხლებზე ჰქონდა აწეული, გულმოლიალებულს, ფეხებზე ისეთი მაღალყელიანი წინდები ეცვა, თითქოს ობობას ქსელიაო. შიგ ხორცი ვარდისფრად გამოსჭვირდა. ცალი ფეხი ოდნათ ჰქონდა წითელი ხავერდის ფოსტალში შეყრილი და ცალიც ისე, მხოლოთ ზევიდან, ედვა. სახე წამოწითლებოდა, ხელები ცეცხლისკენ მიეშვირა და თბებოდა... რომ დამინახა, ვითომ შეკრთა!.. ჯერ მორცხვათ გული შეიკრა, მერე დაიხედა ფეხებზე... „უიო!“ – წამოიძახა და სიჩქარით დაუშვა კაბა... „უკაცრავათ!“ მითხრა რაღაც გრძნეულათ და მიმიწვია იქვე სკამზე... დიდხანს არც ერთს ხმა არ ამოგვიღია. მე პირი მიშრებოდა და ის კი თითქოს რაღაცის თქმას ეპირებოდა, მაგრამ ვერა ჰბედავდა. ბოლოს სკამი დასწია უკან და თქვა :„ცხელაო!.. თქვენც ხომ არ გაწუხებთ ცეცხლიო?“

– რომელი ცეცხლი: ბუხრისა, თუ გულში რომ მიკიდია-მეთქი? – ძლივს გავბედე თქმა ხმის კანკალით. მათიკომ შემომხედა, ხმა არ გამცა. ისე აღელვებული ჯერ არ მენახა: გულ-მკერდი ებერებოდა. მერე კიდევ მომაჩერდა და ძალიან რბილი ხმით თქვა: „ნეტავი კაცებმა მოტყუება არ იცოდეთო!“ ერთი ამოიხვნეშა და ჩაღუნა თავი. მე ტანში რაღაც სიცივე ვიგრძენი, ერთი გამაჟრჟოლა და ამიტყდა თრთოლა... დიდხანს ხმა ველარ ამოვიღე. შემდეგ გავბედე, როგორც იქნა:

– მათიკო, ნუთუ შემიცოდებია რამე თქვენთვის, რომ ამოდენი ხანია მტანჯავთ?

პასუხის ნაცვლათ მიბნედილი თვალები გაშტერებით მომაპყრო და აღელდა...

– არიან იმისთანა წამები, როდესაც კაცს აღარ შეუძლია იფარისევლოს!.. ეგება უკანასკნელიც იყოს დღევანდელი ჩვენი საუბარი და ნურას მიწყენ!... ხომ ხედავ, რომ ვიტანჯები? ვიტანჯები

გამოუთქმელათ!.. ჩემი სიცოცხლე–სიცოცხლეთ აღარ არის სახსენებელი!.. მეტის ატანა მოუხერხებელია!.. ღმერთმა ხომ იცის, რომ ყოველი ღონისძიება ვიხმარე გასაქარვებლათ, მაგრამ ძნელი ყოფილა ნამდვილი სიყვარული: ის არა ჰგავს არც ყმაწვილობის ოცნებას და არც წამიერ გულის გადაყოლას!.. ვერა ეწინააღმდეგარა: – ვერც დრო და ვერც ვითარება…

– ჰმ!.. კმარა! კმარა! კმარა ეს მალულობა! – გამაწყვეტინა მათიკომ. – ვიცი, ვიცი, რომ ძნელი ყოფილა სიყვარული და მისი ატანა კიდევ უარესი… მაგრამ ჩვენ თუ ავიტანთ ხოლმე?! ქალები უფრო სუსტები არა ვართ კაცებზე?!.

– არა, არა!.. თქვენ არ შეგიძლიათ ის იგრძნოთ, რასაც ახლა მე ვგრძნობ… თქვენთვის ნამეტანი იქნებოდა!..

– მართლა აგრე გგონიათ?.. აბა, ერთი ახლა ჩემს გულშიც ჩაიხედეთ!.. თქვენ მხოლოთ თქვენი გიკვირთ და სხვისას კი აღარ კითხულობთ!.. ეგება ჩვენც გვიყვარდეს!.. ჩვენც ეს სენი გვმსჭვალავდეს, მაგრამ ვითმენდეთ და საიდუმლოთ ვიტანჯებოდეთ!.. განა ჩვენ-კი ქვის გული გვაქვს?.. ეჰ, დარწმუნდით, რომ მეც მიყვარს!..

მინდოდა მეკითხა: „ვინ-მეთქი?“ მაგრამ ვფიქრობდი: „ვაი-თუ სხვა ვინმე იყოს და მე კი საუკუნო სასოწარკვეთილებამ მიმსხვერპლოს-მეთქი!“

– განა მე ველარ ვხედავ, რომ გიყვარვარ? – განაგრძო მათიკომ, – მაგრამ რა ვქნათ? შეუძლებელი უნდა დავთმოთ. იმდენი ბედნიერება მე, რამდენი ღამე გამეტეხოს შენზე ფიქრით…

– როგორ თუ ჩემზე?! განა მე ვარ აგრე ბედნიერი?! – ძლივს წარმოვთქვი ხმის კანკალით.

– დიახ! რაღათ დაგიფარო? მიყვარხარ მეც! მიყვარხარ ისე, რომ მეტი მოუხერხებელია! მაგრამ…

– მაგრამ რაო? რაღა ეწინააღმდეგება ჩვენს სურვილს?

– მოვალეობა! ხომ იცი, მე თავისუფალი არა ვარ და ლეჩაქის მოხდა გამაუპატიურებს?… რაც თქვენთვის, კაცებისათვის, საქებია, ის ჩვენთვის სამარადისო ჩირქია!

მართალს ამბობდა. პირველათ დავფიქრდი მეც ამაზე, დავეთანხმე და სასოწარკვეთილებით მივიფარე თვალებზე ხელი: მეშინოდა, რომ ცრემლები არ წამომცვენოდა.

– გიყვარვარ! – კიდევ დაიწყო მათიკომ. – ჰმ… განა მარტო შენგან მესმის ეგ პირველათ? მაგრამ პასუხს კი მარტო შენ გაძლევ





და გეკითხები: რა მსხვერპლის მოტანა შეგიძლია ჩემი სიყვარულის გულისთვის?

– თვით შეუძლებელიც!..

–კარგი! მე მაგდენს არც გთხოვ!.. მაშ, მეც გაძლევ ფიცს, რომ ამიერიდან შენ გეკუთვნოდეს ჩემი გული, შენი მეგობრობით ვისულდგმულო, მხოლოდ ნუ ამხდი ლეჩაქს და გიყვარდე ისე, როგორც და!

ჩემი ნატვრა ამდენათაც ვერ კადნიერდებოდა და, რასაკვირველია, გული მოულოდნელი სიხარულით ამევსო! დავვარდი მის წინ მუხლებზე, მოვხვიე ხელები და ხან ერთსა და ხან მეორე მუხლზე სასოებით ვეამბორებოდი. გრძნობამიხდილსავით ჩავუდევი თავი კალთაში და გავქვავდი. ცალ გვერდს ცეცხლი მიხურებდა, მაგრამ, საკირეშიაც რომ ჩავეგდეთ, ველარას გავიგებდი. მათიკო წყნარათ აცოცებდა თავის პაწაწა ხელებს ჩემს თმებში… მერე ამიწია თავი, ამომდო ორივე ხელები ყბაში და ჩამაჩერდა… სულს ძლივსღა ვიბრუნებდი. მის ფუნჩულა ლოყებზე იქით-აქეთ მარგალიტივით მოგორავდნენ ცრემლები და თვითონ კი ტკბილათ იღიმებოდა. ერთხანს მიყურა, მიყურა, თითქო რაღაცის ამოკითხვა უნდაო, ერთიც გააჟრჟოლა, უეცრათ დამეკონა და ისეთი მაკოცა, რომ მეგონა: ორკეცი ტყავი ამაძრო ტუჩებზე-მეთქი!.. მერე მკრა გამეტებით ხელები გულზე და კიტრივით გამაგორა!.. სანამ მე წამოვდგებოდი, ის საწოლ ოთახში შევარდნილიყო და წამოეკეტა კარები. დავბრუნდი შინ ეშხით მთვრალი და ბედისაგან დაგვირგვინებული… „აი, ეს ყოფილა თურმე ნამდვილი სიყვარული, რომელიც სახორციელოს არას ითხოვს-მეთქი!“ – ვამბობდი გუნებაში და ვემორჩილებოდი უზომოსა და უსაზღვრო სიყვარულს. ასე, ამ ყოფაში, გაირბინა ზამთარმა.

ერთხელ, ახალ გაზაფხულის პირზე, ჯერ კიდევ რომ ცოტათი ციოდა, ავდრიან საღამოს, ჩემ სატრფოსთან ვიყავი და შევხაროდი. ვახშმათაც დავრჩი. ახალ ნავახშმევს ისეთი ელვა-ჭექა ატყდა ქუხილით, რომ შინ წასვლა ძნელი იყო და მათიკომ მირჩია მისას დარჩენა. შუა ოთახში დამიგეს და მომასვენეს. ჯერ კარგათ არა მქონდა რული მოკიდებული, რომ ჭრიჭინი მომესმა!.. გავახილე თვალები – ვერა დავინახე რა!.. კიდევ დაიჭრიჭინა და გაიღო კარები… საშინელი სიჩუმე იყო; ვერა შევნიშნე რა, თუმცა ძალიან კი ვაკვირდებოდი. ჩემი სრული გონება კარებისკენ იყო მიქცეული. ვილაცამ ხელები მომისო… შევკრთი!.. „სსუუუო!“ მომაძახა და საბნის პირი აიღო… მე ცოტა კედლისკენ გავიწიე და სული შემეხუთა!..

დილას რომ გამომეღვიძა, ჩემ გვერდით აღარავინ იყო...

„ჰე! თუ ამითი დაბოლოვდებოდა, ეს ამოდენი ხნის ჟინი რაღა იყო?! ჰმ!.. თურმე საიდუმლოება ყოფილა საჭირო!.. მართალი ყოფილა, რასაც ზღაპრულ დედოფლებზე ამბობენ. ესეც ახლა, ძალა რომ ხელთა ჰქონდეს, საიდუმლოს დასაფარავათ უბრძანებდა მონებს, რომ ზღვაში გადავეგდეთ!.. ჰმ!.. მაგრამ რას ვამბობ? რა უსინდისო ვარ! ფუი! შერცხვეს მამაკაცების წვერ-ულვაში! ქალმა ტანჯვა ველარ აიტანა, თავი გაიწირა... უმანკოება მიმსხვერპლა და მე კი, მადლობის მაგიერათ, რაებს ვეწამები-მეთქი!“ ვამბობდი გუნებაში. ვამბობდი და თანაც სადიდებლათ ვუკმევდი გრძნობა-გონებას!.. სასტუმროში რომ გამოვედი, მათიკო ისე შემეყარა, თითქოს არაფერი ამბავი ყოფილიყოს!.. მხოლოთ ეს კი შევნიშნე, რომ ყოველ მის სიტყვას ბრძანებითი კილო ჰქონდა.

იმ დღიდან უფრო სამჭიდროთ შეიცვალა ჩვენი განწყობილება. მართალია, ადრინდული აღტაცება აღარ მეტყობოდა, მაგრამ სიყვარული კი ძლიერათ მქონდა გამჯდარი მთელს ჩემ არსებაში და სიკვდილამდე ვერც არას შევუწონიდი იმას! ვაფასებდი მათიკოს თავგანწირვას და უზომო მადლობა იყო მისი სიყვარულის ბუდე. ჩვენს მეგობრობას აღარა შეედრებოდა რა!.. ერთმანეთს, რასაკვირველია, აღარას ვუფარავდით. მარმარილოს მსგავს ბეჭის ფრთასთან ერთი პატარა წითელი ნიშანი ჰქონდა მათიკოს, რომელზედაც ამბობდა: „ეს მიტომ გამიჩნდა, რომ დედაჩემმა განგებ, გამოსაცდელად, სწორედ ზედ ამ ადგილზე მოიცხო ტყლიპიო!“ არ მახსოვს, რომ ჩემი ტუჩები უთრთოლველათ იმას მიჰკარებოდნენ როდესმე... ის მიმაჩნდა ჩემ საუკუნო ნეტარებათ და სიცოცხლის ნიშნათ...

ერთხელ ყმაწვილმა კაცებმა თავი მოიყარეს ერთი ამხანაგისას. მეც იქ ვიყავი. ჩამოვარდა ბაასი ამაოთ მორწმუნებაზე და, სხვათა შორის, ტყლიპზედაც გარდავიდნენ. ერთმა ყმაწვილმა კაცმა წამოიძახა: „მე ვიცი ერთი ქალი, რომელსაც ბეჭის ფრთასთან აქვს ტყლიპის ნიშანიო და, როგორც მიამბო, დედამისს ორსულობაში უსინჯავსო!“ ეს რომ გავიგონე, შევკრთი, მაგრამ ისევ მალე მოვეგე გონს: „სხვა ვინმე იქნება, თორემ ეს ყოველისფრათ ჯაბანი კაცი მათიკოსთან რა სახსენებელია-მეთქი?!“ – ვიფიქრე. ვიფიქრე, მაგრამ მაინც გამოსაცდელათ წამოვიძახე: „მაგისთანა ვინმეს ერთს მეც ვიცნობ. სწორეთ იმასაც ზედ ბეჭის ფრთასთან აქვს ის ნიშანი – მეთქი!“ ამ ყმაწვილმა ისეთის მოშურნის თვალით შემომხედა, რომ მე მართლა ეჭვი შემივიდა გულში...





ცოტა ხნის შემდეგ უქეიფობა მოვიგონე, გამოვეთხოვე ყველას, წაველ ვითომ შინ, მაგრამ ნამდვილათ კი მათიკოსკენ გავეშურე. საყვარელმა ჩვეულებრივათ მიმიღო. ცოტა ვიალერსეთ, მერე ბოდიშმოუხდელად მივწექ სკამლოგინზე და ამოვუშვი ხვრინვა. არ გაუვლია ნახევარ საათს, რომ ზარის წკარუნი მოისმა. მათიკომ ბევრი მანძრია, მაგრამ ვერ გამომაღვიძა... შემოვიდა ჩემი რაყიფი, გაჩერდა მათიკოს წინ და მოკითხვის პასუხად გულბიწათ უთხრა: „თქვენ რა გენაღვლებათ, როგორ უნდა ვიყოო?“ მათიკომ ტუჩებზე ხელი მიადო: „სსუუუო“ უთხრა, შემოახედა და გაიტაცა საწოლოთახისკენ... დავრჩი მარტო, წამოვდექი ნელა და კარებს მივაყურე. მე სისხლი მიშრებოდა... ისინი ჩურჩულებდენ რაღაცას... ბევრი ვერა გავიგონე-რა... მხოლოთ ამას კი მოვკარი ყური, მათიკო რომ ეუბნებოდა: „რა ყმაწვილი ხარ?! არა გრცხვენია?.. მე ის ისე მიყვარს, როგორც ჩემი ყურშა (ყურშა მის პატარა ფინიას ერქვა). შენგან კიდე სხვა უნდა ვიფიქრო ვინმე? აი, კაცები სულ ეგრე ხართ... ურწმუნო!.. გაუტანლები!.. ძალიან კი გიხდება ეგ გაჯავრება. ჰოი, შენ კი გენაცვალოს შენი მათიკო!“ და ამასთან ერთი მაგარი ტლოშნის ხმაც გამოვიდა...

მეტი ველარ მოვითმინე, ნაღვლიანათ გადვიხარხარე და გავკოტრიალდი ისევ სკამლოგინზე. მათიკო გამოვარდა სანთლით ხელში და მკითხა: „რა მოგივიდაო!..“ მე დამშვიდებით ვუპასუხე, რომ ახირებული სიზმარი ვნახე და იმან გამაცინა-მეთქი: ვითომ მწვანე კიტრი მეჭირა ხელში, უცბათ დამიმჟავდა და გამივარდა... იქ ერთი ღორი იდგა, იმან მოავლო პირი და გაიქცა! აი, ამისთანა ახირებულ რამეს ნახავს კაცი ძილში-მეთქი, – დავუმატე სიცილით. რომ თვითონაც აშფოთებული არ ყოფილიყო მათიკო იმ დროს, შემატყობდა რამეს სახეზე, მაგრამ მაშინ კი ველარა გაიგო რა, მართალი ეგონა ჩემი სიტყვები და ღიმილით მითხრა: „კარგი სიზმარი გინახავს! არაფერია, შენ კი გენაცვალეო, ახალმა კიტრმა ახალი ამბავი იცის, დამჟავებით – მტერი დაგიმჟავდებაო“.

– ღორი?.. ღორი რაღა არის-მეთქი? – ვკითხე.

– ყოველივე ცუდი მოგშორდებაო... – მიპასუხა ჩვეულებრივი ალერსით... მეც ალერსიანი ღიმილით შევხედე, მაგრამ გულში კი შემეზიზღა იმ დროს, არათუ მარტო ის – ყოველი ქალი!.. საათი ამოვიღე, დავხედე და ვთქვი: „უჰ, დამგვიანებია, სხვაგან მაქვს საქმე-მეთქი“ და გამოვეთხოვე. მათიკოსაც, რასაკვირველია, აღარ დაუშლია წასვლა. მასუკან აგერ თხუთმეტ წელიწადზე მეტია და მწვანე კიტრს ისე ვერ შევხედავ, რომ ნაღვლიანათ არ გამეცინოს.

III

## ნამდვილი
## (მასკა)

თმაში ჭაღარა შემომეპარა. ვარდს უეკლოთ ველარ ვისახავდი. ოცნება გამიქარწყლდა, ნატვრა მოთმინებათ გადამექცა და გულისწყრომა – სიბრალულათ. აწმყოზე უმადური და წარსულით გულდაწყვეტილი, საიმედო მომავალს მივდევდი, საპირადოს აღარას ვეძებდი: ამოღებული მქონდა საზოგადო ლელო და მისკენ ვეძალებოდი. ღიმილს ცხოვრების ფარად ვხმარობდი; მხოლოთ მარტოობაში, მოცლის დროს, სხვის დაუნახავათ, სახე მეღრუბლებოდა და ვამბობდი გუნებაში: „ოჰ, რა ძნელია სულით ობლობა! ნუთუ ეს ჩემი გრძნობა ჩაკირული უნდა ჩამრჩეს სამუდამოთ გულში? ვერვის გავუზიარებ? რატომ ვერა? მაგრამ სად არის... სად... თანამოზიარე?! – ოხვრით ვიტყოდი ხოლმე და ვიხურავდი გულს. გადიოდა დრო, სახეს ნაღვლიანობა ეტყობოდა და ენას – სიმწარე; გული კი კერძოობისათვის აღარ იშლებოდა; მხოლოდ ხანდახან პატარა ყმაწვილებთან კი შეითამაშებდა ხოლმე, რადგანაც მათი უმანკოება და მომავლის იმედი მალამოთ ეცხებოდენ და ასე, ამგვარათ, თუმცა გარეგნობის დაჩაგრულობით, მაგრამ შინაგანის ტკბილ მედიდურობით კი, ვლევდი ჩემ დღეთა სოფელს. დღიური ზრახვებით გულგაბოროტებულს, სალამსალამოობით მიყვარდა ხოლმე მარტოობაში სულის სიმშვიდის მოპოება. არის რაღაცა მომხიბლავი ძალა ბუნების საიდუმლო სიჩუმეში... იმ დროს ოცნებისაგან შორს გატაცებულს და ფერად-ფერადი იმედებისაგან სასიცოცხლოთ სულჩაბრუნებულ ადამიანს, რაღაც, სხვა დროს მიუწდომელი, ძალა სჭვალავს და ნეტარებას უორკეცებს; სიკვდილი და სიცოცხლე ერთგვარათ ენატრება; ზეცა და ქვეყანა თანასწორ ტკბილად ეჩვენება; გამოუთქმელი სიტკბოებით დატვირთულს გული არევით უცემს, სული ეგუბება, სახე უღელავს და თვალები ცრემლებს აფრქვევენ... მაგრამ ის ცრემლები „არა ჰგვანან ქვეყნიურსა“: არც ნაღვლით არიან შეზავებულნი და არც ოხვრით გადმონაშხეფნი!.. არა!.. ისინი, როგორც სასუფევლის წვეთები, მარგალიტებრ მოჰგორავენ ალტყინებულ ღაწვებზე. ნეტავი იმას, ვისაც ბევრჯერ გამოუცდია ამგვარი ნეტარება!.. ერთხელ მეც გადამიტყუა მწუხრის ვარსკვლავმა და ქალაქს გარეთ, ბაღში, წყლის პირათ, გულაღმა მწვანეზე წამოწოლილი ოცნებით შევტრფოდი გაშლილ ცის კამარას. დედამიწას უკუნი აწვა და აქა-იქ მხოლოთ





ციცინათლები ზარმაცათ შლიდნენ ფრთებს და ანათებდნენ, თითქოს ჰაერში ნაპერწკლებს ისვრიანო! მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავები გუნდ-გუნდათ იჩენდნენ თავს და ძლიერათ კაშკაშობდნენ. მწუხრის ვარსკვლავი ცის კიდეს მიეწურა, სასწორი დაეშვა და ხარიპარია მაღლა წამოვიდა. წვრილ-წვრილი ვარსკვლავები კი ზედიზედ ცვივოდნენ, თითქოს ცას ჰბერტყავენო. მაგრამ ხმა კი მაინც არსაიდან ისმოდა... რაღაც საიდუმლო მყუდროებას მოეცვა არემარე. ზედ ჩემს თავზე შეირხა რტო, ფოთლებმა შრიალი იწყეს, რაღაცამ დაიფრთხიალა და დაიძახა: ბულბულმა ერთხელ-ორჯერ ზედიზედ ჩაიჭიკჭიკა, თითქოს ხმას ისწორებსო, და დაჩუმდა, მაგრამ, როცა თანამოგვარეებმაც სხვადასხვა კუთხიდან ხმა მისცეს, მაშინ კი ისევ ჩვეულებრივათ დაიწყო ხანგრძლივი სტვენა. ის რომ დაცხრა, მერე სხვამ შემოსძახა, მერე კიდევ სხვამ და ამგვარათ ერთი-ერთმანეთს აცლიდნენ, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო. არც ერთხელ და არც ერთს მათგანს ერთი და იგივე ჰანგი არ გაუმეორებია და ბოლოს კი ყველამ ერთად დაიწყო სტვენა. მათი შეერთებული გალობისაგან ყურთასმენა აღარ იყო. ის-ის იყო მედიდურათ ამოჰყო თავი მთვარემაც და გაანათლა დედამიწა. სწორეთ ამ დროს შემოვიდენ ბაღში ჩემი ნაცნობები, რომელთაც წინ ხარხარით მოუძღოდა ელიკო. ნინოს შემდეგ, დიდი ხანია, ისე აღარავინ განთქმულა საქვეყნოთ მშვენიერებით, როგორც პატარა ელიკო. ის ჯერ ისევ სასწავლებელში იყო, რომ ხშირათ იგონებდენ და, რაკიღა გამოვიდა, მაშინ ყოველგან და ყველასაგან გუნდრუკი ეკმეოდა... მოხუცებულნი მისი ჭვრეტით სტკბებოდნენ, ახალგაზდები ალტაცებაში მოდიოდნენ, გასათხოვრები შურით ივსებოდნენ და მათი დედები კი გულზე სკდებოდნენ, თითქოს, რაც სასიძო იყო, ყველა ელიკოსთვის ყოფილიყოს და მათ ქალებს კი აღარავინ დარჩენოდესთ. მართლაც რომ შესანიშნავი რამ იყო ელიკო: ზომიერი სიმაღლისა, რიგზე ნაკვთი, სწორეთ საუცხოვო თვალ-ტანადი იყო. საკვირველი ტკბილი ხმა, საამური, შნოიანი ღიმილი და სამაგალითო, თითქოს გამოზომილი მიხვრა-მოხვრა აგვირგვინებდნენ მის იშვიათ მშვენიერებას. ის ჯერ კიდევ არ იქნებოდა ჩვიდმეტ-თვრამეტის წლისა. შემოვიდნენ ბაღში თუ არა, ისინიც იქვე შორი-ახლოს, წყლის პირათ, ჩამოსხდენ გძელ სკამზე. შორიდან მისი შემჩერე, მეც ფიქრებმა წამიღო და ასე ვამბობდი ჩემს გუნებაში: მშვენიერება ერთ უძლიერეს ციურ ნიჭთაგანია კაცისთვის, თუკი კეთილათ მოიხმარა, მაგრამ ვაი, რომ ძნელია!.. რისიც კი გამეტება შეძლებია ბუნებას, აღარ დაუზოგავს

მისანიჭებლათ ამ ქალისათვის!.. დღეს ის, ვარდივით გადაშლილი, სულით უმანკოა და გულით წმიდა. ჯერ კიდევ ყოველიფერი ვარდისფრათ ეჩვენება. ახლა ეჭირვება მაგას ზნეობრივი საზრდო, მაგრამ სად უნდა მოიპოვოს და ვისგან? ვინ არის, რომ უმოძღვროს? ვინ მიუთითებს სიმართლით ავზე და კარგზე? ყველა მოერიდება, ყველა მოეფარისევლება; საწყენ სიმართლეს არავინ ეტყვის!.. რაც უნდა სთქვას – დაეთანხმებიან... რაც უნდა ჰქნას – მოუწონებენ მისთვის, რომ ის ლამაზია და მისი ალერსი და ღიმილი ყველას ენატრება!.. საჭირბოროტოთ საფრთხეში ჩავარდნილი, გამოუცდელობით თავგასულათ გაიწევს ცხოვრებაში და, თუ ერთი ფეხი როგორმე აუსხლტა, მშვიდობით, დროებითო ბედნიერებავ! მაშინ კი სიმართლეც აღარ გაუვა და, ვინც დღეს თაყვანსა სცემენ, ისინივე შეუბრალებლათ მიაყრიან ქვასა და გუნდას! ასე ყოფილა, ასეა და ასევე იქნება ამ სოფლის კანონი და მისი სიმღერა. ერთი ვინმე დაიწყებს, მეორე მოსძახებს, სხვები ბანს მიაყოლებენ და გაიმართება საერთო ფერხული და „ვარხარალო!..“ გინდა თუ არა, შენც უნდა ჩაჰყვე ამ ფერხულში. იმას ნუღარ დაეძებ, სამართლიანია თუ არა!.. სულ ერთია, სხვისი სათვალავი შენც უნდა გაიმეორო; ამას მოითხოვს სოფლიური უგუნურება, ის უგუნურება, რომლის ძლიერებას მრავალფეროვანი საუკუნოები ებრძვიან, მსხვერპლსაც მსხვერპლზედა სწირვენ, მაგრამ სამარადისოთ კი მაინც ვერ ამარცხებენ. ადრე თუ გვიან, ეს მოელის ელიკოსაც!.. ქვეყნის შური გასწირავს, უმადურობა გულს ატკენს და უსამართლობა დასჩაგრავს!.. მაშინ დღევანდელი სიცილი ოხვრათ გადაექცევა, ეს შეფერებული მედიდურობა მკრთალ მორცხვობათ, სახე ჭმუნვის ბეჭედს დაისვამს და ვინღა იცნოს ადრინდელი ელიკო?! კიდევ კარგი, თუ ბუნებათანაზიარია: შეურიგდება, სოფლის ბრუნვას, დაემორჩილება საზოგადო უგუნურებას, ჩაერევა საერთო ფერხულში, გაიმეორებს სხვების სათვალავს და მხიარულათ ეტყვის საზოგადოებას: „მეც თქვენი თქვენთანაო!“ და თუ არაა, – შეიძლება გაკერპდეს, გადაუბრუნდეს გული და მისი ბუნებრივი სიმდიდრის წყალობით სახრწნელ ჩირქათ მოედოს საზოგადოებას. ამგვარი ფიქრებისაგან რომ ვიყავი წაღებული, სწორეთ იმ დროს მოირბინა ჩემთან ელიკომ თავისი მხლებლებით და სიცილით მკითხა: „უკაცრავად, მაგრამ ცოტათი უნდა შეგაწუხოთ: ამ ყმაწვილებთან დანაძლევებული ვარ ერთ-ერთ რამეზე და თქვენს მეტს არავის შეუძლია მისი გადაწყვეტა!“

– ბრძანეთ!..





– რაზე ჰფიქრობდით?

– ეგებ თქვენი შესატყობი არ არის?!

– საპირადო იყო თუ საზოგადო?

– საზოგადო.

– მაშ, დასაფარავი არა ყოფილა!..

– მაინც რა გინდათ შეიტყოთ?

– მე ვამბობდი, რომ თქვენ სამწუხარო რამეზე ჰფიქრობდით, და ესენი კი ამტკიცებდნენ, რომ ვარდ-ბულბულზედაო!

– თქვენც მართალი ხართ და ეგენიც.

– ეგ როგორ შეიძლება?

– განა არ მოხდება, რომ სამწუხარო რამეს ჰფიქრობდეს კაცი ვარდ-ბულბულის გამოისობით? თუმცა პირდაპირ ისინი კი არ გამომისახავს, მაგრამ ნამდვილათ კი მათ შეეხებოდა.

– მაშ, ჩვენ მოგვიგია! – წამოიძახა ტაშის კვრით ერთმა კუდაბზიკა ახალგაზრდამ. – ვარდი ელიკო იქნებოდა, ბულბულები კი ჩვენ! ხომა?

– თუმცა ხანდახან კი შეუსტვენთ ხოლმე, მაგრამ ჯერ კიდევ ბულბულად არ წარმომიდგენიხართ და, თუ მაინცდამაინც გნებავთ, აგრე იყოს!.. სწორეთ ვარდ-ბულბულზე ვფიქრობდი და იცით რას? საზოგადო აზრია, ვითომც ბულბულს ვარდი უყვარდეს, მისი ეშხით თვრებოდეს და თავს ევლებოდეს.

– განა ტყუილია?

– რასაკვირველია!.. ვარდმა ჭია-ღუის დახვევა იცის გულზე, დილის ნამსაც ფურცლებზე იჩერებს და იმისათვის დაჰფეთქენ თავს ბულბულები, თორემ...

– კი, მაგრამ, როცა ვარდი დაჭკნება და ფურცლები დასცვივა, მაშინ რომ აღარ იცდის ბულბული? – იკითხა ერთმა ახალგაზრდათაგანმა.

– მეტს მეც არას ვამბობ! თავს ხომ არ იკლავს? ერთი ვარდიდან მეორეზე გადადის და მეორედან – მესამეზე. მისთვის ყველა ვარდი ერთია, ოღონდ კი საკენკი არ გამოელიოს.

– ნუთუ ყველა ბულბულები მაგისთანები არიან? – ნაღვლიანათ იკითხა ელიკომ და თვალი გადაავლო მთელ კრებას.

– მხოლოთ ბარათაშვილის ბულბულია სხვაგვარი.

– ბარათაშვილისა?

– დიახ, ის ბულბული, რომელიც ვარდს ამას ეუბნება:

„ვარდო, ვარდო, მტანჯ ჩემო!
გვედრებ გულით მტკინავი:
მაღირსე, თუ როგორ არს
გაშლა შენი მღინავი!“

ის ბულბული, რომელიც მარტო ვარდის მშვენებით არ არის დაკმაყოფილებული, გონების თვალითაც უმზერს და მიზეზს იკვლევს, თუ როგორ გაიშალა, აყვავდა და ან როგორ დასცვივდა შემდეგში ფურცლები მის ვარდს!..

ამ სიტყვებზე ელიკოს მწუხარე ღიმილი მოერია, წარბები შეიკრა და ცოტა სიჩუმის შემდეგ ნაღვლიანათ მითხრა: „დღევანდელი ჩვენი სიხარულის ვარდს სწორედ ჭია-მყრალა დაუსვა გულზე თქვენმა სიტყვებმაო!“ თქვა სევდიანად, გატრიალდა და მომშორდა.

შემდეგ ამისა დიდხანს არსად მინახავს, ისე გაირბინა რამდენიმე თვემ. რასაც ვფიქრობდი, გამართლდა: საზოგადო თავგადასავალი ვეღარც ელიკომ აიცდინა!.. გაიტაცეს ჩიტირეკიებმა, ჩადგა საქარაფშუტო წრეში; მით დღითიდღე გონებას საზრდოს აკლებდა და გრძნობას კი აჭარბებდა. კეკლუცობა ძვალ-რბილში გაუჯდა და მოტრფიალეთა გუნდს იმრავლებდა. ადრინდელი შეფერებული თამამობა თავხედურ შეუპოვრათ გადაექცა. ქვეყანა მისი საფეხთამტვერო ეგონა. აიყოლია გულმა, ხშირათ ნახავდენ ხოლმე ხან აქ, ხან იქ, ყმაწვილების კრებაში, სულ მარტოთ მარტოს. არავის ერიდებოდა, არაფერს ეკრძალებოდა; ყოველთვის და ყოველგან თამამად ჰქონდა გული! საზოგადო ჩვეულების დარღვევა და წესის შეუპოვრობა ბევრს, რასაკვირველია, არ მოსწონდა. თანდათან შურს და სიხარბეს ნიადაგი ემზადებოდა: მისი ტოლები ქვეშქვეშობით ორმოს უთხრიდნენ, მათი დედებიც ცბიერათ თავს აქნევდნენ ხოლმე და ფარისევლურათ სიბრალულის ცრემლებსა ჰღვრიდენ ელიკოს ხსენებაზე. ამით ბევრი არა წაუხდებოდა რა ელიკოს, თუკი კაცებთან მაინც ჰქონოდა საქმე რიგიანათ დაჭერილი, მაგრამ ვერც ისინი ჰყავდა მომადლიერებული: ბევრ მოტრფიალეს დასწყვიტა გული მოულოდნელი გაკიცხვით... ბარე ორს, საქმროთ გამზადებულებს, ამოსცხო ნიშადური და მათი სიყვარული სიძულვილათ გადაიკეთა. ცხოვრების ღელვისაგან გატაცებული, ის თანდათან მიექანებოდა უფსკრულისაკენ და ვერ ატყობდა, რომ მზათ იყვნენ დედამიწასთან გაესწორებიათ ურჩი ქმნილება, მაგრამ ჯერ მეთაურს ელოდნენ, რამე ნიშანს უცდიდენ და ისიც მალე აუსრულდათ.





ერთხელ ჩვეულებრივათ ქალაქსგარეთ გავიდა ცხენდაცხენ ელიკო და ერთი ვინმე კუდაბზიკა ახალგაზრდაც თან იახლა. როგორღაც გზა დაჰბნევოდათ და თითქმის განთიადისას შემობრუნდენ ქალაქში. ეს ამბავი ყველამ გაიგო და ჩაიცინეს გუნებაში. მეორე დღეს ახალგაზდა კუდაბზიკას შემოერტყნენ გარს ყმაწვილები და დაუწყეს ლაპარაკი გადაკვრით. კუდაბზიკას გულით უნდოდა, რომ შეეფერებია, რასაც ეწამებოდენ, მაგრამ სინიდისმა კიდევ აღარ მიიყვანა იქამდე, რომ პირდაპირ დაეწყო ტრაბახი და დიდი ფიცით დადგა უარზე, მაგრამ ისეთგვარათ კი ჰფიცავდა, რომ ის მისი უარი დასტურზედაც უარესი გამოდიოდა. შეიქნა ერთი ჩურჩული, ასტყდა ყაყანი, გაიმართა მითქმა-მოთქმა, დააბეს ფერხული და იმ დღიდან ყბადაღებული ელიკოს ლეჩაქმა უკულმა შეიფრიალა. მისი სიტყვა-პასუხი, მიხვრა-მოხვრა, სიცილი, მოწყენა თუ მოლხენა, ერთი სიტყვით, ყოველგვარი მისი მოქმედება სულ სხვაგვარად ეჩვენებოდათ. მაშინ კი დაფიქრდა ელიკო; ჩაიხედა გულში, გამოფხიზლდა ცოტათი და პირველათ შენიშნა ვარდქვეშ ეკალი. იკბინა ნეკზე და გაიმაგრა გული.

იმ ხანებში ერთგან წვეულება იყო. სხვათა შორის, ელიკოც იქ დაესწრო. გუნებაზე ვეღარ იყო, მაგრამ, სხვების დასანახავათ, თავისას მაინც არ იშლიდა და საზოგადოების მასთან ცალყბათ მოქცევას ვითომც ვერც კი ამჩნევდა. სადილზე ერთმა მეჭორე ქალბატონმა ტყემლის საწებელი მიაწოდა ღიმილით და სხვებს კი აქეთ-იქით თვალით ანიშნა. ელიკომ ზრდილობიანათ ჩამოართვა მოსაკითხი და გადადგა განზე. პირის-სახე აენთო, თვალები აუბრიალდა, ცხვირის ნესტოები ებერებოდნენ, აღელვება დაეტყო, მაგრამ შეიმაგრა თავი და სიცილით უპასუხა: „რატომ თქვენ კი აღარ მიირთმევთ? კბილები ხომ არ მოგკვეთიათო?“ – და მეზობელს დაუწყო ბაასი. ცოტა ხნის შემდეგ მიუბრუნდა ისევ ის ქალბატონი: „ქალო, რატო მაგრე დაგკარგვიათ მადა? სხვას ხომ არას გააყოლეთ? ეგება მავნემ შეგაშინათ სადმე ტყეში და თვალნაკრავი ხართ? შეალოცვინეთ!“ ელიკომ ზიზღით შეხედა და ხმამაღლა უთხრა: „არა, ჩემო ბატონო, თქვენ, როგორც ძველი დროის ადამიანი, ძველ რამეებს იგონებთ!.. ამ ჩვენს დროში მავნეები, კუდიანები და ქაჯები ტყეებში აღარ ჰბუდობენ!.. ოჯახებში სცხოვრობენ, საზოგადოებაში გამოდიან, მაგრამ შიშით კი ვეღარავის აშინებენ, მხოლოდ გესლს ანთხევენ და ქვეყანას ამყრალებენო!“ ამ სიტყვების შემდეგ მეორე ქალბატონს სახე წამოუწითლდა, კავების სწორებით რაღაცის ბუტბუტი დაიწყო, მაგრამ ელიკოს ყურადღება აღარ მიუქცევია: მეზობელთან გაერთო საუბარში.

ეს იყო პირველი უსიამოვნება. ამას თუმცა ადვილად გადარჩა, მაგრამ შემდეგშიაც კიდევ ბევრჯერ გაუმეორეს მისი მხრით ყოვლის უმიზეზოთ და მათი ატანა მით უფრო ძნელი იყო, რომ მომხრეთ და მოსარჩლეთ ველარავის ჰხედავდა ელიკო. სადამდისაც შეიძლო, იბრძოლა მარტოთმარტომ და ბოლოს, რომ ველარ აიტანა ცხადი უსამართლობა, მოჰშორდა ქალაქს და გადავიდა ბიძასთან სოფლათ. ამით სულ უფრო გაიტეხა სახელი: მეჭორეებმა მოალოგინეს, ვაჟი შესძინეს და კიდევაც გაუბარეს ძიძასთან... აღელდა საზოგადოება, მაგრამ, ზღვისა არ იყოს, რომელიც, რაკი გამოჰყრის ხოლმე ნაპირათ, რაც კი შუაგულში აქვს, სცხრება, საზოგადოებაც დაწყნარდა და ერთი თვის შემდეგ ელიკოს ხსენებაც აღარ ყოფილა... დაივიწყეს და მოისვენეს.

ერთხელ, როგორღაც, ჩემდა უნებურათ, მასკარადში მოვხვდი. გაკვირვებული მასკები ზედიზედ ჩემთან სატიტინოდ მოდიოდნენ, მაგრამ თვითო-ოროლა პასუხის შემდეგ კი უკმაყოფილოთ გარბოდნენ. ერთი ვიღაც ამედევნა; არც მშორდებოდა და არც არას ამბობდა. „ჩემო კარგო, რა გინდა-მეთქი?“ – ვკითხე.

– შენი ყურისგდებაო! – მიპასუხა.

– მაშ, მოდი დავსხდეთ და ვისაუბროთ.

– შენთან? არა! მირჩევნია, სხვას რომ ემუსაიფები, მაშინ გიგდო ყური.

– ეგ რაღა ჟინია?

– როცა სხვებთან საუბრობ, მიყვარს შენი ყურისგდება და, ჩემთან რომ ილაპარაკო, არა მსურს, მეძნელება!..

– გეძნელება?

– დიახ, ვაითუ მეც ისე უგულოდა და აგდებით მიპასუხო რამ, როგორც სხვებს, და მით გული დამწყვიტო. უნდა იცოდე, რომ შენგან ცოტაც მეწყინება.

– რათა გგონია, რომ უთუოდ საცინლათ აგიგდებ?

– მაშ, ჩემთვის ხომ ვერ მოიშლი ჩვეულებას?

– ვინ გაგაცნო მაგ გვარათ ჩემი თავი?

– შენვე. თუმცა ბევრჯერ არ მინახავხარ, მაგრამ კარგად კი გიცნობ.

– ვინა ვარ?

– ის, ვინც ადრე მძულდა და ვგმობდი და ახლა კი მიყვარს და ვლოცავ.

– ოჰ, კარგათ შეგისწავლია სამასკარადო ხრიკები!..





– დამერწმუნე, რომ წმინდის გულით გეუბნები.

– მეც ხომ გიცნობ?

– გარეგნობით; და შინაგანათ კი ვერა! რაცა გგონივარ, ის არა ვარ.

– მართლა?!

– „ვინც კი კაცად მიაჩნიათ, უყვარსთ და პატივსა სცემენ, იმას არც ატყუებენო“ – ეს შენგან მაქვს გაგონილი. მე შენ ვერ გეტყვი ტყუილს.

– კი, მაგრამ აქ ისეთი ადგილია, რომ...

– სხვებისათვის და არა ჩემთვის!.. მე მხოლოთ აქ ვიხდი ხოლმე პირბადეს. საკვირველი გულისმოსაფხანი ადგილია მასკარადი: რამდენს შეარცხვენ, რამდენს გაამხნევებ, რამდენს ანუგეშებ და რამდენს შეაშინებ!.. პირში თქმა მიღებულია...

ამ დროს მოვიდა ჩემთან ერთი ჩემი ნაცნობი და მითხრა: „ააა! ახლა კი მივხვდი! ეს ერთი ხანია, ეგ მასკა დადის აქ: აქაურობა აურდაურია, ქვეყნის საიდუმლო იცის და მასთანაც ენაბასრია: ზოგს დასცინის, ზოგს არცხვენს, ზოგს აპირშავებს და უაზროთ და უგანზრახვოთ კი არას ჩადის. ცდილობენ, მაგრამ აქაურათ ვერ უცვნიათ. ახლა კი ცხადია მაგის უცხოობა, და აქაურს ამბებს შენი დარიგებით იმეორებსო“.

– უკაცრავათ! შემცდარი ბრძანდებით – უპასუხა მასკამ, – მე იმ კაჭკაჭთაგანი არა ვარ, სხვის სიტყვებს რომ იმეორებენ... გნებავს, ისეთი რამ გამხილო, რომელიც ამან არც კი იცის? ოთხშაბათ დილას, უფროსთან რომ ბრძანდებოდი, რად ესარჩლებოდი ბამბურიძეს? საკადრისია, განა, ქვეყნის ორგულის ქომაგობა? მაგრამ, ეჰ, ჭკუიანი კაცი ბრძანდები და გინდა სხვისი ქება გაასესხო: კარგათ იციან შენისთანა კაცებმა, რომ ფარისევლობას დიდი სარგებელი მოაქვს. ნურას უკაცრავათ, მშვიდობით! – დაცინვით დაუკრა თავი და ჩაირბინა კიბე. ცოტა არ იყოს, ჩემი ნაცნობი წამოწითლდა და სთქვა: „ვიღა ოხერი მაიმუნი უნდა იყოსო!“ მაგრამ მე კი სულ სხვას ვფიქრობდი. ბევრიც ვეცადე და ნაცნობათ ვერ წარმოვიდგინე. იმ კვირაში ყველა სახლობა ჩამოვიარე, ნაცნობი არავინ დამრჩენია უნახავი; განზრახ ვებაასებოდი ხან ერთსა და ხან მეორეს, ვაკვირდებოდი მათი საუბრის კილოს, მაგრამ იმ მასკისებური არა მესმოდა რა. სწორზე ისევ გავჩნდი მასკარადში. დიდხანს ველოდებოდი იმ მასკას, მაგრამ აღარსად იყო. გულდაწყვეტილი შევედი საწიგნეში და მივუჯექი გაზეთებს. ფიქრისაგან შორს წაღებულს მხარზე მარაო დამკრეს; მოვიხედე და ვნახე, რომ ჩემი მასკა მადგა თავზე.

– ვინ შენ და ვინ მასკარადები? კიდევ მოსულხარ? რა ამბავია?

– შენთვის მოვედი. შენ გელოდი!.. ასე რათ დაიგვიანე?

მართლა? აბა, ერთი შემომხედე! მინდა შეგატყო სახეზე: მართალს ამბობ, თუ საცინლათ მიგდებ? არა, სწორეთ მართალს ამბობ!.. მაშ, ახლა მეც გამოგიტყდები, რომ საკუთრათ შენთვის მოვედი და დაგვიანებას პრანჭიაობათ ნუ ჩამომართმევ. ახალმა დრამამ „სამშობლომ" შემიყოლია, სანამ არ გავათავე, ველარ დავანებე თავიო...

მართლაც, დრამა „სამშობლო" მეტათ მოხვდა გულზე ჩვენს ხალხს. თეატრში ტევა ალარსად იყო. უმთავრესი აზრი თხზულებისა ისე მოსწონდათ, რომ წვრილმან ნაკლულევანებას ველარ ამჩნევდნენ. მე მინდოდა მასკის აზრიც შემეტყო, და ვკითხე: როგორ მოგწონს „სამშობლო"-მეთქი?

– სიამოვნებით წავიკითხე, მაგრამ მოწონებისას კი ბევრს ვერას ვიტყვიო! – მომიგო.

– თუ გესიამოვნა, მოგწონებია.

– არა, ეგ დრამა მითია კარგი, რომ ბევრს ჩაახედებს გულში და დააფიქრებს ისეთ რამეზე, რომლებზედაც მანამდის არ ეფიქროს, თორემ თავისთავად ბევრი არა არის რა!.. ერთი რომ – ისტორიული სიმართლე არ არის და ამას გარდაც დიდი ცილისწამებაა ქართველ ქალებზე.

– როგორ თუ ცილისწამება?

– მაშ, ის საზიზლარი ქეთევანი, განა, საზოგადო სახეა ქართველი ქალისა? ახლანდელი ქალების მიხედულებით თუ ვიტყვით, მეტიც ითქმის, მაგრამ ჩვენი დედები კი სულ სხვა გვარათ სახსენებელნი არიან. არაერთი მაგალითი ყოფილა, რომ გრძნობა დაეხშოს, სიყვარული მოეკლას და თავისი პირადობა ქვეყნისთვის ემსხვერპლოს ქართველ ქალს!

– მარტო რჩეულებზე რად მითითებ? საზოგადოთ რას იტყვი? ეგებ ქეთევანი საზოგადო სახე იყოს ქალებისა? აკი ამბობს ქეთევანი, რომ „მე ქალი ვარ და ჩემი სამშობლოც სიყვარულიაო!"

– სიყვარულიც არის და სიყვარულიც! ის გრძნობა, რომელიც ვერ აგვამაღლებს, განა სიყვარულია? წრფელი უნდა იყოს სული, რომ მიიზიდოს სიყვარული და გულიც წმინდა, რომ ის იტვირთოს, თორემ ნაორგულევი, შებღალული და დამდაბლებული გრძნობა რაღა სიყვარულია?

– ასე არ ამბობენ სხვები.

– ეგ მათი ნებაა, მაგრამ მე კი ასე მომიხსენებია და...

– როგორც წელანდელი შენი სიტყვიდან ჩანს, შენ უიმედო უნდა იყო ჩვენს ახლანდელ ქალებზე!





– ვინ მოგახსენათ? დარწმუნდით, რომ დღევანდელი ქალებიც ისე მდიდარნი არიან ბუნებით, როგორიც ყოფილან ჩვენი დედები... მხოლოთ...

– მხოლოთ რა?

– ის, რომ ლიონიძეები და ხიმშიაშვილები ალარსად არიან!.. ეჰ, მართალია, უსიამოთ ილიმებით და აგდებით ლაპარაკობთ დღევანდელ ჩვენს ქალებზე, მაგრამ მეც საზიზლრათ მიმაჩნია დღევანდელი კაცებიო, – დაუმატა ნაღვლიანათ და მიმატოვა.

იმ ღამეს ძილი გამიტყდა: სულ იმ მასკაზე ვფიქრობდი, მაგრამ ვერავის ვამსგავსე; დავრწმუნდი, რომ ის ჩემი ნაცნობთაგანი არ იყო, და მიკვირდა. დიდხანს სახლიდან ფეხი ალარსად გამიდგამს, მხოლოთ მასკარადს არ ვაკლდებოდი; დღესასწაულივით ველოდებოდი ხოლმე. ჩემ მასკას ყოველთვის ვხედავდი და ისეც გამიტაცა, რომ უიმისობა აღარ შემეძლო. მასთან საუბარი და მსჯელობა სულ სხვა გუნებაზე მაყენებდა. არც ერთხელ ჩვენს კერძოობაზე არა გვითქვამს რა; თავის ვინაობას მიმალავდა, მხოლოთ ერთხელ კი, უკანასკნელ მასკარადში, გამომიტყდა:

– ახალმოსული ვარ! არსად დავდივარ, გარდა მასკარადისა, და აქაც მხოლოთ შენი გულისთვის, რადგანაც მას შემდეგ, რაც შენი სიძულვილი სიყვარულათ შემეცვალა, შენ მიმაჩნიხარ ჩემ საყვარელ ძმათ და უკეთეს მეგობრათ.

სიამოვნების ჟრუანტელმა დამიარა ტანში და აღშფოთებით ვკითხე:

– მითხარი მაინც: ან რამ შეგაძულა ჩემი თავი და ან მერე ვინ შეგაყვარა-მეთქი?

– მცირე რამ შემთხვევამ! – მიპასუხა წყნარათ და ისევ განაგრძო: – ამ რამდენისამე წლის წინათ, – მიშინ მე სულ ყმაწვილი ვიყავი და მეტად თავგასული, – სადღაც ფანტს ვთამაშობდით. მე უნდა მივსულიყავ და მეკითხა ყველასათვის „რა გსურთ ჩემთვის-თქო?" და მათაც ყურში ჩამჩურჩულეს პასუხი. ყველამ სასიამოვნო და გულსაფხანი რამ მითხრა. მაშინ შენც იქ იყავი; თუმცა შექცევაში არ ერეოდი, მაგრამ მე მაინც მოვედი და გკითხე: „რა გსურს ჩემთვის-მეთქი?" შენ რაღაც სხვანაირათ შემომხედე და მკითხე: „შესაძლებელი თუ შეუძლებელიო?" შესაძლებელი-მეთქი.., – „მაშ სიკვდილიო!" მიპასუხე და მომშორდი. მე სულ სხვა პასუხს ველოდი და უნდა იცოდე, თუ როგორ მეტკინა გული!.. გაანჩხლებულმა წავიბუტბუტე: „თვითონ შენა-მეთქი!" და დაგანებე თავი. იმ დღიდან შენზე უსაძაგლესი აღარავინ მეგონა ქვეყანაზე.

– მერე რაღამ შეგიცვალა გული?

– მცირე რამემ! ერთ დროს სევდისგან გარემოცულს და გულდანაღვლიანებულს, როდესაც უფსკრულის კიდეზე ვიდექ და ნუგეშს აღარავისგან ველოდი, ახალი გაზეთი მომიტანეს, სადაც სამკურნალო რამ სიტყვები ეწერა. ის სიტყვები, მაშინ იმ გაზეთიდან ამოჭრილი, დღესაც ავგაროზად მადევს გულზე...

– ნეტავი რა იყო მაგისთანა?

– აი რა! – ამოიღო გაზეთის ნაგლეჯი და მომცა. მეც ჩამოვართვი და დავიწყე კითხვა: „როცა ჯერ უმანკო, ბუნებისაგან საიმედოთ და საქებრათ გაჩენილი ახალგაზდა შემხვდება ხოლმე ჩვენში, მე გულზე ნაღველი მენთხევა და მის სიკვდილსა ვნატრობ, რადგანაც ვიცი, რომ ეს ჩვენი მონებითი საზოგადო ცხოვრება უეჭველად გააუკულმართებს მის ადამიანობას... და ნუთუ სპეტაკათ საფლავში ჩასვლა არა სჯობია ცოცხლათვე ზნეობითად მკვდრობას!“.

რომ გადავიკითხე, აღელვებით შევხედე მასკას.

– გაათავეო? – მკითხა, – შენ ეგება სახუმროდაც დასწერე, მაგრამ მე კი ბევრი ღამე გამათენებიეს უძილოთ მაგ სიტყვებმა... ჩამაფიქრეს... ღრმად ჩამაფიქრეს!.. მაშინ მომაგონდა ფანტის დროს შენი ჩემზე ნატვრა... მივხვდი და აღთქმა დავდევი, რომ გამემტყუნებიე!.. არ ვიცი, ავასრულე თუ არა, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ის აღარა ვარ, რაც ვიყავი და ან რაც უნდა ვყოფილიყავი უმისოდ!

მომეტებულმა სიამოვნებამ თავბრუ დამასხა... ხმას ველარ ვიღებდი: ვგრძნობდი, რომ ჩემს მახლობლათ იდგა ის, ანუ ერთი იმათგანი, ვისზეც მე მთელი ჩემი სიცოცხლე ვფიქრობდი. ბოლოს, როგორც იქნა, ვუთხარი:

– თუ ეს ყველაფერი მართალია, მაშ ეგ უჩინრობა რაღა არის? განა ძმასა და მეგობარს ემალებიან?

– ეგებ შენ არ იყო ჩემი აზრისა, არ შეგეძლოს ჩემი თანხმობა!.. და რათ გავიკიცხო თავი? რათ დავიწყვიტო სამარადისოთ გული?

– მასკა! ღმერთია გულთამხილავი, რომ სცდები: დიდი ხანია, რაც შენი მეგობრობა გადაიწყვიტა ჩემმა გულმა. ვინც უნდა იყო – ერთია!.. ველარა შეშლის რა!!

– ახლა კი მრწამს, – მითხრა მასკამ, ცალი ხელი მე გამომიშვირა და მეორეთი აიხადა პირბადე... ჩემ წინ იდგა ელიკო: ის, რომელიც მე აღარც კი მახსოვდა... მაგრამ რას ვამბობ? ელიკო კი აღარა, დარბაისელი ელენე იყო: სახეს ადრინდელი უმანკოების წილ ჭმუნვის ბეჭედი მიეღო, ადრე გაშლილი წარბები ახლა მრისხანეთ





შეეყარა, თვალები ძველებურათვე უელვარებდენ, მხოლოთ ცოტა ნაღვლიანობა კი ეტყობოდათ! შევკრთი, შევაჩერდი და წარმომიდგა სხივმომფინარე, ხელში მახვილით, ძლიერი სამოთხის მცველი!..

რამდენიმე თვის ჩამოსული იყო ელენე სოფლიდან, მაგრამ ჯერ არსად გამოდიოდა და არავინ ეხილა... მეკი ყოველდღე ვხედავდი და, მის სიახლოვეს რაღაც გამოუთქმელ სიამოვნებასა ვგრძნობდი. ადრეც მყვარებია დედა, და, მეგობარი და საყვარელი, მაგრამ არც ერთხელ ამისთანა არა გამომიცდია რა! თითქოს ყოველგვარმა სიყვარულმა ერთად მოიყარა თავი ჩემ გულშიო!.. ერთმანეთს ისე შევეთვისეთ, რომ, თითქმის, ერთმანეთში განვხორციელდით და უერთმანეთოდ აღარა გვეხერხებოდა-რა. სამართალი მოითხოვდა, რომ ჩვენ ჩვენი მომავალი ერთმანეთთან დაბოლოებით შეგვეკავშირებინა. მე არა ვფარავდი ამას, მაგრამ ელენე კი როგორღაც შორს იჭერდა, თითქოს არ უნდაო. რამდენიმე თვემ ისე გაირბინა ამ ყოფაში, რომ ვერც კი შევნიშნეთ: თვალსა და ხელს შუა გვეპარებოდა დრო. არა თუ საქმეს, გულისთქმასაც აღარ ვუფარავდით ერთი მეორეს... ვიცოდით ჩვენ ჩვენი აწმყო, შეტყობილი გვქონდა ჩვენი მომავალი ძრახვა-იმედები... მაგრამ წარსულზე კი ბევრი არა გვითქვამს რა. ერთხელ ჩამოვაგდეთ სიტყვა ყმაწვილობაზე და მე ჩემი თავგადასავალი გავიხსენე: მოვიგონე თინათინის სიყვარული, მათიკოს ცბიერობა და სხ. და სხ... ელენე სიამოვნებით მიგდებდა ყურს და მერე ღიმილით მითხრა: „გამოცდილება, როგორც ცხოვრების გვირგვინი, ყველასათვის საჭიროა. როგორც კაცისათვის, ისე ქალისათვის, მაგრამ რისაგან არის, რომ ერთი და იგივე მოქმედება კაცებს ღირსებას გმატებსთ ქვეყნის თვალში და ქალებს კი სახელს უტეხსო!“

– ერთხელვე ასე დაუწესებია ქვეყანას-მეთქი, – ვუპასუხე.

– მერე და სამართალია? შენ როგორ-ღა ჰფიქრობ? აი, მაგალითად, მაგოდენი რამეები გადაგხედია... ბევრჯერ გყვარებია, მაგრამ მითი ჩემს თვალში შენ არა გაკლდება რა!.. არცა მწყინს, იმიტომ, რომ წასული საქმეა... ახლა კი, ეგ რომ მოგივიდეს, ველარ ავიტან, გული მეტკინება... მაგრამ რაც ყოფილა, რა მენაღვლება!.. და თქვენ კი, კაცები, სულ სხვა ხართ!.. მეც რომ მაგგვარი რამეები გადამხდოდა, რას იტყოდი? არ აჰყვებოდი ქვეყნის ხმას?

– ქვეყნის ჩვეულება, მართალია, იგივე სჯულია, მაგრამ, გეფიცები, ელენე, რომ ვერაფერი თავგადასავალი შენ ვერ დაგამცირებდა

ჩემს თვალში!.. შენს ღირსებას მითი არა დააკლდებოდა რა! მე იმას არ მოვიხსენიებდი!..

– როგორ? სულგრძელობით დაივიწყებდი?

– არა, მე მაგას არ ვამბობ!.. პირადათ ჩემთვის უმნიშვნელო იქნებოდა.

– მართლა? მაშ, აღარ დაგიფარავ ჩემს წარსულს და გეტყვი ჩემს თავგადასავალსაც. – მომკიდა ხელი, შემომაჩერდა თვალებში და ღიმილით მითხრა: „ხომ გაგიგონია ჩემი ამბავი და ჩემი თავგადასავალიო?“

– კი, მაგრამ მე ის არ შემეხება... და მით ჩემი თავმოყვარება არ დაჩაგრულა! – ვუთხარი მე.

– კეთილი! ისიც ხომ გაგიგონია, რომ შვილი მყავს?

– მერე რაო?

– ის შვილიც ხომ სახლში უნდა შემოგვგვარო, რომ დაგეთანხმო ცოლობაზე!.. ის ხომ შენთვის უცხო იქნება?

– არა! იმას მომგვრი, როგორც ჩემს ნამდვილ შვილს.

– მერე შენი სისხლი და ხორცი რომ არ იქნება?

– მამობა განა მარტო სისხლისა და ხორცის გადაცემაა? ამას ხომ პირუტყვებიც ახერხებენ? ნუთუ მეტი აღარა დარჩენილა რა? ვისაც ჩემს გრძნობა-გონებას გავუზიარებ, ჩემს სურვილებს და ძრახვებს გადავცემ, ვისაც იმედებს ვანდობ და ისე გამოვზდი, ნუთუ შვილი არ იქნება ჩემი? ელენე, რამ გაფიქრებინა, რომ შენი შვილი ჩემთვის უცხო იქნებოდა?!

ამ სიტყვებზე ელენეს ცრემლები მოერია; ღიმილი კი მაინც არ მოუშლია. ხელი გამომიშვირა და მითხრა:

– ახლა კი დროა გამოგიტყდე და თამამათ გითხრა, რომ ყველაფერი ტყუილია და მხოლოდ შენი გამოცდა მინდოდა! მე არავისი სიყვარული არ გამომიცდია და პირველი შენა ხარო! – მითხრა აღტაცებით და მომადვა გულზე თავი. ამ სიტყვებმა ისე ამიტაცეს, რომ თავი ველარ დავიჭირე და მოვხვიე ხელი. ავთრთოლდი, გონება გრძნობათ გადამექცა, თვალები დამიბნელდა!.. მეგონა, თუ ნათლის სვეტი შემოგვებურა და ყოველივე დაჰფარა-მეთქი!.. ყურებმა წივილი დამიწყო და მაღლით ტკბილი ხმა მესმოდა: „და იყონ იგინი ერთ სულ და ერთ ხორცო!“

[1884]



# ისტორიული მოთხრობები

## კორინთელი

როდესაც ჩაქვში, გურულების წყალობით შეტყუებული, მეფე სოლომონ პირველი დაამარცხეს, იქ მაშინ ერთი ქართლელი აზნაური კორინთელი – ელიზბარ ერისთვის საყვარელი შინაყმა – დაიკარგა და ამ გარემოებამ მეტათ შეაწუხა როგორც ერისთავი, ისე მეფეც. თურმე ის საწყალი კორინთელი გონებამიხდილი ნახეს მკვდრებში თათრებმა და ტყვედ წაიყვანეს. როდესაც ჭრილობისაგან განთავისუფლდა ტყვე, მივიდა ფაშასთან და მოახსენა: „შინ გამიშვი და ასს ქისა ფულს მოგიტან სახსრათო“.

– რომ ვერ იშოვნო, მერე? – ჰკითხა ფაშამ.

– რადგანაც ჩემის ბატონის საყვარელი ვარ და ერთგული, იმედი მაქვს, ვიშოვნო.

– თავდები ვინა გყავს?

– არავინ!

– მაშ ისე როგორ იქნება?!

– აი ჩემი ულვაშის ერთი ღერი...

– მერე რომ არ მოხვიდე, ამ ულვაშის ღერს რა უნდა ვუყო?

– შერცხვენა უბრძანე და ზედ დააფურთხე!

– გურჯო, რას ამბობ? მითი იქ შენ იმ სიშორეს რა გეტკინება?

– ხორცი კი არ მეტკინება, მაგრამ გული იგრძნობს და სულს ეწყინება.

ამ სიტყვებს ისე ბეჯითად ეუბნებოდა კორინთელი, რომ ფაშა დაეთანხმა და გამოისტუმრა იმერეთისაკენ. მაგრამ ის კი უთხრა, თუ ხელცარიელი ჩამოდი, თავს მოგჭრიო. გახარებული კორინთელი მოვიდა იმერეთში აღდგომა დღეს, მოეხვია მუხლზედ თავის ბატონს და მეფეს და წვრილად უამბო თავის თავგადასავალი. მეფემ და კარისკაცებმა მოინდომეს მისი დასაჩუქრება, მაგრამ ელიზბარ ერისთავმა გააქნია თავი, შეიჭმუხნა წარბები და სთქვა:

– ვისაც ჩემი პატივისცემა გაქვსთ და გინდათ, ნურავინ შეეწევით მაგ შერცხვენილს! ქართველი კაცი რომ ტყვეთ ჩავარდება მტრის ხელში, ის შერცხვენილია მაშინ და იმასთან პურიც აღარ იჭმება!

ეს სიტყვები ისარივით ეცა გულზედ კორინთელს: არ ელოდა ამას თავის საყვარელ ბატონისაგან. გულდაწყვეტილმა დაჰკრა ფეხი, ჩავიდა ისევ ფაშასთან და უამბო ყველაფერი, რაც დაემართა. ფაშას მოეწონა მისი ქცევა, გაუკვირდა მისი უშიშრობა და სთქვა:

– რადგან გურჯებს შენისთანა კაცის ფასი არ სცოდნიათ, დარჩი ჩემთან, რჯული გამოიცვალე, მომენდევი, და მე ვიცი შენი შენახვა, როგორც უნდაო.

მაგრამ ქართველმა უპასუხა:

– რას მიბრძანებ, დიდებულო ფაშავ?! ვინც თავის მამა-პაპის რჯულს უღალატებს და თავის სამშობლოს გაუტანლობით მოშორდება, ის ვისგან რაღა სანდო კაცი იქნება?

ამ სიტყვებმა კიდევ უფრო გააკვირვეს ფაშა, რომელმაც ასი ქისა ფული პირაქეთ აჩუქა კორინთელს და გამოისტუმრა იმერეთისკენ.

კორინთელმა ქუთაისის მახლობლად იყიდა მამული და დაესახლა. ათი წელიწადი სასახლეს აღარ მოჰკარებია. იყო თავისთვის სოფელში ისე, რომ თითქმის მისი ხსენებაც კი გადაავიწყდათ.

ერთხელ მეფე სოლომონ მეორესა და ელიზბარ ერისთავს შუღლი მოუვიდათ ერთმანეთში. მეფე შემოსწყრა ერისთავს, და შერისხული ერისთავი გადმოვიდა გორში, თავის მამულში. კარისკაცების რჩევით, მეფემ გააძრახა ქაიხოსრო და სვიმონ წერეთლები, რომ ჩასულიყვნენ გორში და ერისთავისათვის რამე ეხელმანკათ. წერეთლებმაც მეფის ბრძანება ადვილად შეასრულეს: გამოიტყუეს ერისთავი გორის ციხიდამ, ღალატით შეიპყრეს და იმერეთში ტყვედ ჩამოჰგვარეს მეფეს.

ცოტა ხნის შემდეგ ელიზბარ ერისთავი და მეფე, როგორც სიძეცოლისძმა, შერიგდენ და ისევ დამეგობრდენ... შეექნათ ლხინი და დარბაზობა.

ერთხელ, როდესაც პურის ჭამად ისხდნენ დარბაისლები მეფესთან და შეექცეოდნენ ჩვეულებრივად, ვიღაც წვერგამოშვებული მესტვირე მოადგათ და დაუწყო მათ შაირები; მაგრამ იმისთანა ამბები კი მოუყვა, რომ ერისთავი გააკვირვა, რადგან ბევრი რამ საკუთრად ელიზბარის თავგადასავალის მოთხრობა იყო.

– მესტვირევ, შენ ვინა ხარ? – ჰკითხა ელიზბარმა.

– მესტვირე! – მიუგო მესტვირემ.

– გხედავ, მაგრამ რა კაცი ხარ?

– ერთი საწყალი უცხო კაცი.

– არა, შენ უბრალო კაცობა არ გეტყობა; ჯერ ე მანდ დაჯექ და პური სჭამე, და მერე კი უნდა მიამბო შენი ვინაობა.

– არ გიახლებით, შენი ჭირიმე!

– შენ ეგებ მეფის ხათრი გაქვს და მიტომ არ გინდოდეს დაჯდომა, მაგრამ დღეს მეფე ჩემი სტუმარია და ჩემის სურვილის მედასტურე.





– არა, შენი ჭირიმე, მე თვითონ არ მინდა დავჯდე.

– რატომ?

– მიტომ, რომ არ მეკადრება თქვენთან ჯდომა.

– რაო? შენ არ გეკადრება ჩემთან ჯდომა და ერთად პურის ჭამა, თუ მე არ მეკადრება, შენ რო გვერდით მომიჯდე?

– მე არ მეკადრება, რომ თქვენთან პური ვსჭამო.

– ნამეტანს კადნიერობ! მაგას რა პირობით და კანონით ამბობ?

– თქვენისთანა დიდკაცის პირობით და კანონით მოგახსენებთ.

– არ მესმის!

– მოგახსენებთ: ერთი საწყალი ქართველი ჩავარდა მტრის შუაგულ რაზმში; სანამ შეეძლო, იომა და ბოლოს, ხელ-ფეხში საძრაობა რომ აღარ ჰქონდა, დაჭრილი, დასისხლიანებული ჩავარდა ტყვედ და, როდესაც ტყვეობიდგან დაბრუნდა, მისმა ბატონმა, დიდმა კაცმა, აღარ მიილო... შენთან კაცს პური აღარ ეჭმებაო! ახლა, შენი ჭირიმე, ჩემო დიდო ბატონო და დიდო კაცო, მოგახსენებენ, რომ ბატონი დიდი ელიზბარ ერისთავი იმერლებს გორის ციხიდგან გამოუყვანიათ და აქ ტყვედ ჩამოუყვანიათ. ნეტავი, თუ ახლა ის აქ ამ ლხინში იჯდეს და პურს სჭამდეს, ამდენი დიდკაცობა როგორღა ჰკადრულობს იმასთან პურის ჭამას?

ერისთავს გულზე სისხლი მოენთხა და ჰკითხა:

– მიცნობ მე ვინცა ვარ?

– რაღად დაგიფიცოთ: დიდ-კაცები სანამ საფლავში არ ჩავლენ, ძვირად იცვლებიან! გიცანით: ბატონი ელიზბარი ბრძანდებით.

– შენ... შენ... შენ განა კორინთელი ხარ?

– დიაღ, შენი ჭირიმე! თქვენმა რისხვამ დამჩაგრა! ძნელი საცნობი-ღა გახლავარ, მაგრამ მგონი კი გაცანით ჩემი თავი?

– მერე, როგორ მიბედავ მაგდენ ამბავს? – შესძახა ელიზბარმა და იქვე სთხოვა მეფეს, რომ ნება ებოძებინა მისთვის, კორინთელს ენა მოსჭრას. მაგრამ, სანამ მეფე ან ავს ბრძანებდა და ან კარგს, იქ მდგომმა ხუმარამ ერთი უეცრად გადიხარხარა. მეფე მიუბრუნდა და გაშტერებით ჰკითხა:

– რა გაცინებს, მასხარავ, გაგიჟდი?

– არა, ბატონო მეფე, მიუგო ხუმარამ, – ერთი სასაცინო ამბავი მომაგონდა: ერთი პატარძალი იყო, როდესაც შინ მარტო დარჩებოდა ხოლმე, კარებს არ ჰკეტავდა და მუდამ ღიათა სტოვებდა. ერთხელ შეუცვივდნენ საბრალოს ვიღაცაები, გააუპატიურეს და წავიდენ. საბრალო პატარძალმა ისწავლა ჭკუა და მერე მიუგდო კარები!..

ბატონს ერისთავსაც ისე მოუვიდა: აქამდი უნდა მოეჭრა კორინთელისათვის ენა, სანამ იტყოდა რასმე, თორემ ახლა, რაც იცოდა, სთქვა იმ კაცმა და კიდეც გაათავა!..

მეფემ გაიცინა და უბრძანა ხუმარას: – შენ არ იცი განა ანდაზა, რომ მართლის მთქმელს შეკაზმული ცხენი მზად უნდა ჰყავდეს ღობეზედ მიბმულიო?

– ვიცი, ბატონო, მაგრამ ჩემი ცხენი ტყეში გაუშვი მგლებზედ სანადიროდ!

– მაშ კარგი, – უბრძანა კიდევ მეფემ, – გამოიყვანე ჩემის საჯინიბოდამ ერთი უკეთესი ცხენი, შეიკაზმე და გასწი ეხლავე!

ხუმარა ისარივით გავარდა კარში. მეფემ ელიზბარს შეხედა და ღიმილი დაიწყო. ერისთავი მიუხვდა მეფეს გულისპასუხს, მიუბრუნდა კორინთელსა და უთხრა: – ეჰ, რაღა გაეწყობა! მე ხომ მაწყენიე და ეს არის, მაგრამ იმ ხუმარას მაინც ნუ დარჩები უმადურად! წადი, დაეწიე და მადლი უთხარი. თუ ცხენი არ გყავს, ჩემი შეკაზმული ცხენი მომიცია, შეჯექ და ისე გამოუდექი!

[1875]





## ოთია მესხი

ოთია მესხი სახელგანთქმული რაინდი იყო ძველად. იმას ერთი დისწული ჰყავდა, ლეჩხუმელი ასათიანი, შვილივით გამოზრდილი და საყვარელი. რაც კი იცოდა თვითონ რაინდული ხერხები, იმასაც ასწავლა და კარგად გაწვრთნა. ერთხელ, როდესაც დადიანმა მეფეს ჩხუბი გამოუცხადა და ლეჩხუმიც დადიანს მიუდგა, ოთიამ გაიხმო დისწული და უთხრა: „შვილო, მეძნელება შენი მოშორება, მაგრამ რა ვქნა? კაცისათვის ვალი ყველაზედ უპირველესი საქმეა: შენ ლეჩხუმელი ხარ, და სადაც შენი მეზობლები და სახლიკაცები არიან, შენც იქით უნდა იყო! რომ არ მოვსწრებოდით ამ დღეს, ხომ კარგი, მაგრამ რახან კი მოვესწარით, აწ მეტი რაღა გაეწყობა!“.

აკურთხა, გზა დაულოცა, გაატანა საგზალი და გაისტუმრა. როდესაც ჩხუბი გაიმართა, შეხედა ოთიამ, რომ ერთი ვიღაც მხედარი, გამოქცეული, მოაჭენებს ცხენს, და იმას უკან მოსდევს ვიღაც მეორე ცხენოსანი, რომელიც ჰა, თუ აგერ მისწვდეს და ჰა, თუ ვერა – ისე უახლოვდება. დაუკვირდა და იცნო, რომ პირველი მისი მოსისხარი მტერი, ჭაჭიაშვილი იყო, გამოქცეული ომითგან, და მეორე, უკან რომ მოსდევდა, მისი დისწული ასათიანი. გულმა აღარ მოუთმინა და მიაძახა ასათიანს: – ჩემო დისწულო, აქ პირადობა აღარ არის! ნუ დაივიწყებ, აქ ამხანაგობა არის და რომ არ მოვეხმარო ჭაჭიაშვილს, არ შემიძლიან. არ მოჰკლა, თორემ ცუდად გადაგიხდი! ან რა საკადრისია ვაჟკაცისათვის გაქცეული მტრის გამოდგომა! – არ დაუჯერა... არ დაუჯერა ომისგან გაცხარებულმა ჭაბუკმა, მისწვდა ჭაჭიაშვილს და წაჰკვეთა თავი. მაშინ მიეგება აქედამ ოთია, შემოჰკრა ასათიანს ხრმალი და შუა გასწყვიტა. – აკი გითხარ, ჩემო დისწულო, რომ აქ მხრის მიცემა არის და ამხანაგობა-მეთქი?! – ამგვარად ოთიამ აასრულა ამხანაგობის ვალი, მაგრამ იმავე ვალმა კი დაუწყლულა საუკუნოდ, უკურნებლად იმას ფოლადის გული, და კიდევაც მიიყვანა საფლავის კარებამდე.

ახლანდელო ჩემო მკითხველო, განა ახირებულები ყოფილან ჩვენი ძველები?!

[1875]

## დათუნა გოცირიძე (I)

ერთხელ დადიანმა იმერეთის მეფეს, სოლომონ მეორეს, ნებიერი უძღვნა. ეტყობა, რომ საიასალო რამ ყოფილა, თორემ მცირე რამეს, თუ არ შესანიშნავს, მთავარი და მეფე ერთმანეთს არ ჰკადრებდენ.

იმერეთის მეფე მაშინ გეგუთს ბრძანდებოდა და კარისკაცებიც თან ახლდნენ; მათ რიცხვში რაჭველი აზნაური დათუნა გოცირიძეც იყო, რომელიც იმ დროში პირველ ხრმლის მცოდნეთ ირიცხებოდა და, მართლაც, მის ხრმალს ძნელათ რამ გაუმაგრდებოდა. მეფემ იმ ღამეს დათუნას ნამალევად გააძრახა ერისთავი, რომ ღამე მძინარ დათუნასთვის როგორმე მოეპარათ ხრმალი, დაებლაგვათ (დაეჩლუ-გათ) მისი პირი და მერე ისევ ჩაეგდოთ ქარქაშში.

მეფის ბრძანება, რომ უნდოდა, ისე მოიყვანეს სისრულეში.

დილას ადრე მეფე ცაცხვის ძირში დაბძანდა, კარისკაცები გარს ეხვივნენ, ბრძანა, რომ დადიანის მორთმეული ნებიერი გამოეყვანათ. გამოიყვანეს. მეფემ ცბიერობით გადახედა გოცირიძეს და იკითხა:

– ნეტავი თუ ვინმე იყოს აქ მისთანა მოხრმლე, რომ ერთის შემოკვრით ამ ნებიერს თავი გააგდებინოს?

ყველამ უარი მოახსენა მეფეს, და დათუნა გოცირიძემ კი გაკ-ვირვებით და ღიმილით შეხედა.

– რას იცინი, ჩემო დათუნო? – ჰკითხა მეფემ.

– ბატონო მეფევ, ნუ გამირისხდებით და, მგონია, ხუმრობას ნებ-ულობთ?!

– როგორ თუ ხუმრობას?

– აბა, რომელი იქნება მისთანა ამ თქვენს მხლებლებში, რომ ერთის შემოკვრით ნებიერს თავი ვერ გააგდებინოს? რაღა ვაჟკაცი იქნება ის, ვინც მაგას ვერ შეიძლებს? მერე და, სხვა აღარა იყოს რა, ცოლისა მაინც აღარ შერცხვება, რომ ხელი მოუცდეს? რაღა პირით ეჩვენება?

– კი, მაგრამ ვერა ხედავ, რომ ყველა უარზე სდგას? და მასთანაც, ჩემო დათუნო, ადვილი ნუკი გგონია! შენ რომ ძროხები გინახავს, მისთანა ხომ არ არის ეს ნებიერი.

– იმე, რაც უნდა იყოს, შენი ჭირიმე, გინდ ლომიც გახლდესთ!

– მაშ, შენ იკისრებ, რომ გააგდებინო თავი?

– მირისხდებით, ბატონო, და ეგ არის...

– ერთის შემოკვრით?

– ერთის შემოკვრით, აბა, ბეგვას ხომ არ დაუწყებ!





– და რომ ვერ გააგდებიო თავი?

– იმე, მაშინ დათუნაც აღარ ვიქნები!

– აბა, ჰე, გამოგვარეთ ნებიერიო! – ბრძანა მეფემ და მოერია ღიმილი. ნებიერი გამოიყვანეს და გააჩერეს.

უეცრათ გაიელვა დათუნას ხრმალმა, მოხვდა კისერზედ, მაგრამ – დახეთ დათუნას უბედურებას! ნებიერი ძირს დაეცა, მაგრამ სისხ-ლიც ვერ გამოადინა; ხრმალს კანიც ვერ გაეჭრა მსხვერპლისათვის, თუმცა კისრის ძვლები კი დაემტვრია და კისერი მოეწყვიტა. ჯერ შეჰკრთა გოცირიძე, მაგრამ ბოლოს მიხვდა, რაც უხიმანგეს! გას-ინჯა ხრმალი და გაბრაზებულმა დაიძახა:

– ამ ნებიერის თავ-ფეხი მის ცოლ-დედას, ვინც მე ეს მიხუმრაო! – და შეხედა მეფეს.

– ამ სიტყვამ ყველა ააშფოთა.

შეიპყრეს დათუნა და მოუნდომეს გასამართლება ამგვარი უპა-ტიურის სიტყვების გაბედვისათვის. ერისთავი გოცირიძის თვალების დათხრას ურჩევდა მეფეს, წერეთელი – დაკირვას, წულუკიძე – ხელ-ფეხის დაყრევინებას და აგიაშვილი ენის მოჭრას.

მეფემ მოისმინა ყველას აზრი, შემდეგ თვითონ დასდვა შემდეგი განჩინება:

– კაცს ჯერ ღმერთი უნდა უყვარდეს და მერე თვისი საკუთარი ხელობა. ვინც თავის გზას მტკიცედ არ ადგია და თავის ხელობა-ზედ თავს არ სდებს, ის საქმით ვერც მეფეს ასიამოვნებს და ვერც ქვეყანას არგებს რასმეს. ის მხოლოდ ცარიელის სიტყვით, ე. ი. მლიქვნელობით იმოქმედებს და რადგანაც დათუნა გოცირიძის საკუთარი ხელობა ხრმალი არის, მისთვის რომ თავი გამოიდვას და მისის შეურაცხყოფის დროს ჩვენი უკადრისი რამ გაბედოს, არ უნდა ეთვლებოდეს დანაშაულათ. თუ ამ ჩვენ პატარა ქვეყანას მაგისთანა რაინდები არა ჰყავდეს, აქამდის იმ დიდის მტრებისაგან ასჯერ და ათასჯერ ჩაყლაპული იქნებოდა. გაუშვით, ნურაფერს აწყენინებთ ჩემს დათუნას; ჩემი ხალათი მაგასო! – ბრძანა მეფემ და დაასაჩუქრა გოცირიძე.

[1875]

## გრიგოლ წერეთლის ირემი

### (მოხუცის ნაამბობი)

საჩხერეს მიმავალი, გზაში ერთ მოხუცებულ ცხენოსანს წამოვეწიე. რომ დამინახა, შეაჩერა ცხენი, მოინდომა გადმოხტომა, მაგრამ ველარ მოახერხა; გაჩერდა და მოწიწებით შემომაჩერდა. შევატყვე, რომ ძველებურ წესზე იდგა და ჩემგან, როგორც უფროსისაგან, ელოდა სალამს. მეც „გამარჯობა“ ვუთხარი. ჩვეულებრივი ძველებური ზრდილობა რომ მოვიხადეთ ერთმანეთთან, მოხუცმა დაკდემით მითხრა:

– უკაცრავად, თქვენი ჭირიმე!.. ვერ ჩამოვხტი და ასე უზრდელათ შევრჩი ცხენზე, მაგრამ დალახვროს ღმერთმა სიბერე, ფეხებში ბორკილი მიყრია.

– ბორკილი?! – დავეკითხე გაკვირვებით.

– დიახ, ბორკილი!.. მიქელ-გაბრიელის ბორკილი, რომ არსად გავექცე იმ დალოცვილს... ვაი ამ დროს გადამკიდეს, თვარა რაღა დროს ჩემი აქეთ-იქით ლოღიალია? ამ ახლო-მახლოს ჩემი ხნის ქვაც აღარსად არის!..

– სად მიდიხართ?

– მივდივარ კი არა, მიმათრევენ!.. აგერ ოცი წელიწადია სახლიდან გარეთ ნებით ფეხი არ გამომიდგამს და ახლა კი ძალაუნებურათ მაწანწალებენ... სუდში გიახლები.

– საქმე გაქვსთ რამე?

– მე ვისთან რა საქმე უნდა მქონდეს, შენი ჭირიმე?.. ჩემი ხნის კაცი ეკკლესიაში თუ წავა, ისიც დიდია მისთვის!.. მე კი არა, სხვები მათრევენ ტყვილა-უბრალოთ, ჩემი გატანჯვა რომ უნდათ!.. ხან დილას მნიშნავენ მოწმეთ და ხან საღამოს!..

– ვინ არიან ეგ შეჩვენებულები?

– აი, ღმერთმა ნუ იცის მათი თავი და ტანი!.. ის ღვთის რისხვა ჩემი სახლიკაცი მყავს გადამტერებული და აღარ მასვენებს: ცოტა ფული შემაგულა... ორიოდე ფარა მაქვს სამარხათ გადადებული!.. ჯერ, ბატონო, მოციქულები შემომიჩინა, მაგრამ მოყვრობით და სიამტკბილობით რომ ვერას გახდა, ვითომ ძალა დააპირა, მაგრამ ან ძალით რას გახდებოდა? ოჯახში კაცრიელათ გახლავართ, შვილითა და შვილიშვილებით სავსეა ჩემი ოჯახი!.. და ბოლოს ამ ახალ კანონს დაადგა!.. „ცალიერ კაცს საბაჟოზე მოუხაროდაო“ ტყუილა კი არ





არის ნათქვამი. ახლანდელი კაცები ასე გარბიან სუდში, თვითქო კაი თემში მიდიოდნენო... ჩემი სახლიკაცის ხელობაც ის არის, დღე ერთია და მისი საჩივარი ათი... ყოველ საქმეში, ბრალიანია თუ უბრალო, მოწმედ მე მნიშნავს... უნდა რომ ამ თრევაში სული ამომხადოს. გავხედავ, მომდის „უწყება“. თუ არ წავედი, „სწრაფს“ მახდევინებენ, და თუ წავედი – ვარ ამ დილიდან საღამომდე ატუზული სასამართლოს კარებზე... ჩემი ცხენი მშიერ-მწყურვალი ღობეზეა თავმიკრული... ვიცდით... ვიცდით... ბოლოს როცა იქნება, დამიძახებენ. სახელსა და გვარს მკითხავენ... ამდენ ხანს როგორ ვერ დაისწავლეს იმ ოჯახდაქცეულებმა... ასჯერ ხომ უკითხავთ!.. დამიწყებენ, დაცინებასავით აქეთურს, იქითურს და ბოლოს მეტყვიან, „ამა და ამ საქმის რა იციო“. მეც მოვახსენებ „არაფერი-თქო“ და დამანებებენ თავს. ი ჩემი სახლიკაცი ღრეჭას მოყვება და მე კი გულზე ვსქდები!.. ველარ გავუძელი ამდენ ტანჯვას. ერთხელ შევედი კანცელარიაში და შევჩივლე-ყე, – ასეა ჩემი საქმე, მტერობით მნიშნავს მოწმეთ, რომ ფული არ ვასესხე, და ახლა თუ რამეს მიშველით, ოღონდ მის გულისად ნუ გამხდით და ნახევარი ჩემი სამარხი თქვენი ჭირის სანაცვლოთ იყოს-მეთქი... ღმერთმა უშველოსთ, ერთხანს ქვე მომასვენეს, მაგრამ ახლა ისევ მიბარებენ! ალბათ იმ ნახევარ სამარხსაც რომ მეგულებიან, იმას შეყურყუტებენ. ეჰ, რა ვუთხრა ამისთანა დროს!.. მგელს თუ გადაურჩი – ძაღლი შეგჭამსო...

მოხუცებულის ჩივილმა მეც დამაღონა... შემებრალა და რაც კი შევიძელი, ვანუგეშე და დარიგება მივეცი, დავპირდი, რომ მსაჯულს მე თვითონ მოველაპარაკები-თქო!.. დიდხანს ასე მივდიოდით, რომ ხმა აღარ ამოუღია, სანამ საჩხერეში არ შევედით: მაშინ კი მიმითითა მაღლობისკენ ერთ სახლზე და მკითხა: „ვისია, ბატონო, ეს სახლი?“

– ჩამადანოვის!..

– ვისი, ბატონო?! ეს გრიგოლ წერეთლის სახლი არ იყო?

– იყო და აღარ არის! ახლა გადამთიელს უჭირავს ხელში.

– დიდება შენს სამართალს, ღმერთო!.. „ცანი და ქვეყანანი წარხდენ, ხოლო სიტყვანი ჩემნი არა წარხდენო!“ – თქვა სასოებით, მოიხადა ქუდი და მოუხშირა პირჯვრის წერას. – „აი, ბეჩა, რისი მნახველი ვარ და რას მოვესწარი?! ერთმა ირემმა ამოაგდო ეგ ოჯახი!.. არც ქვეყანას დააყარა ხეირი, მაგრამ ის დიდებული ოჯახიც კი ამოფხვრა.

– ირემმა?

– ირემი იყო თავდაპირველი მიზეზი ქვეყნის არევ-დარევის. ბოლო დროს გრიგოლ წერეთელი ასე გაძლიერდა, იმაზე უფროსი ჩვენში აღარავინ ყოფილა. დიდი გასავალი ჰქონდა... უჯეროდენ სათავეში!.. ყველას ეშინოდა მისი. ისიც მძლავრობდა და ბატონობდა... სადაც კი სანაქებო რამ გამოჩდებოდა ან ნივთი, ან საქონელი, ან სხვა რამე, სულ მისი იყო. თუ ნებით არა, ძალით იშოვიდა. ავსილი ჰქონდა ოჯახი, რას არ ნახავდით მის სახლში? ასე გასინჯეთ, თუთიყუშებიც კი ჰყავდა!.. სხვათა შორის, ერთი ქორბუდიანი ირემი ჰყავდა გაშინაურებული... იმაზე უმშვენიერესი აღარა ნახულა-რა!.. მაგრამ რად გინდა? ეშმაკის გაწვრთნილი იყო: რომ აუშვებდენ ხანდახან და დაეშვებოდა ქალებისაკენ, თვალის დახამხამებამდი შემოირბენდა ტყე და ველს, ხვადაბუნებს გადაღმა გადაიჭრებოდა, ხან აქ იყო, ხან იქ... საღამოს ისევ სახლში ბრუნდებოდა... ნავარდი უყვარდა, მაგრამ ხალხს კი კარგად არ უხდებოდა მისი ნავარდი – ბევრი მარცხი ხდებოდა! ვისაც კი დაინახავდა, არ დაზოგავდა... აიღებდა რქებით და აბურთავებდა... რომ გაიგონებდენ მის ყვირილს, შიშით კარში ველარავინ გამოდიოდა... ვაი იმ მგზავრის ბრალი, ვინც ხეზე ან სახლის თავზე არ შეასწრებდა! ბევრი ცოდვა ჩაიდინა, მაგრამ ვინ რას ჰკადრებდა? ვინ გამოიღებდა ხმას გრიგოლ წერეთლის შიშით?!.

ერთხელ ბეჟან წერეთლის გუთნისდედა, შქმერელი გლეხი სულტანიშვილი, მიდიოდა გზაზე და ხარ-კამეჩს მიირეკავდა! შეეფეთა ის ირემი, წამოიცვა რქებზე და ასე გახადა, რომ სიკვდილზე მიაყენა... მშველელი არსად ჩანდა, და რომ კიდეც სადმე ყოფილიყო – ვინ გაბედავდა შიშით მოგერებას? ამ დროს გამოიარა თედორე ჭილლაძემ, დაინახა, რომ მისი ბატონის გუთნისდედა რქებზე აუგდია ირემს, გულმა აღარ მოუთმინა, გადაიწერა პირჯვარი, გადმოიღო თოფი, მიაჭედა ტყვია შუბლში და გააგორა ირემი. თვითონ გადავარდა. ეს თედორე გამოჩენილი გლეხიკაცი იყო და ბატონის საყვარელი. მისი გამბედაობა ყველას გაუკვირდა. ირემი გზაშარაზე ეგდო, მიკარება და ხელის მოკიდება ვერავინ გაბედა შიშით. გამვლელ-გამომვლელები მიუჩოქებდენ და ტიროდენ: „ვაიმე, ჩვენო ირემო, ვინ გაბედა იმ ცოდვის შვილმა შენი ხელის შეხება?.. ვინ გაირისხა ღმერთი და გაიწყრომა ბატონი გრიგოლიო?“ და სხვანი... ამას ხმამაღლა მოთქვამდენ სხვების გასაგონებლათ და ჩუმათ კი ილოცებოდენ: „ღმერთმა ააშენოს თედორე ჭილლაძის ოჯახიო!..“

გრიგოლ წერეთელმა რომ გაიგო ირმის სიკვდილი, შეუთვალა მის სახლიკაცს ბეჟან წერეთელს: „თუ ეგ შენი ყმა, ჭილლაძე, შეკ-



გრიგოლ წერეთლის ირემი

რული არ გამომიგზავნე, მაშინ სწორეთ, მე და შენი მოყვრობა აღარ ივარგებსო“. ბეჟანმა უარი შეუთვალა და ამ დღიდან კიდეც გადაიმტერა გრიგოლ წერეთელი. არა თუ მარტო ბეჟანს დაუწყო დევნა, მის მახლობლებსა და მოკეთეებსაც აღარ ზოგავდა. ჩაბეზღებული ბეჟანი დიდხანს იმალებოდა ორლულის ტყეში... გადავარდნილი იყო და სახლს ველარ ეკარებოდა. ქუთათელი მისი ბიძა იყო და ვიცით, რაც დღე დააყენა. გენათელიც თან მიაყოლეს!.. რაღაი ერთხელვე გაიგერშა გრიგოლ წერეთელი, გაუგემრიელდა საშოვარი და სხვებსაც მიჰყო ხელი: დიდი ივანე აბაშიძე აიკლეს და ახალციხეში მოიკლა... წულუკიძეები ააოხრეს... ნიჟარაძეები დაიჭირეს და სხვანი... სხვების დამცირება წერეთელს უფრო და უფრო ამაღლებდა. იყო დიდ საშოვარში და დღითიდღე ძლიერდებოდა მისი ოჯახი. სხვები რომ ტიროდენ, ის იყო ერთს ლხინსა და შექცევაში.

ერთხელ, მხიარულ გულზე, ივანე წერეთელმა და პეტრე არხიმანდრიტმა ჩამოაგდეს საუბარი ფილოსოფიაზე. ზოგი ეს თქვეს და ზოგი ის. დიმიტრი წინამძღვარი, აბრამიშვილი, აქვე იჯდა და ყურს უგდებდა. „რატომ შენ არას ამბობო?“ – ჰკითხა გრიგოლმა.

„მე რა უნდა მოგახსენოთო?“ – მიუგო წინამძღვარმა, – „მე ქვეყნის კი არა, ჩემი თავისაც ვერა გამიგია-რაო!.. ჩემი ფილოსოფია ჟამნი და დავითნია, სადაც წერია: „უკეთუმცა უფალმა არა აღაშენოს სახლი, ცუდად შვრებიან მაშენებელნი მისნიო“. ყველას გაეცინა, მაგრამ ივანე მიუბრუნდა გრიგოლს და უთხრა: „ეგ ბერი შენზე წინასწარმეტყველობს, და ფრთხილათ, გრიგოლ, რომ სახლი არ დაგენგრესო“. მას აქეთ ჯერ საუკუნეც არ გასულა და, აი, როგორ ახდა ის სიტყვა!.. დაიქცა დიდებული ოჯახი და გადამთიელი დაეპატრონა. ეს უბედურება სულ იმ ერთს ირემს მოჰყვა. ქვეყანაც დაიღუპა და იმ ირმის პატრონიც!.. იმ დღეს აქეთ ირმებიც გაწყვენ ჩვენში და ქორბუდიანიც გადაშენდა. დიდება შენს ძლიერებას, ღმერთო, – დაამატა პირჯვრისწერით მოხუცმა, გამომეთხოვა და გადაუხვია სამსჯავროსაკენ.

დიდხანს მიწიოდენ ყურში მოხუცის სიტყვები და დღესაც უსამართლოთ გაძლიერებულს რომ ვისმეს ვნახავ, გულში ვიმეორებ: „არა თუმცა აღაშენა უფალმა სახლი, ცუდათ შვრებიან მაშენებელნი მათი-თქო!..“

[1895]

# ბაში-აჩუკი

## (ისტორიული მოთხრობა)

### I

თვალმიუწდომელ სიშორიდან გველივით მოიკლაკნებოდა ჩუხჩუხა არაგვი და ერთგან კლდოვან კიდეს გამეტებით ეხლებოდა, რომ ახალი გზა გაეკვლია!.. თავს არ იზოგავდა, მაგრამ შეუპოვრობისაგან უკუქცეული, დარეტიანებული და თავბრუდასხმული, თითქოს სულის მოსაბრუნებლად, იქვე მორევში რამდენჯერმე მოტრიალდებოდა ხოლმე და მერე კი დაკვირვებით გადადიოდა დაბლობზე, რომ უფრო მეტის სიბრთხილითა და კვნესა-დუდუნით დაშვებულიყო ქვემოატეხილ ჭალებისაკენ. იმ კლდოვან კიდის თავზე ღრუბლიდან გამოსულიყო უზარმაზარი ციხე-დარბაზი, შეუპოვრად გადმომდგარიყო და სანუგეშოდ გადაჰყურებდა არემარეს. ყოველი მხრით შეუვალ გალავნით შემოზღუდულ შენობას მხოლოდ ერთის მხრით, აღმოსავლეთისაკენ, გულს უხსნიდა სიგძით ჩაყოლებული აივანი.

სამხრობა გადასული იყო. აივნის თავში, ტახტზე, იჯდა ფეხმორთხმით დარბაისელი მოხუცი, ზაალ ერისთავი და კრიალოსანს ათამაშებდა. იქვე შორიახლოს, ზედ ხარიხასთან, მიედგა სკამი ზაალის მეუღლეს, მუხლებზე გადაეშალა დავითნი და „ჭირის კანონს“ ჰკითხულობდა; სკვნილი[1] ეჭირა ხელში და რამდენჯერაც კი გაათავებდა იმ ერთსა და იმავე ფსალმუნს, დაიწერდა პირჯვარს, ჩააგდებდა სკვნილს და მიუბრუნდებოდა ისევ თავიდან!.. უნდა ორმოცჯერ წაეკითხა.

„მიშველეთო!“ – დაიკივლა უცბად და აქეთ-იქით კედლებს დაუწყო ყურება. ზაალიც წამოვარდა და მიაშურა:

– რა იყო, ბატონო? რა დაგემართა, მარიამ?

– არაფერი! – მიუგო, როგორც იქნა, გულდამშვიდებულმა მეუღლემ, – თავბრუ დამესხა! სახლმა ქანება დაიწყო და მეგონა, თუ კედლები ინგრეოდნენ... მომეჩვენა...

– აგრე იცის მიჯინებულმა კითხვამ! თავბრუს ასხამს კაცს!

– მორევისაკენ გადავიხედე და წყალმა თვალი მომჭრა, – დარცხვენით წაილაპარაკა მარიამმა.

---

1 ძველად კითხვის დროს მოწაფეებს ეჭირათ ხელში წვრილი ბაწარი, ანუ მსხვილი ძაფი, ათგან გამოსკვნილი. რამდენჯერაც წაიკითხავდენ, იმდენ ნასკვს ჩააგდებდენ კრიალოსანივით. ათს რომ გაათავებდენ, თუ კიდევ საჭირო იქნებოდა, თავიდან დაიწყებდენ. აი, ამ ძაფს, ანუ ბაწარს, ერქვა სკვნილი (ავტ).





– ჰმ! მეც არა ვთქვი!.. წყალს თელხი დაჰკრავდა, ჭევლი შეინძრეოდა, შეითამაშებდა და, რასაკვირველია, შიგ ჩასახული სახლიც დატორტმანდებოდა... როგორ ვერ მიხვდი? ღმერთმა ბავშვსაც ნუ აქნევინოს ეგ საქმე, – დაუმატა სიცილით.

– როცა კაცს გული საგულეს აღარა აქვს და შიშის ქარი უვლის ტანში, მაშინ რა არ წარმოუდგება?! იმ სიზმარმა სულ გადამრია და გადამშალა!

– სიზმარმა?!

– დიახ! იმ უცნაურმა სიზმარმა, წუხელი რომ უნახავს მოძღვარს.

– ვეჟო, რა არის მაგისთანა?

– ნეტავი არც კი გამეგონა, თვარა როგორ გავიმეორებ?

– ეე! ბიჭო, ბიჭო, რომელი ხართ მანდ! კირილეს დამიძახეთ, მომგვარეთ ახლავ! თუ ეძინოს – გააღვიძეთ! – დაიყვირა ერისთავმა და გასწორდა. კრიალოსანი მიაგდო გვერდზე, მუთაქა განზე გადადვა, ფეხები ძირს დაუშვა და აუჩქარებლად გაუყარა ფოსტლებში. შემოვიდა მღვდელი.

– მშვიდობა სახლსა ამას! – სთქვა და გაჩერდა.

– დაბრძანდი, მამაო! – უბრძანა ერისთავმა და მიუთითა სელზე. – რაღაც უცნაური სიზმარი გინახავს?

– უფრო ჩვენება, ვიდრე სიზმარი, ჩემო ბატონო!

– ხალხი კი გადაგირევია და!

– არ მინდოდა გამხელა, მაგრამ პარაკლისი რომ გადავიხადე, მიზეზი მკითხეს და ველარ დავფიცე.

– რა იყო მაინც მაგისთანა?

– მართლა რომ საოცარი რამ. – აქ ჩაახველა ხმის გასასწორებლად მოძღვარმა და ათრთოლებულის ხმით მოჰყვა წყნარად. – ალავერდის მონასტერს, დიდება მის ძლიერებას, უწმინდური დაჰპატრონებოდა!

– უწმინდური?!

– დიახ: გველეშაპი შემოჰხვეოდა გარს. სამჯერ რომ შემოგვერგვოდა, კუდი პირში ეჭირა და ერთი მტკაველი კიდევ იქით იყო გადაცილებული. ეძინა იმ წყეულს! მისი შიშით საყდარში ველარავინ შედიოდა. აღარც წირვა იყო და აღარც ლოცვა. ხალხი გარს შემოჰხვეოდა და ზარდაცემული შეჰყურებდა. ველარავინ ინძრეოდა!.. ხანდახან გამოიღვიძებდა ხოლმე ის არაწმინდა, გაიშლებოდა და პირდაღებული, თვალების ბრიალით, წამოსრიალდებოდა ხოლმე ხალხისაკენ!.. რომელ კუთხიდანაც კი მოადგებოდა, გაჰქონდა!.. ჩასან-

სლავდა ზედიზედ ერთიმეორეზე იქვე უძრავად გაშეშებული ადამიანის შვილებს; გამოძლებოდა, გასისინდებოდა და მერე ისევ გარს ეხვეოდა ტაძარს. ყოველი მისი გამოღვიძება მუსრი იყო ქვეყნისათვის. ერთიც ვნახოთ, მოულოდნელად გამოჩნდა სამი მეომარი, ერთიმეორეზე უკეთესი; მათ ნახვას არა სჯობდა-რა!.. შუბ-ისრით შეჭურვილებს ხელში ფარ-ხმალი ეპყრათ და აელვებდნენ. ერთი მათგანი მიუბრუნდა ზარდაცემულ ხალხს და შეჰყვირა: „ვინ ქართველი და ვინ გულგატეხილობაო? აღარ გახსოვთ ძველი ანდერძი: „სირცხვილს სიკვდილი სჯობს და ორივე კი ერთად – ჯოჯოხეთიაო“. ამ სოფელს გამოთხოვებიხართ, დღეს თუ ხვალ აღარც ერთი აღარ იქნებით და ცხვრებსავით კი დაგიდვიათ თავი!.. არ გიჯობსთ, რომ წინააღუდგეთ უწმინდურს და ბრძოლაში დალიოთ სული? განა ეს უფრო ვაჟკაცური არ იქნება და გულის მოსაოხებელიო?..“ ამ სიტყვამ ელვასავით დაურბინა ხალხს და გამოაფხიზლა: შეიქმნა ერთი ჩორჩქოლი, იგრიალა დიდმა და პატარამ: ზოგმა ფარ-ხმალს მოავლო ხელი, ზოგმა ცულს, ზოგმა წალდს, ზოგმა ნამგალს, ზოგმა ხელკეტს, ზოგმა რასა და ზოგმა კიდევ რასა! ვისაც რა ეხერხებოდა და ან რა ემარჯვებოდა – იმას მიმართა. წაუძღვენ წინ მეომრები, მიუახლოვდნენ მძინარს, ერთად გასტყორცნეს სამი ისარი; დალახვროს ღმერთმა, არც ერთი გვამში არ გაერჭო იმ წყეულს! მისმა მაგარმა ქერტლმა სამივე აირეკლა. გამოიღვიძა გველეშაპმა, მაღლა აიღო თავი, აიქოჩა, ერთი საზარლად იწივლა და მიაშურა. საოცარი სანახავი იყო: კუდით ირეკდა მეომრებს, ტოტსა სცემდა, ბრჭყალებით გლეჯდა და კბილებით სწიწკნიდა. ცუდად იყო საქმე, თუ ის უცხო მეომრები სამივ მხრივ არ მისდგომოდნენ და ბრძოლა არ დაეწყოთ! საარაკო იყო მათი ლახტის ცემა!.. მაგრამ რა გამოვიდა, რომ იმ უწმინდურს ყოველ ახალ-ახალ ჭრილობაზე, ყოველ წყლულზე ძალი ემატებოდა! დაელეწათ ფარ-ხმალი გმირებს და ღონემიხდილნი მზად იყვნენ დამორჩილებოდენ; მაგრამ ამ დროს გამოჩნდა მთიდან მომავალი მხედარი, შუბით ხელში, თეთრ ცხენს მოაგელვებდა. მიეჭრა გათამამებულ გველეშაპს და უგმირა ლახვარი. უწმიდურმა იწივლა, დაიკლაკნა და სასიკვდილოდ გააღო პირი. შავი ოხშივარი კომლივით ამოუშვა და თან საზარელი სიმყრალის სული ამოატანა. ჩვენ ყველას გული შეგვიწუხდა და უგრძნობლად დავემხვეთ დედამიწაზე... არ ვიცით, რამდენ ხანს ვიყავით უგრძნობლად, მაგრამ ბოლოს, რომ გამოვფხიზლდით, თვალი გავახილეთ და მაღლა ავიხედეთ, აღარაფერი აღარ იყო! ყოველივე გამქრალიყო: აღარც გველეშაპი სჩნდა





და აღარც მეომრები... თეთრცხენიანი მხედარიც წასულიყო. სიჩუმე იყო და მხოლოდ სალიტანიო ზარების რეკა ისმოდა, თუმცა სამრეკლოზე კი არავინ იდგა; ტაძარი განათებული იყო და კარები ღია. იგრიალა ხალხმა, მოიხადა ქუდი და მიაშურა პირჯვრისწერით. შიგ რომ შევედით, საყდარი ცარიელი იყო, მხოლოდ აღსავლის კარებთან ის სამი მეომარი ესვენა: ამ სოფლით გასულიყვენ... თავზე ნათლის სვეტი ადგათ და მაღლით გალობა გუნდთა ისმოდა: „წმინდათა თანა განუსვენეო“ და სხვანი.

„წმინდა არს, წმინდა არს, უფალი საბაო!“ – სთქვა პირჯვრისწერით გაკვირვებულმა ერისთავმა.

– „სავსე არიან ცანი და ქვეყანანი დიდებით მისითა“, – განაგრძო მარიამმა.

– „და საკვირველებითა!“ – დაუმატა მოძღვარმა და სამივე დადუმდნენ. დიდხანს ხმა აღარ ამოუღიათ, მაგრამ სახეზე კი ემჩნეოდათ, რომ უჩვეულო მღელვარებას შეეპყრო სამივე. ის ორი მხოლოდ სულზე ჰფიქრობდა, მაგრამ ზაალი კი ქვეყნიურ ზრახვებს ველარ აღწევდა თავს. – უცებ დაიქუხა ერთი და გაგრძელდა ხმა, თითქოს ცის ერთი კიდიდან მეორე კიდემდე ეტლები გადაახრიგინესო.

– „წმინდა არს, წმინდა არს!“ – სთქვა ერისთავმა და პირჯვარი გამოისახა. – ღრუბელთ წინამძღვარი მიბრძანდება მთაში! დაილოცოს მისი მადლი!

ამ დროს ზედიზედ დაიჭექა სადღაც შორს და მთებმაც ბანი მისცეს.

– ჰაა! გავარდა მეხი! კეკუჩ თავში ეშმაკს! – სთქვა სიხარულით ზაალმა და წამოდგა ზეზე. მსხვილმა წვიმამ შემოაშხაპუნა აივნისაკენ. ზაალ ოთახში შევიდა, მარიამმა სახატეს მიმართა, რომ სანთლები აენთო, კირილე კი იქვე დარჩა მარტო, მოიყარა მუხლები, ააპყრო ხელები და სასოებით წარმოსთქვა: „ღმერთო! მოხედე შეჭირვებულ საქრისტიანოს და სიზმარი კეთილად აგვიხდინეო!“ დიდხანს იდგა გაქვავებული, მხოლოდ ტუჩებს ანძრევდა და ცრემლები ღაპაღუპით ეცემოდენ სპეტაკს წვერებზე.

## II

მეორე დღეს, დილით ადრე, გამოსულიყო ზაალ აივანზე და ქალებს გადაჰყურებდა. შუახნის ჭაღარაშერთული მოურავი, იქვე კედელზე ატუზული, თვალებში შეჰყურებდა.

– ესეც ჩვენი კირილეს სიზმარი!.. ახდა და მორჩა!! მართლა გველეშაპივით არ მოიკლაკნება ეს არაგვი?! ამ ხნის კაცი ვარ და ამისთანა წყალდიდობას ჯერ არ მოვსწრებივარ, – სთქვა ერისთავმა.

– არც მე, თქვენი რისხვა არა მქონდეს!.. ტყე და ველი კი მოაქვს და... ხიდები, სადაც იყო, დახვეტა. ქვითკირის ხიდი დაუქცევია, გზა შეკრულია და ჩვენი მწყემსებიც გაღმა დარჩენილან! – მოახსენა მოურავმა.

– რა უშავთ?.. იქაც ჩვენი არ არის?! სწორამდე ესეც დაიკლებს. მთის წყალია... მალე ჩამოვარდება.

– უფრო ადრეც, მაგრამ მაინც ბიჭები გამიცდებიან ამ ორ-სამ დღეს და ძნელია.

– განა იქ კი ვერ გაიჩენენ საქნარს?

– კი, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, თუ სულ არ ეჩიჩინები, თავის-თავად არას მოიფიქრებენ. დღეს რომ აქ მყავდენ, მივცემდი ხელში საგდებელს კავებით, დავაყენებდი წყლის პირად მოსახვევში და ვაჭერინებდი ჯირკებს... შეშას დავამზადებდი, ზედ კარზე მოყე-ნებულს.

– მართლა, სად იყო ამდენი ხე-ტყე, რაც ამ წყალს მოაქვს? აცდის, აცდის და ჩამოატარებს.

– მთაში დამზადებულ ხორებს დაშლიდა ნიაღვარი და ჩამოჰყ-რიდა წყალში.

– აგრე იქნება... სხვა ბიჭები აღარ არიან, რომ მიაყენო?

– გახლავან!.. როგორ არ გახლავან? მაგრამ ყველას თავ-თავისი საქმე აქვს, მოგეხსენებათ, და მწყემსების მოცდენა მარტო მიტომ მაწუხებს.

– თუ გიყვარდე, რამდენიც შეიძლოთ, იმდენი დაამზადეთ!.. კირი გვაქვს დასაწვავი, რომ საყდარი შევაკეთოთ როგორმე. მოძღვარი აღარ მასვენებს და ქალბატონსაც დაუჟინია: უნდა შევლესოთო!.. კარგია! სულის საქმეა! წყლის მოტანილი შეშა წმინდა იქნება და წმიდა საქმესაც უნდა მოხმარდეს.

– აგრე ვჰქნათ, შენი ჭირიმე!..

ამ საუბრის დროს შორს, ხვადაბუნებში, გამოჩნდა ერთი ვიღაც ცხენოსანი, პირდაპირ სასახლისაკენ მოაგელვებდა ცხენს. ზაალმა შენიშნა და სთქვა: – მოურავო! ის ცხენოსანი ვიღაცა არის, თუ ფათერაკს არას გადაჰკიდებია, სწორედ გიჟი უნდა იყოს!.. თავ-შიშველა, უქუდოდ რომ კაცი მოგზაურობდეს, გაგონილა?

მოურავი მიაჩერდა და ღიმილით მოახსენა:





– იმერელი უნდა გახლდეთ ვინმე! გაჩეჩილ თმაზე ფაფანაკი ედება და არ ეტყობა.

– იმერელი?! იმერელს აქეთ რა უნდა?

– რა მოგახსენოთ, მაგრამ, სწორედ იმერელი კი უნდა გახლდესთ – ცხენსაც ისე მოათამაშებს!

ცხენოსანი ამასობაში პირდაპირ მოადგა არაგვს. ხიდი რომ წალე-ბული დახვდა, ფონს დაუწყო ძებნა: აატარ-ჩამოატარა წყლის პირად ცხენი და ბოლოს უკანვე გააბრუნა: – ვე პუ! შენ საქმეს. ნურას უკაცრავად, იმერელო, ხიდი ვერ დაგახვედრეთ! – სთქვა დაცინ-ვით ზაალმა და მიუბრუნდა მოურავს: – იმერეთის ღელეები ეგონა, ბუჭულა წისქვილების საბრუნებელი... მგონია, ისე კი დაბრთხა, რომ ერთ წლამდე ღომიც ვეღარ იცნოს!..

– შენ რისხვა ნუ მომეცემა, თუ არ გამოალოცვინა, გული საგულეს აღარ შერჩეს, – დაემოწმა ღრეჭით მოურავი.

ცხენოსანმა მისი ბედაური გააჭენ-გამოაჭენა ჭალებში, გაახურვა და წამოიყვანა პირდაპირ მდინარისაკენ. რომ მოადგა კიდეს, ჰკრა დეზი და გადაუშვა აზღვავებულ წყალში. ცხენმა და კაცმა, ორივემ, ძირი გაიარეს, თითქო ჩაინთქნენო. ცოტა ხნის შემდეგ ამოჰყო ცხენმა თავი და იწყო ცურვა გვერდელად; მხედარი ზურგზე ეკერა და თავს უჭერდა, რომ პირდაპირ მეორე კიდეზე გაეყვანა კლდის ზემოთ; მიუახლოვდა კიდეც, მაგრამ წყალმა დიდი ხე ჩამოატარა და მოხვდა ცხენს; ცხენი მოტრიალდა, მისცა თავი ქვემოთკენ წყალ-წყალ, რადგანაც გასასვლელ კიდეს ჩამოსცდა; მხედარმაც მიუშვა ლაგამი და თვალის დახამხამებამდე ტრიალ მორევში ამოჰყვეს თავი. – „არიქა, ვინ ხართ მამაცი?! მიეშველეთ! მცურავებს დაუ-ძახეთ! უშველეთ!..“ ჰყვიროდა ერისთავი. მორევში ცხენი შეჩერდა, თითქოს თავს ანებებს ბრძოლას და ბედს ემორჩილებაო, მაგრამ თურმე მხოლოდ ისვენებდა. მოიკრიბა უკანასკნელი ღონე და მხე-დრის კიჟინით გამხნევებული, გადაეშვა საჩქეფზე. იქ კი რამდენიმე-ჯერ გადაატრიალა ადუღებულმა წყალმა. მხედარი ზედ აღარ იჯდა, ფაფარში ხელჩაკიდებული განზე მიჰყვებოდა ცურვით. დიდხე ადევნა თვალი ერისთავმა და ბოლოს, როცა მიეფარენ და აღარ სჩნდენ, მწუხარებით სთქვა: ვაი, უბედური!.. აქ კიდევ შეიძლებოდა შველა, ამ მორევში, მაგრამ იქ, იმ უცნაურ ჩენჩქერში, ვინღა რას გააწყობს!.. – სთქვა და საჩქაროთ დააპირა წასვლა.

ყვირილზე მარიამი შემოვარდა დაფეთებული. ქმარმა უამბო ყოველიფერი და, როდესაც მიაწია ბოლომდე, უთხრა: „იქ კი დაიღ-

უპენ, მგონია, საჩქეფშიო!“ მარიამმა მოუხშირა კივილს, ორჯერ-სამჯერ დაიკრა მუხლებზე ხელი და ერთხელ ყბაზედაც ჩამოისვა, თითქო ჩამოიპოტნაო. ბევრი იწუწუნა: ვაი, დედამისის თვალების დადგომასო! და რომ მოიოხა გული, დავითნი გადაშალა... მიმართა ჩვეულებრივად „ჭირის კანონს.“

შემოიტუზა მოურავი და ჩაახველა. – რა ჰქენი, მოურავო? ვერავინ მიაშველე? – ჰკითხა ზაალმა.

– მივაშველე, შენი ჭირიმე, მაგრამ მცურავები შემიშინდენ, ველარ შებედეს წყალში!.. ნამეტანი გადარეულია.

– ჩაატარა?

– შორს არ წაულია! იქვე მოსახვევში, ხეებს რომ ხერგავს ხოლმე, ზედ მიაყარა...

– ეგებ გამოატანიო როგორმე, მადლია! – სთქვა ქალბატონმა.

– რაღა გამოსადეგი გახლავთ, შენი ჭირიმე? კაი რამე კი გახლდათ... ას ოქროდ მამა შვილს არ დაუთმობდა!..

– ხომ არ გადარეულხარ, მოურაო? – ბრძანა ვაჟბატონმა. – მირონცხებულზე მაგრე გაგონილა ლაპარაკი?

– ვინ მირონცხებულია, შენი ჭირიმე? მე ცხენზე მოგახსენებთ, თვარა ის კაცი როდი დამხრჩვალა.

– როგორ თუ არ დამხრჩვალა?! – მიაყვირეს ორივემ.

– თქვენი რისხვა არა მქონდეს!.. აქ რომ ჩაჰყო თავი წყალში, ე, იქ ამოჰყო, ჰა, იხვივით!.. ცხენის დაღუპვას ჩივის: როგორ ვერ გადავარჩინეო, თვარა თვითონ, გინდ წყალიც არ გადასხმოდეს თავზე... გაწუნწულა კი ძალიან და სახაბაზოში შევგზავნე თორნეზე გასაშრობად!..

– მადლობა ღმერთს! სწორედ კაი მახარობელი ხარ!.. მიამა ჭეშმარიტად! ვინ არის და რა საქმე აქვს, ვერ გაიგე?

– ჯერ არა უთქვამს რა, შენი ჭირიმე! თქვენ ნახვას კი ეჩქარება და, როგორც კი გაშრება, გიახლებათ, თუ უბრძანებთ!

– ძალიან კარგი იქნება......შემომგვარე! – მოურავი გავიდა და ერისთავი კი გახარებული ეუბნებოდა თავის მეუღლეს: „არ ყოფილა უბრალო ვინმე! უკეთესი სიმარჯვე ღმერთმა შეარცხვინოს!.. ხომ გაიგონე, მცურავებმა ვერ შებედეს შეცურვაო, და იმან კი ეს აზღვავებული არაგვი სიგძისად გამოივლო ლაჯებში!.. სწორე მოგახსენო, მეც გამიჭირდებოდა ჩემს სიყმაწვილეში მაგის გაბედვა!“ – მარიამმა ჩაიცინა და ჩაახველა.





– რას იცინი? გაგახსენდა განა, შენ რომ თავს გაწონებდი და ალაზანში ჩავაგდე ცხენი? ეჰ, ყოველიფერს თავისი დრო აქვს, – დაამატა ხვნეშით.

მოურავი შემოუძღვა ახალგაზრდა კაცს. ტანმაღალი, წელში წვრილი, მხარბეჭიანი, ფაფანაკუკანგადაგდებული, გაჩეჩილი თმით და გაწკვერტილის ულვაშებით ტიტველა პირზე, სწორედ სასიამოვნო შესახედავი იყო. მოხდენილად გადაიჯვარედინა ფეხები და თაყვანი სცა ერისთავს.

– გამარჯობა შენი! – უბრძანა ერისთავმა.

– ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოსთ, ჩემო ხელმწიფევ! – მოახსენა მოსულმა და მეორედ სცა თაყვანი.

– მადლობა ღმერთს, რომ გადარჩენილხართ!.. რა გაჭირება გადგა მისთანა, რომ განსაცდელში იგდებდი თავს?..

– ჩემი განსაცდელი რაღა სახსენებელია, შენი ჭირიმე, მაშინ როდესაც მთელი საქრისტიანო განსაცდელშია ჩავარდნილი?! მასთანაც არ მეგონა, თუ ეს დღე დამადგებოდა... ცხენის იმედი მქონდა, ბევრჯერ შემიცურვებია ჩემი „აფხაზურა“ აღელვებულ ზღვაში და არა გამჭირვებია რა, და დღეს კი ამ უბრალო წყალმა დაგვამარცხა. ალბათ წერა იყო! – სთქვა და ისეთი ამოიხვნეშა, თითქოს გულღვიძლი ამოატანაო! თვალებზე ცრემლი მოადგა.

– შენ როგორც გატყობ, ძალიან გებრალება შენი „აფხაზურა“!

– ძმასავით მყავდა, ჩემო ხელმწიფევ, თანშეზრდილი და შეჩვეული....

– თუ ზღვაში მისთანა არა იყო რა, ხმელეთზე ჩემს „არაბულას“ ვერავინ მისწვდება... სამაგიეროდ მიჩუქნია შენთვის!

ჭაბუკმა რამდენიმე ნაბიჯი წინ წადგა, ცალი მუხლი მოიყარა და ჩოხის კალთაზე აკოცა. მოურავი შეიშმუშნა და შურით შეხედა დაჯილდოვებულს.

– მოურავო, – ბრძანა ზაალმა, – ხომ გესმის?.. რას ყოყმანობ? ზედაც შენი მოჭედილი უნაგირი დაადგი: შენ ჯერ მაინც არად გინდა და მერე სხვას გაჩუქებ.

– არ ემჯობინება, შენი ჭირიმე, რომ წითელი ლაფშა უბოძოთ?

– ვინ გკითხავს? შენ აასრულე, რასაც გიბრძანებენ!

– კი, შენი ჭირიმე, მაგრამ რომ არ იკარებს უნაგერს ის შეჩვენებული?!

– როგორ თუ არ იკარებს?!

– არ იდგამს!.. წელიწადია, ზედ აღარავინ შემჯდარა!.. ორ-ორ მეჯინიბეს ძლივს გამოჰყავს!.. გაურავებულია!..

– შენ ჯავრი ნუ გაქვს! ამან იცის და იმ ცხენმა.

– თუკი ვერ შეჯდება, რად უნდა?..

– ჰმ! აჰა, ღმერთო, კიდევ თავისას ამბობს – სულელი არ მოჭკვიანდება, თორემ გიჟის მოთვინიერება ყოველთვის შეიძლება. შენ რას იტყვი, ყმაწვილო?

– მოვიხმარ ღვთისა და თქვენის მოწყალებით! რაშებს ხედნიან და ცხენი მისთანა რა იქნება, რომ ვერ დაიმორჩილოს კაცმა? – მოახსენა ღიმილით.

– მეც აგრე მგონია. ღმერთმა მოგახმაროს! – ახლა კი მიამბე, რისთვის გარჯილხარ და საიდან ხარ?

– კახეთიდან გახლავარ!

– კახეთიდან?! მერე და გზა შეკრული არ არის?

– გახლავთ, მაგრამ მე კი ფირმანი მიჭირავს ხელში.

– იმერელი უნდა იყო?

– გახლავარ, მაგრამ დიდი ხანია, რაც მოვშორდი იქაურობას და კახეთში ვარ! თქვენმა სიძემ გაახლათ ჩემი თავი, ბიძინა ჩოლოყაშვილმა.

– რა ამბავია?

– წიგნი მოგართვათ და იქიდან გაიგებთ ყველაფერს, ჩემო ხელმწიფევ! – ამოიღო უბიდან წერილი და მიართვა... – ესეც ქალბატონმა მოართვა დიდ ქალბატონს...

– საკვირელია, რომ არ დაგსველებია?..

– გასანთლულ ტილოში გახლდათ გახვეული!

ფაცაფუცით გახსნა წიგნი ერისთავმა და დაუწყო კითხვა ჩუმად. მისმა მეუღლემ სათვალეებს დაუწყო ძებნა. მოურავი და იმერელი კი იდგნენ და შესჩერებოდნენ. კითხვის დროს ერისთავს აღელვება ეტყობოდა და რამდენჯერმე შეხედა იმერელს...

– ხომ არ გადარეულა?! რა მოსაფიქრებელია!.. – ჰკითხა ზაალმა. იმერელმა მოურავს შეხედა და ხმა არ ამოუღია... ერისთავი მიხვდა და დაითხოვა მოურავი. მარიამიც სათვალეების მოსაძებნად წავიდა, დარჩნენ მარტო ორი.

– იწერება: ქრისტეანობა ამოვარდაო, წირვა-ლოცვა აღარ არის, ზარების რეკვა აღარ ისმის, ხატი შეურაცხყვეს და ტაძრები გააუპატიურესო“... ეს ჩვენც გაგონილი გვქონდა, მაგრამ რა ვქნათ, რომ თავზევით ღონე აღარ არის!.. ღვთის რისხვა მომდგარია და უნდა ავიტანოთ, ღვთის ნებასვე უნდა მივენდოთ!

– მე რა მრჯის თქვენი სიტყვის შებრუნებას, შენი ჭირიმე, მაგრამ





ხომ მოგეხსენებათ: „ურია იღრჩობოდა და ღმერთი ახსენა: მიშველეო! ღმერთმაც უბრძანა: ხელი გაანძრიეო და გიშველიო!“

– ეგ ანდაზა კარგია, მაგრამ უფრო სხვა დროს!.. მარტო ხელის განძრევა ვეღარას გვიშველის!.. მაინც რისი იმედი აქვს?

– ჯერ ღვთისა და მერე თქვენი... ხუთასი მეომარი თვითონ გამოჰყავს, სულ დარჩეულები, ხუთას-ხუთასს ერისთავებიც ჰპირდებიან, – ეს ათას ხუთასი; ერთი ხუთასის იმედიც თქვენგანაცა აქვს!..

– მერედა ორი ათასის კაცით სამოცი ათასზე გალაშქრება რა მოსაფიქრებელია? სხვა რომ არა იყოს რა, ისიც კმარა, რომ ალაზნის პირზე, გაღმა-გამოღმა, თხუთმეტი ათასი ულუსი სახლობს... დიდი და პატარა ყველა მეომარია.

– ორი ათასი ქართველი ხუმრობა არ გახლავთ, შენი ჭირიმე, თუ აქედან შემწეობაც იქნება. ნათქვამი გახლავთ: „ცდა ბედის მონახევრეაო“.

– ეგ ანდაზა ჩემისთანა ხნიერებზე აღარა სჭრის!.. ჩემი სიძე ჯერ კიდევ ყმაწვილია, გული საგულეს აქვს! მე მიკვირს ქსნის ერისთვისგან, როგორ დაეთანხმა?.. არ იცის, რომ მაგით იქ ყეენს ალაშფოთებს და აქ ქართლის მეფეს გაარისხებს?

– გამარჯვებას რომ გაიგებს, ქართლის მეფეც აღარას იტყვის. მართალია, გათათრებულია, მაგრამ გული მაინც ჩვენსკენ უფრო აქვს და, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება ღვთით, ამაზე ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ.

– აბა, ჩემო იმერელო! ყმაწვილი ხარ და წინდახედულობა გაკლია. მთელმა კახეთმა ვერა უყო რა და ახლა ორი ათასი კაცით უპირებთ გადენას? აბა რა სათქმელია! ციხეები ხელში უჭირავთ და ქალაქები!.. ვერც რა კახეთს ვუშველით და ქართლსაც საფრთხეში ჩავაგდებთ... გამძვინვარებული ყეენი მიზეზს ეძებს, რომ ქართლსაც ის დღე დააყენოს, რაც კახეთს! დღეს თუ კიდევ სული გვიდგას, ბატონი მეფის წინდახედულობის ბრალია. ღმერთმა დიდი დღე მისცეს ვახტანგს მეფეს!

– შახნავაზს? – ნაღვლიანის ღიმილით უპასუხა იმერელმა, და უნდოდა რაღაც მოეხსენებია, მაგრამ ამ დროს გიჟივით შემოვარდა კირილე მღვდელი და მოახსენა:

– ქსნის ერისთავები გიახლენ, შენი ჭირიმე!

– ქსნის ერისთავები?.. მობრძანდნენ.

– ისინი გახლავან, შენი ჭირიმე! სწორედ ისინი, – იმეორებდა გულამოვარდნილი. – სწორედ ისინი ვნახე!.. დიდება შენს საკვირველებას, უფალო!..

– მღვდელო, შენ როგორღაც ვერა ხარ შენს გონებაზე!
– თქვენი რისხვა ნუ მომეცემა, ისინი არიან, სწორედ ისინი! ვიცანი!
– დიდი საქმე მომხდარა! რა ვჰქნათ მერე, რომ იცანი?.. ახა, ღმერთო! რას გაჩერებულხარ? წადი, სთხოვე მობრძანდნენ. შეუძეხი სასტუმროში და მეც ახლავე გამოვალ. ქალბატონს შეატყობინეთ!.. შენ, ჩემო იმერელო, მიდი მოურავთან, მოიცადე, სანამ პასუხს მივწ-ერდე ჩემს სიძეს... ეს ერისთავებიც უმიზეზოდ არ უნდა იყონ ჩემ-თან მოსული... – ჩაილაპარაკა თავისთვის და შევიდა ოთახში.
მთელი ოჯახი ფეხზე დადგა. ფარეშები გარბი-გამორბოდნენ აქეთ-იქით: მზარეულებმა ნებიერი წამოაქციეს, ხაბაზებმა თორნეს ჩაუკიდეს, გამდელები დატრიალდნენ და შეიქნა ერთი ალიაქოთი. მოურავი დიდი გულმოდგინებით შეჰყვიროდა ხან ერთსა და ხან მეორეს: „არიქა, მიშველეთ!.. აბა, გაისარჯეთ! არ შემარცხვინოთ!.. აბა, თქვენ იცითო!“ და სხვანი. ამაებს ძალიან გულმოდგინებით იძახოდა, მაგრამ თვითონ კი ერთ ალაგას იდგა და არ ინძრეოდა, არც ის იცოდა, ვისთვის რა უნდა გაეკეთებიებინა და ვინ რა საქ-მეზე მიდიოდა... ის მხოლოდ ისე, როგორც მოურავის რიგი და წესი მოითხოვდა, ისე იჩარჩებოდა, რომ მისი კიჟინა გაეგონათ და ერთ-გულებაში ჩამოერთმიათ. ცხვრები მოაბღავლეს, ქათმები ააკრიახეს, ბატ-ინდოური მორეკეს. იყო ერთი ფაციფუცი და მზადება. მოურავი ხან იმას დაუხვდებოდა წინ და ხან ამას. სინჯავდა საკლავებს, სიმ-სუქნე ხომ არ აკლიათო და ოფლს იწურავდა.
ამ დროს ერისთავები, სტუმრები და მასპინძელი, სამივე, ერთად იჯდნენ დარბაზში ტახტზე ფეხმორთხმით და გაცხარებული საუ-ბარი ჰქონდათ. ერთი მათგანი, ახოვანი მოხუცებული, გაჩუმებული იყო და თავის ქნევით ეთანხმებოდა ახალგაზდა კაცს, გაცხარებით მოლაპარაკეს.
– შალვა ჯერ ყმაწვილია და გულის აუყოლობა მაგისთვის ძნე-ლია, ჩემი სიძე ბიძინაც არ არის დიდი ხნის... მასთანაც ყოველდღე უყურებს თავის თვალით ქვეყნის უბედურებას და თვითონაც თავს იმეტებს. მაგრამ შენი კი მიკვირს, ჩემო ელიზბარ, – მიუბრუნდა მოხუცს ზაალი, – ლხინი ბევრი გინახავს და ჭირი კიდევ მეტი აგი-ტანია!.. მადლობა ღმერთს, გამოცდილება არ გაკლია, და როგორ გაივლეთ გუნებაში მაგისთანა ძნელი საქმე?
– რა ვჰქნა, ჩემო ზაალ?.. მეც ბევრი ვურჩიე ამ ჩემს ძმისწულსა და შვილობილს, მაგრამ რომ ვერა შევასმინე-რა?.. დაუჟინია: მარტო





წავალო!.. და მასთანაც, ღმერთთან სწორი სჯობს, მეც მიჯდება ჭკუაში ამ ყმაწვილების განზრახვა!.. ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია! საქრისტიანო უნდა იმხობოდეს და ჩვენ აქ უნდა ვისხდეთ გულხელდაკრეფილი?.. „უგანგებოთ ვერას მიზმენ, გინდ შემებან ხმელთა სპანიო!“ ჩვენც მივენდოთ განგებას!
– კი, მაგრამ განგებას უნდა დავაცადოთ... დღეს ასეა, ხვალ ისე იქნება: აი, გუშინ რა ავდარი იყო და დღეს რა დარია! დროსაც შერ-ჩევა უნდა.
– უკეთესს დროს ჩვენ ვეღარ ჩავიგდებთ ხელში, – წამოიძახა ცხარედ შალვამ. – კახელების გულისგატეხა ქართლსაც გადაედება!.. ჯერ კიდევ, სანამ სასოება არ წარკვეთიათ და კიდევ რაღაც იმედი აქვსთ კახელებს, ჩვენც უნდა მივეშველოთ!.. თუ ვერ გავიმარჯვებთ, სახელოვნად მაინც დავიხოცებით: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო!“
– დიახ, კარგი კაცის ნათქვამია ეგ სიტყვები, მაგრამ არც იმას უმოძღვრებია ცუდად, ვინც სთქვა: სიბრთხილეს თავი არა სტკივაო“.
– კი, მაგრამ ხანდიხან სიბრთხილე სიბრთხალის განაყოფია! – ჩაილაპარა ღიმილით ელიზბარმა და სიამოვნებით შეხედა შალვას.
– აგულიანებ? – სთქვა წყენით ზაალმა. – თქვენ შეგიძლიათ თქვენი თავი გასწიროთ, მაგრამ ქვეყანას რას ერჩით? იმას ალა-რას ჰკითხავთ?.. ორი ათასი მხედარი იქ გავწყვიტოთ... ჩავჰკლათ! აქ ვინღა დავახვედროთ, როცა გარისხებული ჩვენზე მოვლენ.. მაგ ურჩობით მეფეს გავიწყრომებთ და მეტი არა გამოვა რა... ჯერ, ასეა თუ ისე, თავის წინდახედულობით ბატონმა მეფემ ქართლი შეინახა. ყეენის გული მოგებული აქვს და ჩვენ რად გავუხდეთ მიზეზად, რომ ამდენი ხნის მეცადინეობამ ჩალად ჩაუაროს?
– ვაი, ამისთანა ქვეყნის შენახვას!.. – წამოიძახა ცხარედ კიდევ შალვამ. – კახეთი გათათრდა; ქართლის მეფე, მირონცხებული ვახ-ტანგ, დაცვეთილ შახნავაზად გადაიქცა... სამოც ქალ-ვაჟს გარდა, დღეს კიდევ ორი იმდენს ვაგზავნით ხარკად ყოველწლობით... ქვეყ-ანა გოდებით აივსო, – მეტი უბედურება რაღა დაადგება ქვეყანას?!.. დღეს თუ ხვალ, ქართლიც აღარ იქნება, ისიც კახეთივით აოხრდება. განსხვავება მხოლოდ ის იქნება, რომ კახელებმა სახელი მაინც ნახეს, ხორცი გასწირეს და სული გადაირჩინეს, და ჩვენ კი სულსაც ვწყმენდავთ!..
– მართალია, – დაამატა ელიზბარმა. – „მტერი მოყვრულად მოსული მტერზედაც უარესიაო!“ – შახ-აბაზის მელაკუდაობა პირ-

ველი არ არის... მანამდე ეფერება შახნავაზს, სანამ ესაჭიროება და მერე კი უკუაგდებს! უნდა, რომ ჯერ კახეთი ჩაჰყლაპოს ხელ-შეუშლელად და მერე ქართლსაც მოსწვდება... მტერი პირდაპირი ისე საშიში არ არის, როგორც მოყვრულად შინ მელასავით შემოპარული.

– ჭეშმარიტად მაკვირვებს თქვენი განზრახვა!.. მე ჩემის მხრით ვერც არას გავბედავ და უარს შევუთვლი იმ ჩემს სიძეს და თქვენ კი ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! არ ინანოთ ბოლოს კი!..

დიდხანს გასტანა მათმა საუბარმა: შალვა ცხარობდა, ზაალ მოთ-მინებიდან გამოდიოდა და ელიზბარი ორ ცეცხლშუა იყო, ორივე მხარეს აგონგროვებდა, რაც კი მოხერხდებოდა. ბოლოს იქამდე მიდგა საქმე, რომ ქსნის ერისთავები უსადილოდ აპირობდენ წას-ვლას... უკმაყოფილოდ წამოდგენ ზეზე, მაგრამ კარი გაიღო და შემოვიდა მარიამი. ხელში წმინდა გიორგის ხატი ეჭირა: „ღმერთმა კეთილად დააგვირგვინოს ეგ თქვენი ქრისტიანული განზრახვა და ეს იყოს თქვენი წინამძღოლიო!“ – დაუსვენა ხატი. სამივე ზეზე წამოდგა გაკვირვებული. „ჩემო ბატონო! – მიუბრუნდა ქმარს, – ქვეყნიური გონება ცამდისაც რომ უწევდეს, მაინც ვერ მისწვდება განგებას!.. ნუ ეწინააღმდეგები და ეურჩები ამათ სურვილს, რომელიც იქ თურმე, ცაში, დასკვნილა და აქ მხოლოდ საგულისხმოდ გადმოტ-ანილა!.. შემოდი, მამაო, და ამხილე!“. გასძახა მარიამმა, შემოვიდა კირილე და გაჩერდა. ერისთავები ერთმანეთს შესჩერებოდენ, თითქო ეკითხებოდენ, რა ამბავიაო? – „აბა, მამაო, რას იტყვი?“ – განაგრძო მარიამმა.

– ეგენი გახლავან, შენი ჭირიმე, ვიცანი!..

– მღვდელო, რა დაგიჟინია: ვიცანიო? ეს მეორედ ამბობ... რა ვქნათ მერე, რომ იცანი?.. გამოცანა გერგება, თუ? – ჰკითხა გულ-მოსულმა ზაალმა.

– აკი მოგახსენეთ, ბატონო, ისინი არიან-მეთქი!..

– ხომ არ გადარეულხარ?.. მეც ვიცი, ვინც ბრძანდებიან.

– არა, ბატონო, მე ხომ მაგას არ მოგახსენებ!..

– რა დაგემართა? როგორ ვერ გაიგე? სიზმარში ნახა... – გააწ-ყვეტინა მარიამმა.

– სიზ...მარ...ში?!. – გაოცებით იკითხა ერისთავმა და პირი გააღო.

– დიახ, ჩემო ბატონო! – სთქვა კირილემ და მოჰყვა თავიდან სიზმარს...

ერისთავები გაოცებით უგდებდენ ყურს. როცა მივიდა კირილე იმ ადგილამდე, სადაც საყდარში შესულმა გმირები დახოცილი ნახა,





ზაალმა უცბად გააწყვეტია სიტყვა: – მესამე? მესამე ვინ იყო? ვეღარ იცანი?..

– ახლა ესენი რომ ვნახე, ისიც მომაგონდა... თქვენი სიძე გახლ-დათ, სწორედ ის იყო!..

– ბიძინა ჩოლოყაშვილი? მე ხომ არ გინახავარ?

– არა, შენი ჭირიმე, თქვენ იქ არ ბრძანებულხართ!..

– და ის უცხო მხედარიც ეს იქნებოდა! – მიაშვირა ხელი მარი-ამმა წმინდა გიორგის: – გწყალობდესთ და გიწინამძღვროსო!..“ – ერისთავები გაქვავებულსავით იდგენ საგონებელში ჩავარდნილი და ხმას ვეღარ იღებდენ. ბოლოს ელიზბარი მოუბრუნდა ზაალს: ახლა რაღას იტყვი?

– იყავ ნება უფლისა! რაღა მეთქმის?.. აწ წინდაწინვე სასწაულს ვხედავთ... თქვენ სამიცა კმარიხართ! ხომ ხედავთ, მე ნამეტანი ვყო-ფილვარ... მე მეფის ურჩი ვერ გავხდები... მაგრამ, თუ კირილე მოძ-ღვრის შთაგონებით ჩემ საყმოდან წამოგყვებათ ვინმე, არ დავუშლი, მით უფრო, რომ მე არა ვიცი რა! – გაიცინა და ჩაილაპარაკა: – მამაო კირილე, იმედია, შენ თუ შეაგონებ და ჯვრით ხელში წინ წაუძღვები, წაგყვებიან.

– ღმერთო, შენით!.. – სთქვა კირილემ, გამოისახა პირჯვარი და ემთხვია ხატს.

– ამინ! – გაიმეორეს ერისთავებმა და ემთხვიენ ისინიც... მერე დასხდენ და შეუდგენ თათბირს: მოილაპარაკეს, დრო დანიშნეს, მაგრამ გააფრთხილეს კი ერთმანეთი, რომ ეს საქმე საიდუმლოდ ყოფილიყო. სპარსელების სახელიც არ უნდა ხსენებულიყო და მიზეზად იმერლები გამოეგონებიათ, რადგანაც ისინი იმ დროს დადიანზე ეპირებოდენ გალაშქრებას. სიზმრით გამხნევებულსა და დაიმედებული ერისთავების სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. გაიმართა ლხინი, როგორც არაგვის, ისე ქსნის ერისთავების საკად-რისი. მზის გადახრამდე შეექცენ და მერე გაუდგენ გზას. მეორე დღეს იმერელმაც ჩაიდვა უბეში სადასტურო წერილი, ჩოლოყაშ-ვილთან გატანებული, გააცურვა თავისი ახალი ბედაური „არაბულა“ და იმ გზითვე წავიდა, რა გზითაც მოდიოდა... მოურავი შესჩერდე-ბოდა გამოლმიდან და გულზე მუჭს ირტყამდა: „ვაი, შენს ტყავს!.. ბატონს იმისთანა ბედაური გამოალალა მის გახრეკილ ბახში და მე ზედაც აღარ შემომხედაო,“ – წუწუნებდა გულდაწყვეტილი და აქეთ-იქით აქნევდა თავს.

## III

ერთ დროს საწერეთლოში ბევრი გამოჩენილი აზნაურიშვილი იყო, მაგრამ ბაქარა ბაქრაძეს კი ვერავინ შეედრებოდა. მეფის ერთგულმა, ბატონის მორჩილმა და ქვეყნის მოყვარულმა გვარიც კი დააწინაურა, არათუ თავის სახლი. წერეთლის მოურაობამ მაინც სულ ფეხზე დააყენა. ერთადერთი სამწუხარო მისი ის იყო, რომ შვილი არა რჩებოდა, მაგრამ, როცა, მეზობლების რჩევით, ახალშობილს „გლახა“ დაარქვა და ღვთის სახელობაზე გაუშვა, ისიც მართლა ჩიტივით წამოეზარდა. ვაჟს კიდევ ორი ქალიც თან მოჰყვა ტყუპად და ამან ხომ სულ მთლად დააგვირგვინა მისი ბედნიერება. მაგრამ „სოფელი განა დიდხანს ვისმეს ახარებს?“ მართალი ნათქვამია: „ერთი ხიდან ჯვარიც გამოვა და ბარიცო!..“ სულ სხვანაირი კაცი იყო მისი უმცროსი ძმა კიკო!.. ოჯახზე გულავარდნილი და გარეწარი, ამბობდა გუნებაში: „სადაც კვამლი მაღალიო, მეც იმისი მაყარიო“ და ლხინი, ან დღეობა არსად გაუცდებოდა. აქეთ-იქით ხეტიალში ერთხელ სადღაც სახადს გადაეყარა და შინ საორმოცო სნება შემოიტანა. თვითონ მოიხადა, მაგრამ ძმა და რძალი კი, ორივე, ერთი კვირის განმავალობაში გამოათხოვა წუთისოფელს. დარჩენ ობლები ბიძის საპატრონოდ. კიკო დააწვა სავსე ოჯახს თავზე და ნელ-ნელა გაუტკბა ბატონობა.

პატარა ქალები გააბარა ღვიმის მონასტერში და ვაჟი კი მიუშვა ნებაზე, რომ ეგები ფეხი სადმე წაამტვრიოს, საბრხეში ჩავარდეს და ოჯახი მე დამრჩეს საკუთრადო! მაგრამ ნათქვამია: „კვიცი გვარზე წავაო“; დღითი დღე პატარა გლახუკი სიკეთეში შედიოდა და თექვსმეტი წლისას იმ ახლომახლოში ვეღარავინ სჯობდა. ერთხელ, სასახლეში მიმავალმა შენიშნა, რომ დიდი და პატარა, ბატონყმიანა, ყველა ერთად ეზოს ხეს გარს ეხვეოდენ. ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, გადახტა, ცხენი ყორეზე მიაბა და ქვეითად ეახლა ბატონს. „ოჰ, გამარჯობა შენი, – მიაყვირა წერეთელმა, – სწორედ კაი დროს მოხვედი!.. გაქებენ და, თუ მართალია, ახლა გამოჩნდება: ქორი ჩამოეკიდა ხის წვეროზე და უნდა აუშვა როგორმე“.

– ბატონი ბძანდებით! ასვლით ავალ ხეზე, მაგრამ ი შტო რომ ვეღარ მიმაგრებს წვეროში?

– ჰოდა, საქმეც ეგ არის, – მიაძახეს აქეთ-იქიდან კარისკაცებმა, – თვარა ასვლით განა ჩვენ კი ვერ ავიდოდით?

– არა, სხვა რამე უნდა იფიქროთ! – დაამატა ბატონმა.





– მაშ, მეტი აღარა გაეწყობა, რა, თოფით უნდა ავუშვათ, – მოახსენა გლახუკმა.

– თოფით?! ქორი კი არ მომიკლა!

– რა ბრძანებაა! – ღიმილით უთხრა ახალგაზდა ბაქრაძემ და გადმოიღო თოფი, რომელსაც, იმ დროის მიხედულობით, არ იშორებდა და სულ თან დაჰქონდა. გადგა განზე, წამოიჩოქა ცალ მუხლზე და ამოიღო ნიშანში. ყველამ სული გაიკმინდა. დაიჭექა თოფმა დაბლა და მაღლა ქორმა შეიფრთქიალა.

– ეეჰ, წაგიხდა! – მიაყვირა წერეთელმა.

– რათა, შენი ჭირიმე?.. ქორი ორივე ფეხებით გახლავთ ჩამოკიდებული, გაფარჩხულად, და ერთი ტყვია ორივე თასმას ხომ ვერ მიუდგებოდა? მარჯვენა შევსწყვიტე და ახლა მარცხენას ვესვრი! – გატენა მეორედ თოფი და ესროლა. ქორი დაბლა დაეშვა, მაგრამ ჯერ შუამდისაც არ ჩამოსულიყო, რომ უცბად ჰაერშივე გადატრიალდა და ჰკრა ცაში კამარა. გაფრენილ ქორს ბაზიერები დაედევნენ. ყველას ძალიან გაუკვირდა ეს სიმარჯვე ახალგაზრდა მეთოფის, მაგრამ თვითონ იმას არც კი შეუმჩნევია, თოფს დაუწყო ფერვა.

– გამომიტანეთ ჩემი ყირიმი! ნათქვამია: „თოფი მეთოფეს და მეთოფე სოფელსო“. სწორედ შენი საკადრისი ყოფილა ის თოფი და ღმერთმაც შენ მოგახმაროსო! – სთქვა წერეთელმა. გამოიტანეს წვრილლულიანი, სულ ოქროთი შემოსალტული, გრძელი თოფი და გადასცეს მეთოფეს.

სასახლეში ბევრს არავის დარჩენია სასიამოვნოდ ახალგაზრდა გლახუკის გამარჯვება, მაგრამ მაგიერად ერთი ვინმე კი სულ სხვა გუნებაზე დააყენა: კოშკიდან თურმე გადმომდგარიყო ახალგაზრდა წერეთლის ქალი და სარკმელში უყურებდა გულისფრიალით ამ ამბავს. გაგონილი ჰქონდა ახალგაზრდა ბაქრაძის ქება გულში გასავლებად, მაგრამ დღევანდელმა ნანახმა კი ისე გაიტაცა, რომ თავი ვეღარ შეიმაგრა და სატრფიალოდ გადაუშალა გული.

ტყუილად არ სჩიოდა ძველად სამღვდელოება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სახარებაზე უფრო გაუტკბა ქვეყანასო; საუკუნოების განმავლობაში, დიდი და პატარა, ყველა იმას ეწაფებოდა; კაცები ტარიელ-ავთანდილსა ჰბაძავდნენ, ქალები ნესტან-თინათინობას სცდილობდნენ, მეფე და კარისკაცები – როსტევან-სოგრატობაზედ სდებდენ თავს, მსახურნი შერმადინობდენ და მოახლე-გამდელები კი ასმათობას სჩემობდნენ. აქაც, ამ შემთხვევაში, წერეთლის ქალს გამოუჩნდა ასმათი და გაიმართა მიწერ-მოწერა. სიყვარულის უმე-

ცარმა ახალგაზრდა ბაქრაძემ იგრძნო პირველად უცნაური რამ, გაიმსჭვალა სულიან-ხორციანად, მიჰყვა სიყვარულის მდინარეს, გადაჰყვა საჩქეფს და შეტოპა მორევში, გუნება შეეცვალა, ჩვეულებრივ რამეებს თავი დაანება და მარტო ხალვას ეძლეოდა. „შორით ბნედა, შორით კვნესაო“, – ამბობდა გუნებაში და სატრფოს საიდუმლოდ ითვალისწინებდა. იმ დროს ქალები პირობას უდებდნენ საყვარლებს: „გვიჩვენეთ საქმენი საგმირონიო“. ეს პირობა ჩვეულებისამებრ ახალ შეყვარებულსაც დაუდეს, მაგრამ სად იყო იმ ახლომახლო მისი საასპარეზო? მაშინ კახეთში თათრობა იყო და დიდი და პატარა იქ სპარსელების უღელს ეწეოდა, – განსაკუთრებით თავადაზნაურობა. ეურჩებოდნენ მხოლოდ ზოგიერთები, აქა-იქ, მათ რიცხვში ახმეტის ბატონი, ბიძინა ჩოლოყაშვილი, ყველაზე უფრო შეუპოვარი იყო. იმის გმირობის ხმა იმერეთამდისაც უწევდა და, აი, ამას მიმართა ახალმა ავთანდილმა. მოემზადა საუცხოვოდ, გამოეწყო სამგზავროდ, შეიკაზმა „აფხაზურა“ და გაეშურა აღმოსავლეთისაკენ. გზაში სევდები შემოაწვა, სამშობლოს დატოვება გულსა სწყვეტდა და საყვარლის მოშორება ზედ ტანჯვის ცეცხლს აკვესებდა. მიდიოდა და მიღიღინებდა:

„ეჰ, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოვლიმც შენი მონდობილი
ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა;
სად წაიყვან სადაურსა,
სად აღუფხვრი სადით ძირსაო...“

შეჰკვნესოდა მთვარეს და შესჩიოდა ვარსკვლავებს. თვალზე ცრემლი ადგებოდა, მაგრამ, რომ მოაგონდებოდა უკანასკნელი ლექსის ხანა:

„მაგრამ ღმერთი არ გასწირავს
კაცსა, შენგან განაწირსაო,“

იმედი აფრთოვანებდა და გაორკეცებულის სურვილით მიაჩქარებდა თავის ბედაურს. მისი „აფხაზურაც“, გაიგონებდა თუ არა მათრახის ტკრციალს, თითქო მიუხვდა პატრონს გულისპასუხსო, ყურებდაცქვეტილი, გედივით მოიღერებდა კისერს, აქეთ-იქით ერთს შეიკუნტრუშ-შამოიკუნტრუშებდა და მერე გასწევდა პირდაპირ, თითქო უნდა, რომ გულმკერდით მთა და ველი გაიტანოსო.





IV

კახეთის მეფე, თეიმურაზ პირველი, დავით წინასწარმეტყველს ეტოლებოდა თავის გუნებაში: „ის ჩემი წინაპარი და მე მისი ჩამომავალი, ისიც გვირგვინოსანი-მგოსანი და მეცო“, – ჰფიქრობდა და ის კი ავიწყდებოდა, რომ დავით მეფობდა უმაღლესად ჩაგონებული და თეიმურაზი მხოლოდ ქვეშევრდომთაგან უმდაბლესად შეგონებული; ის იქ ებრძოდა „ამალეკთა“ და ეს აქ – თათარ-ლეკთა!.. პოლიტიკაში პოეტობდა, პოეზიაში პოლიტიკობდა ის დალოცვილი და მით საზარელ მომავალს უმზადებდა სამეფოს. ამას ატყობდენ ზოგიერთები, მაგრამ ვინ გაბედავდა ცხადათ მხილებას? – და ჩუმად კი აქა-იქ საყვედურები ისმოდა.

ზამთრის პირი იყო. გამხიარულებული ბუხარი გუგუნებდა და კოპიტის შეშას ტკაცატკუცი გაჰქონდა... ერთი ყმაწვილი კაცი მისჯდომოდა ბუხარს და ნაკვერცხლებს დაშტერებოდა. იქვე, მახლობლად, ტახტზე მხარ-თეძოს წამოწოლილიყო მოხუცი და პირისახეს ათამაშებდა. – ეტყობოდა, რომ თავის გულში რაღაცას საუბრობდა. უცბად აიღო თავი ახალგაზრდამ და ჰკითხა მოხუცს:

– რა ამბავია, რომ ეს ერთი ხანია ბატონი სადარბაზოდ აღარ დაბრძანდება?.. ჩაუკეტია კარები და ჩამწყვდეულა!..

– სტვირის გუდას თუ ჰბერავს?! – უპასუხა მოხუცმა ცივად.

– გუდას?!.

– ჰო! შარშან გაზაფხულზე ჩაიკეტა და „ლეილი-მეჯნუნიანი“ დაგვიწერა, ერთხელაც ზაფხულში – „შამი-ფარვანიანი“, მეორედ შემოდგომას – „ხილთა-ქება“ და ახლაც უთუოდ ზამთრის შესაფერსა სწერს რასმე...

– მაგითი არა დაშავდება რა!.. სწეროს! მოცლის დროს ეგეც კარგია.

– მოცლის დროს?! მერე და, მეფე და მოცლის დრო ვის გაუგონია?.. არა, შვილო!.. მეფე რომ „პიიპუუ-პიიპუს“ დაუკრავს, მაშინ მისი სამეფო „ვაი-ვაის“ იმღერებს.

– დავით აღმაშენებელიც მწერალი იყო, მაგრამ სამეფოსთვის არა დაუკლია რა.

– აღმაშენებელი წინასწარმეტყველსა ჰბაძავდა, ადიდებდა ყოვლის შემოქმედს; მისი იამბიკო ლოცვა იყო და ამისი შაირები კი ლაზღანდარობაა!..

– რუსთველს ეჯიბრება.

– ჰმ! უკვდავების წყარო და ნაძალადევი ჭა ერთმანეთს ვინ შეადარა?!.

– აგრე ჰკითხე კარისკაცებს!.. მაგრამ არ არწმუნებენ.

– კიდეც ეგ არის, შვილო, რომ პირფერობა ახდენს საქმეს! პირმოთნეობა და ფარისევლობა საზოგადოდ კარისკაცების ხელობაა, მაგრამ მეფისგან კი მიკვირს, რომ სტყუვდება.

– ალბათ სნეულებაა, იმ ერთი ზღაპრული მზეთუნახავისა არ იყოს.

– როგორ თუ მზეთუნახავის?

– არ გაგიგონია, თუ აღარ გახსოვს? ერთი მზეთუნახავი თურმე ყოველ დილდილაობით მიდიოდა წყაროსთან და, პირს რომ დაიბანდა, ეკითხებოდა ხოლმე წყაროს: „წყაროვ! მე ვჯობივარ, მზე, თუ მთვარეო?“ – „შენც კარგი ხარ, მზეც და მთვარეცო, მაგრამ ეთერი კი ყველას გჯობიათო!“ – ესმოდა პასუხად და ეყრებოდა გულს. ბატონ მეფესაც სწორედ ისე ემართება: რომ რამეს დასწერს, ეკითხება თავის გულს: მე ვჯობივარ, ჩახრუხა, თუ შავთელიო? „შენც კარგი ხარ, ჩახრუხაც და შავთელიცო, მაგრამ რუსთველი კი ყველას გჯობიათო“, – უჩურჩულებს გონება და რუსთველის მოქიშპეს შურით ევსება გული.

– უბედურებაც ეგ არის, შვილო: გულში რომ შური შევა, მაშინ სულიც დასნეულდება! დიდი ცოდვაა, შვილო, შურიანობა და ჩვენ სამეფო ოჯახს რაღა ცოდვის მიმატება ეჭირვება? განსვენებული პაპამაგისი სულ იმას სჩიოდა, რომ ხალხი გამრავლდა, ქვეყანა გაშენდა და ჩემ კახეთში სანადირო ადგილები აღარსად დამრჩაო!.. ამ საყვედურებით აწყენია ღმერთსა და კიდეც გადახდა: დღემდის ვის გაუგონია საქართველოში, რომ შვილი მამას დასტაკებოდეს, და ის კი მისმა შვილმა, დავით მეფემ, ამ თეიმურაზის მამამ, ციხეში ჩაამწყვდია; – მეორე შვილმა, გაურჯულოებულმა კონსტანტინემ, მოჰკლა და თავისი ძმა გიორგიც თან მიაყოლა!.. აი რა დიდი ცოდვა ტრიალებს მათ ოჯახში, შვილო! სისხლი მართებს და დიდი მსხვერპლიც არის საჭირო, რომ გაიწმინდოს!.. – დაამატა ამოოხვრით მოხუცმა და გამოისახა პირჯვარი.

– ღმერთმა შეუნდოს იმ ოჯახს და ნუ მოჰკითხოს მამა-პაპის ცოდვა ჩვენს ბატონ მეფეს! და თუ მოჰკითხოს მაინც, მის სამეფოს კი ააშოროს რისხვა! – სთქვა ახალგაზრდამ მწუხარებით და მოიხადა ქუდი.

– ამინ! – დაამატა მოხუცმა და ხელებაპყრობით მაღლა ზეცისკენ აიხედა.





სწორედ იმ დროს, როცა ორი დარბაისელი მამა-შვილი ბუხრის წინ საყვედურობდენ, თეიმურაზ მეფე მართლა ჩაკეტილში იჯდა მარტოდმარტო, დიდ საგონებელში ჩავარდნილი, მაგრამ რუსთაველზე არ ჰფიქრობდა. წინ ედვა ორი წერილი. ერთი ჩრდილოეთიდან და მეორე აღმოსავლეთიდან გამოგზავნილი. პირველი ტკბილი იყო, ალერსიანი და იმედით გამამხნევებელი, მეორე – რჩევა-საყვედურებითა და მუქარით სავსე; ერთი გულში უხიცინებდა, და მეორე კი გულზე ჰკბენდა: „თეიმურაზ-ხან, – სწერდა შაჰ-აბაზ პირველი, – შევიტყვე, რომ პაპიშენის კვალს შესდგომიხარ და გადამთიელი გინდა კარზე მომაყენო საჭირბოროტოთ, მაგრამ, სანამ მე მომადგებოდენ, ხომ შენი სამეფო უნდა დაუდვა გზად და ხიდად! და მიკვირს, რომ, ჩემთან ერთად ძმასავით თანშეზრდილს, ჭკუა-გონება დაგკარგვია! ჩვენი ძმური კავშირი უძველეს დროიდან დღემდე მტკიცედ შენახულა და ახლა რაღად უნდა გაწყდეს? მართალია, ჩვენი დიდი სახელი ადევს თქვენს პატარა სამეფოს, მაგრამ საქმით ხომ დამოუკიდებელი ხართ და არვინ ეხება თქვენს რჯულს, ენას, ეროვნებას, ზნე-ჩვეულებას და წეს-წყობილებას? მართალია, სპარსეთის „ვალლად“ ითვლები, მაგრამ ესეც თქვენივე სასიკეთოდ: ასე რომ არ ყოფილიყო და ჩვენი დასახელებული არ ყოფილიყავით, ვინ იცის, აქამდის რამდენჯერ აგაოხრებდენ თურქები, და დღეს კი, ჩვენი შიშითა და მორიდებით, ხვანთქარს თქვენი ბუზიც ვეღარ აუფრენია. ხარკს თუ იტყვი, აბა, რა სახსენებელია ხარკად სამოცი ზონა[1] ახალგაზრდა ქართველი ქალი, მაშინ როდესაც სამაგიეროდ ჩვენგან ათასთუმნობით მიგაქვთ და ხალათი კიდევ ზედმეტია. თეიმურაზ-ხან! გადაიგდე გულიდან ეგ ორივესთვის მავნებელი სურვილი, თვარა, თავმან ჩემმან, ვეღარ გადაურჩეთ ჩემ სამართლიან რისხვას ვეღარც შენ და ვეღარც შენი სამეფო!..“

ეს წერილი რომ წაიკითხა, თეიმურაზმა თავი ჩაღუნა და ღრმად ჩაფიქრდა. ბოლოს, თითქოს რაღაცამ გამოაფხიზლაო, უცბად გასწორდა, დაიყვირა: არა! არა! გათავებული საქმეა... აქ ფეილამბარია თავმდები და იქ კი ჯვარი და სახარება!.. პირველს რომ დავერწმუნო და მეორეს არ ვენდო, ეს ხომ რჯულის გმობა იქნება?! უნდა გადაწყდეს... რაც მოხდეს, მოხდეს!.. ეს პატარა კახეთიც ხომ ნაწილია იმ დიდის საქართველოსი, რომელიც წილად ჰხვდა ღვთისმშობელს, და განა დედაღვთისა ხელს აიღებს თავის საუფლისწულოზე? ცოდ-

1 ზონა, ანუ სონა, სპარსულად შვენიერსა ნიშნავს და სპარსელებიც ასე ეძახდნენ საქართველოდან წაყვანილ ქალებს (ავტ.).

ვაა აქ იჭვიანობა! არ ეკადრება საქრისტიანოს, რომ გულგრილად აიტანოს მაჰმადიანების მედიდურობა: წამიერმა ჭირმა, დროებითმა უბედურებამ როგორ უნდა გაუტეხოს გული მორწმუნეს?!. გამოცდა იგივე გამობრძმედაა; მისგან რჩეული ხალხი ღმერთმა არ ჩაჰყარა ეგვიპტის ტყვეობაში და მანვე არ დაუბრუნა ალთქმული მხარე და დაუჯინა სამეფო ტახტზე ჩემი წინაპარი დავით?! დღესაც შეურყეველი იქნებოდა მათი სამეფო, თუ რომ ღმერთი, ქრისტედ მოვლენილი, ეცნოთ ძედ ღვთისად და არ გასდგომოდნენ! შორს!.. შორს ჩემგან, იჭვიანობავ! მრწამს და ვაღვიარებ, რომ მომავალი ქრისტიანობისაა! დღესვე შევჰყრი დარბაზს და გადავაწყვეტინებ, რომ ორივემ თავთავისი საკადრისი პასუხი მიიღოს და, ღმერთო, შენით!.. – სთქვა, გამოისახა პირჯვარი და შეაჩერდა სახატეს.

ამავე დღეს დარბაზმა ხმის უმეტესობით გადაწყვიტა, რომ გაეწყვიტა კავშირი სპარსეთთან და მიჰკდლებოდა ჩრდილოეთს...

V

მრისხანებით აღტაცებული შაჰ-აბაზი ცეცხლითა და მახვილით შემოეჭრა კახეთს და მუსრი გაავლო: ციხე-ქალაქები დააქცია, სოფლები ააოხრა, ტაძრები დაანგრია და შებღალა. ვინც კი მთაში ვერ გაასწრო და გაუხიზნავი დარჩა – დაიღუპა. სიბრალული აღარსად იყო და მდინარეებს სისხლის ღვარი ერთოდა. ამ უბედურებამ ლანგ-თემურის დროებასაც კი გადააჭარბა... მძინვარე შაჰიმ, რაც გასწყვიტა, გასწყვიტა და, რაც არა, ათასობით და ასიათასობით სპარსეთში გადაასახლა! ამათ მოადგილედ ულუსები გადმოასახლა და გაღმა-გამოღმა ალაზნის პირები დაიჭირა. მაჰმადიანები ყოველი მხრივ ულოცავდნენ გამარჯვებას ირანის ლომს, მაგრამ თვითონ ლომს კი გული უკვნესოდა: „ეს გამარჯვება დამარცხებაზედაც უარესია, – ამბობდა გუნებაში. – აი, სად ვიგრძენ ჩემი უძლურება!.. ერთზე ათი მომყავს, ათზე – ასი და მაინც ვერასა ვხდები! ჩემი მთავარი ძალ-ღონე შემოვალიე მარტო ამ კახეთს და ეს ხომ მცირედი ნაწილია საქართველოსი?.. მაშ მთელი საქრისტიანო როგორღა ჩავიგდო ხელში? არ ჩავიგდო და მაშინ ხომ სპარსეთსაც უნდა გამოვეთხოვო?! ეს დასავლეთ-აღმოსავლეთის გზა და ხიდი, ეს ხმელთაშუა კარები, ეს პატარა ქვეყანა თუ ხელში არ ჩავიგდე, რა იქნება უმისოდ ჩემი დიდი სამეფო? უზარმაზარი ციხე უგალავნოდ, ადრე თუ გვიან ადვილად ასაღები და დასანგრევი!.. არა, საქართველო ის ნატვრისთვალია, რომელიც ხელში უნდა იგდოს სპარსეთმა!.. იგდოს?.. ჰმ!.. თქმა ადვილია! რას გააწყობ იმ ხალხთან, რომელსაც რჯული და ეროვნება ერთმანეთზე გადაუბამს, შეუხორცებია და სულს ხორცზე მაღლა აყენებს?.. საარაკო ლანგ-თემურმა მხოლოდ აქ იგრძნო თავისი კოჭლობა, როცა ამ პატარა „ქვეყნის ქვაკუთხედს“ წამოჰკრა ფეხი. ვაითუ ირანის ლომმაც აქ ამოიძუოს კუდი?! ხალხი, რომელსაც სხეული გაუკაჟებია და სული აუმაღლებია, საშიშია!.. ჯერ უნდა სხეული დაუდუნდეს, სული დაუმდაბლდეს და მერე, მხოლოდ მერე შეიძლება მისი მოდრეკა!.. ჰო, სწორედ! სწორედ! ზოგან, სადაც ცული ვერ გამოდგება, იქ პატარა ხერხს გააქვს და გამოაქვს ხოლმე!.. იქ, სადაც ლომის ტოტი ველარას სთესავს, მელიის კუდმა უნდა მოიმკოსო!..“ ასე გადასწყვიტა ძლიერმა და კიდეც შესცვალა თავისი გმირული, პირდაპირი პოლიტიკა საქვეშქვეშო-სავერაგოზე. – იმ დღიდან დაუტკბა მისგან აოხრებულ ქვეყანას და რისხვა წყალობად შეუცვალა. – ერთთავად მიფენილი მზის სხივები თვალის ჩინს ართმევენ კაცსა და სწორმხედველობას აკარგვინებენ... ყეენის უხვმა წყალობამ დააბრმავა კახეთი. კუჭმა გულს სძლია, სულმა ხორცს დაუთმო და ნელ-ნელა, „დღეს-ხვალობით“ ქვეყანამ შეტოპა საბრხეში. მოწინავე გუნდს და მათ მეთაურებს ტყუილად კი არ უსვამდა თავზე ხელს სპარსეთის ახალი პოლიტიკა! სასახლის კარზე უპირველესი ადგილები დაიჭირეს ქართველებმა და, ადვილად გამდიდრებულები, მიეცენ მცონარობას. არც ნიჭი, არც ცოდნა და არც სხვა რამ კაცური ღირსება არ სჭრიდა. რომელიმე პირადობის ასამაღლებლად საკმაო იყო მხოლოდ თავდადებული ერთგულება სპარსეთისადმი და სამშობლოს ნელ-ნელა გაწირვა. – ვინც ქართველობას არ ივიწყებდა, ის იჩაგრებოდა და წინ ბიჯის წადგმას ვერ ახერხებდა, გინდ გმირთა-გმირიც ყოფილიყოს!.. ამას ხედავდა შაჰ-აბაზი და გულში იცინოდა, სიკვდილის შემდეგაც ანდერძად დაუგდო მემკვიდრეებს ირანის ლომმა იგივე პოლიტიკა და მიტომაც ერთ საუკუნესაც არ გაევლო ჯერ, რომ აღმოსავლეთი საქართველო ნახევრად გათათრდა. შემოვიდა ხალხში სპარსული ზნე, ჩვეულება, რჯული და კანონი!.. ქართველს ქართველობა აღარ ეტყობოდა!.. ენა შეიბღალა, დიდ ოჯახებში ქართულად ლაპარაკი კიდეც ერცხვინებოდათ... სამართალი უცხო ენაზე იყო, წირვა-ლოცვის, გალობის კილო შეიცვალა, მღვდელმთავრების მოადგილედ ახუნდები გახდნენ და მსაჯულ-მოძღვრებად – მოლლა-ყადები. ამან ყოველივემ ისე გარყვნა ხალხი, რომ ქართველი ქართველზევე მეზვერეობდა


ბაში-აჩუკი

და ბოლოს ისე დაუძლურდა, რომ თვით სპარსელების საზიზღარ-გასაკიცხი შეიქნა ოდესმე სახელგანთქმული ქართველობა. ასე რომ, შაჰ-აბაზ მეორის დროს ქალაჩუნობა სრულიად საჭირო აღარ იყო და პირდაპირაც თავში დაუწყეს ცემა დაუძლურებულ ქვეყანას.

საკენკით მიტყუებული და ალერსით თვალახვეული კახეთი მიხვდა, რომ უბედურებაში იყო ჩავარდნილი, მაგრამ თანვე იგრძნო თავისი უძლურებაც და გაკმიდა ხმა. – „სულ არაობას ცალუღელი ხარი სჯობიაო“, – სთქვა თავის სანუგეშებლად და წაუშვირა კისერი უღელს!.. ვინც ადრე ამილახვრობას, ამირეჯიბობას, ეშიკაღაბაშობას და ამირბარობას არად აგდებდა, დღეს იმას ჩაფრობაც კი ენატრებოდა. სიღარიბე უფრო მაღალ წოდებას დაეტყო და შიმშილით გამწარებული თავადაზნაურობა დაბალ წოდებას დააწვა თავზე... ერთმანეთშიაც ისე აირ-დაირიენ, რომ სისხლხორცობა აღარასა ნიშნავდა და ნათესავი ნათესავს აღარ ზოგავდა, ოღონდ კი ჩამორჩენოდა რასმე! თავის წმინდანები რომ აღარ აგონდებოდათ, „ყეენის თავის მზეს“ ფიცულობდენ!.. და თუ აქა-იქ სადმე თავადაზნაურობაში რიგიანი ვინმე გამოერეოდა, ჯერ კიდევ გადაურჯულებელი და სამშობლოს მოჭირისუფლე, თავისიანებსავე არ მოსწონდათ და უკიჟინებდნენ. გლეხობას კი, იმ მუშა ხალხს, რომელიც ყოველდღე მამა-პაპების მოწამურ სისხლს, სამშობლოს მთა-ბარზე მსხვერპლად დანთხეულს, პატიოსან შრომის ოფლს აღვრიდა, არ ჰქონდა ჯერ კიდევ საერო კავშირი გაწყვეტილი... მზად იყო, რომ კვარივით ანთებულიყო, და უცდიდა მხოლოდ საიდანმე მონაკვეს ნაპერწკლებს!!. სწორედ ამ დროს სცხოვრობდა კახეთში ახმეტის მებატონე ბიძინა ჩოლოყაშვილი, ბუნებისგან უნაკლულოდ შემკული, რომლის გულიც ვერაფრით ვერ მოიგეს თათრებმა, ვერც რისხვითა და ვერც წყალობით. კახელებს უკვირდათ მისი ახირებულობა და ათვალწუნებული ჰყავდათ...

„გაგონილაო, – ამბობდენ თავადები, – ბედი კარზე მისდგომია და ეგ კი ჭირვეულობს... შინ არ უშვებსო!.. ყეენის თავის მზემ, ჩვენ უნდა ვიყოთ მაგის ადგილას, რომ ქვეყანა გავაკვირვოთ და მტრებს თვალები დავუყენოთო“. ამისთანაები ბევრი რამ ესმოდა ბიძინას, მაგრამ ხმას არ იღებდა... მხოლოდ ნაღვლიანად აქნევდა თავს.

ერთ დღეს ბიძამისი ჯანდიერი ესტუმრა. ეს ჯანდიერი ისეთი კაცთაგანი იყო, რომელიც აქეთაც არის და იქითაც: დროს შეჰყურებს!.. ხან წალმა ჰხნავს და ხან უკუღმა ჰფარცხავს!.. თათრების წყალობით გადიდკაცებულს, დიდი გავლენა ჰქონდა კახეთზე. თითქმის პირველი ვეზირი იყო მთავარმართებლის!.. მის უკითხავად ფეიქარხანი წყალსაც არ დააქცევდა და ახლაც თურმე იმას გამოეგზავნა მოციქულად ჩოლოყაშვილთან. სადილზე ნელ-ნელა სიტყვა შეაპარა მასპინძელს და გამოიწვია სალაპარაკოდ: „ჩემო დისწულო, – უთხრა სხვათა შორის, – მე მხოლოდ შენი ახირებულობა მაკვირვებს!.. ღვთის მოცემული ყოველიფერი ბევრი გაქვს... ჭკუა არ გაკლია და გონება! ბედიც გწყალობს, მაგრამ შენ კი შენი თავის მტერი ხარ!.. მითქვამს და კიდევ გეტყვი, რომ იქ, სასახლის კარზე, ბედნიერება მოგელის და შენ კი აქ მოგიკეცია ნაცარქექიასავით!.. რას ჩააკვდი ამ ახმეტას? სად გაგექცევა, შენი არ არის? კაცობა ის არის, რომ შორიდან მოიხვეჭო“.

– კაცია და გუნება, ბიძაჩემო!.. მე აქაც კმაყოფილი ვარ!.. ცოტა წმინდა მირჩევნია ბევრ უწმინდურს!..

– უწმინდურს?! როგორ თუ უწმინდურს?!. მაშ ჩვენ სულ გასვრილები ვყოფილვართ, სასახლის კარზე ვინცა ვართ?

– მე მხოლოდ ჩემ თავზე მოგახსენებ.

– შემცდარი ხარ!.. შეხედე სხვებს, როგორ ხმარობენ დროს და რარიგათა სცხოვრობენ!.. ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ყეენის თავის მზე!.. დღეს, მისი წყალობით, ავად თუ კარგად, ქვეყანა პურსა სჭამს.

– ჰმ!.. შინ ლუკმას გვაცლიან პირიდან და გარედან კი ნასუფრალს გვიყრიან ძაღლებსავით.

– რომ ეგეც აღარ გვქონდეს, ხომ სიმშილით ამოვწყდებით!..

– უწმინდურ სიცოცხლეს მე წმინდა სიკვდილი მირჩევნია და, სანამ მოვკვდებოდე, მანამდე მაინც კიდევ ვეცდები, რომ ჩემი ლუკმა როგორმე დავიბრუნო.

– გვიანღა არის, ჩემო დისწულო!.. ძალა აღმართს ხნავსო, არ გაგიგონია? ეგრე აღარ ჰფიქრობს ქვეყანა და შენ ერთი, მარტო, რას გააწყობ? ნათქვამია: „ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო“.

– გაზაფხულს ვერც ერთი მოიყვანს და ვერც ათასი! მაგრამ თვითონ გაზაფხული კი ერთსაც მოიყვანს და ათასსაც. ეგებ ჩვენი გაზაფხულიც მოდიოდეს!.. დღეს მე ვარ ერთი, ხვალ ათი იქნება და ზეგ ათასი!..

– კეთილი, მაგრამ ხშირად ადრე მოფრენილ მერცხალს სუსხი სცემს და სიცივე ჰკლავს.

– მესმის, ბიძაჩემო, მაგრამ მაინც მე ჩემდათავად გაზაფხულის მახარობლობის დროს სიკვდილი მირჩევნია ზამთრის წინასწარმე-

ტყველებაში მედიდურად სიცოცხლეს!.. ვიცი!.. განა არ ვიცი, რომ დიდკაცობა ტკბილია?.. სად თეირანი და სად ახმეტა? იქ ყოველიფერი თვალს იტაცებს, გრძნობა-გონებას ჰხიბლავს და კუჭს ატკბობს... მაგრამ კიდეც მაგისი მეშინია!.. არ მინდა, რომ ის გადამივარდეს გულიდან, რაც უნდა სიკვდილამდე მახსოვდეს და ვეტრფოდე. აქ, ამ პატარა ახმეტაში, ყოველიფერი მალამოდ ეცხება ჩემს გრძნობა-გონებას: მიწა, წყალი, მთა, კლდე, ტყე და ველი, ყველა ერთად ნათესაურის კავშირით გადაბმულა ჩემთან!.. ვგრძნობ რაღაც ერთ სისხლხორცობას მათთან! ვგრძნობ და ჭირს ადვილად ვიტან!.. ამის სამაგიეროს რას მომცემს უცხოეთი?!. რად მინდა შენი გარეგანი თვალსატყუარი დიდკაცობა მაშინ, როდესაც დამალული გრძნობა-გონება იჩაგრება და სულს აჩიავებს?! ტკბილია თქვენი შარბათები, მაგრამ ვერ გავსცვლი იმ ჩემ ღვინოზე, რომელიც ჩემი მამა-პაპის სისხლით არის წითლად შეფერილი!.. გემრიელია თქვენი მურასა-ლავაშები, მაგრამ მე მაინც ჩემი ქვეყნის პური მირჩევნია, ის პური, რომელშიაც ჩვენი ძველების ნაწილები ურევია... დიახ, ნაწილები!.. ჩვენი საყანეები მათის ძვლებითა და ხორცით არიან დაპოხიერებული!! მართალი არის ჩვენი გლეხკაცობა, როდესაც ღვინის დალევის დროს პირჯვარს იწერს და, პურის გატეხის წინედ, ჯერ პურს ემთხვევა!.. ის წმიდა-წმიდათა, ზიარებაა ჩვენთვის... და ჩემს სამშობლოს რომ გავშორდე, სადღა მივიღო?!. არა, ბიძაჩემო, არა!.. ისინი ჩვენთვის უცხო არიან და ჩვენც იმათთვის!.. რაც ბუნებასა და საუკუნოებს არ შეუხორცებია, მისი შეწებება ტყუილია!.. არა გამოვა რა!.. ან განშორება და ან სიკვდილი!.. ორში ერთი აუცილებელია!..

ეს რომ სთქვა, წამოვარდა ზეზე, გავარდა აივანზე და დაიწყო გიჟივით სიარული... ჯანდიერმა გადააქნია თავი, „ვაიმე, ჩემო დისწულო, რა კაცი ილუპებიო?!“ – სთქვა მწუხარებით, გამოვიდა კარში, შეჯდა ცხენზე და გაუდგა გზას.

დიდხანს იბორგა გაბოროტებულმა ბიძინამ და რომ დაიღალა, დღე და ღამის გაყრის დროს, ჩამოჯდა ტახტზე და გადახედა ალაზნის პირებს. ბნელი თანდათან იჭერდა არემარეს... თვალი სინათლესა ჰკარგავდა, მაგრამ სამაგიეროდ ყური ძალას იჩენდა... ალაზნის შხუილი, ნიავისაგან მოტანილი, თითქოს შესჩივის და შეჰხვნეშის მის გარეშემოს!.. ცაზე ვარსკვლავები აკიაფდნენ!.. მთვარე ჯერ კიდევ ისევ მთას ეფარა... მაგრამ ცოტაოდნად კი შემოსცინა ცის კიდეს. ეტყობოდა, რომ შორს აღარც ის იყო... აქვე ახლოს გაისმა შოლტის ტკაცუნი და ზედ „ოროველას“ ღიღინი მოჰყვა. „მადლობა ღმერთს,





რომ კიდევ ერთი მშობლიური ხმა მესმის! – სთქვა ამოოხვრით ბიძინამ. – დიდი ხანია, რაც ახალმა ცხოვრებამ გადაფხიკა კახელის გულისფიცარზე დღემდე ღრმად დაბეჭდილი მისი ისტორიული ნაგრძნობი და ნაფიქრები!.. ქართულ ტკბილ ღიღინს, ვაჟკაცურ შეხმატკბილებასა და სასოების მომგვრელ გალობას ბოლო მოუღო თათრულმა შექაქანებამ!.. ტკბილი ჩანგური და სალამური ზურნა-ჭიანურმა ჩაყლაპა!.. მხოლოდ ეს ორი სავალალო ხმა, „ოროველა“ და „მუმლი მუხასა“, კიდევ შერჩენია მუშა ხალხს... და, მადლობა ღმერთს, სანამ ესენიც არ მივიწყებულან, ჯერ კიდევ იმედია“ – წაილაპარაკა ბიძინამ. ამ დროს თავი ამოჰყო გადაღმიდან მთვარემ... ნელ-ნელა გადმოეშვა მთის წვეროზე, სამკურნალოდ მიჰფინ-მოჰფინა სხივები ცას და ქვეყანას, გამოაღვიძა სიბნელეში სულგანაბული არემარე, დაჰქროლა ნიავმა, აბიბინდა მდელო, აშრიალდნენ ფოთლები, შეირხნენ ბუჩქები და ერთხმად შეუჭიკჭიკეს ბულბულებმაც!.. ბნელით გამოსულმა ქვეყანამ სული მოიბრუნა და დანაღვლიანებულ ბიძინასაც გული დაუტკბა. – გზაზე გამოჩნდა ურემი... ნელ-ნელა მოდენიდა მეხრე კამეჩებს და „ღიღინს“ სათვალავს უხშირებდა: „ნუ ეძალები წყალდიდსა, უნდა ეძებდე ფონებსო!.. ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსო!“ შემოსძახა მაღალის ხმით და თან „ხიოც“ მიაყოლა შოლტის გატლაშუნებით. – ბიძინა შეკრთა, უცბად წამოდგა ზეზე და ზეცას დაუწყო ყურება... დიდხანს ხმას არ იღებდა, ბოლოს – თითქოს გამოერკვაო – წაილაპარაკა: ეს რა გავიგონე?! მიწამ შემომტყორცნა, თუ ცამ ჩამომბერა ეს საგულისხმო სიტყვები? „ხერხი სჯობია ღონესო!“ საიდანაც უნდა იყოს, სულ ერთია... უგანგებოდ ცაცა და მიწაც, ორივე მუნჯია!!! ჩემი დიდი ხნის გრძნობა-გონების ჭიდილი ამ ორმა სიტყვამ უნდა გადასწყვიტოს!.. დიახ! დიახ!! „ხერხი სჯობია ღონესაო!“ ხერხი! ხერხი!! მაგრამ ხერხი საქვეყნო და არა საპირადო!.. ციურნო მნათნო! თქვენ იყავით მოწამე ჩემი განზრახვის და თავდები ჩემი მოქმედების!.. თქვენ კიდევ ჩასული არ იქნებით, რომ მე მორჩილებით მივმართავ ალი-ყული ხანს.

## VI

ჩოლოყაშვილმა კარგი ფეხი ვერ მიუტანა სპარსელებს: გადავიდა თუ არა მათკენ, მაშინვე გაჩნდნენ კახეთში სხვადასხვა გუნდები გავარდნილთა და მოსვენებას აღარ აძლევდნენ თათრებს; სადაც

კი შეიგულებდენ და მოასწრებდენ, სულ მუსრს ადენდენ, და ისე შეაშინეს, რომ, არათუ სოფლებში ველარ დაფარფაშობდნენ ადრინდულად, ციხე-დარბაზშიაც კი შიშის ქარი უქროდათ; და თუ არ სიფრთხილით, გალავანის გარეთაც ველარ ჰბედავდენ ფეხის გადადგმას. შესანიშნავი უფრო ის იყო, რომ მარტო თათრებს კი არა, ქართველებს უფრო სდევნიდენ, როგორც კი შეატყობდენ, რომ თათრების მომხრე და იმათი ერთგულები არიანო. ბევრი გამოჩენილი და თათრის სამსახურში დაწინაურებული გამოათხოვეს წუთისოფელს; რამდენიმე თავადაზნაურობის ოჯახი აიკლეს! საბუეში ერთი მღვდელი შეიპყრეს და როგორც ქვეყნის ორგულს, თვალები დასთხარეს: ახლა მაინც ჩაიხედე გონებაში და შეინანეო. ჯანდიერს სახლ-კარი გადაუწვეს. ამბობდენ, რომ ჩოლოყაშვილსაც რამდენჯერმე დაესხნენ თავზე, მაგრამ კაცმრავალმა ოჯახმა, როგორც იქნა, მოიგერიაო. იმათი წინააღმდეგობა და მოპირდაპირობა მით უფრო საძნელო შეიქნა, რომ არავინ იცოდა, ვინ იყვნენ, სად იყვნენ და საიდან როგორ მოდიოდენ. ჩავარდა მთავრობა საგონებელში: „ადგილის კურდღელს ადგილისავე მწევარი თუ დაიჭერსო, თვარა უცხო ვერას გახდებაო“, – ჰფიქრობდა ფეიქარ-ხანი და კახელებსავე ეხვეწებოდა, რომ გამოდგომოდენ იმ უკულმართებს და მით ერთგულება გაეწიათ ყეენისათვის. გუნებაში, ეგების, ბევრს უნდოდა, მაგრამ ცხადად კი მათი დევნა შიშით ვერავინ გაბედა და ჩოლოყაშვილს მიანდო მთავრობამ, რომელსაც, როგორც თვითონ ამტკიცებდა, „ცდა არ დაუკლია, მაგრამ მაინც ვერა გააწყო რა!“ გუნდები უფრო და უფრო გამრავლდენ და გავარდნილები გათამამდენ. გაჭირდა საქმე. ფეიქარ-ხანმა აღარ იცოდა, რა უნდა ექნა, და უნდა ეცნობებინა ყეენისათვის, რომ ერთ დღეს არ გამოცხადებოდა სვიმონ მაყაშვილი და არ შეჰპირებოდა: „მე დავამშვიდებ ქვეყანასაო!..“ ეს მაყაშვილი, როგორც გაიძვერა და გაუტანელი კაცი, ყველას სძულდა. თეირანში იყო გამოზრდილი ყმაწვილობიდგანვე და ერთს დროს დიდი ადგილიც ეჭირა სასახლის კარზე, მაგრამ ცოტა რამეზე გადაუბრუნდა ფეხი და შერისხული გამოისტუმრეს თავის ქვეყნისაკენ, და მას შემდეგ უმნიშვნელოდ დაეხეტებოდა აქეთ-იქით. დიდკაცობისა და მტარვალობის ნაჩვევს მოსვენება აღარ ჰქონდა და სულ იმაზე ჰფიქრობდა, თუ როგორ დავიბრუნო ძველი დრო და დიდებაო. თარეშობის დროს ხელი მოემართა მის მოუსვენარ სურვილს და ხელმეორედ გამოიყვანა სარბიელზე: მთავრობამ მეთვალყურედ დანიშნა. დიდების მაძიებელი და უფლებაშეუსაზღვრელი





მოხელეც მაშინვე შეუდგა საქმეს. შეატყობინებდენ თუ არა მისი ხელქვეითები, რომ ამა და ამ სოფელში თავზე დასხმიან ვისმე და ან ტყუილა გზად გაუვლიათ სადმე გავარდნილებსო, მაშინვე აიკლებდა იმ სოფელს და ააოხრებდა განუკითხავად. „ბატონო! ჩვენ რას გვერჩით? ძალაც თქვენ ხელშია და სამართალიცაო: ვინმე მოთარეშეთაგანმა ჩვენ სოფელში გაიაროს, ჩვენ რა ვიცით და რა ჩვენი გადასახადიაო?“ – ევედრებოდენ სოფლელები, მაგრამ სადღა იყო გაკითხვა? მით უფრო, რომ მთავრობა უწონებდა მკაცრობას და აგულიანებდა მტარვალს. ამგვარმა მეცადინეობამ უნაყოფოდ არ ჩაიარა!.. მართალია, მოთარეშეები არა თუ არ გაუწყვეტია, თვალითაც არ უნახავს არავინ მათგანი მთავრობას, მაგრამ რამდენიმე თვის განმავლობაში მართლა შეწყდა თარეშობა და გავარდნილების აღარა ისმოდა რა. ეს სამსახური იმდენად მოუწონეს და დაუფასეს მაყაშვილს, რომ ყეენმა გული მოიბრუნა და პირველი ხალათი უბოძა.

ყეენის ტახტზე აბრძანების დღეობას იხდიდნენ, ალვანის მინდორი მოჭედილი იყო ხალხით. ერთი მხარე ბამბის კარავებით იყო მოფენილი. ოქროს კარავში კახეთის მმართველი ალი-ყული-ხანი იჯდა და გარს დიდებულები ჰყავდა შემოხვეული. მზე დიდი ხნის ამოსული არ იყო, ასე ორ-სამ შუბის ტარზე თუ იქნებოდა აღმოსავლეთით წინ წამოწეული, რომ მოსაკრავეებმა ქაბული დაუკრეს. ხანი გამოვიდა ამალით და მიმართა საჭიდაოს; ხალხმაც დაიგრიალა და ყოველის მხრით მოატყდა და შემოერტყა ირგვლივ წრეს. იმ დროს ჭიდაობა დიდად მიღებული იყო როგორც თათრებში, ისე ქართველებშიაც. ფეიქარ-ხანი მოყვარული იყო ფალავნობის და ხშირად ესწრებოდა ხოლმე ჭიდაობაზე. განთქმული ფალავანები ერთმანეთს არ ზოგავდნენ გვარტომობის გაურჩევლად, მაგრამ უფრო ხშირად კი თათრები და ქართველები ეჭიდავებოდენ ერთმანეთს. თუმცა თათრები ჩვეულებისამებრ ტიტვლები გამოდიოდენ საჭიდაოდ, ტანზე ქონწასმულები, ასე რომ ხელი აღარსად ეკიდებოდათ, და ქართველები კი საჭიდაო ჩოხით გადიოდნენ, მაგრამ მაინც ხშირად გამარჯვება ამ უკანასკნელებს რჩებოდათ. წინა დღეს კოზმანაშვილმა გალახა თათრების განთქმული მოჭიდავე, ბეჭი ამოუგდო, და ამან ისე შეაწუხა თათრები და თვით ფეიქარ-ხანსაც ისე დასწყვიტა გული, რომ აბდუშაჰილს უბრძანა: „გინდა თუ არა, დაეჭიდეო“. ეს აბდუშაჰილი ერთი უთვისტომო ვინმე იყო, მაგრამ თავის ვაჟკაცობით პირველობა დაერჩინა არდალანში და ფეიქარ-ხანის ცხენოსანი ჯარის მეუფროსობა ეშოვნა. ჭიდაობა თუმცა აღარ ეკადრებოდა,

როგორც დიდკაცს, მაგრამ ხანს ხათრი ველარ გაუტეხა და შევიდა წრეში წელზევით ტიტველი. ერთი შეხედვით, ჩასხმული, უზარმაზარი, შავი მარმარილოს ქანდაკი ეგონებოდა კაცს. შავი წვერები ტევრად ეყრებოდა გულ-მკერდზე, დიდი ულვაშები აქეთ-იქით ტოტებად სცემდენ სიგძისად; დიდროვანი შავი თვალები, სქელი წარბებით გადმოხურულ-დაჩრდილულები, საოცრად ბრიალებდენ. დაუკრეს საჭიდაო. ატორტმანდა ფალავანი, ჯერ მაღლა აღაპყრო ხელები, ზეცას შეხედა, თითქო გამარჯვება გამოსთხოვაო, მერე დაემხო დაბლა და მიწას სამჯერ აკოცა; წამოდგა ზეზე და კალოს შემოუარა; ცერებზედ დგებოდა ყოველი ბიჯის გადადგმაზე და ძალზე ჰაერს ისუნთქავდა, თითქოს ცდილობდა, რომ გულ-ბოყვი გაედიდებია, გაებერა. ერთხელ რომ შემოუარა წრეს, ისევ თავის პირველ ადგილზე გაჩერდა, დაიჩოქა ცალ მუხლზე და იქითკენ დაიწყო ყურება, საიდანაც მოპირდაპირე უნდა შემოსულიყო. უკივლეს მსურველებს, მაგრამ არავინ გამოჩნდა. მეორედ დაუარა კალოს, კიდევ არავინ სჩანდა.

– სად არის გუშინდელი თქვენი გამარჯვებული კოზმანაშვილი? – იკითხა ხანმა.

– უარზე სდგას, ასე ამბობს: „მე ფალავნებს ვეჭიდავები და არა გოლიათებსო“, – მოახსენეს ქართველებმა.

– მაშ კარგი, სირცხვილი თქვენიო! – ღიმილით სთქვა ხანმა და უბრძანა მოჭიდავეს მესამედ კიდევ წრეში შენავარდება და ისე გასვლა წრიდან.

მოჭიდავემ აასრულა ხანის ბრძანება და მედიდურად დააპირა წრიდან გასვლა. თათრებმა კმაყოფილების ნიშნად წვერებზედ მოისვეს ხელი და ულვაშებში ჩაიცინეს.

ამ დროს ხალხში რაღაც ჩოჩქოლი ატყდა და მოისმა კიჟინი: „დაუკარით, დაუკარითო!“ უცბად შეჩერდა აბდუშაჰილი და აქეთ-იქით დაიწყო ყურება. წრეში ვეფხვივით შემოვარდა ერთი ვილაც ტანწვრილი, მაღალი, მხარბეჭიანი და თმაგაჩეჩილი ახალგაზრდა, შეხედა მოპირდაპირეს და შეჩერდა. თათარმა ტორტმანი დაიწყო და ხელების შლა; უცებ გაექანა შურდულივით ახალგაზრდა, შეუვარდა ფეხებში, გამოჰკრა ორივე ხელი, ჯირკივით გადააგორა ფალავანი და გამოიჭრა წრიდან.

– არა, არა! ჯერი არ არის! მაგრე არ იქნებაო! – ჰყვიროდენ თათრის მომხრეები, გაბრუებული აბდუშაჰილი წამოდგა ზეზე და სთქვა: „მე ჯერ სალამი არ გამეთავებინა და ის ღალატით მომვარდაო“.





ძალათი გამოათრიეს მეორედ ახალგაზრდა; ის გაჩერდა ერთ ადგილას და აღარ იძროდა.

– თათარო, სალამი რომ გაათავო, დამიძახე და მოვალო! – მიაყვირა ფალავანს. იმანაც, ბრაზმოსულმა, კამეჩივით მიაშურა ახალგაზრდას, მაგრამ ის განზე გაუხტა და თათარმა ხელები ჰაერს მოუპოტინა. რამდენჯერმე ჩაუქროლ-ჩამოუქროლა ახალგაზრდამ გოლიათს, მაგრამ ატყუებდა: ხან აქეთ და ხან იქით განზე უხტებოდა, რომ ხელში არ ჩავარდნოდა. მოთმინებიდან გამოსული თათარი წყევლა-კრულვით დასდევდა მოპირდაპირეს; შეურჩია დრო, როგორც იქნა, ახალგაზრდამ, მოავლო ხელი კლავში, წამოიკიდა ზურგზე, გადილო კისრულით და დაუშვა ხელები. აბდუშაჰილი სიგრძისად გაიდღაშა გულაღმა დედამიწაზე... გამარჯვებულმა ცალი ფეხი დაჰკრა ფაშვზე, გადაახტა და გავარდა წრიდან. ხალხმა კიჟინა დასცა.

– შაითან, შაითან! – დაიძახეს აქეთ-იქით თათრებმა.

– ახლა გინდა შეიტანე და გინდა გამოიტანე ეგ თქვენი რუმბივით გაგორებული ფალავანი, სულ ერთიაო, – უპასუხებდენ მხიარულად ქართველები.

დაცემული წამოაყენეს და წაიყვანეს გაბრუებული უფრო სირცხვილით, ვიდრე გალახულობით. მოიკითხეს გამარჯვებული, მაგრამ ველარსად ნახეს; მიიმალა ხალხში. ველარ გაიგეს, ვინ იყო. ფეიქარხანმა წარბები შეიჭმუხნა და ზეზე წამოდგა, გაბრუნდა ისევ თავის კარვისაკენ. ხალხიც დაიშალა, წავიდ-წამოვიდა აქეთ-იქითკენ. იმ დღეს, მართალია, ხანი გუნებაზე ვერ იყო, მაგრამ მაინც მხიარულად ჩაიარა საერო ლხინმა და შექცევამ. ნასადილევს, ჩვეულებისამებრ, ცოტა წაიძინა დიდკაცობამ და მერე კი, რომ აგრილდა, გამართეს ჯირითი.

ცხენოსნები გაიყვნენ ორად და დადგენ გაღმა-გამოღმა მოედნის პირად. ცხენებმა იგრძნეს, კუდები აწიეს, თავი მოიქანჩეს, ცმუტავდენ ერთსა და იმავე ადგილას მარჯვნივ და მარცხნივ ტრიალით. ზურნის ხმა რომ გაისმა, მაშინ კი შეკუნტრუშდენ და, თუ მხედრებს თავი არ მოექანჩათ მათთვის, გამოიჭრებოდნენ შუა მოედანზე. ახლა კი თავშეკავებულები, ბერავდენ ცხვირის ნეშტოებს, ფრთქვინავდენ, კბილებს უჭერდენ ლაგამს, ყურებს აცქვეტდენ და თვალებს აბრიალებდენ. გამოახტუნა ერთმა მხედართაგანმა თავისი ყარაბაღულა და მოხდენით მიაგდო მოპირდაპირე გუნდზე, გამოიწვია მოწინააღმდეგე და საოცარი სისწრაფით გამოატრიალა ცხენი. უკანას ჯირითი შესტყორცა, მაგრამ წინამ ჯირითს ჯირითი აუკრა

და გადაივლო თავზე. ახლა სხვები გამოვიდენ, ახლა კიდევ სხვები რიგ-რიგით, ასე რომ, წესი არავის დაურღვევია. მშვენიერი სანახავი იყვნენ მხედრები, როცა ისინი შენატყორცი ჯირითის ასაცილებლად ხან მარჯვნით და ხან მარცხნით მანდიკურად გადაეკიდებოდენ ცხენს და ზოგჯერ მუცელქვეშაც ამოევლებოდენ ხოლმე. ბედაურებისათვის საჭირო აღარ იყო არც დეზი და არც მათრახი; იმათ თვითონ იცოდენ, რა დროს რაგვარი მიხვრა-მოხვრა იყო საჭირო. გამეტებით ჯირითის გაგდება დაშლილი იყო; ზოგ მოჯირითეთაგანს ნება არ ჰქონდათ მარჯვენა ხელში აეღოთ და მარცხენათი ათამაშებდენ. აბდუშაჰილს სულ არ მიუღია იმ ჯირითში მონაწილეობა.

გათავდა ჯირითიც. შეერთდა ორივე მხარე, მწკრივად დააყენეს ცხენები ყველამ ერთად, ცოტა შეასვენეს და, დაუკრეს თუ არა ზურნა, მიანებეს თავი ცხენებს და ისინიც ჭიხვინ-ხიხვინით გავარდენ ჯეირანივით. ცხენოსნებს უნდა ის მინდორი სიგრძისად გადაეჭრათ, მისულიყვენ კიდემდე და მერე იქიდან სათითაოდ გამოეჭენებიათ ცხენი, რომ ყაბახი ჩამოეგდოთ. იმ დღეს ყაბახად ოქროს თასი იყო დასმული თვალაუწვდომელ ჭადრის წვერზე; თითო ჯირითი ყველამ შესტყორცა, ზოგმა ახლოს მიიყვანა, ზოგმა ხეს გადაავლო თავზე, მაგრამ ვერც ერთმა კი ვერ შეანძრია ნიშანი. ბოლოს წამოვიდა ვიღაც შავცხენოსანი ისეთი სისწრაფით, რომ თითქმის აღარ სჩანდა ცხენზე, შორიდანვე შესტყორცა ჯირითი, ჰკრა შუაგულში და მაღლა შეაგდო. თასი ბზრიალ-ბზრიალით წამოვიდა; მხედარმა მიაგდო ცხენი ხის ძირში, შეაყენა უკანა ფეხებზე და ჰაერშივე მოავლო ხელი თასს, დაბლა აღარ დაუშვა; ჰკრა ქუსლი ცხენს და მიაჭენა იქ, სადაც ქართველი დიდებულები იდგნენ; ვითომ ზდილობისამებრ დააპირა გადმოხტომა, მაგრამ გაგიჟებული ცხენი ხელს უშლიდა. მაშინ ცხენდაცხენ გაუშვირა თასი ერთ დიდებულთაგანს და დაიყვირა: „ღმერთმა ნუ მოუშალოს გამარჯვება ბატონ მაყაშვილსო!“ სვიმონ მაყაშვილმა წინ რამდენიმე ბიჯი წამოდგა და ჩამოართვა თასი. ამ დროს უცბად ჰაერში რაღაცამ გაიელვა და მაყაშვილი ჯერ ისევ ფეხზე იდგა, რომ თავი მიწაზე კოტრიალობდა. მხედარმა გამოატრიალა ცხენი და უკანვე გაჰქუსლა. შეკრთა დიდი და პატარა! ბოლოს დაიძახეს აქა-იქ: „ჰეი, ბაში-აჩუკია, ბაში-აჩუკიო!“ გამოუყენეს მდევრები, გვიანღა იყო: გარისხდა ფეიქარ-ხანი, გაწყრა მეთვალყურეებზე და ბაში-აჩუკის თავიც ათას ოქროდ დააფასა.





## VII

ამ ხანებში არეულობა მოხდა იმერეთში და ქართლის მეფე ვახტანგი, შახნავაზად წოდებული, გადაიწვიეს, რომ მისი შვილი არჩილი იმერეთის მეფედ დაესვათ. იმერეთის დიდკაცობა დიდი პატივისცემით და ძღვნით დაუხვდა დიდებულ სტუმარს. სიუხვით ყველას წერეთელმა გადააჭარბა, თუმცა მეფის გული კი აბაშიძემ უფრო მოიგო და ბევრიც არა დახარჯვია რა: მხოლოდ ათი ახალგაზრდა ქალიშვილი, ერთიმეორეზე უშვენიერესი, მიართვა: „ყეენისათვის საჩუქრად დაგჭირდებაო“. ამ მცირე ძღვნით ისე კმაყოფილი დარჩა მეფე, რომ სხვების განძი ჩალადაც აღარ ჩაუგდია. წერეთელი, როგორც მეტოქე და მოქიშპე აბაშიძისა, ყველაზე უფრო გულნატკენი დარჩა და დაღონდა. კიკო ბაქრაძემ შეურჩია დრო ბატონს და მოახსენა:

– თქვენი ქება-დიდება – თქვენი ყმების ქება-დიდებაა, თქვენი ძლევამოსილობა – ჩვენი გამარჯვებაა, და ნუ გვიზამ მისთანა საქმეს, რომ აბაშიძის საყმოს სასაცილო გავხდეთ! მეფე რომ ქართლში გადაბრძანდეს და წერეთელზე აბაშიძე უფრო პატივით მოიხსენიოს, ეს ჩვენი სიკვდილი იქნება!

– მეც მაგას ვწუხვარ, ჩემო კიკო, მაგრამ რა ვქნათ? – მიუგო ბატონმა დაღონებით. – ხარჯი არ დამიკლია, თავი არ დამიზოგავს, სალარო თითქმის დავაცარიელე და მეტი რაღა მექნა?

– ჩემო ხელმწიფევ! თუ არ გამიწყრებით, ჩემი უგუნური ჭკუით ისეთ რამეს გირჩევთ, რომ მეფის გულიც თქვენ დაირჩინოთ და აბაშიძის ძღვენიც დაავიწყოთ; ისეთი რამე მიუძღვენით, რომ მართლა გასაკვირველი და საარაკოც იყოს!

– თქმა ადვილია, მაგრამ რა გამოვძებნოთ მაგისთანა?

– ღმერთი მოწყალეა! რახან ლამაზ ქალებზე მივარდა საქმე, არა გვიჭირს რა, ბედი ჩვენკენ არის! მღვიმის მონასტერში ორნი დანი იზდებიან, ტყუპის ცალები, ერთი მეორესაგან არ გაირჩევა და არც მათი მზგავსი რამ ნახულა ჯერ ჩვენში.

– მერე-და უპატრონო ობლები არიან?

– თითქმის, ჩემო ხელმწიფევ! ჩემს მეტი აღარავინა ჰყავსთ და მე ან ჩემი თავი რად მინდა და ან ისინი, თუ არ თქვენი ჭირის სანაცვლოდ? დედა იმათ არა ჰყავთ და მამა, ერთი ძმა ჰყავდათ და ისიც დაიკარგა, ამდენი ხანია მისი ასავალ-დასავალი აღარ ვიცით. მეც ხომ უცოლშვილოდ გადავდივარ, ეს არის და თქვენს გარდა პატრონი

და ჭირისუფალი ვინღა ეყოლებათ? გამოიყვანეთ ორივე და მიუძღვენით მეფეს. ისინი სადაც უნდა იყვნენ, სასახლის კარზე, საქრისტიანოში თუ საურჯულოში, მაინც არა უშავთ რა; მათი სილამაზე და მზეთუნახაობა არც ერთს გზას არ დააკარგვინებს.

დიდხანს ყოყმანობდა წერეთელი: მისი ნაერთგულარი ბაქარას შვილები დასაკარგავად არ ემეტებოდა, მაგრამ აბაშიძის მეშურნეობამ დარია ხელი; გამოიყვანა ორივე დები და წასვლის დროს მიუძღვნა ვახტანგს. როგორც მეფე, ისე მთელი მისი ამალა გაოცებული იყვნენ ბაქრაძის ქალების სილამაზით, მით უფრო, რომ ერთს მეორისაგან ვერ არჩევდნენ. მეფემ აღარ იცოდა, როგორი მადლი გადაეხადა წერეთლისათვის და დიდძალი ყმა და მამული უბოძა ზემო-ქართლში. თვითონ კმაყოფილი დაბრუნდა ქართლისაკენ და დაიბარა, რომ როგორც ეს ორი მზეთუნახავი, ისე დანარჩენი ათი ქალიშვილი, თორმეტივე ერთად გამოემგზავრებინათ.

მისი ნება ასრულდა, მაგრამ შიგ შუაგულ ქართლში ერთი უცნაური და უჩვეულო რამ მოხდა: მეფის ბარგს დაესხენ თავზე ავაზაკები მოულოდნელად და თორმეტივე ქალი მოიტაცეს; ნივთეულობისათვის კი ხელი არ უხლიათ.

მეფე ვახტანგს რომ მოხსენდა ეს თავხედობა, გარისხდა, ბრძანა გზების გაკვრა, მთელი სამეფო შესძრა, იმერეთშიაც ბევრი ეძებეს, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერა გაიგეს-რა. ხალხში კი ჩუმად ლაპარაკობდნენ აქა-იქ: „ეს ბიჭობა, კახეთში რომ გამოჩენილი ბაში-აჩუკია, მისი საქმე უნდა იყოსო“. დიდმა ხანმა გაიარა ამის შემდეგ.

ჭიდაობის შემდეგ აბდუშაჰილი თავის ქერქში აღარ იყო; გულში ჩაიდვა ბაში-აჩუკის ჯავრი და სულ მარტოდმარტო აქეთ-იქით დაეხეტებოდა მთელი დღე; უდაბურ ტყეებშიაც კი დადიოდა, რომ ეგებ სადმე წავაწყდე ჩემს მძლეველს, სამაგიერო გადავუხადო და სირცხვილიდან გამოვიდეო.

მარტო აბდუშაჰილი არა ფიქრობდა ბაში-აჩუკზე, სხვებსაც ბევრს ჰქონდა გატეხილი ძილი, მაგრამ მიზეზი კი სხვადასხვა იყო: პირველს ვაშკაცური ჟინი აშფოთებდა და სხვებს კი ათასი ოქრო არ ასვენებდა. ამ უკანასკნელებში ყველაზე უფრო მეტად ჰქონდა საღერღელი აშლილი თიმსალ-მაკოს. ეს იყო თელავში მცხოვრები, ტერტერას ქვრივი, ჭკუითა და მოხერხებით განთქმული; უამისოდ არც არც ჭირი და არც ლხინი არ იქნებოდა, ავშიაც გამოსადეგი იყო და კარგშიაც, და მასთანაც, განთქმული მაჭანკალი. ატყდებოდა თუ არა სადმე ახალგაზრდებში ტრფობის ცეცხლი, ეს მაშინვე, თითქოს ტრუსის სუნი ეცაო, იქ გაჩნდებოდა და დაატრიალებდა ჯარას; დიდსა და პატარას ყველას იცნობდა, ყოველ ოჯახში შინაური იყო, ყველასათვის საჭირო და გამოსადეგი, მაგრამ არავის არ უყვარდა. გაიგო თუ არა, ბაში-აჩუკის თავი ათას ოქროდ დააფასესო, ანგარებამ აიტანა და ამბობდა გუნებაში: „ხუმრობა არ არის ამდენი ფულიო! ჩემი ხერხი და ეს ერთად ქვეყანას, უნდა, წაღმა დაატრიალებენ და უნდა, უკუღმაო... როგორ შეიძლება, რომ მისი ბინა და ვინაობა ხალხში არავინ იცოდესო? მარტო ის ხომ არ არის გავარდნილი, მასთან ერთად, ვინ იცის, რამდენი ახალგაზრდებიაო? როგორ დავიჯერო, რომ ერთ მათგანს მაინც ვინმე სოფლელებთან დამოკიდებულება არა ჰქონდესო?“ ეს რომ გადასწყვიტა გუნებაში, კიდეც შეუდგა საქმეს: სადაც კი მოჰკრავდა ყურს, ამა და ამ სოფელში ნაძრახი ქალი ვინმე არისო, იმდენს ეცდებოდა, რომ გასცნობოდა და დამეგობრებოდა. ზოგიერთ ოჯახებში ნათელმირონიც კი შეიტანა, მაგრამ ვერას გახდა, ვერა გაიგო რა, მხოლოდ ეს კი აიღო აზრად, რომ, თუ ვინმემ იცის მათი ამბავი, თევდორაანთ მელანომ უნდა იცოდესო და დაუხშირა იმასთან სიარული. თევდორაანთ მელანო თელავის მახლობლად, ერთ პატარა სოფლის განაპირას, ტყის პირად ცხოვრობდა ორი პატარა შვილით; ქმარი თათრის ჯარში ჰყავდა ჩაფრად შესული, თითონ ოროლ თვეობით თვალით ვერა ჰხედავდა. სილამაზით ნაქები იყო და, ცოტა არ იყოს, სახელიც გატეხილი ჰქონდა. თიმსალ-მაკომ ერთხელ, სტუმრად რომ მივიდა მასთან, სახეზე უსიამოვნება შეატყო და განგებ იგვიანებდა წასვლას, სანამ მოსალოდნელმა ავდარმა მართლა არ მოასწრო. შეიქნა ერთი ჭექა-ქუხილი და თავსხმა. ასე რომ, სტუმარი უნდა დარჩენილიყო მელანოსთან. მასპინძელს შფოთვა თანდათან უფრო ეტყობოდა და ვახშმის მზადებას დაუჩქარა; ხელად გაშალა სუფრა, გვერდში ამოიდგა ერთი დოქი კახური ღვინო და ზედიზედ უსხამდა სტუმარს, აძალებდა: „დალიე, ღმერთმა შეგარგოს, ტკბილად დაგეძინებაო!“

თიმსალ-მაკო სიცილით ეუბნებოდა: „ჩემო ნათლიდედავ, ეგ რომ არ დავლიო, ისეც ტკბილად დამეძინებაო. მისთანა წამალს დავაყრი ხოლმე ვახშმად ჩემ საჭმელს, რომ გათენებამდის ზარბაზნებიც რომ თავზე მახალონ, მაშინაც ვერას გავიგებ; მხოლოდ ფერად-ფერადი სიზმრები, თითქო სასუფეველში ვიყო, ისე დამტრიალებს თავსაო; ერთხელ რომ სინჯო, შენც, ჩემი არ იყოს, მერე ხელს ველარ აიღებო“. ეს რომ სთქვა, ამოიღო ჯიბიდან პატარა გამოკრული პარკი, გაშალა და ფხვნილი შეჭამადს მოაყარა: „ხაშხაშისაგან შეზავებული

ძილის წამალიაო; შენ კი ვერ გირჩევ, ჩემო ნათლიდედავ, ბალღების პატრონი ხარ და ღამე ბევრჯერ გამოღვიძება დაგჭირდებაო; მე კი, რომ დავეგდები რუმბივით, გათენებამდე ველარას გავიგებ, მკვდრის ძილი წამილებსო“. მოუკრა თავი პარკს და ჩაიდვა ისევ ჯიბეში.

ჯერ შუა ჭამამდე არ იყვნენ მისული, რომ თიმსალ-მაკოს მთქნარება დააწყებინა და თვალები მოეწრუპა; ერთი-ორი წაილუღლუღა გაუგებრად და ჩაჰკიდა თავი... ძილი მოეკიდა; მელანომ ძლივს მიათრია კუთხისკენ, მიაწვინა ლოგინზე და საბანი გადააფარა. სტუმარი გაიშმუშნა, გადაბრუნდა კედლისკენ და ამოუშვა ხვრინა. მელანომ ღიმილით წაიჩურჩულა: „მეორედ მოსვლამდისაც ნუ გამოგღვიძებიაო“ და გამოტრიალდა სუფრისკენ, მაგრამ ალაგების ნაცვლად ხელახლა დაუწყო გაწყობა; მიდგა თაროზე, გადმოიღო იქიდან ცივად მოხარშული დამზადებული დედალი, ყველი, მრგვლად მოხარშული კვერცხები, ხელადით ღვინო, გააწყო სუფრა და ხელპირი დაიბანა, თმა დაივარცხნა, წითელი ბაღდადი მოიხვია თავზე და კოპწიაობა დაიწყო. რამდენჯერმე მოიხედა თიმსალ-მაკოსკენ, მაგრამ ის ვერას ხედავდა: პირშექცეული კედლისკენ ეგდო უძრავად და ხვრინავდა. მელანომ მიიტანა თავისი ძველი თავსაფარი და თავზე გადააფარა, გამობრუნდა, დაჯდა ცეცხლთან სამფეხ სკამზე და კარებისკენ იწყო ყურება. დიდხანს აღარ გაუვლია, რომ ეზოში ძაღლმა დაიყეფა და შეუტია ვიღაცას, მაგრამ მალე გაკმინდა ხმა, წუწკუნი დაიწყო; მელანო ზეზე წამოვარდა და მიაშურა კარებს გასაღებად; თავმომძინარებულ თიმსალ-მაკოს გულმა დაუწყო ძგერა, მაგრამ არ განძრეულა. სახლში შემოვიდა ჩვენი ძველი ნაცნობი – გლახა ბაქრაძე, მოიხსნა სველი ნაბადი და მიაყუდა კედელზე, მოიხადა ყაბალახი, უკან ზურგისკენ გადიგდო ფაფანაკი, თოფი იქვე მიაყუდა, დამბაჩა, ხმალი და ხანჯალი ტანზევე გაისწორა და ღიმილით გადაეხვია მელანოს. ქალი წურბელასავით ჩამოეკიდა კისერზე; დიდხანს შეტყუპებულსავით იყვენ თავდავიწყებულები...

ახალმოსულს უცბად ხვრინა შემოესმა და შეჰკრთა.

– ნუ გეშინია, ჩემო სიცოცხლევ, ჩემი ნათლია არის, ტერტერას ქვრივი, ხაშხაშნაჭამია და სძინავს. შენ მტერს ნურა გაუგია, მაგან ვერა გაიგოს რაო. – უამბო ყველაფერი. მაგრამ ვაჟი მაინც იჭვნეულად იქნევდა თავს. თავის სიმართლის დასამტკიცებლად მელანომ ჯინჯგალი დაუწყო მძინარს, ხან ფეხებში მოავლო ხელი, ხან თავი აუწია; ბევრი აცოდვილა, მაგრამ ვერ გამოაღვიძა. ერთხელ კი წაიჭუჭყუნა მძინარმა და ამოუშვა ისევ ხვრინა.





– დაეხსენ, ნუ აწვალებ! – მიაძახა ბაქრაძემ. – სანამ ეგ გამოიღვიძებდეს, მე აქედან შორს ვიქნებიო! – მიუჯდა სუფრას და საყვარელიც გვერდში მოისვა.

დიდხანს იჭიკჭიკეს ისე, როგორც შეყვარებულთა რიგია. სხვათა შორის, ქალმა ჰკითხა: „ბაში-აჩუკს რათ გეძახიანო?“ და ვაჟმაც მიუგო: „ეს აქ დამარქვეს თათრებმაო: ფაფანაკით რომ მხედავენ, უქუდო ვგონივარ, თავმოხდილი და მათებურად ბაში-აჩუკი თავმოხდილსა ნიშნავსო“.

ამისთანა ამბები ბევრი ილაპარაკეს ვახშამზე: ბაში-აჩუკმა ერთი კვირის, როგორ თავისი, ისე თავისი ამხანაგების თავგადასავალი დაწვრილებით უამბო მეგობარს; ნავახშმევს ცოტა მოიალერსეს... მეორე მამლის ყივილზე ვაჟი გამოესალმა ქალს, უთხრა: „დღეისწორამდის ნუღარ მელიო“ და გაუდგა გზას.

ტერტერას ქვრივს ერთი სიტყვაც მათი ნალაპარაკევი არ გამოჰპარვია, მაგრამ დილას კარგაძალზე იყო ამოსული მზე, რომ გამოეღვიძა და ისე წამოდგა ზეზე, თითქო წუხელი სიზმარიც არ ენახოსო, გამოეთხოვა ნათლიდედას და გაუდგა გზას.

## VIII

ალი-ყული-ხანმა იმ დღეებშივე დაიბარა აბდუშაჰილი და უთხრა:

– ერთგულობის გამომჩენი, როგორც ჩვენებში, ისე სხვისიანებშიც, ბევრი მყავს, მაგრამ ამ საიდუმლოს შენს მეტს მაინც არავის მივანდობო!

აბდუშაჰილმა მორჩილების ნიშნად შუბლზედ მიიდვა ხელი და მოახსენა: „ბაშ უსტაო!“ მაშინ მოუყვა ყოველივეს, რაც თიმსალ-მაკოსაგან შეეტყო და დაავალა, რომ ცხენოსნები წაიყვანე დანიშნულ დღეს, შემოარტყი გარს მელანოს სახლს და როგორც ის ქალი, ისე ბაში-აჩუკიც დაჭერილი მომგვარეო.

აბდუშაჰილს არ ეჭაშნიკა ეს საქმე:

„მარტო რომ სადმე შევჰყროდი და სამაგიერო გადამეხდევინებია, ის იქნებოდა კარგი, თვარა კაცს უდროოდ და უადგილოდ მივასწრო, ჯარი დავახვიო და დავიჭირო, ეს რა ვაშკაცობაა და რა საკადრისია?“ მთელი ის დღე სულ ამაზე ფიქრობდა; დაღამდა თუ არა, გაუდგა გზას მარტოდმარტო და მიადგა კარზე თევდორაანთ მელანოს; მელანომ რომ უდროო დროს მოსული უცხო თათარი დაინახა, შიშის ქარმა აიტაცა, მაგრამ აბდუშაჰილმა უთხრა:

– ნუ გეშინია! სამოყვროდა ვარ მოსული და არა სამტროდო.

ქალმა რომ მშვენიერი ვაჟკაცი ტკბილად მომღიმარი ნახა, გული მოიბრუნა.

– კურთხეულ იყოს თქვენი მობრძანებაო, – ყელმოღერებით უთხრა, მორცხვად კავები გაისწორა და სკამი დაუდგა. თათარმა მიიხედ-მოიხედა, კარები გადაუგდო შიგნიდან და ხანჯალი ამოიღო. ქალი შეჰკრთა და უთხრა:

– რა საჭიროა იქ ძალადობა, სადაც ნებაყოფლობას წინ არა უდგას რაო?

თათარმა, ვითომ ვერც კი გაიგონა ეს სიტყვები, ჩაიყო მეორე ხელი ჯიბეში და სავსე ქისა ამოიღო.

– აი, ხომ ხედავ? ერთ ხელში ხანჯალი მიჭირავს, მეორეში ოქრო. რომელიც გინდა აირჩიე! თუ ჩემს სურვილს შეასრულებ, გაგამდიდრებ, თუ არა და – ამ ხანჯალზე აგაგებ ახლავეო.

ქალმა მორცხვად წაილაპარაკა: „ნურც ხანჯალს გარჯი და ნურც ოქროს დახარჯავ, მე მარტო შენს ვაჟკაცობასაც დავჯერდებიო“. აბდუშაჰილმა მკვახედ მიაძახა:

– სცდები! შენ რომ ჰფიქრობ, მე იმ განზრახვით არ მოვსულვარ! მე ვიცი, რომ შენთან ბაში-აჩუკი დადის და ის როგორმე ხელში ჩამაგდებინეო.

ამის გამგონე მელანო გაფითრდა და კანკალი აუვარდა: დიდ ფიცსა და უარზე დადგა; აბდუშაჰილმა სიამოვნებით შეხედა ქალს, მაგრამ ისევე უცბად შეიჭმუხნა სახე და ურჩია:

– არა, აქ ფიცი აღარ გაგივა, დაწვრილებით ვიცი, როგორც არის საქმე: აჰა! წაიღე ამ თავით ეს ქისა და მერე, როცა იმას ხელში ჩამიგდებ, ის ათასი ოქროც შენთვის დამითმია, და არც მოღალატობას გაგამხელ, ალლაჰი მომიცია თავმდებადო. – ამგვარი რამეები ბევრი უთხრა, დიდხანს ურჩევდა, მაგრამ გაკერპებულმა ქალმა გააქანა თავი. აბდუშაჰილი თანდათან აღტაცებაში მოდიოდა და გუნებაში ფიქრობდა: „აი, სად ყოფილა ქალი! კიდეც ეს არის, რომ ამდენი ხანია ქართველები გვიმკლავდებიანო!“ უკანასკნელად მიუბრუნდა ქალს და შესძახა:

– მაშ, ახლა კი გამოეთხოვე სიცოცხლესო! – ქალი მუხლებში ჩაიკეცა და სიკვდილის მომლოდინემ თვალებზე ხელი მიიფარა; თათარმა ხელები მოავლო, წამოაყენა ზეზე და დამშვიდებით უთხრა:

– გეხუმრე, შენ სასიკვდილოდ გასამეტებელი არა ხარ! აფერუმ, დედაკაცო, სიყვარულიც გცოდნია და მეგობრობაც! ბევრი რამ





გამეგონა ქართველ ქალებზე, მაგრამ ნახევარიც არ მეჯერა, ახლა კი გამოგცადე და დავრწმუნდიო.

მელანო მუხლებზე მოეხვია და დაუწყო კოცნა.

– მე ვიცი, – განაგრძო აბდუშაჰილმა: – რომ ამა და ამ დღეს ბაში-აჩუკი შენთან იქნება; მეც ნაბრძანები მაქვს, რომ ჩემი ცხენოსნებით შემოვერტყა გარს შენ სახლს და დავიჭირო, მაგრამ გააფრთხილე, რომ აქ არ დამიხვდესო! – გაოცებულმა მელანომ უცბად შეჰკივლა:

– მაშ, შენ მეგობარი ყოფილხარ ბაში-აჩუკისო?

– არა, მტერი, დაუძინებელი მტერი! ან ის უნდა იყოს და ან მე! ან უნდა მოვჰკლა, ან უნდა შევაკვდე, მაგრამ უნდა შევხვდე სადმე და პირდაპირ უნდა მივიდეთ ერთიმეორეზე ისე, როგორც ვაჰკაცის წესია და არა ქურდულად, ღალატით, როგორც ნაბრძანები მაქვს!.. ხომ გესმის? ესეები ყველა გადაეცი ბაში-აჩუკს და ახლა კი მშვიდობით და გამარჯვებითო.

გამოეთხოვა, გადაუგდო სავსე ქისა და გაიარა კარი.

დანიშნულ ღამეს აბდუშაჰილი მართლა შემოერტყა გარს მელანოს სახლს, მაგრამ სახლში შეშინებული ქალისა და მძინარი ბავშვების მეტი ვერავინ ნახეს. იმავე დროს შიგ თელავში ავარდა ალი და თიმსალ-მაკოს სახლი ისე გადიბუგა, რომ ველარაფერი ველარ გადაარჩინეს, გარდა ადამიანებისა.

## IX

ერთ დღეს, დილიდან საღამომდე, შუამთის უდაბურ ტყეში დადიოდა აბდუშაჰილი, რომ ეგებ ბაში-აჩუკს, ან მის ამხანაგთაგანს და ან მათ ბუდეს სადმე წავაწყდეო, მაგრამ მოუცდა განზრახვა. დაბრუნებულს ერთი შველი შეეფეთა, შეჩერდა შორიახლოს და ისე დაუწყო ყურება, თითქოს შინაურიაო. აბდუშაჰილმა შვილდისარი მოიმარჯვა, სტყორცნა და გააგორა მიწაზე! რომ მივიდა ასაღებად, ნადირი უცბად წამოვარდა ზეზე და ბარბაცით გაუდგა გზას!.. მონადირე მიჰყვა კვალდაკვალ. შუაგულ ტყეში თურმე ერთი დიდი მინდორი იყო და იმას მიაშურა; მონადირეც რომ მიადგა ტყის პირს და მინდორს თვალი გადაავლო, შენიშნა, რომ მეორე მხრით ტყიდან გამოვიდა ერთი ახალგაზრდა ქალი, რომლის მსგავსი ჯერ მას არა ენახა რა; შეჩერდა და ამოეფარა ხეს. დაკოდილმა შველმა პირდაპირ ქალისაკენ მიმართა, შესწივლა ორჯერ-სამჯერ, მიუახლოვდა და მიადვა კალთაზე თავი. ქალი შეკრთა, მიიხედ-მოიხედა და, რომ

ვერავინ დაინახა, თეძოში გარჭობილი ისარი ამოუღო, გადააგდო, მოჰკიდა შველს ნაყარ რქებში ხელი და იქვე, წყაროსთან მიიყვანა, სისხლი გაბანა და წყლული ამოუწმინდა. შველი ისე ემორჩილებოდა, როგორც გრძნობიერი რამ: დაუწვა ფეხთით, ცალ გვერდზე და მიანდო თავი; ქალმა მანდილს ყური მოჰხია და დაუცვა ჭრილობა. ამას ყოველიფერს გაოცებით უყურებდა მონადირე და გუნებაში ამბობდა: „ნადირთა ღმერთს რომ იტყვიან, სწორედ ეს უნდა იყოსო!“ აღარ მოუთმინა გულმა, მიეპარა ფეხაკრეფით და წაადგა თავზე. შველმა იგრძნო, დაფრთხა, წამოვარდა ზეზე, ორჯერ-სამჯერ გადახტა განზე, მაგრამ უცბად შეჩერდა და მოიხედა უკანვე. ეტყობოდა, რომ მონადირეს ერიდებოდა და იმავე დროს ქალის მოშორებაც არ უნდოდა. ქალი წამოდგა ზეზე, მოიხედა უკან და თათარი რომ დაინახა, ერთი საოცრად დაიკივლა, ჩაიკეცა და შემოეყარა გულს. აბდუშაჰილი მივიდა, მოჰკიდა ხელი, ბევრი აბრუნა აქეთ-იქით, ცხვირი მოუსრისა, ყურები აუწია, მაგრამ ვერ გამოაბრუნა; მივიდა მერე წყაროზე, პეშვი აივსო წყლით, გამობრუნდა, ასხურა გულწასულს. ქალმა თვალები გამოახილა.

– ნუ გეშინია! შენ და და მე ძმა! – მიაძახა აბდუშაჰილმა. – მითხარი მხოლოდ, ვინ ხარ და საიდან, რომ ჭირისუფლებთან მიგიყვანოო!

ქალმა ხმა ვერ გასცა, გაუშვირა თითი დასავლეთით ტყისაკენ და ხელახლა შეუწუხდა გული. თათარმა აიყვანა ხელში ბავშვივით, გადიწვინა მკლავებზე, მიიყრდნო გულ-მკერდზე და ალალბედზე წაიღო იქით, საითკენაც ანიშნეს. შველი ძალლივით აედევნა, წაუსწრო წინ; ერთ-ორს რომ გადახტებოდა, შეჩერდებოდა ხოლმე და მოხედავდა უკან. თათარმა იფიქრა: „აქ რაღაც განგება არის, მივჰყვები ამ ნადირს და, სადაც მიმიყვანს, მიმიყვანსო“. გზაში ქალმა რომ ვაჟკაცის გულ-მკერდის სითბო იგრძნო, გონზე მოვიდა: რაღაც უცნაურმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში; ჯერ გამოუცდელი სიტკბო იგრძნო, ვერ გამოერკვა; იფიქრა: „ეს სწორედ სიზმარიაო! ძილში ადრეც მინახამს ამგვარი რამ, მაგრამ ეს კი ყველაზე უძლიერესიაო“; დახუჭა თვალები და განაბა სული. ახალგაზრდა აბდუშაჰილსაც რაღაც უცნაური ემართებოდა; დასჩერებოდა სახეზე და ფიქრობდა გუნებაში: „ეს სწორედ მაჰმადის დაპირებული მზეთუნახავი უნდა იყოს და მეც ცოცხლად სამოთხეში მივდივარო“. ყოველ ბიჯის გადადგმაზე გულის ძგერა უხშირდებოდა და უმატებდა. ქალთან სიახლოვის უჩვეულო არ ყოფილა, მაგრამ არაოდეს ეს არ უგრძვნია, რასაც ახლა ჰგრძნობდა;





სხვიმის მხოლოდ ხორცი ჰგრძნობდა; ახლა კი ხორცი დადუნებულია, მხოლოდ სული იტაცებს და მიაფრენს სადღაც სანეტარო უფსკრულისაკენ. ამ ყოფით რომ მიდიოდა ნელ-ნელა, უცბად შუაგულ ტყეში შენობა გამოჩნდა და პირდაპირ მის გალავანს მიატყდენ.

შველი მიადგა ჭიშკარს და წივილი დაიწყო. აბდუშაჰილმაც წიხლი ჰკრა, მაგრამ დაკეტილი დაუხვდა; მიაყურა და ხმაურობა არა იყო რა. დასდვა თავისი ძვირფასი ტვირთი ძირს და მოინდომა გალავნის ირგვლივ შემოვლა და იმავე ადგილს რომ მოვიდა, აღარც ქალი დაუხვდა, აღარც შველი, კარები კი ისევ ისე დაკეტილი იყო შიგნიდან. აბდუშაჰილს თითქმის ელდა ეცა; დიდხანს იყურყუტა, ბევრი ათვალიერა აქეთ-იქით, გალავანსაც ორჯერ-სამჯერ გარს შემოუარა, მაგრამ სიცოცხლის ნიშანწყალი არაფერს ეტყობოდა. სთქვა: „რაც განგებას ჩემთვის დაუნიშნავს და ბედს ერთხელ უჩვენებია, ის, იმედია, აღარ ამცდება და კიდევ სადმე შევხვდებიო, მაგრამ საიდუმლოდ კი უნდა შევინახოო“. დაღონებული და ნეტარებით გაბრუებული, დაბრუნდა თელავისაკენ.

იმ დღიდან, რაც უფრო მეტი ხანი გადიოდა, უფრო და უფრო ეკიდებოდა მას სიყვარულის ცეცხლი, მოსვენება აღარ ჰქონდა; შუამთის მონასტრის ახლომახლო ტრიალებდა მოჯადოებულისავით; ბევრჯერ წყაროსთანაც გაუთენებია, მაგრამ აღარ იქნა, ვერ მიხვდა საწადელს. აღმოსავლეთურმა მიჯნურობამ შეიპყრო, გაახელა და მარტოობისათვის მიაცემინა თავი. მეგობრები სწუხდენ, არეულად რომ ხედავდნენ, ეკითხებოდენ მიზეზს, მაგრამ ის საიდუმლოს ჰფარავდა და უბრალო ავადმყოფობას სდებდა ბრალს.

## X

ვახშმობა გადასული იყო. ტახტზე მხარ-თეძოზე წამოწოლილი ალი-ყული კრიალოსანს ათამაშებდა და მალ-მალ კარებისაკენ იხედებოდა. გაიჭრიჭინა კარმა, შემოჰყო თავი ტერტერას ქვრივმა, ფრთხილად შემოვიდა, დაბლა თაყვანი სცა ხანს და გაჩერდა.

– ოჰ! შენა ხარ, თიმსალ? – უთხრა ხანმა. – სად არის?

– მარტო გეახელი! – მიუგო მოწყენით ქვრივმა.

– მარტო რაში მინდევხარ? – მიაძახა ცოტა გულმოსულად და წამოჯდა. – ეგები საჩუქარი ეცოტავა?

– რა ბრძანებაა, ჩემო ხელმწიფევ! მხოლოდ ვეღარ მივასწარ, ეჭვი აუღიათ ჭირისუფლებს და გადაუხიზნავთ.

– როგორ თუ გადაუხიზნავთ?

– სადაც კი გამოჩნდება ლამაზი ქალი, სულ მონასტრებში მიჰყავთ, ვითომდა მოლოზნებად და იქ კი მალავენ, რომ ან თქვენ დიდებულებას ან სხვა ვისმე გამოჩენილ ხორციელს ხელში არ ჩაუვარდეს. აი, ბატონო, რაღა შორს წავიდეთ, შუამთის მონასტერი ლამაზებით არის გატენილი! შარშან რომ დიდებული ყეენის საძღვნო თორმეტი ქალი მოსტაცეს ქართლის მეფეს, ისინიც იქ არიან თავშეფარებული.

– იმათ მოტაცებას ხომ ბაში-აჩუკს აბრალებდენ?

– სულაც ეგ მინდოდა მომეხსენებია, ჩემო ხელმწიფევ! იმ მონასტერში ბევრი რამ თქვენი საწინააღმდეგო ხდება. რომ ისინი არ უწყობდენ ხელს გადავარდნილებს, განა ამდენ ხანს ისინი თავს შეინახავდენ უდაბურ ტყეში? მაგრამ ნათქვამია: „ციხე შიგნიდან გატყდებაო“, – კარისკაცები აფარებენ ხელს.

– ვისზე გაქვს ეჭვი? – ჰკითხა სიჩქარით აღელვებულმა ხანმა.

– ქართველები არც ერთი სანდო არ არიან და ყველაზე უფრო მეტად ჩოლოყაშვილი.

– გაქვს რამე საბუთი?

– განა ის ისეთი კაცია, რომ სასაბუთოდ დაიჭიროს საქმე?! არა! მაგრამ გული კი მეუბნება და ხანდახან წინაგრძნობაც საბუთია.

– შენ ბაში-აჩუკზედაც კი გეუბნებოდა გული, მაგრამ ტყუილი გამოდგა.

– იქაც მართალი გახლდით, ჩემო ხელმწიფევ, მაგრამ, უეჭველია, გაგვთქვეს, თვარა ვინ რას ერჩოდა ჩემ საცოდავ სახლს?

– მიჰქარავ! მე და აბდუშაჰილის მეტმა არავინ იცოდა. შენ შენი სახლ-კარის გადაწვა გამწარებს და აღარავის ჰზოგავ!.. ქვეყანას ცილსა სწამებ; ჩოლოყაშვილი დილიდან საღამომდე გვერდში მიდგას, ჩვენს ერთგულებაში ათენ-აღამებს და შენ კი ორგულობასა სწამებ! თუ მაგრე მართალია მონასტრის საქმეც, ვაი შენს ტყავს!

– არა, ჩემო ხელმწიფევ, მე თქვენი ერთგულება მაბედვინებს, თვარა რა მრჯის მაგისთანა საქმეებში გარევას?! – მიუგო ცახცახით დედაბერმა. – მონასტრის შესახებ კი რაც მოგახსენეთ, ის სულ მართალია, და თუ მტყუანი გამოვდგე, თავი გამაგდებინეთ.

– შენ როგორღა გაიგე?

– კოჭი-ბროლამ გადმომცა.

– ვინა?!

– კოჭი-ბროლამ. აქ ერთი დერციკის ცოლი გახლავთ, ჩემი მამიდაშვილი, სილამაზით განთქმული... თქვენ სად მოგაგონდებათ,





თორემ აქაც კი გხლებივართ ერთად... ის გადავჰკიდე ერთ ვინმე ახალგაზდას, რომელზედაც ეჭვი მქონდა აღებული და იმას გამოუტეხია.

ამის გამგონი ხანი თოფნაკრავივით წამოვარდა ზეზე და ბრაზმორეულმა დაიღრიალა: „ეი, აბდუშაჰილ, აბდუშაჰილო!“ შეშინებული დედაბერი იქვე კუთხეში მიიკუნჭა. ყვირილზე ერთი შუახნის მხედარი შემოვარდა და მოახსენა: აბდუშაჰილი შეუძლოდ გახლავს და დღეს მის მოადგილედ მე გახლავარო.

– კეთილი, სულ ერთია! – ათრთოლებული ხმით უბრძანა ხანმა. – წადი ახლავ, ცხენოსანი ჯარი შემოარტყი შუამთის მონასტერს და ააოხრეთ და აიკელით! ნურავის დაზოგავთ: ნურც დიდს, ნურც პატარას, ნურც ბებერს და ნურც ყმაწვილს! ჯერ ყველა გააუპატიურეთ იქვე, საჯაროდ!.. ნამუსი ახადეთ და მერე ნაკუწ-ნაკუწად აქციეთ ყველა! მხოლოდ რამდენიმე მათგანი, რომელიც სხვებზე ულამაზესი გამოდგეს, აქ წამომგვარეთ ხელუხლებლად, ნადავლი ჯარმა გაიყოს. გასწი, ნუღარ აგვიანებ!

მხედარი აჩქარებით გამოვიდა ბრძანების ასასრულებლად. შეშინებული ბებერი უკან გაჰყვა და ხანმა კბილების ცახცახით წაილაპარაკა თავისთვის: „მე გაყურებინებთ, თუ როგორ უნდა ღალატი და მოტყუებაო!“

გათენებისას, ცისკრის დროზე, მოულოდნელად, ერთი საოცარი ტირილისა და გოდების ხმა გაისმა შუამთაში. თათრები დაერიენ უმწეო დედაკაცებს უდაბნოში და მთლად მუსრი გაავლეს. ზოგი გალავანზე გადაცვივდა, ზოგი კლდეზე გადაეჭრა, რომ თავი საბილწავად არ მიეცათ, ზოგმა თვითონ მოიკლა ნამუსახდილი თავი და სხვებს უმოწყალოდ გამძვინებული მტრები ჰკეპავდენ.

ამ დროს ჯარის უფროსმა გამოათრია გარეთ ერთი ახალგაზრდა, სრულიად გაწეწილ-გაგლეჯილი ქალი, და გულშეწუხებული დასვა ცაცხვქვეშ ბრტყელ ქვაზე.

– ნუ გეშინია, გული მოიბრუნე, შენ არვინ რას გერჩის!

– რაღას აგვიანებ? ბარემ მომკალ და გაათავე! სადაც ამდენი უმანკო სული ამოგიწყვეტიათ. მე რაღა დასატოვებელი ვარ? – სასოწარკვეთილებით შესტირა ქალმა.

– შენს სილამაზეს უმადლოდე! იმან გადაგარჩინა. ახლა უნდა წაგიყვანო, შენი თავი დიდებულ ხანს მიუძღვნა. ვინ იცის, რა ბედი მოგელის? ადვილად შესაძლებელია, შენი სილამაზის პატრონმა მზებრწყინვალე შაჰის ცოლობასაც კი გამოჰკრა ხელი.

ამ სიტყვებზე შეკრთა ქალი და კანკალი აუვარდა. თათარმა ეს სიხარულის ნიშნად მიიღო და სიცილით უთხრა: „თუ ვინიცობაა, ჩემი სიტყვები გამართლდეს, ნუ დაგავიწყდებიო“. ქალმა ძალდატანებით ვითომ გული მოიბრუნა და დამშვიდებით უთხრა:

– ჩემო კარგო, ეგ ახდება თუ არა, არავინ იცის, მაგრამ დღეს რომ შენ სიკვდილს გადამარჩინე, მეც მინდა ეხლავ სამაგიერო გადაგიხადო! ისეთს ჯადოს მოგცემ, რომ ვერც ტყვია მოგეკაროს და ვერც რკინეულმა გაგჭრას.

თათარმა ჯერ გაოცებით შეხედა და მერე ღიმილით უთხრა:

– თუ მართლა მაგისთანა წამალი იცით ქართველებმა, რატომ არ იკეთებთ? თქვენმა თავმა ქვა გკრათ?

– ვინ გითხრათ, რომ არ ვიკეთებთ? მაშ თუ არ ჯადოს წყალობით, რა გაგვაძლებინებდა ამდენ ვაი-უშველებელში? მთელი ქვეყნის ხალხი უხსოვარ დროიდან გარს გვეხვევა მტრად ამ ერთ მუჭა ხალხს. ჩვენ, მადლობა ღმერთს, ვიგერებთ და, სადაც ასი და ორასი მტერი წყდება, იქ თითო-ოროოლა ქართველი თუ კვდება, მეტი არა და ისიც მისთანები, რომლებზედაც ჯადო აღარა სჭრის. შენა გგონია, რომ დღეს ჩემმა სილამაზემ გადამარჩინა? არა! მხოლოდ ამ ჯადომ დამიხსნა! – ამოიღო უბიდან ტყავში გამოკრული, ნაწილებიანი ხატი, რომელსაც ყოველთვის თან ატარებდა და უჩვენა. თათარმა შეხედა და ერთი ბიჯი უკან გადადგა. ცოტა სიჩუმის შემდეგ ჰკითხა: „სხვებსაც ხომ ჰქონდათ ეგ ჯადო, რაღა მარტო შენზე გასჭრა?“

– უბრალო შემთხვევის ბრალია: მე უვახშმოდ დამეძინა, სხვები კი ვახშამნაჭამნი იყვნენ; და ამ ჯადოს მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, როცა კაცი მარხულია.

თათარმა იჭვნეულად გადააქნია თავი.

– არა გჯერა? – დაბეჯითებით ჰკითხა ქალმა. – მაშ, ვცადოთ! მაგაზე ადვილი რაღა არის?! აი, ჩამოიკიდე გულზე, ეგ შენი ხმალი მომეცი, მე დაგკრავ, რაც ძალი და ღონე მაქვს და ნახე, თუ ან კანი გაგიჭრას!..

თათარმა გაიცინა:

– ისემც კარგი დაგემართოს, მაგრამ უცაბედათ რომ გასჭრას, მერე რაღა ვქნათ?.. ჰმ!.. მით უფრო, რომ წუხელი კარგა ლაზათიანად შევექეცი ვახშამს... შენი მოსატყუებელი კბილი, დიდი ხანია, მოვიცვალე.

– შენ გგონია, რომ გატყუებ? მაგას სიფრთხილე გალაპარაკებს; აბა ჩემზე შინჯე: რაც ძალი და ღონე გაქვს, ნუ დამზოგავ და ნახავ,





თუ კაბისა და პერანგის მეტი გამიჭრას რამე! – გადაწვა გულაღმა ქვაზე და გულზე დაიდვა ხატი; თათარმა გამოსაცდელად, თუ მართლა არ შეშინდესო, ამოიღო ხმალი და დაუქნია, მაგრამ ჰაერშივე შეაჩერა. ქალი არ განძრეულა და ღიმილით უთხრა:

– არ გითხარი, რომ ვერას დამაკლებ-მეთქი?

თათარი დარწმუნდა, რომ ეს აღარ ხუმრობსო; ჯადოს ხელში ჩაგდების სურვილმა წაიტყუა; მართლა მოუქნია ხმალი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა და შუაგაწყვეტილი ქალი ნახევარი იქით გადავარდა და ნახევარი აქეთ. შეკრთა მოტყუებული მხედარი, შემოიკრა თავში ხელი: „გამაბრიყვა ამ უბედურმაო!“ გადააქნია მწუხარებით თავი აქეთ-იქით, ერთი კიდევ დახედა დარცხვენით, ჩააგო ხმალი და გაშორდა. ამავე დროს იბრიალა და ავარდა საოცარი ალი აოხრებულ მონასტერს.

გაიგეს თუ არა ეს სამწუხარო ამბავი თელავში, ახლომახლო სოფლები აღელვდენ, მაგრამ მწუხარების გამოცხადებას როგორ გაბედავდენ? არ სწყენიათ მხოლოდ ქართველების მტრებს და სასიამოვნოდ მიიღეს ყველა თათრებმაც, გარდა ერთისა, რომელმაც, გაგონების უმალვე, გრძნობაგონებადაბნეულმა, გააქანა ბედაური შუამთისაკენ. ეს ერთი იყო აბდუშაჰილი. რომ მივიდა, მონასტერი გადამწვარი დახვდა და სიჩუმე-არარაობას მოეცვა არემარე; დაღონდა და პირველად გაივლო გულში სალავათი: „ნუთუ, ღმერთო, ამისთანა მსხვერპლი შენთვის მართლა საჭირო იყოს? ან რა ვაჟკაცობაა უიარაღო, უმწეო, სუსტი დედაკაცებისა და ბალღების ჟლეტა? ქრისტეანები ამგვარს არას სჩადიან!.. თვით ყაჩაღებიც კი ერიდებიან ამ საქმეს. ამ ორ-სამ წელიწადში, ვინ იცის, რამდენი ოჯახი აიკლეს, როგორც თათრების, ისე თვით ქართველებისაც, მაგრამ, აბა თუ ერთი სადმე უკადრებიათ უიარაღო დედაკაცებისა და ბავშვების ხელის შეხება?“ – ამ ძრახვით გაიარა დიდი ეზო და განაკიდეს მიადგა ცაცხვს; იქ უცბად შეჩერდა, დახედა გაჩეხილ ქალს, ერთი საოცრად დაიყვირა, წაბარბაცდა და იქვე, ცაცხვს რომ არ მიჰყუდებოდა, წაიქცეოდა. დიდხანს იყო ისე ხმაამოუღებლად. ბოლოს შეიძრა, დააშტერდა მკვდარს და სასოწარკვეთილებით სთქვა:

– რა დაგიშავე, ღმერთო, რომ ცხადი სიზმრად გადმიქციე? ამას ველოდი? გაჰქრა, წავიდა! ჩამიარა ოცნებამ! მაგრამ რაც ერთხელვე გულზე ისე ნათლად დამეჭდო, იმას ველარ ამოშლის რა!.. თუ ცოცხალი დავკარგე, მკვდარი ხომ მაინც ჩემია! – დაავლო ხელი ორად გაჭრილს, მიიკრა გულზე და წაიღო იქითკენვე, საიდანაც ამ რამოდენ-

იმე ხნის წინათ ისეთ ნეტარებით მიჰქონდა, მაგრამ სულ სხვადასხვა კი იყო მაშინ და ახლა. მაშინ, ნეტარებით გაბრუებულს, მაღლით ცა ეხსნებოდა, და ახლა კი, უბედურებით სულშეხუთულს, დედამიწა უსკდებოდა! მოიტანა წყაროსთან და დადვა. დიდხანს დაჰყურებდა თავზე და ცრემლები ღაპაღუპით ეცემოდენ წვერ-ულვაშზე. იმ დღესვე გასჭრა საფლავი წყაროსთან, მიაბარა საიდუმლოდ თავის დაუვიწყარი განძი სამარეს და საფლავის პირი მიასწორ-მოასწორა.

იმ დღიდან ხშირად, ძალიან ხშირად, ამოდიოდა ხოლმე და ძვირფას სამარესთან ღამეს ათევდა.

XI

ერთხელ, მთვარიან ღამეში, აბდუშაჰილი მხარ-თეძოს წამოწოლილი რომ იყო და ჩვეულებრივად, ტკბილ მოგონებით გატაცებული, გაბრუებული ოცნებობდა, შრიალი მოესმა; მოიხედა, დაიყვირა, ზეზე წამოვარდა, რამდენიმე ბიჯი უკან გადადგა, მოისვა ხანჯალზე ხელი და გაშრა, თითქო ენა ჩაუარდაო: მის წინ იდგა ის, ვისაც ეს იგლოვდა და სტიროდა.

– შორს ჩემგან! შეგაჩვენოს მაჰმადმა, თუ ფარსაგი სული არა ხარ! – მიაყვირა ხელის ქნევით.

– ნუ გეშინია, მე ისა ვარ, ვისაც შენ იგლოვ და სტირი! – მიუგო დამშვიდებით ქალმა.

– სული, ჩემ სანუგეშოდ და დასატკბობელად საიქიოდან მობრუნებული?

– სწორედ შენთვის და შენთან მოსული, მაგრამ სული კი არა, ხორცშესხმული, ცოცხალი ადამიანი, შენს სიყვარულზე დარწმუნებული და შენი მოყვარული.

– როგორ! გაცოცხლდი?

– მე მკვდარი არა ვყოფილვარ.

– მაშ ეს? – მიუთითა გაოცებულმა საფლავზე.

– შესცდი: ეგ და იყო, საბრალო პირმთვარისა, ჩემი ტყუპისცალი და მგვანი; მე კი პირიმზისას მეძახიან.

– დაილოცოს, ღმერთო, შენი განგება! – დაიღრიალა აბდუშაჰილმა, მივიდა და დაუჭირა ხელები. – მითხარი, მითხარი, სიზმარია თუ ცხადი?! როგორ მოხდა ეს ყველაფერი, ამიხსენი, თვარა გონება მეკარგება! – მეტის აღელვებისაგან ფეხზე ველარ დგებოდა და ჩაჯდა. ქალი მიუჯდა გვერდით ახლო და ალერსიანად უთხრა:





– აი, ხომ ხედავ, რომ არ გერიდები? ამიტომ რომ და ვარ შენი. თუ გაგონდება, სწორედ ამ ადგილას, გულშემოყრილი რომ გამომაბრუნე, ძმობა მითხარი და ვიცი ვაშკაცის სიტყვა არ გატყდება. იმ დღიდგან მეც შენი სიყვარული ჩამივარდა გულში, მაგრამ როგორც უნაყოფო რამ და განუხორციელებელი. რადგანაც რჯულის სხვადასხვაობა ჩვენს ერთობას ხელს უშლიდა, ის გრძნობა გადავიტანე დაძმურ სიყვარულზე და დავმორჩილდი ბედს.

თათარი გაოცებული უსმენდა და ბოლოს ხმის კანკალით ჰკითხა:

– დაო, მაგრამ დაზე უტკბესო! შემატყობინე, როგორ გადარჩი და ან აქ ვინ მოგიყვანა?

– მონასტერი რომ აიკლეს, ჩვენ რამდენიმე აგვარჩიეს; ტყვედ ვუნდოდით წავეყვანეთ, მაგრამ იმ არეულობის დროს თვალსა და ხელს შუა გავეპარე და იქვე უცბად მივიმალე. მახლობლად ცარიელი ქვევრი მეგულებოდა და შიგ ჩავძვერი. როდესაც მონასტერს ცეცხლი წაუკიდეს და წავიდნენ, გამოვედი, აქვე ტყეში დავიმალე, გიყურე, საცოდავ ჩემ დას რომ ჰგლოვობდი და მაშინაც, როცა დამარხე; ვიცოდი, რომ მე გეგონე და სიყვარულზე სიყვარული მემატებოდა. მას აქეთ აქ ვდგევარ ერთ გამოქვაბულში და ხშირად გხედავ ხოლმე ფარულად, აქ მჯდომარეს. დღეს გულმა აღარ გამიძლო და გამოგეცხადე. ახლა ამის მეტს ვერაფერს გაიგებ ჩემგან და, თუ კიდევ მეტი გინდა შეიტყო, წამომყევი სადგურზე, მაგრამ იმ პირობით კი, რომ რაც უნდა ნახო, არ გაიკვირო და არც იარაღი იხმარო. მენდობი?

– გინდა ჯოჯოხეთშიაც წამიყვანო.

– ფიცი?..

– ვჰფიცავ მაჰმადს!

– რომელსაც ქრისტიანები ვერ ვენდობით!

– მაშ თვით თქვენ ქრისტეს!..

– შენი რა არის?! არა! სხვა თავდები მომეცი. დაიფიცე ვაჟკაცის სიტყვა.

– ვჰფიცავ და ზედაც დავამატებ იმ ჩემ უცნაურ სიყვარულს, რომლის გამოთქმაც არ შემიძლია!..

– ახლა კი მჯერა! – სთქვა ქალმა, წამოდგა, წამოაყენა კაციც და ხელიხელჩაკიდებული შევიდენ უდაბურს ტყეში.

## XII

შუაგულ ტყეში, ერთ თითქმის მიუვალ ნაპრალში, გამოქვაბულში, ისხდენ ახალგაზრდა ბიჭები ცეცხლის წინ და მწვადებს აშიშხინებდენ. იქვე გრძელი სუფრა ედგათ, მაგრამ ცარიელი, ზედ არც პურები ეწყო, არც ღვინო და არც შექამადი. გარედან ფეხის ხმა მოისმა და შემოვიდა ქალი მოზრდილი ხელკალათით.

– ოჰ, მელანო, შენა ხარ? – ჰკითხა ერთმა, რომელსაც მეთაურობა ეტყობოდა.

– მე ვარ, სანდო ვერავინ ვიშოვნე, რომ გამომეტანებინა და მეტი რაღა გზა მქონდა? მოვდიოდი, მაგრამ შიშით კი მუხლები მიკანკალებდა. მალე დამიცალეთ!.. მძინარი ბალღები მარტო დავყარე შინ! – სთქვა მელანომ და გადასცა ხელკალათი.

– ჰა, ვახშამს გავათავებთ და კიდეც გაგატანთ ვისმე სამშვიდობომდის – უთხრა, უფროსს რომ ჰგავდა, იმანვე. მელანომ წყნარად გადიარა და მიჯდა კუთხეში თავისთვის. ხელკალათიდან პურები ამოალაგეს, ხელადით ღვინო, ქოთნით შექამადი, დააწყვეს სუფრაზე. – „გაუმარჯოს მეძღვნეს!“ დაიძახა ერთმა იქ მყოფთაგანმა: „სამაგიეროდ ჩვენც ჩვენი დღევანდელი ნანადირევი ვუზიაროთო!“ დასთანხმდა ყველა და დიდძალი ასო-ასოდ აქნილი შვლის ხორცი ჩაუწყვეს კალათში. უცბად ზარნაშომ დაიკივლა; წამოცვივდენ სუფრიდან, მოავლეს იარაღს ხელი და გავარდნას აპირობდენ კარში, რომ ზარნაშოს ხმა არ შეწყვეტილიყო და ნაცვლად წრომს არ დაეწყო წივილი. შემობრუნდენ ისევ. სთქვეს: „ალბათ მეთვალყურენი შესცდენ, მაგრამ რა ხუმრობაა? ჩვენ კი გული გადაგვიტრიალდა და!“

შემოვიდა პირიმზისა და სიცილით სთქვა:

– ვაითუ შეშინდით! მეთვალყურე შეცდა, კარგად ვერ გაარჩია სიბნელეში, ჩემი ტყვე მტრად მიიღო და ნიშანი მოგცათ. კიდევ კარგი, რომ მალე გავაგებინე და სამშვიდობოზე გადავიდა.

– ტყვე? ტყვე? ტყვეო? – იკითხეს გაოცებით აქეთ-იქით.

– დიახ! მოგიყვანეთ დამორჩილებული! იარაღიც არ ამიყრია, რომ ვაშკაცისათვის სირცხვილი არ მექმია. მიიღეთ, როგორც სტუმარი! საწყენი არა ჰკადროთ-რა!

ამ სიტყვაზე უცბად გავიდა გარეთ და შემოიყვანა აბდუშაჰილი.

წამოცვივდენ სუყველა ზეზე და შეაჩერდენ. აბდუშაჰილი შემოსავალშივე შეჩერდა, გაოცებით დაიძახა: „ბაში-აჩუკ!“





– დიახ! აბდუშაჰილ, ეს ბაში-აჩუკია და მე ამისი და!.. კურთხეულ იყოს თქვენი შეყრა და ფეხბედნიერი აქ შემოსვლა!

ჩამოვარდა სიჩუმე. ყველა გაოცებული უყურებდენ ერთმანეთს.

აბდუშაჰილმა ხელები ააპყრო მაღლა და სთქვა: „დაილოცა, ღმერთო, შენი უცნაური განგება! ვეძებდი, როგორც მტერი და შევხვდი, როგორც მოყვარე“. ბაში-აჩუკმა გაიცინა და უპასუხა:

– ჩემი სათქმელიც ეგ არის!.. შენ სტუმარი და ჩვენ მასპინძელი!

მივიდა, გადახვია ხელი, წამოიყვანა და მოისვა გვერდით.

– მოულოდნელად ღვთის მოცემულო სტუმარო, ნუ დაგვიწუნებ სუფრას! ღარიბია, მაგრამ მხიარული, – უთხრა ბაში-აჩუკმა და შამოუსხდენ სხვებიც გარს. გაიმართა ლხინი, მაგრამ სიმღერის მაგიერად საუბარი გააბეს დაბლის ხმით. გაგრძელდა ვახშამი; ბევრი რამ ითქვა, თითქმის ყველამ გამოამჟღავნა მოკლედ თავისი თავგადასავალი და ბოლოს, ჯერი რომ მიდგა, მოჰყვა აბდუშაჰილიც:

– მე ერთი უთვისტომო კაცი ვარ: არ ვიცი, ვინ ყოფილა ჩემი მამაპაპა და საიდან მოვხვდი არდალანში? ძლივს მაგონდება და ოდნავ მახსოვს, რაც საბრალო დედაჩემისაგან გამიგონია!.. ოდესმე, ერთ სოფელს, სადღაც ლეკები დასცემიან, აუკლიათ მთელი სოფელი, ჩვენი ოჯახიც ამოუწყვეტიათ, ასე რომ მე დავრჩენილვარ ძუძუმწოვარი და დედასთან ერთად ტყვედ წაუყვანივართ; მყოლია კიდევ ერთი უფროსი დაც, მაგრამ ის სხვა სოფელში ყოფილა გაბარებული მღვდელთან და გადარჩენილა. ამის მეტი არა ვიცი რა...

მელანო სულგანაბული უგდებდა ყურს; უცბად მიაყვირა: „ექვსი თითი ხომ არა გაქვს მარცხენა ფეხზეო?“ და დასტური რომ მიიღო, მივარდა, გადაეხვია და დაიწყო ქვითინი: „ღმერთს არ სდომებია ჩვენი ერთმანეთისათვის დაკარგვაო“.

მაყურებლები გაოცებული პირჯვარს იწერდენ, ღმერთს მადლობას სწირავდენ და ულოცავდენ ახალშეყრილებს. აბდუშაჰილმა აღარ იცოდა, რა უნდა ექნა! ჩამოვარდა სიჩუმე. პირიმზისა მიუბრუნდა და უთხრა აბდუშაჰილს:

– მეც მომილოცავს!.. ახლა, რახან ნამდვილი და გამოგიჩნდა, ჩვენი დაძმობილობა აღარაფერი საჭიროაო.

– როგორ! მაშ დღეიდან ჩვენ აღარაფერი ვიქნებით ერთმანეთისათვის?

– ნაცნობები, ისე, როგორც ქრისტიანი და მაჰმადიანი! – მიუგო ქალმა.

– არა! აქ მაჰმადიანი აღარ არის! ხომ გაიგონე, რომ ქრისტიანად ვყოფილვარ დაბადებული, და დღეს განგებამ მოინდომა, რომ გამოვბრუნებულიყავ! დღეიდან მეც თქვენი რჯულის აღმსარებელი და თაყვანისმცემელი ვარ. ბაში-აჩუკ! მიმიღეთ თქვენს გუნდში, რომ ამიერიდან მეც თქვენი ჭირი და ლხინი გავიზიაროო!..

ამ გულწრფელმა სიტყვებმა ყველა აღტაცებაში მოიყვანა და დიდი სიხარული შეექნათ.

– აბდუშაჰილ! – ცოტა დაფიქრების შემდეგ უთხრა ბაში-აჩუკმა. – დიდია ღმერთი და განგება მისი მიუწვდომელი! შენ შეგიძლია, რომ ჩვენს ქრისტიანობას დიდი სამსახური გაუწიო. მოვალეცა ყოფილხარ და ნუ აჩქარდები!.. ეს, რაც მოხდა, დრომდე ყველაფერი უნდა საიდუმლოდ დაიმარხო გულში, მიხვიდე ისევ შენს ჯარში და ესე დაიჭირო თავი, რომ ცვლილება არაფერში გეტყობოდეს. დაარწმუნე ყველა, რომ ბაში-აჩუკი მოვკალი-თქო; ნიშნად წაიღე ეს ჩემი ფაფანაკი და სისხლში მოსვრილი მიართვი უფროსებს; დაგიჯერებენ და ჩვენც აღარსად გამოვჩნდებით, გულდამშვიდებული ხანი წყალობით აგავსებს. დრომდე ეს ყოველიფერი საჭიროა ჩვენი საერთო ბედნიერებისათვის. ახლა მეტს აღარას გეტყვი. დაწვრილებით მაშინ გაიგებ ყოველიფერს, როცა ჩოლოყაშვილთან ერთად მოვილაპარაკებთო! – მივიდა, გადაეხვია და გადაჰკოცნა ძმურად.

– ახლა ჩემი შვილებიც გებრალებოდეთ, მარტო დავყარე! – სთქვა მელანომ. – დროა ჩემი წასვლის! გამცილებელიც ხომ ღმერთმა მაშოვნინა, სხვა საჭირო აღარავინ არის, ჩემი ძმაც მიმიყვანსო! – სთქვა და ჩაჰკიდა ხელი აბდუშაჰილს. პირიმზისამ, თითქო შურით, გააყოლა თვალი, წარბშეჭმუხვნით შეხედა; მელანომ შენიშნა და ცბიერის ღიმილით უთხრა:

– ღამე მშვიდობისა, ჩემო რძალო! და ძილი ნებისა, რომ ტკბილი სიზმრები აგხდენოდესო!.. – გავიდა სიჩქარით და თან გაიყვანა აბდუშაჰილიც.

## XIII

სისხლიანი ფაფანაკი დიდხანს იყო გამოკიდებული მოედანზე, რომ ხალხს ენახა და დარწმუნებულიყო ბაში-აჩუკის სიკვდილზე. დიდი და პატარა, ყველა ულოცავდა გამარჯვებას აბდუშაჰილს, მაგრამ მისი პასუხი კი ყოველთვის ეს იყო:





– მე რა?! მადლიერი უნდა ვიყოთ ჩოლოყაშვილის. თუ იმას არა, მარტო მე რას გავაწყობდი? დღეს ბაში-აჩუკიც ცოცხალი იქნებოდა მისი გუნდიც გაუფანტავიო.

გავიდა ხანი, რამდენიმე თვემ გაიარა; დაწყნარდა ქვეყანა და გავარდნილების აღარა გაუგონიათ რა. დამშვიდდნენ თათრები. სიფრთხილეს თავი დაანებეს. ადრინდულადვე უშიშრად დაიწყეს ფარფაში. ამ ამბავმა ყეენის კარამდის მიაღწია. დაუფასეს ჩოლოყაშვილს სამსახური და ერთგულება, მაგრამ თვითონ ის კი ლოგინად იყო ჩავარდნილი. ახმეტიდან ცუდი ხმები მოდიოდა... ამბობდენ, რომ მისი გამობრუნება აღარ შეიძლება, სიდამბლავეს ორივე ხელ-ფეხი წაურთმევიაო. ფეიქარ-ხანი ხშირად კითხულობდა და პატივისცემის ნიშნად ორჯერ-სამჯერ აბდუშაჰილიც გაუგზავნა.

ერთ საღამოს ვიღაც შორიდან მომავალმა შემოაჭენა ოფლად გახეთქილი ცხენი ჩოლოყაშვილის ეზოში, გადახტა მარდად, მიაბა სვეტზე, როგორც შინაური, აიჭრა კიბეზე და შევიდა პირდაპირ სახლის პატრონთან. ჩოლოყაშვილი ტახტზე იყო წამოწოლილი; დაინახა თუ არა მასთან შესული, უცბად წამოჯდა და მიაძახა:

– ოო, ბაქრაძე?!

ბაში-აჩუკმა მძიმედ თავი დაუკრა.

– ასე მალე მოიარე? – ჰკითხა ჩოლოყაშვილმა.

– მოვიარე, შენი ჭირიმე! – მოახსენა ბაქრაძემ და წერილები გადასცა. ჩოლოყაშვილმა გახსნა სიჩქარით და კითხვა დაუწყო; სახე უღელავდა და თანდათან სიამოვნება ეტყობოდა. ბაში-აჩუკი უძრავად ადგა თავზე; რომ გაათავა კითხვა, მიუბრუნდა და ჰკითხა:

– კაი სანუგეშო ამბავია!

– ღმერთმა ნუ მოგიშალოს ნუგეში, შენი ჭირიმე! მაგ ამბავს უფრო ადრეც მოვიტანდი, რომ წყალდიდობას არ შევეჩერებინე.

– მალე დასთანხმდნენ?

– არაგვის ბატონი არა და ქსნის ერისთავები კი.

– იციან ყოველიფერი ჩვენი საიდუმლო?

– შალვას მეტს არავის გამოვტეხივარ.

– მაშ ზაალ როგორ დასთანხმდა?

– არ დასთანხმდებოდა, რომ მის კარის მღვდელს ჩვენება არ ენახა ჩემი მისვლის წინა დღეს.

– ჩვენება? – გაკვირვებით შეხედა ბიძინამ.

– დიახ, შენი ჭირიმე, – მიუგო მორჩილად და მოუყვა, რაც იცოდა გველეშაპის შესახებ; ისიც მოახსენა, რომ ერთი იმ გმირთაგანი

თქვენ ბრძანებულხართო, მაგრამ სიკვდილის შესახებ კი არაფერი უთხრა. ბიძინამ სასოებით პირჯვარი გამოისახა და სთქვა:

– დაილოცოს ღვთის განგება და მისი სასწაული! მაშ მოგვეშველებიან?

– დღეის თხუთმეტს უეჭველად გაჩნდებიან.

– ჯარი მეცოტავება! ვაითუ ვერ გავსწვდეთ ამდენ თათრებს!..

– რა ბრძანებაა?!. თუ ღვთის ნება იქნება, ათ იმდენსაც ვეყოფით. ფშავ-ხევსურები ბახტრიონს დაეცემიან დანიშნულ დროზე, ქსნის ერისთავები მთავარი ჯარით თქვენ შემოგიერთდებიან თათრის ჯართან საომრად და ულუსებს ჩვენც ვეყოფით.

– სულ რამდენი ხართ?

– საკუთრად ჩვენი დასი ას ოცი კაცია, ერთი ამდენი თევდორაძისაც იქნება.

– ისინი ხომ აქეთ-იქით არიან დაფანტული?.. ზოგი თათრის ჯარშია და ზოგი კიდევ, ვინ იცის, სად!..

– ისე, როგორც ჩვენი! მაგრამ იმ დროისთვის ყველა ერთად მოვიყრით თავს.

– მაშ, კარგი, ნუღა აგვიანებ! დროა საქმეს შევუდგეთ! წადი, ცოტა შეისვენე, რომ ადრიანად ვეწიოთ საქმეს.

ბაში-აჩუკი გავიდა. დარჩა მარტო ბიძინა. ხელახლა გადაიკითხა წერილები, გაიმეორა გუნებაში, რაც ბაში-აჩუკმა უთხრა სიზმრის თაობაზე, ადგა ნელა, მოიხადა ქუდი, მივიდა ხატის წინ და დაიჩოქა. დიდხანს ხელებაპყრობილი შესჩერებოდა უხმოდ ღვთისმშობელს და ევედრებოდა მის ძესთან შუამდგომლობას, რომ ქრისტიანობა გამოეხსნა ურჯულოს ხელიდან, გადაერჩინა კახეთი და მით მისი მადიდებელი მთელი საქართველო გაეძლიერებინა.

მკრთალი ნათელი, სახატიდან მინაშუქი, პარპალით ეცემოდა სასოებით აღტყინებულ მის ვაჟკაცურ სახეს და მდუღარე ცრემლები წურწურით ჩამოდიოდენ წვერ-ულვაშზე.

## XIV

იკორთაში მღვდელმთავარმა გამოიყვანა წირვა, პარაკლისი გადაიხადა და აიზმა ასხურა ჯარს. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ერისთავების ლაშქარი იმერეთში მიდიოდა, მაგრამ იმ ღამესვე ელიზბარმა და შალვამ მხარი უქციეს და საიდუმლოდ კახეთისაკენ მიემართენ; გზაში არაგველები დაუხვდენ, სულ დარჩეული ვაჟკაცები.





წინ კირილე მღვდელი უძღოდათ წმ. გიორგის ხატით და შეუერთდენ. დიდის სიფრთხილითა და სისწრაფით გავლეს გზა, გადაიარეს მთა და ჩავიდენ ახმეტაში, სადაც ბიძინა ჩოლოყაშვილი დაუხვდათ დიდძალი ჯარით. აქ ბიძინამ, როგორც მთავარსარდალმა, ორად გაჰყო შეერთებული ჯარი: ნახევარი თავისთან დაიტოვა, მეორე ნახევარი მრავალ გუნდებად დაჰყო და აქეთ-იქით, სხვადასხვა მხარისაკენ, გაისტუმრა, რომ ერთსა და იმავე დანიშნულ დროს ყველგან თავს დასხმოდენ თათრებს მოულოდნელად.

უმთვარო ღამე იყო. პირველ მამლის ყივილზე, როცა ქვეყანა მიწყნარებული იყო და მხოლოდ მდინარეების ერთნაირი შხუილი შორს და შორს უწევდა, ავარდა ალი მრავალგან გაღმა-გამოღმა ალაზნის პირად, მოედვა ულუსების სახლკარობას და გააქათქათა არემარე. დასცეს კიჟინა და მას თანვე მოჰყვა საზარელი ვაი-უისა და გოდების ხმა. გავარდნილები ბაში-აჩუკის თაოსნობით დაესხნენ თავზე თათრებს და დაუწყეს ჟლეტა. იმავე დროს ბახტრიონს შემოერტყენ არაგველები; ციხე-გალავანს გადაევლენ თავს ფშავ-ხევსურები და გაავლეს მუსრი. ესევე ამბავი მოხდა ბევრგან სხვაგანაც და დაიძრა ბიძინას წინამძღოლობით მთავარი ჯარიც. ალი-ყულიხანს რომ სხვადასხვა კუთხეებიდან ცნობა მოუვიდა, შეშფოთდა და აბდუშაჰილის თაოსნობით მთელი მისი მხედრობა მიაგება წინ ქართველ ჯარს. მაგრამ ბევრ ხანს აღარ გაუვლია, რომ მოულოდნელი და ზარდამცემი ამბავი მოუვიდა: ერთ ვიწრო ხეობაში მოასწრეს თათრის ჯარს, შეიმწყვდიეს, იარაღი დააყრევინეს და აბდუშაჰილიც ტყვედ წაიყვანესო. ეს სულ იმან ჰქნა, რომ აბდუშაჰილმა არავისი რჩევა არ დაიჯერა და გზის სიმოკლის გულისათვის ისეთ ღრიანკალში შეიყვანა ჯარი, რომ გაშლა არ შეიძლებოდა და საძრაობა აღარ ჰქონდათ. იმავე დროს კი, თურმე, იქვე ახლის ჩასაფრებული ქართველი ჯარი შემოერტყა გარს, თვალის დახამხამებამდე გადაუჭრა უკან გასაბრუნებელი გზა და თითქმის დატყვევებულებს დაერიაო. ამის გამგონე ალი-ყული-ხანი შიშის ქარმა აიტანა და ათრთოლებულის ხმით ბრძანა, რომ ჯანდიერისათვის შეეტყობინებიათ. მაგრამ სწორედ იმავე დროს მოიჭრა ერთი ცხენოსანი და აცნობა: „ჯანდიერმა გვიღალატა და მისი ქართველებით ჩოლოყაშვილისაკენ გადავიდაო“. თავზარდაცემულმა ფეიქარ-ხანმა დიდხანს ხმა ველარ ამოიღო და ბოლოს თითქო თავისთვის წაილაპარაკა: „აკი ჩოლოყაშვილი დამბლა იყო და ჯანდიერი ჩვენი ყურმოჭრილი ყმაო? ჰა, გიაურ! ახლა კი ვხედავ, რაც არი, მაგრამ რაღა დროს?“ – სთქვა კბილების ღრჭენით.

– ცხენიო! – დაიძახა, მოაჯდა უნაგირს და ისეთი სისწრაფით გაუდგა გზა, რომ ორმა-სამმა მხლებელმა ძლივს მოასწრო გაყოლა. ის იმ ღამესვე ქურდულად გავიდა კახეთით და მეორე დღეს, სამშვიდობოზე გასული, სპარსეთისაკენ მიეშურებოდა მისი ორიოდე მხლებელით.

დარჩენ თათრები კახეთში უსარდლოდ და უპატრონოდ, და აქა-იქ ციხე-სიმაგრეებში ჩაკეტილები, მხოლოდ იმას ფიქრობდენ, თავი როგორმე გადაერჩინათ, მაგრამ წელგამართული და გაგულადებული კახელები მოსვენებას არ აძლევდნენ. ისინი, ვინც გუშინ თათრის ერთგულებასა და ქართველების მტრობას იჩენდენ, დღეს პირველი თავდადებული ქართველები გახდენ, და რამდენიმე კვირის განმავლობაში ისე გაიწმინდა კახეთი თათრებისაგან, რომ მათი ჭაჭანებაც აღარსად იყო. დახშული ეკლესიების კარები გაიღო და ხელახლა გაისმა ზარების რეკა; გულის სიღრმეში ჩაეჭრა დიდსა და პატარას, როგორც ნიშანი საქრისტიანო, ის ეკლესიის ენა და შეიქნა საერთო ლიტანიაობა; ქალი და კაცი, მოხუცი და ყრმა, მაღალი და დაბალი, ყველა ერთხმად ადიდებდენ ღმერთს და აქებდენ გმირებს. ბიძინასი, შალვასი და ელიზბარის სახელი ყველას ტუჩებზე ეკერათ ალტაცებით. კახეთის სიხარული ქართლელებსაც გადაედოთ და მათ თანაგრძნობას მათი მეფე ვახტანგიც გულში დასტურს აძლევდა, მაგრამ, როგორც შაჰნავაზი კი, ვითომ ჯავრობდა და პირიდან ცეცხლსა ჰყრიდა: – „როგორ გაბედეს ერისთავებმა ჩემი ურჩობა და დიდებული შაჰ-აბაზის ღალატიო?!“

შაჰ-აბაზმა რომ ეს ამბავი გაიგო, ფილენჯის ქარმა მოუარა და ფიცხელი ბრძანება შეუთვალა განჯის ხანს: „კახეთი შენთვის მიბოძებიაო, წადი და ააოხრეო!“ ხანმაც წყალობისათვის მადლი მოახსენა დიდებულ შაჰს და გამოტეხილი შეუთვალა: „თუ მანდედან ჯარი არ მომაშველეთ, ახლა ისე გაგულადებული და გამაგრებული არიან კახელები, რომ ჩემი სახანო ერთიორადაც რომ უფრო მეტი იყოს და უფრო ძლიერი, მაშინაც ვერ გავბედავ კახეთზე საომრად მისვლას, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ ვერას გავხდები და თავს შევირცხვენო“. ამ მოხსენებამ უფრო მეტად დააღონა და დააფიქრა ყეენი. ბრაზი მოაწვა გულზე და სირცხვილის ოფლი ასკდებოდა.

ამ დროს მოუვიდა ქართლიდან შაჰნავაზის წერილიც. სამძიმარს უთვლიდა და თანაც ატყობინებდა: „კახეთის გამარჯვებამ ქართლიც შეარყია; ერისთავები გამიდგენ, აღარას მიჯერიან და მოიღეთ წყალობა, თქვენი უძლეველი და ქვეყნის დამპყრობელი ჯარი მომაშველეთ, რომ ურჩები ისევ დავიმორჩილო და კახეთსაც საშვილიშვილოდ შევანანიო თქვენი ორგულობაო. ამასთან ესეც უნდა მოგახსენოთ: დღევანდელი გამარჯვებით იმდენად წელგამართულია ქვეყანა და გათამამებული, რომ, თუ არ დიდძალი ჯარით, ცოტათი ვერას გავხდებითო“. შაჰ-აბაზმა გადაიკითხა წერილი, დაჭმუჭნა და დაახეთქა ძირს.





– ესეც იმას იწერება! – სთქვა წარბშეჭმუხვნით. – დიდძალი ჯარიო?! ჰმ... ასე ჰგონიათ, თუ მარტო მათთვის ვიყო მოცლილი და მეტი საქმე აღარა მქონდეს რა? არა, ახლა დრო არ არის! დროს შერჩევა უნდა და მე ვიცი, როგორ გადავუხდი მაშინო. – დასწერა პასუხი და მურთუზალ-ხანის ხელით გამოუგზავნა ქართლის მეფეს. საპირფერო და სამლიქვნელო სიტყვებით აავსო წერილი!.. მადლობას უთვლიდა ერთგულებისა და მორჩილებისათვის, მაგრამ ურჩევდა, რომ ასე გულფიცხად არ მოჰკიდებოდა საქმეს. „მართალია, ვერ უნდა გაებედნათ კახელებს ამისთანა საქმეო, – იწერებოდა ვერაგი, – მაგრამ, როგორც შევიტყვე, სულ მანდაური მმართველობის ბრალი ყოფილა: წინააღმდეგ ჩვენი სურვილისა, დიდ გაჭირვებაში თურმე ჩაუგდიათ ქვეყანა და კახელებიც იძულებული ყოფილან, რომ მაგრე მოქცეულიყვენ. ველი შენგან ამ საქმის გამოკვლევას და დაწვრილებით მოხსენებას; ამასთანავე გავალებ, რომ ეგ გამოჩენილი ვაჟკაცები ჩემს კარზე გამოგზავნო; მე მინდა, რომ სამივე ჩემი თვალით ვნახო და, როგორც წინდაწინვე ჩემგან შენდობილებს, ჩემი პირით გამოვჰკითხო ყოველიფერი ტკბილად და არა მრისხანებით. ვფიცავ ჩემ მზეს და თვით მაჰმადის წვერებსაც, რომ ეგენი აქ საკადრისად მივიღო და გულდაწყვეტილ-მომდურავი არც ერთი არ დავაბრუნო; წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ეს ჩემი ტკბილი წყალობა არ დააფასეს და კიდევ ურჩობა გამიწიეს, მაშინ ვფიცავ ყოვლის შემძლებელს, რომ ამ ჩემს უკადრის შეურაცხყოფას არათუ მარტო კახეთს, მთლად საქრისტიანო საქართველოსაც ვაზღვევინებ და, მე რომ ვერ შევძლო, საშვილიშვილო ანდერძად დავაგდებ ამ სურვილსო“.

ორჯერ-სამჯერ გადაიკითხა ვახტანგმა ეს წერილი და მუქარა, მწუხარედ გაიღიმა და სთქვა გუნებაში: მეც ამას ველოდი ჩემი წერილის პასუხად! ჩვენ ორივე ერთ სოროში ვართ გაზრდილი! გიცნობ, რაც ხარ, შაჰ-აბაზ! ჯერჯერობით ლომობა რომ აღარ გაგიდის, მელიაობას ეპოტინები, მაგრამ, ღმერთი ყოვლის შემძლებელია, შეიძლება ისიც მოგიცდესო!“ ჩაფიქრდა ნაღვლიანად და ჩაჰკიდა თავი.

## XV

დიდი ხანია ქართლ-კახეთი ისე მოსვენებით არ ყოფილა, როგორც 1659 წელში. შემოდგომა მიწურული იყო, ზამთრის პირი მოახლოვდა, მაგრამ მაინც გაზაფხულის დღეები იდგა, თითქოს ქვეყნის დამშვიდებულ გულს ტაროსიც კი ეტკბილდასტურებაო. ვახტანგმა მთელი ქართლისა და კახეთის დიდებულები შეჰყარა სალხინო-სადარბაზოდ. თითქმის არავინ ჰკლებია და მათ რიცხვში კახეთის გმირებიც მოჰყვენ.

მეფემ დარბაზი გამართა, შაჰ-აბაზის მოწერილი წიგნი წაიკითხა და რჩევა ჰკითხა დიდებულებს. უმრავლესობა უარზე დადგა. „როდის ჰქონდა სიმტკიცე მაჰმადის წვერებს სპარსელის პირში და ან ყეენის სიტყვა რა დასაჯერებელიაო? ცხადია, რომ მაგათი მიტყუება უნდა საღალატოდ და, ეს რომ მოხდეს, ჩვენი თავი ცოცხალი რაღად გვინდაო?! ზოგიერთები სულ სხვა აზრისა იყვნენ და მათ მხარი მისცა არაგვის ბატონმა ზაალ ერისთავმაც ამ სიტყვებით: – „მართალი არის!.. და ვინ არ იცის, რომ ყეენი ჩვენზე გულს ვერ გაიწმენდს და მოყვრობას არ დაუწყებს ერისთავებს, მაგრამ ჯერჯერობით გარემოება ნებას არ აძლევს, რომ თავისი გულის პასუხი გამოამჟღავნოს და მტრობა გამოგვიცხადოს. ან რა ანგარიშია, ახლა რომ შორიდან მუქარითა და წინდაუხედაობით საქმე გაიფუჭოს? მართალია, დღეს ქართლი სპარსეთის საკუთრებას არ შეადგენს, მაგრამ მისი ხელდებული მაინც არის. სიფრთხილე მართებს ყეენს, რომ საზღვარს არ გადასცილდეს, თორემ ერთი კიდევ ამისთანა გამარჯვება, როგორიც კახელებმა ნახეს და მაშინ იძულებული შეიქნება ქართლზედაც ხელი აიღოს. ეს კარგად ესმის შაჰ-აბაზს და, თუ არ სამოყვროდ, სამტროს არას ჩაიდენს. უეჭველია, რომ კახეთის გმირებს საპირფეროდ პატივით მიიღებს და დიდებით გამოისტუმრებს; მერე კი, როცა დრო ხელს მოუმარჯვებს, მელასავით შემოგვეპარება და ეცდება გვაზღვევინოს; ეს უნდა ვიცოდეთ და მზად ვიყოთ! მანამდე კი უნდა დრო მოვიხმაროთ და მივჰყვეთ მის დღევანდელ ნება-სურვილს, მით უფრო. რომ საშიში არა არის რა; და, თუ არა, მაშინ თავმოყვარეობა იმდენად გააბრაზებს, რომ ეცდება მუქარის გამართლებას. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ როგორც ჩემ სიძეს, ისე ერისთავებს, იქ სახიფათო არა ელით რა, თუ ღვთის ნება არ იქნება; და თუ მისი ნებაა, მაშინ, აქაც რომ იყვენ, მაინც ვერ ასცდებიან განაგებსო!“

ამ სიტყვებმა ბევრს გამოაცვლევინა აზრი; მეფეც დაეთანხმა და ბოლოს ჯერი მიდგა თვით ყეენის მოთხოვნილებზე. პასუხის ნაცვლად





წამოდგა ზეზე მოხუცი ელიზბარი, მიდგა სარკმელთან, გაიხედა შიგ და დაფიქრდა. დარბაზი გაოცებით შეაჩერდა. – „ბატონო მეფევ! – მობრუნდა და სთქვა ერისთავმა. – ამ თქვენ ჭადარს რა დამართნია ეს, რომ ფოთლები გასცვივნია?“

– როგორ თუ რა დამართნია?! – მიუგო გაკვირვებით მეფემ. – რაღა დროს ფოთოლია? ზამთარი დგება!..

– ვაითუ გახმეს უფოთლოდ?

– როგორ თუ გახმეს?! გაზაფხულზე განა აღარ შეიფოთლება?

– დიახ, შეიფოთლება, ჩემო ხელმწიფევ, და ჩემი პასუხიც ეს არის დღევანდელ სადარბაზო კითხვაზე. – როგორც მეფე, ისე დარბაისლები, გაოცებული შეაჩერდენ: ეგონათ, თავის გონებაზე აღარ არის და ბოდავსო, მაგრამ ერისთავმა ნაღვლიანი ღიმილით განაგრძო: – „დიდებულო ხელმწიფევ! რაც ფოთლებია ხისთვის, ჩვენც ისე ვართ ქვეყნისათვის, რაც წელიწადია ფოთლებისათვის, ის საუკუნეა ჩვენთვის. ნახევარი საუკუნის განმავლობაში არც ერთი აღარ ვიქნებით, სხვები დაიჭერენ ჩვენს ადგილს: „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსო“. საქართველოც ჩვენი ცხოვრების ხეა, საკუთარ ქართულ ნიადაგზე დანერგილი და ზედ ქრისტეს სჯულია დამყნილი. სანამდი მისი ძირი არ შესუსტდება, ღერო არ შეინძრევა და ფესვები მაგრად ექნება გადგმული, შტოების შერხევითა და ფოთლების დაცვენით არა უჭირს-რა. ჩვენც ერთი ფოთლებთაგანი ვართ, ადრე თუ გვიან დასაცვივნი, და ჩვენი მიზეზით რათ უნდა მიადგეს გაჭირვება სამეფოს? არა, ჩვენო დიდებულო მეფევ, ჩვენ, უეჭველია, უნდა ვიახლოთ ყეენს და, რაც მოსავალია, მოგვივიდეს!“

– ბატონო მეფევ! – წამოიძახა ჩოლოყაშვილმა, – ჩვენი სამივეს სათქმელი ერისთავმა მოგახსენათ და მე მხოლოდ დავამატებ, რომ ხე, როგორც მცენარე, მოურწყველად ვერ იხარებს; ისე ეროვნების ხესაც ძირის გასამაგრებლად და ფესვების განზე გასადგმელად ოფლთან ერთად ხანდახან წმიდა მოწამებრივი სისხლიც ეჭირვება სარწყავად!.. ამგვარი მსხვერპლის უჩვეულო არ არის ჩვენი ქვეყანა და დღეს თუ განგებას ჩვენთვის წილად უხვედრებია სამსხვერპლო ზვარაკობა, სასოებით მივეგებებით და მორჩილებით თავს დავსდებთ!.. საქართველოს ჭირიც წაგვიღიაო!.. – მივიდა და ამოუდგა ერისთავს გვერდში.

„ამინო!“ – დაიძახა შალვამ და გადადგა ბიჯი მათკენ. დარბაზს ჟრუანტელმა დაუარა. ჩამოვარდა ხანგრძლივი სიჩუმე. მივიდა მეფე ხმაამოუღებელად, გადაეხვია სამივეს და გადაკოცნა. რამდენიმე

კურცხალი გადმოგორდა ინით შეღებილ წვერებზე და დაეცა ძირს. ვახტანგმა მიუთითა ზედ სამივეს და უთხრა: „აი, ეს იყოს საწინდარი ჩემსა და თქვენს ოჯახებს შუაო!..“

ამ ამბის შემდეგ არ გაუვლია დიდხანს, რომ შალვა, ელიზბარი და ბიძინა აღმოსავლეთისაკენ გზას ადგენ და სპარსეთისკენ მიდიოდენ. სწორედ იმავე დროს დასავლეთისაკენ გადაეშვენ კორტოხს სამი ცხენოსანი: აბდუშაჰილი, პირიმზისა და ბაში-აჩუკი. ხმაამოუღებლივ მიაჩქარებდენ ცხენებს სხვადასხვა ფიქრებით მოცულნი. აბდუშაჰილისათვის ყველგან ბაღდადი იყო, სადაც კი მისი სატრფო იქნებოდა; სიყვარულით გამსჭვალულ პირიმზისას ეჩქარებოდა, რომ სამშობლოში გადაეტანა თავისი ბედნიერება; ბაში-აჩუკს კი მაინც და მაინც მაგდენად არაფრად ეპიტნავებოდა იმერეთი, რადგანაც გაიგო, რომ მისი კახეთისაკენ გადავარდნის მიზეზი რაჭის ერისთავისათვის მიუთხოვებიათო.

იმერეთმა დედაშვილურად მიიღო ორივე ვაშკაცი.

ბაში-აჩუკი დაუბრუნდა თავის სახლკარობას და აბდუშაჰილიც ჩაესიძა. მართალია, დევი ყურით არ დაუჭერიათ სიძე-ცოლიძმას, მაგრამ ბევრჯერ კი კარგი სამსახური გაუწიეს იმერეთს თურქებთან ბრძოლის დროს და სამაგიეროდ ადგილ-მამულიც ბევრი შეიძინეს საწერეთლოში. სცხოვრობდენ მყუდროდ და მხოლოდ ერთხელ კი შეშფოთდენ. ეს მაშინ, როდესაც გაიგეს, რომ მათი საყვარელი კახეთის გმირები სპარსეთში უწამებიათო.

ბევრს ეჭირა თვალი სასიძოდ ბაში-აჩუკისაკენ, ანუ, როგორც შემოკლებით ეძახოდენ, ბაჩუკისაკენ, მაგრამ გაუცრუვდათ იმედი: ის ცოლ-შვილის მოკიდებას არ აპირებდა, სანამდი წერეთელი არ მოკვდა და ერისთავიც არ მიიცვალა! მაშინ კი გადავიდა რაჭაში, მოიტაცა ქვრივი და ჯვარი დაიწერა. უშვილძიროდ არც სიძე და არც ცოლისძმა არ გადასულან: აბდუშაჰილის ჩამომავლობა დღესაც არიან ჩვენში – აბდუშელიშვილები და ეტყობოდათ კიდეც, რომ კარგი წინაპარი უნდა ჰყოლოდათ. რაც შეეხება ბაში-აჩუკის ან ბაჩუკას ნაშიერს, ისინი უფრო გამრავლებულიც არიან დღეს, მაგრამ ბაჩუკაშვილობას სწუნობენ და ბაქრაძეობაზე სდებენ თავს და დაუბრუნდებიან თუ არა ბაჩუკაშვილობას, ის ღმერთმა იცის.

[1895-1896]





## წმიდა გიორგის რაზმი[1]

სოლომონ დიდის მამა, მეფე ალექსანდრე, მხოლოდ სახელათ იყო მეფე, თვარა თვით სამეფო კი სხვისი სახრავი იყო. ციხე-სიმაგრეები თურქებს ეჭირათ ხელში, ჯარი ჰყავდათ ჩაყენებული ყველგან და ქვეყნის ბედსა და უბედობას განაგებდენ. მეფე მათი სურვილების აღმასრულებელი, ყურმოჭრილი ყმა იყო. მთავარმართებელი, ფაშა იზმაილი, ქუთაისის ციხეში იჯდა და იქიდან განაგებდა. თურქები ყოველთვის იმასა ცდილობდენ, რომ იმერლებისთვის რჯული და ეროვნული ელფერი ენასთან ერთად დაეკარგვინებინათ და გაემაჰმადიანებიათ, მაგრამ მათმა მეცადინეობამ სულ წინააღმდეგი ნაყოფი მოიტანა: რაც უფრო მეტს ტანჯავდენ და დევნიდენ ქრისტიანებს, ისინი უფრო დღითი დღე თავსა სდებდენ ეროვნობისა და ქრისტიანობისათვის და ზიზღით ევსებოდათ გული მტრისადმი. ეს დაინახა ჭკვიანმა იზმაილმა და გამოცვალა პოლიტიკა: თვითონ პირდაპირ აღარ ერეოდა ვითომ სამეფო საქმეებში და მხოლოთ მარტო ხარკს იღებდა, მაგრამ ქვეშქვეშურათ კი ფარისევლური მოქმედებით უარეს დღეს აყენებდა. დაუწყო ლალიაობა დიდკაცობას, რომ გადაებირებია თავისკენ გვარისშვილები, და იმავე დროს სამღვდელოებასაც გადაუსვა ხელი თავზე. ერთი შეხედვით კაცს ეგონებოდა, რომ ამ მადლიანმა ადამიანმა მტრობა მოყვრობათ შეცვალაო და სათვალთვალოთ სწორედ მართლაც ასე იყო, გუნებაში კი ასე ფიქრობდა: არაფერია, თვალს აუხვევ, მოვატყუებ და მოხიბლული ხალხი მალე გაირყვნება, რჯულსაც დაჰკარგავს და ზნე-ჩვეულებასაც და მაშინ ადვილი მოსაქნელი იქნებაო. სიფრთხილით შეუდგა საქმეს. ვისაც კი შეატყობდა, რომ ძნელი გადასაბირებელი იყო და თავისას არ გასწირავდა, უდგებოდა კვალში, უკრეფდა მიზეზს, დიდხანს არ ახარებდა. მაგიერათ თავისი მომხრეები აჰყავდა უდიდეს ხარისხზე და ხალხზე მათ გავლენას ძალას აძლევდა. მოხუცებული ქუთათელი, მიტ-

1 ამ ნომრის ძველ (მეორე) განყოფილებაში იბეჭდება იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ამბავი, მისი თანამედროვე მგალობელი კანდელაკის გადმონაცემი, რომ უკეთ ავწონ-დავწონოთ და გავითვალისწინოთ იმ დიდი სოლომონის მეფობის ხასიათი, საჭიროა მისი წინასწარი დროება ვიცოდეთ და ამისათვის ჩვენ მივმართავთ როგორ წერილობით, ისე ზეპირგადმონაცემ ამბებსაც.

როპოლიტი ყოვლად ღირსი ქვეყნის მოძღვარი, გადააყენებია ალექსანდრე მეფეს და მის ნაცვლათ ახალგაზდა ჩხეიძე აიყვანეს ქუთათელის ხარისხზე. ეს ჩხეიძე მართლა დიდი გვარისშვილი იყო, მაგრამ, როგორც კაცი, შეჩვენებული და სახელგატეხილი, სხვათა შორის ტყვის გამყიდველიც კი იყო, უღირსათ და უსამართლოთ გადიდკაცებულმა ჩხეიძემ, რასაკვირველია, იზმაილის სურვილზე დაიწყო მოქმედება და სამღვდელოება არივ-დარია: ღირსეულებს ჩაგრავდა და უღირსებს, მაგრამ მის მოდასტურეებს კი, აწინაურებდა... ათითხუთმეტი წლის განმავლობაში შეიბღალა სამღვდელოება: კუჭის მიმდევრობამ თავი იჩინა, ყველაზე უფრო დაწინაურდა ოკრიბელი მღვდელი ელიაშვილი, ის გახდა მარჯვენა ხელი ჩხეიძისა და მთავრობის მიდგომითა და ყოველდღიური მაბეზღრობით გაძლიერდა: კარის დეკანოზობა მიიღო. ქვეყანას ძულდა, მაგრამ შიშით როგორ გაამხელდა და ან ვინ რას გაუბედავდა!

ამავე დროს ცხოვრობდა ერთი ძველებური გამოჩენილი სამღვდელო პირი, გელათის დეკანოზი ოქროპირ კანდელაკი. როგორც ქვეყნის ერთგული, ის მთავრობას არაფრათ ეჭაშნიკებოდა, მაგრამ ქვეყნის ხათრს მაინც იჭერდა და პირდაპირ არას ერჩოდა. ერთხელ დიდმარხვაში ამას შეხვდა დეკანოზი ელიაშვილი და, ჩვეულებისამებრ სამღვდელო პირთა შენდობა მოთხოვა. – „ქვეყნის ორგულს შენდობა არ მოგეცემაო“, – მიაძახა ცივათ და მოშორდა. ეს შეურაცხყოფა ველარ აიტანა გაზვიადებულმა ელიაშვილმა, დააბეზღა ქუთათელს და ქუთათელმაც გაუგზავნა ჩაფრები და დააჭერინა ოცდათუთხმეტი სული მისი ცოლ-შვილი და შვილისშვილები, ჩამოაყვანია და გადასცა თურქებს, რომ სათათრეთში წაეყვანათ ტყვედ და სულ ცალ-ცალკე გაეყიდათ. წითელი პარასკევი იყო. ეს რომ ნახა ოქროპირ კანდელაკმა, დაიღრიალა: – „ღმერთო, რა შეგცოდე, რად წამიწყმიდეს სიბერეო?! ჩემი ცოლ-შვილი, ჩემი შვილისშვილები გაურჯულდენ, წაწყდენ და მე კი სასუფეველი ვეძიოვო?!. ალბათ არ ვყოფილვარ ღირსი ცხონებისა და იყავნ ნება შენიო! მე ჩემს ოჯახს ვერც საიქიოს გავშორდები; რადგან ისინი ჯოჯოხეთში შევლენ, მეც იმათთან ვიქნებიო!“ – გალესა ხანჯალი, გაირჭო წელში ანაფორას ქვეშ და პირდაპირ შევიდა ქუთათლის სახლში.

ქუთათელს იზმაილ-ფაშა ჰყავდა სტუმრათ და, მიუხედავათ დიდი პარასკევისა, შემწვარ ბატკნების ხორცს შეექცეოდა!.. დაიჩოქა მღვდელმა და შეჰყვირა: – „მღვდელმთავარო, რა დაგიშავე, რომ ცოლშვილი ტყვედ წამოაყვანინეო?! თუ რამე შეცოდება მაქვს, გადამახდევინე მე და ბავშვებს რაღას ერჩიო?“ დიდხანს ევედრა ტირილით, თანდათან უახლოვდებოდა მუხლებზე ხოხვით; ბოლოს, როდესაც იფიქრა, რომ ახლა კი შემიძლია მოვიმარჯვო ხელიო, უკანასკნელათ ჰკითხა: – „მაშ, აღარ აქვს საშველი ჩემი ცოლ-შვილის ხსნასო?!“ – „მხოლოდ ერთიო, – სიცილით უპასუხა ქუთათელმა, – თუ დაჯდები შენც ჩვენ სუფრაზე და ხორცსა სჭამო“. თავზარი დაეცა ოქროპირსა, მაგრამ იფიქრა: ჩემ ცხონებას ხომ მაინც არაფერი ეშველებაო, ამას მოვკლავ, მეც წავწყდები და ისინი კი გადარჩებიანო; დაეთანხმა მასპინძელს, ფირმანი გამოართვა ცოლ-შვილის დასაბრუნებელი და მიუჯდა სუფრას.

პირველი ნაჭერი რომ აიღო, აუკანკალდა ხელი, პირამდის ძლივს მიიტანა, მაგრამ კრიჭა კი აღარ ეხსნებოდა; გადმოყარა ცრემლები, გააღო, როგორც იქნა პირი და ჩაიდვა ლუკმა. უცბათ სახე გაუბრწყინდა, პირჯვარი გადაიწერა, სიამოვნებით გაუსვა ხელი ჭამას. – „აი, ბარაქალა, ქეშეშ, ქეშეშ, – მოაძახა იზმაილმა, – გეგემრიელაო?“ – „დღეიდან შენც ჩვენი ხარო, – უბრძანა ქუთათელმა, – ახლა შეგიძლია შენი ოჯახი უკან დაიბრუნოო“. გაძღა ოქროპირი დეკანოზი და ნასადილევს გამოხსნილი ცოლშვილიანათ გაუდგა გზას.

ეს ხმა მაშინვე გავარდა ხალხში ჭორათ. აღდგომა დღეს, როცა ლიტანია უნდა შემოევლოთ, ხალხმა შეაჩერა მისი საყვარელი მოძღვარი და უთხრა: „თუ მართალია, რასაც რომ ამბობენ, დღეს ნუღარ გვიწირავო“. დეკანოზმა დაადვა ხელი ხახულის ღვთისმშობელს და შეჰფიცა მრევლს: „ტყუილი გაგიგონიათ, შვილებო, ამისმა მადლმა, მე იმ სუფრაზე ლობიოს მეტი არა მეჭამოს რაო და ისიც უმარილოო“. ხალხმა დაუჯერა, რასაკვირველია, და ამით გათავდა ეს უცნაური ამბავი. მხოლოთ რამოდენიმე წლის შემდეგ, სიკვდილის წინეთ რომ გაენდო დეკანოზი ოქროპირ კანდელაკი, მის მოძღვარს, აღსარებაში უთხრა, რომ ყოველი ნაჭერი, სანამდი პირთან მივიტანდი, ხორცი იყო, მაგრამ, ვენაცვალე ღვთის სასწაულსა და ძლიერებას, პირში რომ ჩავიდებდი – ლობიოთ გადაიქცეოდა ხოლმეო. რჯულის კანონით მოძღვარს ნება არა აქვს, რომ მოწაფის აღსარება გამოაქვეყნოს, მაგრამ მისმა მოძღვარმა კი მრევლს გამოუცხადა ეს ამბავი. ჩხეიძე ქუთათელი კი თავისას არ იშლიდა. ახალგაზრდა მღვდლებშიაც კი ბევრნი გამოჩნდენ ელიაშვილი დეკანოზის მიმდევარნი. ჩხეიძე ქუთათელმა, სხვათა შორის, ქართული საღმრთო წერილი გადაათარგმნია არაბულათ სიტყვა-სიტყვით და ისე აკითხებდა ეკლესიებში. მაშინდელი არაბულად ნათარგმნი სახარება, ქართული



წმიდა გიორგის რაზმი

ასოებით დაწერილი, დღესაც მოიპოება აქა-იქ იმერეთში. ხალხს რომ აღარა ესმოდა რა, სულ მიატოვა ეკლესიაში სიარული. ერთხელ იზმაილმა ჰკითხა თავის მეგობარ მღვდელმთავარს: – „მგონია, ტყვილა ვაძულებ თავს ხალხს! ძალდატანებით მათ რომ საღმრთო წერილს ქართულათ აღარ ვაძლევთ და მათთვის გაუგებარ ენაზე ვუკითხავთ, მაგითი მაინცდამაინც იძულებულს ვერ ვჰყოფთ, რომ ჩვენს ენაზე გასცვალონ ქართულიო“. – „მაგას ვინ ფიქრობსო? – უპასუხა ქუთათელმა. – ხალხი რომ საყდარში სიარულს აღარ დაიწყებს და საქრისტიანო მოძღვრებას მოკლებული იქნება, მაშინ ნელნელა დაივიწყებს რჯულს, დაჰკარგავს სარწმუნოებას, ზნეობითად დაეცემა და ამნაირათ, სულით მკვდარი ხალხი, ადვილი მოსათოკი შეიქნებაო“. ეს მსჯელობა, რასაკვირველია, მოეწონა იზმაილფაშამ, და ხვანთქარის წყალობამ და ჯილდომ უფრო და უფრო გააძლიერა და გაადიდკაცა როგორც ჩხეიძე, ისე მისი მიმდევრებიც. თითო-ოროლა მეჩეთებიც კი ააშენეს აქეთ-იქით მის დროში. ხალხი, რასაკვირველია, თანდათან ეცემოდა. უძლური მეფე ვერას შველიდა და, ვინ იცის, რა ბედი მოელოდა იმერეთს, თუ ღვთის განგებით იმ ხანებში არ შემდგარიყო საზოგადოება, „წმინდა გიორგის გუნდათ“ წოდებული.

*

ერთხელ გაღმა, საბურთალოზე, მზის ჩასვლისას, ჭადარს ქვეშ, მოეყარათ თავი ახალგაზრდა ოჯახისშვილებს და თათბირობდენ. მათში ერიენ უფლისწულებიც, სამეფო ტახტის მემკვიდრე ახალგაზრდა, თვრამეტი წლის სოლომონ ბატონიშვილი და მისი უმცროსი ძმა არჩილი. არჩილი მაღალი ტანის კაცი იყო, ძარღვებიანი და ძვალმსხვილი. იმ დროში ვაშკაცობით და სიმარჯვით ახალგაზდებში მას ვერვინ შეედრებოდა; პირველი მობურთავე იყო, შესანიშნავი ცხენოსანი, მოჯირითე, მეთოფე, მეხმლე და მასთანაც სამ ნაბადზე ახტებოდა. მეტსახელად „წმ. გიორგის მოწაფეს“ ეძახდენ და „არჩილ გიჟს“. სოლომონიც კარგი შესახედავი იყო; ბევრში არც ის ჩამოუვარდებოდა არჩილს; მაგრამ უპირატესობა იმაში ჰქონდა, რომ თვალი უჭრიდა, – იმის თვალების შეჩერებას ვერავინ ბედავდა.

– ბატონიშვილო, – დაიწყო ერთმა კაჭიაშვილმა, – ჩვენს სურვილს დღეს ღვთის ნებაც დაერთო, წილიც ვყარეთ და უფროსობა,





მეთაურობა, თქვენ გერგოთ; გვიწინამძღვრეთ, გვიბრძანეთ და დანარჩენი ჩვენ ვიცით.

– კეთილი! – ბრძანა სოლომონმა, – მაგრამ ჯერ ერთი ეს, რომ ნება არ გაქვთ ბატონიშვილი დამიძახოთ, ყველას ჩვენი საკუთარი სახელი გვაქვს; არჩილს „გიჟი“ ჰქვია, მე – „ქვახეთქია“, შენც „შვილდისარა“ და ამგვარათ. თვითეული ჩვენგანის მოვალეობა ხომ იცით, რა არის? – სურვილის განსახორციელებლათ თავის დადება, და ჩვენი სურვილი კი ის არის, რომ ქვეყნის მტერი და ორგული ვდევნოთ და ერთგულებს ხელი შევუწყოთ. წყალგაღმა რომ საქმეს ვაპირებდეთ, ჩვენ წყალგამოღმა უნდა დავიწყოთ ჩხირკედელაობა. ყველას მხარი მოვუქციოთ და ჩვენზე ეჭვი არავინ აიღოს! გასაჭირში ერთმანეთის მომხრე უნდა ვიყოთ, თუ ჩვენგანს ვისმე უბედურება შეემთხვეს, ჭირისუფლობა უნდა გავუწიოთ არა მარტო იმას, არამედ მთელ ოჯახსაც!..

– რომ ვინმემ გაგვთქვას? – წამოიძახა ერთმა მათგანმა.

– „იმას სიკვდილიო!“ – თქვა სოლომონმა. – „ამინ!“ გაიმეორეს ყველამ ერთხმად. სოლომონმა აიხსნა ძელი ჭეშმარიტი გულიდან, თითოეული მათგანი მივიდა და ემთხვია სასოებით და დაიშალა კრება. ყველა თავისთვის წავიდ-წამოვიდენ აქეთ-იქეთ.

ამას შემდეგ არ გაუვლია დიდხანს, ხმა გავარდა, რომ კარის დეკანოზისთვის ვიღაც ბოროტმოქმედებს ძირში მოუჭრიათ ენა და ცხვირი ჩამოუთლიათო. იმავე დროს რამდენიმე ახალგაზრდა მღვდლისათვის ცალ-ცალი თვალი წამოუთხრიათო.

თავს გამოიდვა მთავრობამ, აქეთ ეცენ, იქით ეცენ, ცდა არ დააკლიათ, მაგრამ ვერა გაიგეს რა. გაიარა ერთმა კვირემ, ლევან აბაშიძის სახლ-კარი გადაბუგეს. ვერც ამის მქნელი გამონახეს. მოჰყვა ამას სხვა უცნაური ამბვებიც, და ისე დღე არ გავიდოდა, რომ სადმე გასაშტერებელი ამბავი არ მომხდარიყო. ვინც კი თათრების მომხრეთ და ერთგულათ იყო შენიშნული, რომ ფათერაკი არა მოსვლოდათ რა, – შეუძლებელი იყო. ფეხზე დადგა მთავრობა, მაგრამ მაინც ვერა გაიგეს რა. ყველაზე თავგამოდებული იყო სოლომონ ბატონიშვილი. ზოგიერთებმა ხოსიკა მაჭავარიანზე მიიტანეს ეჭვი: იმან იცის უთუოდ ყოლიფერიო. დაიჭირეს და ჩააგდეს საკანში. საწყალს აღარც ფიცი გაუვიდა და აღარც ჯერი. თუმცა საბუთი ვერა გამოუნახეს რა, მაგრამ მაინც ქვეყნის სანახავათ და შესაშინებლათ საკირეში დაწვა გაუჩინეს.

მზე ჯერ არ ამოსულიყო, რომ გალმა საკირე გაახურეს და ხალხს თავი მოუყარეს. დიდი და პატარა, ზოგი ტირილითა და ზოგი შიშით, მოდიოდა: როგორ მოიყვანდნენ ტყვეს და ჩააგდებდნენ საკირეში. უცებ ოლისკურიდან მომავალი პირბადიანი ცხენოსნები გამოჩნდენ. მათ წინ მოუძღოდა, შუბით ხელში, ერთი თეთრცხენიანი მხედარი. ჩუმათ აუარეს ხალხს გვერდი, შეუპოვრათ მიადგენ საკირეს და დაუწყეს ნგრევა. შეკრთა გაკვირვებული ხალხი, გარისხდა მთავრობაც. მოთმინებიდან გამოსულმა სოლომონმა იძრო ხმალი, რამდენიმე ახალგაზრდა მხლებლებით შეუტია შეუპოვრებს, მაგრამ, როგორც კი მიუახლოვდა თუ არა, მხედარი მოუბრუნდა, ხმაამოუღებლათ თითი მიუშვირა ცისაკენ. სოლომონმა და მისმა მხლებლებმა იარაღი ხელიდან დაჰყარეს და დაემხვენ მის წინ. თეთრმა ცხენოსანმა და მისმა მხლებლებმაც გააბრუნეს ცხენები და გაუდგენ გზას. ამ შემთხვევამ ყველა გააკვირვა. ბატონიშვილს და მის მხლებლებს რომ ჰკითხეს, მათ მხოლოთ ესა თქვეს, რომ ვიღაც თეთრცხენიანი იყო, ისეთი თვალით შემოგვხედა, რომ ძალ-ღონე დავკარგეთ და თვალი ველარ გავუმაგრეთო. – „ალბათ წმიდა გიორგი იქნებოდა, – დაიგრიალა ხალხმა, – დაილოცოს მისი სასწაულიო!“ ამავე დროს დარაჯები მოვიდენ და მოახსენეს ალექსანდრე მეფეს, რომ გათენებისას თეთრი ცხენოსანი მოადგა ციხეს, ჩაამტვრია კარები, შემოისვა უკან ხოსია მაჭავარიანი და თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდაო. ამ შემთხვევამ თვით თათრებიც კი გააკვირვა და ზოგიერთმა მათგანმა მართლმადიდებლის სარწმუნოება მიიღო. მათი ნაშიერები დღესაც ცხოვრობენ ქუთაისში ინაკავაძის გვარით. სულ რამდენიმე წლის განმავლობაში ისე დამარცხდენ თათრის მომხრე ქვეყნის ორგულები, რომ ძველებურათ ფარფაშს ველარავინ ბედავდა.

ერთხელ გეგუთში ერთი მღვდელი მოკვდა, ჩაასვენეს კუბოში, და საფლავზე რომ მიიტანეს მესამე დღეს, მაშინ გაცოცხლდა... გაუკვირდა ხალხს. მღვდელი წამოდგა, თვალები ამოიფშვნიტა, მიიხედმოიხედა და მიუბრუნდა ხალხს: – „ვენაცვალე იმის ძლიერებას, ღმერთმა საიქიოდან განგებ გამომგზავნა, რომ თქვენი ცოდვები გამხილოთ და შეგანანებიოთო“. მოჰყვა სხვადასხვა რამეებს, მაგრამ სულ მისთანებს კი, რომლებიც ქუთათელისა და მისი მიმდევრების სასარგებლო იყო. ხალხში რომ ხმა გავარდა, შორეულ კუთხეებიდანაც კი მოდიოდენ, რომ გაეგოთ და შეეტყოთ გაცოცხლებული მღვდლისაგან ზეციური ამბავი. ხალხმა მართლა თითქმის დაიჯერა მისი ამბავი და რყევაში შევიდა. ალექსანდრე მეფემ შეჰყარა ხალხი





ქუთაისში, როგორც სამღვდელოება, ისე ერისკაცებიც და იმ დღისთვის დაიბარა გეგუთელი მღვდელიც. ოქროს ჩარდახთან, ჭადარს ქვეშ, საჯაროთ ჰკითხა მღვდელს: – „მამაო, მართლა საიქიო მოგივლია და ღმერთი გინახავსო?“ – მღვდელმა დაიფიცა, მართალიაო. – „მაშ, მოგვიყევი სიტყვა-სიტყვით, როგორ იყო და ან რა ნახეო“. – „მე, შენი ჭირიმე, – მოჰყვა მღვდელი, – ამომხდა თუ არა სული, სულთამხუთავმა მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზმა მაშინვე ანგელოზებს გადამცა და იმათაც პირდაპირ ღმერთთან წარმადგინეს. დეილოცა მისი ძლიერება, ოქროს ჩარდახში ბრძანდებოდა, ოქროს ტახტზე ფეხმორთხმული, თავზე იმისთანა ფესი ეხურა, რომ სულ ელავდა, ხელში ყალიონი ეჭირა, სხვადასხვა თვლებით მოჭედილი, ისე რომ ფასი არ ითქმებოდა! ძალიან ტკბილათ მიმიღო, დიდი პატივიც მცა, გამომიშვირა ხელი და მითხრა: „ბუიურ, ქეშეშ, ოთურ ხალიჩაზედაო“. მერე გამომკითხა ამ ჩვენი ქვეყნის ამბავი. მეც, რასაკვირველია, მოვახსენე, რაც ვიცოდი, და იმანაც მე აქეთ გამომისტუმრა, რომ მისი ნება-სურვილი თქვენთვის გადმომეცა!“

წამოდგა ზეზე აღელვებული სოლომონ ბატონიშვილი და მიუბრუნდა ხალხს: – „ხომ გაიგონეთ, რაც თქვა ამ მღვდელმაო? რაც თქვა, სულ მართალია, მაგრამ მაგას ღმერთი კი არ უნახავს, ეშმაკი გამოცხადებიაო! აბა რა დასაჯერებელია, რომ ჩვენმა ღმერთმა, ვენაცვალე მის ძლიერებას, უწმინდური ფესი დაიხუროს თავზეო? და განა ჩვენი საქრისტიანო ქართული ენა არ ეცოდინებოდა, რომ თათრულათ არ დაეწყო ლაპარაკი და არ ეთქვა: – „ბუიურ, ქეშეშ, ოთურ ხალიჩაზედაო?!“ – ცხადია, რომ ამ შეჩვენებულს ჯოჯოხეთი მოუვლია! – „ვიჯმნი ეშმაკისაგანაო!“ – დაიღრიალა და მიაფურთხა წვერებზე.

როგორც მოულოდნელი ქარიშხლისაგან უცბად აღელვებული ზღვა, ისე შეინძრა ხალხიც და შემოეხვიენ გარს ფერმიხდილ მღვდელს: – „ეშმაკი უნახავს, ეშმაკი; ჯოჯოხეთში ყოფილა და იქითკენვე გავისტუმროთო!“ – და გასწი-გამოსწიეს. შეშინებულმა მღვდელმა გააბა ღრიალი: – „დიდებულო მეფევ, ნუ მოაკვლევინებ ჩემ თავს და ყველაფერს მართალს გიამბობო“. ბატონიშვილმა არჩილმა გამოგლიჯა ხელში გააფთრებულ ხალხს მღვდელი და უთხრა – „მაშ, თქვი, რა ამბავია?“ – ათრთოლებული ხმით მოჰყვა მღვდელი: – „დიდებულო მეფევ, შემიბრალეთ, მე არც მოვმკვდარვარ, არც ღმერთი მინახავს და არც ეშმაკიო! ბატონმა ქუთათელმა და მაგისმა მომხრეებმა მიბრძანეს, რომ სიკვდილი მომეგონებია და რაც ღვთის

ნაბრძანებათ გადმოგეცით, – ის სულ ქუთათელის დარიგება იყოო“. ამ შემთხვევამ ისე აალელვა დიდი და პატარა, როგორც ხალხი, ისე მეფეც, რომ ქუთათელი იძულებული შეიქნა გაქცეულიყო ქუთაისიდან და თავის როკითის ციხეში გამაგრებულიყო. დღესაც როკითელები სარწმუნოთ ამბობენ მამა-პაპისაგან გადმონაცემ ამბავს ამ ჩხეიძეზე: რომ მოკვდა და ეკლესიაში დამარხესო, – გაჩნდნენ გველები მის საფლავში, ამოდიოდენ და ხალხს აფრთხობდენო!... არ იქნა, ვერა მოუხერხეს რა, სანამ არ გაჭრეს საფლავი, ძვლები არ ამოიღეს და ხანისწყალში არ გადაყარესო. მაშინ კი გველებიც გაქრენო.

ადვილი მისახვედრია, რომ ეს საქმეები, რაც იყო ჩადენილი, სულ ამ მცირე საიდუმლო რაზმის წყალობა იყო, რომელიც საიმედო ახალგაზდათა მამულიშვილებისაგან იყო შედგენილი და რომელსაც თვითონ სოლომონი მეთაურობდა. თავისი ფრთხილისა და წინდახედულის მოქმედებით ამ პატარა რაზმმა ისე დასცარა თურქების ძალა და ისე გაუმთელა გული ქრისტიანობას, რომ ალექსანდრე მეფის სიკვდილის შემდეგ, სოლომონი რომ ტახტზე ავიდა, ბევრი აღარა დაჭირვებია რა თათრების მოსაგერებლათ.

[1895]





## რაჭის ერისთავი როსტომ

*„შენც წახდი, მეც წამახდინე,*
*ქრისტე აღსდგა, გიხაროდეს!“*

როსტომ ერისთავი მის დროში გამოჩენილი და სახელოვანი კაცი იყო. ორმოში დამალულ კაცს კატაც ვერ დასჩხავლებს, მაგრამ ხეზე გასულს კი ძაღლებიც უყეფენ“ და, რასაკვირველია, ცხოვრების მაღალ საფეხურზე მდგარ ერისთავსაც ბევრი შეჰყეფდა, ბევრი მტრები ჰყავდა, მაგრამ ვერავინ კი რას აკლებდა, სანამ მისი ერთგული და მისთვის თავდადებული ჯაფარ ჯაფარიძე თან ახლდა. მოინდომეს მტრებმა მათი დაშორება, მაგრამ მტრობით რომ ვერა მოახერხეს რა, მოყვრობით შეეპარენ ერისთავს, სცდილობდენ შეესმინათ ჯაფარაზე. ეუბნებოდენ: ეს კაცი ამისთანა-იმისთანააო, ნუ ენდობიო! რათ გინდა? შენ სახელშიაც კი წილი უძევს: სადაც შენს ქება-დიდებას ამბობენ, იქ ერთად ჯაფარასაც ახსენებენ ხოლმე და „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელიაო“ და სხვანი.

ამგვარი რამეები ბევრჯერ გააგონეს თავმომწონე და გამედიდურებულ ერისთავს, დიდხანს იმაგრებდა თავს, მაგრამ „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისაო“, – შეურყიეს გული ჯაფარაზე ერისთავს, გააწირვინეს ერთგული შინაყმა. აუკრიფა მიზეზი ბატონმა ყმას და უდანაშაულო ჯაფარას თვალი დასთხარა თავმოყვარეობით თვითონაც თვალდამდგარმა როსტომ ერისთავმა და, რასაკვირველია, იმავე დროს თავისი მარჯვენაც გაიგდებინა.

მტრებმა დრო იშოვეს, შეეძალენ, ერთგული ჯაფარა ხელს მათ ვერ უშლიდა, მიიმხრეს სარდალი პაპუნა წერეთელიც და დაუწყეს ერისთავს მეფესთან ბეზღება.

თუმცა გულის გასაღები ჯოჯოხეთში იჭედება, მაგრამ ყველაზე ვერ სჭრის. მეფე სოლომონ პირველი წინდახედული, აუჩქარებელი კაცი იყო და ყურადღებას არ აქცევდა ქვეყნის მითქმა-მოთქმას, სანამდი ბრალი არ შეემჩნა ერისთავს მეფის ორგულობისა. მაშინვე ჩამოაყვანია გეგუთში, დაათხრევინა თვალები და გადასცა მისს მოსისხარ მტერს, პაპუნა წერეთელს:

– რაც გინდოდეს, ის უყავიო!

წერეთელმა, როგორც ფილისტიმელებმა სამსონ ძლიერი, წააყვანინა საჩხერეს და ჩასვა „მოდინახის“ ციხეში. იქ თუმცა წისქვილის ქვას არ აბრუნებიებდა ტყვეს, მაგრამ ნაკლებ შეურაცხყოფას

კი მაინც არ აყენებდა; როგორც განთქმული მგალობელი, მიჰყავდა ხოლმე ლხინში და ამღერებდა და ხშირადაც თურმე დასცინოდა ხოლმე საჯაროდ: „როსტომ ერისთავო! ხომ გახსოვს, ქალებში რომ ჩამომიხტი და ხვადაბუნები დამიხანიო? ახლა მე გიხდი სამაგიეროს და შენს გულს ვფარცხავო“. და ასტყდებოდა ხოლმე სტუმრებში სიცილ-ხარხარი.

დიდი შაბათია. აღდგომა ძალი. დღე და ღამე ჯერ კიდევ არ გაყრილა. საყდრის გალავანში შემოდის ერთი ახალგაზრდა და თან შემოჰყავს მოხუციც.

– შვილო, – ეკითხება მოხუცი, – მოვედით? სადა ვართ?

– საყდართან, – უპასუხებს ახალგაზრდა, – აი, ქვაცა, დაჯექ და შეისვენე.

– კეთილი! აბგა თან გაქვს? ხომ არ დაგკარგვია?

– რა დამიკარგავდა?

– რა ვიცი, შვილო, შორი გზა გამოვიარეთ, მგზავრს ყველაფერი შეემთხვევა!

– არა, ჩვენ, ღვთით, მშვიდობიანად ვიმგზავრეთ.

– მადლობა უფალს! აბა, შვილო, გახსოვდეს: ხალხი რომ ლიტანიას შემოუვლის, მეც მომკიდე ხელი და ჩვენც შემოვუაროთ საყდარს. კელაპტარი აანთე და მომეცი ხელში. ბატის კვერცხი ხომ არ გაგტეხია?

– არა, ბატონო!

– მაშ მომეცი აქ, დიდკაცს დიდი კვერცხი უნდა მივუმკვლიო! – დაამატა ნაღვლიანის ღიმილით. – არ გაგიწყრეს ღმერთი, ჩემი ვინაობა არავისთან წაგცდეს.

– რომ მკითხვენ და არას ვიტყვი, ვაი თუ გამირისხდენ?

– მუნჯობა მოიგონე... მაგრამ ან კი ვინ რასა გკითხავს, ვინ მოგვაქცევს ყურადღებას? ახლა კი ცოტა მივწვეთ და თვალი მოვატყუოთ! ღამე კიდევ დიდია.

ირიჟრაჟა, განთიადია. გაისმა სამხიარულო ზარის ხმა და ფეხზე დააყენა სოფელი. მორთულ-მოკაზმულები ჯგუფ-ჯგუფად მოდიან ეკკლესიაზე... აბდღვიალეს კელაპტრები და ლიტანიას უვლიან...

„ქრისტე აღსდგა!“ – ახარებს მღვდელი მრევლს. – „ჭეშმარიტად!“ – ერთხმად შეგრგვინავს მრევლიც და ეს ერთი სიტყვა, თვრამეტი საუკუნისაგან გაფოლადებული, ძვალ-რბილში უვლის ყველას. შეუდგნენ ღვთის მსახურებას. დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი, ყველა ერთად სულ სხვა გუნებაზეა... სხვა ფერი აძევთ და თვით წირვა-





ლოცვაც თითქოს არაჩვეულებრივ ძალასა და სიტკბოს გამოსცემსო. მგალობლებიც სამხიარულოდ აკრიმანჭულებენ „ქრისტე აღსდგას“. დვრინი უკვერავს მგალობლებს და იქაურობას აყრუებს... მივიდა მგალობლებთან უცნობი მოხუცი და ხმის კანკალით წარმოსთქვა: „ვიცანი შენი ხმა, როსტომ ერისთავო! ქრისტე აღსდგა!“

– ვინ ხარ შენ? – უპასუხა შემკრთალმა ერისთავმა.

– ვეღარ გამიხსენე? შენც წახდი, მეც წამახდინე... ქრისტე აღსდგა, გიხაროდეს!

– ჯაფარა?! – დაიბობღინა ერისთავმა: – მეც წავხდი, შენც წაგახდინე... ქრისტე აღსდგა, გიხაროდეს!

ჩაეკრენ ერთმანეთს გულმკერდში ორი ბრმა მოხუცი, გადააჭდეს ყელი ყელს და აქვითინდნენ...

ხალხი სულგანაბული მისჩერებოდა მათ. უცბად მოსხლტა, მოშორდა ჯაფარა როსტომს და უთხრა: „არა, ბატონო ერისთავო, არ შეშვენის, არ ეკადრება დღეის დღეს ტირილი! ქრისტე აღსდგა და აღადგინა მკვდრეთით კაცთა ნათესავიო“.

– მართალი ხარ, ჩემო ჯაფარა, ისე, როგორც ყოველთვის; შენ შენი იცი და მე კი სწორედ მაშინ აღმადგინა მკვდრეთით, როცა უბედურება მომივლინა და თვალები დამთხარეს! მანამდი მე ყველაფერს ვუმზერდი და ვერასა ვხედავდი! ყურს ვუგდებდი და არა მესმოდა რა! მაშინ კი პირველად გავახილე გონების თვალი, ჩავიხედე ჩემს გულში და ყოველივე დავინახე: მედიდურობით გაბოროტებული, თურმე ჯოჯოხეთის მონა ვიყავი და ახლა კი ქრისტეს ვემსახურები! და უგალობთ მას შვებითა და სიხარულით! აბა, ერთი ჩვენებური, ძველებური, რაჭული „ქრისტე აღსდგა“ დავძახოთო, – უთხრა ერისთავმა.

ამოისვეს ორივე ხელები ამოთხრილ თვალებში ცრემლების ამოსაწმენდად, გაისწორეს ხმა ჩახველებით და შეხმატკბილდენ. ახალგაზრდა მხლებელმა დაიწყო, ჯაფარამ მაღალი ბანი მიაყოლა და როსტომ ერისთავმა ზედ დვრინი დააკვერა. გაისმა „ქრისტე აღსდგა“, რომლის მსგავსიც მანამდი საწერეთლოს არა გაუგონია რა. მოხიბლულ მსმენელებს ჟრუანტელმა დაუარათ...

[1895]

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ

პატარა ვარ, მაგრამ, რაცა ვარ, სულ წმინდა ვერცხლი ვარ. ლითონად ჩვენს ქვეყანაში ვარ გაჩენილი, ფულათ კი ზარაფხანაში მომჭრეს და ტოლ-ამხანაგებიც ბევრი მყავდა. თვალი დაუდგეს სიბერეს, რომ ხორცსაც აკლებს და ფერსაც უკარგავს ყველაფერს, თვარა პირველ ხანებში ჩემ სანახაობას არა სჯობდა რა: ცით მოწყვეტილ ვარსკვლავსავით გამქონდა კაშკაში, ხელისხელსაგოგმანებელი გადავდიოდი და გადმოვდიოდი აქეთ-იქით. ბევრის მნახველი ვარ, კიდევ უფრო მეტის გამგონე, მაგრამ ყველა რომ მოვთვალო, სად წავა!.. ერთ ახალწელიწად დილას მეფე ირაკლიმ ოქრო-ვერცხლით აავსო თასი და მიუკვლია დედოფალს: „ღმერთმა მრავალ ამ დროს დაგასწროს, ჩემო ბატონო დარეჯანო!“ – „შენიანად, ჩემო ხელმწიფეო!“ – უპასუხა დედოფალმა და ჩამოართვა სავსე თასი. გაიშალა დარბაზი და მთელი ქალაქი მოატყდა სასახლეს მოსალოცავათ.

ხელცარიელათ ფეხი არავის შემოუდგამს! ზოგს რა მოჰქონდა და ზოგს რა. ვაჭრის ცოლები კი უფრო შაქარყინულს ატანდენ ძალას და თან ამბობდენ: „ასე ტკბილათ დაგაბეროთო!“ დედოფალიც ამოიღებდა ხოლმე თასიდან ფულს და თითო-თითოდ ხან ერთს ჩაუდებდა ხელში და ხან მეორეს... ზოგს ვერცხლისას და ზოგს ოქროსას, რომ მათ-მათ შესაფერათ ბედი დაჰკვებებოდათ. ყველაზე ბოლოს შემოვიდა ოსეფა ყორღანაშვილი; ხელში გამოკრული ბაღდადი ეჭირა და მოკოხტაობდა. – „ფეხი ჩემი და კვალი ანგელოზისო! – მოახსენა დედოფალს, – ღმერთმა მრავალ ამ დღეს დაგასწროსთ მხიარულათ და ბედნიერათ თქვენი დიდებული ოჯახით!.. მტრები აგაშოროთ და მოყვრები ნუ გამოგილიოთო!.. შემიპყრია და წარმომიდგენია თქვენ წინაშე თქვენი შემცოდე ქურდები, რომელთაც თქვენთვის ფერ-ხორცი მოუპარავთ და სიტკბო წარუტაცნიათო!“ ეს რომ თქვა, გახსნა ბაღდადი და იქვე, ტახტზე, გადმოაგორა საუცხოო, წითლად დაბრაწული შაქარ-ვაშლები. დედოფალმა გაიღიმა, აიღო თასი და ეს ამდენი ოქრო და ვერცხლი ჯიბეში ჩაუჩხრიალა სამაგიეროთ. მეც იმ ფულებში ვერიე... მეწყინა, მაგრამ რაღას ვიზამდი?!

ოსეფა ყორღანაშვილი „ახალკაცი“ იყო, ე. ი. უბრალო ჩამომავლობის, მხოლოდ პირადათ ამაღლებული ბედისაგან და ისიც უჯეროთ. ძველათ ჩვენში გვარიშვილობას დიდი ფასი ედვა... ვაგლახათ „ახალკაცებს“ არ გაიტოლებდენ, გინდ ისინი ყოვლათ სრულიც ყოფილიყვენ. ამ გულკოიტობამ დაღუპა საოცარი გმირი სააკაძე და





მასთანვე ერთად საქართველოც. ყორღანაშვილს კი ღირსებაც არ ჰქონდა, გარდა გაიძვერობისა და, რასაკვირველია, ქართველი დიდკაცობა იმის მაღლა-მაღლა ფარფატს ვერ აიტანდა. ყველაზე უფრო გულნატკენი იყო დავით სარდალი; ეს იცოდა ოსეფამაც, მაგრამ, აქადა სასახლეში მხარს მიჭერენო, არავის ეპუებოდა.

ზრდილობა და დარბაისლური თავდაბლობა ზნეთ ჰქონდათ იმ დროში გადაქცეული საქართველოს გვარიშვილებს. ოსეფა ყორღანაშვილს კი, როგორც უსისხლო კაცს, თავის უგვარტომობა ნაკათ ჰქონდა გულში ჩარჩენილი! აქა-და უკადრისი არავინ მკადროსო, თვითონ ასწრებდა ყველას: მედიდურათ ეჭირა თავი, სხვაზე მეტად თავხედობდა და ხშირად სიბრიყვეში ვარდებოდა... ცოტა რამ აჩქარებდა ხოლმე და იმ დღესაც, დედოფლისაგან რომ საჩუქარი მიიღო, ზეცას მიაჭირა თავი. ოხუნჯობაც კი დაიწყო და დავით სარდალს საახალწლო ხონჩა გაუგზავნა, მაგრამ ტკბილეულობის ნაცვლად რიკ-ტაფელა დაედვა (ჩილიკა-ჯოხი) ზედ. ორბელიანი მიხვდა, თუ რასაც ნიშნავდა ეს გამოცანა: „ახლა მე ვარ სასახლეში და შენ კი დაჯექი და ირიკავეო“.

სარდალმა მადლობა შეუთვალა და რიკ-ტაფელა თაროზე შეადებინა შესანახავათ. გაიარა დრომ, ეს საახალწლო ხუმრობა ყველას დაავიწყდა. საფერისცვალებოთ გალაღებული ყორღანაშვილი სადილათ მიიწვია სარდალმა. ჩვეულებრივი მოკითხვის შემდეგ, მასპინძელმა უთხრა სტუმარს: „ბატონო ოსეფ-აღავ, ჯერ სადილი ადრეა... მოცლილი ვართ და ხომ არ ინებებთ, რომ რიკტაფელობა ვითამაშოთო?“ ჩამოაღებია თაროდან გამხმარი ტაფელა. ოსეფა შეკრთა და აიფხორა... ფერი ეცვალა... „რა დროს თამაშია, ბატონო სარდალო? – ძალდატანებული ღიმილით უპასუხა, – ფერისცვალობა დღეა, შეგეწიოს მისი მადლი, მეც შიმშილით ფერი მეცვალაო!“ – „თქვენი ნებააო“, – სთქვა სარდალმა და ანიშნა მსახურებს: „აბა, აჭამეთ ზურგიელიო!“ თვალის დახამხამებამდი მისცვივდენ შინაყმები, გააწვინეს და იმ გამხმარი ტაფელათი ზურგის კანი აუცხუნეს... იმდენი სცემეს, რომ უსულოთ მიაგდეს!.. გამოიტანეს მერე გარეთ და მოედანზე დააგდეს. ამ ამბავმა მთელი ქალაქი შესძრა! მაინცდამაინც ბევრს არავის სწყენია ყორღანაშვილის შეურაცხყოფა, მაგრამ გაკვირვებით კი უკვირდათ! ყველაზე უფრო გამწარებული დარეჯან დედოფალი იყო. დავით სარდალმა იფიქრა: „დღეის იქით მე აქ აღარ დამედგომებაო!“ შეჰყარა გვარეულობა და დააპირა იმერეთში გადასახლება. ირაკლიმ მოციქულები მიუგზავნა: „ოსეფას გულისთ-

ვის ან ქვეყანას რადა სტოვებ და ან მე რათ მშორდებიო?“ ამას კი აღარ ელოდა ყორღანაშვილი! იმას ეგონა, რომ ორბელიანებს მეხი დაატყდებოდათ თავზე. იმედი რომ გაუმტყუნდა, კბილების ღრჭენით თქვა: „მაშ მე ოსეფა აღარ ვყოფილვარ და ეს ულვაში ნუღარ მსხმია, თუ ეს ჩემი შეურაცხყოფა ვისმეს შევარჩინოო“. ეს ფიცი კიდეც შეასრულა „ხოჯახნობის“ დროს. ღმერთთან სწორე სჯობს, ოსეფას გაჯავრებას საფუძველი ჰქონდა: ისე უმოწყალოთ იყო გალახული, რომ დიდხანს ფეხზე აღარ წამომდგარა. ჯარა-მელანია ექიმობდა: წყლულზე „ოშოშას“ადებდა და დაბეჟილს უზელდა. რომ მორჩა, სხვათა შორის, მეც საექიმოში გამიღო და დარბაისელის ჯიბიდან მელანოს ხელში გადავედი. ამ საწყალ ქვრივ დედაკაცს ერთი შვილის მეტი არა ჰყავდა და ისიც დაკუტებული იყო. ერთ კვირა დღეს მელანომ ჩამოქნა მისი შვილის სიგძე სანთელი, მეც ავადმყოფს რამდენჯერმე თავზე შემომავლო და გასწია ანჩისხატისაკენ. სანთელი პირიმლვთისას აუნთო, დაუჩოქა წინ და, სანამ ძირამდი არ დადნა-დაიწვა მისი ფთილა, ცრემლით ევედრებოდა ყოვლის-შემძლებელს: „შვილი მომირჩინე და ასე დაადნე მისი სატკივარიო“. რომ გაათავა ლოცვა, ამოიღო და მეც ხატის უკან დამდვა შესაწირავათ.

იმ დღიდან, თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში, ფეხი აღარ გამომიდგამს. ვიყავი ჩემთვის მარტოდმარტო და თვალყურს ვადევნებდი იქაურობას. მაშინდელი ეკლესია ოქრო-ვერცხლით თუმცა მდიდარი არ ყოფილა, მაგრამ სიწმინდე კი დიდი იყო შიგ. მაშინდელ მღვდელს მღვდლობა ეტყობოდა და ერიც ერსა ჰგავდა. განუწყვეტელი წირვა-ლოცვა იყო და საყდარი მლოცველებით ივსებოდა. უკან საქალებო ჰქონდა მოდგმული; ქალები იქ იკრიბებოდენ და კაცები კი წინ იდგენ უძრავათ... უკან მიხედვა არ შეეძლოთ!.. დღეს კი, ეშმაკის მახედ, ნახევრად ტიტველი ქალები წინ დგანან. კეკლუცათ ტრიალობენ, ირხევიან და მამაკაცები კი უკანიდან მისჩერებიან მათ მოელვარე გულ-მკერდს და ჯოჯოხეთის ცეცხლით უდუღდებათ სისხლი!.. იმ დროის კითხვა-გალობის კილოც სხვა იყო: გრძნობა-გონების წარმტაცი და სასოების მომგვრელი, მრავალ საუკუნეების განმავლობაში მოფიქრებული და შესწავლილი, ქართველის გულზე იყო გამოჭრილი და ქართულ სმენას ეთანხმებოდა... ჩადიოდა გულის სიღრმემდი და მოხიბლულ გრძნობა-გონებას იტაცებდა.

ძველათ საყდრის გალავანში აუცილებლათ უნდა რგულიყო ორი ხე: ბზა და ცაცხვი. პირველი საბზობოთ და მეორე კი საჩრდილებლათ. წირვა რომ გამოვიდოდა, იმ ცაცხვქვეშ იყრიდენ თავს





სოფლელები, რომ ერთმანეთისათვის თავ-თავისი გულისპასუხი გაეზიარებიათ. იმ ხის ქვეშ ტყვილი არ გაიბედებოდა! ის იყო წმინდა და, ხალხის აზრით, ზედ დასაჯდომათ ფრინველიც ვერ მიეკარებოდა. ათასში ერთხელ, დღისით, როგორმე ჭიკჭიკა მერცხალი, როგორც ღვთის ქათამი, თუ მიბედავდა და ხანდახანაც ბნელ ღამეში „წმინდანიანი“[1] თუ შემოჯდებოდა ხოლმე, თვარა სხვა ვერავინ. ეშმაკი თუ შეცდებოდა, მაშინვე თავზე მეხი ატყდებოდა და მისი ნაჯდომი შტოც ხმებოდა. მაგიერათ დღედაღამ გარს ეხვეოდენ ფუტკრები, როგორც ზეცის მუშები, რომ ყვავილებისგან სიტკბო ამოეწუწნათ და თაფლ-სანთელი გაეკეთებიათ. ეს იცოდა ხალხმა და გალავნის შიგნიდან, თვალ-მარგალიტიც რომ ყოფილიყო, ვერავინ რას გაიტანდა. საყდარში ხომ ყოველგვარი სამკაული ხელშეუხებელი იყო. ათასში ერთხელ მღვდელი თუ მოჰკიდებდა ხელს რომელსამე სამკაულს გასაწმენდათ, მაშინაც მხოლოდ ლოცვითა და ამბორებით; ბოლოს კი ამასაც გადაეჩვიენ: ხატის მადლსა და სასწაულს კი აღარ უყურებდენ, უფრო მის მინანქარსა და ოქროჭედილობას სინჯავდენ. იმათ რომ აღარ ეპუებოდენ, მე ვინლა გამიტანდა! ერთმა ურჯულომ მტაცა ხელი და ორთაჭალის ბაღებში ამომაყოფინა თავი.

სიწმინდენაჩვევს, არაფრათ მეჭაშნიკა უწმინდური ლხინი: ტკბილი გალობის ნაცვლად უკადრისი სიმღერა მესმოდა!.. წმინდა ამბორების მაგიერ, საზარელი „პროშტი“ იყო გახურებული და მეტანიის ნაცვლად კინტოური ბუქნა. მომიკვდა გული, მაგრამ რაღას ვიზამდი!.. იმ დღიდან დამაწყებინეს აქეთ-იქით თრევა: ათი წელიწადი ვიწანწალე, ხელიდან ხელში გადავდიოდი, ხან ერთის ჯიბეში ვიყავი და ხან მეორისაში. ეს კი შევნიშნე მხოლოთ, რომ ქართველის ჯიბეში დიდხანს არ მაცდევინებდენ. ბოლოს ჩავუვარდი ხელში ერთ ქართველ სოვდაგარს და იმან კი დიდხნობით ბნელ კიდობანში ამომაყოფია თავი.

შევეჩვიე ნელ-ნელა სიბნელეს, თვალი გავიტეხე, მივიხედ-მოვიხედე და ვნახე, რომ ჩემს გარდა სხვებიც ბევრი იყვნენ დამწყვდეული. კიდობანი თითქმის პირამდი იყო მოყრილი ოქრო-ვერცხლით და თავზე ყველას ქაღალდის ფულების ერთი დიდი კონა ასკუპდა. იქვე, გვერდით ეყარენ სხვადასხვა გვარის აქციები; ხმაურობა იყო: ფულებს შუღლი მოდიოდათ ერთმანეთში; ყველაზე უფრო ერთი დიდი ოქრო ცხარობდა, რომელსაც გულზე ჯვარი ჰქონდა გამო-

1 იმერეთში ამტკიცებენ, რომ „წმინდანიანი“ ფრინველია, რომელიც ღამე ანათებსო (ავტ. შენიშვნა).

სახული. „რომელი ერთი უნდა ავიტანოთ, – ამბობდა, – ტყვეობა, თუ შეურაცხყოფა? ეს ქაღალდის ფული რომ თავზე დაგვჯდომია და მაღლიდან მედიდურად დაგვყურებს, ჩემო, რაო?! ვითომ რა ჩვენი ტოლია?! ელვარება აქვს ჩვენისთანა, სიმტკიცე, თუ სიმძიმე? ქარი წაიღებს, წყალი დაალპობს და ცეცხლი დასწვავს; ჩვენ კი...“

– უკაცრავათ! უკაცრავათ – გააწყვეტია ქაღალდის ფულმა, – ნურც მაგრე გაიბერები, შე მამაცხონებულო! ჩვენი ღირსებაც იკითხეო.

ოქრომ გაიღიმა და გაოცებით ჰკითხა: „რა ღირსებაო?“ ქაღალდ-მა დაიწყო: „ერთხელ, ოდესმე, დედამიწამ პირი შეიკრა და ლითონი აღარსად გამოაჩინა. გაძვირდა ოქრო და ვერცხლი, ხალხი ფულს ეძებდა და ფული კი აღარსად იყო. შეიქნა ქვეყანაზე ერთი არეულო-ბა და ამბოხება; შეშინდენ ხელმწიფეები!.. აღარ იცოდენ, რა ექნათ! ცუდათ იყო მათი საქმე, თუ სომხების ხელმწიფეს თავის თავი და სხვებიც არ გადაერჩინა: ერთ დღეს მიდის სომხების მეფესთან მისი ვეზირი – ხელოქა – და, დაღონებულს რომ ხედავს, ეუბნება: ბა-ტონო მეფევ, უბრალო რასმე შეუწუხებიხარ! რა ვუყოთ, რომ ფული გაძვირდა? ნუ იყოს ოქრო და ვერცხლი... თქვენ მათ მაგიერათ ქა-ღალდი გამოაჭრევინეთ და ზედ დააწერეთ, რომ ფულათ გავიდესო... უბრძანე და გავა! „ასი! გნაციო!“ უთხრა სომხურათ, ე. ი. „თქვი და გავაო“. ვეზირის რჩევა მეფეს დაუჯდა ჭკუაში. მართლა დააბეჭდვი-ნა ქაღალდის ფული, ბრძანა: „გავიდეს ოქრო-ვერცხლის სწორადო“ და გავიდა კიდეც. ეს გადიღეს სხვა ხელმწიფეებმაც, გადარჩა ქვეყ-ანა განსაცდელს, და ქაღალდის ფულსაც „ასიგნაცია“ დაერქვაო. აი, ახლა ხომ ხედავთ, თუ რა სიბრძნის შვილი ვართ ჩვენო? უბრალო „აქცია“ კი ნუ გგონივართო“. ეს არ მოეწონა აქციებს, შეხტენ და შებზრიალდენ: „ჩვენ უფრო სქელი ქაღალდი არა ვართ თქვენზედ-აო? და რაც შეეხება გასავალს, ზოგჯერ, რომ ვართ, იმაზე მეტათაც ვღირვართო!“ – უპასუხეს.

– კარგია ერთი, ხმას ნუ იღებთ, გიცნობთ, რა შვილიცა ხართ!.. სხვებთან იფართიფურთეთ და მე კი თქვენი მოსატყუებელი კბილი დიდი ხანია მოვიცვალეო... „აქციას“ მიტომ გეძახიან, რომ ქვეყნის დამქცევი და ამომგდები ხართო. ერთი რომ გაამდიდროთ, ათასს აღარიბებთ და მეტი ქვეყნის დაქცევა კიდევ იქნებაო? – ეს რომ გაიგონეს აქციებმა, შერცხვათ, ხმა ველარ ამოიღეს და გაჩუმდენ, მაგრამ სამაგიეროთ ისევ ჯვარიანი ოქრო აქაქანდა: „თქვენ რა იცით, ხურმა რა ხილიაო! ჯერ ის გაიგეთ: ვინა ვარ, საიდან მოვსულვარ





და ან რად? და მერე წამეტოლეთო!“ – თქვა მედიდურათ და მოჰყვა: „ასტრახნის არქივატორმა, იოსებ არღუთაშვილმა, ერთხელ გახსნა სალარო ოქრო-ვერცხლით გატენილი და ამოიღო განძი; ორად გაჰ-ყო: ერთი წილი მიაწოდა აღა-მაჰმად-ხანს გზის ხარჯათ: „ნუღარ დაიგვიანებ, წამობრძანდიო!“ და მეორე ტფილის-ქალაქში გაუგზავნა თანამერჯულეებს: „მოახლოვდა ჟამი, როცა უნდა ასრულდეს ჩვენი ნატვრა და ახლა თქვენ იცითო“. მიღებისთანავე არქივატორ იოსებ არღუთაშვილის ძმისწულმა, მეფის მინბაშმა, სოლომონ არღუთაშ-ვილმა და ქალაქის მელიქებმა, იოსებ და დარჩია ბებუთაშვილებმა, შეჰყარეს თანამოგვარეები სათათბიროთ. მათ რიცხვში მოჰყვენ: იოსებ შაღმათაშვილი და მისი ძმა ავეტიკა, აბესალომ ბებუთაშ-ვილი, სულხან თუმანიშვილი და მისი ძმა მანუჩარი, ოსეფა ყორ-ღანაშვილი და არტემ არარატიანცი, რომელსაც არუთინას ეძახდენ. ესენი ყველა, გარდა არუთინასი, მეფესთან დაახლოვებული იყვენ და ხალხშიაც გავლენა ჰქონდათ. არღუთაშვილმა ბიძიმისის წერილი წაუკითხა კრებას და ხონჩებით ოქრო გამოუტანა. ოქროს ელვარებამ დიდსა და პატარას თანასწორათ მოსჭრა თვალი და ყველას ჟრუან-ტელმა დაუარა ტანში. ამ დროს წამოდგა ზეზე კუზიანი დარჩია და მოჰყვა: „მომილოცავს მომავალი ბედნიერება! ჩვენი „პასექი“ მოახ-ლოვებულია! როდესაც ებრაელები გამოვიდენ ეგვიპტით უდაბნოში, ორმოცი წლის ხეტიალის შემდეგ, იპოვნეს აღთქმული ქვეყანა იორ-დანის პირად; ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენც ჩვენი „აღთქმითი ქვეყანა“ უნდა მტკვრის პირათ მოვიპოვოთ და დამჭკნარ საქართველოზე ავაყვავოთ ახალი ჰაიასტანი... გამხნევდით! იქ, სადაც მახვილი ვერა სჭრის, პატარა ხერხს გააქვს და გამოაქვს; სადაც ფარ-ხმალი უძლურია, იქ ოქრო ყოვლის შემძლებელია და, აჰა, ესეც ხომ დღეს ჩვენ ხელშიაო?!“ კრებამ ერთხმათ მისცა დასტური და ერთპირათ მიმართა მეთაურებს: „გვიწინამძღვრეთ, როგორც ისუ ნავემ და იყა-ვით მოძღვარ ჩვენდა, ვითარცა მოსე და აარონიო“.

გადასწყვიტეს, მორიგდენ და ფულიც ორ წილათ გაჰყვეს: ნახ-ევარი ერთმანეთში გაინაწილეს და მეორე ნახევარი გადადვეს ქართველ თავადებში დასარიგებლათ. ეს გაიძვერული საქმე ოსეფა ყორღანაშვილმა იტვირთა. იმ დროს საქართველოში დიდი არეულ-დარეულობა იყო. სხვადასხვა დედის შვილი – უფლისწულები ერთ-მანეთში კინკლაობდენ. თითოეულ მათგანს თავთავისი მომხრეები ჰყავდა და საზოგადო საქმე მით აწეწილ-დაწეწილი იყო. ეს კარგად იცოდა ოსეფამ, ისარგებლა მითი და საიდუმლოდ მიმართა გიორ-

გის მომხრეების მეთაურებს: რევაზ ანდრონიკაშვილს, ხათაგოგია
ციციშვილს, ალექსანდრე მაყაშვილს და სხვათა და აგრეთვე ქსნის
ერისთავებს, როგორც ირაკლის პირად მტრებს: „ბატონებო, ვინ არ
იცის, რომ ყველა ჩვენგანი საქართველოს გულისათვის თავდადე-
ბულია და მისი კეთილდღეობის მოსურნე?! მისი ღვიძლი შვილები
ვართ!.. ჩვენგან მოვლასა და პატრონობას მოითხოვს და... მაგრამ –
„ვაი თქმასა და ვაი უთქმელობასაო“ – ნათქვამია... ღმერთმა დღე-
გრძელ ჰყოს ბატონი ირაკლი, მაგრამ ის მისთანა ველარ არის, ადრე
რომ ირაკლი ბრძანდებოდა: სიბერემ თავისი გაიტანა. იმ აზრით,
რომ ნადირ-შაჰის მომხრეები ასიამოვნოს, სპარსეთის ყეენს მუქა-
რას უთვლის და ისიც – აგერ, სადაც არი, კარზე მოგვადგება. დრო
არის და საქართველოს კეთილდღეობაც მოითხოვს, რომ ბატონიშ-
ვილმა გიორგიმ ჩაიბაროს სამეფო. მისი ღვთისმოყვარეობა და
სათნო ხასიათი თავდებია, რომ ქვეყანაც დამშვიდდეს და ჩვენც
მოვისვენოთ. ბატონ ირაკლის გადაწყვეტილი აქვს გუნებაში, რომ
ახლოს მოიტყუოს სპარსელები, მერე ირგვლივ შემოერტყას და
ერთიანათ სოკოსავით აკრიფოს. სპარსეთიდანაც ნადირ-შაჰის
ნაერთგულარნი ირაკლისავე ჰპირდებიან სპარსეთში გამეფებას. ეს
რომ ასრულდეს, მაშინ ჩვენი მტრები გაზვიადდებიან და ყველანი
უნდა გამოვეთხოვოთ ცოლ-შვილსა და სახლ-კარს! ნამდვილ მემ-
კვიდრეს, ბატონიშვილ გიორგის, სხვა ძმები წაართმევენ ტახტს და
მაშინ, თქვენც იცით, რომ კარგი ბოლო აღარ ექნება საქართველოს.
დეე, ირაკლი შეებრძოლოს სპარსელებს, მცირე ჯარით შეაწყდეს!
ჩვენ ჩამოვშორდეთ... მზათ კი ვიყოთ და მერე დაღალულზე მუსრი
გავავლოთ მტრებს,. ჩვენ თავს სახელი მოვუპოვოთ და გიორგი
ბატონიშვილს ტახტი და დიდება!“ ამ სიტყვებთან ერთად გამოიტანა
აუარებელი ოქრო და გადასცა მათ: – „ჯარის მოსაგროვებლათ დაგ-
ჭირდებათო“. ზემოხსენებულ დიდკაცებს ანგარებამ თვალი აუბა.
გაიმეტეს ირაკლი, გადაჰყვენ ოსეფას ცბიერებას და თავსაც მითი
მართლულობდენ თავის გუნებაში, რომ გიორგის დავსვამთ მეფეთ
და მაშინ უფრო ბედნიერი იქნება საქართველოო. დატრიალდენ
შეთქმულები, შეიძრა ქვეყანა და ღალატმა ნელ-ნელა საიდუმლოთ
გაიდგა ფეხი. ირაკლისა და მის ერთგულებს ეგონათ, რომ მტრის
საწინააღმდეგოდ ემზადება ყველაო და გულდამშვიდებით ელოდენ
ხოჯახანის მოახლოვებას. კრწანისის ველმა გამოაფხიზლა ყველა,
მაგრამ გვიანღა იყო... ომის დროს ირაკლის ჩამოშორდენ საიმედო
სარდლები. პირველი მაგალითი მისცა სხვებს რევაზ ანდრონიკაშ-





ვილმა და შერჩა ხელში ირაკლის სამოცი ათასიდან მხოლოდ ორი
ათასი ერთგული ქართლელ-კახელი, რომელთ რიცხვში თათრებიც
ერიენ და სამი ათასიც იმერლობა. შეკრთა, მაგრამ გული კი მაინც
არ გასტეხია გმირთა-გმირს და საბოლოვოთ ძლევას კიდევ მაინც
დაირჩენდა, თუ მელიქებს ქალაქის კარები არ გაეღოთ მტრისათვის.
მაშინ კი მოტყუებულმა გიორგის მომხრეებმაც დაინახეს მათი შეც-
დომა, მაგრამ ნეკზე კბენა რაღას უშველიდა?! თუ მე და ჩემისთანები
სხვებიც ასტრახნიდან არ ჩამოვსულიყავით და ხალხში არ დაგვეწყო
ტრიალი, საქმე სულ სხვაგვარათ იქნებოდა...

–„გაჩუმდი! გაჩუმდი! ხმა ჩაიწყვიტე!“ – მიაძახეს აქეთ-იქიდან
სხვებმა, მაგრამ ყველაზე უფრო ხუთმანეთიანი ოქრო გაცხარდა: „ნუ
მარცხვენ, შე შეჩვენებულო, ერთი მიწის შვილი ვართ! ქვესკნელში
ჩასაძვრენი ყოფილხარ და არა აქ გამოსაჩენი. ქვეყნის დასაქცე-
ვათ და ამოსაგდებად მოსულხარ... ამდენი სისაძაგლე ჩაგიდენია...
ბოროტების მასალა ყოფილხარ და კიდეც ტრაბახობ? სადაც შენ მოუ-
ჭრიხართ, მეც იქა ვარ მოჭრილი; საიდანაც მოსულხარ, მეც იქიდანა
ვარ მოსული, მაგრამ შენსავით საუკუღმართოთ კი არა. მოღალატეე-
ბსა და ქვეყნის ორგულებს არ ჩავვარდნივარ ხელში! მე ვარანცო-
ვის ჯიბეში ვარ ნადები და მის ხელში გამოვლილიო! სადაც დავით
აღმაშენებელი, თამარი და გიორგი ბრწყინვალე იხსენიება, იქ არც
ვარანცოვია დასავიწყარი. ბევრი კარგი უყო საქართველოს და, რომ
დასცლოდა, ვინ იცის, რას არ მიანიჭებდა? ის ცდილობდა, რომ
გაეღვიძებია და თვალი გაეხილვინებია ქართველებისათვის... მრა-
ვალ საუკუნოების განმავლობაში მოუსვენრობამ და გმირულმა გარ-
ჯამ დაღალა საქართველო. ამ ბოლო დროს ძილს მისცა თავი, რომ
დაღალულობა მოეხადა. ეს ხომ მსოფლიო კანონია! სწორეთ ამ ძილის
დროს მოასწრო ვარანცოვმა... მძინარს მტერი, როგორც უნდა, ისე
ჩაიგდებს ხელში... რა მხრითაც უნდა, იმ მხრით მიეპარება... გამოაღ-
ვიძებს მხოლოდ მოყვარე და ვარანცოვმაც სწორედ მოყვრულათ
მოინდომა, რომ ნელ-ნელა გამოეღვიძებია დროებით მიძინებული ერი
და დაენახვინებია მისთვის მისი წარსული, აწმყო და მომავალი! მოაგ-
ონა მისი ისტორია, გაუხსნა სკოლები, გაუკეთა სტამბა, გაუმართა
თეატრი, დააყენა სწორ გზაზე და შეუწყო ხელი. უნდოდა, რომ ეს
საუკუნეების განმავლობაში წამებული ქრისტიანობა პოლიტიკურათ
შეეკავშირებია თანამერჯულე რუსეთთან, რომ მათი ჭირი და ლხინი
სამარადისოთ ერთი ყოფილიყო. ამ აზრის განხორციელებას სიმარ-
თლეს, სიტკბოებას, სიყვარულს და თანასწორობას უდებდა სარჩუ-

ლათ. უნდოდა, რომ დღევანდელი ქართველები, დრო და ჟამის შესაფერათ, ისე ამაღლებულიყვენ ზნეობით, როგორც მათი წინაპრები ყოფილან ძველათ, და მაშინ შეკავშირებოდენ რუსებს. ვისაც თავისი თავი სძულს, ის სხვასაც ვერ შეიყვარებს! ვისაც თავისი საკუთარი ოჯახი არა სწამს, ის სხვის ოჯახს როგორღა იწამებს და როგორ შეეთვისება? ეს ესმოდა ვარანცოვს და ამიტომაც ურჩევდა ქართველებს: – „გიყვარდეთ თქვენი ქართველობა, ნუ დაივიწყებთ თქვენს სასიქადულო წარსულს, ნუ დაკარგავთ საკუთარ ფერ-ხორცს, ამაღლდით სულით და გულით და მაშინ მხოლოთ, საკუთარ ეროვნებაში გამობრძმედილს, შეგიძლიათ უტყუარი, უპირფერო ძმობა-მოყვრობა და გაუწყვეტელი კავშირით სამუდამოთ რუსეთთან გადაბმაო. ნუ დაგავიწყდებათ, რომ დღეიდან თქვენი მომავალიც ერთი უნდა იყოს და ისტორიაც საზიაროო“. – დაიჯერა ხალხმა, ჩაუდვა კალთაში თავი და ვარანცოვიც შეუდგა საქმეს. მაღლა ასვლის მოსურნე უნდა ადიოდეს საფეხურიდან საფეხურზე სიფრთხილითა და ფეხმომარჯვებით. რადგანაც იმ დროს მთის ხალხი მოსვენებას არ აძლევდა რუსქართველობას და ხელს უშლიდა ცხოვრებაში, ამიტომ საჭირო იყო მათი მოგერება და ვარანცოვმა მიმართა ქართველებს: – „დღეს ჯერჯერობით ეს წვრილმანი მტრები უნდა ავლაგმოთ, რომ ხელს აღარაფერში გვიშლიდეს და დროს არ გვაკარგვინებდენ უბრალო რამეებზე, და მერე კი უფრო გულდასმითა და დამშვიდებით დავადგეთ სწავლა-განათლების სწორ გზას, რომ მომავალი მოვიახლოვოთო!.. აბა, ჰე, შევესიოთ დაღესტნის კალთებსო!“ – თქმა იყო და გაგონება! იგრიალეს ქართველებმა, აღარ დაიზოგეს თავი, მიადგენ დაღესტნის მთებს და, არა თუ რომელიმე გვარი საქართველოში, თითქმის ოჯახიც არ დარჩენილა, რომ მსხვერპლი არ შეეწიროს. განა მარტო აქ?.. ნუ დაგავიწყდებათ კირიმის ომი და ჩოლოქის ბრძოლა, სადაც გამოჩენილმა გვარიშვილებმა თავი დადვეს. ვარანცოვი აქეზებდა მათ, აფასებდა მათ ვაშკაცობას, მაგრამ იმავე დროს არც სხვა საჭირო გზებს ივიწყებდა შორს გამჭვრეტი ადმინისტრატორი: შეჰყავდა ახალგაზრდა ქართველები შკოლებში და უკეთესებს ჰგზავნიდა უმაღლეს სასწავლებელში. მაშინდელმა პედაგოგებმა შენიშნეს, რომ სკოლებში ისინი უკეთ სწავლობდენ და უკეთ ითვისებდენ რუსულსაც, ვინც დედაენა იცოდა და ქართულ წერა-კითხვაში ჰქონდა გატეხილი თვალი; და ვისაც პირდაპირ უცხო ენაზე დააწყებინებდენ სწავლას, ისინი ჩამორჩენილი იყვენ და გონებაც უჩლუნგდებოდათ. ეს რომ გაიგო ვარანცოვმა, ბრძანა, რომ ქართველი ყმაწვილებისათ-





ვის ჯერ, პირველ ხანებში, დედაენა ესწავლებიათ და მერე გადაეყვანათ უცხოზე. დღეს რომ მესამოცე წლებს ჩვენში ქებით იხსენიებენ, დამერწმუნეთ, რომ ის ვარანცოვის ნათესია! მისი შორსგამჭვრეტელობა საარაკო და სამაგალითო იყო“.

– პრიკაზი! პრიკაზი! პრიკაზიო? – მიაძახეს აქეთ-იქიდან.

– ეგ ცარიელი სიტყვა და უბრალო ცილისწამებააო, – განაგრძო ხუთმანეთიანმა ოქრომ, – პრიკაზი ვარანცოვზე ადრე იყო, როზენის დროსვე გადაწყვეტილი, ვარანცოვი ყურადღებასაც არ აქცევდა. თვითონ ქართველებმა მიჰგზავნეს მუხრანბატონი: – „ნუ გვაბრკოლებთ, პრიკაზი გაგვიხსენითო!“ – ვარანცოვმა შორს დაიჭირა; ბევრიც ურჩია: – „ნუ გინდათო! საუკუნეების განმავლობაში ხელში ფარხმალის მეტი არა გჭერიათ რა, ბრძოლის ველზე ათენ-აღამებდით, ფული ხელში არა გჭერიათ და, თუ გჭერიათ, ისე როგორც ნივთი რამე... ჯერ მის მოხმარებას ნაჩვევი არა ხართ, ყველაფერს მიჩვევა და შესწავლა უნდაო. მამა-პაპის სამკვიდრო მამულს, წამებულთა სისხლით მორწყულს და ძვლებით გაპოხიერებულს, დაჰკარგავთ, დროზე რომ ველარ შეიტანთ გარდასახადს და აღებულ ფულებს უბრალოდ გაჰფანტავთო“. – ამგვარი რამ ბევრი უთხრა, მაგრამ გამგონე სად იყო? თანაც მათ წყენას ერიდებოდა და აღარ იცოდა, რა უნდა ექნა! ერთ დღეს მიიხმო დიმიტრი ყიფიანი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, მაგრამ შეგნებულად ცნობილი, და უთხრა: უნდა პრიკაზი გავუხსნა ქართველებს, აღარ მეშვებიანო! მაგრამ ვეცდები სხვა გზა მივცე; ზოგჯერ მკურნალები საწამლავს სამკურნალოთ ხმარობენ და მეც ისე მათ საკეთილდღეოთ გამოვიყენებ პრიკაზსო. თქვა და კიდეც აასრულა. დაეხვიენ ბუზებივით ადგილ-მამულის პატრონები, დააგირავეს, გამოიტანეს ფულები, გაფანტეს, მაგრამ დაკარგვით მაინც არა დაჰკარგვიათ რა! მართებლობა მიზეზს ეძებდა, ის ვალი აეშორებია ქართველებისათვის, და ვინც კი მათგანი გააკეთებდა რასმე თვალსაჩინოს რომელსამე ასპარეზზე, ჯილდოდ პრიკაზის ვალს აპატიებდენ ხოლმე. ასე გასინჯეთ, რომ ერთ მწერალს, აქა-და ქართული ჟურნალის გამომცემელიაო, ორჯერ შეაწიეს პრიკაზის ვალი. მასუკანაც აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტია და ვისი რა გაყიდულა? პირაქეთ, პრიკაზი რომ არ ყოფილიყო და „აპეკუნობა“ არ გაეწია, დღეს აღარც ერთი ქართლელი მემამულე აღარ იქნებოდა და მათი სამკვიდრო უცხოების ხელში გადავიდოდაო...“

– ეგ დღემდი!.. დღეის იქით? – დაეკითხენ.

– დალოცვილო, ერთხელაც არის, ჭკუა უნდა ისწავლო. დაუს-

რულებელი არა არის რა. პრიკაზზე რომ მაგრე ცხარობთ, რატომ დღევანდელ ბანკებზე კი არას ამბობთ, რომ ერთ საათსაც არ აცლიან და ჩაქუჩებს ურტყამენ? თუკი ის შეიგენით, რომ პრიკაზი შეცდომა იყო მაშინ, დღეს იგივე შეცდომა რაღათ გაიმეორეთ და ხაფანგი დაუგეთ თქვენს თავს? არა, ყველაზე ითქმის საყვედური და ვარანცოვზე კი არა! მისი შორსგამჭვრეტელობა აქამდე უწევს და დღესაც კიდევ სჭრის. უხსოვარი დროიდან ქართველები შემოსეული მტრების მოგერებას უნდებოდენ, საშინაოთ აღარ ეცალათ. ოჯახი ქალების ხელში იყო და ვაჭრობა ურიებმა და სომხებმა დაისაკუთრეს, რადგანაც ომში არაფერი გამოსადეგი იყვენ. ჩაესახლენ ჯგუფ-ჯგუფად ქალაქებში გულდამშვიდებით და, ფარ-ხმალის მაგიერათ, სასწორ-საზომს ატრიალებდენ. იმოდენა ამქრობაში თითოოროლა ქართველი თუ გამოერეოდა და ისიც ნაცარქექია. ერთხელ ვარანცოვს მოახსენეს, რომ ქალაქელ ვაჭრებში ამ ბოლო დროს ორიოდე ქართველიც გამოერიაო: სომხებთან ყოფილან ნოქრებათ, აღებ-მიცემობის ხელი შეუსწავლიათ და ვაჭრობენ თავისთვის ალალმართლადო. ვორონცოვმა მოიხმო ისინი, გამოჰკითხა მათი თავგადასავალი, მოუწონა, რომ ვაჭრობისათვის ხელი მიგიყვიათო და თანაც ამგვარი დარიგება მისცა: – „სანამდის ვაშკაცობის დრო იყო, ქართველებისთანა სახელი ძვირად ვისმე უნახავს!.. მაგრამ ძველი დრო მისი მოთხოვნილებით ნელ-ნელა სუსტდება და მომავალში, ადრე თუ გვიან, ფარ-ხმალის ადგილი სასწორ-საზომმა უნდა დაიჭიროს, რომ მეურნეობას მხარი დაუჭიროს. აქამდი თუ სხვადასხვა ერი ერთმანეთს ცეცხლითა და მახვილით ესეოდენ, ამიერიდან საკმაო იქნება აღებ-მიცემობით მოყვრულად ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა. ეს ახალი გზა ჯერ უცხოა ქართველებისათვის და სისწრაფით ვერ გაიკვლევენ, რადგანაც ყოველიფერს დრო უნდა შესასწავლათ და მისაჩვევათ. იმედია, რომ ერთ დროს, როგორც ბუნებით ნიჭიერი და საზოგადოდ შეგნებული ხალხი, ქართველებიც ფეხს მოიმაგრებენ ამ თანამედროვე გზაზე და აღარავის ჩამორჩებიან; მაგრამ ჯერ კი არ ემარჯვებათ და ერიდებიან ამ საქმეს, რადგანაც ვაჭრობა მოსატყუებელი და სინიდისის საწინააღმდეგო რამ ჰგონიათ. თქვენ გადაგიდგამთ პირველი ბიჯი ამ ახალ გზისაკენ და ეცადეთ, რომ მათი შემცდარი აზრი ვაჭრობაზე შეაცვლევინოთ და თვალდათვალ დაანახვოთ, თუ რა წმინდა საერო და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეა აღებ-მიცემობა! დღემდე რაც უნახავთ, ის კომერცია კი არა, წვრილმანი ჩარჩობაა, მცარცველობა და ქურდობა!





ერთ გროშათ ნაყიდს რომ მანეთად გაჰყიდი, დამპალ საქონელს რომ შეატყუებ, გასესხებულს ერთიასად დაიბრუნებ, მით ქვეყანას ტყავს გააძრობ, გამოხრავ და სისხლს გამოსწოვ, – რა უნდა დაგერქვას, თუ არ ქვეყნის მტერი და ორგული? მე რომ ვაჭრობაზე გითითებთ, ის სულ სხვა არის! გზა უნდა გაუკვალოთ სხვა ქვეყნებისაკენ თქვენი ქვეყნის ნაწარმოებს, ბაზარი გაუკეთოთ და იქიდან სამაგიეროდ ის შემოიტანოთ, რაც აქ, თქვენს მხარეს, აკლია, გაცვალ-გამოცვალოთ, გამართოთ სხვადასხვაგვარი ქარხნები, შემოიხვიოთ გარს მუშები, თქვენც ისარგებლოთ და სხვასაც ასარგებლოთ. მაშინ, რაღა თქმა უნდა, ქვეყანაც სხვა თვალით დაგიწყებსთ ყურებას და ვაჭრებისადმი სიძულვილს სიყვარულად შეცვლის. ამგვარ ვაჭრობას, პატიოსნების გარდა, სწავლა-განათლებაც უნდა დაედვას სარჩულად, უმისობა არ შეიძლება! და თქვენც ეცადეთ, რომ დროს შესაფერად შვილები გამოზარდოთ; მანამდე კი ივაჭრეთ სინდისიერათ და მეც ყოველ შემთხვევაში ვეცდები, რომ ხელი შეგიწყოთ. აი, ახლაც სახელმწიფო იჯარაა გასაცემი და, თუ გინდათ, მე ვუბრძანებ, რომ უპუბლიკაციოთ თქვენ გადმოგცენო“. ვაჭრები მოწიწებით უგდებდენ ყურს და მადლობას სწირავდენ. წასვლის დროს ვარანცოვმა თითო ოქრო ჩაუდვა ხელში ვაჭრებს და სიცილით უთხრა: – „ბედნიერი ხელი მაქვს და მინდა, რომ ბედი დაგიკვებოთო“. გაოცებული გამოვიდენ სასახლიდან ვაჭრები. – „ბიჭოს! – ეუბნებოდენ ერთმანეთს, – დღემდე ასე გაგვიგონია, რომ დიდკაცს უნდა ერიდებოდე, უნდა გეშინოდეს მისი, ძრწოდე მის წინ, თვალს ვერ უმართავდე და, თუ არ გაგიჭირდეს, თოფის სასროლზედაც არ უნდა ეკარებოდეო! ეს კი სულ სხვა ყოფილა: მამაშვილურათ მოგვექცა, მოძღვრულათ დაგვარიგა, ხელმწიფურათ დაგვასაჩუქრა და ისე გამოგვისტუმრაო“. უკვირდათ და იმ დღიდან ვარანცოვის სათნო და ბრწყინვალე სახე თვალებში ჰქონდათ ჩარჩენილი და გულშიაც მის სიტყვებს სიყვარულით იმარხავდენ: მიჰყვეს ხელი ვაჭრობას და ნელ-ნელა კეთილსინდისიერათ შეიძინეს საკმაო. არც არა სხვისთვის დაუკლიათ რა და არც თავისთვის... შვილებსაც შესაფერი გზა მისცეს. ვარონცოვის ნაჩუქარ ოქროთაგანი ერთი მე ვიყავი და ჩემი პატრონი არ მელეოდა, ნატვრის თვალივით მინახავდა სახსოვრად. დიდი ხანი არ არის, რაც ვაჭრობას თავი დაანება სიბერის თუ სნეულების გამო და მეც აქ თქვენთან ამომაყოფინა თავიო“.

ამ ხუთმანეთიანი ოქროს მოთხრობას ჩვენ ყველა სულგანაბული ვუგდებდით ყურს.

უცბად რაღაც ხმაურობა შემოგვესმა, აეხადა თავი კიდობანს, ჩამოვიდა სინათლე და შევხედეთ, რომ ვიღაც ახალგაზრდა ევროპიელი კაცი დაგვადგა თავზე. თურმე ჩვენი პატრონი მომკვდარიყო და საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ მის განათლებულ შვილს მიეღო მემკვიდრეობა. რომ დაგვხედა, თქვა: – „ღმერთმა საუკუნო განსვენება მისცეს მამაჩემს! მის დროსთვის კარგი რამ იყო, მაგრამ ამ ახალ დროს ველარ შეეფერებოდაო: შეძენა უფრო იცოდა მოხმარებაზედაო!.. ეს ამდენი ქონება რომ აქ ასე უხმარათ ჩაულაგებია, რა სარგებელიაო?!“ – ამოგვიღო ყველა, გადაგვარჩია: ქაღალდები ცალკე-ცალკე, ოქრო ცალკე, ვერცხლი ცალკე და იქით-აქეთ გაგვგზავნ-გამოგვგზავნა ბანკებში. ხუთმანეთიანი ოქრო აიღო ხელში, დახედა და თქვა: – „ეს ის უნდა იყოს, მამაჩემს რომ დაცდილი ჰქონდა ვაჭრობაში და არ იშორებდაო, დღეს ამას მეც შესაფერი გზა უნდა ვუჩვენო და ყველას ის აჯობებს, რომ ამით ერთი წლის ჟურნალი გამოვიწეროო“. – თქვა და მაშინვე გაგზავნა ის ჩვენი ენამჭევრი ოქრო „კრებულის“ რედაქციაში – გოლოვინის პროსპექტზე, მუხრანბატონის სახლში. ბოლოს მეც მომკიდა ხელი, გამსინჯა, გადააქნია თავი და ჩაილაპარაკა: „საწყალი ეს ქართული ფული, წმინდა ვერცხლია და მაინც არა აქვს გასავალი, მაგრამ მოვიხმარო“. გამონახა ჩემი ტოლი კიდევ მეორეც, პერანგის სახელოებისათვის ღილად გადაგვაკეთა და იმ დღიდან ღამღამობით თუ მოგვასვენებს, თვარა დღისით აღარ გვიშორებს, სადაც წავა, ჩვენც თან ვიახლებით. როგორც განათლებულ კაცს, დიდი ოჯახების კარი ყველგან გაღებული დაუხვდება ხოლმე. ეუბნებიან: „დათიკო, მობრძანდი! დათიკო, დაბრძანდი! რასა იქ? როგორა ხარო? ამდენ ხანს რათ დაგვივიწყეო?“ და სხვანი... თურმე ასე სცოდნია სიმდიდრესა და განათლებას, როცა ერთმანეთზე არიან ხოლმე გადაკავშირებული!.. მე კი, მის გაუშორებელ მხლებელს, ვერავინა მხედავს და ყურადღებასაც არ მაქცევენ! მაგრამ მეც ის მინდა... ბევრი რამ დაფარული შევიტყვე ჩვენი დიდოჯახების! მთელი თბილისის საიდუმლოები დღეს ჩემ ხელთ არის და თუ ისურვებთ, გამოვაქვეყნებ ხოლმე ხანდახან და ნუ შემრისხავთ თქვენს უმორჩილეს მოსამსახურეს, ქართულ „თეთრს“.

[1897]





## დათუნა გოცირიძე (II)

### (ძველებური ამბავი)

რაჭველი აზნაური დათუნა გოცირიძე მის დროში განთქმული ვაჟკაცი იყო მთელს იმერეთში. ხმალს უქებდნენ და პირველობაც აგვირგვინებდა, სანამ საყვარელი დისწული, მისივე გაზრდილი, ივანე კვიტაშვილი არ წამოზარდა. სახელოვანი მოწაფე გვერდში ამოუდგა სახელგანთქმულ მოძღვარს... რაღა სჯობია ამ ნეტარებას?!. მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ჩამავალი მზე ამომავალ მთვარეს განზე უყურებსო“. თავმოყვარეობის სიხარბემ შური შეაპარა ორივეს და მათი გმირული ზენამოყვრობა საქვენაო მტერმოყვრობად შეიცვალა, მაგრამ მაინც მათი ცალყბა მეგობრობა სხვების ორფეხმოყვრობაზე უკეთესი იყო, სანამ ყმაწვილურმა, აშვებულმა თავხედობამ ხმალი არ შეურცხვინა დამჯდარ, დინჯ მოხუცებულობას.

დადიანმა მეფეს საარაკო ნებიერი მიუძღვნა. მეჯოგეები ძლივს იმაგრებდნენ გაგარეულებულ ოთხფეხს. მეფე გეგუთის სასახლეში ბრძანდებოდა აივანზე გადამჯდარი და თვალს ადევნებდა მოზვრის ურჩობას.

– ნეტავ თუ ვინმემ შეიძლოს, რომ ერთის მოქნევით თავი გააგდებინოსო, – ბრძანა მეფემ.

– მაგას დათუნას მეტი ვერავინ მიჰბედავსო, – მოახსენა სარდალ-წერეთელმა.

– ვერც მისი დისწულიო? – იკითხეს კარისკაცებმა.

– ვერც ისაო, – გადასწყვიტეს ერთხმად და დაიბარეს დათუნა.

ამ ამბავმა გული მოუკლა ახალგაზრდა კვიტაშვილს, მაგრამ რაღას იტყოდა?..

მეორე დილას გეგუთის მინდორზე სასახლის წინ შემოხაზეს წრე, შემოავლეს გალავანი და აუშვეს ნებიერი. პირუტყვმა რომ თავისუფლება იგრძნო, შეხტა და შეინავარდა, იწყო ბღუილი და ტორებრქებით ბდღვირი ააყენა.

– აბა, დათუნა, გვიჩვენე შენი ვაჟკაცობაო! – ბრძანა მეფემ.

შევიდა წრეში გოცირიძე. შემოხედა ნებიერმა, აილო თავი, შემოაბდღიალა თვალები, შემოჰბღუილა და მიაშურა. დათუნა გაუხტა განზე, მოუმარჯვა ხმალი და სწყვიტა. წაიფორხილა გაბრაზებულმა პირუტყვმა, ჯერ წაიჩოქა წინა მუხლებზე და მერე კი გადაგორდა. თავი ისევ კისერზე ება, მაგრამ კისრის ძვლები კი დასჩენჩხოდა.

გაუკვირდა ვაჟკაცს... დახედა ხმალს და ნახა, რომ პირი დაბეგვილი ჰქონდა: „ვინ გაბედა ჩემი ხმლის შერცხვენაო?“ – ჩაიდუდღუნა და გადისვა ულვაშებზე ხელი.: – „ეს ულვაში ნულა მსხმია, თუ ეს შევარჩინო ამის მქნელსო!.. უნდა გამისწორდეს!.. ან ის და ან მეო!“.

თურმე იმ წინა ღამეს დისწული მიჰპარვოდა მძინარე ბიძას, ამოეღო ხმალი ქარქაშით და დაებლაგვა პირი.

ვაჟკაცის სიტყვა გაუტეხელია!

ვერც მეფემ, ვერც ქუთათელ-გენათელმა, ვერც მოძღვარმა და ვერც თანამესისხლხორცეებმა ველარ შეარიგეს მტერ-მოყვარე ბიძადისწული. ახალგაზრდა კვიტაშვილი იძულებული შეიქმნა, დაეგდო რაჭის საზღვარი და გადმოსულიყო იმერეთში. საყვარელი დისწულისა და სასიქადულო გაზდილის დაკარგვა ველარ აიტანა დათუნამ... ორგვარის გრძნობის ჭიდილი აღარ აძლევდა მოსვენებას... არ ემეტებოდა სასიკვდილოდ მტერი, მაგრამ იმავე დროს აღარ ეხერხებოდა აღარც ვაჟკაცურ დაჩემების გატეხა და ულვაშების შერცხვენა, დანაღვლიანდა და გატყდა.

ბოლოს გადასწყვიტა, საამქვეყნოდ რაღა გამოსადეგივარო და განიზრახა „ნიკოლოოზ წმინდაში“ ბერად შესვლა, მარამ რადგანაც სასახლის ნებართვა და გენათელის თანხმობა საჭირო იყო, მიაშურა მეფეს ვარციხისკენ.

სწორედ იმ ხანებში დაღისტნიდან გადმოსული, განთქმული ალიფონა ბელადი მისი წუნკლებით აჯამეთის უტეხ ტყეში ბუდობდა და იმ გზით სიარული, თუ არ ჯარად, ტორო კაცისთვის საფრთხილო იყო. ვარციხისკენ მიმავალი მგზავრები საზოგადოდ სიფრთხილეს იჭერდნენ, შორის გზით უვლიდნენ, მაგრამ დათუნამ შიში არ იცოდა და პირდაპირ გადასჭრა აჯამეთი.

შუაგზა გავლილი ჰქოდა, რომ გზის პირად, პატარა მინდორში, ვილაც მგზავრი დაინახა მიწოლილი ჩეროში: ფარღიალას თავი უნაგირზე მიედვა და ეძინა. მიუახლოვდა დათუნა, დახედა და შეკრთა... ივანე კვიტაშვილი გამოდგა, ხმალზე მოივლო ხელი, მაგრამ, თითქოს შანთმა დასთუთქაო. უცბად უშვა ხელი და სთქვა გუნებაში: „ეს ხომ ქურდობა იქნება! გავაღვიძებ და ისე შევებრძვიო“. გადასწყვიტა, მაგრამ წინ მაინც ბიჯი აღარ წასდგა: „არც ეს ივარგებსო!“ – კიდევ გაიფიქრა, – „ძალით გამოღვიძებული მის გუნებაზე ხომ არ იქნება და მაშინ მასზე უცბად მისვლა მაინც კიდევ ლაჩრობა იქნება, არა!.. ჯერ გამოიძინოს, ადგეს თავის თავად, იარაღი შემოირტყას და მაშინ





გაუსწორდებით ერთმანეთსო, და მანამდის კი მეც მოვიცდი. სად წამივაო?!“ მიაბა ცხენი ბუჩქზე, მიდგა ტყის პირად, აქვე მუხის ძირში მიჯდა და ამოეფარა ხეს.

ბევრ ხანს არ გაუვლია, რომ აქვე მახლობლად ჟღურტული მოესმა. მიიხედა და დაინახა ჩასაფრებული ლეკები, ერთ მათგანს ამოეღო ნიშანში მძინარე მგზავრი. ვეფხვივით მივარდა დათუნა და უტაცა ხელი ჩახმახშეყენებულ თოფის პირს; დაიჭექა შაშხანამ, მარცხენა ხელი ძირს დაუშვა დათუნამ, გახვრეტილ ხელის გულში სისხლი მოთქრიალობდა. მარჯვენა ხელით იძრო ხმალი და დასჭყივლა: „დამრჩით, წუნკლებო!“

თოფის გასროლით დამფრთხალი მძინარი წამოვარდა ზეზე, იგდო ხელში იარაღი და მიაშურა იქითკენ, საიდგანაც ქართული შემოესმა. გასცა ხმა და მიიჭრა. ერთს შემოხვეოდნენ გარს ლეკები ჯარად და ის ერთი ყველას იგერიებდა. მომხრე რომ დაინახეს ლეკებმა, დაფრთხნენ და გადაცვივდნენ!. დარჩნენ მარტოდ პირისპირ ორი ქართველი, ერთმანეთის მოსისხლე მტრები... ბიძა და დისწული, დათუნა გოცირიძე და ივანე კვიტაშვილი! დიდხანს ხმა ველარ ამოიღეს, ბოლოს, როგორც იქნა, შეეკითხა ახალგაზრდა.

– შენ ხარ, ბიძაჩემო? აქ რას მოუყვანიხარ?..

– შენს სიგლახეს, – უპასუხა მოხუცმა: – ბედს ვაჟკაცობა მოუცია შენთვის, მაგრამ ღმერთს კი ჭკუა წაურთმევია... უადგილო ადგილას რომ ძილს მინდობიხარ, ხომ ღორივით გადაგაგორებდნენ, რომ მე არ წამოგსწრებოდი და მტერს წინ არ გადავღობებოდიო.

ახალგაზრდა უსიტყვოდ დაეშვა მუხლის თავებზე და მოეხვია მოხუცს, მოხუცმა წამოაყენა, ჩაიკრა გულში და უთხრა: „შენ ჩემთან დამნაშავე ხარ და მე კი ქვეყნის წინაშე: სანამ გარეშე მტერი არ მოგვიგერებია, შინაური მტრობა რჯულის უარისყოფაა და ორივეს ღმერთმა შეგვინდოსო!“

მისცეს მხარი მხარს, დაიძახეს: „მდევარიო!“ და ერთად გამოუდგნენ მტერს...

ნეტავ თუ ახლანდელი ქართველებიც ასე დასთმობენ პირად უსიამოვნებას და განხეთქილებას საზოგადო საქმისათვის?

[1902]

## ბენია და ბეშტია

ძველად, როცა თეატრები, კონცერტები, მასკარადები, ბალები და სხვა გასართობები არ ყოფილან, სასახლეებში ხუმარაები ჰყავდათ ხოლმე. იმათ ისეთი უფლება ჰქონდათ მინიჭებული ლაპარაკში, რომ მეფეებთან იმას ჰბედავდენ, რასაც სხვა ვერ გაბედავდა და ბევრჯელ კეთილადაც მოუხმარიათ თვისი ძალა. საქართველოს, როგორც ერთ ძველ სამეფოთაგანს, ეს ჩვეულება მიღებული ჰქონდა და საქართველოს მეფეებსაც ჰყოლიათ ხუმარები, მხოლოდ იმ განსხვავებით: თუ მოსწრებული და მჭევრმეტყველი გვარისშვილი იყო, იმას ხუმარას ეძახოდენ და თუ უბრალო ჩამომავლობის – მასხარას. უკანასკნელ დროს სახელი გაუთქვამსთ ქართლში ბენია-კუზიანსა და იმერეთში ბეშტია-კოჭლს. იმათი ნამოქმედარი ბევრი რამ დარჩენილა ხალხში.

დღეს „ბენია-ბეშტიაობის“ დრო აღარ არის, მაგრამ საქმე კი ბევრია ხოლმე საიმათო და ჩვენც ხანდახან, დროს შესაფერად, ამ „ბენია-ბეშტიას“ გამოვიყვანთ ხოლმე სცენაზე სალაპარაკოდ. მაგრამ ეს მომავლისათვის იყოს და ახლა კი განვაგრძობთ ისევ ზემოთქმულს: მეფეების მიბაძვით დიდი ოჯახებიც სცდილობდენ, რომ ხუმარა შეეძინათ ხოლმე, მაგრამ სად იქნებოდა იმდენი ხუმარა და იმათ ნაცვლად გლახებს სჯერდებოდენ: სალოსი-გლახა ღვთის მონაა, – მადლი თან დასდევსთ და ოჯახში შეიტანებენო. ძვირად მოიპოვებოდა მისთანა დიდკაცის სასახლე, რომ იქ გლახასაც არ ჰქონებოდეს თავშესაფარი, ნიკო დადიანსაც, შხეფელს, ჰყოლია ერთი სვიმონა გლახა.

ამ გლახის ერთი ნათქვამი ანდაზად არის ჩვენში გადაქცეული და ჩვენც მკითხველს გავუზიარებთ: ღამის თევას ჩვენში ძველად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; დააწვენდენ მელოგინეს ცალკე ოთახში და გადააფარებდენ ძველ ბადეს, როგორც ნაკურთხს, რომ მავნეს ვეღარ მიებედნა და თვითონ კი, როგორც ჭირისუფლები, ისე სტუმრებიც, ღამეს უთევდენ... ფხიზლობდენ, რომ მტერი მოეგერებიათ. გათენებამდი დაძინების უფლება არავის ჰქონდა, მერე კი, რომ ინათლებდა, „სირისკუდსა“ სჭამდენ და დაიშლებოდენ, იყო მთელი ღამე ერთი ხრიალი, მხიარულება და კისრისტეხა! რომ ძილი არავის მოსვლოდა, იგონებდენ სხვადასხვა სათამაშოებს, შაირებს და სხვანი და სხვანი. ეს ასეთი ყოფა, ესე იგი ღამის თევა, იმდენ ხანს გასტანდა დიდ ოჯახებში მაინც, სანამ მელოგინე ფეხზე არ წამოდგებოდა. ერთხელ





ზემოხსენებულ ნიკო დადიანსაც ჰქონდა ღამის თევა, რომელიც ისე გათავდა, რომ ერთი მისი გლეხთაგანი არ მიკარებია, ბატონი გაწყრა და დაიბარა გლეხი.

– ბიჭო – უთხრა ბრაზმორეულმა – ჩემი ყმა ხარ, იმოდენა ადგილმამული გიჭირავს ხელში! მაგრამ სულ შენია, ვერავინ რამეს შეგეხება, რადგანაც გადასახადი ამოკვეთილი გაქვს, ჩემი შიშით ბუზს ვერავინ აგიფრენს. ასე ნებივრადა მყავხარ. გმართებს მხოლოდ შინაყმობა. ჩემთან უნდა იყო ხოლმე სასახლეში, რომ ჩემი ჭირი და ლხინი გაიზიარო და შენ კი ღამის თევაში მოსვლასაც მამადლიო? აკვრევინა პალური და გააგდო სასახლიდან: „თვალით აღარ დამენახოო!“

მაშინ ბატონის რისხვა ხუმრობა არ იყო და ერთხელ, მოურავი რომ შეიგულა მარტოდმარტო საფარეშოში, მივიდა გლეხი და მოეხვა მუხლებზე: „შემარიგე როგორმე ბატონს!“ მოურავად ანტონ ჩიქოვანი იყო. მოუსმინა გლეხს და უთხრა: კარგი, შვილო, შეგარიგებ, თუ ბატონთან ბოდიშს მოიხდი და ძღვნად კარგ ცხვარსაც მოართმევ; მე კი გასამრიგლოდ ერთი კარგი ძროხა უნდა მომგვაროო! ასე, შვილო, არ დაგავიწყდეს! ცხვარი ბატონს და ძროხა ანტონს!.. ცხვარი ბატონს და ძროხა ანტონსო! ეს სიტყვა რამდენჯერმე გაუმეორა ზედიზედ, იმ დროს მათ მეტი არავინ ყოფილა საფარეშოში, გარდა სვიმონა გლახისა. ის კი ეგდო თავისთვის კუთხეში, მაგრამ იმას, როგორც გლახას, ვინ მიაქცევდა ყურადღებას.

მეორე დღეს მოურავმა დრო შეურჩია ბატონს და შეავედრა გლეხი. იმ დროს სვიმონა გლახაც სასახლეში იყო. მოურავმა რომ ახსენა, ცხვარს მოგართმევსო, იმ გლახას მოაგონდა გუშინდელი ნათქვამი და წამოიძახა: ცხვარი ბატონსო, ძროხა ანტონსო? ცხვარი ბატონსო, ძროხა ანტონსო!.. დადიანმა იჭვი აიღო, დაიბარა გლეხი, გამოჰკითხა და შეიტყო, რომ ბატონს ცხვარი რგებია და მოურავს კი ძროხა. დაუძახა შინაყმებს. ანტონს ცალი ულვაში აუწიეს, გადააყენეს მოურაობიდან და გაისტუმრეს სახლისკენ. იმ დროში ულვაშის აწევა უფრო ზნეობითი დასჯა იყო, ვიდრე ფიზიკური... წვერ-ულვაშის შერცხვენა ვაშკაცისათვის დიდი უბედურება იყო და ხალხში თავის გამოყოფა გაუჭირდებოდა.

მადლობა ღმერთს, რომ დღეს ეს ჩვეულება გადავარდნილია, თვარამ, თქვენი მტერია, რომ დღეს საზოგადოდ მოურავებს წვერ-ულვაში აღარ შერჩებოდათ!

ბენია და ბეშტია, როგორც ძველი დროის კაცები, არ იშლიან ჩვეულებას და ხანდახან კიდეც აპირობენ, რომ, ვინც ღირსია,

ულვაშები აუწიონ ხოლმე. ჩვენც ჩვენის მხრით ვაფრთხილებთ ყველას და უფრო კი ხელმწიფის მოურავებს!

ბენიასა და ბეშტიას
შეუკრავთ თურმე პირობა,
რომ ხალხში გამოამჟღავნონ
ავიც და კარგიც... გმირობა!

ზოგს აუწიონ ულვაში;
ზოგს დაუწიონ წვერები;
ზოგს შეაჭამონ უცუნი
და ზოგსაც ტკბილი-კვერები.

ბეშტია იმერელია,
კარგადაც იცნობს მხარესა!
ვინც ტკბილის ღირსი იქნება,
როდი შეასმევს მწარესა.

ბენია რჯულით სომეხი
და გვარ-ტომობით ქართველი,
ქართლ-კახეთშია გაზრდილი
და ბევრი რამეს მნახველი.

ბენია ეტყვის ბეშტიას:
ყოველთვის თუ ვერ მნახოო,
კორტოხზე უნდა შემოდგე,
იქიდან გადმომძახოო.

და მეც აქიდან მოგაწვდენ,
რასაც კი გავიგონებო!
ბევრს ფარისეველ მელაკაცს
შევარცხვენ... დავალონებო!

– ბეჩავ ბენია!.. ბენია!
რას ამბობ, არა გრცხვენია?!





მაგგვარი გამომჟღავნება
ზოგისთვის ცუდი ძღვენია!

– ბეჩავ, ბეშტია!... ბეშტია!
რაღა რუსული „ჩესტია“,
თუ მანგრე დაუფარავად
გინდა, მოაბა „ჟესტია.“

არ იშლით? თქვენი ნებაა;
მაგრამ ბეშტია!.. ბენია!..
მზათ უნდა გყავდეს ორივეს,
თქვენ შეკაზმული ცხენია!

[1907]

## სოფელ ალის აოხრება

როცა ჩემ სოფელში ვარ ხოლმე, ძალიან მიყვარს მოხუცებულ სოფლელებთან საუბარი. იმათ ქცევასა და სიტყვა-პასუხს ისევ ძველებური ქართული სული უდის.

ერთხელ ერთმა მათგანმა სადილზე ჩვეულებრივად ჩემი სადღეგრძელო დაჰლია და სხვათა შორის „კურტანიძის“ დღე მისურვა. მე გამეღიმა და ვჰკითხე: „მათუსალასი“ ხომ არ გინდოდა გეთქვა?

– არა, ჩემო ბატონო! „მათუსალა“ შორეულია და ვინ იცის, მართლა იყო თუ არა? კურტანიძე კი აგერ არის, თვალის წინ!..

– ვინ კურტანიძეა?!.

– ერთი სიკვდილისაგან დავიწყებული გლეხი!.. აქედან, სასახლიდან, სულ ერთი საათის სავალი არ იქნება მის სოფლამდი. უხსოვარ დროიდან ცხოვრობს და არ კვდება. ისე კი სდნება თანსწორად ხატის სანთელივით. რომ ნახოთ, ასე ბრძანებთ: ათი-თორმეტი წლის ბავშვიაო. თვალსაც უჭრის, კბილი არ აკლია და გაფაჩუნება არ გამოეპარება. სწორედ სასწაულია... სასწაული!.. მეორე დღეს ურემი გაუგზავნე, რომ ჩემსა ჩამოსულიყო. სწყენოდა და უარი შემოეთვალა: „მე ხომ ჩემი შვილიშვილი არა ვარ, რომ დავარდნილი ვიყო და ურმით მეჭირვებოდეს სიარულიო? მეც დავანებე თავი. სწორეზე ჰაივნიდან შევნიშნე, რომ ვიღაც ერთი პატარა ბავშვი მოდიოდა ჩემსკენ. ამოვიდა კიბეზე, დადგა ჩემ წინ და ზრდილობიანად დამიკრა თავი, კურტანიძე გახლავარო!.. რომ თეთრ ხუჭუჭ თმასა და თეთრ წვერულვაშს არა, მართლა ბავშვი მეგონებოდა. გაოცებულმა, მივუთითე სკამზე. გაჭირვეულდა. დიდხანს არ აპირებდა დაჯდომას, ვითომ ზრდილობით, მაგრამ რომ აღარ მოვეშვი, დაჯდა.

– კურტანიძე შენა ხარ?

– დიახ. მე გახლავარ!

– სადაური ხარ?

– არც სადაური?! ქვეყანას აღარ ვეკუთვნი და ზეცამ არ მიმიღო?..

– დიდი ხნისა ხარ?

– ვინ დასთვლის?! ასე უნდა ვიყო მეორეთ მოსვლამდის. არ ვკვდებოდე და ნელ-ნელა ვდნებოდე!.. დაილოცა განგება!..

– აგრე დაბეჯითებით რომ ამბობ, რა იცი მერე?





– როგორ არ ვიცი?.. მე თვითონ ჩავუთქვი ჩემ თავს.

– ჩაუთქვი?!

– დიახ! სისულელითა და გამოუცდელობით: ერთხელ, პატარაობისას სამწყესურში ვიყავი ყვირილის პირად. ბნელი ღამე იყო. უცბად ხმაურობა შესწყდა და ჩამოვარდა უცნაური სიჩუმე!.. ნათქვამია: „ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვაო“, ალბათ ყვირილას წაეძინა იმ დროს. ერთი უეცრად რაღაცამ დაიჭექა, ავიხედე მაღლა, მინდოდა ცისთვის შემეხედა, მაგრამ თვალი ველარ გავუმართე: ცა გახსნილიყო და ნათელი მომაყარა... მომაგონდა, რომ ცის გახსნას თუ ადამიანი დაესწრო, რასაც ინატრებს, აუსრულდებაო. მეც, მეტი რომ ველარ მოვასწარი, „ცხონებ-ქონების“ მაგივრად სიცოცხლე ვინატრე და მიტომაც აღარ ვკვდები.

– ძალიან კარგი გინატრია, – დავეთანხმე ღიმილით – ქონება აქვე რჩება კაცს და ცხონება მაინც არ ასცდება შენისთანა კაცს. შრომა-მუშაობა იგივე ლოცვაა და ოფლი მუშის, სასუფევლის გზასა რწყავს...

–მეც ეგ მაწუხებს, რომ ოფლის მაგიერ, სისხლით არის ჩემი საიქაოს გზა მორწყული.

– რას ამბობ?!

– არავის ვეუბნები, გულში მაქვს ჩარჩენილი, მაგრამ ღმერთს რას დავუმალავ?!

– კაცის მკვლელი ხარ?

– მთელი სოფელი გავსწყვიტე!.. თუმცა უნებურად, მაგრამ ბრალი კი მაინც მე უნდა დამედვას!..

– მინდა მოგახსენოთ, როგორც მოძღვარს, მაგრამ ჯერ ნება მომეცით, შევისვენო, დაღალული ვარ და მერე მოგიყვებით!.. სადილობა მოახლოებული იყო. მეც დავეთანხმე. ნასადილევს ორივეს წაგვეძინა, მეც და ჩემ სტუმარსაც და რომ გამოგვეღვიძა, მერე მიამბო შემდეგი:

პირველად რომ რუსებმა იმერეთში შემოსვლა დააპირეს, კორბოულაზე აირჩიეს გზა. წერეთელმა გამოიყვანა საწერეთლო ჯარი და შეუკრა გზა. ჩავხერგეთ გზა, გავაკეთეთ საფრები და ჩავუჯექით. ნაბრძანები გვქონდა, სანამდი ნიშანს არ მოგვცემდა სარდალი, ხმა არ ამოგველო. ბევრი აღარ გვიცდია, მოგვესმა ბარაბანის ხმა. მოდის ჯარი და წინ მოუძღვის ერთი ვიღაც ჯინჯილებიანი უზარმაზარი

კაცი და ათამაშებს ჯოხს. ჩვენ რომ ვეღარ დაგვინახეს, პირდაპირ მოაწყდენ საფარს. გავარდა თოფი და წაიქცა ჯინჯილებიანი. მაშინ ავტეხეთ საერთო სროლა. ჯარმა დასძახა, „ურაა!“ და შემოგვიტია, მაგრამ რას გახდებოდა? კამეჩის სისხო ხეებს ვეფარეთ და ნიშანსაც არ ვაცდენდით. სამჯერ მოგვაწვენ და სამჯერვე გავაბრუნეთ. რომ გაუჭირდათ, შევიდენ ტყეში, მარცხნივ გადაუხვიეს, რომ ჩვენთვის თავი მოეარათ, მაგრამ აქაც ჭალელები ისხდენ, აბაშიძეები, სულ მარჯვე-მარჯვე ვაშკაცები, თავისის საყმოთი. მე ავედი მაღალ ხეზე, მოვექეცი წვეროში და იქიდან გადავძახე: არიქა, ჭალელებო! მარჯვეთ დახვდით, ნუ გაუშვებთ-მეთქი და სხვანი... ასტყდა იქაც სროლა და დამარცხდა ჯარი. გაბრუნდა უკანვე, მაგრამ რაღა პირით ჩავიდოდა ქალაქში? დავმარცხდით – იმას ხომ ვეღარ ეტყოდა უფროსებს? ტყუილა კი არ არის ნათქვამი: „ციხე შიგნიდან გატყუდებაო!“ თურმე იმ ჯარს წინ ქართველი მიუძღოდა უფროსად, მაიორი კალატოზიშვილი და იმას მოჰყავდა იმერეთში ჯარი. ჩემი დაძახილი: „ჭალელებო, მარჯვეთ!“ იმან თურმე ალელებათ გაიგონა და იფიქრა: ალელებმა გვიღალატეს სწორეთო. სოფელი ალი ზედ საზღვარზეა. ახლა სოფლათაც აღარ არის სახსენებელი, თვარა მაშინ ქალაქათ ითვლებოდა. ჰქონდა დუქნები, ჰყავდა ვაჭრები და სოფელიც კაცმრავალი იყო. მისი საყდარი არც ერთ შენობას არ ჩამოუვარდებოდა ქართლში: უზარმაზარი, თლილი ქვის, ქვითკირის გალავნით და გალავანს გადაღმა გაშლილ დიდ მინდვრით. სწორეთ ამ მინდორზე გაშალა ჯარმა ბამბის კარვები და დაბინავდა. მაშინ ქართლი და, რასაკვირველია, ალიც რუსების ხელში იყო. ვინ რას იფიქრებდა? მაგრამ კალატოზიშვილს კი თურმე სულ სხვა განძრახვა ჰქონდა, საყდრის გვერდით რომ დაბინავდა. ვნებათ კვირა იყო. აღდგომა რომ თენდებოდა, ცისკრის დარეკეს და მთელმა სოფელმა, დიდმა და პატარამ, ყველამ, სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმულმა, ხატის სანთლით ხელში, დიდ ეკლესიაზე მოიყარა თავი. ლიტანია რომ აუშვეს და სამჯერ შემოუარეს საყდარს, მიადგა მღვდელი საყდრის კარებს და შესძახა:

– „აღახვენით ბჭენი თქვენი თავისანი და შევიდეს მეუფე დიდებისაო!“

– „ვინ არს ესე მეუფე დიდებისაო!“ – უპასუხეს შიგნიდან:

– „უფალი ძალთა მთავარი არს მეუფე დიდებისაო!“ და ჰკრა





წიხლი კარებს შესამტვრევად. ამ დროს გავარდა თოფი და მიეჭედა კეფაში ცხელი ტყვია მღვდელს. გააგდო ჯვარი და გაიშხლართა საფეხურზე. შეშფოთდა მრევლი. გაისმა ირგვლივ „ურა“ და დაერია ჯარი სოფლელებს. შესწყდა „ქრისტე აღსდგას“ ხმა და მხოლოდ ხიშტებზე აგებულ დედა-შვილის წივილ-კივილი გაისმოდა. კაცებმა იშიშვლეს ხანჯალი, მაგრამ რაღას გახდებოდენ!.. ასე ამოვარდა მთელი სოფელი ზედ აღდგომა დღეს!.. მასუკან დიდი ხანია, მაგრამ (დაილოცა ღვთის განგება) ის საყდარი ისევ ისე დგას, თითქო გუშინ აუგიათო. მართალია, დღეს გაცივებულია, წირვა-ლოცვა აღარ არის, კარებიც ჩამოხსნილია, მაგრამ წმინდათ არის შენახული, ვერაფერი პირუტყვი შიგ შესვლას ვერ ბედავს და მხოლოდ მტრედები ბუდობენ შიგ. მოგახსენებენ, ის მტრედები მაშინ მოკლულ ბავშვების სულებია და დღესაც კიდევ საკენკს უყრის სოფელი!..

– აი, რა დიდი ცოდვა მიმიძღვის მე!.. „ჭალელები“ რომ არ დამეძახნა მე, მაშინ „ალელები“ გადარჩებოდენ ხიფათს!.. სთქვა, ამოიხვნეშა და ჩაქინდრა თავი.

– ეგ უნებური ცოდვაა! არ მოგეკითხება!! ვანუგეშე მე. ეგ ყველა კარგი მაგრამ, რომ მაინც ვერ გავიგე, რამდენი წლისა ხარ?

– უხსოვარია ჩემი წლოვანება!.. არაკი მოგახსენე?!. ყიზილბაში რომ ქალაქს შემოესია, მას უკან რამდენი ხანია? თქვენ უნდა უკეთ მოგეხსენებოდესთ!..

– ას ათი წელიწადია!

– ჰო და მაშინ იქ უმცროსი შვილი მომიკლეს!..

– მაშ კი ყოფილხარ კაი ხნის!!

– რა ბრძანებაა!.. ჟამიანობა, შავ ჭირს რომ ეტყვიან, ის გამოვლილი მაქვს. მეფე რომ თათრებში გადავარდა, ტრაპიზონს ვახლდი ბატონს ჩემ წერეთელს!.. ვაი! ვაი! რა დრო დაგვიდგა მაშინ!..

– ქუთათელ-გენათელი რომ წაიყვანეს...

– ქუთათელ-გენათელი რომ წაიყვანეს და, დიდი ივანე აბაშიძე მოკლეს ახალციხეში, ეს სულ გუშინ იყო...

– მაშ კი ყოფილხარ დიდი ხნის.

– რა ბრძანებაა?! ახლა ვარ ასე გაქვავებულსავით და არ ვიცი რაღას ვუცდი? სოფელში ერთ რამეს მირჩევენ სოფლელები: მაგდენის ხნის რომ ხარო და პატრონი არა გყავსო... და მართლაც, მერვე მოდგმას მოვესწარი, მაგრამ ნათესავათაც აღარავის ვახსოვარ! ჰო,

პატრონი არავინა გყავსო, ითხოვე და მთავრობა ლუკმას გაგიჩენსო და ნეტავი თუ მართლა? მე, აპა, მთავრობა რაღას მიცნობს, მაგრამ თქვენ რომ ინებებდეთ და გაზეთში ჩამაგდებდეთ, მადლს მოისხ-ამთ!.. ისეთის გრძნობით მთხოვა, რომ მეც იმედი ველარ გაუტეხე და დავპირდი. – ახლა გავიგე, რომ ის, ვისაც თავი უკვდავი ეგონა, ორის წლის წინათ დაუმარხავს სოფელს.

[1911]



# საყმაწვილო მოთხრობები

## მერცხლისა და ჭივჭავის ომი

*გაზაფხული დადგაო,*
*ხეში წყალი ჩადგაო;*
*ჩიტმა ჩიორამაო*
*საძირკველი გასკვნაო!*

ნათქვამია არაკად. მართლაც, დადგება თუ არა გაზაფხული, ზამთრისაგან გაბრუებული და მითვლემული ბუნებაც სულს იბრუნებს, ილვიძებს; მაშინ აბიბინდება, აყვავდება მდელო, ტყე მწვანით იმოსება, საამო და გრილი ნიავი თითქოს ნანინას ეუბნება, ისე აკვანივით არწევს ხან იქეთ და ხან აქით აკოკრებულს და ტურფად გაშლილს სუნნელების აღმომაფშვენ ყვავილებს, იტაცებს მათ არომატს, უხვად მოჰფანტავს მათ არემარეს და მით კეთილშეზავებული ჰაერი სამკურნალოდ, სამკვირცხლოდ მოქმედობს ყოველ სულდგმულზედ.

აი, ამ დროს იწყებენ სხვადასხვაგვარი ჩიტები ჭიკჭიკსა და ბუდეების კეთებას, და იმაზედ არის ნათქვამი, „რომ ჩიტმა ჩიორამაო საძირკველი გასკვნაო“, ე. ი. ბუდის კეთება დაიწყოო.

დიაღ, ჩიტები იწყებენ ბუდობას, ზოგი ადრე და ზოგი უფრო გვიან. დაგვიანებული ბუდობა უფრო უცხო ქვეყნებითგან მოფრენილმა ჩიტებმა იციან, მაგალითად: გუგულმა, მერცხალმა, მწყერმა, მწიფობელამ და სხ. ადგილობრივ ჩიტებს კი არ უყვართ დაგვიანება: შაშვს, გვრიტს, სკვინჩას, მესკიას, ჭივჭავს, კოდალას, ჩხართვს, გულწითელას, ბოლოქანქალას, თოხიტარას, მწყერჩიტას და სხ.

მაგრამ ამ ჩიტებშიაც შაშვს ვერავინ დაასწრებს: ყველაზე უფრო ადრე ბარტყების გამოჩეკა იმან იცის, ასე რომ ნაახალწლევს ბევრს აღარ აგვიანებს და, თავის ბედით კმაყოფილი, ამ დროთგანვე იწყებს ხოლმე სალამურის ხმით სტვენას.

ძველად ჩვენი მამა-პაპები კარგად, ლამაზად საუზმეს მიირთმევდნენ, თანაც რამდენიმე ყანწ ღვინოს გადაჰკრავდენ ხოლმე და მერე გამოდიოდენ სახლიდამ გარედ სამუშაოდ. „მშიერი კუჭი მხდალია და მაძღარს კი არაფრისა ეშინიაო!“ – იტყოდენ ხოლმე.

ეს აზრი ყველასათვის აუცილებელი კანონი იყო, მაგრამ პატარა ყმაწვილები კი ხანდახან არ ასრულებდენ ამ დიდების ანდერძს: ისინი უფრო თავის გულისთქმას მისდევდენ და ხშირად, დილდილობით რომ გამოეღვიძებდათ, წამოდგებოდენ თუ არა ლოგინიდამ,

ისარივით გავარდებოდენ ხოლმე გარედ ხელპირდაუბანელად და უზმოდ.

ამისთანა გაუგონარ ბავშვებს დედები და გამდლები ეტყოდნენ ხოლმე: – „უიმე, შვილო, სირცხვილია, ჩიტმა რომ უზმოდ გნახოს და გაჯობოსო. მერე თუ უცხო ქვეყნიდამ პირველად მოფრენილია, მაგალითად, მერცხალი, გუგული და სხვ., მაშინ ხომ სულ თავი მოგეჭრებაო! ადე მალე, ხელ-პირი დაიბანე, ჩაიცვი, ილოცე, ისაუზმე და ისე გადი გარედ და თუ ჩიტი შეგხვდეს, მიაყვირე: „მიჯობნია! მიჯობნია-თქო!“ ამგვარად, უმანკოდ მოტყუებული პატარა ბავშვები ასრულებდნენ უფროსების ნებას.

ამგვარ ყმაწვილებთაგანს ეკუთვნოდა პატარა დათიკო, რომელიც ყოველთვის ცდილობდა უფროსების რჩევის დაჯერებას და მათი სურვილის ასრულებას და ძალიან დიდ ცოდვადაც მიაჩნდა უზმოდ ჩიტის შეყრა და მართლადაც, ძვირად, ძვირად მოუხდებოდა, რომ ჩიტს ის უზმოდ ენახა, დაესწრო მისთვის და მითი ეჯობნა.

ერთს გაზაფხულის დილას, გულის ძილში რომ იყო, ისე წამოვარდა უცბად დათიკო და დაიყვირა: „არ მიჯერია! არ მიჯერიაო!“ ყველას ეგონა, თუ დათიკო სიზმარშია და ბოდავსო, მაგრამ არა: იმას თურმე ჩაესმა ყურში მერცხლის ჭიკჭიკი და მართლადაც იმ დილას პირველად მოფრენილიყო სახლში და ჭიკჭიკობდა. „არ მიჯერია! უჯეროა! უჯეროა!“ – ჰყვიროდა დათიკო. „ჯობნა შინ კი არ უნდა, გარეთ უნდაო!“ უცბად წამოვარდა ზეზედ, დაიბანა ხელ-პირი, ჩაიცვა, ილოცა, ისაუზმა და ისე გავიდა გარედ და მერცხალიც რომ იქ გამოფრენილი ნახა, სიხარულით მიაძახა: „დაგასწარი! მიჯობნია შენთვისო!“

ის მერცხალი ყოველთვის, როცა კი გაზაფხულის პირზედ მოფრინდებოდა ხოლმე, სულ იმ სახლში, ისევ ძველ ნაბუდარზე იკეთებდა ბუდეს და დათიკოს ძალიან უყვარდა: „ჩემი ჩიტუნიაო“, – იტყოდა ხოლმე ალერსით.

პატარა მოყვარე სიამოვნებით უყურებდა მერცხალს, როდესაც იმას ტალახი მოჰქონდა და თანდათან იშენებდა, ზრდიდა თავის ბუდესა.

ბოლოს, როცა იქნა, მერცხალმა გაათავა ბუდე და ჩაჯდა შიგ კვერცხების მოსაწყობად. დათიკო ხშირად ათვალიერებდა ხოლმე.

ერთ დღეს მოვიდა და ნახა, რომ მერცხლის ბუდეში ჭივჭავი (ბეღურა) იჯდა და საწყალს მერცხალს აღარ უშვებდა თავის ბუდეში. მოვიდოდა თუ არა მერცხალი ბუდეზედ, ჭივჭავი გამოყოფდა ხოლმე





თავს და ჰკორტნიდა საბრალოს. ბევრი იჭყივლა მერცხალმა და რომ მაინც ვერა გაარიგა რა, ბოლოს სადღაც გაფრინდა თავისთვის; ჭივჭავი მაინც ბუდეში იჯდა და გამარჯვებულად გადმოჰყოფდა ხოლმე თავს.

რამდენიმე ხნის შემდეგ მოფრინდა მერცხლის გუნდი, თვითეულს მათგანს ტალახი მოჰქონდა და თვალის დახამხამებამდის ისე ამოავსეს და წაჰგლისეს ბუდე, რო ჭივჭავი თუ არ გაფრენილიყო, გამოიღრჩობოდა ბუდეში. გაიმარჯვეს მერცხლებმა, მაგრამ მოკლე იყო მათი სიხარული და ჭიკჭიკი.

მოიყვანა ჭივჭავმაც გუნდი ჭივჭავებისა. შეექნათ ბრძოლა ამ ორს სხვადასხვა გუნდს და ისე დაუნგრიეს ჭივჭავებმა ბუდე მერცხალს, რომ ნაბუდარიც აღარ სჩანდა. დათიკომ ყოველივე ეს თავის თვალით ნახა და როდესაც მამასთან მივიდა, დაწვრილებით უამბო ეს ამბავი.

– ბოროტი და საძაგელი ყოფილა ჭივჭავი, თორემ რას ერჩოდა საწყალს მერცხალს, რომელიც თავისთვის იყო და რად უნგრევდა ბუდესაო? – ჰკითხა მამას.

– არა, შვილო, ხშირად ის არის მართალი, ვინც ჩვენ მტყუანი გვგონია, და მტყუანი კი მართლად მიგვაჩნია! აი, ახლაც: შენ ჭივჭავს ამტყუნებ, მაგრამ, ჩემის აზრით, გასამტყუნარი არ არის. რიგიანად მოქცეულა. ჭივჭავი აქაურია, მერცხალი კი აქ ბუდეს გაიკეთებს, ბარტყებს გამოზრდის, თავს გამოიკვებს და მერე გაუდგება გზას სხვა ქვეყნისაკენ და მიტომაც ეჯავრება ის აქაურ ჭივჭავჭსაო, – უპასუხა მამამ.

– ეგ მაინც ბოროტება არის, – განაგრძო დათიკომ, – თორემ რა ენაღვლება, მერცხალმა აქ ბუდე გაიკეთოს? ადგილი ბუდისათვის საკმაოა, როგორც ერთისათვის, ისე მეორისთვის, და მაშ მით რა წაუხდება ავგულ ჭივჭავსო?

– აქ კიდევ სხვა ანგარიშია, შვილო, – წასჩურჩულა მამამ, – აქ საზრდოსთვის იბრძვიან. როგორც ჭივჭავები, ისე მერცხლებიც ბუზებსა და ჭია-ჭუებს იჭერენ, მითი იკვებებიან და, თუ აქ მერცხლები გამრავლდენ, მაშინ ჭივჭავებს საზრდო გამოელევათ!

ამ სიტყვებზედ დათიკო ღრმად ჩაფიქრდა, ამოიოხრა და სთქვა:

– მართალს ამბობ: ჭკვიანი ყოფილა ჭივჭავიო!

[1875]

## პირველი საღამო

### ამბავი პირველი

დაგვიზამთრდა.

დღემ იკლო და ღამემ იმატა.

ბნელმა სძლია ნათელს!

გრძელი ღამეების შესამოკლებლად მოვუსხდეთ ირგვლივ, ყმაწვილებო, ამ გამხიარულებულ ბუხარს და გავმართოთ საუბარი. მოვყვეთ ცის, ბრის, ხმელეთის და ზღვის ამბავს; ამ მთის ვახსენოთ და იმ კლდის; ხანდახან, შიგადაშიგ ზღაპრებიც გამოვურიოთ ხოლმე! აბა... ჰე!

როდესაც ეს ჩვენი ქვეყანა გააჩინა ღმერთმა, ერთი თვალთ-მაქცი, მისი წინასწარი არსება, რომელსაც არც თავი ჰქონია და არც ბოლო ექნება, მაშინვე გვერდში ამოუდგა იმ ახალ არსს, და მის შემდეგ მრავალფეროვანი საუკუნოები ისე ინთქებიან მის უძირო უფსკრულში, როგორც წვეთები ზღვაში. ამ დაუბერებელ არსებას, რომელიც ყოველწლობით ოთხ-ოთხჯერ იცვლის სახეს, ეწოდება „დრო“.

ერთფერობას მოკლებული ეს დრო ოთხ სხვადასხვა დროებად იყოფება:

ჯერ მხიარულ პატარძლად მოგვევლინება ხოლმე შემდეგის სიმ-ღერით:

მზის სხივებით შემოსილი
ქვეყნად მოვალ პატარძალი.
ბუნებაო, კმარა ძილი,
შენთვის მომაქვს ჩემი ძალი!

აჰყვავდი და აბიბინდი,
ძალა შენი თვით იჩინე,
მთლად გაჰფანტე შენი ბინდი,
გარს ნათელი მოიფინე.

შეიმოსე საქორწილოდ,
მომეგებე მომავალსა
და მერმისთვის მეც სალხინოდ
შენზედ დავდებ ჩემსა კვალსა, –





კვალს კეთილს და ნაყოფიერს,
საბოლოვოდ მოსამკელსა,
და მისათვის ვიცვლი მე ფერს,
გაცმევ მდიდრულ სამოსელსა.

მზის სხივებით შემოსილი
ქვეყნად მოველ პატარძალი,
და, ბუნებავ, შენ ქორწილი
გამიმართე მე ახალი...

სიმღერის გათავების შემდეგ თვისის ჯადოსნურის ღიმილით ათბობს და სულს უბრუნებს გაბრუებულ არემარეს.

როგორც კი გადაავლებს თავის ჟუჟუნა თვალს გამხმარ დედა-მიწის ზურგს, მაშინვე მწვანით ჰმოსავს მთა და ველს, რაღაც ანდამა-ტურის ძალით ამოაკოკრებს სხვადასხვა მრავალსურნელოვან ყვავი-ლებს, ნიავად ქცეულის სულთქმით არხევს მათ აკვანივით, იტაცებს მათის შერხევის დროს მათგან აღმოფშვენილ სუნნელებას და ჰაერის კეთილ გასაწმენდელად ჰფანტავს ყოველ კუთხით!

ამჟამად ერთმანეთში ჰარმონიულად შეთანხმებული ბალახის შიშინი, ფოთლების შრიალი, ყვავილების რხევა და ჩიტების ჭიკ-ჭიკი თითქოს მაყრულს ეუბნებიან არემარესო. ეს ყოფა გრძელდება მარტის პირველითგან დაწყებული სამს თვეს. ეს არის გაზაფხული. პირველ თიბათვეს ეს გაზაფხულად წოდებული პატარძალი აღარა სჩანს.

მის ადგილს იჭერს ერთი კარგად ნაკვთი ორსული დედაკაცი, რომელსაც თავი ძირს დაუხრია, მოდრეკილა მძიმე ტვირთით, ძლივს სულს იბრუნებს სიცხისგან და გულგაღიაღებულს ოფლი წურწუ-რითა სდის.

თანაც ამას იმღერის:

ტვირთი ბოლოს სასარგებლო
მძიმეც მჩატედ გვეჩვენება!..
ვისაც მწარე უჭამია,
იცის სიტკბოს გემოვნება!

ეს სიცხე და მხურვალება
ჩემს ტვირთს ზრდის და ამაგრებსო!..
ვისაც ჭირით არ უთესავს,
ის ლხინით რას მოიკრებსო?

გულ-გახსნილი, სიცხიანი
ვემონები დღეს ჩემს ბედსო,
და მძიმე ტვირთს სიხარულით
ვითმენ, როგორც დიდს იმედსო.

ბუნებავ, შენც წამბაძე,
მე ამილე მაგალითად,
და ნაყოფი, ქვეყნის საზრდო,
აიკიდე ზურგზედ ტვირთად.

მზის სხივი და მხურვალება
ტვირთს ზრდის და თანც ამაგრებსო;
ვისაც ოფლით არ უთესავს,
ის ვერაფერს მოიკრებსო.

იმ დროს, ამ ქალბატონის მიხედვით, ბუნებაც დატვირთულია ნაყოფით, ზრდის მას, ამწიფებს და ამზადებს ქვეყნის საზრდოდ.

ეს დრო გახლავთ ზაფხული.

პირველ ენკენისთვეს ესეც იპარება. მის ნაცვლად ჩვენ თვალწინ იხატება ერთი მშვენიერი ახალგაზრდა დედა, რომელსაც მიუკრავს გულ-მკერდზედ მშვენიერი ყმაწვილი, ტკბილის ღიმილით ძუძუს აწოვებს და თანაც „ნანას“ ეუბნება. ამ დროს ჰქვიან შემოდგომა, როდესაც ნაყოფი შემოდის. მხიარული დრო არის, მაგრამ სამის თვის მეტი ბორჯი კი არც ამასა აქვს და აი რას იმღერის:

ძუძუ მევსება ტკბილის რძით,
და შენც კი გშიან განაო?
მოსწოვე, შენი სარჩოა,
შვილო! ნანინა-ნანაო!

მხოლოდ ძუძუთი იზრდება
ბევრი სხვაც შენისთანაო;
სანამ არ გაძღე, ეს ძუძუ
სულ პირში გედვას!.. ნანაო!..

თან სწოვე, თანაც იზარდე,
რომ ქვეყნის გამოცანაო
ერთ დროში შენვე გაიგო,
ნანინა, ნანა-ნანაო!





რომ რძე დაგაკლდეს, მაშვინ ხომ
სჯობს გავიყარო დანაო,
მაგრამ ეს ღმერთმა გვაშოროს
ნანინა, ნანა-ნანაო!

ამ თვეებს მისაბაძავი
არვინ ჰყავსთ ჩემისთანაო,
ქვეყანას ძუძუ აწოვეთ,
უძახეთ: „ნანი-ნანაო!..“

ძუძუს მოადგა ტკბილი რძე,
აწვება თანდათანაო,
შვილო, მიშველე, მოსწოვე!..
ნანინა-ნანა-ნანაო!..

მშვიდობით მეორე წლამდე, პატარძალო – გაზაფხულო! გამარჯობა, ორსულო ქალბატონო – ზაფხულო! და ბედნიერად, დედაძიძავ – შემოდგომავ!

თქვენს ადგილს ქრისტიშობისთვიდან იჭერს საზიზღარი დედაბერი, ქურქწამოსხმული და ამოწუმპული, თეთრი თმა, გაშლილი, კოჭებამდის აყრია. ბევრი ცოდვა ჰკიდია ზურგზე. ვაი ღარიბის ბრალი მის ხელში! ბევრი წყევლა-კრულვა აქვს, მაგრამ სასტიკ დედაბერს კი არავისი ეშინიან. მისი გამქცევი მხოლოდ ცეცხლი და ნაგუზალია.

ამ დედაბერს ეძახიან ზამთარს და მისი სიმღერაც ეს არის:

თოვლით, წვიმით და ქარიშხლით
მოვალ, ყინვაც თან დამყვება!
ჩემის სუსხით დამსჭვალული
საქონელიც ხშირად სწყდება!..

ქვრივ-ობლისა და ღარიბის
მე არა მაქვს სიბრალული!
ვაი, ვინც არ დამიხვდება
თბილს ოთახში!.. ქურქმოსხმული!

ბოქაულად შევუგზავნი
ანთებაებს, სურდოს და მჭვალს,
და თუ მარჯვედ არ დამიხვდა,
საუკუნოდ დახუჭავს თვალს.

არემარეს გავაბრუებ,
წყლებსაც შევუყენებ დენას,
ქვეწარმავალს გავაშეშებ
და ავუბავ ფრინველს ენას.

ხმელ შეშას ფასს მოვუმატებ,
ცეცხლსაც გავაგემრიელებ,
ყველას დავაძახებ: „მცივა!“
არვის მოვიმადლიერებ!

თოვლით, წვიმით და ქარიშხლით
მოვალ, სუსხიც თან მეხლება,
და ვაი მას, ვისაც ჩემი
ისარი გულს მიეხლება.

ამ სტუმრებს, როგორც ზემოთ დავინახეთ, თავ-თავისი დანიშნული დრო აქვსთ. იმას ვერც დაასწრებენ და ვერც გადააცილებენ. მაგრამ ყოველთვის ერთს გუნებაზედ კი არ არიან და ერთნაირის ხალისით არ მოვლენ ხოლმე.

ის სამი ქალბატონი კიდეც ავ გუნებაზედ რომ იყონ, მაინც ისე საძაგელი და საშიშარი არ არიან, როგორც ეს მეოთხე დედაბერი – ზამთარი... ამის გულმოსულობა მართლაც რომ შესაჩვენებელია.

[1876]





## კურდღელი

### ამბავი

მთვარიან ღამეში ჩირგვებიდან გამოცანცალდა პატარა კუნტრუშა კურდღელი; მიიხედ-მოიხედა თავის გამოჩხაკულ თვალებით, ერთი შეხტა-შეინავარდა, მიისუნ-მოისუნა, მონახა სამყური და დაუწყო კვრეხა. – გემრიელმა ბალახმა კარგ გუნებაზე დააყენა ცუცნია; იმანაც მეტის სიამოვნებით ულვაშები ააცმაცურა და ყურებს პანტური დაუწყო. უცბათ ყური ყურს მოარტყა და ტკეცა გახდა. კურდღელს ეგონა თუ დედამიწა ინგრევაო და შიშით კინალამ გული გაუსქდა, მიატოვა საწუწკარი, დაჰკრა უკანა ფეხები მიწაზე, დაახაკუნა, ერთი შეხტა მაღლა და მოჰკურცხლა. რამდენიმე შუბისტარი რომ გაირბინა, გული მოუბრუნდა: შეჩერდა, დაცუცქდა უკანა ფეხებზე, წინა ფეხები ბოძებივით შეუყენა ზედა-ტანს, წაიგძელა კისერი, დააყურა: რა ამბავიაო, და როცა დარწმუნდა, რომ არაფერი იყო, მიუბრუნდა ისევ საკვებს. ასე ამგვარად ბევრჯელ დაფრთხა საბრალო კურდღელი: ხან ჩიტისაგან შერხეული შტო აშინებდა, ხან ჭოტის კივილი, ხან ღამურას ლანდი, ხან რა და ხან კიდევ რა! ბოლოს, როგორც იქნა, ვაი-ვაგლახით გამოძლა და მიაშურა მდინარეს წყლის დასალევათ. წრუპვა დაიწყო თუ არა, უცბად რალაცამ წყალში ტყაპანი შეადინა; თურმე წყლის პირად კიდეზე ბაყაყი შეცუცქულიყო და იმან ჩაიყურჭუმალა წყალში. აქაც კიდევ კურდღელს გული გადაუტრიალდა და გახტა განზე. იმ დროს იქვე მინდვრად ერთი პატარა ჭიანჭველა დაცოცავდა და თვალ-ყურს ადევნებდა კურდღლის თავგადასავალს; მეტი ველარ მოითმინა, სიცილი აიტეხა და უთხრა კურდღელს: „ვაი შენი ბრალი, ძმობილო, რომ სიმწრის სიცოცხლე გქონიაო: გემრიელათ ვერასა სჭამ და ტკბილათ ვერასა სვამო! არც შენი სიდიდე მინდა, არც შენი სიმარდე და არც ეგ შენი მოუსვენარობაო!..“ ამ დროს შორიდან რალაც ხმა მოესმათ: თურმე ვირი გამოქცევოდა მგელს და, დიდათ დამფრთხალი ყროყინით მობრიგინობდა. პირდაპირ მათზე მოდიოდა... კურდღელი მარდათ განზე გაუხტა, მაგრამ ჭინჭველამ კი ცოცვით შორს ველარ გაასწრო; დაჰკრა ყურდიდამ წიხლი და გასრისა. კურდღელმა გულდამშვიდებით ამოიხვნეშა და სთქვა: „დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი, რომ დიდისა და პატარასათვის მათ-მათ შესაფერად ავიცა და კარგიც თანასწორად გაგიწესებიაო!.. და ის ანდაზაც მართალი ყოფილა, რომ:

„სიფრთხილეს თავი არა სტკივაო!..“

### ლექსი

კურდღელმა სთქვა: „ღმერთს შევსცოდე
უქმე გავსტეხე კვირესო:
საწყალ გლეხისა ყანაში
სამკალათ დამიპირესო.
იქ თურმე სუნი სცემოდა
ვიღაც წუწკ მონადირესო;
მომძებნეს, დამიცაცხანეს,
მიკივლეს, მომაყვირესო,
მეძებრებს გამოვექეცი,
მწევრებმა დამიჭირესო.
ტყავი გამაძვრეს, გამწელეს,
უწყალოდ დამამცირესო;
ფეხით დამკიდეს თავდაღმა,
კერაზე მიმაშვირესო,
შემწვეს და ჩამახრაკუნეს,
და დედა ამიტირესო“.

### გამოცანა

მინდვრათ რწყილივით დახტოდა
ერთი უკუდო კატაო,
რაც საკუდეზე დააკლდა,
ყურებზე მიემატაო.
ცხვირსახოცს თავი გამოვსკვენ,
კედელზე დაიხატაო.
და ვინცა ვერ გამოიცნობს,
სჩანს, ჭკუამ ულალატაო.

### ზმა

ჯამბაკურ დღე ლილას იღებს,
ღამღამობით ჰღებავს შალსო;
მოყვრისთვის საჩოხეთ უნდა,
დაუყენებს მის მტერს თვალსო!

### ჩქარ-სათქმელი

კურდღელო! რას გამოგი-ციცუნ-კატუნ-ყურებ-ყავარჯანიანებია ეგ თავი? მოვალ, ყავარჯანს დაგარტყამ, უფრო გამოგა-ციცუნ-კატუნ-ყურებ-ყავარჯანიანებ მაგ თავს.

[1884]





## თოხიტარა

ჩვენს ქვეყანაში ერთი ჩიტია ჭინჭრაქაზე[1] უფრო პატარა! სწორეთ ბერძნული თხილის ოდენაა და კუდი კი გძელი აქვს; პატარა გძელტარიანი თოხის მიმსგავსებით, ხალხს მისთვის „თოხიტარა“ დაურქმევია.

ის უფრო მთა ადგილს ეტანება და უდაბურებში ბუდობს; ძვირათ სადმე მოხვდება ბარში. გარდა შაშვისა, იმაზე ადრე ბუდეს ვერაფერი ჩიტი ვერ გამოიწყებს, მაგრამ გათავებით კი ყველაზე გვიან ათავებს. ეშმაკური ბუდე იცის და ძნელი სამუშაოა: მერცხლის ბუდის გვარ ბუდეს აკეთებს, იმგვარივე მასალებით, მაგრამ თავლიათ კი არა სტოვებს: ყოველის კუთხით შეკრულია მისი მრგვალ-მოგრძო ბუდე და მხოლოდ, ერთგან სადმე, გვერდით პატარა ჭიჭიტანა აქვს დარჩენილი, შიგ შესაძრომათ.

ერთხელ გაზაფხულის პირზე, დილაადრიანა, გულის ძილში რომ ვიყავი, გადიაჩემის სიტყვები ჩამესმა ყურში: „არიქა! მზე პირს იბანს და აბა, დათიკო, შეუშვირე თავი, რომ ოქროს ხუჭუჭი მოგივიდესო!“; გავაჭყიტე თვალები და დავინახე, რომ მართლა კარგი შხაპუნა წვიმა მოდიოდა, წამოვარდი ზეზე, შეუშვირე თავი ღარს და წვიმის წყლით დავიბანე თავ-პირი. გადიამ პირსახოც-სავარცხელი მომიტანა, ტანთ ჩამაცვა და მერე ალერსით მითხრა:

– ახლა, შვილო, შენ კი გენაცვალოს შენი გადია, ისაუზმე, რომ ჩიტმა არ გაჯობოს და შენ დაასწრო!

– რა დროს დასწრებაა – ვუთხარი – მერცხალი დიდი ხანია მოფრინდა და გუგული კი ჯერ ადრეა-მეთქი!

– ვინ იცისო! მიპასუხა და გაეშურა სამზარეულოსაკენ, თან პატარა გიორგაც წაიყოლა, ჩემი ძიძისშვილი და ჩემი საკუთარი მსახური.

ბევრხანს არ გაუვლია, რომ გიორგას ხელით მომივიდა ცხელი ხაჭაპური, შამფურით შიშინა მწვადი, თეთრი პური და წითელი ღვინო.

– გაამოს! მითხრა გიორგამ და დამიდგა წინ.

მე იმდენათ არა მშიოდა, რამდენათაც „სტუმრობიას“ თამაში მინდოდა და გიორგა მოვისვი გვერდით. ცოტათი რომ კუჭი გავიმაგრე, „დაღრჩობიას“ თამაში მოვინდომე, დავაღებიე პირი ჩემ სტუმარს და დავუწყე პირში დიდ-დიდი ლუკმების ტენა.

---

1 ღობემძვრალა (ავტ.განმარტ.).

– ვაიმე! დავიღრჩე! დავიღრჩეო! – ძლივს იძახდა გიორგა და კარგათ მადიანათ კი ილუკმებოდა, მე ისე გულიანათ მეცინებოდა, რომ ჩემ ხარხარზე გადია შემოვიდა და რომ დაგვინახა, მიუბრუნდა გიორგას:

– ჰაი შე ეშმაკო და წუწკო! აგრე აბრიყვებ მაგ ყმაწვილსო! და შეუტია შესაშინებლათ, მაგრამ ჩემმა სტუმარმა მოჰკურცხლა; დავრჩი მარტო და მეწყინა.

– რა გინდა, გადია! რათ უჯავრდები! ეს საუზმე მეც მეყოფა და იმასაც! – გაჯავრებული წამოვარდი მეც ზეზე და გავარდი გარეთ.

წვიმა გადაელო, მზეს ისევ გამოეჭიატებია და ტკბილათ იკბინებოდა. ზურგი გამითბა, მიამა, ერთი შევხტი და შემოვურბინე ჩვენს ეზოს.

ერთგან ინდაურები გამოფენილიყვნენ და ერთი ამბავი ჰქონდათ: დედლები კარგა ლამაზათ შეექცეოდენ: მადიანათ ჰკორტნიდენ მწვანე ბალახს და მამლები კი სულელ-ამპარტავანივით იბერებოდენ, თავი მაღლა აეღოთ, მოექინჩათ, ცხვირი ძირს ჩამოეშვათ, კუდი გაეშალათ და ფრთებს ძირს მიახოხიალებდენ. მე ჩამოურბინე და ვუსტვინე; იმათაც ერთხმათ რაღაც შემომღულღულეს. წყრომა იყო ეს მათის მხრით, თუ მადლობა, ვერ გავიგე, მაგრამ მე კი მაინც გაუმეორე სტვენა. იმათაც ისევ ისე შემომძახეს. რამდენჯერმე გავამეორებინე მათი ძილის პირი, სანამ ერთმა მათგანმა არ გამოიცვალა მისი გალობის კილო და არ შემომძახა „წიო-წიოო!“ მაშინ კი მივხვდი გული მოსდის-თქო და მოვაშორე თავი.

საჩეხიდან[1] თიკნები გამოეშვათ და ნავარდობდენ. თითქო მეთაურათ აურჩევიათო, ერთი ჭრელი თიკანი დაუძღოდათ წინ და, რასაც ის შვრებოდა, სხვებიც იმას იმეორებდენ: ადიოდა ის ჭრელი თიკანი მაღლობზე, სხვებიც თან აჰყვებოდენ, დაეშვებოდნენ ხოლმე თავდაღმა ხტომით, აჰყვებოდნენ სხვებიც და სულ კუნტრუშ-კუნტრუშით ჩადიოდნენ დაბლა, მერე კიდევ... მაგრამ საკვირველი ეს იყო რომ სულ სხვადასხვაგვარად მოხტოდნენ ხოლმე: ხან პირდაპირ, ჯიქურ, ხან გვერდ-გვერდ, ხან წაღმა და ხან უკუღმა; ერთი სიტყვით, როგორც მეთაური უჩვენებდათ ხოლმე. საშინელი ჟინი მომივიდა, რომ მეც ავყოლოდი მათ და მათთან ერთად მეც მეხტუნა; მაგრამ რომ დამინახეს თიკნებმა, იქით-აქეთ გაიქც-გამოიქცენ და გაწყვიტეს თამაში. მე გულდაწყვეტილი დავეშვი თავდაღმართისაკენ.

ცოტა მათზე მოშორებით დედალორს გამოეყვანა გოჭები და აქვე ბალახობდა. მრისხანედ ჩაჰკვნესოდა ქვესკნელს და დრუნჩით ძირს უგდებდა მცენარეს, გოჭები კი მიხურხლილიყვენ ერთს ალაგას, გადაწოლოდნენ ერთიმეორეს და ღრუტუნობდენ მზეში. ორი

1 ბაკი (ავტორის შენიშვნა).





მათგანი კი საჭიდაოთ გამოსულიყო: ხან ერთი ამოსდებდა პატარა დინგს ფერდებში მეორეს და ხან მეორე; დიდხანს იცოდვილეს; ბოლოს ერთმა უცბათ ამოჰკრა ცხვირი წინა ფეხებში, დასცა მეორე და მოინდომა კბენა. დამარცხებულმა იჭყივლა. დედა ღორმა თავი მაღლა აიღო მრისხანედ: „ვეჰა! ვეჰა! ვეჰაო!“ მიაძახა და მიიწია მათკენ. პატარა ცელქებს შეეშინდათ და მიიმალენ სხვა გოჭებთან, ვითომ და აქ არაფერი ამბავიაო. მეც ძალიან გულით მინდოდა, რომ დავჭიდებოდი ვისმე... გიორგა რომ იქ ყოფილიყო, ვეძგერებოდი, მაგრამ რომ არსად იყო!.. დავუწყე ძებნა: ჯერ ეზო შემოვირბინე და მერე გადავედი ტყისკენაც.

იქ ერთ ხეს რომ გვერდით ჩავუარე, გუგულმა გადმომძახა: „კაფეო!“ – „მიჯობნია-მეთქი!“ მივაყვირე უცბათ და შევჩერდი. სიცილი შემომესმა... ავიხედე მაღლა და რა ვნახე? ჩვენი პატარა გიორგა აპარულიყო ხეზე, გამოხვეულიყო ფოთლებში და აქედან მატყუებდა.

– მოგატყუე, მოგატყუეო! დამიძახა და მოჰყვა ისევ ხარხარს.

მე, ცოტა არ იყო შემრცხვა, მაგრამ არაფრათ შევიმჩნიე: – გემართოს-მეთქი! – ვუთხარი და დავაპირე გაშორება.

– სად მიხვალ? შენც აქ ამოდი!.. მე გუგული ვიქნები და შენ გულყვითელა! მე რომ „კაფეს“ დავიძახებ, შენ „წიწიტო“ დაიძახე და მხრები დაანძრიე, ვითომ ფრთებს აფართქუნებ!

დამიჯდა რჩევა, ავცოცდი ხეზე, გადავაჯექი მეორე ტოტს და გულიანათ დავიწყე „წიწიტოს“ ძახილი. შტოები რომ დავანძრიე, იქვე ფეხთით „თოხიტარა“ ამოფრინდა.

– ბიჭოს! ეგ ჩიტი უბიდამ ხომ არ ამოგფრენია? სად იყო? მკითხა გიორგამ.

მეც გამიკვირდა.

– სწორეთ ბუდე ექნებაო! დავუწყეთ თვალიერება, მაგრამ ვერა დავინახეთ-რა, ძირს ჩავიდეთ და იქედან უკეთ დავინახავთო!

ჩამოვედით. ძირიდანაც ბევრი უკირკიტეთ, მაგრამ ვერა დავინახეთ-რა. ჩიტი კი იქვე თავზე დაგვწიოდა.

– მოდი ეგრე ნუ ვიზამთ! მივჯდეთ განზე შორიახლოს, ძილი მოვიგონოთ, რომ ჩიტმა ჩვენზედ ეჭვი ველარ აიღოს და შორიდან უთვალყუროთ! ჩიტი მიფრინდება და თვითონვე მიგვასწავლის ბუდეს.

მართლაც, დიდხანს გვიტრიალა საბრალო ჩიტმა, ხან აქედან, ხან იქიდან და ბოლოს, რომ დარწმუნდა, აღარ ინძრევიანო, მიფრინდა ბუდესთან.

– საპოვნელა მეო! დაიყვირა გიორგამ და მიმითითა ბუდეზე...

მართლა რომ უცნაურათ გაუკეთებია ის თოხიტარას და ძნელი საპოვნელიც იყო...

კატებსავით შევცვინდით ორივე ხეზე, დავუწყეთ სინჯვა იმ ბუდეს, მაგრამ ხელი კი არ მიგვიკარებია: ვიცოდით რომ ჩვენი „ხელის მიკარება და კვერცხების გალაყება ერთი იქნებოდა“. შორიდან ალერსით რომ გული ვიჯერეთ, ჩავედით ძირს და პირობა დავსდევით, რომ იმისთვის ჩხიკინი აღარა დაგვეწყო-რა. სანახავათ კი ხშირად დავდიოდით და შორი ახლოდან უყურებდით ხოლმე.

ერთხელ ჭყლოპინი შემოგვესმა და სიხარულმა ისე აგვიტანა, რომ ჩვენც ავჭყლოპინდით. გამოეყოთ ჭიჭიტანიდან ტვლიპანა თავები პატარა ბღარტებს და, პირდაღებული, თხოვილობდენ საზრდოს... დედა მალ-მალ მოფრინდებოდა ხოლმე ჭიებით და ხან ერთსა და ხან მეორეს უდებდა პირში. საკვირველია, რომ არ ეშლებოდა. მთელი დღე სულ იმას მივჩერებოდით მე და გიორგა.

სალამომდინ სულ ამ ყოფაში იყვნენ ჩიტუნიები, მაშინ კი გამოძღენ და დაცხრენ; მათი დედაც შეძვრა ბუდეში მათთან და დაიძინეს... მაშინ შეცოცდა ხეზე კატასავით გიორგა, მიეპარა, მიაფარა ხელი ბუდეს, დედაც შიგ გამოამწყვდია, მოგლიჯა ბუდე და ჩამოიტანა ძირს. სიხარულით მე კინეღამ გული შემიწუხდა. მოვეხვიე გიორგას, ვაკოცე და გავიქეცით ორივე შინისკენ. გალია მოვძებნეთ, შიგ ბუდე გავამაგრეთ ჩხირებით... დედაც აქვე ჩავამწყვდიეთ და ჩამოვკიდე მაღლა. ცოტა ხანს იფრთქიალა გალიაში დედა ჩიტმა და მერე კი დაწყნარდა. ბღარტებიც სულგანაბულები იყვნენ.

– მშვიდობით! ხვალ დილამდინ-თქო! მივაძახეთ ჩვენ ჩიტუნიებს და წავედით ჩვენ-ჩვენთვის.

დედაჩემს ჩვეულებათა ჰქონდა: სალამ-სალამოობით ზღაპრებს მეტყოდა ხოლმე, იმ სალამოსაც ჩავუდევ თავი კალთაში და მოვემზადე ყურის საგდებლად. დიდხანს მაქალაჩუნა და, რომ გული იჯერა ჩემის ალერსით, დამიწყო „ძაღთაპირების“ ამბავი. ეს ზღაპარი სხვაგანაც ბევრჯელ მქონდა გაგონილი, მაგრამ მაინც არაოდეს არ მომწყინდებოდა ხოლმე. იმ ადგილამდი რომ მივიდა დედაჩემი, სადაც კაცის ჭამია ძაღთაპირები დედა-შვილებს აწვალებენ დატყვევებულებს, – დედას ცალკე აგდებენ სასუქად და შვილებს კი მარტო ამწყვდევენ, – ისეთი სათუთი და გულსაკულავი სიტყვები ჩაურთო, რომ მე გული ამომიჯდა და ტირილი დავიწყე, თანაც შიშმა ამიტანა და დედას ვეკვრებოდი.

– დედა! სად არიან ის ძაღთაპირები, შორს არიან? ვჰკითხე ათრთოლებულის ხმით.

– ყველგანო! მიპასუხა ღიმილით: მთელი ქვეყანა ძაღთაპირებით სავსეა!!. შენც პატარა ძაღთაპირა ხარ!





მე გაკვირვებით გავაჭყიტე თვალები და ვჰკითხე:

– მერე და მე როდის შემიჭამია ადამიანები-მეთქი?

– ეგ სულ ერთია: ძაღთაპირები ადამიანის შვილებს აწვალებენ, სტანჯავენ და მიტომაც ისინი ჩვენთვის არიან ძაღთაპირები... ჩვენ კი... აი, თუ გინდა, თვითონ შენ... ჩიტებსა სჭამ და აწვალებ. სჩანს, რომ შენ მათთვინ ძაღთაპირი ხარ... ჩიტები ჭია-პეპლებს სჭამენ... ისინი კიდევ სხვას და ამგვარათ ერთი მეორის მტერი და ძაღთაპირი არის... ქვეყანაზე ძაღთაპირობა აუცილებელია, მაგრამ ძაღთაპირობაც არის და ძაღთაპირობაცა: ერთი სამართლიანია და მეორე კი უსამართლო!

მე ბევრი ვერა გავიგე რა და მივაჩერდი დედას.

– აი, შვილო! მითხრა – მართალია, ჭია-პეპლები არაფერს უშავებენ ჩიტებს და თავისთვინ მშვიდობიანათ დაჰფრენენ, მაგრამ საზრდო არიან ჩიტებისა და ჩიტებმაც რომ ისინი არა სჭამონ, შიმშილით დასწყდებიან. არც არას ჩიტები უშვებენ ქორ-მიმინოებს, მაგრამ იმათაც იჭერენ ისინი და სჭამენ, ქორ-მიმინოებსაც კიდევ სხვა ცხოველები ემტერებიან... და ასე, ამგვარათ ქვეყანაზე ერთი მეორის სარჩოთ არის გაჩენილი. ამნაირი ძაღთაპირობა სამართლიანია. მაგრამ უმიზეზოთ რომ შეიპყრობ და დასტანჯავ ვისმე, ის კი უსამართლო ძაღთაპირობაა! აი, მაგალითად: რას გიშავებდენ შენ ის პატარა ჩიტები? არა გშია და არა გწყურია, სათამაშოებიც ბევრი გაქვს და მაშ რაღას ერჩოდი იმ საწყლებს?

– მე ხომ შესაჭმელათ არ მინდა და არც ვაწვალებ-მეთქი? – მივუგე: ისე ვეალერსები, მოვეფერები და ვეთამაშები!

– კარგი, მაგრამ, თუკი იმათ არ უნდა და არ მოუხდება ეგ შენი ალერსი, რატომ არ დაანებებ თავსა? დედა გალიაში ჰყავთ ჩამწყვდეული... თავის ნებაზედ აღარ არიან. შეიძლება, რომ გული გაუსქდეს და კიდეც მოკვდეს: მერე ვინ-ღა მოუვლის პატარა ჩიტუნიებს? ისინიც დაობლდებიან და მოკვდებიან! ხომ ნახე ამას წინათ ჩვენი მეზობლის ცოლი რომ მოკვდა და კუბოში ესვენა?.. ხომ გახსოვს, როგორ საცოდავათ სტიროდენ პატარა შვილები? აი, სწორეთ ასე იტირებენ შენი პატარა ჩიტუნიებიცა!

ამისთანეები ბევრი რამ მითხრა დედამ... ძალათ დამაფიქრა და იმ ფიქრით კიდევაც ჩამეძინა.

ბევრი ცუდი სიზმარი ვნახე იმ ღამეს: ხან ძაღთაპირები, ხან პეპლები, ხან ქორები და ხან რა... მაგრამ ერთმა სიზმარმა კი ყველაზე უფრო შემაწუხა: მომკვდარიყო ჩემი თოხიტარა, ჩაედვათ ყვავილების კუბოში, გარს შემოხვეოდენ პატარა ჩიტუნიები და

ტიროდენ. მე რომ დამინახეს, მომაძახეს: „–რათ მოგვიკალი დედაო! ხომ შენი ბრობით გაუსკდა გულიო?“ შემეცოდენ და დავიწყე ღრიალი!.. – „რა გატირებს, შვილო, რა გატირებსო,“ – ჩამძახა ჩემმა გადიამ და გამომელვიძა.

წამოვარდი ზეზე და გიჟივით გავექანე გალიისაკენ. ჩემი ჩიტუნიები ცოცხლები დამხვდენ, მაგრამ ძალიან კი ჭყლოპინობდენ... შიოდათ და დედა ჩიტიც იქვე მიმჯდარიყო აფულული. გავარდი გარეთ, გიორგაც მოვიხმარე. დავიჭირეთ პეპლები, ჭიები, ბუზები, მოვაგროვეთ და ერთი დიდი მუჭა მიუტანეთ ჩვენ ჩიტებს... დედა თოხიტარამ ჯერ აათვალიერ-ჩაათვალიერა ის საზრდო, გასინჯა ნისკარტით ერთი ჭია; მეორე მიუტანა და ჩაუდვა პირში ერთ ბღარტსაც... მერე კიდევ, მერე კიდევ... ასე რომ მალე გამოაძღო მშიერი შვილები... მერე თვითონაც ჩაყლაპა რამოდენიმე პეპელა და მიჯდა ისევ განზე.

– აწ აღარა უჭირსთ-რა-თქო, სიხარულით წამოვიძახეთ მე და გიორგამ ერთად და პატარა ჭურჭლით წყალიც შეუდგით გალიაში. საკვირველია, რაც უფრო უვლიდით და მეტი დღეები გამოდიოდა, უფრო და უფრო მიყვარდენ ჩიტუნიები და მხოლოდ ის მინდოდა, რომ მალე დაზდილიყვნენ.

დედამ ერთი ლოცვა მასწავლა დილა-საღამოს ადგომ-დაწოლის დროს სათქმელად: „ღმერთო გამზარდე, კაი კაცი გამომიყვანე! შენი სამსახური შემაძლებინე! დედ-მამა მიცოცხლე! ძმები, დები“... და სხვა. ამას ყოველთვის უნაკლულოდ ვასრულებდი ხოლმე და ახლა ჩემათ ის სიტყვებიც ჩავურთე, რომ „ჩიტუნიებიც მიცოცხლე და გამიზარდე-მეთქი“, და მართლაც რომ მალე იზდებოდნენ. ასე, რომ მოჩიტდენ, ბუდიდან გამოვიდენ და გალიაში დაიწყეს ხტომა.

ერთხელ ჩიტების ფრთქიალი შემომესმა მეორე ოთახში, გავარდი და ვნახე, რომ ჩვენი ხატაველი კატა მიდგომოდა და სცდილობდა როგორმე გამოეყვანა ისინი გალიიდან. ის ჩემი საყვარელი კატა იყო. ვიფიქრე, ამ კატას დედა არა ჰყავს და არც ძალთაპირების ამბავი გაუგია, თორემ ამას არ იზამდა-თქო. მივედი, დავიჭირე, ჩავისვი კალთაში და მოვუყევი ყველაფერი, რაც დედასაგან გაგონილი მქონდა... ისიც გულაღმა აპლაკული, კუდის ქნევითა და კრუტუნით მიგდებდა ყურს: „ხომ გაიგე-მეთქი? რომ ვჰკითხავდი ხოლმე და დავადებდი ხელს გულზე, ისიც თანხმობის ნიშნად მარცხენა ფეხს მიცაცუნებდა. „ოღონდ ჩიტებს თავი დაანებე, და მშიერს არ დაგტოვებ, ჩემო კატუნია-მეთქი! ვარწმუნებდი... მაგრამ არ დამიჯერა მაინც იმ გაუტეხელმა: მეორეთაც კიდევ ისევ ის ამბავი ჩაიდინა.





მაშინ კი სწორეთ გული მომივიდა და მოვინდომე გამათრახება, მაგრამ დედამ მითხრა:

– მაგისი რა ბრალია... ისევ შენა ხარ დამნაშავე!.. ეგ ჩიტები რომ თავის ნებაზედ იყონ, თავისუფლათ, მაშინ გაფრინდებოდენ და აღარ შეუშინდებოდენ კატას; მაგრამ ახლა კი გალიაში ჩაგიმწყვდევია, გასაქცევი გზა აღარა აქვსთ და, რასაკვირველია, შიშით გულები უსქდებათ! და მასთანაც ახლა დროც არის მაგათი გადასხმის! შეუძლიათ რომ გაფრინდენ, ფრთები გაზდიათ!

ჩამოვაღებინეთ გიორგას გალია, გავდგით მზეში გარეთ და კარებიც გაუღეთ... დედა თოხიტარა ისარივით გამოვარდა მაშინვე, ერთი შეინავარდა, ჰკრა კამარა, დასჭყივლა და მიიმალა ჰაერში. დარჩენ პატარაები გულდაწყვეტილები.

– ვაიმე! მიატოვა ბარტყები? – ვკითხე დედას.

– არა, შვილო, დიდი ხანია ტყვეობაში იყო, თავისუფლება არა ჰქონია და, ფრენით ჟინს რომ მოიკლავს, ისევ დაბრუნდება.

მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდა და დაჯდა გალიის ახლოს... დაუძახა შვილებს, იმათაც აღტაცებით შესჭყივლეს. გაუმეორა ძახილი დედამ... ბარტყები ნელ-ნელა გავიდენ გალიიდან... გაგოგდა დედა მიწაზე – მიჰყვენ ისინიც; შეხტა დედა ჩიგვზე – შეფრთქიალდენ შვილებიც; შეფრინდა ხეზე – შეფრინდენ ბღარტებიც. გადაფრინდა დედა ერთი ხიდან მეორეზე, მეორიდან მესამეზე და ბოლოს, რომ დარწმუნდა, ბღარტებმა ფრთები გაიმართესო, დასჭყივლა, ავარდა ისარივით და მისცა თავი ცისკენ... მიჰყვენ პატარეებიც და ჭიკჭიკით გადაიარეს მთა და ბარი... დიდხანს ვადევნებდი თვალს, სანამ სულ არ მიეფარენ.

– აღარ მოვლენ? ეს არის წავიდენ? – ვკითხე გულდაწყვეტილმა დედას...

– აღარ, შვილო! მიპასუხა ღიმილით; – ისიც კმარა, რომ ერთხელ გამოსცადეს ტყვეობა!

– ცრემლები მომერია.

რა გაწუხებს შვილო, დეე ისინი თავის დედასთან იყონ და შენთან კი მე ვიქნები, შენი დედიკო, და ამომიკოცნა თვალები. მეც ყელზე შემოვხვიე ხელები და ჩავეხუტე გულში... ჩემი გული სწორეთ ისე ფართხალებდა, როგორც კატისაგან შეშინებული ჩიტები გალიაში და დედიჩემის გულის ბაგა-ბუგიც მესმოდა, თითქო ბამბას ჰპენტვენო!.. მაშინ კიდევ უფრო ჩავეკარ ჩემ ძვირფას გულში; მაგრათ ჩამიკრა იმანაც... ჩავეტკბი და ჩამიტკბო ჩემმა დედიკომაც და იმ დროს ჩიტებიც აღარ მაგონდებოდენ...

[1884]

## პატარა ტარიელი

### (საყმაწვილო მოთხრობა)

დიდი ხანია ჩვენს გიმნაზიებში მისთანა გულისყურიანი არავინ ყოფილა, როგორც პატარა დიტო ცალქალამანიძე გამოდგა; ნიჭს გარდა, ზნეკეთილს, სწავლის ხალისიც დიდი ჰქონდა; დიდსა და პატარას, ვინც კი იცნობდა, ყველას უყვარდა და სულში იძვრენდა; როგორც პირველი მოწაფე, კლასიდან კლასში საჩუქრებით გადადიოდა. მეოთხე კლასამდის ტოლი არ ჰყოლია, მაგრამ აქ კი რაღაც ალალმა დაუქროლა: გუნება შეეცვალა, სწავლაზე გული აიყარა, ახირებულობას მისცა თავი და ადრინდელი დიტოსი ნიშან-წყალიც აღარ შერჩენია, თითქოს თვალი ჰკრეს და გალალესო – აღერღილი დადიოდა!.. სხვებრ კი გარეგნათ ავათმყოფობისა არა ეტყობოდა – რა; ფერხორცათ კარგათ იყო და არც სიმსუქნე ჰკლებია, მხოლოთ საულვაშის ძირზე კი აქეთ და იქით ცერცვისოდენა სიწითლე დაჯდომოდა და ხმაც ადრინდულათ აღარ უკრიალებდა, მკვეხათ გაბოხებოდა, ცოტა ნაძალადეობაც ეტყობოდა, შინაურები მაინცადამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდენ: „არაფერია, მოზარდია, ამ ხანში ასე იცისო; სანამ ამისთანა დარებია, ტყე და ველსა ჰყავს წატყუებული, თავის ნებაზე ველარ ისვენებს და მისი ბრალიაო; ზამთარი რომ შინ შემოდენის, მაშინ ისევ ისე ძველ კალაპოტში ჩადგებაო“. ასე ფიქრობდენ, მაგრამ გაუცუდდათ იმედი; ზამთარში უფროც გაჭირვეულდა ყმაწვილი; ნადირობის ჟინმა აიტაცა და დილიდან საღამომდე, რაღაი კი სასწავლებელს თავს დაანებებდა, სულ გარეთ იყო. იმ პატარა ჩიტუნიებს, ადრე რომ ისე უყვარდა და ებრალებოდა, ახლა, სადაც კი შეიგულებდა, მოსისხარ მტერივით მუსრს ადენდა! ერთხელ ახირხლა თავის ნანადირევი, დაიჭირა ხელში და გასწია მეზობლისაკენ. იქ, ერისთვის ოჯახში, პატარა ათი წლის მეგობარი – თინა ეგულებოდა და იმასთან მიჰქონდა ძღვნად. პირდაპირ შევიდა ოთახში, მაგრამ ვერავინ დაინახა, თუმცა აქეთ-იქით კი თავმომწონეთ იყურებოდა, უცბად ფარდა შეირხა, გამოჰყო თავი დამალულმა თინამ და „ჭიტაო“ მიაძახა. ჯერ გაეცინა დიტოს, მაგრამ ბოლოს მოიჭმუხვნა სახე, უეცრათ დაეშვა ძირს და გაინართხა გულშეწუხებული. თინამ დაიკივლა, მის კივილზე უფროსები შემოცვივდენ და, გულშეწუხებული ბავშვი რომ ნახეს, მისცვივდენ, ბევრი უსრისეს ცხვირი და ყურები, წყალიც ბევრჯერ გადაასხეს





თავზე, მაგრამ არა ეშველა რა... მართალია, ყოველთვის, როცა კი ცივი წყალი ესხურებოდა ხოლმე, შემკრთალ თვალებს ახელდა, მაგრამ ისევ ისე ხუჭავდა და ნაბავდა. ბევრი მეცადინეობის შემდეგ, რომ ველარა მოუხერხეს რა, ერისთვიანი იძულებული შეიქენ შინ გაეგზავნათ ხელში აყვანილი ყმაწვილი. ახლა კი გამოაჭყიტეს დიტოს სახლში თვალები, შეიცხადეს და ერთმანეთს დაუწყეს საყვედური: – „არა, შენი ბრალია, და არა, შენიო“. ცოლი ქმარს ამტყუნებდა: – „შენ მომიკალი შვილი, შენი ბრალიაო, იძახოდი, არა უშავს რა, გაივლისო და მე, მზებნელმა, დაგიჯერეო“. – „ჩემი კი არა, შენი ბრალიაო!“ – პასუხს აძლევდა ქმარი, – „მიგიშვია მის ნებაზე თითის სიგძე ბავშვი, დარბის აქეთ-იქით ამ დიდ თოვლში, ჩიტების დევნაში ამოდის სული და ველარას გებულობსო, – გაცივდებოდა, აბა, რა მოუვიდოდაო!“ – ბევრი იწუწუნეს, ბევრი ითავცემეს და ბოლოს, გული რომ იჯერეს, აფრინეს აქეთ-იქით კაცები ექიმზე. ექიმებიც მოვიდნენ, გაშინჯეს ყმაწვილი, ხან მუცელზე დაადვეს ყური, ხან გულ-მკერდზე, ხან ზურგზე, ხან სად და ხან სად. ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ ყველამ კი სულ სხვადასხვაგვარათ გამოიკვლია; ერთმა თქვა: – „ჭია მორევიაო“, მეორე ამტკიცებდა: – „ჩუმი, ჩაყოლილი ცივების ბრალიაო“, მესამემ გულის სისუსტეს მიაწერა, მეოთხემ კუჭის და ამგვარად ყველამ თავისებური რეცეპტი დასწერა და მითი გათავდა საქმე; ავათმყოფს თვალის დასანახავათაც არ მიუკარებია მათი წამალი და დედ-მამას მხოლოთ იმას ეხვეწებოდა: „სისხლი გამართვითო“. უკვირდათ მისი ახირებული ჟინიანობა და აღარ იცოდენ, რა ექნათ. საჭმლის მადა კარგი ჰქონდა ბავშვს, სიცხეც არ ეტყობოდა, მხოლოთ სუსტათ იყო მიგდებული და წამდაუწუმ ოხრავდა. ხანდახან, როცა იმასთან აღარავინ იყო ხოლმე, წამოჯდებოდა და რაღაც შეფერებული ღიმილით ბუტბუტებდა: – „სევდა რამე შემომყრია, სამკურნალო არა მჭირს რაო“.

ნაცნობებმა დრო იშოვნეს, მიდიოდენ ავადმყოფის სანახავათ და მთელი დღით რჩებოდენ, რომ გამწარებული დედა ენუგეშებიათ. სადაც კი გაეგონათ რომელიმე სოფლის ექიმის სახელი, ყველაზე უთითებდენ და არწმუნებდენ: – „ვიცით, რომ ის მოგირჩენსო“; მარჩიელთანაც კი მიასწავლეს. ამასობაში რამდენიმე დღემ გაიარა და დიტოს კი მაინც არა ეტყობოდა რა.

ერთ კვირა საღამოს ერისთვის ცოლი შებძანდა სანახავად და პატარა თინაც თან მოჰყვა. შემოდგა თუ არა ოთახში ფეხი, ავათმყოფმა მოიხედა და გამოცოცხლდა. – „ღმერთმა ნუ მომაკლოს შენი

იმედი და ნუგეში!.. დიდი ოჯახის შვილი ბრძანდები, დიდი ბედნიერი და ფეხიც ბედნიერი გაქვსო: სწორედ შენ ფეხზე მოიხედა და გამომიბრუნდა შვილიო!“ – ეუბნებოდა მასპინძელი სტუმარს და, მართლაც, დიტო წამოდგა ზეზე, ხელ-პირი დაიბანა, ტანთ ჩაიცვა და მარჯვეთაც გაიარ-გამოიარა. მთელი ის საღამო ერთად გაატარეს იმან და პატარა თინამ. ის იყო და ის, – იმ დღიდან იმას აღარა სტკენია რა, მხოლოდ უჩვეულო ახირებულობა კი თანდათან უფრო ეტყობოდა. რა იყო მიზეზი? რა და „ვეფხისტყაოსანი!

დიტო ახალი გადასული იყო მეოთხე კლასში, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ჩაუვარდა ხელში და მისმა მომხიბლავმა შინაარსმა, უფრო ზღაპრულმა მხარემ, ისე გაიტაცა, რომ მეორე დღემდი თავი აღარ აუღია, აღარც ჭამა მოჰგონებია, აღარც სმა და აღარც ძილი. იმ დღიდან თავსა და გულში სულ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები უტრიალებდენ. – ღმერთმა ნუ ჰქნას, თუ ერთ დროს მეც ტარიელი არ გავხდეო! განა მე კი ვერ მოვახერხებ გმირობასო?“ – ამბობდა თავისთვის დიტო. ამ სურვილმა ისე წაიტყუა, რომ ერთ თვეს შემდეგ თავი მართლა ტარიელათ წარმოიდგინა: ულვაშებს იპუწკნიდა, ხმას ძალას ატანდა, სიარულის დროს ფეხს მძიმეთ, დინჯათ ადგამდა და ყოველგვარ თავის ქცევას ტარიელისას უტოლებდა გუნებაში. დარწმუნდა, დარწმუნდა, რომ მართლა ტარიელი იყო! ახლა საჭირო იყო მხოლოთ, რომ სადმე სამეგობროთ შეჰყროდა ავთანდილ-ფრიდონს და ნესტან-დარეჯანიც გამოსჩენოდა. შემთხვევამ ხელი მოუმართა: ერთ დილას, ადრე, როცა გიმნაზიაში მიდიოდა, დაინახა, რომ მეორე მხრით პატარა ქალებიც სასწავლებელში მიდიოდენ. წინა ღამის ნაავდრევი იყო და შუა ქუჩაში ნიაღვარი იდგა. პატარა მოწაფეები გაღმა გასასვლელათ ქვიდან ქვაზე ადგამდენ ფეხს, რომ მშრალათ ევლოთ; ზოგიერთებს უსხლტებოდათ ფეხი, ჩაჰკრავდენ ხოლმე წყალში და მაშინ სხვების სიცილს ბოლო აღარ ჰქონდა, იმათში ერთი პატარა, ათი წლის ლამაზი გოგონა ერია; იმას კი ორივე ფეხები აუსხლტა და ჩავარდა წყალში; ამხანაგებმა სიცილი დაატანეს... მაგრამ პატარა დიტომ კი უცბათ გასტყორცა განზე წიგნებით გატენილი ჩანთა და მიაშურა, წყალი კოჭებამდი თუ შესწვდებოდა, მაგრამ დიტომ მაინც მღელვარე ზღვათ წარმოიდგინა, ჩაწვა შიგ და ხელებსა და ფეხებს აპარტყუნებდა, ვითომ ვცურავო. მაყურებლებს ეგონათ, თუ ისიც წაიქცაო და მოუმატეს სიცილ-ხითხითს; მცურავს მათთვის ყურადღებაც არ მიუქცევია, სულ მუცლის ხოხვით მივიდა წყალში ჩამჯდარ პატარა ქალამდის, მოჰკიდა ხელი და გამოიყვანა გამოღმა, მერე





წიგნები და კალოშები ამოუღო წყლიდან, ურჩია შინისკენვე დაბრუნება და თვითონაც, როგორც მხსნელი და მფარველი, თან გაჰყვა.

პატარა გოგო გამოდგა ერისთვის ქალი – თინა. ერისთვისას გაწუმპული ბავშვი რომ ნახეს და მიზეზიც შეიტყვეს, ქალს ტანისამოსი გამოუცვალეს, დიტოსაც გაუმშრალეს, მადლობა უთხრეს და გაისტუმრეს. ამ დღიდან დაიწყო მათი ნაცნობობა და ხშირათაც ხედავდენ ხოლმე ერთმანეთს. – „ესეც ხომ შენი ნესტან-დარეჯანიო!“ – ფიქრობდა დიტო და სიხარულით თავს ზეცას აჭერდა. თავის აზრი და რწმენა ნელ-ნელა პატარა მეგობარსაც შეატყობინა; წაუკითხა „ვეფხისტყაოსანი“ და იმდენი ეჩიჩინა, რომ გულში ძალაუნებურათ შეჰგვარა ნესტან-დარეჯანობა, იმ სახლშივე მცხოვრებ მესარეცხეს პატარა გოგოსაც ასმათობა აკისრებიეს; გინაზიაშიც დიტომ ერთი ამხანაგი გაიავთანდილა, ფრიდონიც უმცროს კლასში გაიჩინა და გაიმართა პატარა მეგობრებს შუა ნამდვილი ნესტან-ტარიელობა!.. დიტო ისე გატაცებული იყო სურვილით, რომ „ტარიელი დამიძახეთო“ – ეუბნებოდა თავის ახლო მეგობრებს.

ჩიტები რომ ძღვნათ მიიტანა, იმ დღიდან მაინც ეჭვი აღარ ჰქონდა თავის ტარიელობაზე. – „ჩვენი ორივეს თავგადასავალი ერთი და იგივეაო“ – ამბობდა. მოუმატა თავგასულობას და მეზობლებს თავს აბეზრებდა. იმ უბანში, სადაც ცალქალამანიძის ოჯახი იყო, მოსვენება აღარავის ჰქონდა მისგან; კატა არსად გაეცდებოდა: ვისიც უნდა ყოფილიყო, თვალს მოჰკრავდა თუ არა, გამოუდგებოდა, დაიჭერდა, ხან ჰკოცნიდა და ხან კედელს ახლიდა, ვითომდა ტარიელის ვეფხვ-ლომებიაო. პატარა ლეკვებსაც აწვალებდა, დიდ ძაღლებს კი შორიდან ესროდა ხოლმე ქვებს; პატარა ბიჭებს, რომელსაც ის დაიბრიყვებდა, უმიზეზოთ და უწყალოთ ანარცხებდა მიწაზე; დიდებს ერიდებოდა, მაგრამ გულში მაინც ამბობდა: – „ნეტავი ერთი ხელს მომკიდებდენ, რომ ისინი ყირაზე გადვიყვანო, გადავაბრუნო, დაბლა ზურგით მტვერი ვახვეტინო და მაღლა ვარსკვლავები ვათვლევინოვო!..“ ამას დატრაბახებით კი არ ამბობდა, მართლა ეგონა! იჭიმებოდა, იბერებოდა და სწავლაში კი თანდათან იჩუტებოდა.

ამ ხანებში თინამაც აიცრუა გული სწავლაზე. მისმა მასწავლებელმა ქალმა შესჩივლა ერისთვის კნეინას: – „თქვენი ქალი აღარ სწავლობს და ეს სულ დიტოს ბრალიაო: მეტად ხშირად მოდის თქვენსა, თამაშობენ, ცელქობენ და ველარას ასწრებენო“.

კნეინამ იუცხოვა: – „ჩემი ბრალია, რათ მივეცი ნება, რომ ვიღაც ცალქალამანიძის შვილს ჩემ ქალთან ტოლ-ამხანაგობა დაეჭირაო!“

– დაიკრა მუხლებზე ხელი და ბძანა დიტოს დათხოვა. დიტომ რომ გაიგო, მწარე ცრემლები დაღვარა, მაგრამ თავი მაინც მალე ინუგეშა იმით, რომ რადგანაც ტარიელი ვარ, მისი ჭირიც უნდა ვიტვირთო და უბედურება ავიტანოო. დაემორჩილა შავ ბედს და წამდაუწუმ ბუტბუტებდა: – „შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვაო“...

ამასობაში ერთმა-ორმა თვემ გაიარა; მეგობრებს ერთმანეთი აღარ უნახავთ, თუმცა პატარა თინა მის გუვერნანტს ხშირათ დაჰყავდა ხოლმე საღამოობით აქეთ-იქით ბაღებში, უფრო ხშირად კი ვერისაკენ – სასაფლაოზე. მოთმინებიდან გამოსულმა თინამ აცნობა დიტოს: – „თუ არ დაგვიწყებივარ, ვერის სასაფლაოზე გამოდი ხოლმე საღამოობით და, ერთხელაც იქნება, იქ მნახავო“. ეს იყო პირველი წერილი, თინასაგან მინაწერი, თუმცა რუსულათ, მაგრამ მაინც მისი ხელით დაწერილი. კინაღამ გაგიჟდა სიხარულით დიტო! გულზე დაიდვა უსტარი და ზედ სიხარულის ცრემლები დაჰღვარა. წამდაუწუმ საათს დაჩერებოდა: წამი საათათ ეჩვენებოდა და საათი დღეთ. ძლივს მოესწრო საღამოს და გასწია სასაფლაოსკენ. იქ მართლა დაინახა თინა, მისი გუვერნანტი და ერთი ვიღაც უცხო ახალგაზრდა და წინ შეეფეთა, ვითომ უცაბედათ. პატარებს იამათ ერთმანეთის ნახვა. ქალმა უთხრა ბავშვებს: – „თქვენ აქ დარჩით, ითამაშეთ, ჩვენ კი ქვეითკენ წავალთ სასაფლაოს ქვების დასათვალიერებლათო“, – გამოუყარა ხელი მკლავში ახალგაზრდა ვაჟს და გადაუხვიეს განზე, დარჩნენ პატარები მარტო. ერთხანს შეჩერდენ ხმაამოუღებლათ, მერე ხელი მისცეს ერთმანეთს და აკოცეს, დასხდენ იქვე საფლავის ქვაზე და დაიწყეს საუბარი. დიდი ხნის უნახავებს ბევრი ჰქონდათ სათქმელი და ერთმანეთს აღარ აცლიდნენ ლაპარაკს. იმდენი იტიტინეს, რომ დაღამებამ მოატანა და უფროსები კი ჯერ მაინც არსად ჩანდნენ. თინას გულში შიში შეეპარა, გამოუტყდა დიტოს და უთხრა: – „წავიდეთ, ჩვენები მოვძებნოთ, დავუძახოთ!“ – დიტომ მედიდურათ გადააქნია თავი და უსაყვედურა:

„ჰაი, ჰაი, რისა გეშინია? მე აქ არა ვარ?! მთელი ჯოჯოხეთიც გარს რომ მოგვადგეს, მაინც გავუმკლავდები, მოვიგერებ და შენ კი არას გაგიჭირვებო!“

ჯოჯოხეთის ხსენებაზე თინა უფრო შეკრთა და დიტოსაც თვალები გაუდიდდა... ერთი კიდეც მოიხედა უცბათ უკან. პატარა ქალი მაინც არ მოეშვა და დააპირეს წასვლა. წასვლისა და გამოთხოვების





წინეთ ფიცი დასდვეს: „ერთმანეთს არ ვუღალატოთ და ჩვენც ნესტან-დარეჯანსა და ტარიელისავით ჭირი და განსაცდელი ავიტანოთო“.

– ვინც გასტეხს ფიცს, – თქვა დიტომ, – იმას მოხვდეს შიგ გულში ცხელი ტყვიაო!..

ეს რომ თქვეს და გაათავეს, ზედ ბეჭდის დასმაც მოინდომეს და მიიწიეს ერთმანერთთან საკოცნელად, სწორედ ამ დროს საფლავიდან ამოიძახა ვიღაცამ: „ტყვიაო!“ ბავშვები შეკრთენ, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედეს, ვერავინ დაინახეს, იფიქრეს: „მოგვეჩვენაო“, მაგრამ კიდევ გაისმა ხმა სამარიდან სამჯერ ზედიზედ: „ტყვია, ტყვია, ტყვიაო!“ ახლა კი ფერი ეცვალათ პატარა გმირებს. თინას გული შეუწუხდა, დიტო დაფრთხა, იკადრა ტარიელობაზე ხელის აღება, დაავიწყდა მისი ნესტან-დარეჯანი, მიატოვა და მოჰკურცხლა ყვირილით: „გვიშველეთ, მკვდრები გაცოცხლდენო!“ მის ყვირილზე მოიჭრენ სასაფლაოს მცველი, ფრანცუზის ქალი, ახალგაზრდა კაცი და ერთი-ორი კიდევ სხვაც, იქ ახლოს მყოფი, მოასურსუმალეს გულშემოყრილი თინა, დაამშვიდეს დიტო და მერე გამოჰკითხეს: „რა ამბავია, რამ შეგაშინათო“. ბავშვები ხმის კანკალით ძლივს იმეორებდენ: „მკვდარი გაცოცხლდაო“. გაუკვირდათ, სასაფლაოს მცველმა თქვა: „აგერ ორი კვირაა, რაც ეს მკვდარი აქ დამარხეს და ახლა მოაგონდა გაცოცხლებაო?“ ახალგაზრდა კაცმა უპასუხა: „შეიძლება საღათას ძილით იყო შეპყრობილი და ახლა გამოიღვიძაო“, გადააბრუნეს საფლავის ქვა და რა ნახეს? თვალგამოკუსული ბაყაყი წამოცუცქულიყო ქვის ქვეშ და იძახოდა: „ყვიაოო,“ დიდებმა სიცილი აიტეხეს, მაგრამ პატარებს კი ძვირათ დაუჯდათ ეს შემთხვევა: თინას იმ ღამეს სიცხე მისცა, კინაღამ ანთებათ გადაექცა და გათენებამდე აბოდებდა ტარიელს, ლომებს, დიტოს, ბაყაყს და სხვებს. დიტოს, გარდა სირცხვილისა, არა დამართნია რა, მაგრამ ერჩია კი, რომ ავათაც გამხდარიყო და კიდეც მომკვდარიყო, „რაღა ვარ ახლა და რა სახსენებელიიო, ჩემი თავი გმირთაგმირი მეგონა, ტარიელობას ვჩემობდი და ნაცარქექია კი გამოვდექიო!.. რას იტყვის თინა და რაღა პირით შევხედო, რომ მთელი ჯოჯოხეთის მოგერებას ვპირდებოდი და ერთ ბაყაყს კი შევუშინდი, მივატოვე გულშეწუხებული მეგობარი და გავიქეციო!“.. ისეთ მწუხარებაში ჩავარდა, რომ სირცხვილით თავს ველარსად ჰყოფდა. ამ ჭირს ზედ კიდევ უარესიც დაერთო, ავთანდილმა უღალატა და გამოამჟღავნა ტოლ-ამხანაგებში მისი საკუდაბზიკო თავგადასავალი, ამხანაგებმა აიგდეს საცინლათ, აიბუეს და მოსვენებას აღარ აძლევდნენ: – „ბატონ

ტარიელს გაუმარჯოს“, – ეტყოდა ხოლმე ერთი; – „რასა იქმს თქვენი ნესტან-დარეჯანიო?“ – ეკითხებოდა მეორე; – „სულ გაწყვიტე ლომ-ვეფხები, თუ კიდევ დარჩენო?“ – დასცინოდა მესამე. საბრალოს სირცხვილით პირი უშრებოდა, ნერწყვს ველარ ჰყლაპავდა და იყო თავისთვის ჩუმად. ისეთ სინანულში ჩავარდა, რომ აღარ იცოდა, რა ექნა; თავრეტი ესხმოდა, კლასში ტყუილა იჯდა, აღარაფრისა აღარა გაეგებოდა რა... დარჩა იმ წელიწადს მეოთხეშივე; – „მადლობა ღმერთს, – ჰფიქრობდა, – ეს უსიამო ამხანაგები მაინც მომშორდენ და ეგებ მოვისვენოო“. გაუცრუვდა იმედი: ახლებმა უარესი დღე დააყენეს. აუტანელი იყო მისი მდგომარეობა: სახლში შინაურები უჯავრდებოდენ, კლასში ტოლები იგდებდენ სასაცილოთ და მასწავლებლებიც ისე უყურებდენ, როგორც ფუჭსა და გამოუსადეგარ ახალგაზრდას. განიზრახა თავის მოკვლა, მაგრამ ჯერ კიდევ ყოყმანობდა, არ იცოდა, რა გზა აერჩია: ხეზე ჩამოეხრჩო თავი, თუ წყალში გადავარდნილიყო!..

სადაც დიტო სწავლობდა, იმ გიმნაზიაში ერთი ახალგაზრდა ქართველი მასწავლებელი იყო, რომელიც სხვებს არა ჰგავდა. ის მიტომ კი არ მსახურებდა, რომ ჯამაგირი აელო და უფროსების გული მოეგო, – თავის პირდაპირ მოვალეობათ თვლიდა, რომ ნორჩი მოწაფეების გულში კეთილი სურვილები აღეძრა და ახალგაზდობა სწორ გზაზე დაეყენებია. ის ძალიან აკვირდებოდა საბრალო დიტოს ყოფაქცევას და სხვებს რომ აბუებული ჰყავდათ, ის სიამტკბილობით და მამაშვილურად ექცეოდა. დიტო აფასებდა მის ყურადღებას, სულითა და გულით უყვარდა მხოლოდ ის ერთადერთი კაცი და, რომ გადაეხადა რითიმე მისი სიკეთე, მის საგანს საუცხოვოთ სწავლობდა, მაშინ როდესაც სხვებისას ყურადღებასაც აღარ აქცევდა. ბევრჯერ საკმაო იყო ხოლმე იმ მასწავლებლის ერთადერთი ალერსიანი სიტყვა, რომ გაბოროტებული დიტო კარგ გუნებაზე დაეყენებია. ერთ საღამოს დაიბარა სახლში; დიტოც, რასაკვირველია, სიხარულით მივიდა მასთან. მასწავლებელი ისე კი არ დაუხვდა პატარა სტუმარს, როგორც უფროსი უმცროსს, – ამხანაგურათ მიიღო, მოისვა გვერდით და იმდენი ელაპარაკა სხვადასხვა საქმეებზე, რომ სულ დაავიწყდა ბავშვს თავისი ვინაობა. პატარა სტუმარმა წარმოიდგინა, რომ ჩემ ტოლ-მეგობარს ვუზივარ გვერდითო, გაიხსნა ნელ-ნელა გული და თითო კაკალათ უამბო თავისი თავგადასავალი. მასწავლებელი გულდაგულ უსმენდა, ერთხელაც არ მოსვლია ღიმილი მის კუდაბზიკობაზე და, რომ გაათავა თვალცრემლიანმა ბავშვმა თავისი





მწარე ამბავი, ჰკითხა: – „მერე რა არის მანდ სასირცხო და სასინანულო? ძალიან კარგი სურვილები გქონია და კიდევაც ეცადე, რომ შენი განზრახვა შეასრულო! ის ახალგაზდა, რომელსაც ტარიელი არ მოწონს, არ ცდილობს, რომ მას მიჰბაძოს, ჩალათაც არა ღირს და მისგან სახეიროც არა გამოვა რაო, ტარიელ-ავთანდილობა რა დასაძრახისია? შენ მხოლოდ შემცდარხარ, სხვა გზით წასულხარ, თვარა კარგის მეტი არა ჩაგიდენია რაო“. გაოცებულ დიტოს ეგონა, რომ ესეც დამცინისო და მიაჭყიტა თვალები. – „ჩემო პატარა მეგობარო, – განაგრძო მასპინძელმა, – ტარიელ და ავთანდილები ყოველთვის და ყოველგან ყოფილან და არიან კიდეც საჭირო. ის ხალხი, რომელიც ტარიელ-ავთანდილებს ვერ წარმოშობს და ვერ გამოზრდის, ხალხათაც აღარ იხსენება, უბედურია და გაჰქრება დედამიწის ზურგზე; ჩვენს ქვეყანას ღმერთმა აშოროს ეს ხვედრი! ვყოფილვართ და კიდეც უნდა ვიყოთ. ერთი საუკუნე მეორეს აღარა ჰგავს, დრო სხვადასხვა არის და ამიტომაც გმირები თავ-თავის შესაფერი ჰყავთ. ადრინდელი, რუსთაველის დრო, სხვა იყო და ახლანდელი, ჩვენი, კიდევ სულ სხვაა, ერთმანეთს აღარ ჰგვანან ფერშეცვლილობით; მაშინ ფიზიკურ ძალაზე იყო ყველაფერი დამყარებული, მახვილი იარაღით შემოესეოდა ქვეყანას მტერი და თუ დამხვდურათ ტარიელ-ავთანდილები ვერ მიეგებებოდნენ ფარ-ხმალით, რაღა გადაარჩენდა ქვეყანას? მაშინ ვაშკაცობა და მკლავის ძალა საჭირო იყო, – მტაცებლობისა და სისხლის ღვრის დრო იყო; დღეს კი სწავლა-მეცნიერებაზეა ყველაფერი დამოკიდებული, მკლავის ძალა, გრძნობა-გონების ძლიერებათ შეიცვალა, ფარ-ხმალის ადგილი ენამ დაიჭირა და შვილისრისა – საწერ-კალამმა,

– მაშ დღეს ტარიელები აღარ არიან საჭირო? – დაეკითხა ცოტა გულდაწყვეტილი დიტო.

– უფროც! უფროც! – უპასუხა საჩქაროდ მასწავლებელმა, – მართალია, დღეს გარეშე მტრები აღარ გვესევიან, ველარც ქაჯებსა ვხედავთ და ველარც ხატაველებს, მაგრამ ის უგნურება და უმეცრება, რომელიც ჩვენს ხალხს გარს არტყია, იგივე ქაჯები და ხატაველები არ არიან? ქვეყნის ბედნიერება, თავისუფლება, ეს ყოველი ერის „წმიდათაწმიდა“ უგუნურებასა და უმეცრებას რომ ჩაუგდია ხელში, იგივე ნესტან-დარეჯანი არ არის, ქაჯეთის ციხეში ჩამწყვდეული? გამოხსნა უნდა და, თუ ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონები არ გვეყოლებიან, ვინ უნდა გამოიხსნას? დიახ, ჩემო კარგო, როგორც ტარიელი იმ დროს ბურთაობით, ცხენოსნობით და ნადირობით იწრვთნიდა,

იდიდებდა და იმაგრებდა ძალ-ღონეს, სანამ არ დავაშკაცდა, და მერე გამოვიდა ბრძოლის ველზე, ისე თქვენც დღესვე, ამ თავითვე უნდა ავარჯიშოთ ჭკუა-გონება სატარიელოთ. თქვენი სანადირო ტყეველი, თქვენი საბურთაო მოედანი სასწავლებელია, როგორც პატარა ტარიელი იჭერდა და ერეოდა სხვადასხვა მხეცებს, ისე თქვენც უნდა დაიჭიროთ ხოლმე ხელში და სძლიოთ, მოერიოთ სხვადასხვა სამეცნიერო წიგნებს, გაიმტკიცოთ, გაიმაგროთ გრძნობა-გონება და მერე გამოხვიდეთ ქვეყანაში სავარჯიშოთ, საგმიროთ. მაგრამ უნდა გახსოვდეთ კი, რომ, როგორც ტარიელი ვერას გახდა მარტო, სხვების დაუხმარებლად, ისე ვერც არას თქვენ გახდებით. ჩვენი ქვეყნის მზე და მთვარე მარტო ქართლ-კახეთში კი არ ამოდის: მრავალკუთხიანია საქართველო, უნდა გამონახოთ ყოველგან ავთანდილ-ფრიდონები, დაიმეგობროთ და შეთანხმებული სურვილით, შეერთებული ძალით იმოქმედოთ, რომ გამოიხსნათ ნესტან-დარეჯანი, – ის შორეული საიდეალო ნესტან-დარეჯანი უნდა გაახორციელოთ, უმახლობელესი ნესტან-თინათინები ამოეყენოთ ისინიც გვერდში, თქვენგვარი სურვილებითვე გამსჭვალულები, რომ იმათგან წაქეზებულმა უფრო მხნეთ ებრძოლოთ მტერს.

– არიან კი ჩვენში მაგისთანა ქალები? – კიდევ ჰკითხა დიტომ.

– ჯერ არა! ახლა უფრო ფატმანების დროა. ისინი ვერ არჩევენ თავისიანს და სხვისიანს, ხშირად სასიკვდილოთაც იმეტებენ შინაურს, ოღონდ გარეულის გული კი მოიგონ, ისე როგორც ფატმანმა ჩაჩნაგირის განწირვით მოიგო უცხო მოყმის გული. ეს დიდი შეცდომაა, მაგრამ ბრალი არ ედებათ ჩვენს ქალებს: ის დღევანდელი უკუღმართი გაზდის ბრალია! მრუდე გზით მიჰყავთ და თქვენი ვალია, რომ დაუხვდეთ ხოლმე გზაში, შეაჩეროთ და სწორზე გადააxვევიოთ.

– ჩვენ?.. მაშ შეიძლება, რომ პატარა ერისთვის ქალიც გათინათინდეს?

– უეჭველია! ჩვენში, როგორც ერისთვის, ისე ცალქალამანიძის ქალებიც, ყველა ერთგვარად თინათინ-ნესტანებად არიან გაჩენილი, მაგრამ დრო აუკუღმართებთ და აფატმანებთ.

– შეიძლება, ეს ყველაფერი, რაც ბრძანეთ, გადავცე სხვებსაც?

– ერისთვის ქალს?.. რატომ არა, მაგრამ ჯერ კი ნება არა გაქვს. როდესაც შენ თვითონ სწორ, სატარიელო გზაზე დადგები და ბაყაყით შეშინებულ ნაცარქექიას აღარ ეგვანები, მაშინ გადაეცი და ისიც უფრო დაგიჯერებს.





პატარა მოწაფე აღტაცებით ისმენდა მოძღვრის სიტყვებს და ტანში რაღაც უჩვეულო, სანეტარო ჟრუანტელი უვლიდა. მივარდა უცბათ და მოუნდომა თვალცრემლიანმა ხელებზე კოცნა, მაგრამ უფროსმა აღარ აცალა, მიიკრა გულში მტირალი ბავშვი და ტკბილათ მომღიმარი, თავზე უსვამდა ხელს. ამ ერთმა წამმა შესცვალა სამარადისოთ დიტოს ბედი. სასიკვდილოთ თავგადადებული ბავშვი გამობრუნდა, გამოცოცხლდა და გაუსვა სწავლას ხელი. ბევრ ხანს აღარ გაუვლია, რომ დაკარგული პირველობა დაიბრუნა; უკვირდა ყველას და მიზეზი ვერ გაეგოთ; იცოდა მხოლოდ ორმა ამ მიზეზის საიდუმლო – დიტომ და მისმა საყვარელმა მოძღვარმა.

დიტომ ოქროს მედლით გაათავა გიმნაზია და გაიგზავნა უმაღლეს სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯით.

ერისთვის ქალი რაღა იქნა? იმანაც გაათავა საქალებო გიმნაზია, მაგრამ მერეც სწავლისთვის თავი არ დაუნებებია. თავის სამშობლოს დაუდვა გრძნობა-გონება და, რომ მისი ქვეყნის წარსული და მომავალი უკეთ გაეთვალისწინებია, შეისწავლა დედაენა, ისტორია, რამდენიც კი შესაძლო იყო, ლიტერატურა და სხვანი. სულ იმის გამოკვლევაში იყო, თუ რას აკეთებდნენ ჩვენი ძველი დედები, რა ხელსაქნარი იცოდენ და როგორ ცხოვრობდენ, რომ მათი მიბაძვით ახალი დროის შესაფერად ისიც მათ კვალში ჩამდგარიყო. სახელი გაითქვა, გამოუჩდენ საქმროები – ჯინჯილებიანი გვარისშვილები, მაგრამ თინა უარზე იდგა: – „თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობაო“, – ამბობდა გუნებაში და თანვე მოიგონებდა ხოლმე ცალქალამანიძეს : – „მისმან მზემან, უმისოსა არვის მიხვდეს მთვარე მისიო“.

ამბობენ, რომ იქ, უნივერსიტეტში, დიტოს შეუდგენია სატარიელ-საავთანდილო-საფრიდონო წრეო და ყველანი ერთად ემზადებიან, რომ დაბრუნდენ სამშობლოში, გვერდში ამოიყენონ ნესტან-თინათინები, გაებან საერთო უღელში, ერთად გაწიონ ჭაპანი და ოროველაც ასე დასძახონ: გული წმინდა, სული წრფელი და ერთობა-სიყვარულიო.

[1897]

## ნამდვილი ამბავი (II)

ჩემი სახლის აივანში დიდი ხანია მერცხლები ჰბუდობენ და რადგანაც ხელშემშლელი არავინა ჰყავთ, მრავლდებიან. გაზაფხულის პირად რომ ჩვენშივე ცხელი ქვეყნებიდან ბრუნდებიან, ძველები ისევ შარშანდელ ბუდეს უბრუნდებიან და ახალ ბუდეს მხოლოდ შარშანდელი ბარტყები იკეთებენ. ასე მიდის იმათი საქმე წლიდან-წლამდი ხელშეუშლელად. მხოლოდ წელს კი, 1910 წელს, უჩვეულო რამე მოხდა: ერთი ჭივჭავი ჩაეპარა მერცხალს ბუდეში, მოიკალათა და შიგ მერცხალს აღარ უშვებდა... იკორტნებოდა. მეორე დღეს მოჰფრინდა მერცხლის გუნდი, ყველას ტალახი მოჰქონდა პირით, დაუწყეს ბუდეს გალესა, ასე რომ, თუ ჭივჭავი არ გამოფრენილიყო, შიგ ბუდეში გამოიხრჩობოდა... მაგრამ რომ დაინახა, აქ ხუმრობა აღარ არისო, როგორც იქნა, გაასწრო. იმ საღამოსვე გაჩნდა ჭივჭავის გუნდი და დაერია მერცხლებს. შეიქმნა ერთი წივილ-ჭყივილი. ჰაერში მერცხლები სჯობნიდენ, რადგანაც ბრჭყალს გაჰკრავდენ ხოლმე, მაგრამ ბუდეში კი, რაღაი შეასწრობდენ და კორტნაზე მივარდებოდა საქმე, ჭივჭავები იმარჯვებდენ. ზოგან ბუდეებიც კი დაანგრიეს. გამარჯვება ჭივჭავებსა რჩებოდა, მაგრამ მე ჩავერიე გამშველებლად: ჭივჭავები აღარ შემოვუშვი აივანში. დავინახავდი თუ არა შემოფრენილს, მაშინვე გავდევნიდი ხოლმე. სამი დღის განმავლობაში ყოლიფერი მიწყნარდა და ჩადგა თვისვე წეს-წყობილებაში. მეც დიდხანს აღარ დავრჩენილვარ ჩემ სახლში.

მეორედ რომ დავბრუნდი, მერცხლის ბუდეები გამრავლებული დამიხვდა: სადაც ერთი ბუდე იყო, იქ მეორეც ზედ მიეტყუპებიათ მისთანავე და ცალში რომ მერცხალი ბუდობდა, მეორე ცალში ჭივჭავი დაბუდებულიყო. ვინ გაარიგა? ან როგორ მორიგდენ ეს სხვადასხვა გვარის ფრინველები? და ან მერცხლებმა რად გადიხადეს კონტრიბუცია და გაუკეთეს ჭივჭავებს ბუდე?

[1910]



# ვარიანტები
# შენიშვნები
# კომენტარები

## აკაკი წერეთლის მხატვრული პროზა

### ტექსტისთვის

აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემის VI და VII ტომებში იბეჭდება დღემდე გამოვლენილი ყველა პროზაული მხატვრული ტექსტი; წინამდებარე გამოცემაში აკაკის პროზაული ნაწერები დალაგებულია ჟანრობრივ-თემატური პრინციპით (კონსულტანტი — ირ. კენჭოშვილი), რაც, ერთი მხრივ, მკაფიოდ გამოკვეთს აკაკის პროზაული მემკვიდრეობის მრავალფეროვნებას, მეორე მხრივ კი, მომავალში დახმარებას გაუწევს საგანმანათლებლო თუ პოპულარული გამოცემების მომზადების მსურველებს, რომლებიც, ცხადია, სწორედ აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემით იხელმძღვანელებენ.

VI ტომში წარმოდგენილი იქნება საკუთრივ მოთხრობები, მაგრამ რაკი არც ისინია ერთგვაროვანი, შესაძლებლად ვცანით მათი შინაარსობრივი და სტილური მახასიათებლების მიხედვით გამიჯვნა (მოთხრობები, ნოველები, ისტორიული მოთხრობები, საყმაწვილო მოთხრობები). VI ტომში დაბეჭდილი პროზაული თხზულებების ქრონოლოგიური საზღვრებია 1863-1912 წლები. ტექსტების განლაგებისას დაცულია ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპი. ყველა თხზულება შედარებულია ავტოგრაფთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასლთან და მწერლის სიცოცხლისდროინდელ ნაბეჭდ ტექსტთან. ძირითადი ტექსტის დადგენისას, უპირატესობას ვანიჭებდით ავტორის უკანასკნელ ნებას.

ტომს ახლავს შენიშვნები, ვარიანტები, ტექსტოლოგიური და ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარები, აგრეთვე პირთა, გეოგრაფიულ სახელთა, თხზულებათა ანბანური და შექმნის თარიღის მიხედვით გაწყობილი საძიებლები.

ტომი ეფუძნება მწერლის სიცოცხლისდროინდელ ყველა გამოცემასა და პუბლიკაციას, მათ შორის „აკაკის თვიურ კრებულს“ (1897, 1898, 1899 წწ.), „ჩემი ნაწერების“ 1912 წ. I წიგნს. ასევე, თავად ავტორის მიერ განხორციელებულ ცალკეულ გამოცემებსა და იოსებ მერკვილაძის წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს მიერ დაბეჭდილ პოეტის ნაწერებს. გაზეთებში (*„ივერია“, „კვალი“, „დროება“, „თემი“*), ჟურნალებსა (*„ცისკარი“, „კრებული“, „ნაკადული“, „ნობათი“, „ჯეჯილი“, „ხუმარა“, „თეატრი და ცხოვრება“, „ეშმაკის მახე“*) და კრებულებში (*მიხ. თუმანიშვილის შედგენილი „ალმანახი“, „საყმაწვილო ამბები“, „გადია“*) გამოქვეყნებულ ტექსტებს. წინამდებარე ტომში შედის აგრეთვე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცული ავტოგრაფები თუ ხელნაწერი ასლები.

ტომის სამეცნიერო აპარატის მომზადებისას ძირითადად დავეყრდენით აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის (თხუთმეტ ტომად, რედ. გ. აბზიანიძე)VII და VIII (თბ.,1958) ტომებს, აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის (შვიდ ტომად) IV ტომს (რედ. იოსებ გრიშაშვილი, თბ., 1947), ნ. გურგენიძისა და ი. გორგაძის „აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეს“ (თბ., 1989). ასევე, გამოვიყენეთ ცალკეულ მეცნიერთა ნაშრომები (ინფორმაციას ვუთითებთ შესაბამის ადგილას) და ინტერნეტრესურსი, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული გვერდი - ბიოგრაფიული ლექსიკონი. ისტორიული თხზულებების კომენტირებისათვის კი ძირითადად ვისარგებლეთ მიხეილ რეხვიაშვილის ნაშრომით „იმერეთის სამეფო (1462-1819 წწ.)“, თსუ., 1989.

**ახალი აკადემიური გამოცემა წინა გამოცემებისაგან არაერთი სიახლით გამოირჩევა:** წინამდებარე ტომში **ორი პროზაული თხზულება („დათუნა გოცირიძე (II)“ და „ის“) გადმოტანილია ძირითად ნაწილში;** „დათუნა გოცირიძე (II)“ აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის (თხუთმეტ ტომად) VIII ტომის შემდგენლებმა რედაქციულ-ვარიანტულ სხვაობად ჩათვალეს და დაბეჭდეს შენიშვნებში. ჩვენ გავიზიარეთ მკვლევარ ლ. ბრეგაძის დაკვირვება (იხ.: ლ. ბრეგაძე. ორი დათუნა გოცირიძე. „ლიტერატურული გაზეთი“, 15-18/X.2010) და ორივე თხზულება, როგორც სრულიად დამოუკიდებელი ორი ნაწარმოები, ტომის შესაბამის ნაწილში წარმოვადგინეთ. ხოლო მოთხრობა „ის“, რომელიც დღემდე დაუმთავრებელ ქმნილებად ითვლებოდა და ამის გამო იბეჭდებოდა დამატებაში, ჩვენ დასრულებულ ნაწარმოებად მივიჩნიეთ და ძირითად ნაწილში გადმოვიტანეთ. თხზულება ერთადერთი ხელნაწერითაა ჩვენამდე მოღწეული. ესაა ე.წ. „თეთრი“ ავტოგრაფი, რადგან მასში ძალზე მცირე სწორებაა – რეალურად მხოლოდ ერთი ფრაგმენტია ამოღებული. ამ უკანასკნელის დატოვების შემთხვევაში მოთხრობა ნამდვილად დაუმთავრებელია, რადგან გაუხსნელი რჩება ის სიუჟეტური კვანძი, რომელიც სწორედ ამ წაშლილ ეპიზოდში იკვრება (ამის შესახებ იხ.: შენიშვნები). როგორც ჩანს, აკაკიმ ჩათვალა, რომ მოთხრობის ე. წ. მოკლე ვერსიაც შესანიშნავად გამოხატავდა სათქმელს და მოვლენათა უფრო დაწვრილებით გადმოცემა არათუ აღარაფერს შესძენდა, ბევრსაც დააკლებდა თხზულებას (ცნობილია, რომ აკაკი თავის თანამედროვე ლიტერატორებს ყოველთვის საყვედურობდა, დროზე წერტილის დასმა არ იცითო). ამდენად, ეს მოთხრობა, რომელიც ერთგვარად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, კუთვნილ ადგილს იკავებს აკაკის მხატვრული პროზის სხვა ნიმუშების გვერდით ტომის ძირითად ნაწილში.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, წინამდებარე გამოცემა იმითაც განსხვავდება წინა გამოცემებისაგან, რომ მასში, ავტოგრაფებსა და მწერლის სიცოცხლისდროინდელ უკანასკნელ პუბლიკაციებზე დაყრდნობით, **დაბეჭდილია წინა გამოცემებში გამორჩენილი ან ამა თუ იმ მიზეზით განზრახ გამოტოვებული ტექსტების ფრაგმენტები** (მაგ.: „წმ. გიორგის რაზმის“ შესავალი ნაწილი); **შეიცვალა რამდენიმე ტექსტის თარიღი.** ზოგი თხზულება (მაგ.: „ეშმაკები“, „კრიჭ და ხრიშ“, „ნამდვილი ამბავი“ (II), „წმინდა გიორგს რაზმი“, „რაჭის ერისთავი როსტომ“) დღემდე თარიღდებოდა პირველი პუბლიკაციის მიხედვით, ზოგი კი საერთოდ დაუთარიღებელი იყო (მაგ.: „ის“). წინამდებარე გამოცემაში შევეცადეთ სათანადო კვლევის საფუძველზე დაგვეზუსტებინა ამ მოთხრობების შექმნის თარიღები (იხ.: დასახელებული ტექსტების შენიშვნები და კომენტარები); შესაბამისი სამუშაოს ჩატარების კვალობაზე **შეიცვალა ორი ტექსტის ძირითადი წყარო** („ბაში-აჩუკი“ და „წმინდა გიორგის რაზმი“ - იხ: კომენტარებში ნ. ჩიტაურის დასაბუთება წყაროს შეცვლის თაობაზე), **გამოვლინდა** მოთხრობის **„სოფელ ალის აოხრება“** ნაკლული **ავტოგრაფი.**

**უარყოფილია აკაკი წერეთლის თხზულებათა სრულ კრებულში (თხუთმეტ ტომად) გატარებული ე.წ. ფორმათა უნიფიკაციის პრინციპი** და ზედმიწევნითაა აღდგენილი აკაკისეული ორთოგრაფია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ე. წ. კალმისმიერ ან სტამბურ შეცდომასთან გვაქვს საქმე. თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით არის გამართული მხოლოდ პუნქტუაცია და კომპოზიტების მართლწერა (მცირე გამონაკლისით).

თხზულებების უმეტესობა არაა დათარიღებული ავტორის მიერ, ამიტომ პუბლიკაციის და/ან კვლევა-ძიებით დადგენილ თარიღს ვუთითებთ კვადრატულ ფრჩხილებში.

ტომის სამეცნიერო აპარატი მოამზადა *ნანა ფრუიძემ.* თხზულებების ტექსტების შედარებასა და ვარიანტულ ნაირწაკითხვათა დაზუსტებაზე მუშაობდნენ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები *ნანა ფრუიძე* და *ნათელა ჩიტაური* („ბაში-აჩუკი“ და „წმინდა გიორგის რაზმი“). ასევე, სხვადასხვა ეტაპზე გარკვეული დროით მუშაობაში ერთვებოდნენ თსუ მაგისტრატურის ლიტერატურის თეორიისა და ლიტერატურათმცოდნეობის განყოფილების სტუდენტები: *თ. აბრამიშვილი, მ. გიორგაშვილი, ნ. დადუნაშვილი, ს. კუპრაშვილი, გ. ლეთოდიანი, ა. ფედოროვი, მ. ყოჩიშვილი, ბ. ყულიაშვილი და ა. წერედიანი.*

**ნანა ფრუიძე**

**ჩანართზე წარმოდგენილია აკაკის სურათი, რომელიც ინახება გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის იკონოგრაფიის განყოფილებაში და ავტოგრაფი მოთხრობისა „ის“, რომელიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკის ფონდში – № 230.**

### პირობითი ნიშნებისთვის:

განყოფილებაში „ვარიანტები და შენიშვნები“ მოთხრობების სათაურების შემდეგ დასახელებულია წყაროები, რომელთა მიხედვითაც მომზადდა ჩვენი გამოცემის ძირითადი ტექსტი. თითოეულ წყაროს მრგვალ ფრჩხილებში მიწერილი აქვს ლიტერი, რომლითაც ის აღნიშნულია ვარიანტების ჩვენებისას:

**K** ლიტერით აღნიშნულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული აკაკი წერეთლის ფონდი.

**T** ლიტერით აღნიშნულია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცული აკაკის წერეთლის ფონდი.

A ლიტერი ყველგან აღნიშნავს იმ წყაროს, რომლის ტექსტიც ძირითად ტექსტადაა მიღებული.

ვარიანტულ ნაირწაკითხვათა ჩვენება უფრო კომპაქტური რომ ყოფილიყო, გამოვიყენეთ შემდეგი პირობითი ნიშნები:

+ ტექსტს ემატება, მაგ.: უსმინე + და გაუმარჯვე BC. ნიშნავს: BC ვარიანტში „უსმინე“-ს ემატება „და გაუმარჯვე“.

] ნაცვლად, მაგ.: დიახ] რასაკვირველია B. ნიშნავს: ჩვენს გამოცემაში დაბეჭდილი „დიახ“-ის ნაცვლად B ვარიანტში იკითხება: „რასაკვირველია“.

< არ არის, მაგ.: შესახედავი < C. ნიშნავს: „შესახედავი“ არ არის C ვარიანტში.

~ სიტყვები გადასმულია, მაგ.: პატივს სცემდენ ~ BC. ნიშნავს: BC ვარიანტებში იკითხება: სცემდენ პატივს.

ვარიანტული ნაირწაკითხვების ჩვენებისას პირველი ციფრით (მუქი შრიფტი) აღნიშნულია გვერდი, მეორით (ბაცი შრიფტი) – სტრიქონი (ზემოდან).

ტექსტი გამყოფი ცარიელი არეები სათვალავში არ შედის.

მაგ.: **78**.12 აღნიშნავს: ტექსტის 78-ე გვერდს,ხოლო მძიმის მომდევნო 12 – სტრიქონს ზევიდან ქვევით. როცა ციფრი წერტილის გარეშეა, იგი აღნიშნავს უკანასკნელად დასახელებული გვერდის სტრიქონს.



## მოთხრობები

### ეშმაკები (გვ. 7)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. „ცისკარი“, 1868, №7.
ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ნამდვილი მოთხრობა.
თ ა რ ი ღ ი: [1863-1865]
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: თ. აკ. წერეთელი.

„ეშმაკები“ აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის (თხუთმეტ ტომად) გამომცემლებმა პირველი პუბლიკაციის მიხედვით დაათარიღეს. აღნიშნული თხზულება აკაკის პირველი მოთხრობაა. მისი ავტოგრაფი არ არსებობს. სავარაუდოდ, იგი დაბეჭდვამდე გაცილებით ადრე უნდა იყოს დაწერილი. ალ. აბაშელმა და ს. გორგაძემ აკაკი წერეთლის „ეშმაკებს“ ფართო თარიღი - 1865-1868 - მისცეს, როდესაც მწერლის „რჩეული ნაწერები“ (ოთხ ტომად) გამოსცეს: „მოთხრობას თარიღი არ უზის, მაგრამ რადგან იქ აღწერილი ამბავი, როგორც შინაარსიდან ჩანს, რუსეთში გლეხთა განთავისუფლებიდან 4 წლის შემდეგ მომხდარა, ე.ი. 1865 წელს, და რადგან, მეორე მხრით, მოთხრობა გამოქვეყნებულია 1868 წლის ივლისში, ამისდა მიხედვით ჩვენც ამ მოთხრობას, პირობითად, ამ ორი რიცხვით ვათარიღებთ“ (აკაკი წერეთლის რჩეული ნაწერები ოთხ ტომად, ტ.I, თბ., 1925, გვ. 338). მეცნიერთა პოზიცია გასაზიარებლად მიგვაჩნია, თუმცა, თუკი მოთხრობის დასათარიღებლად ტექსტს დავეყრდნობით, შესაძლებელია თხზულების შექმნის დრო რამდენადმე უკან გადავწიოთ: მთხრობელი ზაფხულს პეტერბურგის მახლობლად მდებარე აგარაკზე ატარებს. იგი სამხრეთული წარმოშობის ჭაბუკია, რომელსაც მიზეზთა გამო, ჯერ დაოჯახება ვერ მოუსწრია. 1863 წლის ზაფხული აკაკიმ პეტერბურგში გაატარა. ის მხოლოდ წლის დამლევს გადავიდა მოსკოვში, სადაც სულ მალე იქორწინა კიდეც ნატალია ბაზილევსკაიაზე. ვფიქრობთ, გამორიცხული არ არის, აკაკის მოთხრობაზე მუშაობა 1863 წლის ზაფხულში დაეწყო და 1865 წელს დაესრულებინა. პირველი პუბლიკაციის თარიღი ამ შემთხვევაში ანგარიშგასაწევი, შესაძლოა, არც იყოს, რადგან სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისში აკაკი ამა თუ იმ მიზეზით ხშირად აყოვნებდა ხოლმე ტექსტის გამოქვეყნებას, მაგ.: ლექსი „გაბრწყინდი ჩემო კანდელო“ დაიწერა 1856 წელს, მაგრამ „დროებაში“ დაიბეჭდა 1876 წელს; ლექსი „პოეტის გული“ დაიწერა 1865 წელს, ჟ. „ივერიაში“ დაიბეჭდა 1881 წელს; „სცენა საპატიმროში“ დაბეჭდვამდე (1872) ხუთი წლით ადრე, 1867 წელსაა დაწერილი და ა. შ. ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, „ეშმაკებიც“ 1868 წლამდე ბევრად ადრე, კერძოდ კი 1863-1865 წლებში იყოს დაწერილი.

**7**.7 **„სოფელი პარგოლოვო თვრამეტის ვერსტით ჰშორავს სატახტო ქალაქს...”** – იგულისხმება პეტერბურგის მახლობლად მდებარე სოფელი, რომელიც გრაფ შუვალოვების საკუთრება იყო. დასახლებას ამშვენებს პატარა ტბორებთან გაშენებული პარკი, რომელსაც დღემდე შუვალოვების პარკს უწოდებენ. პარგოლოვო XIX საუკუნეში პოპულარული სააგარაკო ადგილი იყო, სადაც ხშირად ისვენებდნენ ი. ს. ტურგენევი, ნ. ა. ნეკრასოვი, ი. ე. რეპინი, დ. ნ. მამინ-სიბირიაკი და სხვები. სააგარაკოდ პარგოლოვოს ხსენებით ავტორი მკითხველს პერსონაჟის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას აწვდის.

**7**.5 თითქმის] თჳითქმის. 9 შემთვისებელი] შემჳისებელი. 14 თვითონ] თჳთონ. 33 სიმთვრალე] სიფრთხილე. 35 რაღასი]რაღაში.

**8**.3 იპოვება] იპოება. 5 დამამოწმა] დამამაწმა. 8 ვთვრები] ვთრები. 17 მას] მის. 33 თვითონ ] თჳითონ.

**9**.3 ტანისამოსს] ტანისამოს. 7 მიბოძეთ] მიბოძე. 9 მოიშვლიპეს] მოიშლიპეს. 25 რაც] რაღაც.

**10**.3 გამოყარეს]გამოყარა. 5 ბევრჯერ] ბევჯერ.

**11**.9 საბურთაოდ] საბურთოთ. 19 გამორბოდა] გარბოდა. 20 ცემი] ჩემი. ბუთიო] ბურთიო. 23 კინაღამ] კინეღამ. 32 აღალ] აღარ. 34 ფოთოხალი] ფორთოხალი.

**12**.9 კეკლუცმა] კელკუცმა. 18 ცოტა არ იყოს] ცოტა, ცოტა არ იყო. 22 ალალბედზე]ალალაბედზე.

**13**.19 შემხვდა] შეგხვდა. 22 ემგვანება] ეგვანება. 25 პარგოლოვოში] პორგოლოვოში. 28 მყავს] მყავ.

**14**.3 რამ] რა. 13 ჩამათვალიერა] დამათვალიერა. 17 ესეც] ესიც. 21 მათ] მის.

**16**.3 ჰქონდა + კარებს. 19 თვითონ] თჳთონ 21 მათთვის] მაჳვის. 29 ივანოვნასი] ივანოვისა. 32 თქვენზეც ]თქუჱნზეც. თქვენც] თქუჱნც. 17 თქვენ] თქუენ. 25 იყო] იყვნენ.

**18**.3 ტანცაობამ] ტანცობამ. 34 ბალში] ბალში.

**19**.14 სხვა] სხუა 20 მაქვს] მაქუს. 23 ცისებურის] ცისუბრის.

**20**.4 ძალუმნად] ძალონათ. 5 სადღაც] რაღაც.

**21**.4 ალალბედზედ]ალალ ბედზედ. 6 დაგიშავებთ] დაშავებისა.

**22**.9 თქვენთვის] შენთვის. 22 საუკუნოდ] საუკუნით. 25 ივანოვნა] ივანოვნამ. 31 ორჯერ] ორჯელ.

**23**.7 თუნდ] მანდ. ეშმაკიც] ეშმაკები. 11 შემომფიცო] შემოგფიცო. 12 ჩამოგკიდო] ჩამოგჰკიდო. 19 სიკვდილი] სიყვარული. 29 აქ] იქ. 30 საძირკველზე] სარძიკველზე. 34 მთვრალს] მთრალს.

**24**.1 ქვეყანაში და + იმის შემწეობით. 5 სცემდენ, ვითომც არც-კი იცნობდენ, და ჩუმათ კი მთელ] სცემდენ რადგანაც ვითომც ვისაც კი იცნობდენ და ჩუმათ მთელ. 6 ვიღაც] ვინღაც. 15 შემომკვდომოდა] შემომაკვდებოდა.



**საუბარი ორთა შუა (გვ. 25 )**

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. „კრებული“, 1872, №6.
თ ა რ ი ღ ი: [1872]
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: თ. აკ. წერეთელი.
მოთხრობა თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

**26**.22 **ტემლაკი** - ხმლის ვადაზე გამობმული ფოჩიანი მარყუჟი იარაღის ხმარებისას მაჯაზე წამოსაცმელად (რუსეთის არმიაში ზოგჯერ გარკვეული წარჩინების აღმნიშვნელი იყო).

**33**.14 **მურმან ყრუ** - მურვან იბნ მუჰამედ იბნ მურვანი, მურვან ყრუ ან მურვან II (688-750) – ომაინიანთა დინასტიის უკანასკნელი ხალიფა. მურვან ყრუმ საქართველოში ილაშქრა 735-737წლებში; არაბთა მიერ ქვეყნის დაპყრობა-დამორჩილების პროცესი თითქმის მთელი საუკუნე გაგრძელდა. ამ პროცესის დასასრულად და ქართლში არაბთა ბატონობის დამკვიდრების თარიღად სწორედ მურვან ყრუს შემოსევას მიიჩნევენ.

**33**.15**„მოწამეთას რომ წმინდანები არიან, მოგახსენებენ, მათგან ნაწამებიაო“** – იგულისხმებიან დავით და კონსტანტინე მხეიძეები, ძველი ქართული წყაროებით, არგვეთის (ზემო იმერეთი) მთავრები VIII საუკუნის I ნახევარში.

**27**.4 მიბრუნდა]მობრუნდა. 37 არ < .

**28**.5 დამიძინია] დამეძინა. 9 ვინმემ]ვინმე. 13 ვინმემ]ვინმე. 25 თვალები + და. 26 მნებდებოდა] მმნებდებოდა. 27 წარმომედგინა] წამომედგინა. 36 ბეჯითია]ბეჯითი. დაიბადება]დაიბადა.

**29**.15 შე] შენ. 25 მერზავცო] მერიალო. 26 ეგეები] ეგები.

**30**.27 მუსაიფის] მუსაიფს.

**31**.17 მოგახსენებენ] მოგახსენებ. 27 სხვებრ] სხვები.

**32**.5 სიამოვნებით] სიამოვნების. 33 ამდენი] ამადენი. 34 გაუშალა] დაუშალა.

**33**.1 ამოვა] ამავე.

**33**.7 ფიქრები] ფაქტები. 10 ძერა რომ] ძერა ხომ. 13 ეჩვენებაო] ეჩვენებოდა.

**34**.9 ამხანაგს] ამხანაკს.

**ახმედ-ფაშა კახაბერი (გვ. 35)**

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი. ასლი: K-74, 94v-101r (B).
ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1872, №29 (A).
თ ა რ ი ღ ი: [1872]
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკ. (A).

მოთხრობა თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

მოთხრობა წარმოადგენს „მამათა“ და „შვილთა“ შორის გამართული პაექრობის გამოძახილს.

**35.1 ახმედ-ფაშა კახაბერი -** ავტორი გულისხმობს გრიგოლ ორბელიანს. ამ სატირულ თხზულებაში ჩართულ ლექსში „ფარშავანგი“ დაშიფრული „დათვი ორ-ბელიანიც“ აგრეთვე გრიგოლ ორბელიანია. ამ საკითხის შესახებ დაწვრილებითი კომენტარები იხ.: წერეთელი, აკ., ტხზულებათა სრული კრებული (ოც ტომდ), ტ. 1, თბ., 2010, გვ. 399-405.

**35.4 „ამ ორმოცის წლის წინეთ, მცირე მიზეზის გამო, ის მოაშორეს თავის სამშობლოს და უცხო ქვეყანაში გაგზავნეს“** — იგულისხმება 1832 წლის შეთქმულება. გრიგოლი, როგორც მეშვიდე კატეგორიის დამნაშავე, „კავკასიის ხაზზე“ მოქმედ ჯარში გაიგზავნა.

**35.9 „ახალმა სულთანმა სხვადასხვა ცვლილებები შემოიღო ამ ქვეყანაში, ახალთაობა აღტაცებით მიეგება იმ ცვლილებებს“** – იგულისხმება 1861 წლის მანიფესტი გლეხთა გათავისუფლების შესახებ.

**35.18 „იმას ხომ ვერ იტყოდა, თუ ამისთვის ვსდევენი ახალთაობასო, და მიზეზები გამოიგონა...“** – იგულისხმება გრ. ორბელიანის ლექსში – „პასუხი შვილთა“ – ჩამოყალიბებული ბრალდებები.

**36.11 ისკანდერ-ბეგი** - იგულისხმება ალ. ორბელიანი.

**37.3 „მაგრამ როდესაც წაიკითხეს მისი ბეზღებითი ეფისტოლე ახალგაზდობისადმი...“** — იგულისხმება გრ. ორბელიანის მიერ 1872 წელს ილია ჭავჭავაძის ეპიგრამების პასუხად შექმნილი ლექსი, რომელიც დღეს „პასუხი შვილთას“ პირველი ვარიანტის სახელითაა ცნობილი.

**37.6 „ამბობენ, ერთმა ახალგაზდათაგანმა დაუწერა კახა-ბერს საკადრისი პასუხიო“** — სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს ილია ჭავჭავაძის „პასუხის“ პასუხი“.

„ახმედ-ფაშა კახაბერი“ აჭარაშია დაწერილი. ამ დროს აკაკი მართლაც იქაა, საზღვრისპირა რაიონებში ტრიალებს. სტატია დაიბეჭდა ივლისში. ივნისში აკაკი ოზურგეთშია გრ. გურიელთან; ივლისშივე გამოაქვეყნა ფელეტონი „ფოთი“.

საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში ქართველი ინტელიგენცია ძალისხმევას არ იშურებდა, რათა ე.წ. „ოსმალოს საქართველოს“ მკვიდრთა განწყობა შეესწავლა და მათი მხარდაჭერა მოეპოვებინა. „თქვენ, შესაძლებელია, არ იცოდეთ, რომ ოსმალოს საქართველოს თქვენზე აქვს სასოება და ცისქვეშეთში არავის შესცქერის თავის იმედათ! გახსოვდეთ თქვენი ძმები!“ – მიმართავდა 1870 წელს „დროება“ თავის მკითხველებს. გაზეთის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა აჭარის ისტორიის, კულტურის, ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების, ზეპირგადმოცემებისა და ა. შ. ამსახველი მასალა. „დროება“ განსაკუთრებით გააქტიურდა აჭარის წინააღმდეგობის მოძრაობის გაძლიერების კვალობაზე, რის გამოც ამ გაზეთისა და საერთოდ ქართული წიგნების შეტანა აიკრძალა რეგიონში. რასაკვირველია, ქართული მხარე არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ საგაზეთო პუბლიკაციების ბეჭდვით. 1870 წელს აჭარაში ჩავიდა ივ. კერესელიძე; 1873 წელს რეგიონში იმოგზაურა დიმ. ბაქრაძემ თითქოსდა არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის მიზნით; 1874 წელს გრ. გურიელმა და გ. ყაზბეგმა მოიარეს აჭარა-შავშეთი ხიმშიაშვილებთან სისხლისმიერი კავშირის საბაბით. სინამდვილეში, ცხადია, ეს იყო სამხედრო-სტრატეგიული დაზვერვა. აკაკი წერეთელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ოსმალოს ქართველების გადმობირების საქმეში, რასაც მისი პირადი წერილებიც ადასტურებს. მან რამდენჯერმე არალეგალურად გადაკვეთა საზღვარი, რათა წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერებს შეხვედროდა.

**35**.1 + ფელეტონი AB. 2 (ნეკროლოგი)] (ნეკროლოღი) AB. 3 დივანის] მდივანის B. 4 ახმედ-ფაშა] ახმეთ-ფაშა A.30 ბევრი ყმაწვილი კაცი]ბევრმა ყმაწვილმა კაცმა. 32-34 ავტორის შენიშვნა < B.
**36**.18 მათი]მისი.
**37**.10 ახალგაზდამ] ახალგაზრდებმა AB. 12 იქ] აქ B. ერთმანეთში] ერთმანერთში B. 19 ნურაფერს] ნურას B.

### პატრიოტის აღსარება (გვ. 39)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი. ასლი: K-74, გვ. 205v-212r (B).
ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1875, №4 (A).
თ ა რ ი ღ ი: [1875] < B.
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი (A).

მოთხრობა თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

* *

აკაკის ეს ფელეტონიც „თაობათა ბრძოლის“ სახელით ცნობილი დაპირისპირების გამოძახილია. „ძველისა და ახალი თაობის ბრძოლის დროს, მეც ახალთაობის სახელით დავწერე „ღენერალი ხარაბუზა“ და გაიმართა უცენზურო მწერლობა, უცენზურო მიტომ, რომ დიდკაცებს ეხებოდა. აი ეს ალეგორიებიც: „პატრიოტის აღსარება“ (ვითომ ძველების მხრივ), „კოლობუზების პასუხი“ და „დათვი ორ-ბელიანი“ მაშინ დაიწერა“, – წერდა აკაკი (დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ.: ჩვენი კომენტარი წინამდებარე გამოცემის ტ. 1, გვ. 403-404).

**39.9 „ცხელ-ცხელი პურები, ცივი ღვინო, აქა-იქ ახირებულად, მიყრილ-მოყრილი მწვანილი, ახალი თევზი, მოთალი, ზედ ტარხუნით თავწახურული...“** – აკაკი ახსენებს მკითხველს გრ. ორბელიანის ლექსს „იარალის“.

**40**.17 **„...ბზუილით, კოღო-ბუზებო“** — ასე მოიხსენია გრიგოლმა ახალთაობის წარმომადგენლები „პასუხი შვილთას“ პირველ ვარიანტში.

**42**.13-14 **„ზღაპრად თქმულა, რომ დიდ ლომს კოღო არ შეუშინდა“** – იგულისხმება ი. კრილოვის არაკი „ლომი და კოღო“, რომელიც აკაკიმ შესანიშნავად გადმოაქართულა. დედნის მორალია შემდეგი სიტყვები: „Бессильному не смейся  и слабого обидеть не моги!“, აკაკიმ კი თავის ვერსიას განსხვავებული ჟღერადობა მიანიჭა.

**39**.1 ფელეტონი AB. 39,11 ზედ] ზე AB. 13 გამოიყურება + რომ A. 16 დაგაწვეო] დაგაწვევო B. 35 გამოსდგომიაო] გამოდგომია B. 36 უდროვოთ] უდროვოდ B.

**40**.6 გაქცევია] გაჰქცევია B. 7 რა] არ B. 16 რაღას] და რაღას A. 18 იქააქ] აქა-იქ B. 22 მომიტანეთ] მომიტანე B.

**ძველი ჩინოვნიკის აღსარება (გვ. 43)**

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი. ასლი: K- 75, გვ. 51r-59v (B).
ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1875, №116 (A).
თ ა რ ი ღ ი: [1875].
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი (A).
მოთხრობა თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

„ძველი ჩინოვნიკის აღსარება“ მჭიდრო შინაარსობრივ ნათესაობას ავლენს აკაკის დაუმთავრებელ რომანთან „იმერლები“. გადაჭრით ძნელია თქმა, რომელი ტექსტი შეიქმნა პირველად; თუმცა ის გარემოება, რომ ავტორმა აღარ გააგრძელა რომანზე მუშაობა, ვფიქრობთ, იმითაა განპირობებული, რომ მოკლე მოთხრობამ არათუ კარგად დაიტია, არამედ გაცილებით რელიეფურადაც გამოკვეთა სათქმელი.

**43**.4 **სმარაგდოვი სერგეი ნიკოლოზის ძე** (გარდ.  1871) – მწერალი, დერპტის უნივერსიტეტის აღზრდილი; სხვადასხვა უნივერსიტეტში ასწავლიდა ისტორიასა და გეოგრაფიას; მან შექმნა ისტორიის რამდენიმე სახელმძღვანელო, კერძოდ: „სახელმძღვანელო საშუალო საფეხურის სასწავლებლებში ძველი ისტორიის სწავლებისათვის“ (1840); „სახელმძღვანელო შუა საუკუნეების ისტორიის სწავლებისათვის“ (1841); „სახელმძღვანელო ახალი ისტორიის სწავლებისათვის“ (1844); „მსოფლიო ისტორიის მოკლე მონახაზი დაწყებითი სკოლებისათვის“ (1845) და ა. შ.

**43**.5 **კუზნეცოვი სტეფანე კირის ძე** (1845-1913) – რუსი ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი; რუსული ისტორიული გეოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.



**43**.5 **ვოსტოკოვი ალექსანდრე ქრისტეფორის ძე** (1781-1864) – ნამდვილი სახელია **ალექსანდრე-ვოლდემარ ოსტენეკი;** ბალტიისპირულ-გერმანული წარმომავლობის რუსი ფილოლოგი, პოეტი, რუსეთის აკადემიის წევრი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა ალ. ვოსტოკოვის ნაშრომებს: „განსჯა სლავური ენის შესახებ, შესავალი ნაწილი ამავე ენაზე არსებული უძველესი წერილობითი ძეგლების მიხედვით შედგენილი გრამატიკისათვის“ (1820), „თანამედროვე რუსული ენის გრამატიკის სრულ კურსსა“ და „თანამედროვე რუსული ენის მოკლე კურსს“ (1831).

**45**.36 **„ამ თხუთმეტი-ოცი წლის წინეთ გაჩნდნენ ჩვენში წვეროსნები“** – იგულისხმებიან ე. წ. ახალთაობის წარმომადგენლები, რომელთაც ზოგჯერ „წვეროსნებად“ მოხსენიებდნენ ხოლმე. ჩინოვნიკებს ეკრძალებოდათ წვერის ტარება, ამდენად, წვერი ერთგვარად თავისუფალ აზროვნებასთან ასოცირდებოდა (დაწვრილებით იხ.: კომენტარი მოთხრობისა „როგორ გადაჰყვა თავადი გოჯასპირ თავის ულვაშებს“).

**43**.6 თავიდან] თავიდამ B. 13 გაგზავნ] გაგზან B. 24 უმცროსზედ] უნცროსზე B. 25 ჩემ] ჩემს B. 26 ხელქვევითთან] ხელქვეითთანB.

**44**.2 ორჯერ] ორჯელ B. 17 კანცელარიაში] კანცელიარიაში B. 21 მწყრები] მწყერები B.

**45**.17 საექიმო] სააქიმო B. 26 ვაშა] ვაშე B. 28 ჩემ] ჩემს B. 36 ოცი] ოცისB.

**46**.17 ჩვენგანმა] ჩვენთაგანმა B. 30 ვშოულობთ] ვშოვნულობთ AB. 34 სახსენებლათ] სახსენებელად B. 21 1875 წ. < B.

**კრიჭ და ხრიშ (გვ. 47)**

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ალმანახი, შედგენილი გ. თუმანიშვილისაგან. 1879, გვ. 161-178.
ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: დალაქის თავგადასავალი.
თ ა რ ი ღ ი: [1875-1879].
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.
დათარიღებასთან დაკავშირებით იხ.: შენიშვნა.

**49.20 ჰაჯი-მურად -** ჰაჯი-მურატ ხუნძახელი (1816-1852) – ავარიელი ბელადი და მხედართმთავარი,  იმამ შამილის ნაიბი. ლევ ტოლსტოის ამავე სახელწოდების რომანის გმირი. კავკასიის ომების ერთ-ერთი გამორჩეული გმირი. თურქი ისტორიკოსი ალბაი იაშარი როდესაც წერს ჰაჯი-მურატსა და შამილის მეორე ნაიბზე, ახბერდილ მუჰამადზე, მათ ტროას ომის გმირებს, ჰექტორსა და აქილევსს, ადარებს.

**49**.21 **„მაშინ ზუთხს პირს გაუღებ, მეკენჭია შევიქნები თქო!“** – იგულისხმება ხმოსნობა, ანუ ქალაქის თვითმმართველობის წევრობა. ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობა 1875 წელს დაფუძნდა და ხმოსან სტეფანე აკოფაშვილის კერძო სახლში დაიდო ბინა. ქალაქის თავად დაინიშნა ნიკოლოზ სამსონის ძე აბაშიძე, ხოლო 1878 წელს თვითმმართველობამ პირველი ქალაქის თავი აირჩია – ლუკა ასათიანი.

ტექსტის ხელნაწერი არ შემონახულა. თხზულება დღემდე პუბლიკაციის მიხედვით თარიღდებოდა, თუმცა, ვფიქრობთ, ხსენებული ფაქტის საფუძველზე შესაძლებელია ორმაგი თარიღის მიცემა — 1875-1879.

**49**.8 რითა]რათა. 15 გახრილ[გახდილ.
**50**.21 განათებულია] განათლებულია. 29 აუთავდით]გაუთავდით. 37 მომეტებულია]მომატებულია.
**51**.6 ბრწყინვალებაო] ბწყინვალებაო.
**52**.6 „თავ-ხადიაო“] თავ-ხედიაო.
**53**.3 „ვუისაც“] „იუისაც“. 15 ვაჯობნიე] ვაჯობნე. 27 ვაცინებ] ვიცინებ.
**54**.27 თითქოს] თვითქოს.

### სიყვარული, ანუ დარო და მარო (გვ.55)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1886, №231.
თ ა რ ი ღ ი: [1886]
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.
მოთხრობა თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

**56**.15 **„ორის თვით გავემგზავრე ბაქოსკენ. ეს „ცეცხლისა და ნავთის“ ქალაქი სწორედ რომ ჯოჯოხეთის ზედაპირია!“** – თხზულება „ივერიის“ ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა. დაზუსტებით ვერ ვიტყვით, 1886 წელს აკაკი ბაქოში იყო თუ არა; ცნობილია, რომ პოეტი მეგობრობდა ექიმ ივანე ელიაშვილთან, რომელიც 14 წელი მუშაობდა ბაქოში; ამ ხნის განმავლობაში მან რამდენჯერმე მიიწვია აკაკი და მისი შემოქმედებითი საღამოს ორგანიზებაც შეძლო. კონკრეტულად რომელ წლებში სტუმრობდა აკაკი ბაქოს, ამ ეტაპზე უცნობია; ამ საკითხის დადგენა, შესაძლოა, თხზულების დასათარიღებლად მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

**55**.9 სხვანი] სხ.
**53**.18 დამაწყლულებს] დამიწყლულებს.
**58**.23 ყოვლის] ყოველს.
**60**.6 ორჯერ] ორჯელ.



### მტირალი დედა (გვ. 63)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1886, №271.
ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი; ნამდვილი ამბავი.
თ ა რ ი ღ ი: [1886]
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.
მოთხრობა თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

აკაკი თვლიდა, რომ საგანმანათლებლო სისტემის გაუმართავობისა და პედაგოგთა უსულგულობის წყალობით საზოგადოება ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდას კარგავდა: „ნეტავ, რა არის მომავალი ამ უსწავლელად დარჩენილ ყმაწვილების? უგზო-უკვლობა, უმეცრება, ცხოვრებაში გაბოროტება და ზნეობითი სიკვდილი. მაშინ, როდესაც ვინ იცის, იმათგან რამდენი კეთილი და სასარგებლო კაცი გამოვიდოდა, როგორც თავისთვის, ასე ქვეყნისათვის!.. ანბობენ, რომ საზარელი ავაზაკი ტატო წულუკიძე მშვენივრად სწავლობდა სასწავლებელში და უბრალო რამ ცელქობისათვის დაითხოვეს! მამის მკვლელი ჩაჩუა მესამე კლასიდან გამოვიდა, რადგანაც გამოთქმა არ უვარგოდა! მგალობლიშვილმა, რომელიც დღეს კატორღაშია, ველარ გაათავა გიმნაზია, მხოლოდ იმიტომ, რომ ლათინური უძნელდებოდა. ვინ იცის, რამდენი ასი და ათასი მაგალითია ამისთანა, მაგრამ მე ხომ სტატისტიკას არ ვადგენ... “ (წერეთელი, აკ., „ჩვენს მშობლებს“, გაზ. „თეატრი“, 1889).
**69**.12 **„მართლად თქმულა: „სულ ბნელა, როცა ელავსო!..“ – იგულისხმება დავით გურამიშვილის ცნობილი სტრიქონები:** „ამად ვსწუნობ საწუთროსა, სულ ბნელია, რასაც ელავს..“
**69**.33 **„უთქვამს ერთ პოეტს“** – დამოწმებული სტროფის ბოლო ორი ტაეპი წარმოადგენს რეფრენს დიმიტრი თუმანიშვილის ლექსისა „ახალ აღნაგო სულადა“, რომელიც საქართველოში ყოფნის დროს ჩაიწერა ა. პუშკინმა.

**64**.4 „რაზ“ < . 34 ვარ] ვარო.
**65** II] ***.
**66**.14 დავრჩენივარ] დავრჩენილვარ. 33 „ადვოკატობას“] „ატვოკატობას“.
**67** III] ***.
**68**.9 გაწითლდებოდა] გასწითლდებოდა. 14 IV] ***. 21 თითქოს] თვითქოს.
**69** V] ***.
**70**.29 თანამედროვე] თანამედროვემ. 35 ჟააა... მიერ!] ჟაამიერერ.

### ის (გვ.71)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი, K-230 1r-10v.
თ ა რ ი ღ ი: [1891-მდე].
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

თარიღდება ტექსტის მონაცემების მიხედვით.

ავტოგრაფი შავ ყდაში ჩასმულ რვეულშია ჩაწერილი შავი მელნით, სათაურის ქვემოთ კი წითელი მელნით მიწერილია -„მოთხრობა“.

როგორც ტომის სარედაქციო წერილშია აღნიშნული, პროზაული თხზულება „ის“ დღემდე „დამატებაში“ იბეჭდებოდა, რადგან ითვლებოდა დაუმთავრებელ ნაწარმოებად. ვფიქრობთ, „ის“ დასრულებული ნაწარმოებია, უბრალოდ, ავტორმა გარკვეული მოსაზრების გამო არ მიიჩნია საჭიროდ მისი გამოქვეყნება.

თხზულება ერთადერთი ხელნაწერითაა ჩვენამდე მოღწეული. ესაა პრაქტიკულად თეთრი პირი, რადგან მასში ძალზე მცირე სწორებაა. ამ მოსაზრებას კიდევ ის ფაქტი უჭერს მხარს: სათაურის წინ უზის აღნიშვნა №1. სავარაუდოდ, ავტორმა ტექსტების გადათეთრება განიზრახა და პირველ ნომრად ეს ნაწარმოები შეარჩია. ტექსტი სამი თავისაგან შედგება. ავტოგრაფში პირველი თავის ბოლოს გადახაზულია შემდეგი ტექსტი: *„გათხოვდა ქალი, შეიქნა სამაგალითო ცოლი და გამოიჩინა საარაკო დედობა. ამან კიდევ უფრო აღაფრთოვანა მოთაყვანე მგოსანი; გული აუვსო სიყვარულით და* ***გაუქრო ციური იდეალი! ის სავსებით გადავიდა ქვეყნიურში.*** *თავს ბედნიერად გრძნობდა მგოსანი, მაგრამ ერთი რამ აკლდა: მუდამ ჭვრეტა და აქაც ბედმა ხელი გაუმართა და მით ასრულდა პირველი ბედის მწერლის დანაქადი!* ***მაგრამ სოფელი განა დიდხანს ვინმეს ახარებს?*** *უნდა ასრულებულიყო მეორე ბედის მწერლის წინასწარ [ნათქვამი] და კიდევაც ასრულდა“.* გადახაზული ფრაგმენტი შინაარსობრივად ძალზე ჩამოჰგავს აკაკის პირადი წერილის ტექსტს, რომლის ადრესატი ანასტასია (ტასო) ბაგრატიონ-დავითაშვილია (1869-1917) (შდრ.: *„ვებრძოდი ბედის ვარსკვლავს ხანგრძლივ, სანამ* ***ის, ოცნებით წარმოდგენილი იდეალი არ განხორციელდა შენში!...*** *ბევრი უსამართლობა გამოვსცადე... მაგრამ ავიტანე, რადგან ერთი შენი თანა-გრძნობით შემოხედვა, მეგობრული ღიმილი და ტკბილი სიტყვა მკურნავდა! მაგრამ* ***„ეს სოფელი განა დიდხანს ვინმეს ახარებს“?*** *მრისხანე ბედმა, ჩემ კვალში მდგომმა, გადამიყენა იდეალი და მხოლოდ მითი მძლია და მომეშხამა არა თუ აწმყო და მომავალი, წარსული მოგონებაც კი და „რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ მარტო, სულით ურწმუნო და გულით უნდო?“ (იხ.: კრებ. უცნობი აკაკი, 2001, თსუ, გვ. 172)*.

გადახაზული ფრაგმენტის ამოღება არსებითად ცვლის ვითარებას. მისი დატოვების შემთხვევაში უსათუოდ უნდა ახსნილიყო, რას გულისხმობდა „მეორე ბედის მწერლის“ წინასწარმეტყველება და როგორ ასრულდა ეს უკანასკნელი. ფრაგმენტის ამოღება კი სიუჟეტს აზრობრივად კრავს და ასრულებს. როგორც ჩანს, აკაკიმ ჩათვალა, რომ მოთხრობის ე. წ. მოკლე ვერსიაც შესანიშნავად გამოხატავდა მის სათქმელს და მოვლენათა უფრო დაწვრილებით აღნუსხვა არათუ აღარაფერს შესძენდა, ბევრსაც დააკლებდა თხზულებას, მით უფრო, რომ „ის“ აშკარად ავტობიოგრაფიულია და მის



მთავარ გმირთა პროტოტიპების ამოცნობა მაშინდელი მკითხველისათვის რთული არ იქნებოდა.

ტექსტი უთარიღოა, თუმცა, შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გამოტანა: თხზულების მიხედვით, ბეგლარი და ცისკარისა ჯერ არ დაქორწინებულან; შეიძლება დავუშვათ, რომ აკაკიმ თხზულება 1891 წლამდე, ანუ ანასტასიასა და ივანეს დაქორწინებამდე შექმნა. ძნელი სათქმელია, რამ შეუშალა ხელი აკაკის, რომ დაწერისთანავე გამოექვეყნებინა მოთხრობა, მაგრამ 1891წლის შემდეგ, როგორც ჩანს, ეს არაკორექტულად ჩათვალა; მერე და მერე კი მოვლენები ისე წარიმართა, რომ თხზულების პუბლიკაცია სავსებით გამოირიცხა, რათა კიდევ უფრო არ გამძაფრებულიყო ხელისუფლების გარკვეული წრეების ხელშეწყობით ინსპირირებული არაჯანსაღი მითქმა-მოთქმა აკაკისა და ივანე მაჩაბლის ოჯახის შესახებ.

**72.3 „მგოსანმა თვალი მოჰკრა ღობის ძირას მიმჯდარ ორ ახალგაზრდა ქალს. ერთი მათგანი, უფროსი, 16-17 წლისა იქნებოდა...“ –** აკაკიმ ანასტასია ბაგრატიონი რომ გაიცნო, ეს უკანასკნელი 16 წლისა იყო.

**73.4 „მესამოცე წლების ახალგაზრდობამ რომ ფეხი აიდგა, იმასაც ასე დაემართა: ძველების გზა მიატოვა, ახალი გზით წავიდა...“ – აკაკი გულისხმობს** „თერგდალეულებად“ წოდებულ თაობას, რომელსაც თავადაც მიეკუთვნებოდა და მიანიშნებს იმ რადიკალურ იდეოლოგიურ განსხვავებაზე, რომელიც ახალ თაობასა და „მამებს“ შორის იყო საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით.

**74.8 „სწორედ ამ დროს დაბრუნდა საზღვარგარეთიდან ახალგაზრდა ბეგლარ აჩაბეთელი“ –** როგორც აღვნიშნეთ, მოთხრობა ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და მისი გმირები რეალურად არსებული ადამიანები არიან. ბეგლად აჩაბეთელის პროტოტიპია ივანე მაჩაბელი. ის მართლაც წლების მანძილზე იმყოფებოდა საზღვარგარეთ განათლების მიღების მიზნით. ივანე 1871 წელს გაემგზავრა პეტერბურგში და სწავლა დაიწყო პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. პარალელურად დაამთავრა იურიდიულიც. 1874 წ. ივ. მაჩაბელი აგრონომიულ მეცნიერებათა შესწავლის მიზნით გაემგზავრა შტუდგარტში და ორი წელი დაჰყო ოპენჰაიმის აკადემიაში. 1878 წლიდან მაჩაბელი პეტერბურგშია. იგი სამშობლოში საბოლოოდ მხოლოდ 1879 წელს ჩამოდის და იწყებს ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას.

**77.9 „მხოლოდ, ხორციელი რომ რამე გულში გამვლებოდა, აღარც ასე სავსებით მეყვარებოდა!“ –** ტასო მაჩაბლისადმი მიწერილ წერილებში აკაკი არაერთგზის აღნიშნავს, რომ მისადმი სრულიად განსხვავებული, წრფელი და შეურყვნელი გრძნობა ჰქონდა: *„ამდენი ხნის განმავლობაში კამკამ წყაროსავით მქონდა თქვენ წინ გადაშლილი ეგებ პოეტურად ახირებული, მაგრამ მაინც წრფელი გული კი და თქვენც შეგეძლოთ თქვენის საკუთარის*

*თვალით და არა სხვების სათვალეებით, ჩაგეხედათ შიგ და დარწმუნებულიყავით, რომ აქ ძირამდე სიწმინდის მეტი არა იყო რა საზოგადოდ და მით უმეტეს თქვენს შესახებ. შესაძლო იყო, მხოლოდ უსამართლო-უგულობას მოსჩვენებოდა აქ რამე მღვრიედ... ბრბომ რა იცის საზენაო ტრფიალებისა? იმას ჰგონია, თუ ტრფიალება მხოლოდ სისხლის ღელვა და ხორცის ფხანვააო და არა წრფელი სული სიწმინდით წმინდა გულშივე დასადგურებული.“ (იხ.: კრებ. „უცნობი აკაკი”. თსუ. 2001, გვ. 181-182).*

**77**.25 **„ამ საუბრის შემდეგ ბევრმა ხანმა გაიარა, რომ ბეგლარზე აღარ გაგონილა რა...” – 1885** წელს დაიხურა „დროება“, რომელიც მაჩაბლის რედაქტორობით გამოდიოდა. ამის შემდეგ ამ უკანასკნელმაც კარგა ხნით დატოვა თბილისი.

**78**.18 **„თუ არ ვსცდები, ეგ თქვენი ქორწინების დღე იქნება უკეთეს დღეთაგანი მთელ ჩემ სიცოცხლეშიო“ –** ივანე მაჩაბელი და ანასტასია ბაგრატიონ-დავითაშვილი დაქორწინდნენ 1891 წელს.

აკაკის ამ ქორწილში წარმოთქმული სიტყვა თავის არქივში ჰქონია შენახული: „ამასწინეთ ძველ ქაღლდებს ვსჩხრეკდი და ამ სიტყვას წავაწყდი, თქვენ ქორწილში რომ მითქვამს. გადვიკითხე და გული დამწყდა!.. ეჰ, მეც უფრო ბედნიერი ვიყავი მაშიინ და თქვენც!“ (წერეთელი აკ., თსკ. ტ. XV, თბ., 1963, გვ. 154).

**71**.8 სიყვარულში — უბედურება < სიყვარულში. 12 ერთი წლისას]ერთის წლისას. 30 მიუწვდომელი]მიუწდომელი.

**72**.5 ჩვიდმეტი]შვიდმეტი. 7 იის]იას. 9 „შუქსა“ შემდეგ დაწერილი ყოფილა „აქ“ და ავტორს გადაუხაზავს. 10 „ცელქად“ შემდეგ ეწერა „და“, რაც ავტორს გადაუხაზავს. 29 „შორით ბნედა“-ს შემდეგ ავტოგრაფში ავტორს გადაუხაზავს: *„გათხოვდა ქალი. შეიქნა სამაგალითო ცოლი და გამოიჩინა საარაკო დედობა. ამან კიდევ უფრო ააფრთოვანა მოთაყვანე მგოსანი; გული აუვსო სიყვარულით და გაუქრო ციური იდეალი!.. ის სავსებით გადავიდა ქვეყნიურში. თავს ბედნიერად გრძნობდა მგოსანი, მაგრამ ერთი რამ აკლდა: მუდამ ჭვრეტა და აქაც ბედმა ხელი გაუმართა, და მით ასრულდა პირველი ბედის მწერლის დანაქადი! „მაგრამ სოფელი განა დიდხანს ვისმეს ახარებს?“ უნდა ასრულებულიყო მეორე ბედის მწერლის წინასწარი და კიდევაც ასრულდა“.* 34 „პატარა“-ს შემდეგ ავტირს გადაუხაზავს „შვილი“.

**73**.11 „მოგზაურები“-ს შემდეგ გადახაზულია *„აბა, ახალა რომელი გზით წავიდეთო, სთქვეს?“* 35 „უკუღმართოო“-ს შემდეგ გადახაზულია „რადგანაც“, როგორც შეუფერებელი და იქვე მიწერილია „რატომ“.

**74**.7 წლები]წლეები.

**75**.33 ავიტან]ავიტანე.

**76**.10 „ამბობენ“-ს შემდეგ „შენზე“ დაუწერია, მაგრამ გადაუხაზავს. 11 „მეჯერას“ შემდეგ „ცუდ“ დაუწერია, მაგრამ გადაუხაზავს. 21 არ<]არ გაგვიგონიაო. 22 „ერთიც“-ს შემდეგ გადაუხაზავს „ვერ“ და დაუწერია „არ“. 34 „ამსახურებენ“-ს შემდეგ გადაუხაზავს „თვალსაცა და ყურსაცა“ და მის ნაცვლად დაუწერია: „გულისთქმას“.



**77**.7 გადაუხაზავს „დიახ“ და დაუწერია „რასაკვირველია“. 12 „ახალგაზრდა“-ს შემდეგ გადაუხაზავს „სიყვარული“ და დაუწერია „სისხლი“.

**78**.3 „სწორი“ გადახაზულია და წერია „საკადრისი“.

### სიკვდილი (გვ.79)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: „კვალი“, 1894, №№49, 52; 1895, №2 (C). „აკაკის კრებული“, 1897, №2 (B). ცალკე გამოცემა „ორი მოთხრობა“. 1903 (A).

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ორი მოთხრობა(A).

თ ა რ ი ღ ი: [1894-1895]

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი (C).

მოთხრობა თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

ამ თხზულებაში აკაკი გადაკვრით საუბრობს „ივერიისა“ და „კვალის“ რედაქციებთან თავისი დამოკიდებულების შესახებ.

აკაკის მოთხრობას „სიკვდილი“ ილია ჭავჭავაძე გამოეხმაურა თავის სატირულ ლექსში „ორხმიანი საახალწლო ოპერეტი“.

**86**.18 **„რედაქტორი მოწყენილი მარტოდმარტო თავის თავს ესაუბრებოდა“** – იგულისხმება „ივერიის“ რედაქტორი ილია ჭავჭავაძე. აღნიშნული მსჯელობა თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა აკაკის გამოუქვეყნებელი პუბლიცისტური წერილის ტექსტს, რომელიც, სავარაუდოდ, ასევე 1894 წელს უნდა იყოს დაწერილი. სტატია უსათაუროა, პირობითად ვუწოდეთ „ილია ჭავჭავაძესთან დამოკიდებულების გამო“. წერილი პირველად გამოვაქვეყნეთ კრებულში „უცნობი აკაკი“ (თსუ, 2001, გვ. 102-103; ასევე, იხ.: წინამდებარე გამოცემაში კომენტარი ლექსისა „პატარა მურია“. ტ. II. 2011, გვ. 486-487).

**86**.29 **„ამ დროს შემოვიდა თანამშრომელი“** – ამ თანამშრომელში აკაკის გამოყვანილი ჰყავს არტემ ახნაზაროვი (1866-1942), რომელიც „ივერიაში“ ბეჭდავდა პუბლიცისტურ წერილებს „ჩიორას“ და „მანველიძის“ ფსევდონიმებით.

**87**.1 **„იმას მეორე რედაქციაში წავიღებ“** – ავტორი გულისხმობს „კვალის“ რედაქციას.

**88**.10 **„ლაქუცაა კუდქიცინა მურია, თუ არ შია და ან არც სწყურია“ – აი, ახლა ეს არავის არ შეეხება, მაგრამ ბევრს კი მისი სარკე ჰგონია“ –** სტატიაში ჩართული ლექსი მართლაც გაცილებით ადრე, 1888 წელს, დაიწერა და მისი ადრესატი ჟიულ მურიე იყო.

**91**.2 **„მართალია, დიდი მოურავი სპარსულ კაბას იცვამდა და თათრულ ჩალმას იხვევდა თავზე...“** – აკაკი წერეთელი გიორგი სააკაძეს გულმხურვალე მამულიშვილად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ ყოველი მისი ნაბიჯი აუცილებლობით იყო განპირობებული. საგულისხმოა, რომ 1911 წლის 16 დეკემბერს ქუთაისის თეატრში შედგა გიორგი სააკაძის გასამართლება. აკაკი დამცველი იყო. მან ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა, რის საფუძველზეც სააკაძე გაამართლეს. აღნიშნული სიტყვა პოეტის სიცოცხლეში არ დაბეჭ-

დილა. პირველად გამოქვეყნდა გაზ. „თემში“, 1915 წლის 8 თებერვალს (იხ:. კრებ. „უცნობი აკაკი“. თსუ. 2001, გვ. 143-154).

**91.**8 **„თვით თეიმურაზ პირველი შტვირის გუდით კარი-კარზე დაწანწალობდა, და როცა ქართლ-კახეთს შავი დღე ადგა, ის იმერეთში „შამი-ფარვანიანს“ ლათაიობდა“** – აკაკი თეიმურაზ პირველს სუსტ მეფედ და პოლიტიკოსად მიიჩნევს. ანალოგიური აზრი აქვს გამოთქმული მოთხრობაში „ბაში-აჩუკი“.

**91.**10 **„არათუ ქართლ-კახეთს მიაყენა ჭირი მისმა კარდაკარ სიარულმა, თვით იმერეთიც გაირყვნა მისი დამოყვრებით...“ –** თეიმურაზ პირველმა გიორგი სააკაძესთან გასამკლავებლად იმერეთის სამეფო კართან დამოყვრება გადაწყვიტა. სიძის, ზურაბ არაგვის ერისთავის, ცხედარს გაცივება არ აცალა, ისე გამოიტაცა ქმრის ოჯახიდან დაქვრივებული ქალიშვილი დარეჯანი, მუხრანს მიიყვანა და იმერთა მეფის ძეს, ალექსანდრეს, მიათხოვა 1629 წელს. ალექსანდრე III-ის გადაცვალების შემდეგ (1660 წლის 4 მარტი დარეჯანმა, რომელიც ქვეყნის ფაქტობრივი გამგებელი იყო, თავის გერს, ბაგრატს, ცოლად შერთო საკუთარი ძმის, დავითის, ასული ქეთევანი. მაგრამ სულ რამდენიმე თვეში, მისივე ბრძანებით, ბაგრატი დააბრმავეს და ტახტიდან გადააყენეს, თვითონ კი ქმრად შეირთო ბაგრატიონთა შორეული ნათესავი ვახტანგი (ჭუჭუნასშვილად წოდებული) და იგი მეფედ გამოაცხადა. დარეჯანის საქციელით უკმაყოფილო თავადთა ერთმა ნაწილმა (ქვემო იმერეთიდან) ვამიყ დადიანი, მეორე ნაწილმა კი (ზემო იმერეთიდან) ვახტანგ V შაჰნავაზი მიიწვია იმერეთში. ვამიყმა შეიპყრო დარეჯანი და ვახტანგი (ამ უკანასკნელს თვალები დასთხარა) და თავი მეფედ გამოაცხადა. იმერეთის სამეფოში დარეჯანის გამო მართლაც უამრავი უბედურება დატრიალდა. მოგვიანებით (1668 წელს) ის სიკვდილით დასაჯეს.

**91.**20 **„თვითონ შენ არ იყავი, რომ კათოლიკობა გინდოდა მიგელო? გათათრებითაც გათათრდი...**“ – წყაროებიდან ცნობილია, რომ ვახტანგ VI ირანის შაჰმა ქართლის სამეფო ტახტზე დასამტკიცებლად ისპაჰანში რომ დაიბარა და გამაჰმადიანება მოსთხოვა, მეფემ უარი უთხრა. იგი ქირმანში გადაასახლეს, სადაც 1716 წელს სარწმუნოება დათმო. გამაჰმადიანებული ვახტანგ VI ქართლის მეფედ დაამტკიცეს 1719 წელს და სამშობლოში დააბრუნეს.

სიმართლეს შეეფერება აკაკის მეორე ცნობაც: 1722 წელს პაპის, ინოკენტი XIII-ისა და ავსტრიის იმპერატორ კარლოს VI-ისადმი გაგზავნილი წერილები ადასტურებს, რომ ვახტანგ VI კათოლიკეა: „სამწუხაროდ აქაური უბედურება და ხალხის ღალატი ნებას არ მაძლევს ცხადად აღვიარო კათოლიკობა... გარნა ამ ჩვენს სამთავროში ძრიელ ბევრი კათოლიკები არიან და მეც ამათ რიცხვში ვითვლები. ხოლო ამ ქვეყნის არეულობა ნებას არ მაძლევს ჩემი კათოლიკობა გამოვაცხადო” (მიხ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფ.: 1902, გვ. 340-341).

**92.**17 **„ცრუ მოწმობა კანონათ შემოვიდა, ცრუ ფიცი აბაზათ ღირს“** – აკაკი წერეთელს საფუძვლიანად აქვს განხილული 60-70-იანი წლების საკანონმდებლო რეფორმის არასრულფასოვნების საკითხი სტატიაში „ვაის“ გაყ-



რილები „უის“ შეეყარნენ“. აღნიშნული წერილი პოეტის თხზულებათა არც ერთ გამოცემაში არ შესულა არც მის სიცოცხლეში და არც გარდაცვალების შემდეგ (მივაკვლიეთ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდებში და დაიბეჭდება წინამდებარე გამოცემის შესაბამის ტომში). ბევრ სხვა მტკივნეულ საკითხთან ერთად ავტორი მკითხველთა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საერთო უკიდურესი ეკონომიკური გაჭირვების ფონზე ძალიან გავრცელებულია ე. წ. ცრუმოწმეობის ინსტიტუტი, როგორც ფასიანი („**ცრუმოწმის ტაქსა** გლეხზედ ხუთი შაურია და აზნაურზედ – მანეთი“), ისე – მორალურად სავალდებულო (აფხაზეთსა და სამეგრელოში გავრცელებული მორდუობის ადათიდან გამომდინარე). აკაკის დასახელებული წერილი უთარიღოა, თუმცა, რაკი სწორედ 90-იან წლებში გამწვავდა „ახალი სამართლის“ საკითხი, შესაძლებელია, აღნიშნულ პრობლემას პოეტი სწორედ ამავე ხანებში გამოხმაურებოდა. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ ამ საკითხს აკაკი, თუმცაღა გაკვრით, მაგრამ მაინც შეეხო „სიკვდილში“, რომელიც, სავარაუდოდ, 1894-1895 წლებშია დაწერილი.

**79.**2 I < BC 20 სტყუიან] ტყუიან BC. 23 სჯობია] ჯობია BC. აქვთ] აქვსთ B. 24 თხოვდა] სთხოვდა C. 26 არა] არაფერი B. არაფერი] არა B. არაფერი ურჩევნია] არა ურჩევნია-რა C. 28 ყოლიფერი] ყველაფერი B. ყოლიფერი C. 34 ვუკითხივართ] უკითხავართ BC. უნახავართ] უნახივართ B. უნახავართ C.

**80.**1 სიკვდილს] სიკვდილის BC. 2 თავ-თავისი] თავ-თავის C. 3 რამე] რამა BC. 5 მინახავს + დამინახავს C. 6 ჰფიქრობს] ფიქრობს C. 9 შენ] შენს + სახელს C. 10 ჩანს]სჩანს B. რომ< B. 18 ყველაფერი] ყოლიფერი C. 21 გაქრაო] გაქრა BC. 22 თითქო]თითქოს BC. 23 კანონიო] კანონი BC. 28 არც + კი C. 29 ქვეყანაზეო] ქვეყანაზე BC. ბრძანებთ] ჰბრძანებთ C. 31 დღესო] დღეს C. 36 გადავრჩითო] გადავრჩით B.

**81.**1 დაფიქრებულხარო] დაფიქრებულხარ B. 3 ვფიქრობდიო] ვფიქრობდი BC. 5 ქვეყნისთვის] ქვეყნისათვის C. შრომამაო] შრომამ B. ეგ] ეს B. 12 ისე] ასე B. 16 ვამზადებო] ვამზადებ BC. ==

**82.**5 აპირებთ] აპირობთ B. 8 ქართული < BC. 11 აწყვეტინებს] აწყვეტიებს BC. აწყვეტინებს სიტყვას + „– მკვდრისთვის“ ჰმ, მაგისთვის სულერთი არ იქნება? შენ მტერს ნურა გაუგია რა, მაგან ველარ გაიგოს რა. – წაიბუტბუტა წვერცამეტამ, მაგრამ აასრულა კი ძალა-უნებურათ, ახალგაზრადის რჩევა?“. BC. 13 წამოდგა + წინ C. ამბობს] ანბობს C.

**83.**20 სთქვეს] თქვეს C. 22 მოვკარი] მოვჰკარი BC. 26 ბავშვებს] ბოვშვებს BC. 27 დაბალ] მდაბალ B.

**84.**3 გათავდებოდეს + ეს მსახიობას BC. 4 საფლავამდის]საფლავამდი. 9 მოსწყდენ] მოწყდენ. 12 არაფერი] არა B. გაუკეთებია] გაუკეთებიათ C. 13 კუდაბზიკობენ] კუდაბზიკაობენ BC. შეურაცხყოფაა] შეურაცყოფაა B. 15 მჭერმეტყველობით] მჭევრმეტყველებით B. მჭევრმეტყველობით C. 21 II <

B. 25 მეთქი < 29 სამარესაო] სამარესო BC. 32 დამხვდი] დამიხვდი C.

**85**.18 მოსთხოვო] მოთხოვო BC. 26 ვარკვევ] ვარჩევ C. 32 ამოკითხვა + მაგრამ BC.

**86**.4 გურიისკენ] გურიისაკენ C. 5 სთქვა] თქვა C. 6 შემაწუხა] შემაწუხეს BC. გიშველოს] გიშველოსთ C. 8 ერთი] ერთ C. 12 თბილია] თფილია C. 14 სიცოცხლეშიც] სიცოცხლეშიაც BC. 24 მეორემდის]მეორემდი C. 26 გონებამ] მოგონებამ C. 27 გული კი + მაინც BC. 28 მატკინაო] მატკინა C. 33 დაგაყენებდიო] დაგაყენებდი C.

**87**.1 დამიბეჭდავენო] დამიბეჭვდენ B. დამიბჭდვენ C. 3 პატარიანა] პატარაიანა C. 10 მიცვალებულზეო] მიცვალებულზე C. თქვა] სთქვა B. 15 სიცოცხლეშიაც] სიცოცხლეშიდაც B. 16 სულ < B. 20 მრუდი] ბრუნდი C.

**88**.12 ჰგონია] გონია B. 16 ეჰ + ეჰ B. 23 იყოსო] იყოს C. 30 ოთახში თუ არა ∞ თუ არა ოთახში BC. 31 ჩემს] ჩემ C. 33 მორჩა + გათავდა BC.

**89**.4 ველარაფერი] ველარა C. 5 წამოცვივდნენ] წამოცვინდნენ C. ვერაფერი] ვერა BC. 6 დაინახა + რა C. თქვა] სთქვა B. 13 ვერაფერი] ვერა BC. მასიამოვნა + რა C. 21 III < B. 23 ავუარეთ] აუარეთ C. ერთ] ერთს C. 26 ისხდნენ] იჯდენ BC. 31 არ] აღარ B. 33 გადასვლა] გადავლა B. ინებაო + „– გიორგი-მეთქი? – გიორგის მუცელი ტკივა და გორავს სულ ბოლოშიო“ BC. 35 მიბრძანა] მიბძანა C. მიბრძანა + BC-ში: „რასა იქმს და როგორ არის ჩემი ჭირნახული ქვეყანაო? – შემიძლიან (შემიძლია C-ში) ბევრი რამ მოგახსენოთ მის დიდებულ და საქებურ (საქებარ C-ში) წარსულზე, აგრეთვე ბევრი რამ გიმახარობლოთ და გიწინასწარმეტყველოთ მის საიმედო, უეჭველ მომავალზე, მაგრამ აწმყოზე ნურას მკითხავ, ჩემო ხელმწიფევ! – შევევედრე მე.

– როგორ გეტყობა, რომ იმ ქვეყნიდანა (ქვეყნიდან C-ში) ხარ, უზდელო! წარსული ამბავი ჩვენ უკეთ არ ვიცით?! მომავალსაც შენ ჩვენზე უკეთ როგორ დაინახავდი იმ ქვეყნიურ ხორციელი თვალით? შენ მხოლოთ იმას გეკითხებით, დღეს რასა იქმს (იქს C-ში) ჩვენი ქვეყანაო?

-ვაი თქმასა (თქმას C-ში) და ვაი უთქმელობას! მოყვარეს რომ უნდა, ისე აღარ გახლავთ, მაგრამ არც (+ კი C-ში) ისეა, როგორც როგორც მტერს უნდა.

– მაინც?

– რაღა მაინც, დიდებულო? სული კბილით უჭირავს!“

ამის შემდეგ B-ში ვკითხულობთ: „წყალობითა და რუსეთის მეცადინეობით ნელა-ნელა იღვიძებს, მაგრამ ჯერ კიდევ მაგრათ ვერ დამდგარა ფეხზე.

– რატომ?

– მოგეხსენებათ, ახლად გამოღვიძებულზე სანამ კარგათ გამოერკვეოდეს, კაცი ბარბაცებს და უსწორ-მასწორათ ადგამს ბიჯს და როდესაც მოიმარჯვებს ძალ-ღონეს მართლმორწმუნე ერის შემწეობით... გამობრუნდება, გამოსწორდება:

– მაშ, ჩემი ძველი ტაძრები, ჩემი ციხე-ქალაქებიც მტრის აოხრებულები, ისევ ხელახლა გაახლდებიან?



– უეჭველია, რადგან საძირკველი მთელი აქვთ.

– ჩვენც მაგის იმედი გვაქვს, ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველას, ვისაც კი ჩვენი საქართველოსათვის კეთილი სურდეს. სხვას კიდევ რას იტყვი?

– თევზის ანდაზას.

– ჰო, შენით არ გინდა, რომ თქვა? კარგი იქნება, თქვენვე გკითხავთ და გაპასუხებიებთ“.

B-ს მოტანილი ნაწილი C-ში ასეა წარმოდგენილი: „– როგორ? ჩემი ციხე-ქალაქები, ტაძრები...

– ჩაილულის წყალმა წაიღო, ხელმწიფევ!

– ტყუი! მე საძირკველი ისე არ ჩამიგდია, რომ ის საუკუნოთ მოსპობილიყო! შეიძლება ზედა-პირი გაშავებულიყოს, მაგრამ ისიც დროებით, ნანგრევები ხომ დიდებულათ ჩანან?

– მოგეხსენებათ, ნათქვამია, დანგრეულ ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო.

– განა ახალს აღარავინ აშენებს?

– აშენებენ, მაგრამ სულ სხვა გეგმით, ერთი წიხლი რომ ჰკრათ, მეტი არ უნდა ახალ შენობას; მაგრამ, დიდებულო ხელმწიფევ, მაგ ძველისა და ახალი შენობის ამბავი უტყუვარათ აქვს აწერილი ჩვენ პოეტს ვახტანგ ორბელიანს, ისიც აქ გახლავთ, უბძანეთ და ის მოგახსენებთ.

გაგზავნეს კაცი მგოსნების გუნდში, მაგრამ ვახტანგი იქ აღარ იყო. ის დადგომოდა თავზე ავადმყოფ ბიძას, გიორგის და ესაყვედურებოდა: „შე დალოცვილო! რათ მიირთვით მისთანა, რომ ველარ მოგინელებიათ! ან თქვენ“...

**90**.1 პასუხი < B. პასუხი] ეს C. ჩავარდა + და ცოტა ხნის სიჩუმის BC. 13 თადარიგი] თავდარიგი C. 19 გაგზავნა] გაგზავნეს C. 24 ყველანი] ყველა B. 25 პირველობასო] პირველობას C. 29 გადასწყვიტონ] გადაწყვიტონ C. 32 ვახტანგი] ვახტანგ BC.

**91**.12 გაირყვნა] გარყვნა BC. 15 ტყუილათ] ტყუილა C. 20 კათოლიკობა] ფრანგობა C. 29 შევაწებოთ] შევაწეპოთ C. 28 მეთქი < BC.

**92**.2 აქვთ] აქვსთ C. 5 „იზოგვენ“-ს შემდეგ პოლიტიკურად მახვილი ფრაზა: „მაგრამ გარეშემ თუ შემოუძახა, მაშინ კი ხელის კანკალი მოუდით ხოლმე“, აღდგენილია BC-ს მიხედვით. 7 გვყავს] გყავსთ BC. 19 ფიციო] ფიცი C. 20 სარწმუნოება? + ისიც სხვა გზით მიდის BC. 21 მარხვა + ადრე რომ ზარები „მოდი-მოდის“ იძახოდენ, ახლა „წადი-წადის“ გაიძახიან BC. 23 დებიო] დები C. 28 გაიგონებენ სხვაგან ∞ BC. 33 სწირავენ] წირავენ C. 35 წყურვილმა] სურვილმა B.

**93**.10 აქიდან] აქედან BC.

**ყვითელი სანთელი (გვ. 94)**

ნ ა ბ ე ჭ დ ი: „ყვითელი სანთელი“. აკაკისა. ქუთაისი,1896.

თ ა რ ი ღ ი: [1896]

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არ აქვს.
მოთხრობა თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

**95.**35 **„მშვენიერმან იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა თვით უხრწნელი გვამი შენიო"** – ტროპარი, რომელიც იგალობება ვნების კვირაში, დიდ პარასკევს. საგალობლები, რომლებიც ამ დროს იგალობება, იესო ქრისტეს ვნებასა და ჯვარცმას ასახავს. სვიმეონ ღვთისმიმრქმელის ლოცვის გალობისას სამგლოვიარო სამოსში გამოწყობილი მღვდელმსახური აკმევს გარდამოხსნას, რომელიც ჯერ კიდევ საკურთხეველშია დასვენებული, „მამაო ჩვენოს" გალობის შემდეგ კი ტროპარის „მშვენიერმა იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა უხრწნელი გვამი შენი..." გალობით წმინდა ტრაპეზიდან, როგორც გოლგოთიდან, აიღებენ გარდამოხსნას და საკურთხევლიდან გამოასვენებენ.

**95.**36 **„დიდხანს აკრიალა ხმა კანდელაკურათ"** – კანდელაკები ძველი ქართული საეკლესიო საგალობლების მცოდნე და გამორჩეული შემსრულებლები ყოფილან. 1878 წლის 5 ოქტომბერს გაზ. „ივერია (№39) აქვეყნებს სტატიას „ქართული საეკლესიო გალობა". მასში ნათქვამია, რომ გალობის ძველ კილოზე მცოდნეთაგან უპირველესი მგალობელი იმერეთში პატივსაცემი მოხუცი სიმონ კანდელაკია. ამავე სტატიაშია დასახელებული ასევე გელათის „სობოროს" მგალობელი დიმიტრი კანდელაკი, რომლისთვისაც ეპისკოპოს გერმანეს (გოგოლაშვილი) სამი თუმანი დაუნიშნავს ჯამაგირად.

**96.**8 **„მეხუთე საუკუნემდის სულ ბერძნული წირვა-ლოცვა არა გვქონდა?"** — როგორც ცნობილია, მეხუთე საუკუნის 60-70 -იან წლებში, კერძოდ, 457-488 წლებში, ვახტანგ გორგასლის თხოვნით, ბიზანტიის იმპერატორისა და კონსტანტინეპოლის პატრიარქის შუამდგომლობით ანტიოქიის საპატრიარქომ ქართულ ეკლესიას თვითმმართველობა (ავტოკეფალია) მიანიჭა. აკად. ს. ჯანაშია თვლიდა, რომ ქართლში ქრისტიანობა იმთავითვე ქართულ ენაზე გავრცელდა და მსახურებაც ამ ენაზევე წარიმართა; კ. კეკელიძის აზრით კი ღვთისმსახურება ქართულად მხოლოდ მეხუთე საუკუნიდან იწყება. ლიტურგია ეკლესიის საფუძველია, მაგრამ ლიტურგიის ენა ყოველთვის არაა მშობლიური (მაგ.: სომხეთში ქრისტიანობა გრიგოლ პართელმა სომხურად იქადაგა, მაგრამ ღვთისმსახურების ენად სირიული და ბერძნული განაწესა). კვლევებისა და გამოვლენილი არტეფაქტების მიხედვით, წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე შესრულებამ ჩვენში შეუქცევადი ხასიათი მიიღო IV-V საუკუნეებში. ქრისტიანული სარწმუნოება საკუთარი ეროვნული ენითა და ეროვნული დამწერლობით ეროვნული ერთიანობის შეგნების განმტკიცების მძლავრ ფაქტორად იქცა. 475 წელს დაფუძნდა კათალიკოსობა. წმინდა პეტრე I იყო ქართლის პირველი კათოლიკოსი. იგი 467-474 წლებში განაგებდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ მეფემ ბიზანტიაში ლაშქრობის დროს გაიცნო და დაიახლოვა „პეტრე მღვდელი მოწაფეთაგან გრიგოლ ღვთისმეტყველისათა" და მონაზონი სამოელი. წმინდა მეფისა და წმინდა მამების სულიერმა სიახლოვემ და შემდგომში მათმა ბრძნულმა და შეთანხმებულმა მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოსა და ბიზანტიას შორის მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარებასა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიას.



**96.**12 **„რათ შეაკლა ქრისტიანი ქართველები და ბერძნები ერთმანეთს გორგასლან მეფემ, თუკი მაინც ეს დღე მოგველოდა და უკანვე დავბრუნდებოდით?"** – წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის ხანაში (442-502), დაახლოებით 464 წლისთვის, ბიზანტიის იმპერია ნელ-ნელა დასუსტდა, რამაც ვახტანგს ბიზანტიის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნების იმედი გაუღვივა. ვახტანგი დიდძალი ჯარით დაიძრა პონტოს მიწების დასაბრუნებლად. მან ზედიზედ აიღო მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეები, ბერძნული ქალაქები და კონსტანტინეპოლსაც მიუახლოვდა. ქალკედონიდან სამი დღის სავალზე მათ წინ გადაეღობათ კეისრის ლეგიონები სარდალ პოლიკარპეს მეთაურობით. ვახტანგმა ორთაბრძოლაში განგმირა იგი. ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დასრულდა.

**99.**13 **„არაო, ამისთანა რამეები, ბეჭდები, საყურეები, ვერცხლეულობა, თუ სხვა, კანტორის ბრძანებით გამოიტანეს მონასტრებიდან და ტორგით გაყიდეს..."** – XIX საუკუნეში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას მოჰყვა ეკლესიის რბევა და ძარცვა. 1811-1906 წლებში რუსეთმა საქართველოში დახურა 800 ეკლესია და 15 მონასტერი, 29 ეპარქიის ნაცვლად მხოლოდ 5 ეპარქია დატოვეს. გაძარცვეს ეკლესიები და მონასტრები, გაიტანეს ხატები, ხელნაწერი წიგნები, ჯვრები, ბარძიმები და სხვა საეკლესიო ნივთები. გარდა ნაძარცვისა, რუსებმა საქართველოს ეკლესიას ოფიციალურად ჩამოართვეს 220 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება, ყოველივე ეს კი საქართველოში გამოგზავნილი ეგზარქოსების ინიციატივითა თუ დახმარებით ხდებოდა.

საქართველოს ეგზარქოსი და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა თანმიმდევრულად ახორციელებდნენ საეკლესიო ცხოვრების რუსიფიკაციას (ღვთისმსახურების რუსულ ენაზე აღსრულება, წმიდა წერილისა და ლოცვანის რუსულ ენაზე გამოცემა, ქართული საეკლესიო გალობის რუსულით შეცვლა, სასულიერო განათლების რუსიფიკაცია და სხვ.).

**103.**31 **„ამინ და კირიალეისონი"** – ამინ (ბერძნ.) – ჭეშმარიტად; კირიალეისონ (ბერძნ.) – უფალო, წყალობა ყავ. როგორც გიორგი მერჩულე გვაუწყებს, მიუხედავად იმისა, რომ წირვა-ლოცვა ქართულად აღესრულებოდა, „კირიალეისონს" მაინც ბერძნულად ამბობდნენ. ეს ტრადიცია საუკუნეების განმავლობაში შენარჩუნდა.

მოთხრობაში ჩართულია იობ მრავალვნებულის (ბიბლიური პერსონაჟი, მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი) ამბავი — ღვთისმოშიში და ღვთისმოსავი იობი მთელი გულით უფლის ნებას იყო მინდობილი. ღმერთმა აკურთხა მისი კეთილმსახურება და ურიცხვი სიმდიდრე მიამადლა. სატანის წინადადებით ღმერთმა გამოსცადა იობის მოთმინება. იობს მოულოდნელი უბედურებების წყება დაატეხა თავს, მაგრამ იობმა ყველაფერს გაუძლო.

ამგვარი მოთმინებისთვის ღმერთმა იობი ხელახლა დააჯილდოვა სიმდიდრითა და შთამომავლობით. ბიბლიურ ისტორიას აკაკი ავსებს ხალხური გადმოცემით ფუტკრის, აბრეშუმის ჭიისა და წურბელის გაჩენის შესახებ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის უცნობია, კონკრეტულად რა წყაროთი სარგებლობს პოეტი, რადგან ფიქსირებული ფოლკლორული მასალა არ იცნობს აკაკის მიერ მოტანილ ბევრ დეტალს (უფლის ნებით, 365 სახეობის მატლი დაეხვია იობს; ეს ჭია-მატლები უფალმა აკურთხა და სხვადასხვა ერებს გაუნაწილა, საქართველოს შეხვდა 4 სახეობა: ფუტკარი, ყაჭის ჭია, ბრაზის ჭია და წურბელი).

**საავადმყოფოში** (გვ.104)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: „აკაკის კრებული“, 1899, №2, გვ. 3-15.
თ ა რ ი ღ ი: [1899]
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.
მოთხრობა თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

**105**.8 **„ათასი წელი, ვითარცა გუშინდელი დღეო!“ ბრძანებს წინასწარმეტყველი...“ –** კანონი მეთორმეტე, 89 გალობაი მოსესი: „რამეთუ ათასი წელი წინაშე თუალთა შენთა, უფალო, ვითარცა გუშინდელი დღე, რომელ წარხდა და ვითარცა სახუმილავი ერთი ღამესა შინა“.
**105**.10 **„მათუსალას ხნის“ –** ბიბლიური პატრიარქი. წმინდა წერილის თანახმად, „იქმნნეს ყოველნი დღენი მათუსალასნი, რომელთა ცხოვნდა, ცხრაასსამეოცდაცხრა წელ და მოკუდა“ (ძველი აღთქმა. დაბადება, თავი მეხუთე).
**108**.7 **„მეც ამჟამად ვახტანგის კანონს დავადგები. იქ ძმას ძმის შენაძენშიაც გაყრამდე წილი აქვს!..“ –** ვახტანგ VI-მ შექმნა „სწავლულ კაცთა” კომისია და შეადგინა სამართლის წიგნი, რომელიც „ვახტანგის კანონების” სახელწოდებითაა ცნობილი. კრებული შეიცავს საკუთრივ ქართული სამართლის ძეგლებს: „სამართალი მეფისა გიორგისა“, „სამართალი ბექასი და აღბუღასი“, „ბაგრატ კურაპალატის სამართალი“, „კანონიკური სამართალი“ და თავად ვახტანგ მეფის შედგენილ ძეგლს -„სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“. კრებული შეიცავს აგრეთვე საქრისტიანო მსოფლიოში მოქმედ სამართლის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს: მოსეს შჯულს, სირიულ-რომაულ, ბიზანტიურ და სომხურ კანონებს, რომელნიც საქართველოში კრებულის შედგენამდე დიდი ხნით ადრე მოქმედებდნენ.

**104**.12 რასა]რასაც.
**105**.25 სულ-ხორცის]სულ ხორცის.
**106**.7 სისხლ-ხორცი]სისხლხორცი.



**107**.20 სისხლ-ხორცებიც]სისხლხორცებიც.
**109**.30 დამარხავდე]დამარხვამდე.

**ორი სიზმარი** (გვ.112)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი, K-229, 6r-9r (B).
ნ ა ბ ე ჭ დ ი: „ივერია“, 1905, №18 (A).
ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: მოხუცის მოგონება.
თ ა რ ი ღ ი: [1905]
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი (A).

მოთხრობა თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება „ორი სიზმრის“ ავტოგრაფის შავი პირი. მას განსხვავებული ხელით მიწერილი აქვს: „ივერია“, 1905, 16 მარტი, №18. ახალი რედაქცია“. მართლაც, ნაბეჭდ ტექსტსა და აღნიშნულ ავტოგრაფს შორის რედაქციული სხვაობაა.
ძირითად ტექსტად მივიჩნიეთ ნაბეჭდი, რომლის დედანი ამჟამად დაკარგულად ითვლება, ტექსტების შედარება ცხადყოფს, რომ აკაკიმ დაიწუნა თავდაპირველი ვარიანტი (რომელიც ავტოგრაფმა შემოინახა), შეცვალა და ისე დაბეჭდა „ივერიაში“. ტექსტი გადამუშავებულია არა მარტო სტილური თვალსაზრისით, არამედ შინაარსობრივადაც.
ხსენებული ხელნაწერის ტექსტს მკითხველს ვთავაზობთ სრული სახით იმგვარად, როგორც დაიბეჭდა თხუთმეტტომეულში (იხ.: თსკ. ტ.VIII.1958, გვ.362-367). ტომის რედაქტორი იყო გ. აბზიანიძე. მასვე ეკუთვნის ტექსტში ჩართული სარედაქციო შენიშვნები.

**ორი სიზმარი**

„გული წმინდა დაბადე ჩემთან, ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსაო,“ – შეჰღაღადა ზეცას დავით წინასწარმეტყველის პირით სიბერემ. მაგრამ ვაი, რომ კუკური მეორედ აღარ იფურჩქნება და ახალგაზდობა არ გახელმეორდა!.. მგოსნების თქმისა არ იყოს, თაფლზე უტკბესო და ბროლზე უსპეტაკესო ახალგაზრდობავ! შენი ფასი მხოლოდ მოხუცებულობამ იცის, მაგრამ გვიანღა არის: აწმყო წარსულს ვეღარას არგებს, წარსული აწმყოს აღარ ეხმარება! და მზიან-ჩრდილში (გადახაზულია: „ანუ მკვდრის მზეში“. რედ.) დაშთენილ მოხუცს, გადასულის მოგონება, სითბო გამოლეულ მკვდრის მზეს აყენებს!.. ეჰ, რა გაეწყობა!! ესეც კიდევ ღვთის მოწყალებაა!!

გიმნაზიაში ვიზრდებოდი. თანშობილ ნიჭს სიმრთელემა და მეცადინეობამ ხელი შეუწყო და ტოლ-ამხანაგებში ვერჩეოდი. უფროსები კარგის თვალით მიყურებდენ, მოწაფეებს ვუყვარდი და მეც ცა და ქვეყანა ვარდისფრათ მესახებოდა. ქება-მოწონებით გადავდიოდი კლასიდან კლასში და მომავალი ბევრს კარგს მიქადდა. თუ მოწაფეს მოძღვარი არ უყვარს ეს უეჭველია, უკანასკნელის ბრალია: სჩანს, ვერ ჩაუხედნია ყმაწვილის გულში!.. ნორჩი გული მარტო სიყვარულის ბუდეა: ძვირსა და არამს ადვილად არ უღებს კარს და თუ გაუღო, უეჭველია, მეტი გზა აღარ ჰქონია. მადლობა უფალს, ჩვენ ამგვარი რამ არა გვჭირვებია!.. უფროსები გვიყვარდა და ერთ მათგანს კიდეც ვეთაყვანებოდით. ის იყო ახალგაზრდა ისტორიის მასწავლებელი. მისი გაკვეთილები ჩვენთვის სალიტანიო დღესასწაული იყო. უკანასკნელი მოწაფეებიც კი სცდილობდენ, რომ მის საგანში კარგი ნიშნები მიეღოთ. ალექსეი პეტროვიჩი ყველა მოწაფის გულში იჯდა. მისი სახელი ენაზე გვეკერა ყველას!.. რუსეთის ისტორიას გვიკითხავდა და ეს საზოგადოთ ხმელი რამ გაგვინელდა... და როცა მივიდა „მანგოლების ხანამდე“, მაშინ კი სამგლოვიაროთ გაიმსჭვალა და ჩვენც ჩაგვითრია: თვალცრემლიანი ათრთოლებულის ხმით გვიამბობდა, თუ რა დღე დააყენა ბარბაროსობამ საქრისტიანო რუსეთს ორასის წლის განმავლობაში. ჩვენც, პატარები, სმენად ვიყავით გადაქცეული და რუსეთის მწარე თავგადასავალი მძიმე ლოდად გვაწვებოდა გულზე. ცოტა კიდევ და მზათ ვიყავით ყველას ერთად ჩვენც ქვითინი დაგვეწყო!.. მაგრამ თითქოს ავდარში მზემ გამოიჭიატაო, ღრუბელი გადაეყარა ლექტორის სახეს, გაუბრწყინდა პირი, აუპრიალდა თვალები და გადავიდა „კულიკის მინდორზე“. აჰა, წინ წამოდგა შეუპოვარი გმირი დიმიტრი დონელი, მას გვერდში უდგას და ამხნევებს ბიძაშვილი ანდრია ტვერელი, მხარს აძლევენ წვრილფეხი თავადები, იკრიბება ყოველი მხრით... გროვდება ჯარი, მეუდაბნოე სერგი ლოცვა-კურთხევას მიჰმადლებს ქრისტეს მხედრობას. ერთი მხრით ნაღარა იწვევს მეომართ. მეორეთი ბუკი შეჰბღავის სადასტუროთ და გაიმართება ბრძოლა. ბატონობით გათამამებული და გამარჯვებით გამხნევებული თათრობა რიცხვით ჰმეტობს მონობით დაჩაგრულსა და ერთმანეთში უთანხმოებით გულგატეხილ რუსობას... მაგრამ მაინც აქ უნდა გადასწყდეს დღეს ბედი და უბედობა საქრისტიანო რუსეთის!.. აღგზნებული და თავგამეტებული რუსები, ყველა ერთად შეჰუტევს და მიაწვება გრიგალივით თათრის ჯარს, მაგრამ გამოცდილი სარდალი მამაი მხოლოდ ნახევარ-ჯარს მიაგებებს (გადახაზულია: „მიუშვებს“. რედ.) საომრად და როდესაც შეატყობს მტრებს დაღალვასა და დაქანცვას, მაშინ მიუსევს დასვენებულსა და დაუღალავ მეორე ნახევარსაც. ცუდად არის რუსების საქმე: სურვილს ძალი აღარ შესტანს, შეჩერდა და მხოლოდ ერთი ვიღაც უცხო რაინდი, თეთრცხენზე მჯდარი შუბით ხელში, მიაქროლებს (გადახაზულია: „მიმოაქანებს“. რედ.) თავის მერანს ყოველი მხრით და სადაც კი გაჩნდება მოულოდნელათ ზარი და მეხი თან შეაქვს მტრის რაზმში. მიუბრუნდება გონებამახვილი ანდრია ტვერელი გულგატეხილ ქრისტიანობას, მიუთითებს



თეთრცხენოსანზე და დაიყვირებს: „დიდ ხარ შენ უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი! „ქრისტეს (გადახაზულია: „მეომარნო“. ) მიერ მეომარნო! ვერა ხედავთ წმინდა გიორგის, განგებას რომ ჩვენ მომხრეთ მოუვლენია?!. ჰკა მაგასო! დასძახა და შეუტია მტერს, მიჰყვა შემკრთალი ჯარიც და, უძლეველი ხარ სარწმუნოებავ! გამოჰგლიჯეს მტრებს ძლევამოსილობა! ნიშნად სიხარულისა, გაისმა გამარჯვებულთა „ურრა“. – ჩვენც ისე ვიყავით ამ ამბით გატაცებული, რომ თავი ველარ შევიმაგრეთ და დავსძახეთ „ურრა“.

მასწავლებელი სიცილით გამოგვეთხოვა. კლასი თურმე დიდი ხნის გათავებული იყო. მოსწავლეები წასულ-წამოსულიყვნენ თავთავის სახლში, მაგრამ ჩვენ კი მაინც დიდხანს არ ვიცვლიდით ფეხს: ისე ვიყავით მოხიბლული იმ ამბით, რომ გვინდოდა გაგვეჩაღებია და გადაგვეხადა მანგოლ-რუსების ომი!.. ძალიან გვსურდა, მაგრამ ყველა ჩვენგანი იმ დროს რუსად გრძნობდა თავს და მანღოლი აღარსად იყო!..

რა დაგმართნია, შვილო? ეგრე რამ გაგაყვითლა? რად დაგაგვიანდა? ხომ არ გაგწყრომიან? – დამეკითხენ მშობლები, შინ რომ დავბრუნდი. მე ყოლიფერი ვუამბე, რაც იყო. მამამ გაიცინა და მითხრა: ეგეები ყოლიფერი ჩვენ გამოგვიცდიაო! გადმოიღო საწიგნიდან პატარა წიგნაკი, ქართული ისტორია და მომცა ხელში. წაიკითხე, როცა მოიცალოო. უგემურად, ფაცაფუცით გავათავე სადილი. ნასადილევს ჩავუჯექი ქართულ ისტორიას, დავაკვირდი მამის ნაჩვენებ ადგილს!.. ღმერთო ჩემო! რა გავიგე? იქაც და აქაც ერთი და იგივე მოვლინება?! იქაც მანღოლების მედიდურობა და ქრისტიან რუსების შემუსვრა, აქაც იგივე ბარბაროსობაა და დევნა ქართველების!.. იქ, ცხრა მთას იქით, რუსების თავდადება ეროვნობის და ქრისტიანობის გულისათვის და აქაც, ცხრა მთას აქეთ, იმგვარივე თავგაწირვა და გამარჯვება. იქ სერგი და აქ კათალიკოსი მცველი და მაკურთხეველი მეომართა! სახელებიც რომ ერთი და იგივეა? იქ დიმიტრი დონელი და აქ დიმიტრი თავდადებული; იქაც ვიღაცა თეთრცხენოსანი წმინდა გიორგით მიღებული და აქაც! – მიუწდომელია განგება!.. სჩანს, რომ ღმერთს იმ თავითვე ნდომებია ძმურად შეკავშირება ამ ორი სხვადასხვა ტომის მართლმადიდებლის, ქართველისა და რუსის!.. ვფიქრობდი გუნებაში მთელი დღე და ღამე. მამალმა იყივლა, რომ მე კიდევ, რუს-ქართველობით გატაცებული, ტკბილ ოცნების მორევში ვსცურავდი. გათენებისას (გადახაზულია: „გათენებისას“. რედ.) ჩამეძინა და ვნახე სიზმარი: ბრწყინვალე ტახტზე, ნათლით მოსილი ზის მაცხოვარი. ორი გვირგვინოსანი: დიმიტრი თავდადებული და დიმიტრი დონელი შედგომიან ჯვარს, რომ მიიტანონ და დაასვენონ ქრისტეს წინაშე. ორივე მხრით მისდევენ მათ გუნდი ქართველთა და რუსთა. ერთი ჰგალობს: „უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა ვისა მეშინოდეს“? მეორე ხმას უთანხმებს: „აღსდეგინ ღმერთი და განიბნინედ ყოველნი მისნი!“ მაღლით, ჰაერით უჩინარი ძალი ბანს ეუბნება! საკვირველია!.. ხმა სხვა და სხვაა, კილოც თავ-თავისი, მაგრამ ჰარმონია კი ერთია: ციური და სულში ჩამძრომი. მაცხოვარი აკურთხებს მათ და ბრძანებს:

აი, რად ყოფილა და რა ყოფილა სასუფეველი! დავიძახე და გამომეღვიძა. ისეთ გუნებაზე ავდექი, რომ (გადახაზულია: „მეტი“) უკეთესი აღარ შეიძლებოდა. ჩაცმის დროს, ლოცვის წინეთ, ყველგან და ყოველთვის რუსები მებლანდებოდენ, მათი სიყვარულით გამსჭვალულს. იმ დღეს ადრე მივედი გიმნაზიაში, ჯერ სხვები არ მოსულიყვნენ. ცოტა ხნის ლოდინი საუკუნოდ მეჩვენა. მეჩქარებოდა, (გადახაზულია: „ჩემი სიხარული“. რედ.) ჩემი აღტაცება ამხანაგებისათვისაც გადამეცა და სიხარული გამეზიარებია. ვიცოდი, რომ ისინიც ჩემსავით აეგზნებოდენ, და მართლაც, რომ მომისმინეს, მათ აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა. „მივახაროთ! მივახაროთ! შევატყობინოთ ეს ამბავი ალექსეი პეტროვიჩსაცო! – ჰყვიროდენ მოწაფეები, – ერთი კიდევ ვნახოთ გუშინდებულათ აჭიკჭიკებულიო“. მართლაც, შემოვიდა თუ არა, ყოლიფერი გადავეცით, მაგრამ იმას წარბიც არ შეუხრია! ცივად გვიპასუხა: „ტყუილი იქნებაო!“ და საბუთიც რომ წარვუდგინეთ, „სისულელეა!“-ო ჩაიბუტბუტა… მიიბრუნა პირი და გადაგვიყვანა პირდაპირ გაკვეთილებზე.

გავკვირდით!.. ვიფიქრეთ, დღეს გუნებაზე არ არის და (გადახაზულია: „სხვიმის“. რედ.) სხვამის იყოს-თქო. ის მართლა ავადმყოფს ჰგავდა. ისე გათავდა კლასი, რომ ჩვეულებრივად ჩვენთვის აღარც კი შემოუხედნია. გავიდა თუ არა, მაშინვე შემოვიდა ჩვენი მეთვალყურეც, გამოგვკითხა ყოლიფერი და ჩამომართვეს ქართული ისტორია. დამიბარეს კანცელარიაში. იქ ყველანი მწყრალად დამიხვდენ. „რა ჩაგიდენიაო?“ – მკითხა მრისხანეთ დირექტორმა.

– ცუდი არაფერი მეთქი! – მოვახსენე.

– როგორ თუ არაო – შემომიძახა ინსპექტორმა – მაშ, ეს რა არის?

– ქართული ისტორია, სადაც იგივე ამბავი სწერია მანღოლების და ქრისტიანების შესახებ, რომელსაც ალექსეი პეტროვიჩი ისეთის აღტაცებით გვიამბობდა გუშინ!

– ეგ სულ სხვაა! – ჩამომართვა სიტყვა ისევ დირექტორმა – შენ არ იცი, რომ ქართული წიგნების კითხვა აკრძალულია? და შენ კი არა თუ ჰკითხულობ თურმე, კლასებშიაც კი მოგაქვს ამხანაგების გასარყვნელად.

– მე არ ვიცოდი, თუ აკრძალული იყო!.. მამამ მიჩვენა…

– მამამ!.. მამა… არ იცი, რომ სასწავლებელში მიტომ შემოგვყევხართ, რომ მამაც დაივიწყოთ და პაპაც! თქვენი მშობლები აქ უნდა ეძიოთ!.. შენი ბედი, რომ ჯერ არაფერში ყოფილხარ შენიშნული!.. ეს დამნაშავეობა პირველია და მიტომაც ახლა აღარას გერჩით, მაგრამ დღეიდან კი ფრთხილად იყავ. გესმის?!. გასწი, გაეთრიე!.. შიშით დამფრთხალი, ჯავრით წელმოწყვეტილი ძლივს გამოვედი ბარბაცით გარეთ. კლასში ამხანაგები მომცვინდენ; გამომკითხეს, რა იყოო? მაგრამ ჩემი არ იყოს, იმათაც ვერა გაიგესრა: ან უფროსებს რა აჯავრებდა? და ან ჩვენ რა დავაშავეთ?..

იმ დღიდან ამითვალწუნეს. დამიწყეს ცუდის თვალით ყურება უფროსებმა და მეც ჩემს ქერქში ველარ ვრჩებოდი!.. ბევრს ვფიქრობდი და ვერას



ვარკვევდი. – ერთხელ რომ შემატყო, თავის ხასიათზე აღარ არისო, მიმიხმო საღმრთო რჯულის მასწავლებელმა. „ბათუშკამ“ და გამომკითხა მიზეზი. მეც, როგორც მოძღვარს, გადავუშალე გული. ღმერთმა უშველოს, დიდი თანაგრძნობა გამიწია… მომეფერა და დამარიგა: შვილო, შენ ჯერ იმ წლოვანებაში ხარ, რომ შენდათავად ბევრს ვერას გამოირკვევ, ვერ მიხვდები და მიტომაც უფროსებს უნდა ემორჩილებოდე და უჯერებდე, ამას თვით ღმერთი გვიბძანებს, მაცხოვარი და მოციქულებიც გვირჩევენ. აი, სახარება, წაიღე და, როცა გაკვეთილებს მოამზადებ, იკითხე ხოლმე და ღმერთი კარგს გუნებაზე დაგაყენებსო. მითხრა, გადამისვა, როგორც შვილს თავზე ხელი და გადმომცა სახარება. ბევრი ვიკითხე და ვერა გავიგე რა, ერთს სიტყვას რომ მივხვდებოდი, ორი გაუგებარი იყო და წამდაუწუმ ვეხვეწებოდი მამას, რომ აეხსნა ჩემთვის. ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა მითხრა: რა დაგემართა, შვილო?.. თუ აღარ მომასვენებ, როგორ იქნება?.. გაუგებარ სლავიანურზე რომ არ იკითხო… ქართულად იკითხე, შვილო! – მე გეტყვი, გაგება გაგიჭირდება!.. ვენაცვალე, ღვთის მადლსა და სასწაულს!.. წმინდა მამების ნათარგმნია და მთაწმინდელების გადასწორებული, ღვთის მადლით იყვნენ ისინი გაბრძნობილი და მათი თარგმანიც სამარადისო სასწაულის ნიშნად (გადახაზულია: „გადმოგვეცა“. რედ.) გადმოეცა საქრისტიანო საქართველოს. როგორც ზეციური ჭეშმარიტება, ისე ამ ჩვენი საღმრთო წერილის ენა მის დღეში არ დაძველდება!.. დღესაც ისე ყველასაგან ადვილად გასაგებია, როგორც ამ ათას ხუთას-ათას ექვსასის წლის წინეთო.

იმ დღიდან მეც მოვჰკიდე ხელი ქართულ სახარებასა და სამოციქულოს (გადახაზულია: „მივ“) და მართლაც რომ გული ნელ-ნელა დამიმშვიდდა.

ერთხელ კლასში ლაპარაკი ჩამოვარდა სახარებაზე და „ბათუშკამ“ მკითხა: სად არის შენი სახარებაო? მეც გავუტანე და ვუჩვენე, გამომართვა, გადაატრიალა, გადმოატრიალა; მიაბრუნა, მოაბრუნა, დაჭყიტა თვალები; (გადახაზულია: „ნენ“) ერთი აენთო თორნესავით, სტყორცა კედელს სახარება და დაიღრიალა:

„ეს სადაური სახარებაა?!. მე შენ გირჩიე, ჩვენი წმინდა სახარება გეკითხა და არა ძაღლების ენით ნაწერიო“! ეს მოულოდნელი და წარმოუდგენელი სიტყვები მემსჭვალენ გულში!.. შევჰკრთი!.. გავშეშდი… დიდხანს ხმა ველარ ამოვიღე და ისარნაკრავივით გამოვარდი კლასიდან. როდის და როგორ მივედი სახლში, აღარ მახსოვს. დავემხე პირქვე საწოლზე და დავიწყე თურმე ქვითინი. თავზე მადგენ მშობლები და მეკითხებოდენ: რა იყო, შვილო? რა მოგივიდა? რა გატირებსო? ჩვენი… ენა თურ… მე ძაღლის ენა…ყო… ყოფილა და ჩვენი… სახ…არება უწმინდური!.. ამოვისლოკინე, გულამომჯდარმა. უი, შენს დედას! დაიკივლა დედაჩემმა და მომაფარა ხელი ტუჩებზე. – რას ამბობ მაგას? რამ (გადახაზულია: „ვინ“) გათქმევია ეგ სალავათიო?

– მე კი არ ვამბობ, „ბათუშკამ“ გვითხრა.

– ვინ არის ეგ „ბათუშკა“? თათარია? თათრული ენის მასწავლებელი?

– არა! დეკანოზია, საღმრთო რჯულის მოძღვარი.

– და იმან სთქვა ეგა? ტყუილია, შვილო! ის სხვას იტყოდა რასმე და თქვენ ვერ გაიგებდით.

– განა მარტო ის ამბობს? ამას ხშირად სხვებიც იმეორებენ თურმე, მაგრამ ჩვენთვის კი ამის მეტად არავის უთქვამს.

– ხუმრობენ, შვილო! მაგრამ მაინც რჯულის გმობაა მაგნაირი ხუმრობა და შენ როდი უნდა წააცდენიო შენს პირს მათი ნათქვამი.

– რა ხუმრობაა სახარების გასროლა და კედელზე მინარცხება, ფურცლებმა აქეთ-იქით ფრიალი დაიწყეს!.. – ვამბობდი მე მაინც ჩემსას.

დედ-მამამ ერთმანეთს შეხედეს და დიდხანს ხმა არ ამოუღიათ. ბოლოს მიუბრუნდა მამა დედას და სთქვა: ელენე! ამ ბავშს სასწავლებელში ნუღა გავგზავნით! მართალია, უსწავლელობა დიდი უბედურობაა, მაგრამ სულითა და ხორცით დაღუპვას ყოლიფერი სჯობია!.. დედის ერთაა, სალდათათ მაინც არ წაიყვანებენ და, როგორმე სხვა გზაზე დავაყენოთო!.. გავიდენ ოთახიდან. მე დავრჩი მარტო. ჩავეფალი საგონებელშიდ. როგორ? ნუთუ ის ენა, რომლითაც ავრცელებდა ქრისტიანობას წმ. ნინო და ჰქადაგებდენ ჩვენი წმინდა მამები, ძაღლის ენაა?!. ის ენა, რომლითაც შეჰღაღადებენ წამების დროს ჩვენი მოწამეები და ის ენა, რომელზედაც აგერ ათას ექვსას წელზე მეტია გაისმის ღვთის მსახურება... წირვა-ლოცვა... უწმინდურია?! ღვთისათვის უსიამო და ჩვენ კი დღემდისაც ვერ შეგვიგნია ეს? ამდენი ტანჯვა, შრომა და აუარებელი მსხვერპლი სულ ტყუილი ყოფილა? ამაოამაოთა?! ვფიქრობდი და გული თანდათან მევსებოდა ნაღვლით. დავიქანცე, დავიღალე და ბოლოს ძილიც მომეკიდა. ვნახე (გადახაზულია: „ვნე“. რედ.) სიზმარი: ჰაერში გაისმის რაღაც ყეფა და ერთმანეთზე მისისან-მოსისიანება. იმ ადგილას, სადაც წინეთ იჯდა მაცხოვარი, საფირის ტახტზე, დამჯდარა ანტე-ქრისტე; მარჯვნივ და მარცხნივ, გვერდში, უდგიან კაენ და იუდა და მათ, როგორც სარდლებს, თან ახლავან რაზმები. ღმერთო ჩემო! ამ რაზმებში ხომ ყველა ჩემი ნაცნობები არიან?! მაგრამ არ მაგონდება კი, მაშინ რა ერქვათ? ძველი ტაძრები დაუნგრევიათ და ნაცვლად ბომონები აუგიათ!.. ქურუმები წამომდგარან და მსხვერპლს მოითხოვენ. ამ ქურუმების სახე მეცნობა, მხოლოდ სამოსელი გამოუცვლიათ. ქრისტეს მსახურება გადაუტანიათ ანტექრისტეს მონებაზე. ესენი ვინღა არიან, დანა რომ დაუჭერიათ ხელში და ყმაწვილები მიჰყავთ დასაკლავად, კერპების სამსხვერპლოდ? როგორღაც მემცნობიან: ბიჭოს! ესენი ხომ აღმზრდელები არიან საზოგადოდ და მათ რიცხვში ჩვენიც! ეს სამსხვერპლო ზვარაკებიც ხომ ახალთაობაა და მათში ჩემი ამხანაგებიც? ვხედავ: სული მეხუთება! უცბად იელვა, დაიქუხა და გავარდა მეხი. ქვესკნელში ჩაჰყავს ანტექრისტე. ინგრევიან ბომონები, ათრთოლდენ ქურუმები, აცახცახდენ აღმზრდელები და ყველა ერთად ემხობა პირდაღმა. შორით მოსჩანს ნათლის სვეტი და წინ მიუძღვის იესო (გადახაზულია: „ქრისტე“. რედ.) მაცხოვარს, მიმავალს განსჯად ცოდვილთა და მართალთა!..

აკაკი.



**112.**3 **„გული წმინდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსაო“ –** ფრაგმენტი ზიარების წინ წასაკითხი ლოცვებიდან; კერძოდ, 50-ე ფსალმუნიდან.

**112.**32 **„მამაის ბრძოლამდე“** — მონგოლი მხედართმთავარი, „ოქროს ურდოს“ ფაქტობრივი მმართველი XIV საუკუნეში.

**112.**32 **თავადი დიმიტრი დონელი –** მოსკოვისა და ვლადიმირის დიდი თავადი. დონელი ეწოდა მას შემდეგ, რაც ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა თათარ-მონღოლთა წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში კულიკოვოს ველზე. დიმიტრი დონელის სახელი რუსული სამხედრო დიდების სიმბოლოა.

**112.**32-33 **„წინ წამოდგა დიდი მთავარი დიმიტრი დონელი, გვერდში უდგას მისი ძმა ანდრია ტვერელი“ –** აკაკი ცდება. დიმიტრი დონელს ერთადერთი ნახევარძმა ჰყავდა, სახელად ივანე, ზვენიგოროდის მთავარი. ის კულიკოვოს ბრძოლაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, რადგან ჯერ კიდევ 1364 წელს ემსხვერპლა შავი ჭირის ეპიდემიას. ისტორიული წყაროების თანახმად, ტვერელები მართლაც იღებდნენ ბრძოლაში მონაწილეობას ივანე ვსევოლოდის ძის მეთაურობით, ხოლო ერთადერთი მხედართმთავარი, რომელსაც სახელად ანდრია ერქვა, იყო ლიტველი თავადი ანდრია ოლგერდოვიჩი. იგი ჯარის მარჯვენა ფლანგს ხელმძღვანელობდა.

**112.**34 **მეუდაბნოე სერგი –** ბერი. მოსკოვის მახლობლად სამების ლავრის დამაარსებელი. რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანი (ხსენების დღე – 5 ივლისი და 25 სექტემბერი). სერგი რადონეჟელის ცხოვრების მიხედვით, წმინდანთან მივიდა დიდი მთავარი დიმიტრი დონელი და დალოცვა სთხოვა. მთავარმა იცოდა, რომ სერგი ნათელხილვის უნარით იყო დაჯილდოებული და სურდა გაეგო, შეძლებდნენ თუ არა თათარ-მონღოლთა არმიის დამარცხებას. მამა სერგიმ აუწყა, რომ თუ ღმერთი შეეწეოდა, აუცილებლად დაამარცხებდა მტერს და თავადაც უვნებელი დარჩებოდა. მოგვიანებით, როცა უშუალოდ დადგნენ მოწინააღმდეგეთა ჯარები პირისპირ და რუსებს შიშის ზარი დასცა მონღოლთა სიმრავლემ, მაცნემ დიმიტრი დონელს გადასცა მამა სერგის წერილი, რომელშიც წმინდანი ამბობდა, რომ მას უსათუოდ შეეწეოდა ღმერთი და რომ თამამად უნდა შებრძოლებოდა ურჯულოებს. არსებობს ვერსია, რომ მამა სერგიმ დიმიტრი დონელი დალოცა არა კულიკოვოს, არამედ1378 წელს მდ. ვოჟზე გამართული ბრძოლის წინ. სერგი რადონეჟელი ითვლება მოსწავლეთა მფარველად.

**113.**20 **„და სიხარულის ხმა გაისმის „კულიკის ველზე“ – დიმიტრი დონელის მიერ გადახდილ ბრძოლათაგან ყველაზე მასშტაბურად ითვლება** 1380 წლის კულიკოვოს ბრძოლა, რომელშიც რუსეთის ლაშქარი დაუპირისპირდა თათართა ურდოს მამაის წინამძღოლობით.

**114.**12 **არსენ კათალიკოსი** – დემეტრე თავდადებულის დროს კათალიკოსი იყო არა არსენი, არამედ აბრაამ I (1280-1310).

**114**.15 **დიმიტრი თავდადებული – დემეტრე (დიმიტრი) II**, თავდადებული. 1259-1289), საქართველოს მეფე 1270-1289 წლებში. მას 1289 წლის 12 მარტს ყაენის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს მოვაკანში. ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მეფე დემეტრე წმინდანად შერაცხა.

**116**.27 **„აიღე ქართული სახარება და ის იკითხე! ღვთის მადლით, ის პირველ საუკუნეებშივე გადათარგმნილია წმინდა მამებისაგან...“** – ქართულ ენაზე ძველი და ახალი აღთქმის წიგნების თარგმნა IV-V საუკუნეებიდან იწყება და გრძელდება IX-XII საუკუნეებში (ხანმეტი სახარება და ძველი აღთქმის წიგნები – V-VII ს.ს., ადიშის ოთხთავი – 897 წ., ჯრუჭის ოთხთავი –936-940 წწ., ოშკური ანუ ათონის ბიბლია –978 წ., გიორგი ათონელის კანონიკური თარგმანი – XI და გელათის ბიბლია – XII ს.). სახარება-ოთხთავები ქართული მწერლობის ყველაზე მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლია. ადრეული პალიმფსესტები შეიცავენ სახარების ტექსტებს. სახარება, ანუ ევანგელე იხსენიება ჩვენამდე მოღწეულ ყველაზე ადრეულ ქართულ ორიგინალურ თხზულებაში „შუშანიკის წამება“. არსებობს სახარების ხანმეტი, საბაწმინდური და გიორგი მთაწმიდელისეული ვერსიები. გიორგი მთაწმიდელის შემდეგ სახარების ტექსტის გადმოღება სცადეს ეფრემ მცირემ და იოანე პეტრიწმა, მაგრამ ამ თარგმანებმა ვერ გაუწიეს მეტოქეობა გიორგი მთაწმიდელისეულ სახარებას. რაკიღა ეს შრომები ამა თუ იმ ვიწრო მეცნიერული – ფილოსოფიურ-თეოლოგიური – მიზნით იყო შესრულებული, საყოველთაო მოსახმარებლად არც გავრცელებულა და ჩვენამდეც თითოოროოლა ცალმა მოაღწია.

**118**.8 **„ის ენა, რომლითაც მოციქულთა-სწორი, წმინდა ნინო ქადაგებდა და ავრცელებდა საქართველოში ქრისტეს მცნებას...“** – წმინდა ნინოს ცხოვრების ტექსტის თანახმად, ქალწულს ფარავნის ტბასთან ხილვა ჰქონდა, რომლის დროსაც შეწუხებულმა აღნიშნა, რომ არ იცის ქართული ენა. დეკანოზ არჩილ მინდიაშვილის აზრით, უფლის ნებით ნინოც ქართულად ამეტყველდა, როგორც ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და მოციქულები. თუ გავიხსენებთ ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას სხვადასხვა ქვეყანაში, ვნახავთ, რომ ქადაგება ყველგან აბორიგენი მოსახლეობის მშობლიურ ენაზე ხდება. ამდენად, სავარაუდოდ, წმინდა ნინოც უნდა ამეტყველებულიყო ქართულად, რათა უფლის მიერ დაკისრებული მისიონერული მოვალეობა აღესრულებინა.

**118**.21 **იუდა** – ქრისტეს 12 მოწაფეთაგან (მოციქულთაგან) ერთ-ერთი. იუდა ისკარიოტელმა 30 ვერცხლის ფასად გასცა იესო ქრისტე და შეაპყრობინა იუდეველთა მღვდელთმთავრებს, რომაელთაც რომელების დახმარებით იგი ჯვარს აცვეს.

**118**.21 **კაინი (კაენი)** – ადამისა და ევას უფროსი ვაჟი. პირველი ადამიანი, რომელმაც ძმის სისხლი დაღვარა.



**ბეშტია და ბენია (გვ. 119)**

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. „ხუმარა“, 1907, №1.
ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ტელეფონით.
თ ა რ ი ღ ი: [1907]
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.
მოთხრობა თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

პოეტი იოსებ გრიშაშვილი, რომელმაც აკაკი წერეთლის ჟურნალ „ხუმარას“ სპეციალური წერილი უძღვნა, წერს: „აკაკიმ თავის „ხუმარაში“ პირველად გააცოცხლა ორი ქართველი ხუმარა – ბენია და ბეშტია, მსგავსად „კვალში“ დახატულ იანვარასა და გოჯასპირისა. აკაკიმ ბენიას და ბეშტიას მონოლოგებში გადაიტანა მაშინდელი ყოველ-დღიური მტკივნეული საკითხები“ (გრიშაშვილი, ი., ლიტერატურული ნარკვევები. თბ.: 1957, გვ. 467). ბენიას შესახებ ცალკე წიგნაკიც არის გამოცემული 90-იან წლებში (ჭიჭინაძე, ზ., ბენია, ქართველთ მეფეების ხუმარა. თბ.: 1898).

აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის (თხუთმეტ ტომად) VIII ტომში შეტანილია ორი პატარა პროზაული თხზულება „ბენია და ბეშტია“ და „ბეშტია და ბენია“. ორივე მათგანის პასპორტში მითითებულია, რომ ტექსტები გადმობეჭდილია გაზ. „ხუმარადან“ (1907, №1). ხსენებულ გაზეთში კი მხოლოდ „ბენია და ბეშტიაა“ დაბეჭდილი, მეორეს, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ვერსად მივაკვლიეთ. „ბეშტიასა და ბენიას“ ტექსტი მაინც წარმოვადგინეთ წინამდებარე გამოცემაში. ვფიქრობთ, თხუთმეტტომეულის შემდგენლებს ხელთ სანდო წყარო რომ არ ჰქონოდათ, ხსენებულ თხზულებას არ დაბეჭდავდნენ.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამავე 1907 წელს გამოცემულ იუმორისტულ გაზ. „მასხარაში“ (გაზ. „მასხარა“,1907, №1) კიდევ ერთ ტექსტს მივაკვლიეთ „ბენიასა და ბეშტიას“ ციკლიდან, რომელსაც ხელს „ალქაჯი“ აწერს. მართალია, ეს სრულიად სხვა ნაწარმოებია და აკაკი წერეთლის თსკ-ის VIII ტომში დაბეჭდილ „ბენიასა და ბეშტიასთან“ სიუჟეტურად საერთო არაფერი აქვს, მაგრამ შესაბამისმა კვლევამ სამომავლოდ შეიძლება დაადასტუროს, რომ ეს ახლად გამოვლენილი თხზულებაც აკაკის კალამს ეკუთვნის.

**119**.4 **„ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკი გამოუტყდა საურთიერთო ნდობის ბანკს...“** – ქუთაისში საადგილმამულო ბანკის დაარსების ისტორია 1866 წლიდან იწყება. 1873 წელს უკვე შედგენილი იყო ბანკის პროექტი, რომელიც ნიკოლოზ ღოღობერიძემ მოამზადა. ბანკი ოფიციალურად 1876 წელს გაიხსნა. მას გამგეობა მართავდა, პირველი თავმჯდომარე კი ბესარიონ ღოღობერიძე გახდა. ბანკი 1921 წლამდე ფუნქციონირებდა.

**საურთიერთო ნდობის ბანკი** – ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ბანკი; 1901 წლიდან ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს საურთიერთო ნდობის ბანკის“ თავმჯდომარე კიტა აბაშიძე იყო, შემდეგ კი საბჭოს თავმჯდომარის, გიორგი ზდანევიჩის, მოადგილე გახდა. როგორც თანამედროვენი ამბობენ, აკაკისა და კიტა აბაშიძეს შორის ურთიერთობის გაფუჭება სწორედ „საურთიერთო ნდობის ბანკს“ უკავშირდება. 1910 წელს, როცა ჯერ კიდევ კიტა აბაშიძე იყო ბანკის თავმჯდომარე, აკაკიმ თხოვნა შეიტანა ყოველთვიური პენსიის დანიშვნის თაობაზე. კიტას უთქვამს: აკაკის ჭიათურის შავი ქვის აღმოჩენის გამო პენსია უეჭველად ეკუთვნის, მაგრამ ბანკს პენსიის დანიშვნის უფლება არ აქვს, ფინანსთა მინისტრი უარს იტყვის, განცხადება შავი ქვის მრეწველთა საბჭოში გადავიტანოთ და ყველაფერი რიგზე იქნებაო. სამწუხაროდ, აკაკიმდე ამ ცნობამ მავანთა ძალისხმევით, დამახინჯებულად მიაღწია.

**119.9 „თუ კი რუსეთმა ვარიაგებს მიმართა და მეფე მოითხოვა, ჩვენც რომ ქალაქის თავი ტფილისიდან გამოვიწეროთ, რა ცოდვა იქნებაო“** – რუსული ისტორიულ წყაროებში, კერძოდ, „გარდასულ დროთა მოთხრობაში“, მემატიანე რუსული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას უკავშირებს ვარიაგთა მოწვევას ნოვგოროდში. XVIII საუკუნეში ამ გადმოცემის საფუძველზეა შექმნილი რუსული სახელმწიფოს დაარსების ე. წ. ნორმანული თეორია.

### ნამდვილი ამბავი (I) (გვ.121)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი K-87, გვ. 21v-27r (B).
ნ ა ბ ე ჭ დ ი: „ჩემი ნაწერები“. წიგნი I. 1912, გვ. 26-36 (A).
თ ა რ ი ღ ი: [1909]
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.
თარიღდება სერგო ბახტაძისადმი მიწერილი წერილისა და ტექსტის მონაცემების მიხედვით.

**121.2 „ამ სამი წლის წინად ბორჯომში ერთი გლახა დაიარებოდა...“ –** მოთხრობა, მართალია, 1912 წელს გამოქვეყნდა, მაგრამ გაცილებით ადრე უნდა იყოს დაწერილი. ამას ტექსტის დამოწმებული ფრაზაც ადასტურებს. სერგო ბახტაძისადმი საფრანგეთიდან გამოგზავნილ 1909 წლით დათარიღებულ წერილში აკაკი აღნიშნავს: „ოთხ-ხუთ წელიწადსაც ვერ დავწერდი იმდენს, რაც აქ ამ ერთ თვეში დავწერე:1. პოემა „ვორონცოვი“, 2. სტატიები: „ჩვენ და სომხები“, „როგორ დაარსდნენ ჩვენში ბანკები და უკანასკნელი კრებანი”, „ტრაპიზონი“ და ერთიც მოთხრობა „ნამდვილი ამბავი ახალ მოძრაობიდან” (აკაკის წერილი სერგო ბახტაძისადმი. „ცხოვრება“, 1917, №3) (დაწვრილებით იხ.: გაბოძე, ჯ., აკაკის თხზულებათა გამოცემები. თბ.: 2009,



გვ. 208-209). ვფიქრობთ, აკაკის მიერ ნახსენები „ნამდვილი ამბავი ახალ მოძრაობიდან” სწორედ მოთხრობა „ნამდვილი ამბავი“ (I) უნდა იყოს.

**121.19 „ცუდი დრო არის ახლა!.. მოძრაობაა... ადამიანი ჩალად აღარ ღირს...“ –** აკაკი ობიექტურად აღწერს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას და, სავარაუდოდ, მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ უპირველესი ქართველის, ილია ჭავჭავაძის, მკვლელობიდან ორ წელზე მეტია გასული და თავდასხმის ორგანიზატორი დ. ჯაში თავისუფლად დაიარება.

**122.23 „სკოლის ბრალია თუ ლაქიობის, არ ვიცი, მაგრამ ამ ბოლო დროს ერთგვარი ხალხი გამრავლდა ჩვენში, რომელსაც არც ღმერთი სწამს და არც კაცი! ამ გადაგვარებულებს შრომა ეზარებათ და საშოვარზე კი უჭირავსთ თვალი ოღონდ კი უშრომლად შეიძინონ რამე, - აქეთაც არიან და იქითაც. *მოძრაობის დროს ბევრი იმათგანი ტერორისტად იყო გასული და იმ დროს, როცა ნამდვილი სოციალისტები ციხეებში იყვენ გამომწყვდეული, ისინი ხალხს ატყუებდენ და სცარცვავდენ. მათი სახელით ბევრ რამეს ცუდს ჩადიოდენ და ნამდვილ სოციალისტებს სახელს უტეხდენ. სანამ დრო ჰქონდათ, იქით იყვენ და რეაქცია რომ დადგა, აქეთ გადმოვიდენ. მთავრობას მიმართეს: ზოგი სამსახურში შევიდა“* –** აკაკის ეს სიტყვები კიდევ უფრო ამყარებს ეჭვს, რომ გადაკვრით ილიას მკვლელობაზე საუბრობს. თუ გავიხსენებთ თავდასხმის მონაწილეთა ბიოგრაფიას, კერძოდ, თუნდაც გიგლა ბერბიჭაშვილისას, თითქმის ზუსტ თანხვედრას აღმოვაჩენთ.

**126.12 თეთრი წმინდა გიორგი – ახმეტის რაიონში, სოფელ აწყურის სამხრეთით, არის ე. წ. თეთრი გიორგის ეკლესია. ესაა სამონასტრო კომპლექსი, რომლის ნაწილებიც სხვადასხვა დროსაა (X-XIII; XVI და XIX–XX სს.)** აგებული. თეთრი გიორგის დღესასწაული 14 აგვისტოს (ახ. სტ. 28 აგვისტო) იმართებოდა.

**121.2** წინად] წინეთ B. 3 შესახედავი < B. ყოფილიყო] ყოფილიყოს B. 6 ხმარობდა] ჰხმარობდა B. 7 გამოსავალთან] გამოსასვლელთან B. 10 არასოდეს] არაოდეს B. 19 აღარ ღირს] არა ჰღირს B. -ში ეწერა: „რეაქციაა“ – უკანასკნელი „ა“ ავტორს გადაუხაზავს. 26 ჩავვარდებოდი] ჩავარდებოდი B. 32 დაგიგდებ] დაგიგდებთ B. 33 B -ში წერებულა: „კეთილი, ბატონი ბძანდებით“... „კეთილი“ გადაუხაზავს ავტორს. გულისნადებს] გულში ნადებს B.

**122.1** B-ში წერებულა: „ამოიოხრა“, ავტორს გადაუხაზავს სიტყვის მეორე ნახევარი „ოხრა“ და გვერდზეე მიუწერია „ხვნეშა“.

**122.3** რაც] რომ B. 5 ვყავდი] ვჰყავდი B. 10 ბრძანებას] ბძანებას B. 11 ჰკლავდენ] კლავდენ B. სწვავდენ] ჰსწვავდენ B. 12 რასაც] რაც B. 15 ყოველიფერ] ყოლიფერ B. 23 მაგისთანები] მაგისთანაები B. 24 სკოლის] სკოლების B. ბოლო] ბოლოს B. 25 გამრავლდა] გაჩნდა B. 27 თუ მოახერხეს, დღეს კაცს მოკვლენ ფულის გულისათვის ∞ დღეს კაცს მოკვლენ ფულის გულისათვის, თუ მოახერხეს B. 34 მათი სახელით < B. რამეს < B. 36 მიჰყო] მიჰყვეს B. 37 შეეძინათ] შეიძინონ B.

**123.**3 რასაკვირველია] რასაკვირელია B. 8 B-ში წერებულა: „დავბრუნებულვიყავით“. 9 ურიადნიკს] უფროს კაზაკთაგანს B. უბრძანა] უბძანა B. 16 ჩასავლელი] ჩასასვლელი B. 20 მოცვივდენ] მოცვინდენ B. B-ში „ხელი“-ს შემდეგ წერებულა „და“, რაც ავტორს გადაუხაზავს. 22 შემობღავლა]. შემოჰბღავლა B. 23 ნუ ერჩით ანგელოზია < B. 27 ცამდის] ცამდი B. 32 გავჰყევი] გამოვჰყევი B. 33 სამსახურისთვის] სამსახურისთვინ B.

**124.**1 მაგისთანები] მაგისთანაები B და < B. 3 მაგრე] მანგრე B. 7 შეძლებაც კარგი მქონდა და გამორჩენაც < B. 8 საშოვარი < B. 13 ჩემს] ჩემ B. ქალი] ქალიშვილი B. მაგრამ] მარამ B 15 ზომაზე] ზომაზედ B. 17 ყველაფერი] ყოლიფერი B. 18 უციმციმებდა] აუციმციმდებოდა B. 21 ხვდებოდა] ჰხვდებოდა B. 24 სიმძიმესო < B. 27 თვალტანად] თვალტანადათ B. ბიჭად] ბიჭათ B. 28 ვშოვულობ] ვშოვილობ B. 30 მოციქულად ნათლიდედა ∞ B. 31 თვითონ + ის B. 35 ჩავვარდი] ჩავარდი B.

**125.**2 გადაჰყოლიხარო] გადაყოლიხარო B. 3 რამეს] რასმე B. დაგეხმარებით] დაგეხმარებითო B. წავიდეთ + და B. 5 ჩვენ] ჩვენთ B. ჩვენც] ჩვენ B. 6 B-ში „გამოესარჩლე“-ს შემდეგ წერებულა „და“, რაც ავტორს გადაუხაზავს. ასევე გადაუხაზავს „და“ „გადაარჩინე“-ს შემდეგ. 7 და ისინი] ისინი B. სიძეობასაც] სიძობასაც B. 8 B-ში: „მოვიტაცოთო“ შემდეგ წერებულა „დამიჯდა“, რაც ავტორს გადაუხაზავს. 10 გადასული] გადახრილი B. 11 დაღამებამდი] დაღამებისას B. 11-12 ნიშანში ამოღებულ გლეხს] ჩემ სამოყვროს B. 12 შემოგვიტია] შემოგვიტევა B. 17 დაკარწახებულს] დაკაპიწებულს . 18 გნებავსო] გნებავსთო B. 19 გადაეხვია] მოეხვია B. დაუწყო კოცნა ∞ B. გაფითრებულმა] გააფთრებულმა B. 21 გალახულს] გადასულს B. 26 ქალმა < B. B-ში „შემომძახას“ შემდეგ წერებულა „შეგირი“, რაც ავტორს გადაუხაზავს. 28 ის მართლა ∞ B. 29 + არ ვიცი ქალის საყვედურმა მიქნა, თუ სხვამ რამემ, მაგრამ უცბათ კი B. მივვარდი] მივარდი B. 30 მივწი-მოვწიე]მივზი-მოვზიე. 32 მომიბრუნდნენ] მომიბრუნდენ B. 35 გადმოვვარდი] გადმოვარდი B.

**126.**2 იმათვე] იმათ B. 3 გაგიტანდნენ?] გაგიტანდენ? + მე B. B-ში „გაგიტანდენ“ შემდეგ წერებულა „იმათ“, რაც ავტორს გადაუხაზავს და ზემოდან წაუწერია „ისინი“. 4 ეჭირვები] ეჭირები B. გაიტანენ] გაიტანებენ B. 6 აგრე] ანგრე B. 16 გავუსვი] გაუსვი B. 24 კიდევ სადმე < B. მიდიან + სადღაც B. უნდა + თან B. 27 გამოსცვლოდა] გამოცვლოდა B. 28 დაგიფარავთ] დაგიფარაო B. 31 საყდარი] სახტარი B.

**როგორ გადაყვა თავ. გოჯასპირ თავისს ულვაშებს (გვ.127)**

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. „ეშმაკის მახე“, 1911, №12, გვ. 6-10; №13, გვ.5-6.
თ ა რ ი ღ ი: [1911]
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.



მოთხრობა თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

**127.8 გუნდა-ლახუსტაკი** – შავი საღებავი წარბებისა და წამწამების შესაღებად.

**127.**30-31 **„რიდენი რამე მეშოვნეს ქალაქსა ხატაველთასა, / იგი მეხვივნეს. მშვენოდეს...“** – ამონარიდი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან („წიგნი ტარიელისაგან ინდოთ მეფის წინაშე და გამარჯვებით შემოქცევა“).

**127.**33 **„აგრედვე: „ნაომარსა, დაკოდილსა, ხელი ყელსა ჩამოება“ და ის იყო, რომ ნესტან-დარეჯანმაც სხვათა შორის მისწერა: „მე იგი მომეც რიდენი, რომელიც წელან გშვენოდეს, რა მნახო შენცა გეამოს, შენეულადა მშვენოდეს“** – ამონარიდები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან („წიგნი ტარიელისაგან ინდოთ მეფის წინაშე და გამარჯვებით შემოქცევა“; „წიგნი ნესტან დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი“).

**128.**32-35 **„გაცვრცვნილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი,**
**ებურნეს მოშლით რიდენი ფასისა თქმად საჭირონი,**
**შვენოდეს შავნი წამწამნი გულისა გასაგმირონი**
**და მას თეთრსა ყელსა ეხვივნეს გრძლად თმანი, არუხშირონი**

– ამონარიდი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან („თინათინისაგან ათანდილის გაგზავნა მის ყმის საძებრად“.

**128.**36-37 **„დაღრეჯით იყო მჯდომარე ძოწეულითა რიდითა / ავთანდილს უთხრა დაჯდომა წყნარად, ცნობითა მშვიდითა...“** – ამონარიდი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან („თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებრად“.

**129.**6 **„უკულმართად გაიგო ანტონ კათალიკოზმა „ვეფხისტყაოსანი“. მოაგროვა ხელნაწერები, შეაჩვენა და დასწვა...“** – ანტონ I (ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი, 1720-1788), ქართველი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მწერალი, მეცნიერი, ვახტანგ VI-ის ძმის, მეფე იესესა და ერეკლე I-ის ასულის, ელისაბედის (ელენეს), ვაჟი. ანტონ I-ს მიეწერება „ვერფხისტყაოსნის“ ეგზემპლარების განადგურება, თუმცა ეს ფაქტი წყაროებით არ დასტურდება.

რასაც აკაკი გვამცნობს (**„ხალხს საარშიყოდ იტაცებს... ეშმაკის გზით მიჰყავსო!“),** უფრო შესაბამება ტიმოთე მთავარეპისკოპოსის პოზიციას: შოთა იყო „მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმიდისა წილ ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩვენსა ***უმეცართა საღმრთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი***. აღსწერა ქალისა ვისთვისმე: თვალი მელნისა, პირი ბროლისა, ღაწვი ძოწისა, და ამისა გამო დედანი საქართველოსანი ხატად ღმრთისა შექმნილსა სახისა წილ ფერადთა წამალთა იცხებენ და მიცვალებულთა თმათა მოიბენ საბრხედ სულთა“.

თავად ანტონ I შოთა რუსთველზე საკმაოდ მაღალი შეხედულებისაა და არც რადიკალურად უარყოფითი დამოკიდება აქვს მისი „თხზულებისადმი“:

„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის-მოყუარე ფრიად,
ფილოსოსფოსი, მეტყველი სპარსთა ენის,

თუ-სამ სწადოდა, ღვთის-მეტყველიცა მაღალ,
უცხო-საკვირველ პიტიკოს-მესტიხე,
მაგრა ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე“.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ანტონ I-ს, მწიგნობარსა და ღრმად განსწავლულ პიროვნებას, მართლაც გაენადგურებინა პოემის ხელნაწერები. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად (იხ.: ხინთიბიძე, ე. მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში. თბ.: თსუ გამომცემლობა. 1975), ანტონს, შესაძლოა, მიუღებლად მიეჩნია ვახტანგ VI-ის მიერ დაბეჭდილი პოემის ეგზემპლარების გავრცელება, რადგან ქრისტიანული ეკლესია კატეგორიულად გაემიჯნა მეფის მცდელობას, სალვთისმეტყველო ახსნა მოეძებნა პოემის სიუჟეტური პერიპეტიებისათვის. მის მიერ დაბეჭდილი პოემის წინათქმაში კი ვახტანგმა არაორაზროვნად მიუთითა, რომ მიზნად „ვეფხისტყაოსნის“ რეაბილიტაცია ჰქონდა დასახული: „**უცოდინარობითა** და სოფლის ნივთთა შემსჭვალვითა **სამეძაოდ სთარგმნიდნენ** მის **რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშაკევისა სამუშაკოსა**... ქვეყნის უფროსი **ავის დამშლელი ხამს**, ამად დავშვერ“.

**129.33 „1871 წელს ადგილობრივმა მთავრობამ გამოსცა უცნაური ბრძანება...“ –** 1871 წლის შემოდგომაზე საქართველოში მეორედ ჩამოვიდა იმპერატორი ალექსანდრე II. აკაკი ზუსტ ინფორმაციას გვაწვდის. წვერ-ულვაშის ტარება რუსეთის იმპერიაში მკაცრად რეგლამენტირებული იყო. ჯერ კიდევ პეტრე I-ის განკარგულების თანახმად, გლეხების, ვაჭრების, მეშჩანებისა და სასულიერო პირების გარდა, ყველას უნდა გაეპარსა წვერი. ეს ბრძანება ძალიან დიდხანს დარჩა ძალაში. 1832 წლამდე ულვაშის ტარება მხოლოდ ჰუსარებსა და ულანებს შეეძლოთ, შემდეგ კი დანარჩენ ოფიცრებსაც მიეცათ ამის უფლება. 1837 წელს ნიკოლოზ I-მა მკაცრად აუკრძალა წვერ-ულვაშის ტარება ჩინოვნიკებს, თუმცა სახელმწიფო მოხელეები ისედაც უკიდურესად იშვიათად ატარებდნენ წვერს. 1848 წელს ნიკოლოზმა გამონაკლისის გარეშე ყველა დიდგვაროვანი დაავალდებულა, პირი სუფთად გაეპარსა; არ ჰქონდა მნიშვნელობა, იყო თუ არა სახელმწიფო მოხელე. როგორც ვარაუდობენ, წვერს ის განიხილავდა, როგორც თავისუფალი აზროვნების სიმბოლოს. ალექსანდრე II-ის ტახტზე ასვლის შემდეგ კანონი ოდნავ შერბილდა, თუმცა ჩინოვნიკებს მხოლოდ ბაკენბარდების ტარების ნება მიეცათ (თავად იმპერატორიც ატარებდა ბაკენბარდებს). მიუხედავად ამისა, 60-იანი წლების შემდეგ წვერ-ულვაშის ტარება თითქმის ყველა მამაკაცმა დაიწყო, ვინც კი სახელმწიფო მოხელე არ იყო. რომანში „იდიოტი“ ფ. დოსტოევსკი პტიცინის შესახებ წერს: „წვერი მიგახვედრებდათ, რომ ეს ადამიანი არსად მსახურობდა“; ლ. ტოლსტოის კარენინი კი, რომელსაც მნიშვნელოვანი პოსტი ეჭირა, ბაკენბარდებს ატარებდა. 1880 წლიდან წვერის ტარების ნება მისცეს ჩინოვნიკებს, ოფიცრებს და ჯარისკაცებს (თუმცა ზოგ პოლკში მაინც იკრძალებოდა); მსახურებს წვერისა და ულვაშის მოშვებას არ უწონებდნენ; გამონაკლისი მხოლოდ მეეტლეები და მეეზოვეები იყვნენ.

**132.30-31 „გასვენების დღეს გამოსათხოვარი ტირილი იყო ზარით დანიშნული“** – აკაკი თავის პუბლიცისტურ წერილებში ხშირად ეხებოდა დრომოჭმულ ტრადიციებს, რომელთაც თავის დროზე გარკვეული ფუნქცია გააჩნდათ, მაგრამ ახლა სრულიად დამახინჯებული სახე ჰქონდათ მიღებული. ჯერ კიდევ 1875 წელს „დროებაში“ (№85) გამოქვეყნებულ წერილში „მოთქმით ტირილი“ პოეტი ერთ-ერთ ასეთ ტრადიციად განიხილავს ე. წ. აქტიორულ დატირებას (იხ.: წერეთელი აკ., თსკ. ტ. XI, 1960, გვ. 331).

**128**.5 შვრებოდენ]შვრებოდენი.
**129**.2 თინათინის]თინათინი. 4 რომ[რო. 27 ჭირდა]სჭირდა. 37 არ]არსა.
**130**.8 კოლეჟსკი]კოლეჟსკის.
**131**.23 დამოძღვრე]დამოძღრე.
**133**.32 მომტირალის]მომტირილის.

## ნოველები

### ქალი რომელი თვეა? (გვ. )

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი. ასლი: K-75, გვ. 7v-15r (B).
ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1875, №45 (A).
თ ა რ ი ღ ი: [1875].
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი (A).

მოთხრობა თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**140.31 „გინდა მზეთუნახავი ეთერიც იყოს...“ –** ქართული ხალხური ეპოსის, „ეთერიანის“, გმირი;

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ეთერიანი” ლიტერატურული წარმომავლობისაა: „ეთერიანის” პერსონაჟები, განსხვავებით ფოლკლორული წარმომავლობის პერსონაჟებისგან, არატიპურნი, ინდივიდუალურნი და უნიკალურნი არიან. ხალხური პოეტიკისთვის კი მხოლოდ ტიპური, განმეორებადი თვისებებია ყურადღების ღირსი. მოქმედების მოტივირება, რაზეც აგებულია „ეთერიანის” დრამა, პრინციპულად უცხოა ფოლკლორისთვის. ასევე, ფოლკლორისთვის უცხოა გმირის ფერისცვალება. „ეთერიანი” შეიძლება ჩაითვალოს ე. წ. დაძირული კულტურის დოვლათის (Gesunkenes Kulturgut) ერთ კერძო გამოვლინებად ხალხურ სიტყვიერებაში. ქართულ ფოლკლორში ასეთებია: „ტარიელიანი”, შაჰნამეს

ხალხური ვერსიები: „ბეჟანიანი”, „როსტომიანი”, „რუსუდანიანი” და სხვანი, რომელთაც თავ-თავიანთი წიგნური წყაროები ეძებნებათ (იხ.: ზ. კიკნაძე. ქართული ხალხური ეპოსი. თბ.: 2002).

**136**.2 გამოსთქვამს] გამოთქვამს B. 10 ჩურჩულებენო] ჩურჩულობენო B. 13 ისევ] ისივ B. 14 გამმსჭვალავი] გამსჭვალავი B. 16 აუწია] აუზია B. 17 ჰანგებს] ანგებს B. 22 შემოქმედო] შემომქმედო B. 26 დაუცხრომლად] დაუცხრომელად B. 28 ოჰ! ] ოხ! B. 35 ახალგაზრდა] ახალგაზდა B.

**137**.15 აუწია]აუზია. 16 ჰანგებს]ანგებს.

**138**.9 ერთმანეთს] ერთმანერთს B. 25 ვუგდებდი]უგდებდი.

**139**.9 ფეხგადგმული] ფეხდადგმული B. 14 აიწევს]აიზევს. 18 რომელმანც]რომელმაც B. 31 რომ < B.

**140**.20 მოსაუბრენი] მოსაუბრები B. 21 დაუბოლოებლად] დაუბოლოებელად B. 37 მიღწევის] მიხწევის B. სურვილით < AB. უნდა+ რომ B. 32 ჩემი] ჩემის B.

### სამგვარი სიყვარული (გვ.141)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1884, №№ 110, 111, 113, 114, 118, 119, 120 (B); „სამგვარი სიყვარული, მოთხრობა აკაკი წერეთლისა“. 1884. (C); „აკაკის კრებული“, 1898, №5 (A).

თ ა რ ი ღ ი: [1884].

ხელმოწერა: აკაკი (B).

მოთხრობა თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**147.**25 **„ამირანთ-ამირანობა“** – ამირანის ეპოსის მთავარი გმირი. ამირანის შესახებ თქმულებები ჩაწერილია საქართველოს ყველა კუთხეში, ქართული ენის ყველა დიალექტზე, რაც მიუთითებს, რომ ეპოსი ფორმირდებოდა ქართველი ერის ეთნოგენეზის ადრეულ სტადიაზე (ვარიანტები არსებობს აგრეთვე ქართველების მონათესავე კავკასიელ ხალხებში). ამირანის სახე მოჩანს ძვ. წ. მე-3 ათასწლეულით დათარიღებულ არქეოლოგიურ ძეგლებში (მცხეთის ბრინჯაოს სარტყელი, ყაზბეგის განძი, თრიალეთის ვერცხლის თასი).

**150.**36 **„სძგერს გლახ-გული, საყვარელო...“** – ამონარიდი ალ. ჭავჭავაძის ამავე სახელწოდების პოპულარული სასიმღერო ლექსიდან.

**151.**6 **„ჭმუნვის მახვილი გულსა მსობია...“ –** ამონარიდი ალ. ჭავჭავაძის ამავე სახელწოდების პოპულარული სასიმღერო ლექსიდან.

**152.**32 **„შორით ბნედა, შორით ტანჯვა...“ – ამონარიდი** „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგიდან.



**158.**29 **„ის ცრემლები „არა ჰგვანან ქვეყნიურსა...“** – აღნიშნული სტრიქონი არის პერიფრაზირებული ტექსტი ნიკ. ბარათაშვილის ცნობილი ლექსიდან „სატრფოვ, მახსოვს...“ (შდრ.: „მაგრამ, სულო, იგი ცრემლი არ სტიროდა ამ სოფელსა; / სახე შენი მოწყენილი არა ჰგავდა ხორციელსა!“).

**162.**1-4 **„ვარდო, ვარდო, მტანჯ ჩემო...“** – ნ. ბარათაშვილის ლექსის – „ბულბული ვარდზედ“ – პირველი სტროფის ორი შუა ტაეპია.

**166**.5 **„ახალმა დრამამ „სამშობლომ“ შემიყოლია, სანამ არ გავათავე, ველარ დავანებე თავიო“**... – 1882 წელს დავით ერისთავმა ქართველ მაყურებელს თეატრს წარუდგინა ხუთმოქმედებიანი ისტორიული დრამა ,,სამშობლო’’, რომელიც გადმოაკეთა ფრანგი დრამატურგის, ვიქტორიენ სარდუს, ამავე სახელწოდების პიესიდან. სხვათა შორის, ამ პიესამ ფრანგ დრამატურგს სახელი და დიდება ვერ მოუპოვა, ქართულმა ვარიანტმა კი, რომელიც საგრძნობლად განსხვავდებოდა ორიგინალისაგან, ქართველი საზოგადების აღფრთოვანება გამოიწვია. ,,სამშობლო’’ პირველად წარმოადგინეს 1882 წლის 21 იანვარს, პიესის დადგმას თავად დავით ერისთავი ხელმძღვანელობდა.

**167.**5 **„რომ ლიონიძეები და ხიმშიაშვილები აღარსად არიან“** – სვიმონ ლიონიძე და ლევან ხიმშიაშვილი – დ. ერისთავის დრამის, „სამშობლოს“, პერსონაჟები. საინტერესოა, რომ აკაკი წერეთელმა დავით ერისთავს პიესაში გარკვეული ცვლილებების შეტანა ურჩია. აკაკი თვლიდა, რომ ქეთევანი „ერთი მეორის წინააღმდეგის ხასიათის“ ქალად გამოიყვანა ავტორმა და ამის მიზეზი მზა ხასიათის გადმოტანაა. „იქ, დედანში, ჰისპანიელი ქალი ღალატობს თავის ქმარს, რომელიც მისი რჯულისა და ხალხის არ არის, და მიუდგება თავის ქვეყნის ხალხსა და თავისივე რჯულის საყვარელს. ის არც სამშობლოსა ჰღალატობს ამ გვარად და არც თავის სარწმუნოებას. ეს ადვილად შესაძლებელია. გადმოკეთებულ თხზულებაში კი ქართველი ქალი თავის სამშობლოსა და რჯულის გამწირველია. ადვილად შეეძლო ავტორს, რომ გადმოკეთების დროს, ქეთევანად გამოეყვანა არა ძირეულად ქართველი ქალი... შეეძლო, რომ ქეთევანი სპარსელი ქალი ყოფილიყო, მონათლული და გაქართველებული, რომლის მიძინებულმა გრძნობამ სამშობლოსა და მამულისადმი სპარსელების თფილისში შემოსვლის დროს გაიღვიძა და ამოქმედა ისე, როგორც ქეთევანი მოქმედობს ამ პიესაში. მაშინ ამ პიესაში არც წინააღმდეგი და არც საწყენი არა იქნებოდა რა და აზრი და დრამის ჭახრაკიც კი ისევ ის დარჩებოდა“ (იხ.: ა. წერეთელი. თხზ. სრ. კრებ. თხუთმეტ ტომად. ტ. XII. თბ.: 1960.). საგულისხმოა, რომ დავით ერისთავმა მართლაც გაითვალისწინა ეს რჩევა: ქეთევანი გამოიყვანა სპარსელ ქალად, რომელიც სვიმონ ლიონიძემ ტყვეობიდან იხსნა, მონათვლინა და ცოლად შეირთო.

**141**.8 ნებაზე] ნებაზედ B. ბრუნავდა] ჰბრუნავდა BC. 11 შევტრფოდი] შეგეტრფოდი BC. ვეკრძალვოდი] ვეკრძალოდი BC. 18 ერთი] ერთს BC. 19

იმ თავითვე] ამ თავითვე B. ჩემი] ჩემის BC. 22 მივუმატე] მიუმატე B. 23 იმ
„ვიღაცასი“] ამ „ვიღაცის“ B. 27 ჩამომჩქეფარეBB. მომკრავდა + ხოლმე B.
6 მართლა - მაიმუნი B. 7 მშვენიერი] შვენიერი A. 9 მიბრძანეთ] მიბძანეთ
BC. 10 ერთი] ერთის BC. მოხუცებული] მოხუცებულის B. 12 რომ] თუ BC.
13 ღიმილით] ღიმილითა BC. თქვა] სთქვა BC. 14 ისევ] ისევა BC. 24 ერთ]
ერთს BC. 25 ნემსის წვერზე] ნევსის წვერზედ BC. 27 უყვართ] უყვარსთ
BC. 37 მეტი] მეტის B.

**143.**1 კიდევ < AC. 2 ჩემ] ჩემს BC. 11 წუხელის] წუხელი B. 13 ისეთი
ათრთოლებული] ისეთის ათრთოლებულის B 14 საცოდავათაც] საცოდვა-
ვადაც B. 16 ვთქვი] ვსთქვი BC. 18 იყოს] იყო + რომ BC. 24 გამოვძებნე]
გამოვსძებნე BC. 26 ვუამბე] ვუანბე BC. 28 ჩემი] ჩემის C.

**144.**10 როცა შინ დავბრუნდით] რომ დავბრუნდით შინ B. 12 ვითომ]
ვითომც B. ავათა] ავადა BC. 13 მიდევს] მიძევს B 14 ოფლს] ოფლსა B.
მწმენდს] მსწმენდს BC. 16 ადგილზე] ადგილზედ C. 17 მიდევს] მიძევს C.
30 არა] არ B. 19 შევყურებ] შევჰყურებ BC. 26 გამოვკითხო] გამოვჰკითხო
BC. 31 მასკდება] მასქდება ABC. 32 აჰ! აჰ! აჰ! აჰ] აჰ! აჰ! აჰ! ააჰ! 33 წამოვ-
ვარდი. წამოვარდი B. 36 ხუთი] ხუთის BC.

**145.**1 ვწუხდი] ვსწუხდი BC. 11 თავისკენ] მისკენ BC. 13 „ვიღაცა“] ვი-
ღაც A. 17 მისი] მისის BC. 21 ვერ] ვერა B. 22 მისდევდნენ] მისდევდენ B.
24 შევტრფოდით] შევსტრფოდით BC. 27 მეთქი] თქო BC. მივუგე] მიუგე B.
32 მოწყდება] მოსწყდება C. არ] არა B. 35 სურს] ჰსურს AB. 36 არ] აღარ C.

**146.**3 ძგერაც] ბგერაც ABC. 4 რაღაცის] რაღაცას B. 5 თქვა] სთქვა BC.
7 სახლამდის] სახლამდი BC. 9 წაცდა] წამცდა ABC. 20 მივედი] მოვედი
B. 23 მივდიოდი] მოვდიოდი AC. 28 ჩქარი] ჩქარის BC. 30 მიმელოდა] მამ-
ელოდა B. 33 სხვებრ] სხვებ A.

**147.**2 არის] არიან B. 4 ზონრები] ზორნები ABC. 24 ვცნობდი] ვსცნობდი
BC. თითქოს] თითქმის B. 25 ამირანთ] ამირან A. 26 გავწიე] გავსწიე BC. 28
სვამდა] ჰსვამდა B. 35 ასე] ისე AC

**148.**3 მეგზნებოდა] მეგრძნებოდა BC. 5 რამდენიმე] რამოდენიმე B. 13
გავიარე] გავალე BC. 15 ბამბას] ბანბას BC. 16 დაინახა] დაინახოს BC.
17 სანახავი < A. კოტრიალა-კოტრიალა] კოტრიელა-კოტრიელა B. 18 ინ-
დოურივით] ინდაურივით BC. რაღაც] რაღაცა BC. 22 ერთი] ერთის BC. 24
არ < C. 27 მზათ] მზაც BC. 29 გაეთრიე] გაეთერი B. 33 იმავე] იმავ AB. 35
რამდენიმე] რამოდენიმე C.

**149.**2 მოგსვლია] მოგსვლიათ B. 3 შეგატყვეო] შეგატყეთო B. შეგატყეო
C. 15 ფხანვათ] ფხანვად BC. 20 ერთ] ერთს BC. 26 ზრდილობიანათ] ზდი-
ლობიანათ C. 35 დაქანცული ხან ~ BC.

**150.**5 წინეთ] წინედ B. 24 ბევრ] ბევრს BC. 25 იქ] აქ AC. 27 ყოველი]
ყოველის B. საზღვარი] სამძღვარი B, საძღვარი C. ცდილობდა] სცდილობდა
BC. 28 ვყოფილიყავით] ვყოფილვიყავით C. 31 ვყოფილიყავი] ვყოფილიყავ
BC. 36 მომღერალმა] მღერალმა BC.



**151.**13 ნაღვლიანი] ნაღვლიანის B. 16 სევდიანი] სევდიანის B. 18 დღი-
დან] დღიდგან BC. 22 გაუქნ-გამოუქნევს] გაუქ-გამოუქნევს B. 28 აგდებს]
აგებს C. 34 თავმოყვარეობა] თავმოყვარება C.

**152.**1-2 სამარადისოთ დამენებებინა თავი] დამენებებინა თავი სამარა-
დისოდ BC. 6-7 და რამდენიმე წლით გაშორება მოვინდომე] მოვინდომე
რამდენიმე წლით გაშორება BC. 10 სრულდება] ჰსრულდება BC. 14 ამბო-
ბენო] ანბობენო B. 16 მიველ] მოველ BC. 17 დამიხვდა] დამხვდა B. ვითომ]
ვითომც B. 19 მართლა? ] მართლაო? BC. 24 მათიკოს] მათიკოსა BC. 27
არა] არ B.

**153.**1ჩვეულებრივი] ჩვეულებრივის B. 5 ამოკვნესით] ამოხვნეშით B. 6
რამდენსამე] რამოდენიმე BC. დღეს] დღის BC. 11 ცოტათი] ცოტა B. 11-12
გულმოღიაღებულს] გულგაღიაღებულს BC. ეცვა + რომ BC. 13 გამოსჭ-
ვირდა] გამოსჭვერდა B. 14 წითელი] წითელ B. 22 ცხელაო] სცხელაო B. 26
რბილი] რბილის BC.

**154.**4 არა] არ C. 7გამაწყვეტინა] გამაწყვეტია B. 14 აღარა C. 14-15
კითხულობთ] ჰკითხულობთ B. ეს] ეგ B. 18 „ვინ-მეთქი?“ ] ვინა მეთქი C.
22 დავთმოთ] დავსთმოთ B. 23 რამდენი] რამოდენი B. 25 წარმოვთქვი]
წამოვთქვი A. წარმოვსთქვი BC. 26 დიახ] დიაღ C. 31 კაცებისათვის, საქე-
ბია ~ BC.

**155.**5 შენი] შენის BC. 8 ამდენადაც] ამოდენადაც C. 9 მოულოდნელი]
ულოდნელის B. 16 მარგალიტივით მოგორავდნენ ცრემლები] ცრემლები
მოჰგორავდენ მარგალიტივით C; ცრემლები მარგალიტივით მოჰგორავდნენ
B. 17 ილიმებოდა] ილიმვოდა BC. ერთ ხანს] ერთხან BC. 18 რაღაცის ]
რაღა ცას BC. 19 ორკეცი] ორკეცა ABC. 20 ტუჩებზე-მეთქი] ტუჩებზედა-
თქო BC. მკრა] მჰკრა BC. 24-25 ითხოვს-მეთქი! – ვამბობდი] ითხოვს-თქო!
– ვანბობდი BC. 28 ვიყავი] ვიყავ B. 29 ატყდა] ასტყდა BC. 32 ჭრიჭინი
მომესმა ~ BC. 36 შევკრთი] შევჰკრთი C. საბნის პირი აიღო] აიღო საბნის
პირი BC. 37 სული შემეხუთა ~ BC.

**156.**4 ამბობენ] ანბობენ C. 17 ვერც არას] ვერცა რას C. 20 ფრთასთან]
ფთასთან C. 23 ადგილზე] ადგილაზე BC. მოიცხო] მიიცხო BC. 23-24 ჩემი
ტუჩები უთრთოლველად] უთრთოლველად ჩემი ტუჩები C. 26 ერთი] ერთის
BC. 27 ვიყავი] ვიყავ B. 31 შევკრთი] შევჰკრთი B. 32 ეს] ის B. 34 ვიცნობ +
მეთქი BC. 35 ფრთასთან] ფთასთან B. მეთქი < BC.

**157.**3 ვიალერსეთ + და B. 4 ხვრინვა] ხვრინი B. 7 გულბიწად] გულბიწოდ
BC. 10 და < B. კარებს მივაყურე ~ BC. 12 მოვკარი] მოვჰკარი C. მოვჰკარ
B. 17 ტლოშნის ხმაც] ტლოშინის ხმა B. 23 გამივარდა + ხელიდამ BC. 25-
26 რომ თვითონაც აშფოთებული არ ყოფილიყო მათიკო იმ დროს] მათიკო
რომ თვითონაც აშფოთებული არ ყოფილიყო იმდროს BC. 32 ჩვეულებრივი]
ჩვეულებრივის B. 33 ალერსიანი] ალერსიანის B. 36 თხუთმეტ წელიწადზე]
თხუთმეტი წელიწადი B.

**158**.7 მივდევდი] მივსდევდი BC. 9 ფარად] ფასად A. 20 დღიური] დღიურ BC. 21 საღამ-საღამოობით] საღამსაღამობით BC. 24 ფერად-ფერადი] ფერად-ფერადის BC. სულჩაბრუნებულ] სულჩაბრუნებულს B. 25 მიუწდომელი] მიუწთომელი BC. 27 გამოუთქმელი] გამოუთქმელის C. 30 შეზავებულნი] შეზავებული B. 31გადმონაშხეფნი] გადმონაშხეფი B. 351 შევტრფოდი] შეევეტრფოდი B.

**159**.9-10 ჩაიჭიკჭიკა] ჩაიჭუკჭუკა BC. 12 ჩვეულებრივათ დაიწყო ~ BC. დაცხრა] დასცხრა B. 16 სტვენა + და BC. მათი] მათის B. შეერთებული] შეერთებულის B. 17 ყურთასმენა აღარ იყო] აღარ იყო ყურთასმენა B. 19 ჩემი < A. რომელთაც] და მათ BC. 19-20 ხარხარით მიუძღოდა ~ BC. 26 გულზე] გულზედა BC. 30-31 გამოზომილი + და გამოანგარიშებული BC. იშვიათი] იშვიათს B. 37 შეძლებია] შესძლებია C.

**160**.4 უმოძღვროს] უმოძღვრებს B. 7 სთქვას] თქვას C. ჰქნას] ჰქმნას B. 13 ქვასა] ქვა BC. 16 „ვარხალალო“] ვარხარალო C. 33 თავისი] თვისის B. 35 დანაძლევებული] დანაძლავებული B.

**161**.11 მოხდება] მოხერხდება ABC. 13 შეეხებოდა] შეეხებოდათ C. 23 ჭიაღუის] ჭიაღუას BC. 26 დაჭკნება] დასჭკნება B. 29 არას] არ B.

**162**.7 აყვავდა] აჰყვავდა B. 11 დაუსვა] დაუსია BC. 21 მარტოთ-მარტოს] მარტოდმარტო B. 28 წაუხდებოდა-რა] წაუხდება-რა C. 30 მომადლიერებული] მომადრიელებული B. 31 მოულოდნელი] მოულოდნელის BC. ორს] ორ C. საქმროთ] საქრმოთ B. 33 ღელვისგან] ღელვისაგან B. 34 რომ < C. რომ მზად იყვნენ] მზად იყვნენ რომ B.

**163.**8 დიდი] დიდის B. 12 ყბადაღებულის] ყბადაღებული B. 22 ზრდილობიანათ] ზდილობიანად AB. 23 პირი-სახე] პირისსახე B. 26 მოგკვეთიათო] მოგჰკვეთიათო B. 31 დროის] დროს BC. 33 სცხოვრობენ] ცხოვრობენ A. 36 რაღაცის] რაღაცას B.

**164**.1 უსიამოვნება] უსიამოვნობა B. 6 მოჰშორდა] მოშორდა C. 10 დაწყნარდა] დასწყნარდა B. 17 მეთქი] თქო B. ვკითხე] ვჰკითხე B. 32 კარგად < A.

**165.**1 წმინდი] წმიდის B. 16 ცდილობენ] სცდილობენ B. აქაურათ] აქაურთ B. 17 აქაურს] აქაურ B. 21 ოთხშაბათ] ოთხშაბათს B.  27 იყოს] იყო B. 30 კვირაში] კვირეში A. 31 განზრახ განზრახვ B. განძრახ C. 32 მათი] მათ B. 35 მარაო დამკრეს ~ BC.

**166.**7 მართლაც < B. მეტათ] ისეთ გვარად B. 10 მინდოდა + რომ B. ვკითხე ვჰკითხე B. 16 მანამდის] მანამდი B. 22 მიხედულებით] მიხედულობით B. 25 თავისი] თავის B. 36 ჩანს] სჩანს BC. 37 ახლანდელ] ეხლანდელ BC.

**167**,7 მიმაჩნია] მიმაჩნდა B. 10 ჩემი] ჩემ B. 12 მასკარადს + კი BC. 26 რამდენისამე] რამდენიმე BC. წინათ] წინედ BC. ვიყავი] ვიყავ BC. 28 გსურთ] გსურსთ B. ჩემთვის-მეთქი] ჩემთვის-თქო C.



**168**.17 გამათენებინეს] გამათენებიეს BC. 19 აღთქმა დავდევი ~ BC. 36 ადრინდელი] ადრინდული A. ადრინდელ B.

**169**.2 შევკრთი < A. 5 ეხილა] ენახა C. 12 მომავალი] მომავლის BC. 23 ყველასათვის] ყველასთვის BC. 31 იმიტომ] ამიტომ BC. 32 ეგ რომ ~ BC. 33 გული მეტკინება ~ BC. 34-35 გადამხედოდა] გადამხდოდა BC.

**170**.6 ჩემს წარსულს] ჩემ წასულს B. 7 ჩემს] ჩემ B. 17 მერე შენი სისხლი და ხორცი რომ არ იქნება? < BC. 20 ზრახვებს] ძრახვებს B. 21 გადავცემ] გადავსცემ B. გაფიქრებინა] გაფიქრებია B. 27 ყველაფერი] ყოველიფერი B.

# ისტორიული მოთხრობები

### კორინთელი (გვ.173)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1875, №58 (B). კრებ. „საყმაწვილო ამბები“. 1885 (A).

ს ა თ ა უ რ ი: „სოლომონ მეფე, ელიზბარ ერისთავი და კორინთელი“ (B), „კორინთელი“ (A).

თ ა რ ი ღ ი: [1875].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი (B).

მოთხრობა თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**173.**2 **„როდესაც ჩაქვში, გურიელების წყალობით შეტყუებული, მეფე სოლომონ პირველი დაამარცხეს“** – ოსმალთა აგრესიის აღსაკვეთად სოლომონ I-მა რამდენჯერმე ილაშქრა ქვემო გურიაში. 1784 წ. მარტში მან დიდი ბრძოლა გადაიხადა ქვემო გურიის გასათავისუფლებლად. ნაჭიშკრევთან გამართულ ცხარე ბრძოლაში იმერეთ-გურიის ლაშქარმა ქობულეთისა და ჩაქვის მხარე სულ გაწმინდა მტრისაგან, მაგრამ მეფის მტრებისაგან წინდაწინ გაფრთხილებულმა ოსმალო მეციხოვნეებმა ზურგიდან მოუარეს სოლომონს და დიდი დარტყმა მიაყენეს. ქვემო გურია ისევ მტრის ხელში დარჩა კიდევ ერთი საუკუნის განმავლობაში. ეს მარცხი ჯანმრთელობაშერყეულმა მეფემ ვეღარ გადაიტანა. 1784 წ. ძვ. სტ. 23 აპრილს, გიორგობა დღეს, 49 წლის ასაკში იგი გარდაიცვალა. სოლომონ I დაკრძალეს გელათის ტაძარში.

**173.**3 **„ელიზბარ ერისთვის შინაყმა..“ -** ელიზბარ გიორგის ძე ერისთავი (*ერისთვისშვილი)* (1738-1813) – პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე ქსნის ერისთავთა საგვარეულოდან. ელიზბარ ერისთავი ერეკლე II-ის პოლიტიკის წინააღმდეგი იყო, რისთვისაც გააძევეს ქართლიდან. მას დიდი გავლენა ჰქონდა იმერეთის სამეფო კარზე; ცოლად ჰყავდა სოლომონ I-ის ქალიშვილი

მარიამი (1769-1845). სოლომონ II-ის დროს კი იძულებული გახდა იმერეთი დაეტოვებინა. როგორც პოეტი, ელიზბარ ერისთავი ბესიკის სკოლის წარმომადგენელია.

**174**.16 **ქაიხოსრო და სიმონ წერეთლები** – მეფისა და ქვეყნის ერთგული თავადები. 1810 წლის 9 მარტს სიმონოვიჩისადმი გაგზავნილ წერილში სოლომონ მეფე თანხმობას აცხადებდა გადადგომაზე, თუ საცხოვრებლად იმერეთში დატოვებდნენ. 28 მარტს იგი ვარიანში ტორმასოვს შეხვდა მოსალაპარაკებლად, მაგრამ დაატყვევეს და თბილისში, ერთ-ერთ ბინაში გამოკეტეს, აქედან კი პეტერბურგში უპირებდნენ გადაგზავნას. 11 მაისს ერთგული მსახურის ტანსაცმელში გადაცმულმა მეფემ ტყვეობას თავი დააღწია, იქვე დატოვა ალექსანდრე ნეველის ორდენი, რომელიც რუსეთისაგან 1804 წელს მიიღო. გაპარვისას მას თან ახლდნენ ქაიხოსრო, როსტომ და სიმონ წერეთლები, გრიგოლ და დავით ერისთავები, ბერი ლორთქიფანიძე, აზნაური გაბაშვილი და სხვები – სულ 25 კაცამდე.

**173**.2 გურიელების] გურულების B. 19 გურჯო] გურჯი B. 25 აღდგომა] აღდგომას B. 32 ეცა] მოხვდა B. 35 მისი] იმის B. სთქვა] თქვა B.
**174**.1 დარჩი + აქ B. 12 ისე] ასე B.
**175**.15 მოგახსენებენ] მოგახსენებ B. 26 გახლავარ] ვარ B.
**176**.3 და + კიდეც < B.

### ოთია მესხი (გვ.177)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1875, №57 (B). კრებ. „საყმაწვილო ამბები“. 1885 (A).
თ ა რ ი ღ ი: [1875]
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი (B).
მოთხრობა თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

აკაკიმ 1893 წელს თავის „თხზულებანის“ II ტომში დაბეჭდა პოემა „ორი ქართველი – ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი“. მართალია, პოეტს სჩვეოდა საკუთარ პროზაულ ქმნილებათა გალექსვა, მაგრამ ამ შემთხვევაში ასე არაა. მოთხრობასა და პოემას შორის სიუჟეტური მსგავსება არ არის, მათ მხოლოდ საერთო პერსონაჟი ჰყავთ — ოთია მესხი. პოემაში უკვე ასაკოვანი ოთია მესხის კიდევ ერთი საგმირო საქმის შესახებაა საუბარი.
**177**.5 **„ერთხელ, როდესაც დადიანმა მეფეს ჩხუბი გამოუცხადა და ლეჩხუმიც დადიანს მიუდგა...“** — რაჭის საერისთავოს გაუქმებამ 1769 წელს დააფრთხო კაცია II დადიანი. იგი შიშობდა, რომ იგივე ბედი ეწეოდა ოდიშის სამთავროსაც. ამის გამო დაუპირისპირდა სოლომონ მეფეს.



**177**.13 ვიღაც] ვიღაცა B. 14 მოაჭენებს] მიაჭენებს B. მოსდევს] მისდევს; 18 მოსდევდა] მისდევდა B. 24 წაჰკვეთა] წააკვეთა B; 25 შემოჰკრა] შამოჰკრაB.

### დათუნა გოცირიძე (I) (გვ.178)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზეთი „დროება“, 1875, №57 (A). კრებ. „საყმაწვილო ამბები“. 1885 (B)
თ ა რ ი ღ ი: [1875]
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი (A).
მოთხრობა თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**178**.2 **„ერთხელ დადიანმა იმერეთის მეფეს, სოლომონ მეორეს...“** — შესაძლოა, იგულისხმებოდეს გრიგოლ დადიანი, რომელიც მეფის ცოლისძმა იყო. მან ჯერ კიდევ გამეფებამდე, 1788 წელს, შერთო თავისი და მარიამი სოლომონ I-ის ძმისწულს, დავით არჩილის ძეს, და დაეხმარა ტახტზე ასვლაში (დავითი მეფედ ეკურთხა 1789 წელს სოლომონ II-ის სახელით).
**178**.5 **„მეფე მაშინ გეგუთს ბრძანდებოდა...“** – იგულისხმება ქუთაისის მახლობლად, სოფ. გეგუთში, მდებარე სამეფო სასახლე, რომელიც ისტორიულ წყაროებში XII საუკუნიდან იხსენიება, თუმცა, აგებული XI საუკუნეზე ადრე უნდა იყოს. იგი შესამჩნევად დაზიანდა იმერეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ პერიოდში მომხდარი ბრძოლების დროს. ძეგლის დანგრევა და გაპარტახება კი XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც აქედან დიდი რაოდენობით გაიტანეს მასალა ქუთაისში ახალი შენობების ასაგებად.

### გრიგოლ წერეთლის ირემი (გვ.180)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: „კვალი“, 1895, №33, გვ. 5-8.
ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: მოხუცის ნაამბობი.
თ ა რ ი ღ ი: [1895].
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.
მოთხრობა თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

**183**.5 **„ბეჟანი დიდხანს იმალებოდა ორლულის ტყეში...“** – ორლული - სოფელი საჩხერის რაიონში.
**183**.20-21 **„უკეთუმცა უფალმა არა აღაშენოს სახლი, ცუდად შვრებიან მაშენებელნი მისნიო...“** – დავითნი, გალობა აღსავალთა 126.1 -„არა თუმცა უფალმან აღაშენა სახლი, ცუდად შურებიან მაშენებელნი მისნი; არა თუმცა უფალმან დაიცვა ქალაქი, ცუდად იღვიძებენ მხუმილავნი მისნი“.
**183**.6-7 **„ქუთათელი მისი ბიძა იყო და ვიცით, რაც დღე დააყენა. გენათელიც თან მიაყოლეს...“** - დოსითეოს ქუთათელი (ერისკაცობაში წერეთელი) და

ექვთიმე გენათელი იმერეთის აჯანყების დამარცხების შემდეგ დააპატიმრეს და დასაჯეს.

**183.**9-10 **„დიდი ივანე აბაშიძე აიკლეს და ახალციხეში მოიკლა...“ - ივანე (იოანე) ქაიხოსროს ძე აბაშიძე** (გ. 1822) – 1819-1820 წწ. იმერეთის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. თავად ქაიხოსრო აბაშიძისა და დარეჯან ბაგრატიონის ვაჟი. დარეჯანი იმერთა მეფის, სოლომონ I-ის, ქალიშვილი იყო. 1820 წელს, იმერეთში მღელვარების ჩახშობის შემდეგ, რუსეთის მთავრობამ გასცა ივანე აბაშიძის დაპატიმრების ბრძანება, მაგრამ მან მოახერხა გურიაში გაქცევა. მოსალაპარაკებლად ჩასული პოლკოვნიკი პუზირევსკი აბაშიძემ და ქაიხოსრო გურიელმა შეიპყრეს და თავი მოჰკვეთეს. 1820 წელს აჯანყებულმა იმერლებმა აბაშიძე მეფედ დაასახელეს. გურიაში რუსეთის ჯარების შესვლის შემდეგ ივანე აბაშიძე იძულებული გახდა ახალციხეში გახიზნულიყო. ნ. დადიანის ცნობით, ივანე მოკლეს ვახტანგ ბატონიშვილის (დავით II-ის უკანონო შვილის, როსტომის, ვაჟი) მიერ მიგზავნილმა კაცებმა. აკაკი თავის პოემაში „ასი წლის ამბავი“ უთითებს, რომ მისი პაპა ვინმე ჭუმბურიძემ მოკლა.

### ბაში-აჩუკი (ისტორიული მოთხრობა) (გვ. 184)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: „კვალი“, 1895, №№38, 40, 41, 47, 48, 50; 1896, №№ 15, 16, 18, 19, 20, 22 (B).

„აკაკის კრებული“, 1897, №1 (C). „ბაში-აჩუკი“; ავტორის გამოცემა. ქუთაისი: 1900 (D). „ბაში-აჩუკი“. „ცოდნა“-ს გამოცემა (გამომცემელი ი. მერკვილაძე). 1913 (A )

თ ა რ ი ღ ი: [1895-1896] (AB).

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.

მოთხრობა თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის (თხუთმეტ ტომად) VII ტომში ძირითად წყაროდ 1900 წლის ავტორისეული გამოცემაა აღებული, წინამდებარე გამოცემაში კი ე. წ. A წყაროდ 1913 წლის გამოცემა მივიჩნიეთ. როგორც ცნობილია, აკაკიმ სიცოცხლის ბოლოს სამუდამო საკუთრებაში (გამოცემის უფლებით) გადასცა იოსებ (სოსიკო) მერკვილაძეს თავისი მნიშვნელოვანი ნაწერები, რომელთა შორის „ბაში-აჩუკიც“ იყო. ეს უკანასკნელი ს. მერკვილაძემ აკაკის გარდაცვალებამდე 1913 წელს გამოსცა. ეს პუბლიკაცია წინარე გამოცემებთან შედარებით გარკვეულ ვარიანტულ სხვაობას ავლენს (სტილურს, გრამატიკულს და შინაარსობრივსაც კი). როგორც კვლევით დადგინდა, ეს ცვლილებები ავტორს ეკუთვნის და, ამდენად, აკაკის ნაწერების მერკვილაძისეული გამოცემა (1913 წ.) ავტორის შემოქმედებითი ნების ბოლო გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს (ვრცლად იხ.: ჯ. გაბოძე. აკაკის თხზულებათა გამოცემები. თბ.: 2009, გვ. 240, 260-264).



**184.**15 **ზაალ არაგვის ერისთავი** (გ. 13 მაისი, 1660) – უმეფობის ხანაში, 1633-1660 წლებში, ფაქტობრივად ის განაგებდა კახეთს. როსტომ მეფისა და თეიმურაზ I-ის ბრძოლის დროს ზაალი თეიმურაზ I-ის მხარეზე იყო. 1648 წლიდან, თეიმურაზის დამარცხების შემდეგ, როსტომ მეფეს შეურიგდა და ირანის შაჰისაგან საერისთავო დაიმტკიცა. ზაალი იყო კახეთის 1659 წლის ანტიირანული სახალხო აჯანყების საერთო ხელმძღვანელი. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ეურჩებოდა ქართლის მეფეს, ვახტანგ VI-ს, რომლის წაქეზებითაც მოკლეს საკუთარმა ძმისწულებმა.

ნაწარმოებში ისტორიული სიმართლე ნაწილობრივ შეცვლილია და კახეთის 1659 წლის სახალხო აჯანყების მოთავედ ახმეტის მებატონე ბიძინა ჩოლოყაშვილია წარმოჩენილი. შესაძლოა, აკაკიმ ამგვარი გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ, როგორც წყაროები ადასტურებენ, ზაალს აჯანყების ორგანიზებისას პირადი ინტერესები უფრო ამოძრავებდა, ვიდრე – საქვეყნო.

**185.**27 **ალავერდი** – საკათედრო ტაძარი ალაზნის ველზე, ახმეტის რაიონში. თავადაპირველად წმინდა იოანე ზედაზნელის მოწაფეს, წმინდა იოსებ ალავერდელს, აუგია VI საუკუნეში ქრისტიანობის განსამტკიცებლად წმ. გიორგის ეკლესია. XI საუკუნის 30-იან წლებში კი ამ ადგილზე საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი საკათედრო ტაძარი აღუმართავთ. ალავერდის წმ. გიორგის ტაძარში დაკრძალულია მისი დამაარსებელი – წმინდა იოსებ ალავერდელი.

**187.**7-8 **„წმინდათა თანა განუსვენე...“** — კონდაკი - იკითხება მიცვალებულთა ხსენების დროს.

**192.**13 **ფირმანი** [სპარს. firman] – ირანის შაჰის, ძველი თურქეთის (ოსმალეთის) სულთნის და ზოგი სხვა მაჰმადიანური ქვეყნის მმართველთა ბრძანებულება.

**192.**16 **ბიძინა ჩოლოყაშვილი** – საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმინდანი, XVII საუკუნის 30-იან წლებში კახეთის სამეფოს სახლთუხუცესი, შემდეგ სუფრაჯი. ქართლის მეფე როსტომსა და კახეთის მეფე თეიმურაზ I-ს შორის გამართულ ბრძოლაში ამ უკანასკნელის მხარეზე იყო. კახეთის აჯანყების (1659) შემდეგ შაჰმა შალვა და ელიზბარ ერისთავებთან ერთად (1662) ჩოლოყაშვილი ირანში გაიწვია და გამაჰმადიანება მოსთხოვა, მაგრამ მტკიცე უარი მიიღო. მაშინ შაჰმა ისინი გადასცა იმ თურქმანებს, რომელთა მეტომეებიც კახეთის აჯანყების დროს გაწყვიტეს. ქართველი გმირები წამებით დახოცეს. ქართულმა ეკლესიამ ისინი წმინდანებად შერაცხა.

**193.**30 **ვახტანგ V შაჰნავაზი** (გ. 1675) – ქართლის მეფე 1658-1675 წლებში. ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტოს წარმომადგენელი. 1654 ირანში მაჰმადიანობა მიაღებინეს და შაჰნავაზი უწოდეს. ვახტანგ V-ის პოლიტიკის მიზანი იყო ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან მჭიდრო კავშირი ქართლის ჰეგემონობით.

საგარეო პოლიტიკაში ვახტანგ V ირანის ვასალად აღიარებდა თავს და მასთან მშვიდობიანი ურთიერთობის დაცვას ცდილობდა.

ვახტანგ V-მ მოაკვლევინა კახეთის ფაქტობრივი გამგებელი ზაალ არაგვის ერისთავი და კახეთი თავისი გავლენის სფეროში მოაქცია. შემდეგ ისარგებლა იმერეთის სამეფოში მომხდარი არეულობით, შეუთანხმდა სამეგრელოს მთავარ ვამეყ III დადიანს, იმერეთის დიდი ნაწილი დაიკავა და, როგორც მოთხრობაშია აღწერილი, თავისი უფროსი ვაჟი არჩილი (მომავალში არჩილ II) იმერეთის ტახტზე აიყვანა (1661).

**195**.4-5 **„უგანგებოთ ვერას მიზმენ, გინდ შემებან ხმელთა სპანიო!“ –** ამონარიდი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან („წასვლა ავთანდილისაგან ნესტან-დარეჯანის საძებრად და ქარავანთან შეყრა“).

**195**.13-14 **„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო!“ –** ამონარიდი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან („ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე, ოდეს გაიპარა“).

**198**.20 **მღვიმევი –** სოფელი ჭიათურის რაიონში. სოფლის ტერიტორიაზე არის კარსტული მღვიმე, რომლის სიახლოვეს მდებარეობს დედათა მონასტერი. მონასტრის ტერიტორიაზე ორი ეკლესია დგას. ერთი მაცხოვრის სახელობის ორნავიანი ბაზილიკაა. ნაგებობა შემკულია მდიდრული ჩუქურთმებით. მონასტრის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა მცირე ზომის დარბაზული ეკლესია, რომლის ჭერი და დასავლეთის კედელი ბუნებრივი კლდეა. ამ ეკლესიის სამხრეთის კედლის გარეთა მხარეს შემორჩენილი XIII საუკუნის ფრესკა, რომელზეც მონასტრის დამაარსებელი, რაჭის ერისთავი რატი კახაბერისძეა გამოსახული. გამოქვაბულის შესავლის მეორე მხარეს დგას VI ს-ის პატარა ეკლესია, რომელიც წმიდა ეკატერინეს სახელობისაა. იგი მთლიანად კლდეში არის გამოკვეთილი და მხოლოდ ფასადი აქვს თლილი ქვისა.

**199**.18 **ყირიმი –** ხირიმი, ინგლისური თოფი. ამგვარი სახელი იმიტომ ეწოდა, რომ ჩვენში ყირიმის სახანოდან შემოჰქონდათ.

**200**.4 **„შორით ბნედა, შორით კვნესაო“ –** პერიფრაზი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ცნობილი სტროფისა „შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“.

**200**.7 **„გვიჩვენეთ საქმენი საგმირონიო“ –** პერიფრაზი „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი სტროფისა: „ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია? სჯობს, საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია“.

**200**.19 **„ეჰ, სოფელო, რაშიგან ხარ,**
**რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!**
**ყოვლიმც შენი მონდობილი**
**ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა;**
**სად წაიყვან სადაურსა,**
**სად აღუფხვრი სადით ძირსა-ო.**
**მაგრამ ღმერთი არ გასწირავს**



**კაცსა, შენგან განაწირსა-ო“ –** ამონარიდი „ვეფხისტყაოსნიდან“ („წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისასა“).

**201**.1 **თეიმურაზ I** (1589-1663) – კახეთის მეფე 1606-1648 წლებში, ქართლ-კახეთის მეფე 1625-1632 წლებში, ძე დავით მეფისა და ქეთევან დედოფლისა. ნაწარმოებში აღწერილი და შეფასებულია თეიმურაზ I-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგები.

მოთხრობაში აკაკი წარმოგვიდგენს ირანის შაჰების (აბას I და აბას II) მიზნებს კახეთის სამეფოსთან დაკავშირებით. როგორც ნაწარმოებიდანაც ჩანს, თეიმურაზ მეფის დაუღალავმა გარჯამ რუსეთთან კავშირის გასაძლიერებლად ირანის სამეფო კარზე კვლავ გააცოცხლა შაჰ-აბას I-ის გეგმა, რომელიც კახეთის მოსპობას და იქ თურქმანების ჩასახლებას ისახავდა მიზნად. 1642 წ. ირანის შაჰი აბას II (1642-1666) გახდა. მან კახეთი ჩამოართვა განჯის მმართველ სელიმ-ხანს, გაყო ორად და სამართავად ყარაბაღის ბეგლარბეგს მურთაზ ყული-ხანსა და ნახიჩევნის მმართველს, ალი ყული-ხანს, გადასცა (მოთხრობაში ალი-ყული ხანის ნაცვლად ზოგჯერ მოხსენიებულია ფეიქარ-ხანი, რომელიც ირანის შაჰის ნაცვალი იყო კახეთში XVII საუკუნის პირველ ნახევარში).

**201**.21 **„ლეილ-მეჯნუნიანი“ –** ისლამურ სამყაროში (როგორც ბედუინთა ზეპირსიტყვიერებაში, ასევე ლიტერატურაშიც) ფართოდ გავრცელებული თქმულება. ლეილისა და მაჯნუნის ამბები შეტანილი აქვთ თავიანთ წიგნებში იბნ ყუთაიბას (IX ს.), აბუ ალ-ფარაჯს (X ს.) და აბუ ბაქრ ალ-ვალიდს (XI ს.). როგორც ნიზამი გვამცნობს, სწორედ ეს გარემოება იყო მიზეზი იმისა, რომ ამბის ლექსად გარდათქმის სურვილი არავის გასჩენია. თავად მან პოემა შარვანშაჰ ახსათან VI-ის (1160-1198) დაკვეთით შექმნა. თეიმურაზ I ზედმიწევნით კარგად ფლობდა სპარსულ ენას და სპარსული ლიტერატურის ჩინებული მცოდნეც იყო. მან გადმოაქართულა სპარსულენოვან სამყაროში პოპულარული პოემები: „ვარდბულბულიანი“, „შამიფარვანიანი“, „ლეილმაჯნუნიანი“ და „იოსებზილიხანიანი“. „ლეილმაჯნუნიანი“ თეიმურაზს თავისი სამწერლო მოღვაწეობის პირველ პერიოდში, ანუ 1629-1633 წლებში უნდა შეექმნა.

**201**.22 **„შამი-ფარვანიანი“ –** ეს თხზულებაც სპარსულიდანაა გადმოკეთებული თეიმურაზის მიერ. მისი თქმით, ტექსტის ავტორი „მელექსეთ შიგან ქებული“ ისპაჰანელი პოეტია. სწორედ ის, ვინც ვარდისა და ბულბულის გაბაასება შექმნა. ამ უკანასკნელის ავტორად კი თეიმურაზი ვინმე მოლა აჯას ასახელებს. შესაძლოა, „შამიფარვანიანი“ ამავე მოლა აჯას შექმნილი იყოს.

როგორც თავად მეფე-პოეტი ამბობს, ამ და სხვა ტექსტებზე მუშაობა დაეხმარა გადაეტანა ის შეჭირვება, რაც ბედისწერამ დაატეხა თავს:

*„მე გასაძლებლად დავწერე ხან ისი, ხან ეს რამეო,*
*გული ამაზედ დავაპყარ, ბევრი დღე დავაღამეო;*
*სრულად ფიქრშიგან ჯდომითა გული არ შევიღამეო,*

*ჩარხი უკუღმა დაბრუნდა, ბედი დამტერდა, ვა მეო!*
(შამიფარვანიანი, 13)

„შამიფარვანიანი“ თეიმურაზს თავისი სამწერლო მოღვაწეობის მეორე პერიოდში, ანუ 1649-1656 წლებში უნდა შეექმნა.

**201.**23 **„ხილთა-ქება“** – „ხილთა ქება“ თეიმურაზ პირველს კი არა, თეიმურაზ მეორეს ეკუთვნის. ეს მისი ორიგინალური თხზულებაა, რომელიც იმდენად პოპულარული გამხდარა, რომ სხვა მწერლებსაც (გარსევან ჩოლოყაშვილს, პაპუნა ორბელიანს, დავით რექტორს და ა. შ.) შეუტანიათ საკუთარი წვლილი შემატება-გავრცობით.

**201.**30 **დავით IV აღმაშენებელი** (1073-1125) – საქართველოს მეფე (1089-1125), გიორგი II-ის ძე, ბაგრატიონთა დინასტიიდან. ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი მონარქი, მოახერხა ქვეყნიდან თურქ-სელჩუკთა განდევნა 1121 წელს დიდგორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ.

**201.**32 **დავით წინასწარმეტყველი** – ისრაელის გაერთიანებული სამეფოს მეორე მეფე, იესე ბეთლემელის უმცროსი ვაჟი. მეფობდა 40 წელი (დაახ.ძვ. წ. 1005-965). დავითი წმინდა წერილში წარმოდგენილია, როგორც ერთგვარი ეტალონი მორწმუნე მეფისა, ღვთივრჩეული ერის წინამძღოლისა. როდესაც დავითის ძე სოლომონი გამეფდება, ღმერთი მას ეტყვის: „თუ ივლი ჩემს წინაშე, როგორც მამაშენი დავითი დადიოდა წმინდა გულითა და სიმართლით, ყველაფერს აასრულებ, რაც ნაბრძანები მაქვს შენთვის, დაიცავ ჩემს წესსა და სამართალს, განვამტკიცებ შენს სამეფო ტახტს ისრაელში სამარადისოდ, როგორც დავითისთვის, მამაშენისთვის მითქვამს...” (3 მფ. IX, 45). ძველ ისრაელში ღვთისადმი მსახურების სამ ძირითად – სამეფო, საწინასწარმეტყველო და სალვთისმსახურო – საფეხურს განასხვავებდნენ. დავითი იყო მეფეც, წინასწარმეტყველიც და მეფსალმუნეც. შესაბამისად, დავითი უფალს სამივე საფეხურზე ემსახურა.

**202.**15 **ჩახრუხაძე** – XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ქართველი პოეტი, რომელიც ტრადიციულად მიიჩნევა „თამარიანის” ავტორად.

**202.**15 **იოანე შავთელი** – XII-XIII საუკუნეების ქართველი პოეტი, სასულიერო მოღვაწე, როგორც ზედწოდებიდან ჩანს, წარმოშობით სოფ. შავთიდან ყოფილა. მას მიეწერება ძველი ქართული ლიტერატურის კლასიკური ეპოქის ძეგლის, „აბდულმესიანის“, შექმნა.

**202.**20-21 **„ჩვენ სამეფო ოჯახს რაღა ცოდვის მიმატება ეჭირვება?..“** – აკაკი გულისხმობს იმ ტრაგიკულ მოვლენებს, რომლებიც კახეთის სამეფო ოჯახში დატრიალდა: ალექსანდრე II-ს ხუთი ძე ჰყავდა: ერეკლე, დავითი, გიორგი, კონსტანტინე და როსტომი. უფროსი ვაჟი, ერეკლე, რომელიც საიდუმლო მისიით იყო გაგზავნილი ოსმალეთში, დაიღუპა. კონსტანტინე პატარაობიდან მძევლად იყო ირანის შაჰის, აბას I-ის კარზე. 1601 წელს დავითმა მამა აიძულა, მონასტერში წასულიყო და ტახტი თვითონ დაიკავა. თუმცა, დავით I დაახლოებით ერთ წელიწადში გარდაიცვალა და ალექსანდრე II კვლავ დაბრუნდა ტახტზე. მამა სამეფოდ გიორგის ამზადებდა, მაგრამ შაჰს კახეთის ტახტზე თავისი გაზრდილი და ერთგული კონსტანტინე მირზა სურდა აეყვანა. სავარაუდოდ, შაჰის წაქეზებით, 1606 წელს, კონსტანტინე-მირზამ მამა, ძმა და კახელი დიდებულები დარბაზობისას დაახოცვინა სპარსელებს. მამისა და ძმის მკვლელი მეფედ ვერ მიიღეს კახელებმა და ისიც მოკლეს.

**202.**22 **„პაპამაგისი სულ იმას სჩიოდა...“** - იგულისხმება ალექსანდრე II (1527 –1605) – კახეთის მეფე (1574-1605). უფროსმა ვაჟმა, დავითმა 1601 წ. აიძულა ალექსანდრე, რომ ბერად აღკვეცილიყო. დავითის მოულოდნელი გარდაიცვალების შემდეგ ალექსანდრე II ტახტს დაუბრუნდა. მეფე, მისი უმცროსი ვაჟი და დიდებულები 1605 წლის 12 მარტს დახოცეს ყიზილბაშებმა ძეგამის სასახლეში.

**203.**8 **შაჰ-აბაზ პირველი -** (დ. 1571-გ.1629) ირანის შაჰი 1587-1629 წწ. სეფიანთა დინასტიიდან. ამიერკავკასიაში გასაბატონებლად აბას I-ს აუცილებლად მიაჩნდა ქართლ-კახეთის მაჰმადიანურ სახანოებად გადაქცევა. ამ მიზნით ირანის ლაშქარი ოთხჯერ შემოესია საქართველოს მისი მმართველობის წლებში. სწორედ აბას I-ის ბრძანებით აწამეს 1624 წელს კახეთის დედოფალი ქეთევანი. 1625 წელს მის მიერ აჯანყებულთა დასასჯელად გამოგზავნილმა ისა-ხან ყორჩიბაშმა მარცხი განიცადა. მარაბდისა და მარტყოფის ბრძოლებში ნაწვნევმა სასტიკმა დამარცხებამ შაჰი აიძულა პოლიტიკა შეეცვალა და საქართველოს მიმართ გარკვეული კომპრომისები დაეშვა.

**203.**30 **ფეიღამბრები** – წინასწარმეტყველები. ისლამში, კერძოდ – ჰადისებში მათი რაოდენობა 1000-ზე მეტია. ხოლო საკუთრივ ყურანში მხოლოდ 25-ის სახელია მოცემული, დანარჩენებისა კი – არა.

**204.**20 **თემურ-ლენგი (ტამერლანი)** (1336-1405) – შუააზიელი მხედართმთავარი, ემირი (1370-1405), გათურქებული მონღოლური ტომის ბეგის, თარაღაის, შვილი.

**206.**10 **ამილახორი** [ამირახორი, ამილახვარი (არაბ. ამირ ახურ – საჯინიბოს ამირა)] – გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო აპარატის სამხედრო უწყების მოხელე – ამირსპასალარის თანაშემწე, სავაზიროს წევრი სათათბირო ხმით. მას ემორჩილებოდნენ მეაბჯრეთუხუცესი და მეჯინიბეთუხუცესი. საქართველოს სამეფოს დაშლის (XVI ს.) შემდეგ ამილახორი ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და, როგორც წესი, გორის მოურავიც იყო. ამ თანამდებობისგან წარმოდგა თავადთა გვარი – ამილახვარი.

**206.**10 **ამირეჯიბი** (არაბ. ამირ ჰაჯიბ – კარისკაცთა ამირა) – გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო აპარატის მოხელე – მანდატურთუხუცესის თანაშემწე და ეჯიბთა უფროსი. სავაზიროს

წევრი სათათბირო ხმით. ევალებოდა სამეფოში წესრიგის დაცვა, შეთქმულებათა აღკვეთა და სხვა, ამიტომ უფლება ჰქონდა ყოველ ჟამს წარმდგარიყო მეფის წინაშე. სამეფო კარზე ამირეჯიბი განაგებდა დარბაზობისა და პურობის ცერემონიას. როგორც საპატიო მოხელეს, ჰყავდა საგანგებო მხლებელი – ზედამდგომელი. ამირეჯიბის თანამდებობისაგან წარმოდგა გვარი ამირეჯიბი.

**206.**10 **ეშიკალაბაში** – ეს თანამდებობა შემოიღეს XVII საუკუნეში, ნაცვლად მანდატურთუხუცესისა. ეშიკალაბაშები საპოლიციო-ადმინისტრაციული აპარატის უფროსები იყვნენ.

**206.11** **ამირბარი** – იგივეა, რაც მანდარტურთუხუცესი (სახლთუხუცესი).

**206.**11 **ჩაფარი** (სპარს.) – შიკრიკი, მალემსრბოლი, კურიერი.

**207.**2 **ფეიქარ-ხანი** (1616-1625) – შაჰ-აბასი მეოთხედ რომ შემოესია საქართველოს, კახეთი ორად გაიყო – მდინარე ივრის აღმოსავლეთი მხარე განჯის მმართველ ფეიქარ-ხანს ჩააბარა, ხოლო დასავლეთი – ქართლის მმართველ ბაგრატ-ხანს. თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმის ცნობის მიხედვით, ფეიქარ-ხანი „შაჰ-აბასის მიერ დანიშნული ყიზილბაში კახეთის მმართველია, რომელსაც რეზიდენცია ხორნაბუჯის ციხეში ჰქონია“. ფეიქარ-ხანს ცოლად ჰყავდა წამებული მეფის, ლურასაბის და, ლელა. სწორედ ამ ლელა ბატონიშვილის შერთვას დაჰპირდა გიორგი სააკაძე ზურაბ ერისთავს, რომ ყიზილბაშთა წინააღმდეგ 1623 წლის აჯანყებაში მონაწილეობაზე დაეყოლიებინა („...არამედ ზურაბ მიზეზ-ჰყო ცოლი, რომელი ჰყუა ისპაანს და მოურავის ძე პაატა, ხოლო მოურავმან აღუთქვა შერთვა ლელა ბატონიშვილისა დისა ლუარსაბისა და მრავლითა ლიქნითა დაიყოლია და ზურაბ დასთმო ცოლი და მოურავმან შვილი და დაასკუნეს ღალატი ყიზილბაშთა“).

**208.**37 **ოროველა –** ქართული ხალხური შრომის სიმღერა. უკავშირდება მიწისა და მოსავლის წარმართული ღვთაების, ოროველის კულტს. მღერიან გუთნით მიწის ხვნის, კალოზე პურის ლეწვისა და განიავების დროს. ამის მიხედვით სიმღერას სხვადასხვა სახელწოდებაც აქვს: გუთნური, კალოური, კევრული (ოროველა მათი ზოგადი სახელწოდებაა).

**209.8** **მუმლი მუხასა** – ერთ-ერთი უძველესი ხალხური სიმღერა. მომდინარეობს წარმართული ხანიდან. იგი შეიქმნა მუხის, როგორც სიძლიერისა და გამძლეობის სიმბოლოს, სადიდებლად. სიმღერამ თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვან მანძილზე გარკვეული ცვლილებები განიცადა შინაარსის, სოციალური ფუნქციისა და მუსიკალობის მხრივ. საფიქრებელია, რომ სიმღერა თავდაპირველად მუხის გარშემო ფერხულით სრულდებოდა. დროთა განმავლობაში „მუმლი მუხასა“ შრომის სიმღერად იქცა (სრულდება სიმინდის თოხნის დროს). XIX საუკუნეში „მუმლი მუხასა“ საბოლოოდ დაიხვეწა და სამხმიანი სიმღერის სახით გავრცელდა. საბოლოოდ სიმღერამ სიმბოლური დატვირთვა (მუხა-საქართველო, მუმლი-მტრები) და პატრიოტული ჟღერადობა შეიძინა. „მუმლი მუხასა“ პირველად ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ,



ლოტბარმა ზაქარია ჩხიკვაძემ 1890 წელს გამოაქვეყნა თავის კრებულში „სალამური“.

**209.**30 **ალი ყული ხანი** (ალი ყული ხან ქენგერლუ ნახიჩევანელი) – სწორედ ამ მმართველის დროს ჩასახლდა კახეთში 80000-მდე მომთაბარე ელი.

**210.9** **საბუე** – სოფელი ყვარლის რაიონში, მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე.

**211.**15 **ალვანის ველი** – ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით – *ალონი* – ველი კახეთში (ახლანდელი ახმეტის რაიონი). XVI საუკუნის შუა წლებში კახეთის მეფე ლევანმა ალვანის ველი თუშებს უწყალობა ზამთრის საძოვრად. ალვანის ველი თუშების მუდმივ საცხოვრებელ ადგილად XIX საუკუნის დასაწყისიდან გადაიქცა. ამავე ხანებში გაჩნდა სოფ. ალვანიც.

**211.**15 **„ყეენის ტახტზე აბრძანების დღეობას იხდიდნენ...“** – შაჰ-აბას II ტახტზე 1642 წლის 15 მაისს ავიდა.

**213.**14 **შაითანი** [სპარს. < არაბ. šaitān] – ავი სული, ეშმაკი.

**213.**35 **ყარაბაღული ცხენი** – მთიან ყარაბახში გამოყვანილი ცხენი. აღმოსავლურ ჯიშებს შორის ყარაბაღული ცხენი ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა.

**213.**37 **ისინდი (ძვ. *ჯირითი*)** – ძველი ქართული ცხენოსნური სპორტის სახეობა. ტარდება 150-200 მეტრი სიგრძისა და 40-50 მ. სიგანის ოთხკუთხა სწორ მოედანზე. მონაწილეობს ცხენოსანთა თანაბარი რაოდენობის ორი გუნდი – თითოეულში არანაკლებ ექვსი მხედრისა (მოთამაშეთა რიცხვი შეიძლება ათამდე გაიზარდოს). ისინდი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა დასავლეთ საქართველოში.

**214.**16 **ყაბახი** – ძველი ქართული ცხენოსნური სპორტული თამაშობა. ანძაზე (ყაბახზე) შემოდებული ნიშნის (უმთავრესად – თასის) ისრით ჩამოგდება. ყაბახისათვის თბილისში დღევანდელი ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო მოედანი მოწყობილი.

**221.**21 **ძველი შუამთა** – მონასტერი თელავის მახლობლად. სამონასტრო კომპლექსში შედის V საუკუნის ბაზილიკა და VII საუკუნის გუმბათოვანი ეკლესია. XVI საუკუნეში ძველი შუამთის მონასტრის მახლობლად კახთა მეფის, ლევან II-ის (1520-1570) მეუღლემ, თინათინ გურიელმა ააგო ახალი მონასტერი. ახალი შუამთის მთავარი ტაძარი ჯვაროვან-გუმბათოვანია. კომპლექსში შედის სამრეკლო და სხვა ნაგებობანი.

**229.**25 **მაჰმადი (მუჰამადი)** (570/571-632) – ისლამის დამაარსებელი, რელიგიური მქადაგებელი და პოლიტიკური მოღვაწე. მუსლიმური ტრადიციისა და ყურანის მიხედვით, ალაჰის უკანასკნელი მოციქული, წინასწარმეტყველი.

**234.**30 **იკორთა** – ტაძარი გორის რაიონში. აგებულია 1172 წელს. აქ არიან დაკრძალული კახეთის აჯანყების (1659) წამებული გმირები: ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები.

**235**.15 **ბახტრიონის ციხე** – ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე კახეთში, მდინარეების ალაზნისა და ილტოს შესართავის მახლობლად. აგებული უნდა იყოს XVII საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ირანის შაჰის, აბას II-ის, ბრძანებით.

ბახტრიონის ციხე ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი იყო კახეთში სპარსელთა ბატონობის განსამტკიცებლად და ჩამოსახლებულ მომთაბარე თურქმანთა უშიშროების უზრუნველსაყოფად. სახელი ეწოდა აქ მდებარე სოფელ ბახტრიანის მიხედვით. კახეთის აჯანყების (1659) დროს მთავარი ბრძოლა ამ ციხესთან მოხდა. აჯანყებულებმა გაანადგურეს გარნიზონი და ციხეც დაანგრიეს. მას შემდეგ იგი არ აღუდგენიათ. შემორჩენილია ერთმანეთს დაშორებული, რიყის ქვით ნაგები სამი კოშკის ნანგრევი, ადგილ-ადგილ კი გალავნისა და ზოგიერთი სხვა ნაგებობის ნაშთიც.

**237**.11 **მურთუზალ-ყული-ხანი** – კახეთის გამგებელი სელიმ ხანის შემდეგ ყიზილბაშებმა კახეთში სამი ციხე (ბახტრიონის, ალავერდისა და ყარაღაჯის) ააშენეს, სამივეში ძლიერი ციხიონები ჩააყენეს, რათა თავი დაეცვათ კახელთა თავდასხმებისაგან. ბახტრიონის დიდი ციხის მშენებლობა რომ დამთავრდა, სელიმ-ხანს კახეთი ჩამოართვეს და ორად გაყვეს: სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარე ყარაბაღის ბეგლარ-ბეგს მურთუზალ-ყული-ხანს ჩააბარეს, ხოლო დანარჩენი კახეთი – ნახიჩევანის ბეგლარბეგს, ალი-ყული-ხან ქენ-გერლუს.

**184**.1 თავი პირველი < **B**+ ვუძღვნი მოსკოვის სტუდენტებს (საერთოდ B-ში „ბაში-აჩუკი“ თავებად არაა დაყოფილი, C-ში რომაული ციფრები ცვლის თავებს, ხოლო C-ში ასოები მითითებულია ჩვეულებრივად ასოებით 2 თვალმიუწდომელ] თვალმიუწვდომელ D. 11 გადაჰყურებდა] გადაყურებდა B. 13 აივანი] ჰაივანიB. 15 ფეხმორთხმით] ფეხ-მოფრთხმით C ფეხმოფთხნით B. 18. ჰკითხულობდა] კითხულობდა BC. 19. ფსალმუნს] პსალმუნს B. . რამდენჯერაც] რამდენჯერ B. 026. დამესხა] დამეხვა D. 28 მიჯინებულმა] მიჟინებულმა D.

**185**.1 თელხი] თერხი B. დაჰკრავდა] დაკრავდა B. 3 როგორ] რავა BC. 12 მანდ] მანდა CD. 16 მღვდელი] ღვდელი BC. 17 სთქვა] თქვა BD. 26 ათრთოლებულის] ათრთოლებული D. 28 დაჰპატრონებოდა] დაპატრონებოდა BC. 32. გადაცილებული ] გაცილებული ] D.

**186**.12 წინაალუდგეთ] წინალუდგეთ B. 15 ჩორჩქოლი ] ჩოჩქოლი D. 22 მიაშურა] მოაშურა BD .24 გლეჯდა] ჰგლეჯდა CD. სწიწკნიდა] წიწკნიდა BC. 28 ღონემიხდილნი] ღონემიხდილი B. 29 გამოჩნდა] გამოჩდა B. 31 უწმიდურმა] უწმინდურმა D. 34 სული] სუნი D. 35 დავემხვეთ] დავემხეთ BC.

**187**.9 სთქვა] თქვა ] B. 11 დიდებით] დიდებითა D. 16 ჰფიქრობდა] ფიქრობდა BC. 18 კიდემდე] კიდემდინ C. 19 სთქვა] თქვა C. 25 შემოაშხაპუნა] შამოაშხაპუნა B. 28 წარმოსთქვა] წარმოთქვა BC. 29 შეჭირვებულ] შეჭირვებულს D.

**188**.8 უშავთ] უშავსთ BC. 20 ხორებს] ხორხებს B. ნიაღვარი ] ნიავლვარი B. ჩამოჰყრიდა] ჩამოყრიდა BC.28 დაუჟინია] დაუჯინია C D. 29 წმინდა] წმიდა D.

**189.**7 დახვდა] დაუხვდა B. 11 დაბრთხა ] დაფრთხა D. 14 გაახურვა] გაახურა B. 15მოადგა] მიადგა B. 18 ცოტა ხნის] ცოტახანს B. ამოჰყო] ამოყო B. 19 ეკერა] ეკრა D . 24 ჩამოსცდა ] ჩამოცდა B. 25 დახამხამებამდე] დახამხამებამდი BC. ამოჰყვეს ] ამოყვეს BC . 29 მოიკრიბა] მოიკრიფა C. 30 საჩქეფზე] საჩქერეზე B. 32 ზედ] ზეით B. 33 მიჰყვებოდა] მიყვებოდა D. 33 აღარ] აღარა BD.

**190**.6 ჰქენი] ქენი B D. 7 ჰკითხა ზაალმა < B. 13 ეგებ] ეგება BC . გამოატანიო] გამოატანინო D. 16 მოურაო] მოურავო D. 17 გაგონილა < B. 21 ჩაჰყო... ამოჰყო] ჩაყო... ამოყო BC. 30 გიახლებათ] გაახლებთ B. 35 სიგძისად] სიგრძისათ BC. 24 ჩემს] ჩემ D.

**191**.12 გაჭირება] გაჭირვება D. 24 ზღვაში და + ისე B. ჩემს] ჩემ BC. 25 მისწვდება] მიწვდება B. 27. შეიშმუშნა] შეიშმუშა B. 30 მაინც <C. 33 ვინ] ვინა D. 34 უნაგერს] უნაგირს D.

**192**.9 აგრე] ანგრე BC. 13 მე კი + ფეიქარხანის C. 16 გაახლოთ] გაახლათ D. 22 საკვირელია] საკვირველია D. 25 სათვალეებს] სათვალებს B. 26 შესჩერებოდნენ] შეჩერებოდენ B. 32 ქრისტეანობა] ქრისტიანობა D. 33 რეკვა] რეკა D. ხატი] ხატები BDC.

**193.**1 ილრჩობოდა] იხრჩობოდა D. 5 გამოჰყავს] გამოყავს BD. 7 იმედიც] იმედი D. 8 ორი ათასის] ორი ათასი D. 15 სჭრის] ჭრის B. 27 გამძვინვარებული] გამძვინებული BC. 31 ნაღვლიანის] ნაღვლიანი D. შახნავაზს] შაჰნავაზს D. 37 საკვირველებას] საკურველებას C.

**194.**4 ვჰქნათ] ვქნათ D. 7 სანამ] სანამდი C. 8 ერისთავებიც] ერისთვებიც C. 14 გაისარჯეთ] გარეკეთ B. 17 ვისთვის] ვისს D. 19 კიჟინა] ყიჟინა BC. 21 ფაციფუცი] ფაცაფუცი C D. 22 სინჯავდა] შინჯავდა BC. 25 დარბაზში] ოთახში D. ფეხმორთხმით] ფეხმოფრთხნით C. ფეხმოფთხნით B. 27 ახალგაზდა] ახალგაზრდა D. 30 არის] არი BC. 33 შენი კი] შენ კი D. 34 ზაალი] ზაალ BC. 36 ვჰქნა] ვქნა D. 37 შევასმინე] შევაგონე C.

**195**.2 განზრახვა] განძრახვა B. 3 სჯობია] ჯობია B. 4 გულხელდაკრებილი] გულხელდაკრეფილი D. 9 უკეთესს] უკეთეს C. 12 აქვსთ] აქვთ BC. 14 ჰჯობს] სჯობს B. 17 სტკივაო] ტკივაო B. 18 ხანდიხან] ხანდახან D. სიბრთხალის]სიფრთხილის D. 20 გასწიროთ] გაწიროთ B. 21ჰკითხავთ] კითხავთ B. 36 ელიზბარმა] ელისბარმა BD. 37 მელაკუდაობა] მელაკუდობა D. შახ-აბაზის] შაჰ-აბაზის D.

**196.** 1 შახნავაზს] შაჰნავაზს D. 3 მოსწვდება] მოწვდება B. 5 ჩემის] ჩემი C. 8 გასტანა] გაატანა B. 11 აპირობდენ] აპირებდნენ B. 14 განზრახვა] გან-

ძრახვა C. 17 მისწვდება] მიწვდება BC. 26 რა] რას D.  რას დაგიჟინია] რა დაგიჯინია BC. ამბობ] ამბობთ C. 30 გააწყვეტინა] გააწყვეტია C.

**197**.4 სწორედ] სწორეთ B. 12 სასწაულს] სასწაულსა D. 15 ჩემ] ჩემი CDB. 22 მოილაპარაკეს] მოლაპარაკების B. 23 გააფრთხილეს] გააფთხილეს B. 27 სიზმრით] სიზრმით BD. 30 გადახრამდე] გადახრამდი BC. 31 ჩოლოყაშვილთან] ჩოლაყაშვილთან B. 34 შესჩერებოდა] შეჩერებოდა B.

**198**.1 აზნაურიშვილი] აზნაუშვილი C. 4 თავის] თავისი D. 7 მოჰყვა] მოყვა B. 9 ახარებს] ახარებსო D. 13 იქით] იქეთ B. 15 განმავალობაში] განმავლობაში D. 19 მონასტერში + მისცა B. 20 საბრხეში] საბრთხეში D. 23 სჯობდა] ჯობდა B. 27 ეახლა] იახლა B.

**199**.1 გაეწყობა] გეეწყობა B. 4 ახალგაზდა] ახალგაზრდა C. 7 ნიშანში] ნიშანი BC. 36 გაიკმინდა] გაკმინდა BD. 8 მაღლა] მაღლაც B. 10 გახლავთ] გახლავსთ C. 11 გაფარჩხულად] გაფართხულთად B. 12 შევსწყვიტე] შევწყვიტე D. 13 უცბად] უცფათ BD. 15 დაედევნენ] დეედევნენ BD. 19 მოგახმაროსო] მოგახმაროს D. სთქვა წერეთელმა < B. სთქვა]. 30 ტყუილად] ტყუილა BC. სჩიოდა] ჩიოდა BC. 31 საუკუნოების] საუკუნეების BD. 33 ჰბაძავდნენ] ბაძავდენ BC. 34 სოგრატობაზედ] სოგრატობაზე D.35 სდებდნენ] დებდენ B. შერმადინობდენ] შერმადინობდნენ B.

**200.**17 აკვესებდა] აკვესდა B. 25 შეჰკვნესოდა] შეკვნესოდა B. შესჩიოდა] შეჩიოდა B. 36შამოიკუნტრუშებდა] შემოიკუნტრუშებდა BCD.

**201**.1 თეიმურაზი] თემურაზი B. 7 პოლიტიკობდა < და D. 12 მისჯდომოდა] მიჯდომოდა B. 14 პირისახეს] პირისსახეს B. 16 უცბად] უცფათ B. 17 ამბავია] ანბავია B. 21 ლეილი-მეჯნუნიანი] ლეილ-მეჯნუნიანი BD. 23 უთუოდ] უთუოთ B.24 სწერს] წერს B. 25 სწეროს] წეროს B.

**202**.14. დასწერს] დაწერს B. 24 ღმერთსა] ღმერთს D. 25 დასტაკებოდეს] დატაკებოდეს B.

**203**.1. სწორედ] წორეთ B. 4 ჰფიქრობდა] ფიქრობდა BC.  6,7რჩევასაყვედურებითა და მუქარით სავსე < B. 9 ჰკბენდა] კბენდა BC. 8 შესდგომიხარ] შედგომიხარ B. 13 დღემდე] დღემდინ BC. 19 თქვენს] თქვენ B. 20 რამდენჯერ] რამდენჯელ B.. 36 დიდის] დიდი D. ჰხვდა] ხვდა D. 37 განა დედაღვთისა ~ დელაღვთისა განა D.

**204**.4 ჩაჰყარა] ჩაყარა C. 8 ეცნოთ] ეცნათ B.  გასდგომოდნენ] გადგომოდნენ B. 9 ვაღვიარებ] აღვიარებ D. 10 შევჰყრი] შევყრი D. 15 მიჰკედლებოდა] მიკედლებოდა BC. 20 მძინვარე] მძვინვარე D. 22 ასიათასობით] ათი ათასობით D.  25 ამბობდა] ანბობდა B. 27 შემოვილიე] შემოვალიე D. 37 დასანგრევია] დასაგნერევი BD.

**205**.6 წამოჰკრა] ჩამოკრა B.  12 ველარას] ველარა B. სთესავს] თესავს BC. 13 შესცვალა] შეცვალა B. 15 შეუცვალა] შეცვალა C. ერთთავად] ერთავად B. 18 სძლია] ძლია C. 19 საბრხეში] საფრთხეში D. 25 მხოლოდ] მხოლოთ B. 26 ნელ-ნელ] ნელ-ნელა D. 31 საუკუნესაც] საუკუნოსაც B. 35 წირვა-ლოცვის + და D. 36 მოლლა-ყადები] მოლა-ყადები BCD.

**206**.8 გაკმიდა] გაკმინდა BCD. 10 ეშიკალაბაშობას] ეშიკააბაშობას C; ეშიკაყაბაშობას B. 18 მოსწონდათ] მოწონდათ B. 21 დანთხეულს] დათხეულს D. 23 საიდანმე მონაკვეს ~ ნაპერწკლებს საიდანმე მონაკვესს D.. 24 სცხოვრობდა] ცხოვრებდა B.29  ამბობდენ] ანბობდენ B.  მისდგომია] მიდგომია D.

**207**.19 რარიგათა] რარიგადა C. სცხოვრობენ] ცხოვრობენ D. 20 პურსა სჭამს] პურსა ჭამს B. 23 გვქონდეს] გვექნეს D.  სიმშილით] შიმშილით D. 25 მანამდე] მანამდი BC. 27 აღმართს] აღმართსა BD. 28 ეგრე] მანგრე B. ჰფიქრობს] ფიქრობს BC. 32 გაზაფხული კი ერთსაც მოიყვანს და ათასსაც] გაზაფხულს კი ერთიც მოჰყავს და ათასიც D.

**208**.13 გავსცვლი] გავცვლი D. 24 საუკუნოებს] საუკუნეებს D. შეწებება] შეწეპება B. 26 სთქვა] თქვა B.

**209**.8 შერჩენია] შეჰრჩენია B. 10 ამოჰყო] ამოყო BC. 17 კამეჩებს] კამბეჩებს B. 19 ღონესა] ღონესო BC. 62 ჩამობერა] ჩამომბერა D. 34 ალიყულიხანს] ფეიქარ-ხანს B.

**210**.4 გალავანის] გალავნის D. ჰბედავდნენ] ბედავდნენ BC. 6 როგორცკი] რაღაი კი BC. 10 მღვდელი] ღვდელი B. შეიპყრეს < და C. 11 გონებაში] გუნებაში BC. 17 დაიჭერსო] დაიჭერს D.18 თვარა] თუ არა B. ჰფიქრობდა] ფიქრობდა BC. 20 ეგების] ეგება BC. 25 გაჭირდა] გასჭირდა B.  ექნა] ექმნა B. 26 გამოცხადებოდა] გამოსცხადებოდა BD.  29 ყმაწვილობიდგანვე] ყმაწვილობიდანვე D.32 ქვეყნისაკენ] ქვეყნისკენ C. 35 მოემართა] მიემართა D. 36 მთავრობამ + მთავარ D. 37 მაძიებელი] მაძიებელნი B.

**211**.3 გზად] გზით BC.  რომ < D. 211,17 კარავებით] კარვებით D. 19 ალი—ყულიხანი] ფეიქარხანი B. 27 ფალავანები] ფალავნები D. 33 ფეიქარხანსაც] ფეიქარსაც B. 34 აბდუშაჰილს] აბდუშაილს B. 36 დაერჩინა] დაირჩინა BC.

**212**.8 შეხედა] შეჰხედა B. 10 შემოუარა] შამოუარა B. ცერებზედ] ცერებზე D. 11 ცდილობდა] სცდილობდა D. 14 უკივლეს] უყივლეს D. 19 დგას] სდგას B. 20 გოლიათებსო] გოლიათებსაო BC. 25 წვერებზედ] წვერებზე D. 27 რაღაც] რაღაცა C. კიჟინი] კიჟინა B. 35 მაგრე] მანგრე B. ჰყვიროდენ] ყვიროდენ BC.

**213**.9 კლავში] მკლავში D. 10 დაუშვა] უშვა D. 12 კიჟინა] კიჟინი D. 14 ახლა] ეხლა B. შეიტანე] შეიტანეთ D. გამოიტანე] გამოიტანეთ D. 27 ასწიეს] აიღეს BC. 31 ბერავდენ] ჰბერავდნენ D.  ნეშტოებს] ნესტოებს D. 35 ყარაბაღულა] ყარაბაღული D.

**214**.9 ჰქონდათ] ქონდათ BC. 9 აეღოთ + ჯირითი D. 12 დაუკრეს] დაიჭყივლა D. ზურნა] ზურნამ D. 13 ჭიხვინ—ხიხვინით] ჭიხვინ—ჭიხვინით D. 15 სათითაოდ] სათითოოდ B. 25 ზდილობისამებრ] ზრდილობისამებრ D. 31 კოტრიალობდა] კოტრიალებდა D.

**215**.2 შახნავაზად ] შაჰნავაზად C. 6 მხოლოდ] მხოლოთ C. 7 უშვენიერესი ] უსშვენიერესი CD. 26 ქალებზე + კი BC. 27 ორნი] ორი D. დანი] დები D. 28 მეორესაგან] მეორისაგან D. 29 მზგავსი] მსგავსი D.30 მერე—და უპატრონო ობლები არიან? ] მერე და ობლები არიან? უპატრონო? D. 32 სანაცვლოდ] სანაცვალოდ B.31არა] აღარ B. 34 აღარ ვიცით ] აღარა ვიცითრა CD.

**216**.30 ჟინი] ჯინი B.

**217**.1 თითქოს] თითქო C. 16 მელანომ] მელანამ C. 17 სიარული] სიარულს D. 20 ჰყავდა] ყავდა B. თითონ] თვითონ BC. 23 უსიამოვნება] უსიამოვნობა C. 28 ამოიდგა ] ამოუდგა B. კახური ღვინო D.

**218**.3 გათენებამდე] გავთენებამდი C. 7 ჩაჰკიდა] ჩაკიდა B. 9 ხვრინა] ხვრინი D. 29 შეტყუპებულსავით] შეტყუბებულსავით D. თავდავიწყებულები] თავდავიწყებული D. 30 ხვრინა] ხვრინი D. 34 იქნევდა] აქნევდა D.

**219**.16 ზეზე < CD. 18 ალიყულიხანმა] ფეიქარ-ხანმა B. აბდუშაჰილი] აბდუშაილი B. 22 შუბლზედ] შუბლზე D. 23 ყოველივეს] ყოლიფერს BC. 25 შემოარტყი] შამოარტყი B. 28 შევჰყროდი] შევყროდი CD. 28 გადამეხდევინებია] გადამეხდევინებინა BCD.29 თუარა] თვარა BD. უდროოდ] უდროოთა C. 10 30 ვაშკაცობაა] ვაჟკაცობაა CD..

**220**.2 მშვენიერი] შვენიერი C. 7 შეჰკრთა] შეკრთა D. 10 ვითომ] ვითამ BC. 15 მარტო შენს ~ D. 17 სცდები] ცდები B. 33 მუხლებში < D.

**221**.6 შენ] შენს D. სახლს] სახლსა CD. 22ეგებ] ეგება C. 23 წავაწყდეო] წავატყდეო B. 24 დაბრუნებულს] დაბრუნებულზე BC. 25 შვილდ] მშვილდ D.36 შესწივლა] შეწივლა B. 25

**222**.20 შაუშვირა] გაუშვირა D. 21 ბავშვივით] ბავშივით B. გადიწვინა] გადაიწვინა D. 23 ანიშნეს] დანიშნეს B. 24 მოხედავდა] მოიხედავდა D. 25 მივჰყვები] მივყვები D. 29 მინახამს] მინახავს D. 31 დასჩერებოდა] დაჩერებოდა BC

**223**.4 მიატყდენ] მიაწყდნენ D. 6 მაგრამ + მაგრად D. 8 შემოვლა] შამოვლა B. 12 სთქვა] თქვა B. 20 მოჯადოებულისავით] მოჯადოებულსავით D. 25 სდებდა] ადებდა B. 29 დაბლა] დაბლათ C. 34 მინდევხარ] მინდიხარ D. 35 მივასწარ ] მივუსწარი D.

**224**.9 თქვენი საწინააღმდეგო ხდება ~ საწინააღმდეგო ხდება თქვენი] BC.

**225**.1 გადავჰკიდე] გადავკიდე D. 4 ბრაზმორეულმა] ბრაზმოსულმა B. 6 მიიკუნჭა] მიიკრუნჩხა D. 7 შემოვარდა] შემოუარდა B. . 19 გაყურებინებთ] გაყურებიებთ C. 23 მთლად < D. 24 გადაცვივდა] გადაცვინდა BC. გადაეჭრა] გადაიჭრა BD. 25 მიეცათ] მიეცა D. 27 გამძვინებული] გამძვინვარებული D. 30 ბრტყელ] ბტყელ B.

**226**.15 ვიგერებთ] ვიგერიებთ D. 34 ლაზათიანად] ლაზათიანა B. 37 შინჯე] სინჯე BCD.

**227.**1 გამიჭრას] გამიჭრა B. 5 დამაკლებ-მეთქი] დამაკლებ-თქო B. 15



აღელვდენ] აღელდნენ C. 23 ქრისტეანები] ქრისტიანები D. 28 ძრახვით] ზრახვით BD. 33 გადმიქციე] გადამიქციე D. 34 გაჰქრა] გაქრა BC. 35 ვეღარ] ვეღარა D. 36 ჩემია] ჩემიაო BC.

**228**.1 ხნის ] ხანის BC. მიჰქონდა] მოჰქონდა C.. 15 სტიროდა] ტიროდა BC. 20 დასატკბობელად] დასატკბობად CD. 28 ტყუპისცალი] ტყუბისცალი B. 36 მეტის] მეტი BC.

**229**.3 ვაშკაცის] ვაჟკაცის C. დღიდგან] დღიდან D. 5განუხორციელებელი] გაუხორციელებელი BCD. 9 შემატყობინე] შემატყობიე CD. 12 ვუნდოდით] უნდოდით BC. 12 ცარიელი] ცალიერი BD. 16 და მაშინაც როცა] და ან როცა D. 21 წამომყევი] წამამყევი B.. 36 სთქვა] თქვა B.

**230**.16 მძღვნეს] მეძღვნეს D. 18 დასთანხმდა] დათანხმდა B. 22 მეთვალყურენი] მეთვალყურები C. 36 წამოცვივდენ] წამოცვივდნენ D.

**231**.12 გაგრძელდა] გაგძელდა BC. 16 არდალანში] არდაგანში B. 17 დედაჩემისაგან] დედიჩემისაგან C. 21 უფროსი] უმფროსი B. 26 ჩვენი < BD.

**232**.23 მელანომ] მელანიამ B. 34 თავი მეცამეტე < B.

**233.**10 სიდამბლავეს] დამბლას D. 234,10 ულუსებს] ულუხებს B. 22 ხატის] სახატის BC. 235,3 დიდძალი] დიდი ძალი B. 37 ღრჭენით] ხრჭენით B.

**236**. 3 კახეთით] კახეთიდან B. 16 ლიტანიაობა] ლიტანიობა D. 37 ერთხმად] ერთხმით B. 18 ეკერათ] ეკერა BCD. 25 მიბოძებიაო] მიბოძებია D. 28 მომაშველეთ] მამაშველეთ B. 30 ძლიერი] ძრიელი B. 35 ატყობინებდა] ატყობიებდა B.

**237**.2 შევანანიო] შევანანო D. 20 ჩემს] ჩემ BC. 22 გამოვჰკითხო] გამოვკითხო D. 23 ვფიცავ] ვიფიცავ B. 29 ვაზლვევინებ] ვაზლვევინებო BC.

**238**.15 ერისთავმაც] ერისთავმა B. 22 მართებს] ჰმართებს B.26 გადასცილდეს] გადაცილდეს C.35 ასცდებიან] აცდებიან BC. განაგებსო] განგებასო D.

**239**.4 გასცვივნია] გასცვენია D. 6 ფოთოლია] ფოთლებია B. 9 ხელმწიფევ] ხემწიფე B. 10 ისე] ისევე D. 14 ქვეყნისთვის + და D. 16 აღარ] აღარც B. 18 სჯულია] რჯულია BC. 21ფოთლებთაგანი] ფოთოლთაგანი D. 22 დასაცვივნი ] დასაცვენი D. 23. ჩვენო] ჩემო B. 24 ვიახლოთ] ვეახლოთ BD. 29 წმიდა] წმინდა BD. 37 ხმაამოუღებელად] ხმაამოუღებლად D.

**240**.8 მოცულნი] მოცული. 12 არაფრად] აღარაფრად BC. რადგანაც] რადგანც C. 16 თავის] თვისს D. 17 ცოლიძმას] ცოლის ძმას B. 29 ეტყობოდათ] ეტყობათ D. 31 ნაშიერს] ნაშიერებს D. 32 სწუნობენ] ხუობენ B.

## წმინდა გიორგის რაზმი (გვ.241)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: „აკაკის კრებული“, 1898, №9, გვ. 37-48 (A); აკაკი. წმინდა გიორგის რაზმი. 1904 (B).

თ ა რ ი ღ ი: [1895]

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

მოთხრობის დათარიღების შესახებ იხ.: შენიშვნებში.

აკაკის თხზ. სრ. კრებულის თხუთმეტტომეულის VIII ტომში (თბ.: 1958) მოთხრობა „წმინდა გიორგის რაზმი“ ტომის ძირითად ნაწილშია დაბეჭდილი, ხოლო „სოლომონ პირველი დიდი, იმერეთის მეფე“ – დამატებაში. „წმინდა გიორგის რაზმი“ პირველი პუბლიკაციის მიხედვით დათარიღდა 1898 წლით, ხოლო „სოლომონ პირველი“ — 1895 წლით, ასევე პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

ვიზიარებთ პავლე ინგოროყვას მოსაზრებას ამ მოთხრობათა დათარიღების შესახებ (იხ.: ა. წერეთელი. თხზ. კრებული შვიდ ტომად. ტ. IV. თბ.: 1948, გვ. 472-473) და ვფიქრობთ, რომ ორივე მოთხრობა 1895 წელს დაიწერა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ კიდევ რამდენიმე არგუმენტი მეტყველებს: დასახელებული მოთხრობები, ისტორიულ-მხატვრული ქრონიკები, ერთსა და იმავე პიროვნებას – სოლომონ I-ს (1752—1794) – ეხება, ასახავს საქართველოს ისტორიის ერთსა და იმავე ხანას, ორივე მოთხრობას ერთვის ავტორისეული კომენტარი. უფრო ვრცელია მოთხრობის „წმინდა გიორგის რაზმი“ კომენტარი (წინა აკადემიურ გამოცემაში მოთხრობა ამ კომენტარის გარეშეა დაბეჭდილი). ავტორის შენიშვნებიდან ვიგებთ, რომ ნაწარმოებებს საფუძვლად უდევს სიკო კანდელაკის მიერ ჩაწერილი ამბავი, ხოლო მთხრობელი ყოფილა მისი პაპა, სოლომონ მეფის თანამედროვე, სვიმონ კანდელაკი (ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ სვიმონ კანდელაკი მართლაც ცხოვრობდა სოლომონ მეფის დროს).

სიკო კანდელაკს თავისი ჩანაწერები აკაკისთვის 1895 წ. უნდა მიეწოდებინა, როდესაც პოეტმა ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვებას მიჰყო ხელი. აკაკიმ 1895 წელს ჟურნალ „კვალში“ (№6) ამის შესახებ საგანგებო წერილიც გამოაქვეყნა, რომელშიც მოითხოვდა ფონდის შექმნას; ხოლო „კვალის“ 1895 წ. მე-14 ნომერში აკაკიმ საზოგადოებას ამცნო: „ერთი შესანიშნავი ხელნაწერი შევიძინე – ჩვენში მრავალი თქმულებაა დიდ მეფე სოლომონზე... მაგრამ სულ ნაწყვეტ-ნაწყვეტად. ახლა კი ხელში ჩაგვივარდა დამსწრეს დღიური, სადაც ყოველი თავგადასავალი მეფისა მშვენივრად არის აღწერილი. ამ ხელნაწერს დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს და მალეც გამოვა ჯერ „კვალში“ და შემდეგ ცალკე წიგნად“.

მაშასადამე, ხსენებული „დამსწრეს დღიური“, რომელშიც „ყოველი თავგადასავალი სოლომონ მეფისა... მშვენივრად იყო აღწერილი“, აკაკის 1895 წელსვე ჰქონდა ხელთ. როგორც ჩანს, ამ მასალიდან მან ამოარჩია რამდენიმე ამბავი, გადაამუშავა და დამოუკიდებელი მოთხრობების სახე მისცა, თუმცა, ისტორიული ფაქტები არ შეუცვლია. ამ მოთხრობათაგან პირველად „წმინდა გიორგის რაზმი“ უნდა შექმნილიყო, რადგან სწორედ მას ერთვის უფრო ვრცელი ტექსტი, როგორც მეფე სოლომონის შესახებ ისტორიული ქრონიკის საერთო ზოგადი შესავალი.



წინა გამოცემაში მოთხრობის „წმინდა გიორგის რაზმი“ ძირითად ტექსტად აღებული იყო 1904 წ. გამოცემა, ჩვენ კი ვბეჭდავთ „აკაკის კრებულის“ (1898, №9), ანუ იმ ტექსტის მიხედვით, რომელსაც აკაკისეული კომენტარი ერთვის. ეს კომენტარი 1904 წლის გამოცემაში აღარ არის; ასევე, მიგვაჩნია, რომ სიტყვათა სწორება მოთხრობის 1904 წლის გამოცემაში არ არის აკაკისეული და არ გამოხატავს ავტორის საბოლოო ნებას (ნ. ჩიტაური).

**242**.2 **„სოლომონ დიდის მამა, მეფე ალექსანდრე, მხოლოდ სახელათ იყო მეფე, თვარა თვით სამეფო კი სხვისი სახრავი იყო“ –** იგულისხმება მეფე **ალექსანდრე V** (1703/1704-1752) – იმერეთის მეფე (1720-1741, 1741–1746, 1749-1752). მის დროს გაძლიერდა ოსმალეთის აგრესია. მეფის ხელისუფლება დასუსტებული იყო გამუდმებული შინაფეოდალური ომებით.

ალექსანდრე V რუსეთთან დაახლოების მომხრე იყო და აქტიურად იბრძოდა ოსმალების წინააღმდეგ, ამ პროცესს ხელი შეუშალა რუსეთ-ოსმალეთის ბელგრადის საზავო ხელშეკრულებამ (1739). იმერეთის სამეფოში კვლავ ატყდა შინაფეოდალური ომი. ამავე დროს ოსმალეთის ხელისუფლებამ პოლიტიკა შეცვალა: შეეცადა პირფერობითა და დიდკაცობის გადმობირებით იმერლებისათვის რჯული და ეროვნული ელფერი ნელ-ნელა დაეკარგვინებინა (მოთხრობაში „წმინდა გიორგის რაზმი” სწორედ ამგვარი პოლიტიკის გამტარებელია იმერეთის იმდროინდელი თურქი მთავარმართებელი იზმაილ-ფაშა). 1669 წელს ოსმალებმა უკვე მთელი საუკუნით დაიკავეს ქუთაისი. მეფე სოლომონ I-მა მხოლოდ 1770 წელს შეძლო რუსეთის ჯარის დახმარებით ქუთაისის ციხიდან ოსმალების განდევნა.

**241**.28 **„ამ ნომრის ძველ (მეორე) განყოფილებაში...“** -აკაკი თავის „კრებულში“ მასალას შემდეგი პრინციპით ალაგებდა: პირველ განყოფილებაში მკითხველს სთავაზობდა ახალშექმნილ ნაწარმოებებს, ხოლო მეორეში — ადრინდელ, ხშირ შემთხვევაში უკვე გამოქვეყნებულ, ნაწერებს.

**244**.22-23 **„მათში ერიენ უფლისწულებიც, სამეფო ტახტის მემკვიდრე ახალგაზრდა, თვრამეტი წლის სოლომონ ბატონიშვილი და მისი უმცროსი ძმა არჩილი“ –** აქ მცირე უზუსტობაა: ალექსანდრე მეხუთე 1752 წლის მარტში გარდაიცვალა და ტახტზე სოლომონი ავიდა. ის ამ დროს 17 წლის იყო (დ. 1735). შესაბამისად, 18 წლისას ჯერ კიდევ ბატონიშვილის სტატუსი ვერ ექნებოდა და ვერც ალექსანდრე იჯდებოდა ტახტზე.

**245**.25-26 **„..ლევან აბაშიძის სახლ-კარი გადაბუგეს“** – სოლომონ I-ის ბიძა; **ლევან გიორგი მალაქიას ძე აბაშიძის** ( გ. 14 დეკემბერი, 1757) ასული თამარი იყო ალექსანდრე V-ის მეუღლე და სოლომონ I-ის დედა. ლევან აბაშიძე და თამარი დიდგვაროვანთა ჯგუფთან ერთად დაუპირისპირდნენ ახალგამეფებულ სოლომონ I-ს და ტახტიდან გადააყენეს. მალე სოლომონმა ტახტი დაიბრუნა, შეთქმული თავადები დასაჯა. ლევან აბაშიძე დაიღუპა

ხრესილის ბრძოლაში, სადაც სოლომონ I-ის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყო. აბაშიძის წილი მამული მეფემ სახასო საკუთრებად გამოაცხადა.

**246**.4 **„უცებ ოღასკურიდან მომავალი პირბადიანი ცხენოსნები გამოჩნდნენ“ - ოღასკურა** პატარა მდინარეა ქუთაისში. სათავეს სათაფლიის მთის სამხრეთ კალთებზე არსებული კარსტული წყლებიდან იღებს და ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მიედინება. მდინარე ქალაქის იმ ნაწილს კვეთს, სადაც ამჟამად პარლამენტის შენობაა.

**247**.2 **„ოქროს ჩარდახთან, ჭადის ქვეშ...“** – „ოქროს ჩარდახი“- იმერეთის მეფეთა რეზიდენცია ქუთაისში. კომპლექსის ნაგებობათაგან მხოლოდ ერთი შენობაა შემორჩენილი, რომლის მეორე სართული ეყრდნობა ოთხ რიგად განლაგებულ 12 ბურჯს. ივანე ჯავახიშვილის თანახმად, ძველ საქართველოში კამაროსან სვეტებზე დადგმულ სახლს „ქორელი“ ერქვა; მე-15 საუკუნეში „ქორელი“ სპარსულიდან შემოსულმა „ჩარდახმა“ ჩაანაცვლა. სასახლე, რომლის ნაშთიც ჩვენამდეა მოღწეული, სწორედ კამარებით შეკრულ სვეტებზეა დადგმული. თუ გავითვალისწინებთ, რომ სასახლე შიგნიდან საგანგებოდ იქნებოდა მოწყობილი და „ოქროთი გარდაგებული“, მისთვის „ოქროს ჩარდახის“ შერქმევა სავსებით ბუნებრივია.

**248**.4 **„როკითის ციხეში გამგრებულიყო..“** – სოფელი იმერეთში მდინარე ხანისწყლის მარცხენა ნაპირას.

**248**.9 **ხანისწყალი** – მდინარე რიონის მარცხენა შენაკადი. სათავეს იღებს მესხეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე.

**241**.1 წმიდა] წმინდა B. შენიშვნა: „ამ ნომრის ძველ (მეორე) განყოფილებაში იბეჭდება იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ამბავი, მისი თანამედროვე მგალობელი კანდელაკის გადმონაცემი, რომ უკეთ ავწონ-დავწონოთ და გავითვალისწინოთ იმ დიდი სოლომონის მეფობის ხასიათი, საჭიროა მისი წინასწარი დროება ვიცოდეთ და ამისათვის ჩვენ მივმართავთ როგორც წერილობით, ისე ზეპირგადმონაცემ ამბებსაც“ B-ში არ არის.

**242**.24 შვილისშვილები] შვილიშვილები B. 29 ვეძიოვო] ვეძიოო B. 33 ქუთათლის] ქუთათელის B. 35 ბატკნების] ბატკნის B.

**244**.32 ვერავინ] ვერვინ B. 3 კაჭიაშვილმა] ჭაჭიაშვილმა B.

**245**.6 ამგვარათ + სხვებიც B. 19 აქეთ-იქეთ] აქეთ-იქით B. 20 ამას] ამის B. 26 კვირემ] კვირამ B. 28 ამბვებიც] ამბებიც B. 34 ყოლიფერიო] ყველაფერიო B.

**246**.6 საკირეს < B. 10 მიუახლოვდა] მოუახლოვდა B. 17 გავუმაგრეთო] გავუმაგრეთ B. 32 შეგანანებიოთო] შეგანანიებითო B.

**247**.9 დეილოცა ] დაილოცა B.

**248**.12-13 ახალგაზდათა] ახალგაზდა B.



**რაჭის ერისთავი როსტომ (გვ.249)**

ნ ა ბ ე ჭ დ ი: [ა. წერეთელი]. დათუნა გოცირიძე და რაჭის ერისთავი როსტომ. თბ.: 1903.

თ ა რ ი ღ ი: [1895].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არ აქვს.

მოთხრობა დღემდე თარიღდებოდა 1902 წლის 8 ნოემბერს გაცემული ცენზურის ვიზის მიხედვით, თუმცა, თხზულებაში გადმოცემული ამბებიც დაწერილებით უნდა ყოფილიყო გადმოცემული სიკო კანდელაკისაგან შეძენილ ხელნაწერში (იხ.: წინამდებარე ტომში კომენტარი მოთხრობისა „წმინდა გიორგის რაზმი“) და, შესაბამისად, ეს უკანასკნელიც შესაძლებელია 1895 წელს შექმნილიყო.

**249**.4 **„როსტომ ერისთავი მის დროში გამოჩენილი და სახელოვანი კაცი იყო...“ –** როსტომი რაჭის ერისთავი 1750-1769 წლებში იყო. იგი რაჭის სათავადოებს „წახდენა-გაღარიბების“ მუქარით დაეუფლა; ვისთანაც მუქარამ არ გაჭრა, ზოგი ამოწყვიტა, ზოგი გააძევა და მათი მამულები ისე მიიტაცა. როსტომს სამეფო ხელისუფლებასთან ურთიერთობა მას შემდეგ დაეძაბა, რაც სოლომონ პირველმა წერეთლების კუთვნილი და მის მიერ მიტაცებული ჯრუჭის ხეობა ჩამოართვა. ერთ ხალხურ ლექსში როსტომი ასე მიმართავს მეფეს: „ხელი აილე რაჭაზედ, მიხვდი, რომ აღარ გმორჩილობ, სწორი ვიდგები ძალაზედ, რაჭის ბეგარას ავილებ, არ გერიდები ამაზე“. რაჭის ერისთავის ბეჭედს კი ამგვარი წარწერა ამშვენებდა: „ღვთით რაჭის ერისთავს ომით ხმალი მაქვს“; ამ უკანასკნელის მიხედვით, მეფის ნება სრულიად იგნორირებულია: როსტომი აცხადებს, ერისთავობა უფლის ნებითა და საკუთარი ხმლით მაქვს მოპოვებულიო.

როსტომი არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით ეწინააღმდეგებოდა იმერეთის მეფეს. ზოგიერთ რენეგატ ფეოდალთან ერთად მეგზურობას უწევდა ოსმალ დამპყრობლებს და ხშირად გამოდიოდა მათ მოკავშირედ სოლომონ I-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. 60-იანი წლების მიწურულიდან სოლომონ I-მა რამდენიმეჯერ წარმატებით ილაშქრა რაჭაში, მაგრამ როსტომის ხელში ჩაგდება ვერ მოახერხა. 1769 წელს სოლომონ I-მა მინდობილი როსტომ რაჭის ერისთავი ოჯახიანად შეიპყრო და მკაცრად დასაჯა, მამულები კი სამეფო საკუთრებად გამოაცხადა. 1773 წლამდე როსტომი პატიმარი იყო, შემდეგ გაათავისუფლეს. 1790 წლიდან როსტომი წყაროებში აღარ იხსენიება.

**249**.9 **„ერთგული და მისთვის თავდადებული ჯაფარ ჯაფარიძე თან ახლდა...“ -** ისტორიული წყაროების თანახმად, დვალეთისა და მაფსანის დალაშქრვა-მოოხრებისას როსტომს მხარში ჯაფარიძეები ედგნენ. შესაძლოა, ერთ-ერთ მათგანს მართლაც ჯაფარა ერქვა სახელად.

**249**.15 **„რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელიაო“ და სხვანი –** ამონარიდი შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნიდან“ (იხ.: „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“).

**249**.17-18 **„გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისაო“ –** ამონარიდი შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგიდან.

**249**.24 **პაპუნა წერეთელი (1740-1790) –** სარდალი, მეფე სოლომონ პირველის მოლარეთუხუცესი. ხრესილის ომის შემდეგ პაპუნა წერეთელი ჯერ კიდევ არ მტრობს როსტომს. პირიქით, ის კისრულობს მოციქულობას მეფესთან, რომ მან შეირიგოს ურჩი ფეოდალი; მოგვიანებით კი, 1769 წელს, მეფე სწორედ პაპუნა წერეთელს გააზრახებს და მისი დახმარებით შეიპყრობს ერისთავსა და მის ვაჟებს.

**249**.30 **„მაშინვე ჩამოაყვანია გეგუთში, დაათხრევინა თვალები და გადასცა მისს მოსისხარ მტერს...“ –** იოსებ კათალიკოსის ფიცს მინდობილი როსტომი მეფემ სანადიროდ მიიწვია გეგუთში, იაშვილების მამულში. გეგუთშივე ჰქონდათ იმერეთის მეფეებს ე. წ. სანადირო სახლი, რომელიც მერე სასახლედ გადაკეთდა. ამდენად, ცნობა, რომ მეფემ ერისთავები გეგუთში დასაჯა, შესაძლებელია სიმართლეს შეეფერებოდეს. როსტომის დასჯა დაემთხვა იმერეთში რუსთა ჯარის შემოსვლას. ყველა დარწმუნებული იყო, რომ რუსები სოლომონის დასახმარებლად ჩამოვიდნენ, ამიტომაც ვერავინ გაბედა როსტომის გამოსარჩლება და მეფისა და ერისთავის 17-წლიანი დაპირისპირება სამუდამოდ დასრულდა.

**249**.33 **„...როგორც ფილისტიმელებმა სამსონ ძლიერი“ –** ძველი აღთქმის მიხედვით, სამსონი იყო იუდეველთა მსაჯული, ფილისტიმელების წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი. სამსონის თავგადასავალი აღწერილია მსაჯულთა წიგნში (წ. 13-16).

**249**.33-34 **„წააყვანინა საჩხერეს და ჩასვა „მოდინახის“ ციხეში“ -** ციხესიმაგრე დასავლეთ საქართველოში, საჩხერის მახლობლად. აშენებულია XVIII ს. 30-იან წლებში პაპუნა წერეთლის მიერ.

**250**.33 **„ჭეშმარიტად!“ – ერთხმად შეგრგვინავს მრევლიც და ეს ერთი სიტყვა, თვრამეტი საუკუნისაგან გაფოლადებული, ძვალ-რბილში უვლის ყველას“ –** აკაკი წერეთელი ყოველთვის საგანგებოდ აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ ქართველი ერი ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ეზიარა ქრისტიანულ სარწმუნოებას. რაკი ტექსტში 18 საუკუნეზეა საუბარი, ცხადია, იგულისხმება ანდრია პირველწოდებულის „მიმოსლვა“ და დასავლეთ საქართველოში ქრისტეს სჯულის ქადაგება.

**251**.3 **დვრინი** – [აქ: დაბალი (მეორე) ბანი]. ტერმინი გვხვდება საისტორიო ლიტერატურაში, პოეზიასა და ხალხურ შემოქმედებაში. იოანე ბატონიშვილისა და დავით მაჩაბლის მიხედვით, დვრინი ექვსხმიანი საგალობლის მეექვსე ხმაა.



**ქართული ფულის თავგადასავალი (გვ.252)**

ნ ა ბ ე ჭ დ ი: „აკაკის კრებული“. 1897, №3, გვ. 21 –40.
თ ა რ ი ღ ი: [1897].
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.
მოთხრობა თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

**252**.12 **დარეჯანი (20** ივლისი, 1734 - 8 ნოემბერი, 1807) – ქართლ-კახეთის დედოფალი, მეფე ერეკლე II-ის მესამე ცოლი, სამეგრელოს მთავრის, ოტია დადიანის ძმის, კაციას ასული.

დარეჯანი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ სამეფო ტახტზე თავისი შვილები დაემკვიდრებინა. ამ მიზნით ერეკლე II-ს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში კანონიც კი მიაღებინა, რომლის ძალითაც გიორგის (ერეკლეს უფროსი ვაჟი მეორე ცოლისაგან) შემდეგ მეფობა მის უფროს ვაჟზე კი არა, ძმაზე – დარეჯანის შვილ იულონზე – უნდა გადასულიყო (ეს წესი შემდეგ გიორგი XII-მ გააუქმა).

პლატონ იოსელიანის ცნობით, დარეჯან დედოფალი ცხადად არ აღიარებდა გიორგის მეფედ: „მე მინდა, – იტყოდა იგი, – მეფობა, ვითარცა ეკატერინა იყო დედოფლად რუსეთში... მეფემ სცნო ესე და არ ათხოვა ყური. ფარნაოზ ძე მეფისა ირაკლისა, აპირებდა ხლმითა მიხდომასა, გარნა მეფემან შეუთვალა ტუქსვა და უბრძანა დუმილი“. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, 1803 წელს, დარეჯანმა ოჯახის წევრებთან ერთად სამუდამოდ დატოვა სამშობლო. დაკრძალულია პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

**252**.21 **ოსეფა ყორღანაშვილი** – დარეჯან დედოფლის მიერ დაწინაურებული „უგვარო“, ტომით სომეხი. როგორც პლატონ იოსელიანი გვაუწყებს, ოსეფა ყორღანაშვილი დედოფალ დარეჯანის მხარდაჭერის იმედით თავს ბევრის უფლებას აძლევდა და ხშირად არისხებდა მეფე გიორგის თავისი ვერაგული ქცევით. ოსეფას მავნებლური, ანტისახელმწიფოებრივი საქციელი ბევრ თბილისელ გონიერ სომეხსაც არ მოსწონდა: „ძალი ქართველთა მეფისა ჩვენი ღონიერებაც არის, რატომ არა ხედავთ და არა სინჯავთ: ერთს ბედნიერებაში ვართ ჩვენ სომეხნი აქა, სპარსეთსა და ოსმალოში?“ – ამბობდნენ ისინი.

**252**.36 **სააკაძე გიორგი სიაუშის ძე** (დაახლ. 1580-1629) – დიდი მოურავი, პოლიტიკური მოღვაწე, მხედართმთავარი. აკაკის სწამდა, რომ გიორგი სააკაძე ქვეყნის ორგული და მოღალატე არ იყო. ის ამ საკითხს თავის ბევრ თხზულებაში შეეხო, მაგრამ ყველაზე მკაფიოდ პოეტის პოზიცია ქუთაისში 1911 წლის 16 დეკემბერს გამართულ გიორგი სააკაძის ლიტერატურულ გასამართლებაზე წარმოთქმულ სიტყვაში გამოიკვეთა. ეს სიტყვა აკაკის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა; პირველად 1915 წლის 8 თებერვალს გამოქვეყნდა გაზ. „თემში“ (იხ.: უცნობი აკაკი. თსუ. 2001, გვ. 142).

**253**.4 ***დავით სარდალი – დავით რევაზის ძე ორბელიანი*** (11 იანვარი, 1739 -19 მაისი, 1796). ასპინძის გმირი. სარდალი, ქართლის სახლთუხუცესი. ერეკლე II-ის სიძე. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს იგი დამბლადაცემული წოლილა. ალ. ორბელიანი გადმოგვცემს: „აღა-მაჰმად-ხანი ვერას უზამდა ირაკლის, თუ დავით სარდალი კარგათ ყოფილიყო, ამისთვის, რომ ყუელაზედ გავლენა ჰქონდა ბატონიშვილებიდგან მცირემდისინ“. იგი იყო „კაცი დიდათ გამოჩენილი ვაშკაცობითა“. როდესაც დავით სარდალმა აწყური აიღო, მოაჭედვინა ღვთისმშობლის ხატი და ეს ლექსი დააწერინა: „სიტყვისა მღვთისა დედაო, ძლვენს მცირეს გაგიბედაო, როს აწყურს მექმენ მწედაო, მუნ შოვნით გამკობ ზედაო“. დავით ორბელიანი, გარდა იმისა, რომ ქვეყნისათვის თავდადებული, სწორუპოვარი მებრძოლი და ვაჟკაცი იყო, პოეტიც ყოფილა. მას, გარდა ქართულისა, კარგად სცოდნია სომხური და სპარსული ენები. დიპლომატიური მისიით რამდენჯერმე სპარსეთშიც ყოფილა, საიდანაც ჩამოიტანა „ყარამანიანის“ ხელნაწერი, რომელიც ქართულ ენაზე თარგმნა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბესარიონ გაბაშვილთან, პოეტთან, რომლის მამაც ორბელიანთა პირადი მოძღვარი იყო. ბესიკმა დავით სარდალს უძღვნა პოემა „ასპინძისათვის“ და მრავალი ლექსი. დავით ორბელიანს საუცხოო წიგნთსაცავიც ჰქონია.

**254**.6 **ხოჯახნობის დროს** – ხოჯა ხანის (აღა-მაჰმად-ხანის) საქართველოში შემოსევის დრო. 1794 წელს აღა-მაჰმად-ხანმა ბოლო მოუღო ზენდების დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელს და ირანის ფაქტობრივი მბრძანებელი გახდა. იყო მკაცრი და ულმობელი მმართველი. მან ირანის სატახტო ქალაქი თეირანში გადაიტანა. 1795 წელს ილაშქრა აზერბაიჯანსა და საქართველოზე; დაარბია და, ფაქტობრივად, მიწასთან გაასწორა თბილისი.

**254**.14 **ანჩისხატი** – ტაძარი თბილისში; სამნავიანი ბაზილიკა. ეგნატე და პლატონ იოსელიანების აზრით, აგებული უნდა იყოს VII საუკუნეში ღვთისმშობლის სახელზე.

**254**.15 **„სანთელი პირიმღვთისას აუნთო“** – ეკლესიას ძველი სახელი არ შერჩენია. ანჩისხატი XVIII საუკუნეში ეწოდა, როდესაც აქ ანჩის (სამხრეთ საქართველოს) მონასტრიდან ბექა ოპიზრის (XII ს.) მიერ მოჭედილი მაცხოვრის ხატი გადმოასვენეს (ამჟამად დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში). სავარაუდოდ, სწორედ ამ ხატთან სანთლის ანთებაზეა საუბარი.

**255**.31 **ქაღალდის ფული** - ევროპაში ქაღალდის ფული მიმოქცევაში მე-17 საუკუნიდან ჩნდება, მანამდე ვექსილს იყენებდნენ.

**257.**2 **„ასტრახნის არქივატორმა, იოსებ არღუთაშვილმა...“** – ოსეფ არღუტიანი (ზოგი ცნობით, არღუთიან-ერკაინაბაზუკი) (1743-1801), სომეხთა კათალიკოსი. იოსებ არღუთინსკიმ ყველა ღონე იხმარა დიდი „არმენიის“ ნაწილობრივ მაინც საქართველოს ხარჯზე აღსადგენად. რა თქმა უნდა, ამ გეგმის განხორციელებას საქართველოს სამეფოს არსებობა უშლიდა ხელს



და სომხების კათალიკოსმაც მასზე მიიტანა იერიში. შესაძლოა, საქართველოს საოკუპაციოდ გამოგზავნილი რუსული ჯარის მეთაურად გენერალ ლაზარევის დანიშვნა, რომელიც წარმომავლობით სომეხი იყო, სწორედ ამ არღუთინსკის ან მისი გარემოცვის დამსახურებაც იყო (იხ.: თ. და ა. პაპავა. მარიამ, უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი. ბუენოს აირესი: 1956, გვ. 86). საინტერესოა, რომ არღუთაშვილები ერეკლე II-მ აღაზევა. სწორედ ქართველმა გვირგვინოსანმა ითხოვა „ყოვლისა როსსიისა საიმპერატოროსა კარისაგან, რათა ღეროლდსაცა შინა როსსიისა კეთილშობილთასა აღრიცხულ იქმნას მხარგრძელად“. მართლაც, 1800 წლის 22 მარტს რუსეთის იმპერატორი პავლე I არქიეპისკოპოს იოსებ (ოსეფა) არღუთაშვილს აძლევს სიგელს და უმტკიცებს თავადობას და გვარადაც არღუთინსკი-დოლგორუკოვობას (იხ.: ლ. მელიქსეთ ბეგი. საქართველოს მეფის ერეკლე II-ისა და რუსეთის იმპერატორის, პავლე I-ის სიგელები მხარგრძელთადმი. „საისტორიო მოამბე“. I. 1945).

ნიშანდობლივია, რომ არც იმ ადამიანების ბედი წარიმართა სასიკეთოდ, ვისი ძალისხმევითაც გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო: მანიფესტის ხელმოწერიდან ორ თვეში შეთქმულებმა იმპერატორი მოკლეს; ხოლო მანიფესტის წაკითხვისა და სამადლობელი პარაკლისის გადახდიდან ერთი თვის თავზე გარდაიცვალა იოსებ არღუთაშვილი.

**257.**28 **„მართალი ისუ, ძე ნავესი“** – მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანი. ისუ ებრაელთა ტომის წინამძღოლი იყო მოსეს გარდაცვალების შემდეგ. სწორედ მას ხვდა წილად უფლის რჩეული ერის შეყვანა აღთქმულ ქვეყანაში.

**257**.29 **მოსე** – ბიბლიის მიხედვით, ძველ ებრაელთა სჯულმდებელი და წინასწარმეტყველი. როგორც ცნობილია, მოსემ ებრაელი ხალხი მონობისაგან იხსნა და ეგვიპტიდან გამოიყვანა (ჩ. წ. აღ.-მდე XIII ს.).

**257**.29 **აარონი** (ებრ. აჰარონ) – ბიბლიის მიხედვით, მოსეს უფროსი ძმა და თანამდგომი, ძველ ებრაელთა პირველი უზენაესი ქურუმი. სინას მთაზე მოსეს ყოფნის დროს აარონი განუდგა ღმერთს და „ოქროს ხბოს“ კულტი აღადგინა.

**258.**1 **რევაზ პაპუნას ძე ანდრონიკაშვილი** – XVIII ს. II ნახევრის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე ქართლ-კახეთის სამეფო კარზე, ქიზიყის მოურავი 1754-1759 და 1770-1780 წლებში. თავი გამოიჩინა მოთარეშე ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლებში. რევაზ ანდრონიკაშვილის და ქეთევანი ცოლად ჰყავდა გიორგი ბატონიშვილს (შემდეგში გიორგი XII), რამაც განამტკიცა ანდრონიკაშვილის პოზიციები სამეფო კარზე. იგი დაუპირისპირდა პოლიტიკურ დაჯგუფებას, რომელსაც დარეჯან დედოფალი ედგა სათავეში. ანდრონიკაშვილი თავგამოდებით იბრძოდა სამეფო ტახტზე თავისი სიძის, გიორგის, ასაყვანად. არსებობს ცნობა, რომ ანდრონიკაშვილმა კრაწანისის ბრძოლაში მონაწილეობა არ მიაღებინა ქიზიყელთა რაზმს, რამაც არსებითი გავლენა იქონია ბრძოლის შედეგზე.

**258.**10 **ნადირ-შაჰი** (ნადირ-შაჰ ავშარი, იგივე თამაზ I ყული-ხანი) (1688-1747) – ირანის შაჰი (1736-1747) ყიზილბაშთა ავშარის ტომიდან. დამპყრობლური ომების შედეგად შექმნა უზარმაზარი სახელმწიფო, რომელშიც ირანის გარდა (პროვინციების ან ვასალური ტერიტორიების სახით) შევიდა სომხეთი, აზერბაიჯანი, აღმოსავლეთი საქართველო, დაღესტანი, ავღანეთი, ბელუჯისტანი, ხივისა და ბუხარის სახანოები. 1735-1747 წლებში ნადირ-შაჰმა მძიმე ხარკი დაადო ქართლს. ნადირ შაჰმა საქართველოს ისტორიაში გარკვეული დადებითი როლიც შეასრულა: დაამარცხა თურქები, აღკვეთა ლეკების თარეში, ხანგრძლივი შუალედის შემდეგ, 1744 წელს, მან დანიშნა ქართლში პირველი ქრისტიანი მეფე და არ მოსთხოვა სარწმუნოების შეცვლა, თუმცა ააოხრა ქართლის ის ნაწილი, რომლის მმართველებიც თურქების მხარეს იყვნენ. ლაშქრობებში გვერდით ჰყავდა ახალგაზრდა ერეკლე. გააძლიერა თეიმურაზისა და ერეკლეს გავლენა და ავტორიტეტი ამიერკავკასიაში. ცოლად ჰყავდა გივი ამილახვრის ასული თამარი. ნადირ-შაჰი ხორასანში მოკლეს შეთქმულებმა.

**259.**19 **მიხეილ სემიონის ძე ვორონცოვი** (1782-1856) – რუსი სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი, სანქტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, კავკასიის მეფისნაცვალი 1844-1854 წლებში. ბრიტანეთში განსწავლული, ბრიტანულ პოლიტიკურ და დიპლომატიურ გამოცდილებაზე აღზრდილი მიხეილ ვორონცოვი კავკასიაში ჩამოვიდა ფართო და საფუძვლიანი რეფორმისტული გეგმით, რომელიც ითვალისწინებდა, ერთი მხრივ, საქართველოს (ზოგადად, კავკასიის) უმტკივნეულო პოლიტიკურ-ეკონომიკურ შერწყმას რუსეთის ერთიან და განუყოფელ სახელმწიფოებრივ სივრცესთან, ხოლო მეორე მხრივ, ევროპეიზაციის გზით ქართული კულტურის აღორძინებასა და განვითარებას,

მიხ. ვორონცოვის მმართველობის პერიოდში თბილისში დაარსდა რუსული და ქართული თეატრები, იტალიური ოპერა, ჩამოყალიბდა საბალეტო დასი, გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა, დაარსდა სალიტერატურო ჟურნალი „ცისკარი“, „კავკასიის მუზეუმი“, „რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება“ (თავისი პერიოდული გამოცემით), კავკასიის სასწავლო ოლქი; ახალი ფორმა და შინაარსი შეიძინა სასწავლებლებში ქართული ენისა და სიტყვიერების სავალდებულო სწავლებამ (მათ შორის, არაქართველთა და იმ სამხედრო პირთა შვილებისათვის, რომლებიც მხოლოდ დროებით იმყოფებოდნენ საქართველოში). მისი მმართველობის დროს ახალგაზრდებისათვის ხაზინის ხარჯზე დაარსდა 160 სტიპენდია რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მისაღებად, გაიხსნა გიმნაზიები თბილისსა (კომერციული) და ქუთაისში, მთელი საქართველოს მასშტაბით დაფუძნდა სკოლები (ბიჭვინთა, ოზურგეთი, თიანეთი და სხვ.). ვორონცოვმა საგანგებო ყურადღება გაამახვილა ქალთა განათლებაზე, რისთვისაც თბილისსა და ქუთაისში ჩამოაყალიბა წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლები და



რეალური შინაარსი და ფუნქცია მისცა თბილისშივე 1840 წელს დაარსებულ „ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტს“ (1855 წლის მონაცემებით, საქართველოში უკვე არსებობდა სხვადასხვა ტიპის 147 სასწავლებელი, რომლებშიც 6023 მოსწავლე იყო მიბარებული) (დაწვრილებით იხ.: თ. ჯოლოგუა. მიხეილ ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის“ შესახებ. კრებ. „აკაკი წერეთელი - 170“. თბ.: 2011).

**260.**27 **„ნუ დაგავიწყდებათ კირიმის ომი და ჩოლოქის ბრძოლა“ - ჩოლოქის ბრძოლა** – ყირიმის ომის დროს, 1854 წელს, რუსთა და ქართველთა ჯარი მდინარე ჩოლოქთან შეებრძოლა თურქებს სოფელ ქაქუთის მიდამოებში. გენერალ ივანე ანდრონიკაშვილს 10 ათასი ჯარისკაცი ჰყავდა, თურქთა ჯარი კი, რომელსაც სინან ფაშა (სელიმ-ფაშა) სარდლობდა, 35 ათას ჯარისკაცს ითვლიდა. მტერმა დაკარგა 4 ათასი მებრძოლი, 15 ქვემეხი, 36 დროშა და 3 ბანაკი, ქართველთა ჯარმა – 1500 კაცი.

**ყირიმის ომი** – სამხედრო დაპირისპირება 1854 წლის 28 მარტიდან 1856 წლამდე, ერთი მხრივ, რუსეთს და, მეორე მხრივ, ბრიტანეთის, საფრანგეთის იმპერიის, სარდინიის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ალიანსს შორის. რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ს სურდა ოსმალეთის დანაწევრება, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდება და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გამტკიცება. რუსეთმა ვერ შეძლო სევასტოპოლის დაცვა. წარმატებები კავკასიაში ვერაფერს ცვლიდა. რუსეთმა ყირიმის ომში მარცხი განიცადა. სევასტოპოლის ალყის დროს გარდაიცვალა ნიკოლოზ I. ტახტზე ავიდა მისი ვაჟი ალექსანდრე, რომელიც 1856 წელს იძულებული გახდა ხელი მოეწერა პარიზის საზავო ხელშეკრულებისათვის, რომლის თანახმადაც რუსეთი კარგავდა დუნაის შესართავს, ბესარაბიას და შავ ზღვაზე ფლოტის ყოლის უფლებას.

**261.**5 **პრიკაზი** – პირველი სახელმწიფო საკრედიტო ორგანიზაცია თბილისში. „პრიკაზი“ დაარსდა 1810 წელს, მის მოხელეებს „პრიკაზჩიკებს“ უწოდებდნენ. იგი უძრავი ქონების უზრუნველყოფით სესხად გაცემული ფულისათვის ღებულობდა წლიურ 6% სარგებელს, სესხის სიდიდე დაგირავებული ქონების 50%-ს არ აღემატებოდა. თუ აღებული ვალი დროზე არ დაიფარებოდა, გირაო პირდაპირი წესით გადადიოდა „პრიკაზის“ საკუთრებაში. 1849 წლიდან საქართველოს (თბილისი) „პრიკაზი“ ამიერკავკასიის „პრიკაზად“ გარდაიქმნა; მას უკვე შემნახველი სალაროსა და ბანკის ფუნქციაც დაეკისრა. „პრიკაზი“ მეანაბრეებს სარგებელს წლიურ 4%-ს უხდიდა. რეფორმის შემდგომ პერიოდში აუცილებელი გახდა ფეოდალური „პრიკაზის“ ნაცვლად კაპიტალური საკრედიტო დაწესებულების შექმნა. 1866 წელს თბილისში გაიხსნა რუსეთის სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორა.

**261.**7 **გრიგოლ როზენი** (1782-1841) – რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს მთავარმართებელი 1831–1837 წლებში.

**261.**20 **დიმიტრი ყიფიანი (1814-1887)** – გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ლიტერატორი და მთარგმნელი.

**261**.30-31 **„ერთ მწერალს, აქა-და ქართული ჟურნალის გამომცემელიაო, ორჯერ შეაწიეს პრიკაზის ვალი“** - იგულისხმება ივანე კერესელიძე (1828-1892), მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ჟ, „ცისკრის“ გამომცემელი. კერესელიძისათვის „პრიკაზის“ ვალის პატიების შესახებ აკაკი „ჩემს თავგადასავალშიც“ საუბრობს: „ცისკარს“ ხელის მომწერები ძველები ძალიან ცოტა ჰყავდა და, თუ ა. ორბელიანი არ ყოლოდა ფულით დამხმარედ, არ გამოვიდოდა. ორჯერ მთავრობაც შეეწია. ერთხელ ბარიათინსკის დროს დააგირავა თავისი სახლი ი. კერესელიძემ პრიკაზში და როგორც ქართველ მოღვაწეს, შეაწია ის ვალი ნამესტნიკმა და მეორეთ გ. ორბელიანმა მოუხერხა ისე, რომ კიდევ აპატივეს“ (იხ.: წინამდებარე გამოცემა, ტ. VII, გვ. 92).

**264**.16 „**კრებული“ –** ყოველთვიური ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი. გამოდიოდა 1871-1873 წლებში თბილისში. დაარსდა სერგეი მესხის ინიციატივით. კრებულის“ ოფიციალური რედაქტორი იყო გიორგი წერეთელი, ფაქტობრივი რედაქტორი – ნიკო ნიკოლაძე.

**დათუნა გოცირიძე (II) (გვ.265)**

ნ ა ბ ე ჭ დ ი: „ივერია“, 1902, №11 (B). ცალკე გამოცემა: [ა. წერეთელი]. დათუნა გოცირიძე და რაჭის ერისთავი როსტომ. თბ.: 1903. (A).
ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ძველებური ამბავი.
თ ა რ ი ღ ი: [1902]
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი (B).
მოთხრობა თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

აკაკის თხზულებათა სრული კრებულის წინა აკადემიური გამოცემის (თხუთმეტტომეული) VIII ტომში „დათუნა გოცირიძე (II)“ ძირითად ტექსტადაა დაბეჭდილი, ხოლო „დათუნა გოცირიძე (I)“ – ვარიანტებისა და შენიშვნების ნაწილშია გატანილი. ტომის შემდგენლებმა ამგვარად დაასაბუთეს თავიანთი გადაწყვეტილება: „რაკი „დათუნა გოცირიძის“ ახალი, ვრცელი, რედაქცია (1902, 1903 წწ.) თვით ავტორმა გამოაქვეყნა, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ავტორი მას აძლევდა უპირატესობას, ჩვენც ეს რედაქცია (1902, 1903 წწ.) მივიჩნიეთ ძირითად ტექსტად და იგი უნდა დაედვას საფუძვლად ამ მოთხრობის შემდგომ გამოცემებსაც. მაგრამ, რადგან პირველი მოკლე რედაქცია (1875, 1885 წწ.) არსებით სხვაობას შეიცავს, საჭიროდ ვცანით მისი უცვლელად დაბეჭდვა ვარიანტებში...“ (იხ.: წერეთელი, აკ., თხზ. სრ. კრებული. ტ. VIII. თბ.: 1958, გვ. 346).

მკვლევარმა ლევან ბრეგაძემ ყურადღება მიაქცია „დათუნა გოცირიძის“ ორივე ტექსტს შორის არსებულ სხვაობას. მისი თქმით, „მართალია, ავტორი იგივე, სათაური იგივე, ფაბულაც თითქმის იგივე, მაგრამ ნოველები კი სხვადასხვაა, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული იდეის მქონე“ (იხ.:



ლ. ბრეგაძე. ორი „დათუნა გოცირიძე“. „ლიტერატურული გაზეთი“, 15-28/X, 2010). წინამდებარე გამოცემის რედკოლეგიამ გაიზიარა მკვლევრის მოსაზრება, მით უფრო, ვერსად მოვიძიეთ ცნობა იმის შესახებ, რომ მოთხრობის 1902 (1903) წლის ტექსტს „აძლევდა ავტორი უპირატესობას“. სავარაუდოდ, აკაკიმ სიუჟეტი შეგნებულად შეცვალა, რადგან განსხვავებული კუთხით მოიწადინა საკითხის დასმა – მოულოდნელი და გასაკვირი არ არის, რომ ავტორმა სწორედ XX საუკუნის დასაწყისში მოუწოდა ერს ურთიერთგაუტანლობის, შურის დაძლევისკენ, საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებისა და პირადი წყენის დავიწყების საჭიროებისაკენ. ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი დეტალი: მოთხრობის პირველ ვერსიაში დაკონკრეტებულია ეპოქა – სოლომონ მეორის მეფობის ხანა, ხოლო მეორეში, თემის განზოგადების კვალობაზე, დროის მინიშნება მოხსნილია.

**266**.19 **„განიზრახა „ნიკოლოოზ წმინდაში“ ბერად შესვლა“ –** იგულისხმება **ნიკორწმინდა, XI** საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, 1010-1014 წლებში აგებული ტაძარი, რომელიც გამოირჩევა ფასადის დეკორატიული გაფორმებით. XVI საუკუნეში იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის, ხელშეწყობით ნიკორწმინდა განახლდა და იქცა საეპისკოპოსო საყდრად.

**266**.20-21 **„მიაშურა მეფეს ვარციხისკენ“ – ისტორიული ვარდციხე,** სოფელი დას. საქართველოში, მდინარეების, რიონისა და ხანისწყლის, შესართავთან. ამ ადგილზე ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში მდებარეობდა ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი (ბერძნულ წყაროებში როდოპოლისი). გვიანდელ შუა საუკუნეებში ვარციხე იმერეთის მეფეების ერთ-ერთი რეზიდენცია იყო.

**266**.23 **„აჯამეთის უტეხ ტყეში ბინადრობდა..“ -** აჯამეთის მუხნარი მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა შენაკადებს – ყვირილასა და ხანისწყალს – შორის. მას ესაზღვრება ვარციხის ტყიანი მასივი მდ. ხანისწყლის მარცხენა ნაპირზე.

**266**.24 **„იმ გზით სიარული, თუ არ ჯარად, ტორო კაცისთვის საფრთხილო იყო“ – ტორო კაცი** (იმერ.) – მარტო კაცი; ადამიანები ცდილობდნენ ჯგუფ-ჯგუფად გადაადგილებულიყვნენ, რადგან XVIII საუკუნის I ნახევარში ადამიანებით ვაჭრობა განსაკუთრებით გაძლიერდა. ვაჭრობდა ყველა: სამეფო ოჯახის წევრებიდან დაწყებული, გლეხებით დამთავრებული; თვით სასულიერო პირებიც კი (მაგ.: ალექსანდრე IV, მამია III გურიელი, გიორგი აბაშიძე, გაბრიელ ჭყონდიდელი, სვიმონ ქუთათელი, აზნაური კიკნაძეები, გლეხი ბურჯანაძეები და ა. შ.). სოლომონ I ტახტზე ასვლისთანავე შეეცადა ტყვეთა სყიდვის აღკვეთას, 1759 წელს მოიწვია საეკლესიო კრება. საერო და სასულიერო პირებმა პირობა დადეს, რომ ამიერიდან ტყვეებს არ გაყიდდნენ. კანონის დამრღვევებს ეკლესია შეჩვენებით, ხოლო მეფე სიკვდილით დასჯით დაემუქრა.

## ბენია და ბეშტია (გვ.268)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: „ხუმარა“, 1907, №1.
თ ა რ ი ღ ი: [1907]
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.
მოთხრობა თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

„ბენია და ბეშტია“ პირველად გაზ. „ხუმარას“ ფურცლებზე გამოქვეყნდა. ამის შემდეგ ის აკაკის სიცოცხლისდროინდელ არცერთ გამოცემაში აღარ შესულა. მწერლის გარდაცვალების შემდეგ კი „ბენია და ბეშტია“ პირველად აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის (თხუთმეტ ტომად) VIII ტომში დაიბეჭდა (წყაროსთან დაკავშირებით დამატებით იხ.: კომენტარი ტექსტისა „ბეშტია და ბენია“).

**268**.9 **„თუ მოსწრებული და მჭევრმეტყველი გვარისშვილი იყო, იმას ხუმარას ეძახოდენ და თუ უბრალო ჩამომავლობის – მასხარას“ –** მასხარას მხოლოდ პატრონის გართობის ფუნქცია არ ეკისრებოდა. იგი ითვლებოდა პატრონის სიმბოლურ ტყუპისცალად, ამიტომ სხვებთან შედარებით მეტი პრივილეგიით სარგებლობდა. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის პირობებში, როცა შეუძლებელი იყო უზენაესი ხელისუფლის/მთავრის კრიტიკა, ან როცა ამ უკანასკნელს არ ჰქონდა გავლენიანი ქვეშევრდომისთვის მითითების მიცემის საშუალება, მასხარას დახმარებით აგებინებდნენ ერთმანეთს და, რაც მთავარია, საზოგადოებას, თავიანთ სათქმელს – თამამ და სარისკო პრეტენზიებს, სამომავლო გეგმებს და შეხედულებებს და ა. შ.

**268**.20 **„სალოსი – გლახა ღვთის მონაა, – მადლი თან დასდევსთ და ოჯახში შეიტანებენო“ –** სალოსობა უმძიმესია ქრისტიანულ ღვაწლთა შორის. წმინდა პავლე მოციქულის თანახმად, სალოსი შინაგანად წმინდად და ღვთივსათნოდ ცხოვრობს, მისი ღვაწლი დაფარულია გარშემომყოფთათვის, გარეგნულად საზოგადოებაში არსებული ქცევისა და ურთიერთობის ყველანაირ ნორმას უგულებელყოფს.

**270**.15-16 **„ბენია რჯულით სომეხი და გვარტომობით ქართველი“ –** იგულისხმება, რომ ბენია ეროვნებით ქართველი, მაგრამ გრიგორიანული სარწმუნოების აღმსარებელია.

**268**.18 განვაგრძობთ]გავაგრძობთ. **270**.10 ტკბილი]ტაბლა.

## სოფელ ალის აოხრება (გვ.272)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი K 228. 6r-7r. ორი ფურცელი. ბოლონაკლული („მერმე მიამბო შემდეგი...“ — ტექსტი აქ წყდება) (B).
ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „თემი“, 1911, №15, გვ. 2 (A).



თ ა რ ი ღ ი: [1911].
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი (A).
მოთხრობა თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

ავტოგრაფი დიდი ფორმატის რვეულიდან ამოღებულ 2 ფურცელზეა შესრულებული შავი მელნით. თხზულების სათაურის წინ გაკეთებულია აღნიშვნა №2, ხოლო გვერდების ნუმერაცია იწყება 6 r-თი. ამდენად, ხელნაწერს, სავარაუდოდ, დასაწყისში 5 ფურცელი აკლია, ხოლო სულ რამდენ ფურცელს შეიცავდა, უცნობია.

**272**.1 **ალი –** სოფელი შიდა ქართლში (ხაშურის რაიონი). ალი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ისტორიულ გზაგასაყარზე მდებარეობდა და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურ ცხოვრებაში. დასახლებას ორი ციხე იცავდა: ჩრდილოეთიდან ალის, ხოლო სამხრეთიდან – ნაბახტევისა. XVIII საუკუნეში ალი ქართლის ერთ-ერთი მთავარი ქალაქი გახდა.

**272**.7 **„მათუსალა“ შორეულია და ვინ იცის, მართლა იყო თუ არა?“** – მათუსალა („მათ” – მოიტანს, „შალახ” სიკვდილს – ძვ. ებრ.) ბიბლიური პატრიარქი. მათუსალას მამას ეუწყა, რომ მისი შვილის გარდაცვალებამდე წარღვნა არ მოხდებოდა. მათუსალას გამორჩეულად ხანგრძლივი ცხოვრება (969 წელი) სიმბოლოა ღვთის მოწყალებისა, რადგან იგი იყო გაფრთხილება, რომ ახლოვდებოდა წარღვნა.

**273**.32 **„პირველად რომ რუსებმა იმერეთში შემოსვლა დააპირეს, კორბოულაზე აირჩიეს გზა“** — სავარაუდოდ, აქ საუბარი უნდა იყოს რუსების არა მართლაც პირველ შემოსვლაზე სოლომონ პირველის დროს (1769 წლის სექტემბერი), არამედ სოლომონ II-ის მეფობის ხანაში. რუსეთმა თავისი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, სოლომონ II-ს მოსთხოვა იმერეთის გარდაცვლილი მეფის, დავით გიორგის ძის ვაჟის, კონსტანტინეს, გათავისუფლება, რომელიც მუხურის ციხეში ჰყავდათ გამოკეტილი. სოლომონი შიშობდა, რომ რუსეთი გათავისუფლებულ ბატონიშვილს მის წინააღმდეგ გამოიყენებდა, ამიტომ იმპერატორის თხოვნა არ დააკმაყოფილა. საიმპერატორო კარმა 1803 წელს გენერალი პავლე ციციანოვი მოავლინა საქართველოში საგანგებოდ კონსტანტინე ბატონიშვილის გამოხსნისა და იმერეთის სამეფო კარზე შეხიზნული იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილების შეპყრობის მიზნით. ციციანოვმა მეფის შესაშინებლად გენერალ ტუჩკოვის რაზმი მოაყენა იმერეთს, ხოლო ბრონევსკის დაავალა მცირე რაზმით შეჭრილიყო იმერეთში და კონსტანტინე და კახელი ბატონიშვილები წამოეყვანა. ბრონევსკიმ მოისყიდა ქაიხოსრო წერეთელი და დოსითეოზ კათალიკოსი (წერეთელი), რომლებმაც მეფე დაიყოლიეს კონსტანტინეს რუსთათვის გადაცემაზე. სავარაუდოდ, სწორედ ბრონევსკის რაზმის შემოსვლაზე უნდა საუბრობდეს მოთხრობის პერსონაჟი.

**274.**7-8 **„აქაც ჭალელები ისხდენ, აბაშიძეები, სულ მარჯვე-მარჯვე ვაშკაცები, თავისის საყმოთი“ – ჭალა**, სოფელი საჩხერის რაიონში მდ. ყვირილას ნაპირზე. ჭალა XV საუკუნიდანაა აბაშიძეების სამფლობელო, მანამდე კი რაჭის საერისთავოში შედიოდა.

**275.**19-20 **ყიზილბაში რომ ქალაქს შემოესია, მას უკან რამდენი ხანია? თქვენ უნდა უკეთ მოგეხსენებოდესთ!.. – ას ათი წელიწადია! “ –** მოთხრობა 1911 წელსაა დაწერილი. ფინალურ ეპიზოდში ავტორი აღნიშნავს, რომ *ის, ვისაც თავი უკვდავი ეგონა, ორი წლის წინ დაუმარხავს სოფელსო“.* მაშასადამე, თხზულების მთავარ გმირსა და ავტორს შორის საუბარი დაახლოებით 1909 წელს უნდა შემდგარიყო. თუ ამ თარიღს გამოვაკლებთ ხსენებულ 110 წელიწადს, მივიღებთ 1799 წელს. ამ დროს ყიზლბაშების შემოსევა არც დასავლეთ და, მით უფრო, არც აღმოსავლეთ საქართველოში არ დასტურდება. ამდენად, სავარაუდოდ, აკაკი შეიძლება გულისხმობს ერეკლე II-ის გარდაცვალების (1798) შემდეგ 1799 წლის 26 ნოემბერს თბილისში გენერალ ლაზარევის მეთაურობით დიდძალი ჯარის შემოსვლას, რასაც ორიოდე წელიწადში ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება მოჰყვა. ზემოხსენებული მინიშნება რომ არა, საფიქრებელი იქნებოდა, რომ ტექსტში საუბარია 1692 წლის ტრაგედიაზე, როცა, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ახალციხიდან შემოსულმა ოსმალებმა ხელში ჩაიგდეს ქუთაისის ციხე, ააფეთქეს და გაძარცვეს ბაგრატის ტაძარი.

**275.**25-26 **„...ჟამიანობა, შავ ჭირს რომ ეტყვიან, ის გამოვლილი მაქვს“ –** XVIII ს. ბოლოს და XIX ს. დასაწყისში ნამდვილად მძვინვარებდა საქართველოში და, კერძოდ, იმერეთის სამეფოში შავი ჭირის ეპიდემია.

**275.**26-27 **„მეფე რომ თათრებში გადავარდა, ტრაპიზონს ვახლდი ბატონს ჩემ წერეთელს!..“ –** რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით 1810 წლის 20 თებერვალს სოლომონ II ტახტიდან გადააყენეს და იმერეთში რუსეთის მმართველობა გამოცხადდა. მეფე მოტყუებით ჩაიყვანეს თბილისში და შეიპყრეს, მაგრამ მან მოახერხა გაქცევა და ახალციხის საფაშოს შეაფარა თავი, საიდანაც ხელმძღვანელობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. 1810 წლის იმერეთის აჯანყება რუსეთის მთავრობამ სისხლში ჩაახშო და სოლომონ II-მ კვლავ ახალციხეს შეაფარა თავი, საიდანაც ოსმალეთში გადავიდა. გარდაიცვალა ტრაპიზონში 1815 წლის 7(20) თებერვალს. დაკრძალეს ბერძენთა ეკლესიის გალავანში.

**275.**28 **„ქუთათელ-გენათელი რომ წაიყვანეს ...“ –** *დოსითეოს ქუთათელი* (გ. 1810), ერისკაცობაში წერეთელი, მიტროპოლიტი, დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს გამგებელი 1792-1815 წწ. იგი მხარს უჭერდა მეფის ხელისუფლების გაძლიერებას. დოსითეოსი შედიოდა იმერეთის სასულიერო და საერო მოღვაწეთა იმ ჯგუფში, რომელმაც წინადადებით მიმართა ერეკლე მეორეს, გაეერთიანებია ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები. 1820 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ იგი შეიპყრეს. დაკავებისას



წინააღმდეგობის გაწევის გამო ხიშტებით დაჩხვლიტეს და მძიმედ დაჭრილი ძალით შესვეს ცხენზე. მიტროპოლიტმა გორამდეც ვერ ჩააღწია, რადგან სისხლისგან დაიცალა, თუმცა, მოსახლეობას რომ არაფერი შეეტყო და მღელვარება არ დაწყებულიყო, მიცვალებული ცხენიდან არ ჩამოუსვამთ. მიტროპოლიტის ცხედარი ჩუმად დაფლეს ანანურში. *ექვთიმე გენათელიც* (გ. 1822) დააპატიმრეს და რუსეთში გადაასახლეს. გარდაიცვალა სვირის მონასტერში. ამის შემდეგ გაუქმდა საეპისკოპოსო კათედრა (იხ.: В. А. Потто. Утверждение русского владычества на Кавказе. СПб.: 1901-1908).

**275.**29 **„დიდი ივანე აბაშიძე მოკლეს ახალციხეში, ეს სულ გუშინ იყო...“ –** ივანე აბაშიძე სოლომონ მეფის ასულ დარეჯანისა და ქაიხოსრო აბაშიძის ვაჟი იყო. როდესაც სცადეს იმერეთის სამეფოს აღდგენა და გაჭიანურდა მოლაპარაკება ალექსანდრე ბატონიშვილთან (ერეკლეს ძე), იმერელმა დიდებულებმა არჩევანი შეაჩერეს ივანე აბაშიძეზე. რუსებმა სცადეს ივანეს შეპყრობა, მაგრამ ვერ შეძლეს, მან თავი შეაფარა ქაიხოსრო ბატონიშვილს. იმერეთის აჯანყების დამარცხების შემდეგ კი წავიდა ემიგრაციაში. ივანე აბაშიძე 1822 წელს ღალატით მოკლეს ახალციხეში. აკაკი, რომლის პაპაა ივანე აბაშიძე, როგორც ჩანს, უფრო დაწვრილებით ინფორმაციას ფლობს – პოემაში „ასი წლის ამბავი“ ასახელებს მკვლელის ვინაობას.

**272.**24 აპირებდა] აპირობდა B.

## *საყმაწვილო მოთხრობები*

### მერცხლისა და ჭივჭავის ომი (გვ.279)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი. ასლი: K 78; 70 r -73 v (D).

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1875, №67 (C). [ა. წერეთელი]. საყმაწვილო ამბები. ტფ.: 1885 (B). ჟურნ. „ნაკადული (მოზრდ.)“, 1908, №11 (A).

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: საყმაწვილო ზღაპრებიდან.

თ ა რ ი ღ ი: [1875].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი (C).

მოთხრობა თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

1890 წელს აკაკი წერეთელმა საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილისთვის“ გალექსა „მერცხლისა და ჭივჭავის ომი“. მოთხრობის სიუჟეტური ქარგა გალექსილ ვარიანტში სრულიად უგულებელყოფილია; ავტორს გაშლილი და ახლებურად დამუშავებული აქვს მოთხრობის ფინალური ეპიზოდი - პატარა დათიკოსა და მისი გადიას საუბარი მერცხლისა და ჭივჭავის შუღლის მიზეზზე.

**279.**1 **„მერცხლისა და ჭივჭავის ომი“** – ლევ ტოლსტოის საბავშვო მოთხრობა, რომელიც ავტორმა 1875 წელს გამოაქვეყნა კრებულში „მეორე საკითხავი წიგნი რუსულად“. აკაკიმ ეს თხზულება იმავე წელს გადმოაკეთა ჯერ პროზად, ხოლო შემდეგ – გალექსა. დედანი და აკაკისეული ვერსია არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან. (შდრ.: „Раз я стоял на дворе и смотрел на гнездо ласточек под крышей. Обе ласточки при мне улетели, и гнездо осталось пустое. В то время, когда они были в отлучке, с крыши слетел воробей, прыгнул на гнездо, оглянулся, взмахнул крылышками и юркнул в гнездо; потом высунул оттуда свою головку и зачирикал. Скоро после того прилетела к гнезду ласточка. Она сунулась в гнездо, но, как только увидала гостя, запищала, побилась крыльями на месте и улетела. Воробей сидел и чирикал. Вдруг прилетел табунок ласточек: все ласточки подлетали к гнезду – как будто для того, чтоб посмотреть на воробья, и опять улетали. Воробей не робел, поворачивал голову и чирикал. Ласточки опять подлетали к гнезду, что-то делали и опять улетали. Ласточки недаром подлетали: они приносили каждая в клювике грязь и понемногу замазывали отверстие гнезда. Опять улетали и опять прилетали ласточки, и все больше и больше замазывали гнездо, и отверстие становилось все теснее и теснее.

Сначала видна была шея воробья, потом уже одна головка, потом носик, а потом и ничего не стало видно; ласточки совсем замазали его в гнезде, улетели и со свистом стали кружиться вокруг дома. Л. Н. Толстой. Воробей и Ласточки. 1875).

დედანში მერცხლები ამოქოლავენ ბუდის შესასვლელს და ბეღურას შიგ გამოამწყვდევენ, აკაკი კი ცდილობს საკითხის სხვა კუთხით დაყენებას: მოთხრობის შინაარსიდან გამომდინარე, ჭივჭავი ადგილობრივი მკვიდრია, სამშობლოში ცხოვრებისა და შვილების აღზრდის უფლებას იცავს, მერცხალი კი სხვა ქვეყნიდან მოსული გადამთიელია, რომლის მსგავსნიც, აკაკის ღრმა რწმენით, ქართულ მიწაზე ადგილს ვერასოდეს დაიმკვიდრებენ.

**279.**2-4 **„გაზაფხული დადგაო, / ხეში წყალი ჩადგაო; / ჩიტმა ჩიორამაო / საძირკველი გასკვნაო!“** – პერეფრაზი ხალხური ლექსისა: „თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო…“

**279.**2 + ფელეტონი C. 3 ქვესათაური: „საყმაწვილო ზღაპრებიდამ“ C. 7 მითვლემული] მითლემული D. 10 იქით] იქეთ C. 11 სუნნელების] სუნელების D. 13 სამკურნალოდ + და C. ყოველ] ყოველს C. 21 უყვართ] უყვარს C. დაგვიანება + მაგალითად C. 26 დროთგანვე] დროდგანვე C. 28 ჩაით არ ითუთქავდნენ პირს < ABD. 29 რამდენიმე] რამოდენიმე C. 30-31 მხდალია] მხთალია C. 31 ეშინიაო] ეშინიანო C. 32 აზრი] ჰაზრი C. თითქმის < ABD. 34-35 დილდილობით] დილდილაობით BD. 36 გამოელვიძებოდათ] გამოიღვიძებდნენ BC.

**280.**8 და ისე გადი] და გადი D. 20 მოფრენილიყო მერცხალი] < AD. შემოფრენილიყო < B. 22 უნდა] უნდაო B. „მიჯობნია“ BD-ში ერთხელ წერია. 28 იკეთებდა] აკეთებდა ხოლმე C. ჩიტუნიაო] ჩიტუნია D. 32 ბუდესა] ბუდეს C.

**281.**2 ვერა] ველარა C. 5 რამდენიმე] რამოდენიმე CD. მოფრინდა] მოჰფრინდა C. 6 ისე] ასე D 7 ამოავსეს] ამოამსეს D. გაფრენილიყო] გამოფრენილიყო D. 10 შეექნათ] შეექმნათ D. 13 მამასთან] მამა-მისთან C. 14 ამბავი] ანბავი C. 16 მერცხალს] მერცხლებს D. 31 ჭია-ჭუებს] ჭია-ჭუაებს C.

**პირველი საღამო** (გვ.282)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1876, №29 (B); კრებ. [ა. წერეთელი]. საყმაწვილო ამბები. ტფ.: 1885 (A).
ს ა თ ა უ რ ი: საყმაწვილო ამბები. ამბავი პირველი (B); ამბავი პირველი (A).
თ ა რ ი ღ ი: [1876]
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი (B);

მოთხრობა თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**283.**21 **„პირველ თიბათვეს ეს გაზაფხულად წოდებული პატარძალი აღარა სჩანს“ – ივნისი** (ლათ. Junius) გრიგორიანული კალენდრის მეექვსე თვე. ძველი ქართული წარმართული კალენდრით მას ეწოდებოდა მარიალისა. ხალხური სახელწოდებებია: თიბათვე და ივანობისთვე.

**284.**16 **„პირველ ენკენისთვეს ესეც იპარება“ – სექტემბერი** (ლათ. September) გრიგორიანული კალენდრის მეცხრე თვე. ქართული წარმართული კალენდრით – ახალწლისა, ხოლო ხალხური სახელწოდებაა – ენკენისთვე.

**284.**21 **ბორჯი** – იგივეა, რაც დრო-ჟამი.

**285.**16 **„თქვენს ადგილს ქრისტიშობისთვიდან იჭერს საზიზღარი დედაბერი…“ – დეკემბერი** (ლათ. December) გრიგორიანული კალენდრის მეთორმეტე და უკანასკნელი თვე. ქართული წარმართული კალენდრით – ტირისდენი, ხალხური სახელწოდება – ქრისტეშობისთვე.

**285.**31 **ბოქაული** (თურქ.-მონღ. ბუქავულ – მნე) – საპოლიციო-ადმინისტრაციული აპარატის დაბალი მოხელე გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. სახელწოდება „ბოქაული“ საქართველოში XVI საუკუნიდან შემოვიდა. ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმინები *მანდატური* და *იასაული*. ბოქაულსა და იასაულს *ხელარგნოსანები* (ხელჯოხიანები) ეწოდებოდათ. ბოქაულს ევალებოდა სამეფო ხელისუფლების სხვადასხვა ხასიათის ბრძანებისა და განკარგულების შესრულება, განაჩენის აღსრულება, წესრიგის დაცვა და სხვ.

**282.**1 საყმაწვილო ზღაპრები B. 2 ქვესათაური: „ამბავი პირველი“A. 8 ბრის] ბარის B. 10 გააჩინა ღმერთმა ] დაარსდა B. 11 წინასწარი] წინაპარი B. 12 მაშინვე < B. მის] მისს B. 14 წვეთები + ოკეანას B. 16 ერთფერობას

მოკლებული ეს დრო ოთხ სხვადასხვა დროებად იყოფა < B. 18 პატარძლად] პატარძალად B.

**283.**9 თვისის] მისის B. 17 ჰარმონიულად] გარმონიულად B. ბალახის] ბალახების B. 23 ადგილს იჭერს ერთი კარგად ნაკვთი ორსული დედაკაცი] ადგილზედ ჩვენ ვხედავთ ერთს კარგ ნაკვთს ორსულ დედაკაცს B. 27 და აი რას იმღერის < B. 285.2 გავიყარო]გაგიყარო AB. 13 მშვიდობით მეორე წლამდე, პატარძალო – გაზაფხულო! < B. 20 მისი] ამის B. ცეცხლი] ცხელი B. 286.19 მართლაც] მართლა B. შესაჩვენებელია + „არსად ისეთის მხიარულებითა და კარგის გუნებით არ მიდიან წლის ოთხი სტუმრები, როგორც ჩვენში. ასე გასინჯეთ, ამ კუთხეში რომ შემოვა ხოლმე, დედაბერი ზამთარიც კი გულს იმშვიდებს და სტკბება. მაგრამ ნათქვამია: „ყოველთვის კოკა წყალს ვერ მოიტანსო“. ეს ფრაზა „მეორე საღამოს“ დასაწყისის მეორე აბზაცია, მას ეკუთვნის ორგანულად. მაგრამ რაკი „საყმაწვილო ამბებიდან“ ცენზურას ამოუღია „მეორე საღამო“, აკაკის მოუხერხებია მოტანილი ფრაზის „პირველი საღამოს“ ბოლოში მიმატება. აკაკის მოთხრობების 1948 წლის გამოცემაში (პ. ინგოროყვას რედაქტორობით) მას თავის ადგილი აქვს მიჩენილი: „მეორე საღამოს“ დასაწყისშია მოთავსებული.

## კურდღელი (გვ.287)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: კრებული „გადია“, თხზულება აკაკისა, 1885 წ.
ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ამბავი.
თ ა რ ი ღ ი: [1884]
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არ აქვს.

მოთხრობა თარიღდება 1884 წ. 15 ნოემბერს გაცემული ცენზურის ვიზის მიხედვით.

**287.**5 სამყურა] სამყური. 10 გაუსკდა] გაუსქდა. 27 მოუსვენრობაო] მოუსვენრობა.
**288.**14 + ფეხით დამკიდეს თავ-დალმა, კერზე მიმშვირესო.

## თოხიტარა (გვ.289)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი K-78, გვ. 29v-32r (C).
ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. „ნობათი“, 1884, №22 (A).
თ ა რ ი ღ ი: [1884].
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი (A).

მოთხრობა თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.



C-ს თავფურცელზე არის წარწერა: „მღვდელი გიორგი ზაბახიძის მიერ გადაწერილი, როგორც გვითხრა სპირიდონ ზაბახიძემ. ი. ელიაშვილი 9/II, 15 წ. თბილისი“.

**289.**4 მიმსგავსებით] მიმზგავსებით C. 9 სამუშაოა] სამუშავო C.

**290.**4 შე] შენ C. 9 ისევ] ისვე C. 11 ინდაურები] ინდოურები C. 20 მივანებე] მოვაშორე A. 21 საჩეხიდან] საჩიხიდან C. 35 გადაწოლოდენ] გადასწოლოდენ C.

**291.**3 უცბად] უბათ C. 7 ძალიან] ძალიანი. 8 იქ] აქ C. 14 გამოხვეულიყო] გამოხვევულიყო C. 15 მოგატყუე, მოგატყუეო] მოგატყუე, მოგატყუე C. 17 მეთქი] მეთქინ C. 27 იქედან] აქედან. იქიდგან C.

**292.**4 დავდევდით] დავსდევდით C. 8 ავჭყლოპინდით] ავჭყლიპინდით AC. 16 გამოამწყვდია] ჩამოამწყვდია C. 28 მქონდა] მქონია C. 34-35 ათრთოლებულის] ათრთოლებული C.

**293.**4 სტანჯავენ] სტანჯვენ. 12-13 უშავებენ] უშავებს C. 15 დასწყდებიან] დაწყდებიან C. 23 ვაწვალებ] ვაწვალებდი C. 36 მომკვდარიყო] მოკდარიყო C.

**294.**2 ბრობით – იმერული გამოთქმაა – მეოხებით (აკაკის შენ.) < C. 6 ძალიან] ძალიანი C. ჭყლოპინობდნენ] ჭყლიპინებდნენ C. 22-23 ძმები + და C. 25 იზდებოდენ] იზდებოდნენ C. 29 გალიიდან] გალიიდგან C. 32 კალთაში] კალათში AC.

**295.**4 ნებაზედ] ნებაზე C. 21 ხიდან] ხიდგან C. 35 ძვირფასს] ძვირფას. 38 თარიღი 1884 წ. < C.

## პატარა ტარიელი (გვ.296)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი:
ავტოგრაფები: T-136, გვ. 1-27 (B). ექიმ დ. ფაღავას კუთვნილება (მთლიანად გადახაზული), გვ. 1-6 (E).
ასლი: K 77, გვ. 35-48 (D).
ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. „ჯეჯილი“, 1897, №5, გვ. 5-16 (C). „აკაკის კრებული“, 1898, №10, გვ. 27-34 (A).
ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: საყმაწვილო მოთხრობა.
თ ა რ ი ღ ი: [1897] <B.
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი (C).

მოთხრობა თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**297.**27-28 **„სევდა რამე შემომყრია, სამკურნალო არა მჭირს რაო“** – პერეფრაზი „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ფრაზისა: „აქიმნიცა იკვირვებდეს:„ესე

სენი რაგვარია? სამკურნალო არა სჭირს რა, სევდა რამე შემოჰყრია“ („ამბავი ტარიელის გამიჯნურებისა, პირველ რომ გამიჯნურდა“).

**300**.5-6 **„შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვაო“...**- ამონარიდი „ვეხისტყაოსნის“ პროლოგიდან (შდრ.: „შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა..“).

**305**.22-23 **„თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობაო...**“ – ამონარიდი ხალხური ლექსიდან „ფილოსოფოსნი შემოკრბენ“. ამ ლექსს უკავშირდება პროზაული გადმოცემა, რომელშიც მოთხრობილია თამარ მეფის სტუმრობის ამბავი რაჭის ერისთავ კახაბერთან. თურმე ერისთავის ასულსა და აზნაურ გოცირიძეს ერთმანეთი ჰყვარებიათ, მაგრამ ვერ ამხელდნენ, რადგან სოციალური განსხვავება არ იძლეოდა მათი შეუღლების საშუალებას. წყვილის დახმარების მიზნით თამარს შოთასთვის ყველას გასაგონად უკითხავს, შენ, როგორც სწავლული კაცი, რას ფიქრობ გვარიშვილობასა და პირად ღირსებაზეო. შოთას პასუხი ლექსად გაუცია:

„ფილოსოფოსნი შემოკრბენ,
ამაზე ჰქონდათ ცილობა:
ბატონი ყმასა ასაქმებს
და ჭკუას – გამოცდილობა.
ათასად გვარი დაფასდა,
ათი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი თვითონ არ ვარგა,
რას არგებს გვარიშვილობა“.

ეს ლექსი, თქმულებასთან ერთად, ვარიანტული სხვაობით, ჩაწერილია იმერეთსა და მესხეთში, როგორც ზეპირსიტყვიერი ნაწარმოები. ასე იბეჭდებოდა ის ფოლკლორულ კრებულებშიც. შერმადინ ონიანმა ამ ლექსს საგანგებო მონოგრაფია მიუძღვნა (შ. ონიანი. ეკუთვნის თუ არა რუსთაველს ლექსი „ფილოსოფოსნი შემოკრბეს“. თბ.: მეცნიერება. 1976). მკვლევრის აზრით, ეს უკანასკნელი შოთა რუსთაველის შექმნილი „ლექსი ცოტაია“. შერმადინ ონიანის ეს თვალსაზრისი გაიზიარეს ი. მეგრელიძემ, მ. ალავიძემ, გ. თავზიშვილმა, ჯ. ბარდაველიძემ და სხვ.

**300**.24-25 **„მისმან მზემან, უმისოსა არვის მიხვდეს მთვარე მისიო**“ – პერიფრაზი „ვეხისტყაოსნის“ ტაეპისა: „შენმან მზემან, უშენოსა არვის მიჰხვდეს მთვარე შენი..“ („წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი“).

**296**.3 ჩვენს] ჩვენ C CE. 4 პატარა < D. 5 დიდი] ძლიერ D. 6 იძვრენდა] იძვრენდენ BE. იფრენდა D. 10 ადრინდელი] ადრინდელ BDE. 11 თითქოს] თვითქოს B. 12 სხვებრ] სხვებ BE. არა] არ D. 13 ფერ-ხორცათ] ფერ-ხორცზედ E. 15 უკრიალებდა] უკრიალდებოდა D. 16 გაბოხებოდა] გაბოხებულიყო E. გაბოხებოდა + და BE. ნაძალადეობაც] ნაძალადობაც კი E. 17 B-ში ავტორს დაუწერია „მოზარდულია“, – „დულა“ გადაუხაზავს და წაუწერია „დეა“ და მიუღია „მოზარდეა“. მოზარდია] მოზარდეა DC. მოზარდულია E.



ხანში] ხანმა E. 19 ისვენებს] ასვენებს DC. B-ში „გაუცდა“ გადაუხაზავს ავტორს და წაუწერია „გაუცუდდათ“. 22 B-ში „დიტო“ გადაუხაზავს ავტორს და წაუწერია „ყმაწვილი“. ყმაწვილი] დიტო E. 23 დაანებებდა] დაახწევდა BE. 25 სადაც კი შეიგულებდა < E. 26 ადენდა + სადაც კი შეასწრებდა E. 30 გამოჰყო] გამოყო BE. 32 შეიჭმუხნა სახე + და B. 33 გულშეწუხებული] გულშემოყრილი E. დაიკივლა] იკივლა E. 34 შემოცვივდნენ] შამოცვინდენ CE. შემოცვინდენ D. 35 ცხვირი და ყურები] ყურები... ცხვირი......ნიკაპი E.

**297**.2 ხოლმე < E. 3 ხუჭავდა და ნაბავდა + თვალებს B. ხუჭავდა + ხოლმე E. და + სულსაც E. 4 ერისთვიანი] ერისთავიანნი B. 4-5 შინ გაეგზავნათ ხელში აყვანილი ყმაწვილი] რომ ავათმყოფი აყვანილი გაეგზავნათ სახლში E. 6 თვალები] თვალი E. დაუწყეს საყვედური] ესაყვედურებოდენ E. 10 პასუხს აძლევდა] უპასუხებდა E. თითის სიგრძე ბავშვი < E. 11 აქეთ-იქით < E. დიდ < E. თოვლში + აქეთ-იქით E. 30 დევნაში] დევაში BCD. B-ში „დევნაში“ სიტყვის შემდეგ გადაუხაზავს ავტორს „ათენ-ალამებს“. 12 გებულობსო] გებულობს D. 13 იჯერეს] გაიჯერეს B. მოიჯერეს E. 17 სხვადასხვაგვარათ] სხვადასხვანაირად E. გამოიკვლია] ახსნა მისი მიზეზი E. 18 მეორე ამტკიცებდა < D. B-ში ავტორს გადაუხაზავს „დააბრალა“ და წაუწერია „მიაწერა“] დააბრალა E. 20 რეცეპტი] რეცეფთი B. 21 დასანახავათაც] დასანახათაც D. 22 ეხვეწებოდა + რომ B. 26 შეფერებული] შეფერებულის BDE. 30 მთელი დღით] დილიდან საღამომდი E. 31 B-ში ავტორს „ჯარა“ გადაუხაზავს და წაუწერია „სოფლის“] ჯარა E. 32 ვიცით] ფიცით B. იქვე მომდევნო სიტყვა „კრულვით“ გადაუხაზავს ავტორს. 34 რამდენიმე] რამოდენიმე B. 5-36 და პატარა თინაც თან მოჰყვა ∞ და თან დიტოს თინაც მოყვა E. 36 ოთახში] ოჯახში BE. 37 მომაკლოს] მოგვაკლოს E.

**298**.1 ბრძანდები] ბძანდები BCE. 2 მოიხედა და < E. 3 ეუბნებოდა მასპინძელი სტუმარს < E. 5 გაიარ-გამოიარა] გეიარ-გამოიარა D. 12 მოჰგონებია] მოგონებია B. 13 „ვეფხის-ტყაოსნის“] „ვეფხის-ტყაოსანის“ D. 13 B-ში „ვიქნეო“ ავტორს გადაუხაზავს და წაუწერია „გავხდეო“. 15 გმირობასო] გმირობას CD. დიტო < B. 17 B-ში „იპუწკნ“ ავტორს გადაუხაზავს და შემდეგ დაუწერია „იპუწკნიდა“. 22 გამოსჩენოდა] გამოჩენოდა B. 24 B-ში ეწერა „საქალებო სასწავლებელში“ – „საქალებო“ ავტორს გადაუხაზავს. ეწერა „წინა დღის“, ავტორს „დღის“ გადაუხაზავს და „ღამის“ დაუწერია. ნაავდრევი] ნაწვიმევი B. 25 B—ში „ნიაღვარი მოდიოდა“ გადაუხაზავს ავტორს და „ნიაღვარი იდგა“ დაუწერია. 25-26 B-ში „გასამშრალებლად“ გადაუხაზავს ავტორს და წაუწერია „გაღმა გასასვლელად“. მშრალად ევლოთ] გაემშრალებიათ B. 27 უსხლტებოდათ] უსხლტებოდა B. 28 B-ში „სიცილს საზღვარი“ გადაუხაზავს ავტორს და მის ნაცვლად დაუწერია „სიცილს ბოლო“. 29 გოგონა] გოგუნა B. 32 კოჭებამდი] კოჭებამდისაც B. 33 B-ში „მაგრამ დიტო მაშინ გაითხლაშა და“, ავტორს გადაუხაზავს. 34 ვცურავო] ვცურამო B.

**299**.4 გაწუმპული ბავშვი რომ ∞ რომ გაწუპული ბავშვები B. რომ გაწუმპული ბავშვი D. რომ < C. 5 მადლობა] მადლი B. ამ დღიდან] იმ დღიდან

B. 6 ხშირათაც] ხშირათ D. 7 ნესტან-დარეჯანიო] ნესტანდარეჯანიაო BC. ნესტარ-დარეჯანია D. 11 შეჰგვარა] შეგვარა B. 12 გოგოსაც] გოგოს B. 13 ამხანაგი] ამხანაგთაგანი B. გაიავთანდილა + და D. ფრიდონიც + სხვა B. უმცროს] უნცროს B. 14 მეგობრებს] მეგობრებ B. ნესტან-ტარიელობა] ნესტარ-ტარიელობა D. 17 ძლვნათ მიიტანა] მიუტანა ძლვნათ D. 18 ჩვენი] ჩვენ CD. 19 ამბობდა] ანბობდა B. 21 B-ში „პატარა დიტოსგან“ გადაუხაზავს ავტორს და წაუწერია „მისგან“. 23 ჰკოცნიდა] კოცნიდა B. 24 აწვალებდა + მაგრამ B. 25 B-ში „ქვებს უსვრიდა“, – „ქვებს“ გადაუხაზავს. 26 „უმიზეზოთ და უწყალოთ ანარცხებდა მიწაზე; დიდებს ერიდებოდა“ < D. 27 გულში + კი D. 28 გადავაბრუნო] გადვაბრუნო D. 29 „ძირს“ – გადახაზულია B-ში. ამ სიტყვის მაგივრად დაწერილია „დაბლა“. ვარსკვლავები] ვარსკლავები D. 31 და < D. 33 შესჩივლა] შეჰსჩივლა B. კნეინას + რომ B. აღარ] აღარა B. 35 თქვენსა] ჩვენსა B. 36 ბრალია] ბრალიაო B.

**300.**2 დაღვარა] ღვარა B. 3 მისი ჭირიც ∞ B. 5 B-ში „შორით ოხვრა, ბოღმა, მალვა, კდომა“ – გადაუხაზავს „ოხვრა, ბოღმა, მალვა.“ 7 B-ში „პატარა მეგობრებს“ – „პატარა“ გადაუხაზავს. 9 B-ში „სასეირნოდ“ ავტორს გადაუხაზავს და წაუწერია „ბაღებში.“ ბაღებში + „ის გუვერნანტი ფრანცუზის ქალი იყო, იცოდა ცხოვრების გემო და უმეგობროდ ვერა დგებოდა. ხან ერთს გაიჩენდა ხოლმე, ხან მეორეს, მაგრამ რადგანაც სასახლეში ვერ მიჰყავდა უცხო სტუმრები, ხან ერთგან და ხან მეორეგან, ბაღებში უნიშნავდა ადგილს. უფრო ხშირად კი ვერისკენ სასაფლაოზე, რადგანაც მიყრუებული ადგილი იყო“ (B). ჩანს, აკაკიმ ეს ადგილი საბავშვო მოთხრობისათვის შეუფერებლად მიიჩნია და ნაბეჭდ ტექსტში არ შეიტანა. 11 B-ში „გინდა მნახო“ ავტორს გადაუხაზავს და წაუწერია „არ დაგვიწყებივარ“. 14 B-ში „მისგან“ გადაუხაზავს და წაუწერია „მისი“. 15 B-ში „ცხელი“ გადაუხაზავს და წაუწერია „სიხარულის“. დაჰღვარა] დაღვარა BCD. 19 პატარებს] პატარაებს, ნახვა + არც დიდებს სწყენიათ B. 23-24 B-ში „ბოლოს ჩუმათ შეჩერებოდნენ ერთმანეთს. გადაუხაზავს ავტორს „ჩუმათ ერთმანეთს ბოლოს“ და წაუწერია: „ხმაამოუღებლად მერე“; B-ში „მივიდენ ახლოს და აკოცეს“ – გადახაზულია „მივიდენ ახლოს“. 25 „ერთ საფლავის“ B-ში გადახაზულია „ერთ“. დაიწყეს] იწყეს CD. 31 გეშინია] გეშინიან B. გეშინიაო D. BD. 32 გავუმკლავდები] გაუმკლავდები BD. 33 არას გაგიჭირვებო] არა გაგიჭივრებო D.

**301.**1 B-ში „ერთმანეთის გულისათვის ჭირი და განსაცდელი“ – პირველი ორი სიტყვა გადახაზულია. 3 თქვა] სთქვა B. 6 ერთმანერთთან] ერთმანეთისაკენ B. 7 შეკრთენ + გაშეშდენ B. 12 მოჰკურცხლა] მოკურცხლა B. 16 გამოჰკითხეს] გამოიკითხეს B. 17 ბავშვები] ისინი B. 18 მკვდარი] კვდარი B. 24 პატარებს] პატარაებს B. 34 ველარსად] ველარსადა B. 35 გამოამჟღავნა] გაამჟღავნა B. 37 საცინლათ] საცინად C. საცინათ D.

**302.**2-3 გაწყვიტე ლომ-ვეფხები] გასწყვიტე ლომ-ვეფხვი B. 4 ჰყლაპავდა] ყლაპავდა B. 6 ტყუილა] ტყვილა B. იჯდა + თვარა B. აღარაფრისა] აღარაფერისა B. 8 ღმერთს] ღმერთსო B. B-ში ეწერა: „საძაგელი, საზიზღარი ამხანაგები“ – პირველი ორი სიტყვა გადაუხაზავს ავტორს და მის ნაცვლად დაუწერია „უსიამო“. 10 B-ში ეწერა „და მით უფრო აუტანელი“, მაგრამ პირველი სამი სიტყვა გადაუხაზავს. B-ში ჯერ დაუწერია „რომ შინაც“, მაგრამ გადაუხაზავს ავტორს და წაუწერია: „სახლში“. 11 B-ში ჯერ დაუწერია ავტორს „ამხანა“, მაგრამ შემდეგ გადაუხაზავს და წაუწერია: „ტოლები“. სასაცილოდ] საცინლად B. 12 გამოუსადეგარ] გამოუსადეგარს C. 13 განიზრახა] განიძრახა B. 14 ყოყმანობდა] ყოყმობდა B. 19 თვლიდა] ჰხდიდა B. თვლიდა D. ნორჩი] ნორჩ C. 26 სხვებისას] სხვებისაც D. ყურადღებასაც] ყურადღებას D. 27 იყო ხოლმე < D. 29 რასაკვირველია] რასაკვირელია B. 32 საქმეებზე] რამეებზე B; 32-33 დაავიწყდა] დაავიწყა B. 34 ვუზივარ] უზივარ B. 35 B-ში „მოუყვა“ გადაუხაზავს ავტორს და წაუწერია „უამბო“; 36 „ყურად“ გადაუხაზავს ავტორს და შემდეგ დაუწერია „გულდაგულ“. 37 თვისი] მისი B.

**303.**1 სასირცხო] სასირცხვო B. B-ში „სასინანულო“ გადაუხაზავს ავტორს და დაუწერია „სასირცხო და სასინანულო“. 3 განზრახვა] გაზრახვა C. 4 ცდილობს] სცდილობს B. მიჰბაძოს] მიბაძოს B. ჩალათაც] ჩალად B. 5-6 დასაძრახისია] დასაძრახისიაო B. 9 და ავთანდილები] ავთანდილები B. 9-10 ყოველგან ყოფილან და არიან კიდეც] ყოველგან არიან კიდე საჭირო D. 11 წარმოშობს] წამოშობს B. 12 ხალხათაც] ხალხათ D. 13 ჩვენს] ჩვენ BCD. 14 კიდეც] კიდევაც B. 15 გმირები] გმირებიც B. თავ-თავის] თავ-თავისი D. 18 ყველაფერი] ყოველიფერი B. 19 შემოესეოდა] შემოესეოდა CD. B-ში „გარეშე ვინმე ხალხი“ გადაუხაზავს ავტორს და წაუწერია „მტერი“. 20 B-ში ავტორს დაუწერია „ფარ-ხმალით ხელში“, მაგრამ შემდეგ გადაუხაზავს „ხელში“. 24 B-ში „ფარ-ხმალის ადგილი“ გადაუხაზავს ავტორს და წაუწერია „მკვლავის ძალა-გრძნობა“. ძლიერებად] ძალით B. 29 ქაჯებსა] ჯარებსა D. 31 B-ში დაუწერია ავტორს „რომელიც დღეს“ და შემდეგ გადაუხაზავს „დღეს“, რადგან ამ აბზაცში იგივე სიტყვა იმავე დანიშნულებით უკვე გამოიყენა. 33 „წმიდათა წმიდა“] „წმინდა წმინდათა“ B. წმინდათა-წმინდა D. 35 გვეყოლებიან] გვეყოლებიენ D. 37 B-ში ავტორს თავდაპირველად დაუწერია „ნადირობით იმაგრებდა“ და შემდეგ გადაუხაზავს „იმაგრებდა“.

**304.**8 სავარჯიშოთ] სავაშკაცოთ B. 9 გახსოვდეთ] გახსოვდესთ BC. გახსოვდეს D. 10 B-ში „საქართ.“ გადაუხაზავს ავტორს და შემდეგ დაუწერია „ჩვენი ქვეყნის“. 14 „იმოქმედოთ, რომ“ სიტყვების შემდეგ B–ში ასეთი ფრაზაა: „გამოიხსნათ ნესტან-დარეჯანი, ის შორეული საიდეალო ნესტან-დარეჯანი უნდა გაახორციელოთ. უმახლობელესი ნესტან-თინათინები ამოიყენოთ გვერდში თქვენგვარი სურვილებითვე გამსჭვალულები, რომ იმათგან წაქეზებულმა უფრო მხნეთ ებრძოლოთ მტერს“. მკვეთრად პატრიოტული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეის მატარებელ ამ ფრაზას ACD-ში ცვლიდა ცენზურის გამო გამარტივებული წინადადება: „მათი თანაგრძნობით ჭირი ადვილათ მოიქარვოთ და ლხინში თავი დაიჭიროთ“.

წინამდებარე გამოცემაში ფრაზა აღვადგინეთ B-ს მიხედვით. 19 ჰკითხა] კითხა D. 20 „ახლა უფრო ფატმანების დროა“ – ამის შემდეგ B-ში ასეთი ფრაზაა: „ისინი ვერ არჩევენ თავისიანს და სხვისიანს, ხშირად სასიკვდილოთაც იმეტებენ შინაურს, ოღონდ გარეულის გული კი მოიგონ, ისე როგორც ფატმანმა ჩაჩნაგირის განწირვით მოიგო უცხო მოყმის გული“. ჩანს, ნაბეჭდში ცენზურამ ეს ფრაზაც ამოიღო. აღვადგინეთ ავტოგრაფის ტექსტი. 26 სწორზე] სწორეზე C. 32 აუკულმართებთ] აუკულმართებსთ B. აფატმანებთ] აფატმანებს B.

**305.**1 B-ში „სიამით“ გადაუხაზავს ავტორს და შემდეგ დაუწერია „ალტაცებით“. იქვე „უგდ“ გადაუხაზავს და შემდეგ დაუწერია „ისმენდა“. 4 ბავშვი] ყმაწვილი B. 7 ხელი + და B. 26-31 ჩანს, ცენზურული პირობების გამო ავტორმა ვერ გამოაქვეყნა უკანასკნელი ფრაზა, 1958 წლის გამოცემაში (აკ. წერეთელი. თხზ. სრ კრებ. თხუთმეტ ტომად. ტ.VIII) ეს უკანასკნელი აღდგენილია ავტოგრაფის (B-ს) მიხედვით: „ამბობენ, რომ იქ, უნივერსიტეტში, დიტოს შეუდგენია სატარიელ-საავთანდილო-საფრიდონო წრეო და ყველანი ერთად ემზადებიან, რომ დაბრუნდენ სამშობლოში, გვერდში ამოიყენონ ნესტან-თინათინები, გაებან საერთო უღელში, ერთად გაწიონ ჭაპანი და ოროველაც ასე დასძახონ: გული წმინდა, სული წრფელი და ერთობა-სიყვარულიო“.

### ნამდვილი ამბავი (II) (გვ.306)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910, №26, გვ. 2.
თ ა რ ი ღ ი: [1910].
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი.
მოთხრობა თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

თხზულება ძლიერ ჩამოჰგავს „მერცხლისა და ჭივჭავის ომს“ და, როგორც ჩანს, „დათუნა გოცირიძის“ მსგავსად, აქაც ვითარებისდა შესაბამისად აქვს ავტორს შეცვლილი სიუჟეტური ხაზი (იხ.: წინამდებარე ტომში კომენტარი მოთხრობისა „მერცხლისა და ჭივჭავის ომი“).

აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის (თხუთმეტ ტომად) VIII ტომში ორი „ნამდვილი ამბავია“ დაბეჭდილი. ტომის შემდგენლებმა ამ ტექსტებს პუბლიკაციის თარილის მიხედვით პირობითად მიანიჭეს რიგითი ნომრები: 1910 წელს გამოქვეყნებულს I და 1912 წელს დაბეჭდილს - II. შესაბამისი კვლევის საფუძველზე შეიცვალა ერთ-ერთი „ნამდვილი ამბის“ შექმნის თარიღი (იხ.: წინამდებარე ტომში „ნამდვილი ამბავი“ II-ის კომენტარი) და, შესაბამისად, „გადანაცვლდა“ პირობითი ნუმერაციაც.



# ს ა ძ ი ე ბ ლ ე ბ ი

## პირთა საძიებელი

### ა

აარონი – 257,377
აბას I – 203, 204, 205, 359, 361
აბას II – 206, 359, 363, 364
აბაშიძეები – 274, 384
აბაშიძე გიორგი – 381
აბაშიძე თამარ ლევანის ასული (ალექსანდრე V-ის მეუღლე) – 371
აბაშიძე ივანე – 183, 275, 356, 385
აბაშიძე კიტა – 342
აბაშიძე ლევან გიორგი-მალაქიას ძე – 245, 371
აბაშიძე ნიკოლოზ სამსონის ძე – 320
აბაშიძე ქაიხოსრო –356, 385
აბაშელი ალექსანდრე – 313
აბზიანიძე გიორგი – 309, 310, 333
აბრაამ I – 339
აბრამიშვილი დიმიტრი (წინამძღვარი) – 183
აბრამიშვილი თამარ – 311
აბუ ალ-ფარაჯი – 359
აბუ ბაქრ ალ-ვალიდი – 359
აგიაშვილი – 179
ადამი – 340
აკოფაშვილი სტეფანე – 320
ალავიძე მიხეილ – 390
ალექსანდრე ბატონიშვილი (ერეკლეს ძე) – 385
ალექსანდრე I (რუსეთის იმპერატორი) – 384
ალექსანდრე II (რუსეთის იმპერატორი) – 346
ალექსანდრე II (კახეთის მეფე) –361
ალექსანდრე III (იმერეთის მეფე) – 326
ალექსანდრე V (იმერეთის მეფე) – 241, 242, 246, 248, 371
ალექსანდრე IV (იმერეთის მეფე) – 381
ალიფონა – ლეკების ბელადი – 266
ალი ყული ხანი (ალი ყული ხან ქენგერლუ ნახიჩევანელი) – 209, 11, 219, 223, 235, 363
ამილახვარი გივი – 378
ამილახვარი თამარ – 378
ანდრია ოლგერდოვიჩი –339
ანდრია პირველწოდებული – 374

ანდრია ტვერელი – 334, 339
ანდრონიკაშვილი ივანე – 379
ანდრონიკაშვილი რევაზ – 258, 377
ანდრონიკაშვილი ქეთევან (გიორგი XII-ის მეუღლე) – 377
ანტონ I – 345, 346
ანტონი (ნიკო დადიანის მოურავი) – 269
არარატიანცი არტემ – 257
არსენ კათალიკოსი – 114, 339
არღუთაშვილი იოსებ – 257, 376, 377
არღუთაშვილი სოლომონ – 257
არღუტიანი ოსეფ (არღუტიან-ერკაინაბაზუკი,
არღუთინსკი-დოლგორუკოვი, – იხ.: არღუთაშვილი იოსებ
არღუთინსკი იოსებ) – იხ.: არღუთაშვილი იოსებ
არჩილ ბატონიშვილი – 244, 245, 247
არჩილ II – 215, 358
ასათიანი (ოთია მესხის დისწული) – 177
ასთიანი ლუკა –320
აქილევსი – 319
აღა-მაჰმად-ხანი – 257, 376
აღბულა ათაბაგი – 90, 332
ახბერდილ მუჰამადი – 319
ახნაზაროვი არტემ – 325
ახსართან VI – 359

### ბ

ბაგრატი – 89
ბაგრატ III – 381
ბაგრატ IV (იმერეთის მეფე) – 326
ბაგრატ კურაპალატი – 332
ბაგრატ ხანი – 362
ბაგრატიონი (ბაგრატიონ-დავითაშვილი) ანასტასია (ტასო) – 322, 323, 324
ბაგრატიონი ქეთევან დავითის ასული – 326
ბაგრატიონი ვახუშტი – 384
ბაზილევსკაია ნატალია – 313
ბარათაშვილი ნიკოლოზ – 349
ბარდაველიძე ჯონდო – 390
ბარიათინსკი – 380
ბაქრაძე დიმიტრი –317
ბახტაძე სერგო – 342
ბებუთაშვილი აბესალომ – 257
ბებუთაშვილი დარჩია – 257
ბებუთაშვილი იოსებ – 257
ბენია – 119, 268-271, 341, 382
ბეთლემელი იესე – 360
ბერბიჭაშვილი გიგლა – 343
ბესიკი – იხ.: გაბაშვილი ბესარიონ
ბექა – 332
ბექა ოპიზარი 376
ბეშტია – 119, 120, 268-271, 341, 382
ბრეგაძე ლევან – 310, 380-381
ბრონევსკი – 383
ბურჯანაძეები – 381

### გ

გაბაშვილი – 351, 354
გაბაშვილი ბესარიონ – 354, 376
გაბოძე ჯულიეტა – 342, 356
გამრეკელი – 90
გენათელი ექვთიმე – იხ.: ექვთიმე გენათელი
გერმანე (გოგოლაშვილი) ეპისკოპოსი – 330
გიორგაშვილი მარიამ – 311
გიორგი (წმ.) – 33-34, 113-114, 126, 196, 197, 235, 241, 244, 311, 357,
გიორგი II –360
გიორგი XII – 329, 375, 377
გიორგი ათონელი – 340
გიორგი ბატონიშვილი (ალექსანდრე II-ის ძე) – 202, 361
გიორგი ბრწყინვალე – 89-90, 259
გიორგი მერჩულე – 331
გიორგი მთაწმინდელი – 340
გორგაძე ილია – 310
გორგაძე სერგი – 313
გოცირიძე – 390
გოცირიძე დათუნა – 178-179, 265-267, 355, 373, 380, 381
გრიგოლ პართელი – 330
გრიგოლ ღვთისმეტყველი – 330
გრიშაშვილი იოსებ – 310, 341
გურამიშვილი დავით – 321
გურგენიძე ნოდარ – 310
გურიელები – 173, 353, 354
გურიელი გრიგოლ – 316, 317
გურიელი თინათინ (ლევან II კახთა მეფის მეუღლე) – 363
გურიელი მამია III – იხ.: მამია III გურიელი
გურიელი ქაიხოსრო – 356

### დ

დავით არჩილის ძე – იხ. სოლომონ II
დადიანი – 178
დადიანი გრიგოლ – 355
დადიანი ვამიყ – იხ.: ვამეყ III დადიანი

დადიანი ვამეყ III – იხ:. ვამეყ III დადიანი – 326, 358
დადიანი კაცია II – იხ.: კაცია II დადიანი
დადიანი ნიკო – 356
დადიანი ოტია – 375
დადუნაშვილი ნინო – 311
დავით I (კახეთის მეფე) – 361
დავით IV აღმაშენებელი – 89-90, 93, 201, 259, 360, 393
დავით გიორგის ძე (იმერეთის მეფე) – 383
დავით მეფე (თეიმურაზის მამა) – 202
დავით არჩილის ძე – 355
დავით რექტორი – 360
დავით სარდალი (ორბელიანი) – იხ.: ორბელიანი დავით
დავით წინასწარმეტყველი – 201, 333, 360
დარეჯანი (ბაგრატიონი) (სოლომონ პირველის ასული) – 356, 385
დარეჯანი (ბაგრატიონი ) (თეიმურაზ პირველის ასული) – 91, 326
დარეჯანი (დადიანი) (ერეკლე II-ის მეუღლე) – 252, 253, 375
დიმიტრი დონელი – 112, 114, 339
დიმიტრი (დემეტრე) თავდადებული – 114, 340
დოსითეოს კათალიკოსი – 183, 355, 383-384
დოსტოევსკი თეოდორ – 346

ე

ევა – 340
ეკატერინე (წმ.) – 358
ეკატერინე (ეკატირინა) (რუსეთის იმპერატრიცა) – 375
ელიაშვილი (მღვდელი) – 242, 243
ელიაშვილი ივანე – 320, 389
ელისაბედი (ელენე) ერეკლე I-ის ასული – 345
ერეკლე I – 345
ერეკლე II – 89, 252-253, 258-259, 376-378, 384
ერეკლე ალექსანდრე II-ის ძე – 360
ერისთავი – 178
ერისთავი გრიგოლ – 354
ერისთავი დავით – 349, 354
ერისთავი ელიზბარ – 173-174, 234
ერისთავი ელიზბარ გიორგის ძე – 153-176, 353
ერისთავი (არაგვის ერისთავი) ზაალ – 184-185, 187-192, 195-197, 233, 238, 357-358
ერისთავი (არაგვის ერისთავი) ზურაბ – 326
ერისთავი როსტომ (რაჭის) – 249, 251, 373-374, 380
ერისთავი შალვა – 194-196, 233, 234, 236, 239-240
ეფრემ მცირე – 340
ექვთიმე გენათელი – 183, 266, 275, 356, 385

ვ

ვამეყ III დადიანი –326, 358
ვარანცოვი მიხეილ – იხ.: ვორონცოვი მიხეილ
ვახტანგ ბატონიშვილი (დავით II-ს უკანონო შვილის ვაჟი) – 356
ვახტანგ გორგასალი – 89, 330-331
ვახტანგ VI – 90, 92, 108, 326, 332, 345-346, 357
ვახტანგ V შაჰნავაზი – 193, 195, 215-216, 236-239, 326, 357, 365, 368
ვორონცოვი მიხეილ – 259-263, 378-379
ვოსტოკოვი ალექსანდრე – 43, 319

ზ

ზაბხიძე გიორგი – 389
ზაბხიძე სპირიდონ – 389
ზდანევიჩი გიორგი – 342

თ

თავზიშვილი გიორგი – 390
თამაზ ყული ხანი – იხ.: ნადირ შაჰი
თამარაშვილი მიხეილ – 326
თამარ მეფე – 89, 90, 259, 390
თარალაი – 361
თეიმურაზ I – 91, 201-203, 326, 357, 359
თეიმურაზ II –
თეიმურაზ ბაგრატიონი – იხ.: ანტონ I
თემურლენგი – 204-205, 361
თუმანიშვილი გიორგი – 319
თუმანიშვილი დიმიტრი – 321
თუმანიშვილი მანუჩარ – 257
თუმანიშვილი სულხან – 257

ი

იაშარი ალბაი – 319
იაშვილები – 374
იბნ ყუთაიბა – 359
იესე მეფე – 28, 345, 360
იესო ქრისტე – 28, 330, 338, 340
ივანე ვსევოლოდის ძე – 339
ივანე ზვენიგოროდელი – 339
იზმაილ ფაშა – 241-242, 244, 371
ინაკავაძე – 246
ინგოროყვა პავლე – 370, 388
ინოკენტი XIII – 326
იოანე ბატონიშვილი – 374

იოანე ზედაზნელი – 357
იოანე შავთელი – 360
იოანე პეტრიწი – 340
იობი (იობ მრავალვნებული) – 331-332
იოსებ ალავერდელი – 375
იოსებ  კათალიკოსი – 374
იოსებ მშვენიერი – 330
იოსელიანი ეგნატე – 376
იოსელიანი პლატონ – 375, 376
ირაკლი 89, 253, 258, 259, 375, 376,
ისა ხან ყორჩიბაში – 361
ისუ ნავე – 257, 377
იუდა (იუდა ისკარიოტელი) – 118, 340
იულონ ბატონიშვილი – 375, 383

კ

კაენი (კაინი) – 340
კალატოზიშვილი – 274
კანდელაკები – 330
კანდელაკი დიმიტრი – 330
კანდელაკი ოქროპირი – 342-343
კანდელაკი სვიმონ – 330, 370
კანდელაკი სიკო – 370, 373
კარლოს VI – 326
კარენინი – 346
კაცია II დადიანი – 354
კაჭიაშვილი – 244, 372
კახაბერი 36, 37, 90, 315, 316, 358
კეკელიძე კორნელი 330
კენჭოშვილი ირაკლი – 309
კერესელიძე ივანე – 317, 380
კვიტაშვილი ივანე –265-267
კიკნაძეები – 381
კიკნაძე ზურაბ – 348
კონსტანტინე  მირზა (ალექსანდრე II-ის  ძე) – 360, 361
კონსტანტინე ბატონიშვილი (დავით გიორგის ძის ვაჟი) – 383
კორინთელი – 353
კრილოვი ივანე – 318
კუზნეცოვი სტეფანე – 43, 318
კუპრაშვილი სოფიკო – 311

ლ

ლაზარევი ივანე პეტრეს ძე (გენერალი) – 377, 384
ლევან II  (კახთა მეფე) – 363
ლელა ბატონიშვილი (ლუარსაბ  II-ის და) – 362
ლეთოდიანი გუბაზ – 311
ლიონიძე სვიმონ – 349
ლორთქიფანიძე ბერი – 354
ლუარსაბ II – 362

მ

მათუსალა – 105, 272, 332, 383
მამაი – 113, 334, 339, 113
მამია III გურიელი – 381
მამინ სიბირიაკიდან – 314
„მანველიძე“ – იხ.: ახნაზაროვი არტემ – 325
მარიამი (გრიგოლ დადიანის და) – 355
მარიამი (სოლომონ I-ის ასული) – 353
მაყაშვილი ალექსანდრე – 258
მაყაშვილი სვიმონ – 210, 214
მაჭავარიანი ხოსიკა – 245
მაჩაბელი დავით – 374
მაჩაბელი ივანე – 323, 324
მაჰმადი (მუჰამედი) – 7, 59, 222, 237, 238, 363
მგალობლიშვილი – 321
მეგრელიძე იოსებ – 390
მელქისეთ ბეგი ლეინ – 377
მერკვილაძე იოსებ – 309, 356
მესხი ოთია – 117, 354
მესხი სერგეი – 380
მინდიაშვილი არჩილ – 340
მოლა აჯა – 359
მოსე – 332, 377
მურთუზალ (მურთაზ) ყული ხანი – 359, 364
მურიე ჟიულ – 325
მურვან II  ყრუ – 315
მუხრანბატონი –261, 264
მხარგრძელები – 90, 377
მხეიძე დავით – 315
მხეიძე კონსტანტინე – 315

ნ

ნადირ შაჰი ავშარი – 258, 378
ნაიმი მუსტაფა – 362
ნეკრასოვი ნიკოლოზ – 314
ნესტან-დარეჯანი – 345, 358, 392, 393
ნიზამი – 359
ნიკოლაძე ნიკო – 380
ნიკოლოზ I (რუსეთის იმპერატორი) – 346, 379

ნინო (წმ.) – 118, 338, 340, 378
ნიჟარაძეები – 183

ო

ონიანი შერმადინ – 390
ოპიზარი ბექა – 376
ოსტენეკი ალექსანდრე – 319
ორბელიანი ალექსანდრე – 316, 376, 380
ორბელიანი გრიგოლ – 316, 317, 380
ორბელიანი დავით (სარდალი) – 253, 376
ორბელიანი პაპუნა – 360
ორბელიანი სულხან-საბა – 93

პ

პაატა – იხ. სააკაძე პაატა – 362
პავლე მოციქული – 382
პავლე I (რუსეთის იმპერატორი) – 377
პაპავა აკაკი – 377
პაპავა თ. – 377
პეტრე I (რუსეთის იმპერატორი) – 346
პეტრე I (წმ.) – ქართლის პირველი კათოლიკოსი – 330
პეტრე არქიმანდრიტი – 183
პოლიკარპე – 331
პოტო ვასილ – 385
პუზირევსკი – 356
პუშკინი ალექსანდრე – 321
პტიცინი – 346

რ

რატი კახაბერისძე – 358
რეპინი ილია – 314
რეხვიაშვილი მიხეილ – 310
რიურიკი – 119
როზენი გრიგოლ –261, 379
როსტევანი – 199, 374
როსტომი (ალექსანდრე II-ის ძე) – 360
როსტომი (ბაგრატიონი) ( დავით II-ს უკანონო ვაჟი) – 356
როსტომ მეფე – 357
როსტომ რაჭის ერისთავი – იხ. ერისთავი როსტომ.
რუსთველი შოთა – 345-346, 358, 374, 390

ს

სააკაძე გიორგი – 325, 375
სააკაძე პაატა – 362
სააკაძე სიაუშ – 375
სამოელი – 118, 338
სამსონ ძლიერი – 249, 371, 374
სელიმ ხანი – 359, 364
სარდუ ვიქტორიენ – 349
სერგი მეუდაბნოე (რადონეჟელი) – 112, 114, 334, 339
სვიმეონ ღვთისმიმრქმელი – 330
სიმონა გლახა (ნიკო დადიანის ხუმარა) – 268
სიმონოვიჩი – 354
სინან ფაშა (სელიმ ფაშა) – 379
სმარაგდოვი სერგეი – 43, 318
სოლომონ (ბრძენი) – 360
სოლომონ I დიდი – 353, 371, 373, 381, 383
სოლომონ II – 354, 355, 383, 384
სულთანიშვილი – 182

ტ

ტამერლანი – იხ.: თემურლენგი
ტიმოთე მთავარეპისკოპოსი – 345
ტოლსტოი ლევ – 319, 346, 386
ტორმასოვი – 354
ტურგენევი ივანე – 314
ტუჩკოვი – 383

ფ

ფარნაოზ ბატონიშვილი – 383
ფეიქარ ხანი – 359, 362, 365, 367, 368
ფედოროვი ანა – 311
ფრიდონი – 298, 299, 303, 304, 392,
ფრუიძე ნანა – 4, 311

ქ

ქეთევან დედოფალი – 359
ქეთევანი (იმერეთის მეფის, ბაგრატის, მეუღლე) – 326
ქრისტე – იხ.: იესო ქრისტექსნის ერისთავი –193, 196, 197, 233, 234, 258, 363
ქუთათელი – 241
ქუთათელი სვიმონ – 381

ღ

ღოღობერიძე ნიკოლოზ – 341
ღოღობერიძე ბესარიონ – 341

ყ

ყაზბეგი გიორგი – 317
ყიფიანი დიმიტრი – 261, 379

ყორღანაშვილი ოსეფა – 252-254, 257, 375
ყოჩიშვილი მარი – 311
ყულიაშვილი ბორენა – 311

შ

შავთელი იოანე – იხ.: იოანე შავთელი
შამილი – 319
შაღმათაშვილი ავეტიკა – 257
შაღმათაშვილი იოსებ – 257
შუვალოვი –314

ჩ

ჩახრუხაძე – 360
„ჩიორა“– იხ.: ახნაზაროვი არტემ – 325
ჩიქოვანი ანტონ (ნიკო დადიანის მოურავი) – 269
ჩიტაური ნათელა – 311, 371
ჩაჩუა – 321
ჩოლოყაშვილი ბიძინა – 357, 363
ჩოლოყაშვილი გარსევან – 360
ჩხეიძე-ქუთათელი – 242-244, 248
ჩხიკვაძე ზაქარია – 363

ც

ციციანოვი პავლე – 383
ციციშვილი ხათა-გოგია – 258

წ

წერედიანი არჩილ – 311
წერეთელი ბეჟან – 182, 183
წერეთელი გიორგი – 380
წერეთელი გრიგოლ – 180-183
წერეთელი ივანე – 183
წერეთელი პაპუნა – 249, 374
წერეთელი როსტომ – 354
წერეთელი სვიმონ – 174, 354
წერეთელი ქაიხოსრო – 174, 354, 383
წულუკიძე – 179
წულუკიძე ტატო – 321

ჭ

ჭავჭავაძე ალექსანდრე – 348
ჭავჭავაძე ილია – 316, 325
ჭაჭიაშვილი – 372
ჭიაბერი – 90
ჭიღლაძე თედორე – 182
ჭიჭინაძე ზაქარია – 341
ჭუმბურიძე –4, 326
ჭუჭუნასშვილი ვახტანგ – 326
ჭყონდიდელი გაბრიელ – 381

ხ

ხიმშიაშვილები –317, 167, 349
ხიმშიაშვილი ლევან – 349
ხინთიბიძე ელგუჯა – 346
ხოჯა ხანი – იხ.: ალა-მაჰმად-ხანი

ჯ

ჯავახიშვილი ივანე – 372
ჯამბაკურ-ორბელიანი ალექსანდრე – იხ.: ორბელიანი ალექსანდრე
ჯანაშია სიმონ – 330
ჯანდიერი – 206, 208, 210, 235
ჯაფარიძე ჯაფარა – 249, 251, 373
ჯოლოგუა თამაზ – 4, 379
ჯუანშერი – 330
ჯაში დიმიტრი – 343

ჰ

ჰაჯი მურად ხუნძახელი – 319
ჰექტორი – 319

## გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ა

ადიში – 340
ავარია – 319
ავლანეთი – 378
აზერბაიჯანი – 376, 378
ალავერდი 70, 357
ალაზანი – 191
ალვანი – 211
ალვანის ველი 363
ალი – 272, 382
ამიერკავკასია – 361, 38, 379
ანანური – 385
ანჩი – 376
არაგვი – 184, 188, 189,
არგვეთი – 315

არდალანი – 231, 369
არმენია – იხ. სომხეთი – 376, 330, 378
არტაანი – 37
ასპინძა – 376
ასტრახანი – 376
აფხაზეთი – 327
აწყური – 343, 376
აჭარა – 35, 38, 316, 317

აჭარა-შავშეთი – 317, 385
ახალციხე – 356, 382
ახმეტა – 343, 357. 363
აჯამეთი – 381

ბ

ბაქო – 320
ბაღდადი – 240
ბახტრიონი – 234, 235
ბელგრადი – 371
ბელუჯისტანი – 378
ბესარაბია – 379
ბიზანტია – 330-332
ბიჭვინთა – 378
ბორჯომი – 121, 342
ბრიტანეთი – 378, 379
ბუხარა – 378

გ

განჯა – 359, 362
გეგუთი – 355, 374
გელათი – 242, 340, 353
გორი – 174, 175
გურია – 353, 356

დ

დაღესტანი – 378
დერპტი – 318
დვალეთი – 373
დიდგორი – 369
დუნაი – 379

ე

ეგვიპტე – 204, 257, 377

ვ

ვარიანი – 354
ვარციხე – 266, 381
ვლადიმირი – 359
ვოჟი – 339

ზ

ზვენიგოროდი –339

თ

თეირანი – 208, 210, 376
თელავი – 211, 213, 216, 217, 221, 222, 227
თიანეთი – 378
თრიალეთი – 348
თურქეთი – იხ.: აგრეთვე: ოსმალეთი – 357, 360, 371, 379, 384

ი

იკორთა – 234, 363
იმერეთი –63, 91, 120, 173, 174, 178, 189, 200, 215, 216, 234, 240-244, 253, 255, 265, 266, 268, 273, 274
იორდანი – 257
ირანი – 204, 205, 326, 357
ისპაჰანი – 326, 359

კ

კავკასია – 361, 378, 379
კახეთი – 357-364, 369
კონსტანტინოპოლი – 330, 331
კორბოულა – 373, 383
კრწანისის ველი – 258
კულიკოვოს (კულიკის ველი) – 330

ლ

ლეჩხუმი – 254, 277

მ

მარაბდა – 361
მარტყოფი – 361
მაფსანი – 373
მესხეთი – 372, 390
მოწამეთა – 315, 333
მოდინახე – 249, 374
მოვაკანი – 346
მოსკოვი – 163

მტკვარი – 257
მუხრანი – 326
მუხური – 383
მღვიმევი – 358
მცხეთა – 348

**ნ**

ნაბახტევი – 383
ნაჭიშკრევი – 353
ნახიჩევანი – 359, 363, 364
ნიკორწმინდა (ნიკოლოოზწმინდა) – 266, 381
ნოვგოროდი – 342

**ო**

ოდიში – 354
ოზურგეთი – 316, 378
ოკრიბა – 242
ორთაჭალა – 255
ორლული – 183, 355
ოსმალეთი – იხ.: აგრეთვე: თურქეთი – 35, 357, 360, 371,379, 384
ოლასკური – 372
ოშკი – 364

**პ**

პარგოლოვო – 7, 10, 11, 13
პეტერბურგი (პეტერბურლი, სანქტ-პეტერბურგი) – 10, 13, 22, 24, 49, 378
პოლონეთი (პოლშა) – 77
პონტო – 331

**რ**

რაჭა 373, 380, 384, 390
რიონი – 372, 381
როკითი – 372
რუსეთი – 242, 313, 315, 319, 328, 331, 334, 339, 346, 354, 356, 359, 371, 375, 377-379, 383-385

**ს**

საბუე – 373
სათაფლია – 372
სამეგრელო – 327, 358, 375
სამცხე-ჯავახეთი
სანქტ-პეტერბურგი – იხ.: პეტერბურგი – 10, 13, 22, 24, 49, 378
სარდინია – 379
საფრანგეთი – 342, 379
საქართველო – 379, 381-384, 387
საჩხერე – 355, 374, 384
საწერეთლო –198, 240, 251, 273
სევასტოპოლი – 379
სომხეთი (ჰაიასტანი) – 257, 330, 378
სპარსეთი – 203-205, 236, 238, 240, 242, 248,258,

**ტ**

ტრაპიზონი – 259, 275, 384
ტროა – 319
ტფილისი – ბ342, 349

**ფ**

ფარავანი – 340
ფუთი – 124

**ქ**

ქალკედონი – 331
ქართლი – 315, 326, 330, 353, 357, 362, 376, 378, 383 ქ
ართლ-კახეთი – 91, 238, 270, 304, 384
ქაქუთი – 379
ქიზიყი – 377
ქირმანი – 326
ქობულეთი – 353
ქუთაისი – 355, 356, 371, 372, 375, 378, 384

**ღ**

ღვიმე – 198

**ყ**

ყაზბეგი – 348
ყარაბაღი (ყარაბახი) – 359, 363, 364, 367
ყარაღაჯი – 364
ყვირილა – 381, 384
ყირიმი – 358, 379

**შ**

შავი ზღვა – 379
შორაპანი – 122
შტუდგარტი –323
შუამთა – 221, 223-225, 227, 363
შქმერი – 182
შხეფი – 268

ჩ

ჩაქვი – 173, 353
ჩოლოქი – 260, 379

ძ

ძეგამი – 361

ჭ

ჭალა – 384
ჭიათურა –342, 358

ხ

ხანის-წყალი – 372
ხატავეთი – 127
ხაშური – 383
ხახული –243
ხივა – 378
ხორასანი 378
ხორნაბუჯი –362
ხრესილი – 372, 374

ჯ

ჯრუჭი – 340, 373

ჰ

ჰაიასტანი – იხ.: სომხეთი – 257, 262, 330, 378

## მოთხრობათა ანბანური საძიებელი

ა

ახმედ-ფაშა კახაბერი – 35, 315

ბ

ბაში-აჩუკი – 184, 356,
ბენია და ბეშტია – 268, 382
ბეშტია და ბენია (ტელეფონით) – 119, 341

გ

გრიგოლ წერეთლის ირემი (მოხუცის ნაამბობი) – 180, 355

დ

დათუნა გოცირიძე (I) – 178, 355
დათუნა გოცირიძე (II) (ძველებური ამბავი) –265, 380

ე

ეშმაკები (ნამდვილი ამბავი) – 7, 313

თ

თოხიტარა 289, 388

ი

ის – 71, 321

კ

კორინთელი (სოლომონ მეფე, ელიზბარ ერისთავი და კორინთელი) –173, 353
კრიჭ და ხრიშ (დალაქის თავგადასავალი) – 47, 319
კურდღელი – 287, 388

მ

მერცხლისა და ჭივჭავის ომი – 279, 385
მტირალი დედა – 63, 321

ნ

ნამდვილი ამბავი (I) – 121, 342
ნამდვილი ამბავი (II) – 306, 394

ო

ოთია მესხი – 177, 354
ორი სიზმარი – 112, 333

პ

პატარა ტარიელი (საყმაწვილო მოთხრობა) – 296, 389
პატრიოტის აღსარება – 39, 317
პირველი საღამო – 282, 387

რ

რაჭის ერისთავი როსტომ – 249, 373
როგორ გადაჰყვა თავადი გოჯასპირ თავის ულვაშებს – 127, 344

ს

საავადმყოფოში 104, 332
სამგვარი სიყვარული – 141, 348
საუბარი ორთა შუა – 25, 315
სიკვდილი – 79, 325

სიყვარული, ანუ დარო და მარო – 55, 320
სოფელ ალის აოხრება – 272, 382

ქ

ქალი რომელი თვეა – 137, 347
ქართული ფულის თავგადასავალი – 252, 375

ყ

ყვითელი სანთელი – 94, 329

ძ

ძველი ჩინოვნიკის აღსარება – 43, 318

წ

წმინდა გიორგის რაზმი – 241, 369

## მოთხრობათა საძიებელი შექმნის თარილის მიხედვით

**1863-1865**
ეშმაკები (ნამდვილი ამბავი) – 7, 313
**1872**
საუბარი ორთა შუა – 25, 315
ახმედ-ფაშა კახაბერი – 315, 316
**1875**
პატრიოტის აღსარება – 39, 317
ძველი ჩინოვნიკის აღსარება – 43, 318
კრიჭ და ხრიშ (დალაქის თავგადასავალი) – 47, 319
ქალი რომელი თვეა – 137, 347
კორინთელი (სოლომონ მეფე, ელიზბარ ერისთავი და კორინთელი) –173, 353
ოთია მესხი – 177, 354
დათუნა გოცირიძე (I) – 178, 355
მერცხლისა და ჭივჭავის ომი – 279, 38
**1876**
პირველი საღამო – 282, 387
**1884**
სამგვარი სიყვარული – 141, 348
კურდღელი – 287, 388
თოხიტარა – 289, 388
**1886**
სიყვარული, ანუ დარო და მარო – 55, 320
მტირალი დედა – 63, 321
**1891**
ის – 71, 321
**1894-1895**
სიკვდილი – 79, 325
**1895**
გრიგოლ წერეთლის ირემი (მოხუცის ნაამბობი) – 180, 355
ბაში-აჩუკი – 184, 356
წმინდა გიორგის რაზმი – 241, 369
რაჭის ერისთავი როსტომ – 249, 373
**1896**
ყვითელი სანთელი – 94, 329
**1897**
ქართული ფულის თავგადასავალი – 252, 375
პატარა ტარიელი (საყმაწვილო მოთხრობა) – 296, 389
**1899**
საავადმყოფოში – 104, 332
**1902**
დათუნა გოცირიძე (II) –265, 380
**1905**
ორი სიზმარი – – 112, 333
**1907**
ბეშტია და ბენია (ტელეფონით) – 119, 341
ბენია და ბეშტია – 268, 382
**1909**
ნამდვილი ამბავი (I) – 121, 342
**1910**
ნამდვილი ამბავი (II) – 306, 394
**1911**
როგორ გადაჰყვა თავადი გოჯასპირ თავის ულვაშებს – 127, 319
სოფელ ალის აოხრება – 272, 382

# ს ა რ ჩ ე ვ ი


**მოთხრობები**

ეშმაკები (ნამდვილი ამბავი) ..... 7...313
საუბარი ორთა შუა ..... 25...314
ახმედ-ფაშა კახა-ბერი ..... 35...315
პატრიოტის აღსარება ..... 39...317
ძველი ჩინოვნიკის აღსარება ..... 43...318
კრიჭ და ხრიშ (დალაქის თავგადასავალი) ..... 47...319
სიყვარული, ანუ დარო და მარო ..... 55...320
მტირალი დედა ..... 63...321
ის ..... 71...321
სიკვდილი ..... 79...325
ყვითელი სანთელი ..... 94...329
საავადმყოფოში ..... 104...332
ორი სიზმარი ..... 112...333
ბეშტია და ბენია (ტელეფონით) ..... 119...341
ნამდვილი ამბავი I ..... 121...342
როგორ გადაყვა თავ. გოჯასპირ თავისს ულვაშებს ..... 127...344

**ნოველები**

ქალი რომელი თვეა? ..... 137...347
სამგვარი სიყვარული ..... 141...348

**ისტორიული მოთხრობები**

კორინთელი ..... 173...353
ოთია მესხი ..... 177...354
დათუნა გოცირიძე (I) ..... 178...355
გრიგოლ წერეთლის ირემი (მოხუცის ნაამბობი) ..... 180...355
ბაში-აჩუკი (ისტორიული მოთხრობა) ..... 184...356
წმიდა გიორგის რაზმი ..... 241...369
რაჭის ერისთავი როსტომ ..... 249...373
ქართული ფულის თავგადასავალი ..... 252...375
დათუნა გოცირიძე (II) (ძველებური ამბავი) ..... 265...380
ბენია და ბეშტია ..... 268...382
სოფელ ალის აოხრება ..... 272...382

**საყმაწვილო მოთხრობები**

მერცხლისა და ჭივჭავის ომი ..... 279...385
პირველი საღამო ..... 282...387
კურდღელი ..... 287...288
თოხი-ტარა ..... 289...388
პატარა ტარიელი (საყმაწვილო მოთხრობა) ..... 296...389
ნამდვილი ამბავი (II) ..... 306...394

**ვარიანტები, შენიშვნები, კომენტარები**

ტექსტისთვის ..... 309

**საძიებლები**

პირთა საძიებელი ..... 395
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი ..... 405
მოთხრობათა ანბანური საძიებელი ..... 410
მოთხრობათა საძიებელი შექმნის თარიღის მიხედვით ..... 412

ტომის ტექნიკური რედაქტორი – ლია მოსეშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა – ციალა ძიმისტარიშვილი